



Handwritten Armenian text in the background, partially obscured by a large black letter 'Է'.

ՆԱՅԱԼՏԱՅԻ  
Ե Ե Ե Ե Ե Ե Ե Ե

466  
2017



კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს  
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

KORNELI KEKELIDZE GEORGIAN  
NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS

# M RAVALTAVI

Philological and Historical  
Researches

*Published since 1971*

25

# ქართული რედაქციის

ფილოლოგიურ-ისტორიული  
ძიებანი

გამოდის 1971 წლიდან

„მრავალთავის“ 25-ე ტომში წარმოდგენილია ფილოლოგიურ-კოდიკოლოგიური, ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ხასიათის და ხელნაწერი წიგნის ხელოვნებისადმი მიძღვნილი ნარკვევები, რომლებიც ქართული მწერლობის, ისტორიისა და კულტურის საკითხებს ეხება, აგრეთვე, 2016 წლის ქრონიკა ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრსა და ცენტრის მეცნიერ თანამშრომლების მონაწილეობით ჩატარებული კონფერენციების, გამოფენების, ექსპედიცია-მივლინებებისა და ახალი გამოცემების შესახებ.

#### **სარედაქციო კოლეჯი**

ცისანა აბულაძე, ზაზა ალექსიძე (მთავარი რედაქტორი),  
დარეჯან კლდიაშვილი, ნინო მელიქიშვილი,  
თამარ ოთხმეზური, მაია რაფავა, მზია სურგულაძე, ეთერ ქავთარაძე,  
დავით შენგელია (პასუხისმგებელი მდივანი)

**ტომის რედაქტორები:** დარეჯან კლდიაშვილი, ნინო მელიქიშვილი

#### **EDITORIAL BOARD**

Tsisana Abuladze, Zaza Alexidze (editor-in-chief), Darejan Kldiashvili,  
Nino Melikishvili, Tamar Otkhmezuri, Maia Raphava, Mzia Surguladze,  
Eter Kavtaradze, David Shengelia (Executive Secretary)

**Editors of the volume:** Darejan Kldiashvili, Nino Melikishvili

ISSN 0234-7385 („მრავალთავი“)

© კორნელი ეკექლიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2017

## შინაარსი

### მილოცვა

მზექალა შანიძე – 90 .....	11
ავთანდილ არაბული	
სახელის გამართლება .....	12

### ფილოლოგია

#### მაია რაფავა

XI საუკუნის ქართული ხელნაწერის უწყება პენტარქიის შესახებ .....	21
--	----

#### თამარ ოთხმეხური

ფერემ მცირის ავტოგრაფული ნუსხის – S-1276-ის – დათარიღებისათვის .....	31
--	----

#### ბულნაზ კიკნაძე, ნინო მელიქიშვილი

წმ. გრიგოლ ნოსელის თხზულების – „თარგმანებაჲ ქებისა ქებათასაჲ“ – ქართული თარგმანი .....	40
---	----

#### ხათუნა გაფრინდაშვილი

ლექციონარის უცნობი ფრაგმენტი A-1390 ხელნაწერის მიხედვით .....	49
---	----

#### ნესტან სულავა

ფილიპე ბეთლემელის საგალობლის თვალთა და ფერთამეტყველება ქრისტიანული ფერწერის კონტექსტში .....	59
---	----

#### მიხეილ ქავთარია, ლალი ჯღამაია-ბრიგოლია

ათონის ივირონის მონასტრის სამნიგნობრო სკოლის ისტორიიდან .....	70
---	----

#### ლია კიკნაძე

წმ. ბარლამის ქართველთა მონასტერი სირიაში (ანტიოქიის რეგიონში) .....	78
---	----

#### ეკა დულაშვილი

სანკტ-პეტერბურგის კოლეჯიის ქართულ-ბერძნული ხელნაწერი: ბერძნული ტექსტები .....	85
--	----

#### ნუგზარ პაპუაშვილი

ათონური ხელნაწერი მიქარწმინდაში და პეტრე იბერის კანონიზაციის საკითხი ამბროსი ხელაიას ინფორმაციის კვალდაკვალ .....	98
--	----

#### ძმთევან ტატიშვილი

ქართველი წმინდანები ანტონ I კათალიკოსის ჰიმნოგრაფიაში .....	112
---	-----

22786



## ქელენე ჩაბალიშვილი

დავით ბატონიშვილის თარგმანები და მათში წარმოდგენილი  
სალექსიკონო მასალა.....120

## ია განაჩილაძე

ქართველ პოეტთა მთარგმნელობითი მოღვაწეობა ძველ საქართველოში  
ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ხელნაწერების მონაცემთა მიხედვით.....142

## ისტორია-წყაროთმცოდნეობა

### ღარეჯან კლდიაშვილი

სვეტიცის უდაბნოს სულთა მატთანე .....164

### ირაკლი გელაშვილი, თამაზ გომგოლაძე

X-XI საუკუნეების უცნობი წარწერა მოხისის სამების ეკლესიიდან..... 180

### ალექსი ოსტროვსკი

დავით IV აღმაშენებლის სპილენძის მონეტის ანალიზისა და ატრიბუციისათვის..... 188

### მანუჩარ გუნცაძე

ისტორიოგრაფია როგორც საბჭოთა პოლიტიკის იდეოლოგიური მექანიზმი  
1920 წლის ოსი ბოლშევიკების აჯანყების მაგალითზე .....203

## აღმოსავლეთმცოდნეობა

### ანდრეა შმიდტი

საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული სირიული  
ხელნაწერების მიმოხილვა.....211

### თამარ აბულაძე

„შაჰ-ნამეს“ დასთანები სპარსულ ხელნაწერთა შუაბიჯურ კოლექციაში.....228

### ცისანა აბულაძე

სულთან მეჰმედ IV-ის ბრძანებულება იერუსალიმის ყადისადმი წმინდა მიწის  
ქართული მონასტრების შესახებ.....238

### ლიანა სამყურაშვილი, შორენა თავაძე

„წიგნი სააქიმოჲ“ (ხეც. S-1274). კვლევის ისტორია .....249

## ხელნაწერი ნიშნის ხელოვნება

### ალექსანდრე სამინსკი

კალიგრაფიის მოხატული ხელნაწერები ბიზანტიური ხელოვნების  
თვალთახედვით .....261

### თამარ ოთხმეჯური, თამარ ჭუმბურიძე

გერმანელი ხელოვანის გრაფიურები ქართულ „ლოცვანში“ .....279

## მცენიერების ისტორიიდან

### ჟერარ ბარიტი

ერთი ქართული ხელნაწერის ბედი და უბედობა (Cod. Garrett-24, პრინსტონი).....285

## რეცენზია

### მან რაფაბა

გამომხატურება თამარ მესხის ნაშრომზე: „სინა და საქართველო.

ახალი ფურცლები მრავალსაუკუნოვანი ისტორიისათვის“, თბილისი, 2013.....299

**ქრონიკა, ინფორმაცია (2016 წ.)**.....303

**2015-2016 წლების გამომცემები**.....329

## ბასსენება

სიმონ ზაზაძე .....345

ლამარა ქაჯანია .....348

ლალი ალექსი-მესხიშვილი.....349

მარინე ილუარიძე .....351

ზეინაბ სარაჯიშვილი .....352

შაკ ლეჟორი .....353

    შრომების ბიბლიოგრაფია.....355

ველგუტ გუგუაშვიანი.....359

    შრომების ბიბლიოგრაფია.....362

## CONTENTS

### GREETINGS

<b>Mzekala Shanidze – 90</b> .....	11
AVTANDIL ARABULI	
Justifying the Name.....	12

### PHILOLOGY

MAIA RAPHAVA	
On the Pentarchy according to the Manuscript Dated to the 11 <sup>th</sup> Century. ....	21
THAMAR OTKHMEZURI	
On Dating Ephrem Mtsire's Autograph S-1276 .....	31
GULNAZ KIKNADZE, NINO MELIKISHVILI	
The Georgian Translation of St. Gregory Nyssa's "The Commentary on the Song of Songs" (Canticum Canticorum).....	40
KHATUNA GAPRINDASHVILI	
An Unknown Fragment of the Lectionary A-1390.....	49
NESTAN SULAVA	
The Imagination of Color and Precious in Philipe Betlemeli's Hymns with the Context of Christian Paintings.....	59
MIKHAEL QAVTARIA, LALI JGAMAIA-GRIGOLIA	
On the History of the Educational Centre at Iviron Monastery on Mount Athos....	70
LIA KIKNADZE	
The Monastery of St. Barlaam in Syria (in the Environs of Antioch).....	78
EKA DUGHASHVILI	
Georgian-Greek Manuscript from Saint-Petersburg Collection: Greek Texts .....	85
NUGZAR PAPUASHVILI	
Athonite Manuscript in Mikartsminda and Question of Canonization of Peter the Iberian following the Information of Ambrosi Khelasia .....	98
KETEVAN TATISHVILI	
Georgian Saints in Anton I Catholicos' Hymnography.....	112
ELENE CHAGELISHVILI	
David Batonishvili's Translations and the Dictionary Material Found in these Translations.....	120
IA GACHECHILADZE	
Georgian Poets as Translators in Old Georgia according to the Data of the Manuscripts Housed at the National Centre of Manuscripts .....	142

### HISTORY AND SOURCE STUDIES

DAREJAN KLDIASHVILI	
Commemorative Chronicle of Monastery of Sveti.....	164
IRAKLI GELASHVILI, TAMAZ GOGOLADZE	
An Unknown Inscription of the 10 <sup>th</sup> -11 <sup>th</sup> cc from Mokhisi Church of Trinity.....	180

**ALEXEY OSTROVSKY**

On the Attribution of a Unique Copper Coin of David IV the Builder..... 188

**MANUCHAR GUNTSADZE**

Historiography as Ideological Mechanism of the Soviet Union..... 203

**ORIENTALISTICS**

**ANDREA SCHMIDT**

Die Syrischen Handschriften des Kekelidze Handschriftenzentrums in Georgien.

Ein Überblick..... 211

**TAMAR ABULADZE**

*Dastans* of "Shahnameh" in the Middle Asian Collection of Persian Manuscripts... 228

**TSISANA ABULADZE**

Sultan Mehmed the IV's Order to the Kadi of Jerusalem about the Georgian

Monasteries on the Holy Land..... 238

**LIANA SAMKURASHVILI, SHORENA TAVADZE**

"Doctoring Book" (NCM S-1274): Research History ..... 249

**ART OF MANUSCRIPT**

**ALEXANDER L. SAMINSKY**

The Illuminated Manuscripts from Kalipos in the Perspective of Byzantine Art..... 261

**THAMAR OTKHMEZURI, THAMAR CHUMBURIDZE**

Engravings of German Artist in the Georgian Prayer Book..... 279

**FROM THE HISTORY OF SCIENCE**

**JERAR GARRETT**

Fortune and Misfortune of One Georgian Manuscript (Collection Garrett-24, Princeton)..... 285

**REVIEW**

**MAIA RAPHAVA**

Review: Tamar Meskhi, "Sinai and Georgia. New Folios of Centuries –

Old History". Tbilisi, 2013 ..... 299

**CHRONICLE, INFORMATION (2016)..... 303**

**2015-2016 PUBLICATIONS..... 329**

**MEMORIA**

SIMON ZAZADZE..... 345

LAMARA KAJAIA..... 348

LALI ALEQSI-MESKHISHVILI..... 349

MARINE ILURIDZE..... 351

ZEINAB SARAJISHVILI..... 352

JACQUES LEFORT..... 353

Bibliography ..... 355

HELMUT BUSCHHAUSEN..... 359

Bibliography ..... 362

## ხელნართა ძირითადი საცავები საქართველოში

### შემოკლებები

- ბიეშ** სერგი მაკალათიას სახელობის გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი
- სცსპ** საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი (საქართველოს ეროვნული არქივი)
- სიეშ** სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)
- საწიშ** ივანე ჯავახიშვილის სახელობის სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)
- ქიეშ** ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი
- სმ** შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების ეროვნული მუზეუმი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)
- სეც** კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაერთა ეროვნული ცენტრი (ყოფილი კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაერთა ინსტიტუტი)
- ზიამ** ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმი

## მილოცვა

### მზექალა შანიძე – 90

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოს მზექალა შანიძეს, ქართული ფილოლოგიური მეცნიერების უთვისასაჩინოეს წარმომადგენელს, დაბადებიდან 90 წელი შეუსრულდა. ქალბატონი მზექალა შანიძე მრავალპროფილიანი მკვლევარია – ენათმეცნიერი, პალეოგრაფი, ტექსტოლოგი და კოდიკოლოგი. ფართო განათლებამ და მეცნიერულმა ერუდიციამ მას ჩვენი დროის ერთ-ერთი საუკეთესო ბიბლიოლოგის რეპუტაცია დაუმკვიდრა. სანიმუშოა ქალბატონ მზექალას ხელნაწერებზე მუშაობის სტილი – იგი ყოველ ჯერზე თითქოს თავიდან „ემონაფება“ ძველ ქართველ ავტორებს – ქართული სალიტერატურო ენის ნამდვილ შემოქმედთ, სწავლობს მათ ლექსიკას, აზროვნების სტილსა და შემოქმედებით გარემოს, – ეს ეხმარება მას ტექსტის ზუსტ შეფასებაში და იმ შეცდომების მიგნებაში, რომლებიც ხელნაწერთა გადამწერებს საუკუნეების განმავლობაში უნებლიეთ უგროვებიათ. ამიტომ არის სანიმუშო ქალბატონი მზექალა შანიძის ავტორობით ან მისი რედაქტორობით გამოცემული ტექსტები.

ქალბატონი მზექალა შანიძე უდიდესი მოწინებით ატარებს თავისი მამის, დიდი ქართველი მეცნიერის, აკაკი შანიძის მემკვიდრეობითობას როგორც საპატიო ტვირთსა და როგორც უმაღლეს პასუხისმგებლობას. მაღალი პროფესიონალიზმი, მომთხონელობა, სამოქალაქო პრინციპულობა და შინაგანი არისტოკრატიზმი მისი უმთავრესი ღირსებებია, რასაც იგი აზიარებს გარშემო მყოფთ და, უპირველეს ყოვლისა, თავის სტუდენტებს, რომლებსაც, აგერ უკვე რამდენიმე ათეული წელია, უშურველად გადასცემს ქართული ფილოლოგიური სკოლის მდიდარ გამოცდილებას.

კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი ულოცავს ქალბატონ მზექალას ნაყოფიერი ცხივრებისა და მოღვაწეობის საიუბილეო თარიღს და უსურვებს მომავალ შემოქმედებით წარმატებებს.

**კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს  
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი**

## ავთანდილ არაბული

### სახელის გამართლება

ხალხის წარმოდგენით, ეს გამონათქვამი იმგვარ შემთხვევას მიესადაგება, როდესაც სახელის „შინაარსი“, თითქოსდა, პიროვნების ბუნებაში, თვისებებში იჩენს თავს...

სახელის ამგვარ თვისებაზე ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ სახელს რომ პიროვნება უმკვიდრებს შინაარსსა და სპეციფიკურ ხიბლს, ეს ფაქტობრივად ჩანს.

ამისი ერთ-ერთი ილუსტრაციაა სახელი მზექალა.

1885 წლის 31 დეკემბრის „ივერიის“ ნომერი ფრიად ორიგინალური (გამომწვევი) საახალწლო მილოცვით გახსნა ილია ჭავჭავაძემ – „ღმერთმა ნუ დაგაბეროთ!“ ამ საკმაოდ ვრცელი სარედაქციო წერილის პათოსი მიმართულია საპაექროდ ტრადიციულსა და ერთობ შეჩვეულ ქართულ დალოცვასთან – „ღმერთმა ტკბილად დაგაბეროთ!“ „არ ვიცი, სხვა რას იტყვის და მე კი ეგ წყევლა მგონია და არა დალოცვა. ნეტა რა სანატრელია სიბერე?“ – ამბობს მწერალი და შემდეგ, მეტი დამაჯერებლობისათვის: „სხვისი არ ვიცი და მე კი ღმერთმა თავის-დღეში ნუ დამაბეროს, ღმერთმა ცხოველმყოფელი სიჭაბუკე არ მომაკლოს, არ მომიშალოს, ვინემ პირში სული მიდგა...“

საბოლოოდ კი ამგვარად აყალიბებს ამ ახალ, ტრადიციულის ანტინომიურ ფორმულას:

„ეხლა კი შემძლიან ჩემებურად მოგილოცოთ ახალი წელიწადი: მაშ ღმერთმა თქვენც თავის-დღეში ნუ დაგაბეროთ, ღმერთმა ყოვლად შემძლებელი, ცხოველმყოფელი სიჭაბუკე არ მოგაკლოთ, არ მოგიშალოთ, ვინემ ცოცხალ ხართ!“

ილია მართლის ეს დალოცვა ნამდვილად ემემკვიდრა ქართველოლოგთა იმ თაობებს, ვინც დიდი მოღვაწის იდეებს საქმით უერთგულა, ანუ ვინც ჭეშმარიტი ილიელი (თ. კვაჭანტირაძის მოხდენილი წარმოებით) გახდა. მათი უმეტესობა, თუმცა წელთა სიმრავლით გამოირჩეოდა, არ დაბერებულა, ანუ ცხოველმყოფელი სიჭაბუკე არ მოჰკლებია... მაგალითად, თვით იუბილარის მამა – დიდი აკაკი შანიძე – 100 წლისაც ისევ ისეთი სიცოცხლის ხალისით, ცნობისწაღილითა და შემოქმედებითი წყურვილით იღვწოდა...

სწორედ ამ მემკვიდრეობის ღირსეული გამგრძელებელია აკადემიკოსი მზექალა შანიძე – გენეტიკურადაც და იდეურადაც იგი უბერებლობის იმ დიდ საიდუმლოს ფლობს, რომელიც ბუნებრივად ადულაბებს თაობათა დარღვეულ კავშირებს, აბათილებს გაუცხოების ფორმულებს, ღირებულებას უნარჩუნებს მეცნიერულ, შემოქმედებითს ინტერესებსა და არცთუ მარტივ ადამიანურ ურთიერთობებს...

\* \* \*

ჩვენი ქვეყნის უკანასკნელი ათწლეულების რამდენიმე თაობა ჟამთაგვის უღმობელმა ბორბალმა ჩამოფქვა. ამ თაობათა ბედისწერას ლეიტმოტივად გასდევს დროის სამდურავი, რომელსაც გადაჭარბებულს ვერ დაარქმევ...

ობიექტურია ჩემი თაობის სამდურავიც: მძიმე დრო დაემთხვა 70-იანი წლების სტუდენტობის შესაძლებლობების გაშლას, თითქოს ჯობრზე ჩაიკეტა ყველა სივრცე და ჩაიხერგა ყოველგვარი პერსპექტივა; არაერთი ტალანტი ემსხვერპლა ფიზიკურსა და სულიერ კატაკლიზმებს!..

მაგრამ ჩემს თაობას – სიმართლე უნდა ითქვას – ერთ რამეში ნამდვილად გაუმართლა – მას ჯერ კიდევ მოეხსნო ნამდვილი ეროვნული უნივერსიტეტი; მათ (იმდროინდელმა სტუდენტებმა) ცოცხლად იხილეს და შეიცნეს უნივერსიტეტის დამფუძნებელთა ცოდნისა და სიბრძნის მადლი და მათი კურსებითა და პროგრამებით მიიღეს პროფესიული ცოდნის საფუძვლები. ეს იმას ნიშნავს, რომ იმდროინდელ ეროვნულ უნივერსიტეტში ჩვენ ვიღებდით ნატურალურ ცოდნას და არა სუროგატულ განათლებას. ამ სიტყვებში სისტემურ წიგნიერ განათლებას ვგულისხმობ – საპირისპიროდ იმ ქაოსური, ფრაგმენტული ინფორმაციების ნაკადისა, რომელსაც კომპიუტერიზებული საგანმანათლებლო პროცესი იძლევა. ხატოვანი ანალოგიით, ამათ შორის ის განსხვავებაა, რაც დედის რძესა და თანამედროვე სიმლიაკებს (ხელოვნურ კვებას) შორის; შესაძლებელია, გარეგნულად ხელოვნური საკვები არანაკლებ შედეგს იძლევა, მაგრამ, ცხადია, რომ ამ საკვებით გაფუთქუნებულ ბავშვს არა აქვს ის სიმკვრივე და სიჯანსაღე, რომელსაც ნატურალური დედის რძე იძლევა... შედეგი კი შემდგომ სიცოცხლის-უნარიანობაში ვლინდება!..

ქალბატონი მზექალა მთელი თავისი სულიერი წრთობით, კლასიკური განათლებითა და აკაკი შანიძის სკოლის „საოჯახო“ მეცნიერულ-შემოქმედებითი გამოცდილებით განასახიერებდა საუნივერსიტეტო განათლების ამ ფასდაუდებელ ტრადიციებს.

და ჩვენ ბედის მადლიერნი უნდა ვიყოთ, რომ მისი მემკვიდრეობითაც ვეზიარეთ ამ „ნატურალური“ კლასიკური განათლებისა და მეცნიერების საფუძვლებს.

ამ თვალსაზრისით ბევრია სათქმელი, მაგრამ ამჯერად ამ მიმართულებით არ მიმყავს საუბარი...



დრომ, რომელსაც უკვე დასტყობოდა ეპოქალური რყევის სიმკვრივე, აღნიშნულ ბედნიერებასთან ერთად, უნივერსიტეტის ახალწვეულნი არაერთი განსაცდელის წინაშე დაგვაყენა.

პირველ რიგში, არაადეკვატურად (იმდროინდელი აღქმით) იყო გაავებული საბჭოური უშიშროების სამსახური. მათ მეთოდი შეცვალეს და, პირდაპირი რეპრესიების ნაცვლად, მრავალსაცვიანი „გაფუჭების სისტემა“ ამოქმედეს...

ამ სისტემის აქტივობა, „ინდივიდუალური მუშაობის“ გარდა, სისტემურ იდეოლოგიურ მუხანათობებში ვლინდებოდა.

**XX** საუკუნე პირობითად ნეომითოლოგიურ ეპოქად შეიძლება შევაფასოთ.

ტოტალიტარულმა სისტემამ საზოგადოებას იდეოლოგიური მითები და მი-თიზებული ბელადები შესთავაზა.

ხელოვნებამ (მისმა არსებითად ყველა დარგმა) ტოტალიტარულ კონტროლს საპირწონედ ახალი მითოლოგიური ენიგმები დაახვედრა.

ეს პროცესი სოციალურ სინამდვილეშიც თავისებურად ტრანსფორმირდა: სოციალისტურ გათანაბრებას და „საერთო საბანს“ საზოგადოებამ ინტელექტუ-ალური, შემოქმედი ელიტის ავტორიტეტი დაუპირისპირა. წარმოიშვა რეჟიმთან დაპირისპირებული ინტელექტუალი-გმირის ფენომენი. ასეთი ავტორიტეტები გამოჩნდნენ ყველგან: მწერლობაში, უნივერსიტეტში, ინსტიტუტებში, თეატრ-ში, მხატვრობაში... ამ „ფიგურანტებს“ საზოგადოება მითოლოგიურ ვულში ხვევდა... ვფიქრობთ, საბჭოთა უშიშროებამ გამოწვევა მიიღო და ამას დაუპ-ირისპირა ფსევდომითების კულტივირება ასეთი მითოლოგიზებული ფიგურების გარშემო... ამ გზით წარმოქმნილი მითები, ცხადია, ადრესატების ავტორიტეტის შერყევას ისახავდა მიზნად...

ასეთი „ცნობების“ გამავრცელებლეს, ცხადია, გათვლილი ჰქონდათ საზოგადოებაზე მათი ნეგატიური ზემოქმედების ზოგადი შედეგები. თუმცა ასე-თი გათვლა, თუკი ის გამიფრული აღმოჩნდებოდა, უკუეფექტის მომტანი ანუ საზარალო იქნებოდა იდეოლოგიის წარმომადგენელი პირებისათვის. მაგრამ, როგორც ჩანს, „ჩიტი ბრდღვნად ღირდა“.

წიანდობლივია, რომ რომ სწორედ ასეთი ცრუმითების სამიზნე აღმოჩნდა ქალბატონი მზექალა შანიძე.

ეს ფაქტი იმათავითვე მანიშნებელი იყო იმისა, რომ ქალბატონი მზექალას ავტორიტეტი იდეოლოგიური სისტემის სამიზნედ ქვეუღიყო.

გავიხსენოთ ამ რიგის ზოგიერთი მითი ქალბატონი მზექალას „მონაწილეობით“.

**მითი №1.** ქალის სახელი მზექალა – მზექალა შანიძემდე – მხოლოდ ლო-კალურად იყო გავრცელებული, ის ხვესურული ანთროპონიმიკის ნაწილი იყო. ეს სახელი არც რომელიმე გამორჩეულ, სახალხო პერსონაჟს რქმევია. სახელი კომპოზიტური წარმომავლობისაა, შემთხვევა, როდესაც მნათობის სახელი (მზე)

ატრიბუტულ მსაზღვრელადაა გამოყენებული. მისი ძირითადი ფორმაა მზექა-  
ლი, უფრო ვიწრო გამოვლენა ჰქონდა კინობით ფორმას – მზექალა.

მითის მოტივი აღმოჩნდა კითხვა: ვინ და რატომ დაარქვა მზექალა?

დიდი აკაკი შანიძის მეცნიერული მოღვაწეობის პირველი ნაბიჯები ისტო-  
რიულ ფხოვს დაუკავშირდა; გასული საუკუნის ათიან წლებში იგი – როგორც  
პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი – ორჯონიძის იქნა მივლინებული აღ-  
მოსავლეთ საქართველოს მთის კილოთა ფოლკლორულ-დიალექტოლოგიური  
მასალების მოსაპოვებლად. ამ ექსპედიციამ განუმეორებელი, ტოლდაუდებელი  
შედეგი გამოიღო. აკაკი შანიძემ თითქოს მოსეს კვერთხი შეახო ვაჟას პოეზიის  
თავწყაროს და ისიც უშრეტ ნაკადად გადმოდინდა. ამ ძიების შედეგებმა ფოლკ-  
ლორის მარგალიტები, ლექსიკონი, მნიშვნელოვანი გამოკვლევები შესძინა ქა-  
რთველოლოგიას...

აკაკი შანიძის ამ ექსპედიციის განსაკუთრებული ინტერესის ობიექტი აღ-  
მოჩნდა ხევსურული პოეზია და ხევსურული დიალექტი, მეცნიერი საოცრად  
ჩასწვდა ამ კუთხის პოეტურსა და ჰეროიკულ სულს; ამ კუთხის წარმომადგენ-  
ლებთან ურთიერთობაც დიდხანს და ნაყოფიერად გაგრძელდა (გავიხსენოთ ბე-  
სარიონ გაბუური)...

ამიტომაც დამკვიდრდა აზრი, რომ პირველ ქალიშვილს მზექალა სწორედ  
მამამ დაარქვა, ხევსურეთისადმი თავისი განსაკუთრებული ინტერესისა და პა-  
ტივისციემის ნიშნად; ეგებ ვინმე ქათიბიანი მზექალას ხსოვნის ნიშნადაც კი...

**მითი №2.** სახელი მზექალა კიდევ ერთი მითოპოეტური ვერსიის წყაროდ  
ქცეულა.

ლადო ასათიანის ტრაგიკულ თაობას წარმოადგენდა ერთი ნიჭიერი არხო-  
ტელი პოეტი – გაბრიელ ჯაბუშანური. მისი მდიდარი სატრფიალო ლირიკის  
უმეტესი ნაწილი ვინმე მზექალს ეძღვნება. ეს არის უიმედო, განუხორციელე-  
ბელი სიყვარულის ერთი სევდიანი საგალობელი. ეს ის მზექალია, რომელსაც  
პოეტი საკუთარ ბედისწერას უკავშირებდა – „ჩემი მგოსნობის მორბედი –  
მზექალი ბედმა მალარსა“ და რომელსაც მეტი გაბედულებისაკენ მოუწოდებდა  
დიდი პოეტების უკვდავ მიჯნურებთან წარმოსახვითს ურთიერთობაში:

„ნუ გეკრძალებს! – მზექალ, თამამად შედი, გვერდს გყავარ მე – გაბრიელი!  
აი, ხომ ხედავ ნესტანს, თამარმნათს, გრეთხენს, თინათინს – მზეთა იერიო!“

მზექალი განსაკუთრებით გ. ჯაბუშანურის „ღიღღური რვეულის“ ბინადრად  
ქცეულა, რადგან იმ დროს, ინგუშეთიდან მოსახლეობის აყრის შემდეგ, ხევ-  
სურების ნაწილი ღიღღოში გადასახლდა, მათ შორის – არხოტელებიც...

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა და ის სიყვარულიც ჟამთასვლის ბურუსმა  
დაჩრდილა. ხევსურეთიც მთლად დაცარიელდა. „ჩაბარებულ“ ხევსურებს თაო-  
ბათაშორისი მესხიერებაც ჩაუწყდათ... მთიელთა ერთი ბარელი შთამომავალი  
წლების წინ დაბეჯითებით მეკითხებოდა:

- ხომ მართალია, რომ გაბრიელ ჯაბუშანურის ლექსების ციკლი მზექალას შანიძის უიმედო სიყვარულს ეძღვნება!

- არ ვიცი, არა მგონია-მეთქი! - მთლად არ გაეუბათილე ეს დაჯერება.

ისე კი დავსძენ, რომ გაბრიელის სიყვარული არა მხოლოდ უიმედო, არამედ ტრაგიკული იყო - მზექალის ნუთისოფლის სიმოკლის გამო!..

**მითი №3.** უფრო ქვებუდანი მითები, ჩვეულებისამებრ, მზექალა შანიძის სამეცნიერო კარიერას უკავშირდება.

ბუნებრივია, ამუშავდა სტერეოტიპი: რაკი დიდი მამის შვილია, სამეცნიერო-პედაგოგიური კარიერა აკადემიკოს აკაკი შანიძის გაკვალულმა გზამ გაუადვილა!

ჯერ ერთი, რად უარყოფთ ბუნებრივ მემკვიდრეობითობას, რომელიც კაცობრიობის მამოძრავებელი ძალაა?! მეორეც: ძნელად თუ წარმოიდგენს ბიურგერული საზოგადოება, რომ შეიძლება დიდი მამის შვილობა, მისი ავტორიტეტი, მისი პირადი სადღეღამისო რეჟიმი შვილისათვის არათუ ხელშემწყობი, ხელისშემშლელიც კი აღმოჩნდეს. რამდენი მემკვიდრე გათელა მამისეული ტვირთის სიმძიმემ (ზოგჯერ თაობებიც კი)! მზექალა შანიძის პიროვნულ სიძლიერეს თუნდაც მხოლოდ ეს ასპექტიც ადასტურებს - იგი ვერ დათრგუნა მამის უზარმაზარმა ჩრდილმა!

რაც შეეხება მითის იმ ქვეტექსტს, თითქოს მზექალას გაიოლებული გზით უწევდა დასახულ მიზანთან მისვლა, მეცნიერის ბიოგრაფია საპირისპიროს გვიჩვენებს:

- მამის ნებით, ქალბატონი მზექალას განათლება ყველაზე რთული და საპასუხისმგებლო გზით წარიმართა - აღმოსავლეთმცოდნეობის, სემიტური ენების მიმართულებით. ეს იყო 1943-48 წლები. 1949-51 წლებში გაიარა მან ასპირანტურა ასევე ფრიად მომთხოვნი მეცნიერის - გიორგი წერეთლის - ხელმძღვანელობით და დისერტაციის თემაც არ ყოფილა იოლი იოლთა შორის: „ფარინგალური ბგერები ძველებრაულ ენაში“ (1951 წ.).

- საკანდიდატო დისერტაციის შემდეგ საკმაოდ დიდი დრო გავიდა (23 წელი), სანამ ქალბატონი მზექალა დოქტორის სამეცნიერო ხარისხს დაიცავდა, ახლა უკვე ქართველოლოგიაში.

ინტერესთა ეს ფართო დიაპაზონი და მათი მონაცვლეობაც უთუოდ დამოუკიდებელი ნებისა და ნიჭის გამოხატულება იყო...

- ალბათ, არც ის არის ჩვეულებრივი შემთხვევა, რომ დამფუძნებელი-მამის უნივერსიტეტში წარმატებული შვილი მხოლოდ სადოქტორო ხარისხის დაგვიანებული დაცვის შემდეგ კიდევ უფრო დაგვიანებით მიიღებს თსუ პროფესორის წოდებას. დღეს მართლაც მიჭირს იმის წარმოდგენა, რომ მაშინ, როდესაც ქალბატონი მზექალა ჩემს თაობას გვასწავლიდა (70-იანი წლები), იგი ჯერ კიდევ არ იყო პროფესორი!..

ახლა თქვენ განსაჯეთ მესამე მითის საფუძვლიანობის ხარისხი!

**მითი №4.** მთელი საქართველოს განსჯის უცვლელი საგანი იყო მითი მზექალა შანიძე-გამომცდელის შესახებ.

ნამდვილად არ ვიცი, რამდენად იშვიათად ნერდა იგი ცოდნაში „ფრიადს“, თუმცა ასეთი იმაზე ცოტა არ შემხვედრია, ვიდრე პირადად ჩემთვისაც იყო წარმოსადგენი. მაგრამ ფაქტია, რომ მზექალა შანიძეს მიენერებოდა ამ შინაარსის გამონათქვამი: „5“ აკაკი შანიძეს ეკუთვნის, „4“ – მე, დანარჩენებისთვის კი „3“-ც კარგი ნიშანიაო!”

რამდენადაც მე ვიცი, მაინცდამაინც არ უცდია ქალბატონ მზექალას ამ „ინფორმაციის“ გაბათილება, რაც მისავე სიბრძნეს მეტყველებს. მე კი თუნდაც ჩემი მაგალითით შემიძლია დავადასტურო, რომ იმდენად უსაყვედუროდ და დაუშმომებლად მივიღე სასურველი შეფასება, უკმაყოფილოც კი დავრჩი, რადგან ჩემი მიტანილი ცოდნის „ბარგი“ (ცხადია, არასაკმარისი) სანახევროდაც არ შეუმონებია.

ნდობის გამოხატვაშიც არ იზღუდავდა თავს...

**მითი №5.** ნურავინ იფიქრებს, რომ მისაღები გამოცდების კორუმპირებულიობის თემა ნაციონალების მიერ იყო მოგონილი. ეს მათ სუკის დაობებული არქივებიდან მიიღეს მემკვიდრეობით. ეს მითი საბჭოთა უშიშროებამ შექმნა იმისათვის, რათა ძნელად მოსახელთებელი საუნივერსიტეტო საზოგადოება მუდმივი ეჭვის ქვეშ ჰყოლოდა.

საბჭოური სისტემა მთლიანად კორუფციაზე იყო დაფუძნებული და, ცხადია, მისგან იზოლირებული ვერც უნივერსიტეტი იქნებოდა, მაგრამ ეს რომ ერთეულების პრობლემა იყო და არა სისტემური მოვლენა, ესეც კარგად ჩანდა; ის ერთეულები მშვენივრად ახერხებდნენ, ამავე დროს, უშიშროებისათვის სასარგებლო საქმეების კეთებას...

მართლაც უზარმაზარი გამოცდა იყო ყოველი მისაღები გამოცდები. ბენვის ხიდეზე გადიოდა უნივერსიტეტიც, მისი (ასეთი თუ ისეთი) ხელმძღვანელობაც, პროფესურაც. ყოველი წესიერი ადამიანის წასვლა გამოცდებზე მართლაც გაუმართლებელ რისკად, პირდაპირ დონკიხოტობად აღიქმებოდა. და ეს მართლაც ასე იყო; მხოლოდ განსაკუთრებულ ერთგულებას შეიძლებოდა გაემართლებინა ასეთი სარისკო ნაბიჯის გადადგმა...

უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა, ცხადია, საკუთარ მეთოდებს უპირისპირებდა ამგვარ სარისკო პერიოდს. მათ შორის ერთ-ერთი გონივრული ნაბიჯი იყო კომისიების თავმჯდომარეებად ისეთი ავტორიტეტის მქონეების შერჩევა, რომელნიც ორგანოების მხრივაც შეუვალნი იქნებოდნენ და ვერც ხალხი შეპბედავდა რაიმე სახის დახმარების თხოვნას.

ამისათვის, თუ დაიყოლიებდნენ, მზექალა შანიძის კანდიდატურა მართლაც იდეალური ვარიანტი იყო. ამ შემთხვევაში პროტექციის შანსიც ძალზე დაბალი იყო და მიკერძოებისაც. რაც მთავარია, გამომცდელიც დაცულად გრძნობდა თავს და გამოსაცდელიც, ხოლო საგამოცდო ამინდის ბარომეტრი საკმაოდ



სტაბილურ მდგომარეობას აჩვენებდა. პირადად მეც მაღლიერებით აღტყინდებოდა, რომ მისი თავმჯდომარეობის დროს საკმაოდ იმედიანად და ღირსებაშენარჩუნებულად ვგრძნობდით თავს...

მაგრამ ის მეორე ფანტომი – მზექალას სიმკაცრე და სისასტიკე აბიტურიენტთა შეფასების დროს მთელი ძალით იწყებდა მოქმედებას და ერთგვარად კომპენსაციას უკეთებდა წარუმატებლობას კორუფციის თემის გარშემო.

სხვათა შორის, მზექალას გამოცდების თავისუფალ ატმოსფეროს კარგად ასახავს ის მრავალფეროვანი კაფიებიც, რომლებიც მართლაც ღირსეულ პროფესურას ეკუთვნის და დღევანდელი გადასახედიდან დროის განსაკუთრებულ ნიშნად აღიქმება.

**მითი №6.** კიდევ ერთი ადვილდასაჯერებლად გამიზნული მითი იყო, თითქოსდა, მასთან ურთიერთობის სიძნელე და უპერსპექტივობა; თითქოს ახლოს ვერ გაეკარებოდი და თუ წყენას გულში ჩაიდებდა, ამ გულს ბოლომდე გაიყოლებდა.

ვისაც ქალბატონ მზექალასთან ცხოვრებისეული თუ პროფესიული ურთიერთობა ჰქონია, მხოლოდ ირონიით შეხედავს ამ მოჭორილს, რადგან იგი არც დიალოგს გაურბოდა ოდესმე და არც დროს მოიმიზეზებდა კოლეგისა თუ გარეშე პირის მოსასმენად, დასაკვლიანებლად...

არ ვიცი, რამდენად ტაქტიანად გამომივა, მაგრამ ერთი პირადი შემთხვევა უნდა გავამუღავნო. ქალბატონმა მზექალამ უნივერსიტეტში „ორიონი“ რომ დააფუძნა, საკანდიდატო დისერტაცია ორიოდე წლის დაცული მქონდა და ენათმეცნიერების ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერ-მუშაკი ვიყავი. დამიძახა და „ორიონში“ გადასვლა შემომთავაზა. ჩინებული პერსპექტივა იყო, მაგრამ უხერხულად მივიჩინე იმ ინსტიტუტიდან წასვლა, რომელმაც ჩემზე ამაგი გასწია (იგულისხმება – ასპირანტურის კურსი). გულისტკივილი არ დაუმაღლავს, მაგრამ ჩვეულებრივი სითბოთი დამემშვიდობა.

...მანამ დამდეგდა უხერხულობის განცდა და შიში იმისა, რომ ჩემი პროფესორის ყურადღებას უტაქტოდ მოვეკიდე, სანამ ერთხელ, საკმაოდ გვიან, თვითონ არ შეაფასა ჩემი მაშინდელი საქციელი – როგორც ერთ-ერთი მაგალითი ამაგის დაფასებისა.

ესეც მისი ღირსების სიმალლიდან...

\* \* \*

ძნელია გაექცე ამ კითხვას:

როგორ ასწრებენ რჩეული ადამიანები ამდენს, როცა არც აჩქარება იციან, არც ცხოვრების ნერვულ ტემპს მისდევენ, არც საზოგადოებას აკლდებიან?!..

ასეთი ტრადიციული სტაბილური რიტმით ცხოვრობს ქალბატონი მზექალა შანიძე – მრავალმხრივი სამეცნიერო, პედაგოგიური, საზოგადოებრივი საქმიანობით მუდმივად დატვირთული და ყოველი მოვალეობის გულდასმით შემსრულებელი...

არსებობს დროის სხვადასხვა კატეგორია: ასტრონომიული დრო, ფილოსოფიური დრო, ენობრივი დრო... უთუოდ არსებობს შემოქმედი ადამიანის, მეცნიერის დროც, რომელიც არც ერთ სხვა დროს არ ემთხვევა. მეცნიერის დრო თითქოს ჩერდება და არსთგამრიგეც დროდადრო თითქოს აჩერებს დროთა ჩვეულებრივ ათვლას, რათა მეცნიერს გაუადვილდეს ჭეშმარიტების მიკვლევა დროისა და სივრცის კოორდინატთა დაუსაზღვრელ სისტემაში...

ამიტომაც არ ბერდებათ მეცნიერები – ამ სიტყვის პირდაპირი შინაარსით – და არც მათი შემოქმედებითი ინტენსივობა იკლებს. აი, რატომ განასახიერებენ ჭეშმარიტი მეცნიერები დასანყისში მოხმობილ ილიასეულ მოწოდებას – „ღმერთმა არ დაგაბეროთ!“

...და ქალბატონი მზექალა კვლავაც ჩვეული ენერგიით წარმოადგენს მეცნიერების ხელოვნების შთამბეჭდავ გაკვეთილებს.

ამ ოპუსში არ დავგისახავს მიზნად ქალბატონი მზექალას მეცნიერული ღვაწლის წარმოჩენა, მაგრამ ამ ხელოვნების, ამ დიდოსტატობის აღნიშვნის გარეშე სათქმელს დასრულება თითქმის შეუძლებელია.

ერთ-ერთი ბოლო საჩვენებელი გაკვეთილი, ერთგვარი „მასტერკლასი“ ქალბატონი მზექალას შესრულებით – იყო სულ ახლახან, 2015 წლის 11 ნოემბერს; ამ დღეს მან საერთაშორისო ქართველოლოგიური კონგრესის სოლიდური წარმომადგენლობის გულწრფელი აღტაცება დაიმსახურა, როდესაც ლოკალურ სამეცნიერო სივრცეში ჭეშმარიტების ძიების მართლაც ფილიგრანული ტექნიკა წარმოაჩინა.

დაიხ, მას კვლავაც ჭაბუკური ხალისით შეუძლია გაიზიაროს სხვათა მეცნიერული მიგნების სიხარული და თვითონაც მიანიჭოს შინაურ თუ უცხოელ კოლეგებს სიახლეთა ძიებისა და დაძლევის მარადიული დღესასწაული.

\* \* \*

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის, რომ, ყველაფერთან ერთად, აკადემიკოსი მზექალა შანიძე მაღალი მოქალაქეობრივი ღირსებისა და პასუხისმგებლობის მატარებელი პიროვნებაა. მიუხედავად სამეცნიერო-აკადემიურ საქმეთაგან დიდი უცალობისა, იგი ყოველთვის აქტიურად იყო ჩართული სამოქალაქო ცხოვრებაში და თავისი პირდაპირი და მართალი პოზიციით მუდამ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ურთულესი საზოგადოებრივი პროცესების სასურველი მიმართულებით წარმართვისათვის ჩვენს ქვეყანაში. ამისი დასტურია მისი ხანგრძლივი აქტიური მოღვაწეობა საქართველოს ქალთა საბჭოში, საქართველოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში – უზენაეს საბჭოში და სხვ. უთუოდ ყველას ახსოვს, რაოდენ რთული და მგრძნობიარე იყო ის დრო, როდესაც დამოუკიდებელი საქართველოს პირველ პარლამენტში ქალბატონ მზექალას უწევდა თავისი სადეპუტატო მოვალეობის აღსრულება.

ესეც მემკვიდრეობაა...



ალბათ, დღეს ბევრმა არც იცის, რომ ჯერ კიდევ საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის გამოცხადებამდე შექმნილი „ქართული ეროვნული ჰიმნის“ ავტორი დიდი ქართველი მეცნიერი, აკადემიკოსი აკაკი შანიძეა. ეს ლექსი 1917 წლის 5 დეკემბრითაა დათარიღებული და მაშინ, ალბათ, მხოლოდ მოახლოებული სუნთქვა იგრძნობოდა ქვეყნის განთავისუფლებისა და ეს სუნთქვაც, ალბათ, უწინარეს იმ გულთამხილავთ ესმოდათ, რომელნიც ეროვნული უნივერსიტეტის დასაფუძნებლად ემზადებოდნენ.

აი, რა გაფრთხილებით იწყებდა ამ ვრცელ ისტორიულ ჰიმნს აკაკი შანიძე:

აბა, ფხიზლად ქართველებო, მივყვით მამა-პაპის კვალსა!  
წარსულს გრძნობით ვიგონებდეთ, ჩავუფიქრდეთ მომავალსა!  
ცალი თვალი პონტოსაკენ, ნუ ვაშორებთ გურგანს ცალსა!  
ყური ვუვადოთ გურჯი-ბოლახს და ნუ ვაღებთ დარიალსა!

კიდევ არაერთი საგულისხმო სიტყვა ითქმის ამ დიდებულ ჰიმნში... აქ მთავარია ის, რომ აკაკი შანიძე მონმე და აქტიური მონაწილე იყო საქართველოს დამოუკიდებლობის იმ ხანმოკლე პერიოდის დადგომისაც და მისი სავალალო დასასრულისაც.

სულ ცოტა, ოთხიოდე წელი დააკლდა, რომ იგი ქვეყნის კიდევ ერთ დამოუკიდებლობის ზეიმს მოსწრებოდა...

ამიტომაც, როდესაც 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს პარლამენტში ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე საზეიმო ვითარებაში ანერდნენ ხელს, ძნელი სათქმელია, იმ ხელმომწერთაგან ვის რა ფიქრი უტრიალებდა თავში, მაგრამ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქალბატონი მზექალა, თავისთავად ამაღლებული განწყობის გარდა, იმასაც ფიქრობდა, რომ თავის დიდ მამას, აკაკი შანიძესაც უსრულებდა მართლაც საუკუნოვან ოცნებას!..

დასასრულ უნდა ითქვას, რომ გამოჩენილი მკვლევარი კვლავაც აქტიურად არის ჩაბმული ქვეყნის მეცნიერულსა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მისი სამეცნიერო აქტივობის არცთუ უმნიშვნელო ნაწილი სწორედ მკვლევრის შემოქმედებითი ცხოვრების უახლეს პერიოდს ეკუთვნის. აკადემიკოსი მზექალა შანიძე ამითაც ამართლებს დიდი მამის გენეტიკურ მემკვიდრეობას – იგი კიდევ ერთხელ იძლევა არა მხოლოდ ასაკობრივი, არამედ მეცნიერული (ლინგვისტური) დღევრძელობის მაგალითს!..

როგორც ასეთი დღევრძელობის კიდევ ერთი ეტალონის – ნმ. გრიგოლ ხანცთელის ლოცვის სიტყვები ამბობს: „ლოცვითა ყოველთა წმიდათა შენთათა აკურთხენ მშობელნი შვილითურთ და შვილნი მშობელთა თანა... ღმერთო დიდებისაო, კურთხევაჲ საუკუნოჲ დაამკვიდრე ამათ შორის და უხვად მიანიჭე კეთილი ქუეყანისაჲ დღევრძელებსა შინა და კეთილი ზეცისაჲ დაუსრულებელი!“

მაია რაფაჰა

## XI საუკუნის ქართული ხელნაწერის უწყება პენტარქიის შესახებ

ძველი ქართული მწერლობის ძეგლების მეცნიერულ შესწავლას მრავალწლიანი ისტორია აქვს. მაგრამ ქართული ხელნაწერების კვლევა-ძიების ყოველ ეტაპზე ვლინდება ახალი ფაქტები, რომლებიც უაღრესად საინტერესოა როგორც ქართული, ისე მისი მომიჯნავე ქვეყნების კულტურულ-რელიგიური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ისტორიის თვალსაზრისით.

ერთ-ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხი, რომელმაც გადამწყვეტი მნიშვნელობა იქონია ქრისტიანული სამყაროს რელიგიურ ცხოვრებაში, უკავშირდება ქრისტიანულ დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის საეკლესიო განხეთქილების ფაქტს. მთელი შუა საუკუნეების მანძილზე დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის საეკლესიო დაპირისპირება იყო თოლოგთა და პოლიტიკოსთა ბჭობის, ურთიერთბრალდებებისა და თავის მართლების საგანი. შეიქმნა უამრავი ისტორიული, პოლემიკური, კანონმდებლობითი ლიტერატურა. ამ ლიტერატურის მოძიება და მეცნიერული შესწავლა დღევანდელ დღესაც ფრიად აქტუალურია, რადგან საეკლესიო სქიზმა მეცნიერთა შორის ცხოველი ინტერესით სარგებლობს და მრავალმხრივი განსჯის საგანია..

ქრისტიანულ დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის საეკლესიო განხეთქილების ანუ სქიზმის შესახებ არსებულ ბერძნულ-ლათინური წყაროების გვერდით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქართულ ნარატიულ და დოკუმენტურ წყაროებში დაცულ ცნობებს, რომლებიც გარკვეული ინფორმაციით ავსებენ ეკლესიათა განხეთქილების ისტორიას.

ერთ-ერთმა ასეთმა, ქართულ ხელნაწერებში დაცულმა, უწყებამ მიიქცია საეკლესიო სქიზმის საკითხით დაინტერესებულ უცხოელ მეცნიერთა ყურადღება. მკვლევართა მიერ განსხვავებული შეხედულებებია გამოთქმული იმასთან დაკავშირებით, თუ როდის დაიწყო დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიებს შორის ის განხეთქილება, რომელიც 1054 წელს სქიზმით დაგვირგვინდა. ბერძნულ ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით, ამასთანავე რამდენიმე ირიბი მონობის გათვალისწინებით, გერმანელი მეცნიერი ა. მიხელი ვარაუდობს, რომ ორ

საყდარს შორის განხეთქილება დაიწყო XI საუკუნის პირველ ათეულ წლებში. ორი სერგის – კონსტანტინეპოლის პატრიარქის სერგი II-ის (1001-1019 წწ.) და რომის პაპის სერგი IV-ის (1009-1012 წწ.) ზეობის წლებში. (Michel 1930: 18-40). ა. მიხელის თვალსაზრისი გაიზიარეს ს. რანსიმენმა (Рансимен 1998: 36-37) და ა. ბაიერნმა (Bayer 2002: 36-51).

განსხვავებულ აზრს ავითარებს რუსი მეცნიერი ა. ბარმინი. ბერძულ-ლათინური ისტორიული წყაროების, როგორც გამოქვეყნებული, ისე ხელნაწერების სახით მოღწეული დოკუმენტების მონაცემების ურთიერთშედარებისა და ანალიზის გზით იგი ცდილობს, დაამტკიცოს, რომ XI საუკუნის დასაწყისში ორ ეკლესიას შორის შედარებით მშვიდი დამოკიდებულება და თანხმობა არსებობდა. ბერძულ და ლათინურ იერარქიებს შორის საეკლესიო ურთიერთობის ნიშნად დასახელებულია პენტარქიის აღიარება ანუ დიპტიხებში რომის პაპის სახელის მოხსენიება. ორ საყდარს შორის კარგი ურთიერთობის არსებობის დასტურად მკვლევარი სხვა წყაროებთან ერთად ასახელებს XI საუკუნის ერთ ქართულ ხელნაწერს, რომლის ანდერძ-მინაწერში დაცულია უწყება პენტარქიის ანუ ხუთი საპატრიარქო საყდრის შესახებ (Бармин 2006: 109).

ხელნაწერი არის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის A კოლექციის N1 ნუსხა, რომელიც წარმოადგენს გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა ეფთვიმე მთანმიდლისეული თარგმანების შემცველ კრებულს. ხელნაწერში აღნიშნულია გადაწერის თარიღი – 1030 წელი (ბრეგაძე 1088: 62-70). სწორედ ამ თარიღმა მიიქცია უცხოელ მკვლევართა ყურადღება ეკლესიათა სქიზმის ისტორიის თვალსაზრისით. მათთვის ნიშანდობლივი ის ფაქტი აღმოჩნდა, რომ 1030 წლით დათარიღებულ ხელნაწერში მსოფლიოს პატრიარქთა გვერდით დასახელებულია რომის საყდარი და მისი პონტიფიკატი პაპი. ეს უწყება ამ მეცნიერთა შეხედულებით, იმის სასარგებლოდ მეტყველებს, რომ აღმოსავლეთის ეკლესიებს რომთან ურთიერთობა ამ პერიოდში განყვეტილი არა აქვთ.

პენტარქიასთან დაკავშირებული უწყება დაცულია ხელნაწერის ანდერძ-მინაწერში. იგი ასეთი შინაარსისაა: „დაიწერა წმიდა ესე წიგნი, სულთა და ბორცთა განმანათლებელი, ღმრთივდაცულსა ქალაქსა შინა კოსტანტინეპოლეს დასაბამითგანთა წელთა ბერძენთა სათუალავითა **ხელმ**, ინდიქტიონსა **იგ**, ქართველთა ქორონიკონსა **სნა**; საბერძენთს მეფობასა **რომანოზისა**, ღმერთმან განამრავლენ წმიდანი დღენი ღმრთისა მიერ მეფობისა მათისანი ყოველთა ქრისტიანეთათჳს, ქართლსა მთავრობასა **ბაგრატ ყრმისასა**, ჰრომსა პაპობასა **იოვანესსა**, კოსტანტინე[პოლეს] პატრიარქობასა **ალექსისა** და იმრუსალმსა – **ნიკიფორესსა** და ალექსანდრე[ა]ს – **გიორგისა** და ანტიოქიას – **ნიკოლოზისა**, ქართლსა – კათალიკოზობასა **მელქიზედეკისასა**, ყოვლად ყოველთა ზედა მეუფებასა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა, ამენ“.

როგორც ანდერძ-მინაწერიდან ჩანს, კონსტანტინეპოლის, იერუსალიმის, ალექსანდრიისა და ანტიოქიის პატრიარქებთან ერთად მოხსენებულია რომის

პაპიც, თანაც პრიორიტეტულ პირველ ადგილზე. ამრიგად, 1030 წლის ქართული ხელნაწერის მიხედვით, სახეზეა სრულყოფილი საეკლესიო პენტარქია.

ქართული ხელნაწერის უწყების უტყუარობა ეჭვის ქვეშ დააყენა ა. ბაიერმა, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ავითარებს იმ აზრს, რომ საეკლესიო განხეთქილება უკვე დაწყებული იყო XI საუკუნის დასაწყისში და ამ პერიოდში გამოირცხვლია დიპტიქებში რომის პაპის მოხსენიება. ამდენად, 1030 წლის ქართული ხელნაწერის უწყება პენტარქიის შესახებ მან არარეალურად ჩათვალა.

ა. ბაიერის ეჭვი განაპირობა იმ გარემოებამ, რომ აღნიშნული ანდერძ-მინაწერი A-1 ხელნაწერში დაკარგულია, რადგან ხელნაწერი თავ-ბოლო ნაკლულია. სამაგიეროდ, იგი შემონახულია A-16 ხელნაწერში, რომელიც წარმოადგენს A-1 ხელნაწერის ზუსტ ასლს. A-16 ხელნაწერი დათარიღებულია 1739 წლით. აღწერილობის მიხედვით, ხელნაწერი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი მოიცავს იმავე გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა ეფთვიმე მთაწმიდლისეულ თარგმანებს და მეორე ნაწილი კი – ეფრემ მცირის თარგმანებს. ორივე ნაწილში ჩართულია დავით ტბელის თითო-თითო თარგმანი (ბრეგაძე 1988: 114-124). ამჟამად ის არის საყურადღებო, რომ A-16 ხელნაწერში 281r-ზე დასტურდება A-1 ნუსხის ანდერძ-მინაწერი. ამ ანდერძში პენტარქიის შესახებ უწყების არსებობას ა.ბაიერი საეჭვოდ მიიჩნევს, რადგანაც ეს უწყება დაცულია მხოლოდ გვიანდელ ასლში, ანუ A-16 ხელნაწერში და რომელიც, როგორც ბაიერი ფიქრობს, შეიქმნა საქართველოში კათოლიკე მისიონერების საქმიანობის დროს და ეს უწყებაც მათი გავლენით უნდა აიხსნას (Bayer 2002: 50-51).

საპასუხოდ, სრული დამაჯერებლობით შეიძლება ითქვას, რომ ა. ბაიერის მხრივ 1030 წლის A-1 ხელნაწერის მიმართ გამოთქმული უნდობლობისთვის არავითარი საფუძველი არ არსებობს. A-1 და A-16 ნუსხების შედარება ნათლად ავლენს, რომ გვიანდელი ნუსხა სწორედ A-1-ის ასლია. A-16 ხელნაწერი (კერძოდ, მისი პირველი ნაწილი) რომ ნამდვილად A-1-დან არის გადაწერილი, ამაზე მიუთითებს A-16 -ის მთელი რიგი კოდიკოლოგიური ხასიათის მონაცემები. ეს მონაცემები დაწვრილებით არის აღნიშნული ამ ხელნაწერთა აღწერილობაში: 1) მინაწერები, რომლებიც დასტურდება A-1 ხელნაწერში, ანალოგიურ ადგილებში მეორდება A-16-ში; 2) A-16-ის მინაწერების დაზიანებული ადგილები, რომლებიც არ იკითხება, შესაძლებელია წავიკითხოთ A-1 ხელნაწერის მიხედვით; 3) A-16 ხელნაწერის პირველ ნაწილს აქვს თავისი საკუთარი რეგულაბრივი სავალავი (-ალგ), და როგორც მომგებლის ანდერძიდან ჩანს, იგი მღვდელ მახარობლის მიერ არის გადაწერილი 1729 წელს. 4) A-16 ხელნაწერის ამ ნაწილში არ არის გადმონერილი A-1 ხელნაწერზე დართული ზოგი ანდერძი, თუმცა მათ ადგილას დატოვებულია თავისუფალი ადგილები. 5) A-1-ის ზოგიერთი მინაწერისა და აღდგენილი ადგილების ხელი გავს A-16 ხელნაწერის მხედრულს (ბრეგაძე 1988: 62-70; 114-120).

კოდიკოლოგიურ თანხვედრებთან ერთად, A-16 ხელნაწერში დასტურდება ისეთი ფაქტობრივი უწყება, რომელიც თვალნათლივ ლაპარაკობს ამ ხელნაწე-

რის A 1-დან მომდინარეობის შესახებ. საქმე ის არის, რომ A-16 ხელნაწერში დასტურდება ამ ნუსხის გადამწერის, მღვდელ მახარობლის მინანერი, რომელიც იუნყება, რომ მას აღნიშნული ანდერძი გადმოტანილი აქვს კონსტანტინეპოლში დაწერილი ხელნაწერის ანდერძიდან: „ესე სიტყუანი [იგულისხმება ანდერძი] დედანსა ეწერა. ამისი დედანი სუმტიცხოვლისა იყო, კონსტანტინეპოლეს დაწერილი, ეტრატსა ზედა ეწერაჲ და დაძულებულ იყო, ვიდრეღაჲ ძლითლა ესცნობდით, ეგრეთ გარდასულ იყო“ (A-16, 282r). A-16 ხელნაწერის გადამწერის ეს მინანერი პირდაპირ ლაპარაკობს, რომ ჩვენთვის საინტერესო ანდერძი მას ნამდვილად კონსტანტინეპოლში დაწერილი ეტრატის დედნიდან გადაუწერია. ანდერძის გადწერა კი ტექსტისაგან დამოუკიდებლად არ მოხდებოდა. ცხადია, გადამწერ მახარობელს კონსტანტინეპოლის დედნიდან გადაუწერია მთელი A-16 ხელნაწერი, უფრო ზუსტად, მისი პირველი ნაწილი. ამდენად, ამ ერთი ფაქტიდანაც ვლინდება, რომ პენტარქიის შესახებ ანდერძის ავთენტურობის მიმართ უცხოელი მკვლევრის მიერ გამოთქმულ დეაქვებას არავითარი საფუძველი არ გააჩნია. ანდერძი აშკარად A-1 ხელნაწერის კუთვნილება იყო. ამდენად, მისი უწყებაც პენტარქიის შესახებ ეკუთვნის 1030-იან წლებს.

ამევე დროს უნდა შევნიშნოთ, რომ ანდერძი თავისი შინაარსით ზუსტად ასახავს XI საუკუნის დასაწყისის პერიოდს და სრულიად უცხოა XVIII საუკუნისათვის. ამაზე მეტყველებს ანდერძ-მინანერის ყოველი კომპონენტი:

1. წელთაღრიცხვის აღნიშვნა დასაბამითგანით, ბერძნული სათვალავით, ინდიკტიონით და ქართული ქორონიკონით სავსებით თანხვედრია და მიუთითებს 1030 წელზე.

2. ანდერძში მოხსენიებული ისტორიული პირები, სახელმწიფო და საეკლესიო ხელისუფალნი, ყველანი ერთი პერიოდის, XI საუკუნის დასაწყისის მოღვაწენი არიან: ბიზანტიის იმპერატორი რომანოზ არგვიროსი (1028-1034), იოანე, რომის პაპი (1024-1032), კონსტანტინეპოლის პატრიარქი ალექსი (1025-1043), იერუსალიმის პატრიარქი ნიკიფორე (1020-1048), ალექსანდრიის პატრიარქი გიორგი (1021-1052), ანტიოქიის პატრიარქი ნიკოლოზი (1024-1033), საქართველოს კათალიკოსი მელქისედეკი (1020-1033). ერთგვარ შეუსაბამობას ქმნის საქართველოს მეფე ბაგრატ IV-ის (1027-1072) დასახელება შემდეგნაირად: „ქართლსა მთავრობასა ბაგრატ ყრმისასა“. ანდერძის დაწერის დროისთვის (1030 წლისთვის) ბაგრატი ასაკით კი იყო ყრმა, იგი ტახტზე 1027 წელს 9 წლისა ავიდა), მაგრამ ის უკვე მეფე იყო და არა მთავარი.

3. ანდერძში ვაცხადებულობია, რომ ხელნაწერი დაიწერა კონსტანტინეპოლში. სრულიად წარმოუდგენელია, რომ 1739 წელს კონსტანტინეპოლში ეტრატზე გადაეწერათ ქართული ხელნაწერი. ისტორიული პერიპეტეების გამო კონსტანტინეპოლის ადგილი უკავია სტამბოლს. იგი თურქეთის დედაქალაქია და ამდენად, პოლიტიკურ-საზოგადოებრივი და კულტურულ-საგანმანათლებლო რეალობიდან გამომდინარე, გამორიცხულია, რომ ხელნაწერი, რომელსაც ეკუთვნის ანდერძი,

1739 წელს დაენერათ ყოფილ კონსტანტინეპოლში ანუ დღევანდელ სტამბოლში ასე რომ, ანდერძი ნამდვილად ეკუთვნის 1030 წლის A-1 ხელნაწერს.

ანდერძის უწყების უტყუარობასა და ეკლესიათა ურთიერთობების ისტორიისათვის მის მნიშვნელობას ბევრად ზრდის ხელნაწერ A-1-ს რაობა, მისი შედგენილობა, შექმნის გარემო, მომგებლისა და გადამწერის აღიარებული ავტორიტეტები. A-1 ხელნაწერი XI საუკუნის დასაწყისში კონსტანტინეპოლში ქართველთა ფართო მოღვაწეობის ამსახველი მნიშვნელოვანი ძეგლია. მისი გადამწერია სხვა ხელნაწერებითაც კარგად ცნობილი მნიშვნელოვანი ბასილი ეტრატაე და რაც მთავარია, ხელნაწერის მომგებელია კონსტანტინეპოლში მოღვაწე ცნობილი ქართველი მეცენატი ზაქარია მამამთავარი, ბანელი სვინგელოზი, იგივე ზაქარია ვალაშკერტელი. A-1 ხელნაწერის ცალკეული თხზულებების ბოლოში არსებულ გადამწერის ანდერძებში ყველგან მეორდება: „ქრისტე მეუფეო, ადიდე ზაქარია მამადმთავარი, ბანელი სვინგელოზი“. ზაქარია ბანელი XI საუკუნის დასაწყისის მნიშვნელოვანი ფიგურაა, რომელიც ჯერ ტაო-კლარჯეთში მოღვაწეობდა, ხოლო კონსტანტინეპოლში გადასახლების შემდეგ ბიზანტიის დედაქალაქში ეწეოდა ფართო კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას ქართული ხელნაწერების გადწერისა და გავრცელების, ხელნაწერების მოსახატავად სამხატვრო სახელოსნოების დაარსებისა და ზოგადად, ქართული კულტურის განვითარებისათვის ხელშეწყობის თვალსაზრისით (მეტრეველი 1996: 145-195). ზაქარია ვალაშკერტელის აქტიური როლი ბიზანტია-საქართველოს პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ურთიერთობის ისტორიაში და ბიზანტიაში ქართველთა კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობის ინტენსიურად წარმართვის საქმეში მრავალრიცხოვანი ნარატიული წყაროთი არის ცნობილი. სამეცნიერო ლიტერატურაში სათანადოდ არის შეფასებული ზაქარია ვალაშკერტელის პიროვნება და მისი მოღვაწეობის მნიშვნელობა XI საუკუნის დასაწყისის ქართული კულტურის განვითარების საქმეში.

A-1 ხელნაწერი ერთ-ერთი იმ ხელნაწერთაგანია, რომელიც კონსტანტინეპოლში მისი ინიციატივით გადაიწერა: გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა ეფთვიმე მთანმიდლისეული თარგმანების კრებული. კრებული გადწერილია ეფთვიმეს გარდაცვალების (1028 წ.) მომდევნო წელს, 1030 წელს, რაც მიუთითებს ზაქარია ბანელის დაინტერესებასა და სწრაფვაზე, გაეცვლებინა ეფთვიმე მთანმიდლის თარგმანები.

გადამწერისა და მომგებლის ბიზანტიურ კულტურულ ცხოვრებაში ჩართულობის დონე და მასშტაბები გარანტიაა იმისა, რომ მათ მიერ პენტარქიის აღიარებას შემთხვევითი ხასიათი არ აქვს. ხელნაწერის ანდერძ-მინაწერის უწყება პენტარქიის შესახებ შესაძლებელია ორი კუთხით შევაფასოთ: 1. როგორც იმ დროის აღმოსავლურ მართლმადიდებლურ სამყაროში დასავლეთის ეკლესიის მიმართ არსებული პოზიციისა და ზოგადი განწყობის არეკლვა. 2. როგორც ნმინდა ქართული მოვლენა, XI საუკუნის პირველ ნახევარში ივირონში, შავ მთასა და კონსტანტინეპოლის სამონასტრო-სამნიგნობრო ცენტრებში მოღვაწე

ქართველი ბერ-მონაზვნების, მწიგნობრების და ქართველ ხელისუფალთა მხრივ ლათინთა მიმართ გამოვლენილი ლოიალური დამოკიდებულების გამოხატულება.

ეს საკითხი, დიდი ხანია, იქცევა ქართული ეკლესიისა და სახელმწიფოებრივ-საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიის მკვლევართა ყურადღებას. გამოთქმულია მეტ-ნაკლებად განსხვავებული შეხედულებები. მკვლევართა ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ XI საუკუნეში ქართული ეკლესია და ამდენად სამონასტრო-სამწიგნობრო კერებში მოღვაწე ქართველი ბერ-მონაზვნები შედარებით ტოლერანტულად იყვნენ განწყობილი დასავლეთის ლათინების მიმართ (კეკელიძე 1980; მეტრეველი 1998; ხინთიბიძე 1999: 310-323; Martin-Hisard: 2006-2007; პატარიძე 2005: 28-35). უკანასკნელ წლებში იგივე აზრი განავითარა რუსმა მკვლევარმა ა. ბარმინმა. მისი შეხედულებით, *„გიორგი მთაწმიდელი კარგად იყო გათვითცნობიერებული 1050 წლების რელიგიურ დისკუსიებში და [ამ დისკუსიების დროს] რომაული ეკლესიის მხარეს იდგა“*. ბარმინისვე ცნობით, დაახლოებით მსგავსი აზრი ჰქონია განვითარებული ა. ბაიერს: *„გიორგის მხრივ ანტიოქიის საყდრისადმი დაქვემდებარების წინააღმდეგ წასვლა გაპირობებული იყო იმით, რომ პაპობასთან დაახლოების გზით იგი ცდილობდა შემდგომში თავიდან აეცილებინა ამგვარი ცდები“* (Бармин 2006: 220).

გიორგი მთაწმიდელის დასავლეთის ქრისტიანობასთან დამოკიდებულების შესახებ არსებობს განსხვავებული აზრები. ქართველები და მათ შორის გიორგი მთაწმიდელი სრულიად იზიარებდნენ აღმოსავლეთის მართლმადიდებელი ბერძნული ეკლესიის პოზიციას ლათინების მიმართ (მაჭარაშვილი 2014: 69-80). ამ კონტექსტში განსაკუთრებით ალტერნატიულად არის შეფასებული გიორგი მთაწმიდელის დამოკიდებულება ორ ეკლესიას შორის არსებული სადავო საკითხების მიმართ. ამ შეფასებების წყაროს, ძირითადად, გიორგი მთაწმიდელის „ცხოვრებაში“ გადმოცემული ცნობები წარმოადგენს. უპირველესად, განიხილება გიორგი მთაწმიდელის საუბრები ანტიოქიის პატრიარქებთან: პეტრე III-სა (1057-1059) და თეოდოსი III-სთან (1057-1059). ამ საუბრების თემატიკა ეხებოდა *„პირველად სარწმუნოებისათვის მართლისა და კანონთათვის საეკლესიოთა, და მერმე სულთა სარგებელისათვის, სათნოებათათვის და ვნებათა“* (გიორგი მცირე 1967: 148). მეცნიერთა შორის განსაკუთრებით აქტიური განხილვის ობიექტია გიორგი მთაწმიდელის საუბარი ზიზანტიის სამეფო კარზე იმპერატორ კონსტანტინე X-თან რომაელი და სომეხი დიდებულების დასწრებით. საუბარი წარიმართა ბერძენთა და რომაელთა შორის ლიტურგიკულ პრაქტიკაში არსებული განსხვავებების შესახებ. „ცხოვრების“ ამ კონტექსტის დეტალური განხილვისგან თავს შევიკავებ, რადგან იგი კარგად არის ცნობილი როგორც ქართველ, ისე უცხოელ მეცნიერთა შორის.<sup>1</sup> მოვიყვან მხოლოდ წმიდა გიორგის მიერ ნათქვამ შემაჯამებელ ფრაზას: *„არარაა არს ამას შინა განყოფილებაჲ, ოდეს სარწმუნოებაჲ მართალი იყოს“* (გიორგი მცირე 1967: 179). ეს ლოიალური შეფასება

<sup>1</sup> XIII საუკუნეში ითარგმნა ლათინურად და ბერძნულად. იხ., ხინთიბიძე 1999: 310-323.

რომაელთა სარწმუნოებისა იმ განაცხადთან ერთად, რომლითაც გიორგიმ რომაელთა მართლმადიდებლურ პოზიციას ეჭვის ქვეშ არ აყენებს, მაგრამ ორივე ეკლესიის მიერ „მართალი სარწმუნოების“ დაცვის იქით, ლიტურგიკულ წეს-განგებებში არსებულ განსხვავებებს იგი ძალზე შემწყნარებლურად აფასებს და არ თვლის მათ განხეთქილებისთვის საკმარის მიზეზად. სხვათა შორის, ეს აზრი დამაჯერებლად არის განვითარებული გ.მაჭარაშვილის მიერ (მაჭარაშვილი: 69-80). გიორგი მთაწმიდელის ამგვარ სარწმუნოებრივ-საღვთისმეტყველო შეხედულებებს ბევრი საერთო აქვს პეტრე ანტიოქიელ პატრიარქთან, რომელსაც, როგორც „ცხოვრებაში“ ვკითხულობთ, დიდი სიახლოვე ჰქონდა გიორგი მთაწმიდელთან (გიორგი მცირე 1967: 148-149). ცნობილია მთელ რიგ საკითხებზე პეტრე ანტიოქიელის ლოიალური დამოკიდებულება ლათინებთან, განსხვავებით მიქაელ კერულარიოს კონსტანტინეპოლელ პატრიარქისგან (1043-1058) (Бармин 2006: 202-204).

ათონსა და შავი მთაზე, ასევე კონსტანტინეპოლში მოღვაწე ქართველი მწიგნობრების საერთო პოზიციის გამოვლენად მესახება მე ქართული ხელნაწერის უწყება. ეს პოზიცია გამოიხატება პენტარქიის აღიარებაში: მსოფლიოს ოთხ პატრიარქთან (იერუსალიმის, ანტიოქიის, კონსტანტინეპოლის, ალექსანდრიის) ერთად აღიარებული იყო რომის პაპიც, დიპტიხებში მასაც მიეგებოდა პატივი.

ლოკალური შეფასების გარდა, გასათვალისწინებელია ბიზანტიურ სამყაროში დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის არსებული დაპირისპირების ის საყოველთაო პერიპეტეიები, რომელიც ხან მწვავედებოდა, ხან დროებით მიწვდებოდა. XI საუკუნის 30-იან წლებში, რამდენადაც ცნობილია, ეს პრობლემა საერთოდ არ ატარებდა მწვავე ხასიათს.

პენტარქიის აღიარების მხრივ A-I ხელნაწერის უწყება ერთადერთი არ არის იმდროინდელ ქართულ სინამდვილეში. „გიორგი მთაწმიდელის ცხოვრებაში“ ასევე გატარებულია აზრი, რომ ქრისტიანულ სამყაროში ხუთი მსოფლიო საყდარია. „ცხოვრებაში“ მოთხრობილია ეპიზოდი, როცა შავ მთაზე ყოფნისას გიორგი ხვდება ანტიოქიის პატრიარქს, თევდოსი III-ს. ეს უკანასკნელი მას უცხადებს, რომ ქართული ეკლესია ანტიოქიის საყდრის გამგებლობაში უნდა იმყოფებოდეს და ამის შესახებ მან, გიორგიმ, უნდა აცნობოს მეფე ბაგრატ IV-ს. პატრიარქი განაცხადობს: „უკუეთუ მიუნერო და აუნყო, უმჯობესი. ხოლო უკუეთუ არა იხმინოს, მიუნერო ოთხთავე პატრიარქთა, საყდრისმოდგამთა ჩუენთა და ვაუნყო თვთრჩულობა და ქედფიცხელობა ნათესავისა თქუენისა“ (გიორგი მცირე 1967: 153). აღნიშნულ კონტექსტში თევდოსი ასახელებს ოთხ პატრიარქს, ოთხს, რადგან თვითონ თევდოსი არის მეხუთე პატრიარქი. ამრიგად, „ცხოვრებაში“ ავტორი გიორგი მცირე პატრიარქის პირით აცხადებს, რომ ქრისტიანულ სამყაროში ხუთი საპატრიარქო საყდარია. ასე რომ, ქართული მწერლობის უნიკალურ ძეგლში, როგორცაა „გიორგი მთაწმიდელის ცხოვრება“, აღიარებულია პენტარქია.

კიდევ ერთი ძეგლი, რომელიც XI საუკუნის საქართველოში არსებულ რელიგიურ-მსოფლმხედველობრივ კონტექსტში აღიარებს პენტარქიას, არის XII საუ-

კუნის ანონიმი ავტორის პოლემიკური თხზულება „სიტყვისგება ბერისა ცხოველისა გრძელისა სოსთენის მიმართ, სომეხთა მოძღურისა“. ძველში მოთხრობილია XI საუკუნის შუა წლებში ჩატარებული კრების შესახებ. 1046 წელს ბაგრატ IV-ის მიერ მოწვეულ ღრტილას კრებაზე ქართველი ბერი ეფთვიმე გრძელი ასე მიმართავს მასთან პაექრობაში ჩართულ სომეხ მოძღვარს, სოსთენს: „მე უკუე პირველად მოვალ წმიდით ქალაქით იერუსალიმით, აღსადგომელთა უფლისათა, საყდრით წმიდისა იაკობ მოციქულისა, ძმისა უფლისა; და მიერ ანტიოქიით და შრომით საყდრით წმიდისა პეტრე მოციქულთა თავისათ; და მერმე – ალექსანდრიით საყდრით წმიდისა მარკოზ მახარებელისათ; და მერმე – კონსტანტინეპოლით და საყდრით წმიდისა იოანე მახარებელისათ. ამით საყდართა საპატრიარქოთაგან მოვალ, და წმიდათა ექუსთა კრებათა მართალი აღსარება მომიღებებს და მტკიცე და ჭეშმარიტი სარწმუნოება მისწავის და ან მოვსრულ ვარ, რაჟთა ვამხილო ბოროტად-მადიდებლობასა თქუენსა. ხოლო შენ ვინამ ოხუალ, არა უწყი, არგანათ და მარმაშენით მოხუალა? და მოვაქუს წვალება ნესტორისი და სევეროზისი და პეტროზ მკანწვალისა“ (საბინინი 1882: 157). მკაცრი მხილების ტონით გაკეთებულ განცხადებაში ქართველი ბერი ასახელებს ხუთ საპატრიარქო საყდარს: იერუსალიმის, ანტიოქიის, რომის, ალექსანდრიის და კონსტანტინეპოლის საყდრებს.

საყურადღებოა, რომ ეფთვიმე გრძელის პოლემიკის ამ პასაჟს გარკვეული ანალოგია აქვს ცნობილი ბიზანტიელი მწერლისა და თეოლოგის, ნიკიტა სტითათის (XI ს.) ერთ პოლემიკურ თხზულებასთან. ეს არის სომხური მონოფიზიტობის წინააღმდეგ მიმართული მეორე ტრაქტატი, რომლის სათაურია „მისივე დასამწობელად მგომობისა წვალებისა სომეხთასა განსაქიქებელი მეორე“ (დოგმატიკონი 2013: 229-245).

საერთო, რაც ეფთვიმე გრძელის სიტყვისგებას და ნიკიტა სტითათის ტრაქტატს შორის დასტურდება, შემდეგია: 1. ნიკიტა სტითათის შრომაში იქ, სადაც საუბარია უფლის მიერ მსოფლიო საყდრების ეპისკოპოსების ხელთდასმის შესახებ, ეკლესიები იმ რიგით არის დასახელებული, როგორც ეს არის ეფთვიმე გრძელის „სიტყვისგებაში“: „პირველსა ეკლესიასა ყოვლისა სოფლისასა, ვიტყვ უკუე იერუსალიმისასა.. მეორესა შინა მსოფლიოსა ეკლესიასა, ვიტყვ უკუე ანტიოქიისასა, მესამედ... მსოფლიოსა ეკლესიასა შრომისასა ვიტყვ... მეოთხედ მსოფლიოსა ეკლესიასა ალექსანდრიელთასა... მეხუთედ... დიდსა ეკლესიასა ყოვლისა სოფლისასა ბიზინტიისასა“ (დოგმატიკონი 2013: 239). ნიკიტას შრომის მეორე ადგილას კი რიგი შეცვლილია, პრიორიტეტულ პირველ ადგილას დასახელებულია რომის საყდარი. ავტორი ასე მიმართავს სომეხ მონოფიზიტებს:

„რომლისა ეპისკოპოსისა ანუ ეკლესიისანი ხართ, გვითხართ ჩუენ: **შრომაელთა მსანი, ანუ ალექსანდრიელთა მსანი, იერუსალემელთა, ანუ ანტიოქელთა მსანი, გინა კონსტანტინეპოლელთა მსანი** მსოფლიოთა და სამოციქულოთა საყდართანი?“ (დოგმატიკონი 2013: 241).

2. ორივე პოლემისტის (ეფთვიმე გრძელისა და ნიკიტა სტითათის) პოლემიკის სტილი ერთნაირია. მსოფლიო საყდრების დასახელების შემდეგ ორივე

ავტორი შეკითხვის სახით მიმართავს მოწინააღმდეგე მხარეს. ეფთვიმე: „ბოლო შენ ვინაა მოხუალ, არა უწყი, არგანათ და მარმაშენით მოხუალა?“, სტითატი: „რომლისა ეპისკოპოსისა ანუ ეკლესიისანი ხართ, გვითხართ ჩუენ. არცა ერთისა ამათ ეკლესიათავანისა იპობით თქუენ თანამონამედ“ (დოგმატიკონი 2013: 97).

პენტარქიასთან დაკავშირებული პასაჟების მსგავსების საფუძველზე გამოირიცხული არაა, რომ ეფთვიმე გრძელის პაექრობის ქართველი ავტორი იცნობდა ნიკიტა სტითატის თხზულებას ან ორიგინალით, ან არსენ იყალთოელის თარგმანით.

ზემოთ დასახელებული სამი ძეგლის (A-1 ხელნაწერის ანდერძ-მინაწერი, „გიორგი მთაწმიდელის ცხოვრება“ და „სიტყვსებაჲ ბერისა ეფთვიმე გრძელისა“) მიხედვით ქრისტიანული სამყარო ხუთი საპატრიარქო საყდრით არის წარმოდგენილი. ქართულ წყაროებში არ არის ასახული რომის პაპთან დაპირისპირების ის მწვავე პოლიტიკა, რასაც ბიზანტიის საეკლესიო სარწმუნოებრივ ცხოვრებაში ატარებდა კონსტანტინეპოლის პატრიარქი მიქაელ კერულარიოსი და რასაც მოჰყვა 1054 წლის სქიზმა. XI საუკუნის ქართული წერილობითი წყაროების მიხედვით, რომელთა მხოლოდ სამი ნიმუში წარმოვადგინეთ, შეიძლება ითქვას, რომ ქართული ეკლესია დაინტერესებული იყო ეკლესიათა ერთიანობის იდეით და გარკვეული ლიტურგიკული განსხვავების მიუხედავად, ქრისტეს ერთიან სხეულად მოიაზრებდა ხუთ საპატრიარქო საყდარს.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. **ბრეგაძე 1988:** გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ხელნაწერები აღწერა, შესავალი და საძიებლები დაურთო თამარ ბრეგაძემ, თბ., 1988.
2. **გიორგი მცირე:** გიორგი მცირე, ცხოვრება გიორგი მთაწმიდელისაჲ, ძველი ქართული აგიოგრაფიული ძეგლები, II, თბ., 1967.
3. **დოგმატიკონი 2013:** დოგმატიკონი, II, ნიკიტა სტითატი, რედ. დ. მელიქიშვილი, თბ., 2013.
4. **კეკელიძე 1980:** კეკელიძე კ., ძველია ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1980.
5. **მაჭარაშვილი:** მაჭარაშვილი გ., დიდი სქიზმა და საქართველო, დისერტაცია ისტორიის დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 2014.
6. **მეტრეველი 1996:** მეტრეველი ელ., ნარკვევები ათონის კულტურულ-საგანმანათლებლო კერის ისტორიიდან, თბ., 1996.
7. **მეტრეველი 1998:** მეტრეველი ელ., ათონის ქართველთა მონასტრის საალაპე წიგნი, თბ., 1998.
8. **პატარიძე 2005:** პატარიძე ლ., 1054 წლის განხეთქილება და საქართველო, ჟურნ. „დიალოგი“, N1/2, 2005.

9. **საბინინი 1882:** საქართველოს სამოთხე, სრული აღწერაი ლუანთა და ვიწრობა საქართველოს წმიდათა, შედგენილი გობრონ (მიხაილ) საბინინის (საბინაშვილი) მიერ, ტფილისი, 1882.
10. **გიორგი მცირე 1967:** გიორგი მცირე, ცხოვრება და მოქალაქეობა გიორგი მთაწმიდელისა, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, თბ., 1967.
11. **ხინთიბიძე 1999:** ელგუჯა ხინთიბიძე, ქართული აგიოგრაფიული ტექსტის XIII საუკუნის ბერძნული და ლათინური თარგმანი, კრებული ANAΘΕΣΙΣ, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, თბ., 1999.
12. **Bayer 2002:** Bayer A., Spaltung der Christenheit, Köln, 2002.
13. **Martin-Hisard 2006-2007:** Bernadette Martin-Hisard; La vie de Georges I<sup>r</sup> Hagiorite, Introduction, traduction du texte Géorgien, notes et éclaircisse), Revue des études Byzantines, 64-65, 2006-2007 .
14. **Michel 1930:** Michel A., Humbert und Kerullarios, Quellen und studien zum Schisma des XI Jahrhunderts, t. II, Paderborn, 1930.
15. **Бармин 2006:** Бармин А., Polemika и схизма. История греко-латинских споров IX-XI веков, Москва, 2006.
16. **Рансимен 1998:** Рансимен С., Восточная схизма. Византийская теократия, Москва, 1998.

**Maia Raphava**

## ON THE PENTARCHY ACCORDING TO THE MANUSCRIPT DATED TO THE 11<sup>TH</sup> CENTURY.

### SUMMARY

The National Centre of Manuscripts houses a collection of Euthymius the Athonite's translations of Gregory of Naziansus sermons (MS A-1, dated to 1030). The manuscript contains the scribe's colophon regarding pentarchy.

This note arose interest among the scholars who have been working on the subject such as the split of churches (Bayer, Barmin). The scholars considered this note doubtful, because, in fact, the manuscript did not have the above-mentioned colophon. It was found in MS A-16 (dated 1739), which is a copy of the MS A-1.

Based on the different codicological features we assume that the note about pentarchy belongs to the manuscript dated to the 11<sup>th</sup> century.

There are other two records written in the hagiographical collections dated to the 11<sup>th</sup> century: 1) "The Life of George the Athonite" by Giorgi Mtsire and 2) A debate between Euthymius Grdzeli and Armenian father Sosthenes.

Based on these writings we assume that the Georgian church was interested in the idea of the unity of the churches in the world in the 11<sup>th</sup> century.

## თამარ ოთხმაზური

### ეფრემ მცირის ავტოგრაფული ნუსხის – S-1276-ის – დათარიღებისათვის

კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კოლექციაში დაცული ჰომილექტიკურ-აგიოგრაფიული კრებული S-1276 სამეცნიერო ლიტერატურაში კარგად ცნობილი ხელნაწერია. ის არაერთხელ არის დამონმებული კორნელი კეკელიძის მიერ „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის“ I ტომსა და „ეტიუდების“ V ტომში („უცხო ავტორები“).

ხელნაწერს სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა ელენე მეტრეველმა (მეტრეველი 2007: 109-126).<sup>1</sup> კრებულის პირველ ნაწილში (1-115 ფფ.), რომელშიც ჰომილექტიკური თხზულებებია წარმოდგენილი,<sup>2</sup> მკვლევარი გამოჰყოფს ოთხ ხელნერას, რომელთაგან მე-3 (72r-80v, 99r-106v, 111r-115r) და, შესაძლოა, პირველი (1r-24r, 81r-99r) შავი მთის ცნობილ მთარგმნელსა და მნიგნობარს, ეფრემ მცირეს უნდა ეკუთვნოდეს. ეფრემის მიერვე უნდა იყოს შესრულებული კრებულის ამ ნაწილში დადასტურებული ანდერძები და მარგინალური შენიშვნები (9v, 32r, 56r). ელენე მეტრეველის დაკვირვებით, კრებულის ცამეტი საკითხავიდან თორმეტი ეფრემისეულ თარგმანს წარმოადგენს. მისი აზრით, საკუთარი შრომების თავმოყრის მიზნით, ეფრემს ერთ კრებულში გაუერთიანებია თავისი თარგმანები და გარკვეული რედაქციული სამუშაოც ჩაუტარებია, ხელნაწერში აშკარად შეინიშნება სწორების კვალი. მკვლევრის ვარაუდით, ეს სამუშაო ეფრემს XI საუკუნის მიწურულს უნდა შეესრულებინა (მეტრეველი 2007: 125)<sup>3</sup>. ცხადია, თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც S-1276-ის დიდი ნაწილი ეფრემისეულ ავტოგრაფს წარმოადგენს, განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენს ამ ხელნაწერს ეფრემისეული თარგმანებისა თუ ზოგადად, შავი მთის მნიგნობრული სკოლის კვლევაში.

S-1276-ის დათარიღების საკითხს ეხება ედიშერ ჭელიძე ნაშრომში „წმ. ეფრემ მცირე, უწყება მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა, თუ რომელთა წიგნ-

<sup>1</sup> გადმოზეჭდილია: მეტრეველი 1959: 115-125.

<sup>2</sup> ხელნაწერის მეორე ნაწილი (117-290 ფფ.) პირველი ნაწილისაგან დამოუკიდებელ, აგიოგრაფიული თხზულებების შემცველ კრებულს წარმოადგენს.

<sup>3</sup> ხელნაწერის გვიანდელი ისტორიული ხასიათის მინაწერების შესახებ იხ. ჯოჯუა 1915: 216-285

თა შინა მოიჯენების" (ჭელიძე 2014: 25-26). მისი აზრითაც, კრებულშია მოცემული კუნის ბოლოს ჩანს შედგენილი, რადგან მასში შემავალი ერთ-ერთი თხზულება, სოფრონ იერუსალიმელის „სიტყუა შესხმისა დიდისა გრიგოლ ღმრთისმეტყუელისა“ (107v-115r), რომელიც სწორედ ეფრემის ხელით ჩანს შესრულებული, ეფრემის მიერ ნათარგმნი უნდა იყოს მისი მთარგმნელობითი მოღვაწეობის ბოლო პერიოდში, XI საუკუნის მიწურულში. როგორც ცნობილია, ამ დროისათვის უკვე საბოლოოდ არის ჩამოყალიბებული ეფრემის, როგორც ელინოფილი მნიგნობრის, მთარგმნელობითი კონცეფცია, რაც ბერძნულთან მაქსიმალურად დაახლოებული, სიტყვასიტყვითი, ფორმალური ეკვივალენტობის თარგმანების შექმნასა და განსაკუთრებულ ტერმინოლოგიურ სიზუსტეს გულისხმობს. ედიშერ ჭელიძის აზრით, სოფრონ იერუსალიმელის თხზულების ეფრემისეული თარგმანის გვიანდლობას მოწმობს მასში კომპოზიტიური სტრუქტურის მქონე ტერმინების არსებობა, რომელთა შემადგენელი ნაწილები ხელნაწერში რკალით არის გადაბმული „მათი ერთცნებითობის წარმოსაჩენად“, რაც მთარგმნელისაგან უნდა მომდინარეობდეს (ჭელიძე 2014: 26).

შენიშნავთ, რომ კომპოზიტის ერთ მთლიანობაში წარმოსადგენად რკალთან (,) ერთად S-1276-ში, ასევე, დასტურდება ასოს მოკვეცის ნიშანი (') და მახვილი ("). ეს ნიშნები ნამდვილად ეფრემის მიერ რომ არის შეტანილი ხელნაწერში, ამას მოწმობს გრიგოლ ღვთისმეტყველის 16 ლიტურგიკული საკითხავის ეფრემ მცირისეული თარგმანების კრებულებში დაცული ეფრემისეული სქოლიო (*შეისწავე*) სიტყვათა *შედგმის* – კომპოზიტად ქცევისა და *შედგმის* ნიშანთა შესახებ. ამ სქოლიოში თეორიულად არის ჩამოყალიბებული სიტყვათა კომპოზიტად ქცევის (*შედგმის*) ის წესი, რომელიც პრაქტიკულად არის განხორციელებული S-1276-ში.<sup>4</sup> სქოლიოს მიხედვით, სიტყვათა *შედგმის ჯელოვნება* ტექსტში კომპოზიტის შემდეგი ნიშნებით წარმოდგენას გულისხმობს: ორი სიტყვის შემაერთებელი რკალი *სენებმა* (,) ასოს მოკვეცის ნიშანი *იოტა* (') და მახვილი (") – *ოქსია*. ეფრემის სქოლიოში განხილულია სიტყვათა *შედგმის* ორი სახე: (1) კომპოზიტის პირველ კომპონენტს (*შენადგამს*) ბოლო ხმოვნის მოკვეცის ნიშნად ზევით უზის *იოტა*, ხოლო ქვეშ – შემაერთებელი ნიშანი, *სენებმა*; (2) როდესაც ხმოვნის მოკვეცა არ ხდება, კომპოზიტის შემადგენელი კომპონენტები *იოტას* გარეშე, *სენებმით* უკავშირდება ერთმანეთს.

ეფრემის თარგმანების შემცველ XI-XII საუკუნეების ხელნაწერებში სიტყვათა შედგმის ეს წესი მეტ-ნაკლები თანამიმდევრულობით არის გატარებული.<sup>5</sup>

<sup>4</sup> Cods.: Jer. iber. 15, 22v, Jer. iber. 43, 24r (შემოკლებული ვერსია), Jer. iber. 13, 300v-301r.: Inc. ესე ჯელოვნება სხუათაცა აღწერილთა შინა ... des. ... და ესე არს ნიშანთათს, იხ. ოთხმეზური 2011: 150-165.

<sup>5</sup> ეფრემ მცირეს *სიტყვათა შედგმის* ხერხისათვის ყველაზე ხშირად მიუმატავს გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებების თარგმნისას (იხ. Jer. iber. 13, Jer. iber. 15, Jer. iber. 43, -109). ეს ნიშნები დასტურდება ასევე შემდეგ ხელნაწერებში: A-162 (XI ს., მეტაფრასული კრებული, შეიცავს ეფრემ მცირის თარგმანებს), S-384 (XI-XII

მარგინალურ შენიშვნაში განხილული ნიშნები და მათი აღმნიშვნელი ტერმინები ბერძნულიდან მომდინარეობს და კავშირშია ბერძნულ დიაკრიტიკულ ნიშანთა სისტემასთან; ბერძნულ ხელნაწერებში ისინი ძირითადად იმ ფუნქციებს ასრულებენ, რასაც ეფრემისეულ ხელნაწერებში.

ედმურ ჭელიძე, ასევე, ყურადღებას ამახვილებს ბერძნულის ანალოგიით შექმნილ „ურთულეს ტერმინთაერთობებსა და მიმღებურ კონსტრუქციებზე“, ასევე, ეფრემისეულ თარგმანში *ერთარსების* ნაცვლად ყოვლადმწინდა სამების მიმართ ზოგად კონტექსტში დადასტურებულ ტერმინზე *თანაარსი*, რაც ეფრემ მცირის საღვთისმეტყველო მოღვაწეობის უგვიანეს პერიოდს უნდა გულისხმობდეს (ჭელიძე 2014; რაფავა 1973: 110-126). აქვე შევნიშნავთ, რომ ტერმინოლოგიური ანალიზის საფუძველზე მკვლევარი ამავე პერიოდს მიაკუთვნებს გრიგოლ ღვთისმეტყველის ლიტურგიკული საკითხავების კრებულის ეფრემისეულ თარგმანსაც.<sup>6</sup>

ეფრემისეული ავტოგრაფის დათარიღებისათვის საყურადღებო, უფრო დაზუსტებულ ინფორმაციას იძლევა S-1276-ში დადასტურებული მარგინალური შენიშვნა (*შეისნავე*), რომელიც წარმოდგენილია პირველი ხელით შესრულებულ ნაწილში – 9რ-ზე, შესრულებულია მე-3, ანუ ეფრემის ხელით (სურ. 1).

შენიშვნა ახლავს იოანე დამასკელის თხზულების – „სიტყუაჲ სატფურებისათჳს იორუსალემისა და ამალღებისათჳს პატიოსნისა და ცხოველსმყოფელისა ჯუარისა“ (CPG 8095) – შემდეგ პასაჟს:

– სამ დღე მას იონას ნაწლევთა შინა მწეცისათა არა ველსა ზედა დამაცვენებელ ექმნა თმათა თხემისა მისისათა, არამედ მრთელად და უგეშოდ და უბინოდ აღმოიყვანა იგი მთხრებლთაგან ზღვსათა და ნაწლევთა ვეშაპისათა (9რ).

პასაჟში მოხსენიებულია ბიბლიური იონა, რომელმაც სამი დღე დაყო ვეშაპის მუცელში და შემდეგ, ღვთის შეწევნით, უვნებლად ამოვიდა იქიდან (*Ion.* 2, 1). მარგინალური შენიშვნა განმარტავს ამ პასაჟის ერთ ფრაზას – „არა ველსა ზედა დამაცვენებელ ექმნა თმათა თხემისა მისისათა“:

შეისნავე, რამეთუ სიტყუაჲ ესე, ვითარმედ „არა ველსა ზედა დამაცვენებელ ექმნა თმათა თხემისა მისისათა“ საწარმართოთა წიგნისაგან არს, რომელსა „ლუკოფრონ“ უწოდიან. რამეთუ ლუკოფრონ ვინმე წარმართი შეასხამს ახოვანებათა ღმრთისა მათისა ირაკლისთა, ვითარმედ მახვლითურთ თჳსით შთაჴდა ბრძოლად მუცელსა დიდისა რაჲსმე ვეშაპისასა და ესოდენ განგრძობილად შჭრიდა შიგანსა მისსა, ვიდრემდის რაჲსმე მოკლა იგი, თმანი თხემისა ირაკლისნი შემწუველობისაგან ვეშაპისა ნაწლევთაჲსა მუნვე ველსა ზედა მუცლისა მის ვეშაპისასა დაცვენებულ იქმნეს. რამეთუ ესოდენ დიდად იტყჳან იგინი ვეშაპთა მათ ეგევითართა, ვიდრელა ველთა და წნარცუთა აზმნობენ ყოფად მათ შინა.

სს., შეიცავს ეფრემ მცირის თარგმანებს), Q-1158 (XI ს., სამოციქულოს კომენტარი, ეფრემ მცირის თარგმანი) და სხვ., იხ. ოთხმეზური 1992: 105-117.

<sup>6</sup> ეფრემ მცირის მთარგმნელობითი მოღვაწეობის პერიოდიზაციის შესახებ იხ. ჭელიძე 1996: 545-559.

ვინაიდან დიდი დამასკელი იოვანე ყუედრებით იტყვს წარმართთა, ვითარმედ არა ვითარ თქუენ ზღაპრობთ ირაკლისთჳს, არამედ იონა მრთელად და უნაკლულოდ გამოიყვანა ქრისტემან სიღრმეთაგან ზღვსა და ვეშაპისა.

ესე სიტყუაჲ ბერძულად ესოდენ ძნელი იყო, ვიდრემდის თანანარვლნა უსახელოვნესნი ანტიოქიისა ფილოსოფოსნი და თვთ წმიდისა პატრიარქისა იოვანეს მიერ განგუემარტა ჩუენცა და მათცა. იოვანეს ვიტყვ ახლად ოქროპირად გამოჩინებულსა და ძუელისა მის მიხუეჭლსა (sic), წმიდათა მიერვე მაშინ მიხუეჭელითა სამუყოფოთ კუალად უკმოზღულსა, რომლისა დღენი გრძელ და მოქალაქობაჲ წმიდათ მობაძავ, რაათა ნეტარებაჲცა მათ თანა იყო.

სქოლიოში ცხადი, ლოგიკური მსჯელობაა წარმოდგენილი. თავდაპირველად დასახელებულია განსამარტავი ფრაზის – *არა ველსა ზედა დამაცვენებელ ექმნათათა თხემისა მისისათა* – წყარო; შემდეგ, წყაროზე დაყრდნობით, გადმოცემულია იმ მითის შინაარსი, რომელსაც უკავშირდება განსამარტავი ფრაზა; ახსნილია ამ ფრაზისა და მთლიანად პასაჟის მხატვრული დატვირთვა დამასკელთან, დაბოლოს, დასახელებულია პიროვნება, რომელმაც ეფრემს განუმარტა ეს ბუნდოვანი პასაჟი.

სქოლიოში გადმოცემულია ანტიკური მითოლოგიური გმირის, ჰერაკლეს მეცხრე გმირობის ერთ-ერთი ეპიზოდის უიშვიათესი ვარიანტი – ჰერაკლეს ჩასვლა უზარმაზარი ვეშაპის მუცელში მეფე ლეომადონის ასულის გადასარჩენად, ხმლით ვეშაპის მუცლის შიგთავსის დაჩეხვა და ნაწლავთა სიმზურვალისაგან ჰერაკლეს თმების გაცვენა. მითის ეს ვარიანტი ანტიკურ წყაროებში დასტურდება მხოლოდ ერთგან და უშუალოდ უკავშირდება მარგინალურ განმარტებაში მოხსენიებულ ძვ. წ. III საუკუნის ბერძენ ავტორს, ლიკოფრონს, ალექსანდრიელ პოეტსა და გრამატიკოსს, ავტორს პოემისა „ალექსანდრა“, რომელშიც მოთხრობილია ტროას დაცემისა და ბერძენი გმირების სამშობლოში დაბრუნების ამბავი. პოემა გამოირჩევა თავისი რთული მხატვრული სახეებით, იშვიათი მითოსური პერსონაჟებითა და სიუჟეტებით. „ალექსანდრას“, რომელიც მნიგნობართა განსაზღვრული წრისათვის იყო განკუთვნილი, უკვე ანტიკურ სამყაროში გამოუჩინდნენ კომენტატორები, რომელთა შორის გამოირჩევა ძვ. წ. I საუკუნის გრამატიკოსი თეონი. მას ეკუთვნის ამ პოემის საკმაოდ ვრცელი და დეტალური სქოლიოები. სწორედ ამ სქოლიოებში დასტურდება ვეშაპის მუცელში ჩაშვებისა და თმის გაცვენის ეპიზოდი ჰერაკლეს გმირობათა ციკლიდან (*Schol. Lycophr. 33*). ამგვარად, საფიქრელია, რომ დამასკელის თხზულების სქოლიოში დასახელებული წყარო – სანარმართო ნიგნი „ლკოფრონი“ – წარმოადგენდა ლიკოფრონის „ალექსანდრას“ სქოლიოებიან კრებულს.

ამომწურავი და დეტალურია ამ წყაროს მიხედვით ფრაზის განმარტება და მისი ფუნქციის განსაზღვრა იოანე დამასკელთან. დამასკელის ზემოთ მოყვანილ პასაჟს ტექსტში მხატვრული დატვირთვა აქვს; ეს არის ანტითეზა – დაპირისპი-

რებულია ბიბლიური იონა და ანტიკური გმირი ჰერაკლე, რომელზეც ტექსტში მხოლოდ მინიშნებაა გაკეთებული. საზოგადოდ, ანტიკური მითოლოგია წმინდა მამათა ნაშრომებში უმეტესწილად მხატვრული ფუნქციით არის ხოლმე გამოყენებული.<sup>7</sup> ასე რომ, ანტიკურ მასალაზე აგებული მხატვრული სახეები კარგად იყო ცნობილი ქართველი მთარგმნელებისათვის, განსაკუთრებით კი ეფრემ მცირისათვის, რომლის მიერ ნათარგმნ გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა მითოლოგიურ და რიტორიკულ განმარტებებში, ფსევდონონეს სქოლიოებსა და ბასილი მინიმუსის კომენტარებში, გახსნილი და განმარტებულია გრიგოლის არაერთი მხატვრული სახე თუ რიტორიკული ფიგურა.

სქოლიოში ხაზგასმულია დამასკელის მხატვრული სახის ანტიმეტყველური ბუნება (არ ა ვ ი თ არ თ ქ უ ე ნ (ე. ი. წარმართთა) ..., არ ა მ ე დ ... ქ რ ი ს ტ ე მ ა ნ ...). ერთ მხარეს არის წარმართთა მიერ გამოგონილი, შეთხზული გმირი – თმაგაცვენილი ჰერაკლე, მეორე მხარეს – ღვთის შემწეობით გადარჩენილი იონა. გაშლილი და განმარტებულია ის მხატვრული სახე, რომელიც დამასკელთან მხოლოდ მინიშნებულია.

როგორც სქოლიოდან ირკვევა, ეფრემს იოანე დამასკელის თხზულების ბუნდოვანი პასაჟის გაგებაში დაეხმარა იოანე პატრიარქი, „ახლად ოქროპირად გამოჩინებული“. XI საუკუნის II ნახევარში, ეფრემ მცირის ანტიოქიაში მოღვაწეობის პერიოდში, ანტიოქიის პატრიარქთა შორის იკვეთება იოანე V ოქსიტესის მეტად საინტერესო სახე, რომელიც ანტიოქიის პატრიარქი იყო XI საუკუნის ბოლო ათწლეულის მანძილზე. იოანე, მიქაელ მთავარანგელოზის მონასტრის ბერი კუნძულ ოქსიიდან, 1089 წელს აკურთხეს ანტიოქიის პატრიარქად; თავისი მოვალეობის შესრულებას ის 1091 წლიდან შეუდგა და ანტიოქიის პატრიარქი იყო ცხრა წლის მანძილზე, 1100 წლამდე. სარგებლობდა ბიზანტიის იმდროინდელი იმპერატორის, ალექსი I კომნენოსის კეთილგანწყობით. XI საუკუნის ბოლო ათწლეული ანტიოქიის ისტორიაში ერთ-ერთ რთულ, მძიმე პერიოდად არის მიჩნეული. თურქ-სელჩუკთა გაუთავებელ თავდასხმებს ენაცვლება ჯვაროსანთა შემოტევების ახალ-ახალი ტალღები. მიუხედავად შექმნილი მძიმე ვითარებისა, იოანე V ოქსიტესი ღირსეულად უძღვება თავის სამწყსოს, აქტიურად არის ჩაბმული ანტიოქიის ბერძენ და ლათინ სამღვდელეობას შორის გაჩაღებულ კამათებში. 1100 წლიდან ანტიოქიის მმართველ წრეებთან გართულებული ურთიერთობის გამო ის აღარ არის პატრიარქი და ტოვებს ანტიოქიას. სიცოცხლის ბოლო წლებს ატარებს მშობლიურ კუნძულ ოქსიაზე. გარდაიცვალა 1112 წელს. იყო საკმაოდ განსწავლული პიროვნება, ავტორი რამდენიმე თეოლოგიური ხასიათის ტრაქტატისა და ეპისტოლის (Χρυσοστόμου 1951: 897-919; Gautier 1964: 128-135; Grumel 1933: 279-299).

<sup>7</sup> ფიგურალურ გამოთქმათა და მხატვრულ სახეთა წყაროებისა და წარმომავლობის შესახებ გრიგოლ ღვთისმეტყველთან იხ. Guignet 1911.

ქართული წყარო – დამასკელის თხზულებაზე დართული სქოლიო პატრიარქის პიროვნების საინტერესო მხარეებს წარმოაჩენს. ეს არის განსაკუთრებული განსწავლულობა ანტიკურ მითოლოგიასა და ლიტერატურაში, ანტიკური წყაროების ღრმა და დეტალური ცოდნა, რაც, საზოგადოდ, ბიზანტიური განათლებულობის ერთ-ერთ აუცილებელ მახასიათებლად იყო მიჩნეული.

საინტერესო შტრიხი ემატება, აგრეთვე, იოანე პატრიარქის ბიოგრაფიასაც. ეს არის მისი და მის გარშემო თავმოყრილ სწავლულთა ურთიერთობა ანტიოქიაში მოღვაწე ქართველ მწიგნობრებთან; შენიშვნაში ჩანს ასევე ეფრემის განსაკუთრებული დამოკიდებულება – პატივისცემა და მოწინება ამ პიროვნების მიმართ მისი განსწავლულობის გამო.

როგორც ჩანს, ქართველ მწიგნობართა ურთიერთობა ანტიოქიის საპატრიარქოსა და პატრიარქთან არ იყო ეპიზოდური. გრიგოლის 16 ლიტურგიკული სიტყვის წინასიტყვაობაში, ეფრემის ეპისტოლეში კვირიკეს მიმართ, ნახსენებია ანტიოქიის პატრიარქი – „ყოველთა უგანათლებულესი მეუფე“, რომელიც ეხმარება ეფრემს ბერძნულ სიტყვათა ზუსტი მნიშვნელობების დადგენაში:

არამედ უმრავლესი მათ სიტყუათაჲ წერით ანტიოქს შვეიტანი და დიდსა საპატრიარქოსა ფილოსოფოსთა და მიტროპოლიტთა და თვთ მათ ყოველთა უბრძნისისა წმიდისა მეუფისა მიერ გამოვიძიე საეჭყოველივე.<sup>8</sup>

მართალია, ამ შემთხვევაში ანტიოქიის პატრიარქი სახელით არ არის მოხსენიებული, მაგრამ ეს უნდა იყოს ეფრემის ავტოგრაფულ ნუსხაში ნახსენები ანტიოქიის პატრიარქი, იოანე V ოქსიტესი (მეტრეველი 2007: 119). ყურადღებას იპყრობს ქართველ საეკლესიო პირთა ანტიოქიის საპატრიარქოსთან ურთიერთობის ფორმა – წერილობითი გზით – გაუგებარ სიტყვასა თუ პასაჟთან დაკავშირებული შეკითხვების შეტანა? – შეგზავნა ანტიოქიის საპატრიარქოში და ბერძენ სწავლულთაგან მაღალკვალიფიციური კონსულტაციების მიღება.

ამგვარად, XI საუკუნის ბოლო ათწლეულის მოღვაწის გამოჩენა ეფრემის ავტოგრაფულ ნუსხასა და გრიგოლ ღვთისმეტყველის ლიტურგიკულ საკითხავთა ეფრემისეულ კრებულში შემოსაზღვრავს ამ კრებულების შედგენისა თუ თარგმნის თარიღს 1091-1100 წლებით (Otkhmezuri 2010: 469-475) და ადასტურებს მკვლევართა მიერ გამოთქმულ თვალსაზრისს ამ ხელნაწერთა დათარიღებასთან დაკავშირებით.

ედიშერ ქელიძის აზრით, ქართულ წყაროებში ანტიოქიის პატრიარქი იოანე კიდეე ერთგან უნდა ჩანდეს. ეს არის შენიშვნა, რომელიც ერთვის დიადოქო-

<sup>8</sup> Cod. Jer. iber. 43, 2v; ბრეგაძე 1988: 148. Sancti Gregorii Nazianzeni Opera 1998: xxxiii.

<sup>9</sup> ანდერძის ქართულენოვან გამოცემაში „შვეიტანის“ ნაცვლად არის „შვეიცანი“ (ტექსტის დაზიანების გამო აღრეულია ნუსხური გრაფემები ტარი და ხანი, რომლებიც გრაფიკულად ერთმანეთთან ახლოსაა), ბრეგაძე 1988: 148. ანდერძის ფრანგულენოვან გამოცემაში ეს ხარვეზი გასწორებულია, Sancti Gregorii Nazianzeni Opera 1998: XXXIII.

სის ასკეტურ სწავლებათა ქართულ თარგმანს XIII საუკუნის კრებულში - A-60: შენიშვნაში განმარტებულია *დიადოქოსის* ეტიმოლოგია:

შეისწავე, რამეთუ *დიადოქოს* ბერძულისაგან *მისაღებელად* გამოითარგმანების, ხოლო *ფოტიკე* - *ნათლად*. და ამას პირსა უგალობს წმიდაჲ მეუფე ჩუენი იოანე ანტიოქელ მთავარეპისკოპოსი და იტყვს იამბიკოდ.

სქოლიოში მოხსენიებული *მეუფე ჩუენი იოანე ანტიოქელი მთავარეპისკოპოსი*, ედიშერ ჭელიძის მიხედვით, იგივე ანტიოქიის პატრიარქი იოანეა, რომელიც მოხსენიებულია ჩვენ მიერ ზემოთ განხილულ სქოლიოსა და ეფრემის ეპისტოლეში კვირიკეს მიმართ. შენიშვნას მოსდევს იოანე პატრიარქის დიადოქოსისადმი მიძღვნილი შესხმითი იამბიკო. მკვლევრის აზრით, A-60-ში წარმოდგენილი მასალა - დიადოქოსის თხზულებათა ქართული თარგმანები, ისევე როგორც შენიშვნა და იამბიკოს ქართული თარგმანი, ეფრემ მცირეს უნდა ეკუთვნოდეს (ჭელიძე 2001: 392-393, 435). იამბიკოს მიხედვით, ამ კრებულის (ანუ ქართული თარგმანის ბერძნული დედნის) გადაწერია იოანე პატრიარქი. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ქართულმა წყარომ შემოგვინახა საყურადღებო მასალა ანტიოქიის პატრიარქის, იოანე V ოქსიტესის ლიტერატურულ-მნივნობრული მოღვაწეობის შესახებ: მისი ერთი ნაწარმოები - იამბიკო და ცნობა მის მიერ ბერძნული კრებულის გადაწერის შესახებ.

ვფიქრობთ, წამოდგენილი მასალა, ეფრემისეული კრებულების დათარიღებასთან ერთად, საყურადღებოა იმ ეპოქის სულისკვეთების წარმოსაჩენად და იმ გარემოს რეკონსტრუქციისათვის, რომელშიც მოღვაწეობდა ეფრემ მცირე.

### ბამოყენებული ლიტერატურა

1. **ბრეგაძე 1988:** ბრეგაძე თ., გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბილისი, 1988.
2. **მეტრეველი 2007:** მეტრეველი ე., ეფრემ მცირის ავტოგრაფი, ე. მეტრეველი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი I, თბილისი, 2007.
3. **მეტრეველი 1959:** მეტრეველი ე., ეფრემ მცირის ავტოგრაფი, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, 1, 1959.
4. **ოთხმეზური 1992:** ოთხმეზური თ., ერთი გრამატიკული ხასიათის შენიშვნის შესახებ ძველ ქართულ მწერლობაში, მაცნე (ენისა და ლიტერატურის სერია), 3 (1992).
5. **ოთხმეზური 2011:** ოთხმეზური თ., კომენტარული ჟანრი შუა საუკუნეების ქართულ მთარგმნელობით ტრადიციაში. ეფრემ მცირე და გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა კომენტარები, თბილისი, 2011.
6. **რაფავა 1973:** რაფავა მ., ქართული დოგმატიკის ისტორიიდან, მრავალთავი, II, 1973.

7. **ჭელიძე 1996:** ჭელიძე ე., ძველი ქართული საღვთისმეტყველო ტერმინოლოგია, I, თბილისი, 1996.
8. **ჭელიძე 2001:** ჭელიძე ე., წმ. დიადოქოსის ასკეტურ სწავლებათა ძველი ქართული თარგმანის შესახებ, მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის შეერთებული კალენდარი, ე. ჭელიძის გამოც., თბილისი, 2001.
9. **ჭელიძე 2014:** ჭელიძე ე., წმ. ეფრემ მცირე, უწყება მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა, თუ რომელთა წინათა შინა მოიწუნების, საღვთისმეტყველო-სამეცნიერო შრომები V (თბილისის სასულიერო აკადემია), თბილისი, 2014.
10. **ჯოჯუა 2015:** ჯოჯუა თ., ეფრემ მცირის ჰომილეტიკური კრებულის (S-1276) 1370-1390-იანი წლების მინანურის ცნობები მონღოლ სარდლებს – ულუხის ამირა შეიხ ჰასან ბრზორგსა და ამირა ალი ფადიშაჰს შორის 1336 წელს გამოართულ ყარა დარას ბრძოლაში ტაოს ერისთავის ამირლამბარ I ფანასკერტელის ვასალის, ტაოელი ფეოდალის ბოცო წმედისძის მონაწილეობის შესახებ, საისტორიო კრებული, 5 (2015).
11. **Gautier 1964:** Gautier P., Jean V, Patriarche D' Antioche, Notice bibliographique, *Revue des Etudes Byzantines*, 22 (1964).
12. **Grumel 1933:** Grumel V., Les Patriarches Grecs d'Antioche du nom de Jean, *Echos d'Orient*, 32 (1933), p. 279-299.
13. **Guignet 1911:** Guignet M., St. Grégoire de Nazianze et la rhétorique, Paris, 1911.
14. **Otkhmezuri 2010:** Otkhmezuri T., The Liturgical Sermons of Gregory of Nazianzus. On the Date of the Georgian Translation by Ephrem Mtsire, *Studia Nazianzenica* II, A. Schmidt ed., (Corpus Christianorum, Series Graeca, 73, Corpus Nazianzenum, 24), Turnhout: Brepols, 2010.
15. **Sancti Gregorii Nazianzeni Opera 1998:** Sancti Gregorii Nazianzeni Opera, Versio iberica. I: Orationes I, XLV, XLIV, XLI, ed. a H. Metreveli et K. Bezarachvili, Ts. Kourtsikidze, N. Melikichvili, Th. Otkhmezouri, M. Raphava, M. Shanidze (Corpus Christianorum. Series Graeca, 36. Corpus Nazianzenum, 5), Turnhout-Leuven, 1998.
16. **Χρυσοστόμος:** Χρυσοστόμος Παπαδοπούλου, Ἱστορία τῆς Ἐκκλησίας Ἀντιοχείας, Ἀλεξάνδρεια, 1951.

**Thamar Otkhmezuri**

## ON DATING EPHREM MTSIRE'S AUTOGRAPH S-1276

### SUMMARY

The collection of homilies – S-1276 – housed at the National Centre of Manuscripts is considered to be an autograph of Ephrem Mtsire, the renowned translator from the Black Mountain (Syria). Scholars date the collection back to the last period of the 11<sup>th</sup> century on the basis of analysis of its structure and terminology. This viewpoint is attested by one of the marginal annotations mentioning Patriarch John V Oxites, a prominent figure of the last decade of the 11<sup>th</sup> century who was a Patriarch of Antioch in 1091-1100.



**გულნაზ კიკნაძე, ნინო მაღლიჩიშვილი**

## **წმ. გრიგოლ ნოსელის თხზულების – „თარგმანებაჲ ქაბისა ქაბათაჲსაჲ“ – ქართული თარგმანი**

IV საუკუნის დიდი ბიზანტიელი მამისა და ღვთისმეტყველის, წმ. გრიგოლ ნოსელის ნაშრომი – „თარგმანებაჲ ქაბისა ქაბათაჲსაჲ“ ბიზანტიური ეგზეგეტიკური მწერლობის უმნიშვნელოვანესი ძეგლია, ამდენად, ძნელია, გადაჭარბებულად შევაფასოთ ის ღირებულება, რაც აქვს მის ქართულ თარგმანს ძველი ქართული სასულიერო მწერლობისათვის. წმ. გრიგოლ ნოსელი „ქება ქებათას“ მცირე მოცულობის ტექსტს [პირველი ექვსი თავი] განმარტავს რამდენიმე ასეული გვერდის მოცულობის კომენტარებით. უკვე ეს ფაქტი მეტყველებს ამ ბიბლიური წიგნის სიღრმესა და მნიშვნელობაზე. მისი დაფარული აზრი ბევრი განსხვავებული ინტერპრეტაციის საშუალებას იძლეოდა. სწორედ ამაზე მიახიზნებს წმ. გრიგოლი თავისი ნაშრომისათვის წამძღვარებულ ეპისტოლეში იმ პირის მიმართ, რომელმაც თხოვნით მიმართა მას, დაეწერა ეს თარგმანება: „რათა მორციელთა ვიეთმე და ზრქელთა სარგებელი რაჲმე პოონ სულიერისა და უნივთოსა ცხორებისაჲ, რომლისა მიმართ მიიყვანებს წიგნი ესე მის შორის დაფარულისა მის მიერ სიბრძნისა“ (A-55, 73vb).

წმ. გრიგოლ ნოსელის თარგმანება, რომელშიც დიდი საეკლესიო მამა და ღვთისმეტყველი წმიდა წერილზე დაყრდნობით განმარტავს „ქება ქებათას“ ტექსტს, ამავე დროს, ფაქტიურად, თვით მთელი ბიბლიის კომენტარებას წარმოადგენს. თარგმანებაში ამა თუ იმ ბიბლიური ციტატის მოხმობისას, გრიგოლ ნოსელს უხდებოდა თვით ამ ბიბლიური ადგილის განმარტება, რათა უფრო ნათლად ეთქვა სათქმელი მკითხველისათვის. წმ. გრიგოლი კარგად უწყოდა ამგვარი განმარტების აუცილებლობას. იმავე ეპისტოლეში ის ეუბნება მკითხველს: „და ესევითარნი ბევრეულნი სიტყუანი იპოვებთან სახარებასა შინა, რომელთა-იგი მარტივი პირი სხუაჲ არს, და გონებაჲ, რომლისა მიმართ ხედავს სიღრმე მისი, სხუაჲ არს“ (A-55, 74rb).

ეპისტოლეში წმ. გრიგოლი იმაზეც მიახიზნებს, რომ იგი პირველი არ არის, ვინც ამ ბიბლიური წიგნის განმარტებას მოჰკიდა ხელი. ეს საქმე მასზე ადრე ორიგენეს უტვირთავს. გრიგოლ ნოსელის სიტყვებიდან აშკარაა, რომ

მას ზედმეტად არ მიაჩნია მსგავსი სამუშაოს კვლავ ჩატარება და ამიტომაც შესდგომია ამ საქმეს: „ხოლო რამეთუ ორიგენი მოსწრაფება აჩუენა ამის ნიგნისათჳს და ჩუენ შრომისა ჩუენისა აღწერად გულს-ვიდგინეთ, ნუენ გუაბრალობს, არამედ სიტყუაჲ იგი სამოციქულოჲ გულისბმა-ყავნ, ვითარმედ: “თითოეულმან სასყიდელი მოილოს თჳსისაებრ შრომისა, რამეთუ ჩუენ არათუ საჩუენებლად ვისსამე აღვსწერთ თქუმულთა ამათ, არამედ სახილველად მხოლოსა ღმრთისა, რომელი-იგი არს მომცემელი სიტყუსაჲ” (A-55, 75rab).

წმ. გრიგოლ ნოსელის ნაშრომის ქართული თარგმანის ღირებულებას კიდევ უფრო ზრდის მისი მთარგმნელის ვინაობა: დიდმა საეკლესიო მამამ, ღრმა საღვთისმეტყველო ცოდნით აღჭურვილმა წმ. გიორგი მთაწმიდელმა XI საუკუნეში გადმოიღო ეს ურთულესი ტექსტი ქართულ ენაზე და ამჯერადაც მთარგმნელობითი ხელოვნების უმაღლეს მწვერვალს მიაღწია.

გიორგი მთაწმიდელმა, ათონის ქართველთა ივერთა მონასტრის სამწიგნობრო ცენტრის თვალსაჩინო წარმომადგენელმა, ერთ-ერთმა პირველმა გააცნობიერა ქართული თარგმანების ბერძნულ დედნებთან ზედმიწევნითი სიახლოვის აუცილებლობა. მისი მთარგმნელობითი პრინციპი, გამოიყენებინა უკვე არსებული უძველესი ტექსტები და დაეახლოვებინა ისინი ბერძნულ დედნებთან, აისახა თარგმანებაში ჩართულ „ქება ქებათას“ ტექსტზეც: არსებული 4 რედაქციიდან: ოჰკური – Ath-1 (978 წ.), A-65 (XIII ს), ბაქარის ბიბლია – A-455 (XVIII ს.), მცხეთური ბიბლია – A-51 (XVII-XVIII სს.) – გიორგისეული ტექსტი უძველეს რედაქციასთან, „მცხეთური ბიბლიის“ XVIII საუკუნის დასაწყისის ხელნაწერით მოღწეულ ტექსტთან, ამჟღავნებს მსგავსებას. გიორგისეული ტექსტი მცხეთური ბიბლიის ხელნაწერის შვიდი საუკუნით ადრინდელ ნუსხას ემყარება. ამ ფაქტს, რა თქმა უნდა, მნიშვნელობა აქვს ბიბლიის წიგნთა ქართული რედაქციების შესწავლისათვის. გარკვეული ცვლილებები ბერძნულ დედანთან დაახლოების თვალსაზრისით გიორგი მთაწმიდელმა ამ ტექსტშიც შეიტანა<sup>1</sup>.

წმ. გრიგოლ ნოსელმა „ქება ქებათას“ თარგმანებას დაურთო შენიშვნები, რომლებიც შეეხება როგორც ბიბლიის ებრაული დედნისა და ბერძნული თარგმანის ურთიერთობას ზოგადად, ისე დედნისა და თარგმანის ცალკეულ ელემენტთა (კერძოდ, ლექსიკურ და ფრაზეოლოგიურ ერთეულთა) მიმართებას. ამ შენიშვნებს კარგად იცნობდა გიორგი მთაწმიდელი: მთარგმნელმა ისინიც გადმოიღო თხზულების ძირითად ტექსტთან ერთად. რომ არაფერი ვიცოდეთ გიორგი მთაწმიდელის მთარგმნელობითი მეთოდის შესახებ, შესაძლოა, გაჩენილიყო აზრი, რომ დიდი ქართველი საეკლესიო მამა სწორედ გრიგოლ ნოსელის მითითებებით ხელმძღვანელობდა მისი ნაშრომის გადმოქართულებისას.

წმ. გრიგოლ ნოსელის აზრით, თარგმანი დედნის ადეკვატური, მასთან

<sup>1</sup> ამის შესახებ ვრცლად იხილეთ ნაშრომში: წმიდა გრიგოლ ნოსელი, თარგმანებაჲ ქებისა ქებათასაჲ, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო გულნაზ კიკნაძემ, რედაქტორი ნინო მეღვიპეილი, თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის გამომცემლობა, 2013, გვ. 9-15.

„შენყობილი“ უნდა იყოს. მთარგმნელს მოეთხოვება სათარგმნი ენის ზუსტი ცოდნა. „შესწორებული სიტყვა“, ანუ ზუსტი შესატყვისი მიიღწევა, თუკი მთარგმნელი ზედმიწევნით ფლობს სათარგმნ ენას და თარგმნის ხელოვნებას. შეუსაბამობა და სიზუსტის ნაკლებობა, ტექსტის არასწორი გააზრება, „შერეულობა სიტყვათა“, გრიგოლ ნოსელის აზრით, მიენერება მთარგმნელის სისუსტესა და დაბალ კვალიფიკაციას. გრიგოლ ნოსელი ითვალისწინებდა თარგმანის პროცესის სიძნელეს ენათა სტრუქტურული სხვაობის პირობებში და „შესწორებულ“ სიტყვათა ძიების სირთულით ხსნიდა ლექსემათა უთარგმნელად გადმოღებას, დედნიდან გადახვევას, აზრის გადასხვაფერებას. წმ. გრიგოლ ნოსელს „თარგმანების“ ტექსტზე დართული აქვს ზოგიერთი ისეთი შენიშვნა ამა თუ იმ სიტყვის ისტორიისა და მნიშვნელობის შესახებ, რასაც ღირებულება აქვს „ქება ქებათას“ ბერძნული ტექსტის შესწავლისა და დადგენისათვის. შენიშვნების საფუძველზე რიგ შემთხვევაში შუქი ეფინება ამ ბიბლიური ნიგნის ქართულ თარგმანში უთარგმნელად გადმოღებულ ზოგიერთ სიტყვასაც. ცალკეულ სიტყვათა მნიშვნელობებზე მსჯელობისას წმ. გრიგოლ ნოსელის მიერ დამონებული პარალელური ადგილები ბიბლიის სხვადასხვა ნიგნიდან. ამდენად, დიდი ბიზანტიელი ღვთისმეტყველის, გრიგოლ ნოსელის მიერ ჩატარებულია ლექსიკოლოგიური ხასიათის სამუშაო და თავმოყრილია წმიდა წერილში ლექსემათა ხმარების სხვადასხვა ნიმუში. წმ. გიორგი მთაწმიდელის მიერ ამ შენიშვნების გადმოღებას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც ბიბლიის ქართული თარგმანის ისტორიისათვის, ასევე გიორგი მთაწმიდელის მთარგმნელობითი მუშაობის შესასწავლისათვის.

„თარგმანების“ წმ. გრიგოლ მთაწმიდელისეული ქართული თარგმანის ზედმიწევნით ანალიზი ცხადყოფს, რომ გიორგი მთაწმიდელი იყო ის პიროვნება, რომელიც აკმაყოფილებდა გრიგოლ ნოსელის მიერ მთარგმნელისადმი ნაყენებულ ყველა მოთხოვნას, პიროვნება, რომელიც ღირსი იყო ხელი მოეკიდა გრიგოლ ნოსელის „ქება ქებათას“ თარგმანების ქართულად გადმოღების ურთულესი საქმისათვის და რომელმაც ღირსეულად გაართვა მას თავი.

გიორგი მთაწმიდელის მთარგმნელობითი მეთოდი, რაც გულისხმობდა დედანთან უკიდურესი სიახლოვის დაცვას, ვრცელდება გრიგოლ ნოსელის ამ უმნიშვნელოვანეს ძეგლზეც, რომელიც, ფაქტიურად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არა მხოლოდ ამ ერთი ბიბლიური ნიგნის კომენტირებაა, არამედ მთელი წმიდა წერილის განხილვაა ეგზეგეტიკური თვალსაზრისით. ქართულ თარგმანს წერილში მხოლოდ ერთი კუთხით შეეხებოთ: განვიხილავთ ბერძნულ-ქართულ ლექსიკურ შესატყვისობებს, რაც, ფაქტიურად, ბერძნულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობების მნიშვნელოვან მხარეს ასახავს.

განსახილველი ქართული თარგმანი მდიდარია ბერძნული ენიდან უთარგმნელად გადმოღებული სიტყვებითა და კალკირებული კომპოზიციებით. უძველეს დროში, როდესაც დაიწყო წმიდა წერილის ქართულად თარგმნა, ბერძნულიდან შემოსული ლექსიკით ქართული ენის გამდიდრება ჩვეულებრივი

მოვლენა იყო. ტრადიციულ ლექსიკასთან ერთად, რომელიც ქართული სასულიერო მწერლობის პირველი პერიოდის მთარგმნელთა მიერ იქნა შემოტანილი სამწერლობო ენაში (საიდანაც შემდეგ სამეტყველო ენაშიც დამკვიდრდა), გიორგი მთაწმიდელის თარგმანში კიდევ არაერთი ახალი სიტყვა იჩენს თავს. ამასთან, ზოგიერთ ამ უთარგმნელ სიტყვას, რომელიც, გიორგი მთაწმიდელის აზრით, შეიძლება გაუგებარი ყოფილიყო მკითხველისათვის, ის განმარტებას ურთავს. გიორგისული არაერთი განმარტება აქვს შეტანილი სულხან-საბა ორბელიანს თავის ლექსიკონში.

გიორგისულ თარგმანზე დაკვირვება ქართულ ენაში მთელი რიგი ბერძნული ტერმინების დამკვიდრების ქვედა ზღვარის დადგენის საშუალებას იძლევა. ბევრი სიტყვა, რომელიც მოგვიანო პერიოდის თარგმანებში უთარგმნელად არის შეტანილი, „ქება ქებათას“ თარგმანების ქართულ თარგმანში ნათარგმნია (ბერძნული ἄλλογορία, ἀναλογία, ἀρετή, ἀρχέτυπος, θεωρία, ἐπιγραφή, ἱστορία, κατάλογος, κομπογυεία, μύθος, σύμβολος, συμπαιδεία, φαντασία). ამ ტერმინების ქართულში შემოსვლის ზედა ზღვარის დასადგენად ძველი ქართული თარგმანების შესწავლაა საჭირო და ეს მეტწილ შემთხვევაში უკვე გაკეთებულია. ჩვენ ამჟამად ის ფაქტი გვაინტერესებს, რომ XI საუკუნეში ისინი გიორგი მთაწმიდელს ქართული შესატყვისობებით აქვს გადმოცემული.

განსახილველი ძეგლის ეგზეგეტიკური შინაარსი განაპირობებს მასში დიდი რაოდენობის ტოპონიმური ტერმინებისა და საკუთარი სახელების არსებობას. ეს სახელები ქართულ თარგმანში ძირითადად ბერძნული ან ბერძნულის მეშვეობით შემოსული ებრაული ფორმით იხმარება და გიორგისულ თარგმანშიც ტრადიციულ ფორმით აისახა.

„თარგმანებაში“ ბერძნული ენის გავლენა გამოვლინდა მთელი რიგი ახალი სიტყვების შექმნით ან ძველისათვის ახალი მნიშვნელობის მინიჭებით. „ლულარჭნილი“, რომელსაც საბა განმარტავს როგორც „მიგრებილ-მოგრებილს“, „თარგმანებაში“ გამოიყენება „კულულის“ მნიშვნელობით (ბერძნ. «κῆρυκος» - ის = კულული). ასევე „თარგმანების“ ქართული თარგმანის კუთვნილებაა „ნავევალი“ „ნაჭრის, ნახეჩის, ნახევის“ მნიშვნელობით. ამ სიტყვის წარმოქმნა აშკარად უკავშირდება ბერძნულ „μάκρας“ ფორმას (=ჩამოჭრა, ჩამოკვეთა). „სამნაკეცი ღელვა“ ზუსტი გადმოღებაა ბერძნული „πικρία“-სი, რაც ნიშნავს „მესამე, ყველაზე ძლიერ ტალღას“. ძალიან საინტერესო ფორმაა „შეუვალი“, რაც ნიშნავს წმიდათა წმიდა ადგილს, სადაც არასამღვდელო პირთა შესვლა აკრძალული იყო. ეს სიტყვა ზუსტი გადმოღებაა ბერძნული „τὸ ἄγιον“-ისა (=უნმიდესი, შეუვალი ადგილი, ტაძარი). „ორცადმეცვალებული“ ასევე ბერძნული „ἰσπανικὸς“-ის თარგმანია (=გასიება)<sup>2</sup>.

ბერძნულ-ქართული ლექსიკურ შესატყვისობები, როგორც დავინახეთ, საინტერესო დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა. ეს განსაკუთრებით

<sup>2</sup> ვრცლად იხ.: კიკნაძე 2013: 27-30.

ეხება იმ მრავალრიცხოვან კომპოზიტებს, რომლებიც ბერძნულის ანალოგიით არის შექმნილი (დაახლოებით 100 კომპოზიტი).

კომპოზიტების შექმნით, რომლებიც ზუსტად გადმოსცემს სათარგმნი სიტყვის მნიშვნელობას, ენა მდიდრდება ახალი ლექსიკური ერთეულებით. „თარგმანების“ ქართულ თარგმანში არსებული კომპოზიტების დიდი ნაწილი გიორგი მთაწმიდელის მიერ ამ ძეგლის თარგმანამდე იყო დამკვიდრებული ქართულ ენაში, ნაწილი კი მთაწმიდელისეული თარგმანით შემოვიდა ხმარებაში. მართალია, კომპოზიტების შექმნა ენის ლექსიკური მარაგის გამდიდრების ქმედითი საშუალებაა, მაგრამ გარკვეულ საფრთხეს ეს კალკირებული ფორმები თავიანთ თავში შეიცავს. ჩვენ სწორედ ამ საფრთხეებზე გვსურს ყურადღების გამახვილება. ის შემთხვევები, რომლებსაც ქვემოთ შევხებით, განსახილველ თარგმანში გამონაკლისია და თითო-ოროლაა, მაგრამ მათზე საუბარი მაინც საჭიროა, რადგან მიგვანიშნებს იმ საფრთხეებზე, რომლებიც შეიძლება თან სდევდეს ზედმიწევნით სიზუსტეზე განაცხადის მქონე ნებისმიერ თარგმანს.

1) კომპოზიტის შემადგენელი ნაწილების ცალ-ცალკე გადმოღებისას შესაძლებელია დაიკარგოს დედნისეული სიტყვის მნიშვნელობა. ამ ახალი მნიშვნელობის მატარებელი ეს ხელოვნური ფორმა, რომელიც არ არის ბერძნული შესატყვისის ადეკვატური, ძნელად იკიდებს ფეხს ენაში და, როგორც წესი, მხოლოდ ამ ერთი ნათარგმნი თხზულების კუთვნილებად რჩება.

2) ბერძნული ენის პოლისემიურობის გამო ჩნდება კიდევ ერთი საფრთხე: თუ მთარგმნელმა კონტექსტისათვის პოლისემიური სიტყვის შეუფერებელი მნიშვნელობა გადმოიღო, კომპოზიტი ზუსტად ვეღარ გადმოსცემს ბერძნული რთული სიტყვის მნიშვნელობას. ამის მაგალითია გიორგისეულ თარგმანში ბერძნული „*κλισησμος*“-ის შესატყვისად ქართული „სოფლისმოყუარე“. ბერძნული „*κισμος*“ ნიშნავს როგორც „სამყაროს“, ასევე „სამკაულს“. ამ შემთხვევაში საჭირო იყო მეორე მნიშვნელობის, „სამკაულის“ გადმოღება. ამ არასწორი არჩევანის გამო მივიღეთ კომპოზიტი, რომელიც აცდენილია ბერძნული რთული სიტყვის მნიშვნელობას. ასეთი შემთხვევები „თარგმანების“ ქართულ თარგმანში ძალიან იშვიათია.

3) კომპოზიტების კალკირებულად თარგმნისას ზოგჯერ წინდებულების გადმოღება ზედმეტი აღმოჩნდება ხოლმე, რადგან მათ გარეშეც ქართული ფორმა გადმოსცემს ბერძნული რთული სიტყვის მნიშვნელობას, ხოლო თუ დავამატებთ წინდებულის თარგმანსაც, მოხდება კომპოზიტის მნიშვნელობის ორმაგად გადმოცემა. მაგ.: „დამწინდებელი“ ქართულად ნიშნავს იმას, ვინც აწყობს ნიშნობას, რაც ქორწინების წინა ეტაპია. ბერძნული „*προμνηστικη*“-ის კალკირებული თარგმნისას წინდებული „*πρι*“-ს გადმოღება გვაძლევს ქართულ ფორმას – „წინააღმართდამწინდებელი“ და, ფაქტიურად, ხდება ორმაგად აღნიშვნა იმისა, რასაც ეს სიტყვა ამ წინდებულის გარეშე უკვე გამოხატავდა. ამისი მსგავსი შემთხვევაა „ზედანარწერილიც“ (ბერძნ. „*ὑπεραρστη*“): „წარწერილი“ ქართულად უკვე ნიშნავს „ზემოდან დაწერილს“ და „ზედა“ წინდებული („*ὑπ*“) ზედმეტი.

ქართული ენა მდიდარია სიტყვათწარმოებითი საშუალებებით. მათ გიორგი მთაწმიდელი კარგად იყენებს და ქმნის ახალ ლექსიკურ ერთეულებს, რომლებიც შესატყვისება ქართული ენის ბუნებას და არ ტოვებს ხელოვნურობის შთაბეჭდილებას. ამას ვერ ვიტყვით იმ სკოლის წარმომადგენლებზე, რომლებმაც გააგრძელეს ათონური სკოლის მთარგმნელობითი ტრადიციები. საინტერესოდ გვეჩვენება ის ფაქტი, რომ მიუხედავად არსებითი სხვაობისა, რაც არის ათონისა და გელათის სკოლებს შორის, ჩნდება მათი დამაკავშირებელი ხაზიც გიორგი მთაწმიდელის განხილული თარგმანის სახით, კერძოდ: „სმ“ ბერძნული წინსართი, რომელიც აღნიშნავს „ერთად“-ს, გიორგისეულ თარგმანში კომპოზიტის შემადგენლობაში (სახელებსა და ზმნებში) ხშირად ითარგმნება „თან“ თანდებულთ („σΥΚΑΚΟΥΧΕΙ“ „σΜΑ“: „თანაძკრისხილვა“=ერთად ტანჯვა. ასეთი შემთხვევები საკმაოდ ბევრია). „თან“ თანდებულთან ფორმები ფართოდ გავრცელდა პეტრიწონის სალიტერატურო სკოლაშიც. ეს ფაქტი ქართული მთარგმნელობითი სკოლების მემკვიდრეობითობისა და მათი საქმიანობის უწყვეტობის ერთ-ერთი გამოვლინებაა. ამ მემკვიდრეობითობის გამოვლენაა ის ფილოსოფიურ-თეოლოგიური შინაარსის ტერმინებიც, რომელთა შემქმნელადაც სწორედ გიორგი მთაწმიდელი გვევლინება და რომელთაც შემდეგ არსებობა გელათის სკოლაში გააგრძელეს (მაგ.: „თანაჯორცი“ - ბერძნ. „σνσσμα“; „თანახატი“ - ბერძნ. „σνσσσφππμνσνσ“ და „σνσσϋμστσმν“...)<sup>3</sup>.

ამგვარად, „თარგმანებაჲ ქებისა ქებათასას“ ქართული თარგმანის ლექსიკის შესწავლაში შემდეგი დასკვნების გაკეთების საშუალება მოგვცა: 1) ბევრ შემთხვევაში უთარგმნელად არის გადმოტანილი ბერძნული ენიდან სხვადასხვა დროს და სხვადასხვა პირობებში ზეპირი თუ მწიგნობრული ურთიერთობის გზით შეთვისებული სიტყვები. ზოგი ბერძნული თუ ებრაული ტერმინი ახსნილია და განმარტებული თარგმანშივე, რაც სათარგმნი თხზულების ხასიათიდან გამომდინარეობს. უთარგმნელად გადმოღებული ბერძნული თუ ებრაული სიტყვების სიმრავლეს განაპირობებს ძეგლის ეგზეგეტიკური ხასიათი - მასში მრავლად არის ნახმარი ტოპონიმები და ადამიანთა საკუთარი სახელები. 2) ძეგლის ქართულ თარგმანში მთარგმნელის მიერ საკმაო რაოდენობით არის წარმოდგენილი იშვიათი ხმარების სიტყვები, რომელთა ნაწილი გამოყენებულია გადატანითი მნიშვნელობით და მათ დასაზუსტებლად აუცილებელია ბერძნული ორიგინალის შესატყვისის კონტექსტის გათვალისწინება. 3) ქართული თარგმანის ლექსიკის მრავალფეროვნების ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს ნაწარმოები სიტყვები. მათ შესაქმნელად გიორგი მთაწმიდელს გამოყენებული აქვს ქართული ენის თითქმის ყველა სიტყვათწარმოებითი საშუალება. 4) ქართული თარგმანის ლექსიკა განსაკუთრებით მდიდარია კომპოზიტებით. ეს კომპოზიტები ლექსიკურ-სემასიოლოგიური თვალსაზრისით ძირითადად სრულ შესაბამისობაშია ბერძნულ შესატყვისის რთულ სიტყვებთან. წმ. გიორგი მთაწმიდელი იყენებს არამარტო

<sup>3</sup> მსგავსი მაგალითები იხ.: გრიგოლ ნოსელი 2013: 34-37.

ქართულ ენაში უკვე არსებულ კომპოზიტებს, არამედ ქმნის კომპოზიტებს ახალ ფორმებსაც. 5) ლექსიკური მასალის ანალიზი აუცილებელია ბერძნულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობების შესასწავლად.

გვინდა მადლობის გრძობით გავიხსენოთ ან განსვენებული მეცნიერი, გულნაზ კიკნაძე, რომელმაც გასული საუკუნის 60-იან წლებში კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში (ამჟამინდელი კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი) გამოსაცემად მოამზადა გრიგოლ ნოსელის "ქება ქებათაესაჲს თარგმანების" ქართული თარგმანი. ეს წერილიც ძირითადად ემყარება გულნაზ კიკნაძის მიერ ქართული თარგმანის შესწავლის შედეგად მოპოვებულ მასალას.

ნაშრომი გულნაზ კიკნაძის საკანდიდატო დისერტაცია იყო, რომელიც რიგი მიზეზების გამო იმ დროს ვერ გამოიცა. დღესდღეობით ამ დისერტაციის კვლევით ნაწილს ველარ მივაგენით, ამიტომ 2013 წლის გამოცემას წავუძღვარეთ გულნაზ კიკნაძის ორი, ცალკე გამოქვეყნებული სტატია. ნაშრომის ავტორეფერატის გაცნობამ ჩვენთვის ნათელი გახადა, რომ მისი დაკარგული გამოკვლევის ძირითადი დასკვნები და სათანადო საილუსტრაციო მასალა საკმაოდ სრულად არის წარმოდგენილი ამ ორ წერილში.

ქართული თარგმანის ტექსტი გამოსაცემად მომზადებულია XII საუკუნის ხელნაწერ A-55-ის, XII-XIII საუკუნის A-108-ისა და XVIII საუკუნის Q-1052-ის მიხედვით. რაც შეეხება XI საუკუნის ნუსხას, Ath. 49-ს, რომელიც წმ. გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფია და რომელშიც, აგრეთვე, დაცულია ეს ტექსტი, საქართველოში მისი მხოლოდ ძალიან უხარისხო, ძნელად ნასაკითხი ფოტოპირი მოიპოვება, რა მიზეზითაც, როგორც ჩანს, გულნაზ კიკნაძემ თავის დროზე ვერ გამოიყენა ის და ვერ ასახა გამოსაცემად მომზადებულ ტექსტში. ზემოთ ჩამოთვლილი სამი ხელნაწერის მიხედვით მომზადებული ტექსტის გარკვეული ნაწილი შეუდარეთ Ath. 49-ის ფოტოპირს იმ განზრახვით, რომ მნიშვნელოვანი სხვაობების არსებობის შემთხვევაში ამ უკანასკნელის ნაკითხვები შეგვეტანა გამოცემაში. აღმოჩნდა, რომ განსხვავებები Ath. 49-სა და ზემოთ ჩამოთვლილ სამ ნუსხას შორის არ სცილდება ფონეტიკურ-ორთოგრაფიულ ფარგლებს. ამის გამო წმ. გრიგოლ ნოსელის ნაშრომის – „თარგმანება ქებისა ქებათაესაჲ“ – ქართული თარგმანი გამოქვეყნდა იმ ნუსხათა ფარგლებში, რომელშიც მოამზადა ის განსვენებულმა მკვლევარმა.

#### გამოყენებული ლიტერატურა

1. **გრიგოლ ნოსელი 2013:** წმიდა გრიგოლ ნოსელი, თარგმანება ქებისა ქებათაესაჲ, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო გულნაზ კიკნაძემ, რედ. ნინო მელიქიშვილი, 2013.

**Gulnaz Kiknadze, Nino Melikishvili**

**THE GEORGIAN TRANSLATION OF ST. GREGORY OF NYSSA'S  
 "THE COMMENTARY ON THE SONG OF SONGS"  
 (CANTICUM CANTICORUM)**

**SUMMARY**

The Georgian translation of an exegetic work by a 4<sup>th</sup> century great Byzantine theologian St. Gregory of Nyssa – "The Commentary on the Song of Songs (Canticum Canticorum)" – was done by St. George the Athonite – the greatest church father and theologian of the 11<sup>th</sup> century. "The Song of Songs" is a biblical book, having one of the most hidden content. Many Saint Fathers have worked on its commentaries. That is why St. Gregory of Nyssa's work is of great value and importance both for the researchers of the Old Georgian literature and all the interested readers. St. Gregory of Nyssa's comprehensive explanations, which are based on the Holy Script, are supplied so that at the same time they are definitions for a great part of the Biblical text. Therefore, "The Commentary on the Song of Songs" is far more than commentaries for one, even most important, Biblical Book and is the most large-scale and valuable work.

St. Gregory of Nyssa inserted into or added to his own work additional commentaries. These commentaries and expressions concern both the relations of Hebrew original of the Bible and its Greek translation, on the whole, and reference of separate elements in the Hebrew original and the Greek translation (namely, of lexical and phraseological units). In St. Gregory of Nyssa's opinion, the translation should be perfectly adequate to the original. So, the translator should have deep and thorough knowledge of Hebrew. He should find exact appropriate word to match all the words to be translated. In case such appropriate words exist, St. Gregory of Nyssa considers it possible to put them into the translation unchanged. St. Gregory of Nyssa has added to the text of "The Commentary" some such commentaries on history and meaning of any word, which are of great value for studying and determining the Greek text of "The Song of Songs". In some cases some words, put unchanged into the Georgian translation of the Biblical Book, become clear. Discussing the meanings of separate words St. Gregory of Nyssa validates parallel places from different books of the Bible. Therefore, the great Byzantine theologian St. Gregory of Nyssa did work of lexicological character and accumulated in the Holy Script different samples of use of lexemes. The fact that St. George the Athonite translated these commentaries is of great value for the history of the Georgian translation of the Bible.

The Georgian translation of the explanatory text (till article 8 of chapter VI) of "The Song of Songs" inserted into St. Gregory of Nyssa's work is a valuable source for investigating St. George the Athonite's translation method and language peculiarities. Consequently, this translation is of great importance for the history of the Georgian literary language. St. George the Athonite's translation coincides with the 17<sup>th</sup> century so-called Mtskheta Bible (A-51) text. The difference between them is only within minor variant readings. While translating

the text of "The Song of Songs" St. George the Athonite had at his disposal an old Georgian translation of this biblical book, which is also included in the 17<sup>th</sup> century Mtskheta Bible (A-51). St. George the Athonite used this translation and to some extent made it closer to the Greek translation (we mean here the text of "The Song of Songs" inserted into St. Gregory of Nyssa's work). This fact once more proved the opinion existing in the scholarly circles, according to which it was characteristic for St. George the Athonite's translating work to take old recensions into consideration.

The present article discusses the language of the Georgian translation of St. Gregory of Nyssa's work – "The Commentary on the Song of Songs (Canticum Cantorum)" and the following important conclusions are made: 1) in many cases the words assimilated through the literary relations or oral way from the Greek language in different terms and different times are brought into the translation in an unchanged form. Some Greek or Hebrew terms are explained and interpreted in the translation, which follows from the character of the work to be translated. The fact that the Greek or Hebrew words, put into the translation unchanged, are numerous is caused by the exegetic character of the literary monument – the toponyms and proper names are used in abundance; 2) in the Georgian translation of the work the translator uses many words of rare usage, a part of which are used with figurative meaning and to specify them the author of the article applies corresponding contexts of the Greek original; 3) one of the sources for lexical diversity of the Georgian translation is composites. To form them St. George the Athonite uses nearly all the means of word formation of the Georgian language; 4) the language of the Georgian translation is rich in composite words. These composites, from the lexical and semantical viewpoint, are in full compliance with corresponding compound words of the Greek language. It should also be mentioned that St. George the Athonite uses not only the composites already existing in Georgian, but forms new forms of composites as well.

The Georgian translation of this most important exegetic work was prepared to be published by the late scholar Gulnaz Kiknadze at the Korneli Kekelidze Institute of Manuscripts in the sixties of the last century. The text with the attached critical apparatus, vocabulary and preceding two issues of the research was published only in 2013. This issue mainly relies on the study of the Georgian translation material, gained by Gulnaz Kiknadze.

## სათუნა გაფრინდაშვილი

### ლექციონარის უცნობი ფრაგმენტები A-1390 ხელნაწერის მიხედვით

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ქართულ ხელნაწერთა საცავში A-1390 ნომრით დაცულია კრებული, რომელიც წარმოადგენს საგალობლებსა და წმინდანთა ცხოვრებებს. ხელნაწერი პალეოგრაფიულად თარიღდება XV საუკუნით, საკმაოდ მცირე ზომისაა (145×125), შედგება 63 ფურცლისაგან, დაშლილი და დაზიანებულია. ნაწერია შავი მელნით ნუსხურად.

კრებული შეიცავს კვირიკესა და ივლიტას, კოზმასა და დამიანეს საგალობლებს, წმ. გიორგის, წმ. თევდორეს წამებებს და ევსტრატის წამების ფრაგმენტს. ხელნაწერს ახლავს ანდერძი, რომლის თანახმად ხელნაწერის გადაწერი ყოფილა ვინმე ანტონი:

„წმიდაო გიორგი! შეივედრე სული ცოდვილისა ანტონი მწერალისა დღესა მას განკითხვისასა. ამინ“ (34r).

სამწუხაროდ, არ არის ცნობილი ხელნაწერის გადაწერის ადგილი; ხელნაწერთა აღწერილობიდან ცნობილია, რომ კრებული ინახებოდა სვანეთში, სვანეთიდან თბილისში კი აკ. შანიძემ ჩამოიტანა 1921 წელს (A ფონდის აღწერილობა 1954: 488-489).

A-1390 კრებული მთლიანად პალიმფსესტია. მისმა შესწავლამ გვიჩვენა, რომ XV საუკუნით დათარიღებული კრებული ოთხი სხვადასხვა ადრეული ხელნაწერის გადაფტეკის შედეგად არის მიღებული. ამჯერად ყურადღებას შევაჩერებთ ქვედა ფენის ერთ ხელნაწერზე, რომელიც მხოლოდ ორი (32rv-33rv) ფურცლით არის შემონახული. ეს ფურცლები შუაზე გაკეცილ ერთ პალიმფსესტურ ფურცელს წარმოადგენს. ნაკითხვის ხარისხის მიხედვით, პალიმფსესტი II-III კატეგორიით შეიძლება განისაზღვროს. ტექსტი ნაწერია ორ სვეტად, ზედა ტექსტის პერპენდიკულარულად (90°), თითოეული სვეტის სიგანე 80 მმ-ია, სვეტებს შორის მანძილი – 10 მმ; შემორჩენილია 27/29 სტრიქონი, თითოეულ სტრიქონში 17/18 გრაფემაა წარმოდგენილი. ზედა და მარცხენა არშია მოჭრილია, ქვედა არშიის ზომა 15 მმ-ია, მარჯვენა არშიისა კი – 10 მმ. სვეტებისა და არშიების ზომების გათვალისწინებით თუ აღვადგენთ ხელნაწერის თავდაპირველ ზომას, მივიღებთ საკმაოდ დიდი ფორმატის ხელნაწერს – დაახლოებით 255×150 მმ ზომისას.

ტექსტი მრგვლოვანი ასომთავრულია, ნაწერია ყვეისფერი მელნით, ურთ-  
 გან შემორჩენილია წითელი მელანი, რომელიც გადასვლის გამო აგურისფერი  
 გამხდარა; ხანმეტობა და ჰაემეტობა ტექსტისათვის დამახასიათებელი არ არის;  
 სიტყვებს შორის მანძილი დაცულია; ხშირია დაქარაგმება; საზედაო გრაფემები  
 გადის ჩარჩოდან და სამი სტრიქონის ზომას მოიცავს.

სტრუქტურისა და შინაარსის მიხედვით, A-1390 ხელნაწერის პალიმფსეს-  
 ტური ფურცელი ლექციონარის ფრაგმენტი უნდა იყოს. პალიმფსესტი შეიცავს  
 ნაწყვეტებს იოანეს სახარებიდან (თავი 8, 12-13; თავი 9, 32-39); საქმე მოცი-  
 ქულთადან (თავი 17, 22-28, 29-32) და იოანეს პირველი კათოლიკე ეპისტოლედან  
 (თავი 5, 1-10). ლექციონარის მ. თარხნიშვილის გამოცემაში წმინდა წერილის ეს  
 ადგილები, როგორც ლექციონარის საკითხავები, აღნიშნული არ არის (Tarchnis-  
 chvili 1959).

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის თანამშრომლებმა (ლ. ხევსურიანი, მ.  
 დოლაქიძე) მ. თარხნიშვილის გამოცემა შეავსეს ლექციონარის სხვადასხვა ხელ-  
 ნაწერის, მათ შორის, კალის ლექციონარის მიხედვით (ტექსტი გამოსაცემად  
 არის მომზადებული). A-1390 ხელნაწერის პალიმფსესტური ფრაგმენტი ყველაზე  
 მეტ სიახლოვეს კალის ლექციონართან ამჟღავნებს. ჩვენამდე მოღწეულ ლექ-  
 ციონარებს შორის კალის ლექციონარი, რომელიც პალესტინიდან უნდა მომ-  
 დინარეობდეს (დოლაქიძე, ხევსურიანი 1995: 64-80), ყველაზე სრულ და ძველ  
 ლექციონარად ითვლება. კალის ლექციონარი ამჟამად ინახება ხელნაწერთა  
 ეროვნულ ცენტრში (Q-1653). ჩვენი ფრაგმენტის კალის ლექციონართან შედარ-  
 ებამ ცხადყო, რომ პალიმფსესტი შეიცავს ზატიკის მეექვსე შაბათისა და კვირის  
 საკითხავებს.

კალის ლექციონარის მიხედვით, ზატიკის მეექვსე შაბათის საკითხავებია:

ესაია წინასწარმეტყველი, თავი 8, 5-9.

საქმე მოციქულთა, თავი 23, 31-35 – თავი 24, 1-11.

იოანეს სახარება, თავი 9, 1-41.

ზატიკის მეექვსე კვირაკწის საკითხავებია:

უცნობი.

საქმე მოციქულთა, თავი 17, 25-31.

იოანეს კათოლიკე ეპისტოლე, თავი 5, 2-10.

საქმე მოციქულთა, თავი 25, 20-27.

სახარება – უცნობი.

როგორც ვხედავთ, კალის ლექციონარს აკლია ზატიკის მეექვსე კვირაკწის  
 პირველი საკითხავი და საკითხავი სახარებიდან. A-1390 ხელნაწერის პალიმფ-  
 სესტური ფრაგმენტი ავსებს კალის ლექციონარის სწორედ ამ ნაკლულ ადგი-  
 ლებს.

A-1390 ხელნაწერის პალიმფსესტურმა ფურცელმა შემოგვინახა ზატიკის მე-  
 ექვსე შაბათი დღის სახარებიდან ნაწყვეტი (იოანეს სახარება, თავი 9, 33-38) და  
 მეექვსე კვირაკწის პირველი უცნობი საკითხავი (საქმე მოციქულთა, თავი 17,

22-28), მეორე საკითხავი (საქმე მოციქულთა, თავი 17, მუხლი 29-32), მესამე საკითხავი (იოანეს პირველი კათოლიკე ეპისტოლე, თავი 5, 1-10) და ნაწყვეტი უცნობი სახარებიდან (იოანე, თავი 8,12-13).

ჩვენი ვარაუდი, რომ A-1390 ხელნაწერის პალიმფსესტური ფურცელი კალის ლექციონარის ნაწილი შეიძლება ყოფილიყო, არ გამართლდა, თუმცა გრაფემების ზომითა და მოხაზულობით ფრაგმენტი ახლოს დგას კალის ლექციონართან. როგორც ჩანს, არსებობდა კიდევ ერთი ლექციონარი, რომელიც კალის ლექციონარის მსგავს ტექსტს შეიცავდა.

ამდენად, A-1390 ხელნაწერის ერთი პალიმფსესტური ფურცელი შეიცავს ლექციონარის დღემდე უცნობ საკითხავებს. პალეოგრაფიული, კოდიკოლოგიური და ორთოგრაფიული ნიშნების გათვალისწინებით, A-1390 ხელნაწერის პალიმფსესტური ფურცელი X საუკუნით თარიღდება.

ქვემოთ მოგვაქვს პალიმფსესტში დაცული ტექსტი ისე, როგორც ის ხელნაწერშია წარმოდგენილი (ორთოგრაფიისა და სტრიქონებზე ტექსტის განლაგების გათვალისწინებით), ასევე, საკითხავების უკეთ აღსაქმელად, გაბმული ტექსტი.

ყველგან, სადაც შესაძლებელი იყო, ტექსტი აღვადგინეთ სტრიქონში გრაფემათა რიცხვის გათვალისწინებით. სახარებისეული ტექსტებისა და კათოლიკე ეპისტოლეთა საკითხავების აღდგენისას ვისარგებლეთ კათოლიკე ეპისტოლეთა ქეთევან ლორთქიფანიძისეული გამოცემით (კათოლიკე ეპისტოლეები 1956) და ლექციონარის საკითხავების ელექტრონული ვერსიით (<http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/texte/etcs/cauc/ageo/lekt/lektpar/lektp.htm?lektp001.htm#Lect.Par>); საქმე მოციქულთას საკითხავის აღდგენისას კი გამოვიყენეთ ილ. აბულაძის მიერ გამოცემული „საქმე მოციქულთა ძველი ხელნაწერების მიხედვით“ (საქმე მოციქულთა 1950) და ტექსტების ელექტრონული ვერსია ([http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/texte/etcs/cauc/ageo/nt/sakme/sakme.htm?sakme001.htm#NT\\_Act](http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/texte/etcs/cauc/ageo/nt/sakme/sakme.htm?sakme001.htm#NT_Act)). ლექციონარის საკითხავები მიჰყვება „საქმე მოციქულთას“ უძველესი რედაქციის ხელნაწერებს – S-407 (X ს.) და S-1398 (X ს.).

33v-32r (იხ. სურ. 1)

1 (იოანეს სახარება, თავი 9, 33-38) {...}	[ოვცნაოვრი ღმერთი რომელ- იგი არღა იცი]
2 {...} შემძღებელ იყო საქმედ	თ და მსახ[ოვრებთ მას]
3 მოვგეს და ჰ(რ)ქ(ოვე)ს ცოდვა	ხ(ოლო) მე გახარ[ებ თქოვენ ღმერთ]
4 სა შ(ინ)ა შობილ ხ(არ) შენ] ყ(ოვ)ლ(ა) დ დ	სა [რომელმან] შექმ- ნა ს[ოფელი და ყოველი რაე არს]
5 ა შ(ენ) გოვასწავებ ჩ(ოვე)ნ და გ(ან)	მას შ(ინ)ა ეს[ე ცისა და ქოვეყან]
6 წ[ა]დეს იგინი გარე ესმა	ის(ა)ე არს ო(ვფალი) [არა წელით ქმ]
7 ი(ესო)ვ[ს] რ(ამეთუ) გ[ა]ნაძეს იგი [გა] რე პ	ნო(ვ)ლთა ტაძ[ართა შინა დამკ]
8 ოვა იგი და ჰ(რ)ქ(ოვე)ა შ(ენ) გრწა	ოვდრებოვლ [არს არცა კაცო]
9 მს ძეჲ ღ(მრთისა)ჲ მოვგო მ(ან)	ბრევთა წ[ე]ლთა შინა იმსა]
10 და ჰ(რ)ქ(ოვე)ა ვინ არს იგი ო(ვფალი)ო რ(ათ)ა	ხოვრების [ვითარმცა მოქენე]
11 მრწმენეს და ჰ(რ)ქ(ოვე)ა მას იხი	ვისამე იყო]
12 ლე იგი[ნი] და რ(ომელი) იტყვს შ(ე) 6 თა	რ(ამეთოვ) იგი არს რ(ომელი) [მოს- ცემს ყოველთა]
13 ნა [იგი არს ხოლო მან] ჰ(რ)ქ(ოვე)ა მას მრწამს ო(ვფალი)ო	ცხოვრებასა [და სულსა და]
14 და თაყოვანის სცა მას	ყოველივე შექმ[ნა ერთისაგან]
15 {...}	სისხლისა [ნათესავენი კაცთანი]
16 {...} სინმ(ი)დ(ი)ს(ა)ჲ	დამკოვდრ(ე)ბა[დ ყოველსავე ზედა პირ]
17 {...}	სა ქ(ოვე)ყ(ა)ნის(ა)სა
18 (საქმე მოციქულთა, 17, 22-28) წ(მი)დ(ი)სა კ(ა)თ(ოლი)კ(ე)სა {...}	გან[აჩ]ინნა ბრ[ძანებულნი]
19 {...} შ(ენ)და {...} ყ(ოვე)ლსა	ჟ(ა)მნი და საზ[ღვრის დადებანი]
20 შეგესემინ საკ(ით)ხ(ავ)ი საქ[მ]მ მ(ო) ც(ი)ქ(ოვლ)თაჲ	დამკოვდრების[ა მათისანი მო]
21 მ(ა)შ(ი)ნ ადგა პავლე შ(ორი)ს ა	ძიებ(ა)დ ღ[ვთ]ისა [ოვკეთოვ]
22 რიოპაგესა და თქ(ოვე)ა კ(ა)ცნ	მცა ვინმე ეძიებდა პოვა და რამეთოვ]
23 ო ათენელნი ყ(ოვე)ლთა [ვითარ]ცა მრჩობლ ეშმაკეოვლთა	არა შორს არს [კაცად-კაცადისაგან] ჩ(ოვე)ნისაგ(ან) [რამეთოვ მის მიერ ცხო]
24 გხედავ თქ(ოვე)ნ მიმორავე	ველ ვართ ვ(ითა)რ[ცა-იგი ვინმე თქოვენ]
25 იქცეოდე და ვიხილევდ	გ(ა)ნნი სიტყვს მ[ოქმედნი იტყ]
26 სამსახოვრ(ე)ბ(ე)ლსა თქ(ოვე)ნ	ოვან ვ(ითარმ)ედ რ(ომ)ლი[სა იგი ნათ]
27 სა ვპოვე ბომონი რ(ომე)ლსა	ესავცა ვარ[თ]

33r-32v (იხ. სურ. 2)

1 (საქმე მოციქულთა, თავი 17, მუხლი 29-31) {...}	[სძლევეს სოფელსა და ესე არს ძლევაჲ რომელი]
2 {...} და ვეცხ	სძლევეს სოფელსა სარ
4 [ლსა ანოქ] ანთრაქსა	წმონობაჲ ჩ(უენი)ენ ეს[ე]
5 გამობხატო	არს რ(ომ)ლითა ესე არს
6 [ვლსა ხოვროებ]ით გ(ა)ნზრახ	რ(ომე)ლი მოვიდა წყლითა და
7 [ვი]თა: რ(ამეთოქ) უ(ა)მნი	სისხლითა და რ(ომე)ლი არს მ
8 [იგინი ოვმეტრები]ს(ა)ნი ოვგოვლ	ონამშ რ(ამეთუ) სოვლი არს [ჭ]ე[შ]მ(ა)რი
9 [ებელს-ყენა ღმერთ]მ(ა)ნ და ან ამც	ტებისაჲ რ(ამეთოქ) სამნი არი[ან] რ(ომე)ლნი
10 [ნებს ყოველთა კაცთ]ა ყ(ოველ)სა ადგი	რ(ომე)ლნი წამებენ სოვლი სისხლი
11 [ლსა შენანებ]ად ვითარცა-იგი] და(ა)მტ-კიცა დღ[ე]	და წყალი და სამნივე
12 [რომელსა შინა ეგოქ]ლების განკითხ	ესე ერთისა მიმართ არ(ია)ნ
13 [ვაჲ სოფლის]აჲ სიმ(ა)რთლით	ოკოვეთოქ [წამება]ჲ კ(ა)ცთ(ა)ჲ
14 [კაცითა მით რომელი] განაჩინა ს	მოვიღოთ [წამება] ღმრთისაჲ ოკ
15 [არწმოვნობე]აჲ მოსცა ყ(ოვე)ლ	ფროს არს რ(ამეთოქ) ესე არს
16 [თა რამეთუ აღადგინ]ა იგი მკოდრეთით	წამებ(ა)ჲ ღ(მრთისა)ჲ რ(ამეთოქ) წამა ძ[ისა]
17 (იოანეს პირველი კათოლიკე ეპისტოლე, თავი 5, 1-10) {...}ს კ(ა)თ(ო)ლი(კ)მ	მისისათჳს
18 [ყოველსა რომელსა] პ[რ]ნმენეს რ(ამეთოქ) ი(ესო)კ	რ(ამეთოქ) რ(ომე)ლსა პ[რ]ნმენეს ძმ
19 [არს ქრისტე იგი ღმრთი]საგან შობილ	ღ(მრთისა)ჲ აქოვს წამებაჲ იგი ღ(მრთისა)ჲ
20 [არს და ყოველსა რომელ]სა ოკყოვა	თავისა თჳსისა თ(ა)ნა
21 [რდეს მშობელი] იოკყოვარდ	(იოანე, თავი 8,12-13) ს(ა)ხ(ა)რებაჲ {...}
22 [ეს შობილიცა] იგი მისგ(ა)ნ	მე ვარ ნათელი სოფლისაჲ
23 [ამით უწყო]დით	რ(ომე)ლი შემომიდგეს მე ა
24 [რამეთუ გყოვარან] შვილნი ღ(მრ)თის(ა)ნი	რა {...} ვიდოდის ბნ
25 [რაჟამს ღმერთი] გყოვარდეს	ელსა [არამედ] აქოვნდით ნა
26 [და მცნებათა მისთა] ვიმარხვიდეთ	თელი ცხორებისაჲ პრქოკ
27 [რამეთუ ესე არს] სიყოვაროვლი ღ(მრთი) ს(ა)ჲ რ(ა)თა	ეს მას ფარისევ[ელ]თა
28 [მცნებათა მისთა] ვიმარხოვიდ(ე)თ	შ(ე)ნ თავისა შენისათჳს
29 [და მცნებანი] მისნი მძიმე არიან	სწამებ და წამებაჲ შ(ე)ნ[ი]
30 [რამეთოქ ყოველი რომელი] შობილ იყო] ღ(მრ)თი[საგან]	არა არს ჭეშმარიტ....

33v-32r (იხ. სურ. 1)

**იოანეს სახარება, 9, 33-38**

33. {...} შემძლებელ იყო საქმედ. 34. მიუგეს და ჰ(რ)ქ(უ)ეს: ცოდვასა შ(ი)ნა შობილ ხ(ა)რ [შენ] ყ(ოველ)ად და შ(ენ) გუასნავებ ჩ(უ)ენ? და გ(ან)წ(ა)დეს იგინი გარე. 35. ესმა

ი(ესუ)ს, რ(ამეთუ) გ(ა)ნადეს იგი [გა]რე, პოვა იგი და ჰ(რ)ქ(უ)ა: შ(ენ) გრნამს ძეს ლ(მრთისა)ჲ? 36. მიუგო მ(ა)ნ და ჰ(რ)ქ(უ)ა: ვინ არს იგი, უ(ფალ)ო, რ(აათ)ა მრწმენეს? 37. და ჰ(რ)ქ(უ)ა მას: იხილე იგინი, და რ(ომელი) იტყვს შ(ენ) თანა, [იგი არს. 38. ხოლო მან] ჰ(რ)ქ(უ)ა მას: მრწამს, უ(ფალ)ო! და თაყუანის სცა მას {...} {...} სინმ(ი)დ(ი)ს(ა)ჲ


**საქმე მოციქულთა, 17, 22-28**

{...} ნ(მი)დ(ი)სა კ(ა)თ(ოლი)კ(ე)სა {...}{...} შ(ენ)და {...} ყ(ოველ)სა შეგე-სემინ საკ(ით)ხ(ა)ვი სა[ქ]მმ მ(ო)ც(ი)ქ(უ)ლთაჲ 22. მ(ა)შ(ი)ნ ადგა პავ-ლე შ(ო)რიის არიოპაგესა და თქ(უ)ა: კ(ა)ცნო ათენელნო, ყ(ოველ)თა, [ვითარ] ცა მრწობლ ეშმაკეულთა გხედავ თქ(უ)ენ. 23. მიმო-რაჲ-ვიქცეოდე და ვიხილედ სამსახურ(ე)ბ(ე)ლსა თქ(უ)ენსა, ვპოვე

ბომონი, რ(ომე)ლსა [უცნაური ღმერთი რომელ-იგი არღა იცი]თ და მსახურებთ მას, ხ(ოლო) მე გახარებ თქუენ, 24. ღმერთსა, [რომელმან] შე-ქმნა სოფელი და ყოველი რაჲ არს] მას შ(ი)ნა. ეს[ე] ცისა და ქუეყანის(ა)ჲ არს უ(ფალ)ი, [არა წელით ქმნულთა ტაძართა შინა დამკუდრებულ [არს, 25. არცა კაცობრივთა წელთა შინა იმსახურების, [ვითარმცა მოქენე] ვისამე იყ[ო,] რ(ამეთუ) იგი არს, რ(ომელი) [მოსცემს

ყოველთა]ცხორებასა [და სულსა. 26. და]ყ(ოველ)ივე შექმნა ერთისაგან] სისხლისა

[ნათესავნი კაცთანი] დამკუდრ(ე)ბად ყოველსავე ზედა პირსა ქ(უ)ეყ(ა)ნის(ა)სა, გან[აჩ]ინნა ბრ[ძანებულნი] ყ(ა)მნი და საზღვრის დადებანი] დამკუდრების[ა მათისანი მოძიებ(ა)დ ღვთისა; 27. [უკეთუ]მცა ვინმე ეძიებდა, პოვა, და რამეთუ არა შორს არს] კაცად-კაცადისაგან ჩ(უ)ენისა-გ(ან), 28. [რამეთუ მის მიერ ცხოველ ვართ, ვ(ითა)რ[ცა-იგი ვინმე თქუენ]გ(ან) -ნი სიტყვს მოქმედნი იტყუან ვ(ითარმე)დ: რ(ომ)ლი[სა-იგი ნათესავცა ვართ]



სურ. 1. A-1390 33v-32r

33r-32v (იხ. სურ. 2)

**საქმე მოციქულთა, 17, 29-31**

29. {...}{...} და ვეცხ[ლსა ანუ] ანთრაკსა, გამოხატულსა ხურობე[თ]ით გ(ა)ნზრახ[ვითა], 30. რ(ამეთუ) ჟ(ა)მნი [იგინი უმეცრებე]ს(ა)ნი უგულ[ებელს-ყვნა ღმერთ]მ(ა)ნ და ან ამც[ნებს ყოველთა კაცთ]ა ყ(ოველ)სა ადგი[ლსა შენანება]დ; 31. ვითარცა-იგი და(ა)მტკიცა დღ[ე], [რომელსა შინა ეგუ]ლები[ს განკითხ]ვ[ა] სოფლისა]ჲ სიმ(ა)რთლით, [კაცითა მით, რომელი განაჩინა ს[არწმუნოება]ჲ, მოსცა ყ(ოველ)თა, რამეთუ აღადგინა იგი მკოდრეთით.


**იოანეს პირველი კათოლიკე ეპისტოლე, 5, 1-10**

{...}ს კ(ა)თ(ო)ლი(კ)მ. 1. [ყოველსა რომელსა პ]რწმენეს, რ(ამეთუ) ი(ეს)უ [არს ქრისტე, იგი ღმრთი]საგან შობილ [არს და ყოველსა რომელსა უყუარდეს მშობელი, უყუარდეს შობილიცა] იგი მისგ(ა)ნ. 2. [ამით უწყო]დით, [რამეთუ გკყუარან შვილნი ღ(მრ)თის(ა)ნი, [რაჟამს ღმრთი გკიყუარდეს [და მცნებათა მისთა ვიმარხვიდეთ.]

3. [რამეთუ ესე არს სიყუარული ღ(მრთი)ს(ა)ჲ, რ(ა)ითა [მცნებათა მისთა] ვიმარხვიდეთ [და მცნებანი] მისნი მიძიმე არიან. 4. [რამეთუ ყოველი, რომელი შობილ იყო] ღ(მრ)თი[საგან,] სძლევს სოფელსა და ესე არს ძლევაჲ, რომელი სძლევს სოფელსა სარწმონოებაჲ ჩ(უე)ნი. 5. ეს[ე] არს, რ(ო)მლითა ესე არს, 6. რ(ო)მელი მოვიდა წყლითა და სისხლითა და რ(ო)მელი არს მონამს, რ(ამეთუ) სული არს [ჭე]ე[შ]მ(ა)რიტებისაჲ. 7. რ(ამეთუ) სამნი არი[ან], რ(ო)მელი 8. რ(ო)მელ-ნი წამებენ: სული, სისხლი და წყალი. და სამნივე ესე ერთისა მიმართ არ(ი)ან. 9. უკუეთუ [წამება]ჲ კ(ა)ცთ(ა)ჲ მოვილოთ, წ[ამება] ღმრთისაჲ უფროჲს არს, რ(ამეთუ) ესე არს წამება(ა)ჲ ღ(მრთისა)ჲ, რ(ამეთუ) წამა ძ[ისა] მისისათვის. 10. რ(ამეთუ,) რ(ო)მელსა პრწმენეს ძმ ღ(მრთისა)ჲ აქუს წამებაჲ იგი ღ(მრთისა)ჲ თავისა თვისა თ(ა)ნა

**იოანეს სახარება, 8,12-13**

ს(ა)ხ(ა)რებაჲ {...} 12. მე ვარ ნათელი სოფლისაჲ. რ(ო)მელი შემომიდგეს მე, არა {...} ვიდოდის ბნელსა, [არამედ] აქუნდით ნათელი ცხორებისაჲ. 13. პრქუეს მას ფარისეველ[თა შე]ენ თავისა შენისათვის სწამებ და წამებაჲ შე(ე)ნი[არა არს ჭეშმარიტ]{...}



სურ. 2. A-1390 33r-32v

## გამოყენებული ლიტერატურა

1. **დოლაქიძე... 1995:** დოლაქიძე მ., ხევსურიათა ლ., კალის ლექციონარის დათარიღებისათვის, ფილოლოგიური ძიებანი, თბ., 1995.
2. **კათოლიკე ეპისტოლეები 1956:** კათოლიკე ეპისტოლეთა ქართული ვერსიები X-XIV საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა ქეთევან ლორთქიფანიძემ აკაკი შანიძის რედაქციით, თბ., 1956.
3. **საქმე მოციქულთა 1950:** საქმე მოციქულთა ძველი ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა ილ. აბულაძემ ა. შანიძის რედაქციით, თბ., 1950.
4. **A ფონდის აღწერილობა 1954:** საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერები (A კოლექცია), კ. კეკელიძის საერთო რედაქციით, ტ. IV, შეადგინა ქრ. შარაშიძემ, თბ., 1954.
5. **Tarchnischvili 1959:** Le grand Lectionnaire de l'église de L'Jérusalem (Ve-VIIIe siècle), Tome I, édité par Michael Tarchnischvili, Louvain, 1959.

**Khatuna Gaprindashvili****AN UNKNOWN FRAGMENT OF THE LECTIONARY A-1390****SUMMARY**

The National Centre of Manuscripts houses a collection A-1390 in the repository of Georgian manuscripts dated to the 15<sup>th</sup> century paleographically. The collection comprises hymns and the Lives of the Saints. The manuscript is written in Nuskhuri; according to its colophon the scribe must have been a certain Anton. The manuscript is a palimpsest. The study of the lower layers revealed four different manuscripts.

In this research we investigate one of the palimpsest manuscripts, which has been preserved only in two folios (32rv- 33rv). These folios were folded into two. It is written in mrgvlovani asomtavruli. Xanmetoba (archaic use of the letter khan) and haemetoba (archaic use of the aspirate hae) is not characteristic for the text; there are spaces between the words; the usage of titles of abbreviation is common; initial graphemes exceed the frame and comprise the space between three lines.

The study of the palimpsest folio made it clear that the fragment of A-1390 has readings of a Lectionary that were unknown till today. The palimpsest has an excerpt from the Gospel (John's Gospel, 9:33-38) sixth Saturday of Triodion and the first unknown reading of the sixth Sunday (The Acts, 17:22-28), second reading (The Acts, 17:29-31), third reading (First John, 5:1-10) and excerpt from an unknown reading for Lectionary (John, 8:12-13).

Taking into consideration paleographic, codicological and orthographic features, the palimpsest folio of A-1390 can be attributed with confidence to the tenth century.

ნანსტან სულავა

## ფილიპე ბათლემალის საგალობლის თვალთა და ფართამეტყველება ქრისტიანული ფარწარის კონტაქსტში

სინის მთის ორ ქართულ ხელნაწერში, იადგარებში – Sin-59 და Sin-64 – დაცულია ფილიპე ბეთლემელის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიერ მაცხოვრის შობისადმი მიძღვნილი თექვსმეტმარცვლიანი მაღალი შაირით შესრულებული ცამეტსტრიქონიანი საგალობელი. იგი მხოლოდ სინურ ხელნაწერებში გვხვდება და არ გავრცელებულა საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე ეკლესია-მონასტრებში, რასაც, როგორც ჩანს, გარკვეული მიზეზი უნდა ჰქონოდა. უცნობია, იცნობდნენ თუ არა მას საქართველოში. იგი იპოვა აკად. ნიკო მარმა, გადმოწერა, მოამზადა გამოსაცემად და პირველად გამოქვეყნდა 1940 წელს ნ. მარის წიგნში „Описание рукописей Синайского монастыря“, რომელიც გამოცემულია იოსებ მეგრელიძის მიერ.

საგალობელში ცამეტი სტრიქონის არსებობას სიმბოლური დატვირთვა აქვს, კერძოდ, მაცხოვრისა და მისი თორმეტი მონაფის ალუზიაა. იგი ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიერ მაცხოვრის შობას ეძღვნება და სახისმეტყველებით ღრმად დატვირთული ნაწარმოებია, რომელიც ბიბლიურ-ევაგელური ხატ-სახეებითა და მოტივებითაა გაჯერებული. საგალობელი საინტერესოა იმ მხრივ, არის თუ არა ქართულ ორიგინალურ საგალობლებში დადასტურებული მასში გამოყენებული ხატ-სახეები და ევაგელური მოტივები და აქვს თუ არა სიახლოვე მათთან მეტრულ-რიტმული და რითმული თვალსაზრისით (სულავა 1998: 90-104).

საგალობელი განსაკუთრებულ ყურადღებას თვალთა და ფერთა სახისმეტყველებით იქცევს. მასში ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი რამდენიმე ძვირფასი თვლის ხატ-სახითა და ფერებით წარმოიდგინება, რაც უშუალოდ უკავშირდება ქრისტიანულ ფერწერას, განსაკუთრებით საყურადღებო შობის თემის ხატები და ფრესკები. საგულისხმოა, რომ საგალობლისა და ხატწერის ურთიერთმიმართების კვლევა მომავლის პერსპექტივად გვესახება, ფილიპეს საგალობელი კი ამ თვალსაზრისით მყარ საფუძველს იძლევა, რისთვისაც საჭიროა ფრესკულ ხელოვნებასა და ხატობთან საგალობლის შედარებითი შესწავლა. ფილიპეს საგალობლის თემატიკის გა-

თვალისწინებით, იგი შედარებულია ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიერ მაცხოვრის შობის ხატებთან.

საგალობელში მოხსენიებული ძვირფასი თვლები – იაკინთი და ძონეული – ბიბლიური აარონის სამკერდულზე განლაგებულ 12 თვალთაგან უაღრესად მნიშვნელოვანია, რადგან სწორედ მათი მეშვეობით მოინიშნება სიმბოლურად ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა და მისგან მაცხოვრის შობის საიდუმლო.

საგალობელში ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი ოქროსფერისა და მენამულის შერწყმითაა წარმორჩენილი, ხოლო ძვირფას თვალთაგან იაკინთი და ძონეული ორგვარი გააზრების საშუალებას იძლევა, რადგან ისინი საკრალური მნიშვნელობისაა; ერთი მხრივ, როგორც ძვირფასი თვლები, სიმბოლურად ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის გენეალოგიას აღნიშნავენ, მეორე მხრივ, როგორც ძვირფას თვალთა ფერები, სიმბოლურად ქრისტიანული მსოფლმხედველობის კვალობაზე ზესთასოფლურ, ზეციურ არსებობას, სულიერებას გულისხმობენ.

ამ ძვირფას თვალთა სიმბოლურობა დროისა და სივრცის თვალსაზრისითაც არის განსახილველი, რადგან იაკინთი და ძონეული, როგორც თვლები და როგორც ფერები, ერთდროულად ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახეობრივ სივრცულ სამყაროსა და მის მიერ მაცხოვრის შობის მისტერიის მარადიულობას გულისხმობს. ძონეულით ყოვლადწმინდა ღვთისმშობელთან დაკავშირებული წმინდა ადგილი – ნაზარეთი – ხარების ადგილადაა წარმოსახული, რადგან სწორედ აქ ამცნო გაბრიელ მთავარანგელოზმა მარიამს მომავალი ღვთისმშობლობა; იაკინთი კი, როგორც იუდას ჩამომავალთა თვალი, ბეთლემში მაცხოვრის შობის წინასწარმეტყველებასა და ღვთისაგან მის გამორჩეულობაზე მიანიშნებს.

ფილიპეს საგალობელში ქრისტიანულ სიმბოლოთა, სახეთა, ძვირფას ქვათა და ფერთა სახისმეტყველება მონესრიგებულია და მიმართულია ერთის, უმაღლესის, უზენაესის გამოხატვისაკენ, კერძოდ, ღვთისმშობლის მიერ ქრისტესშობის მისტერიის სიტყვით გამოხატვისაკენ. როგორც მოსალოდნელი იყო, საგალობელი დიდადაა დავალებული ბიბლიური, განსაკუთრებით, ფსალმუნური პოეტური მეტყველებისაგან. იგი ღრმა სიმბოლურობით დატვირთული თხზულებაა, რომელშიც ავტორი თავის ძირითად სათქმელს, კაცობრიობის ისტორიის უმნიშვნელოვანეს ფაქტს – ადამიანის სულიერი განახლების დასაწყისს, მაცხოვრის ამქვეყნად მოვლინებას თემატური, აზრობრივი და ემოციური თვალსაზრისით, პირველივე ტაეპიდან მოყოლებული საგალობლის ბოლომდე, ამაღლებული სტილით, ქრისტიანული ლიტერატურისათვის დამახასიათებელი ხატ-სახეებით წარმოაჩენს. ცნობილია, რომ საგალობელში თემა, იდეა, რიტმი ერთიანობაშია და შესაქები ობიექტის განსაკუთრებულობას ათვალსაჩინოებს. ფილიპეს საგალობლის ძირითადი სათქმელი ქალწული დედისაგან მაცხოვრის შობაა, რაც კაცობრიობის ისტორიაში ერთჯერადია, იგი განუმეორებელია. ამიტომ ჰიმნოგრაფი საგალობლის დასაწყისშივე ქალწულ ღვთისმშობელს მიმართავს, როგორც ქალწულსა და ღვთისმშობელს:

*„ფესუთა მათგან ოქროვანთა შემკული ხარ შენ, ქალწულო,  
 იაკინთე ძონეული სამოსლად გაქუს, ღმრთისმშობელო“*

(Mapp 1940: 102-103).

უწინარეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ საგალობელში ყოველი ხატ-სიმბოლოთა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის გამორჩეულობაა მინიშნებული, რადგან კაცობრიობის ისტორიაში იგი ერთადერთი არის ქალწულთა შორის დედა და დედათა შორის ქალწული, იგი არის ღვთისმშობელი, იგი შემკულია ოქროვანი ფოჩით შემოვლებული სამოსლით, იგი არის იაკინთისა და ძონეულის სამოსელში. თითოეული მათგანი მოითხოვს საგანგებო დაკვირვებასა და განმარტებას. საგალობლის პირველი ტაეპი 44-ე ფსალმუნის მე-14 მუხლის სიტყვებს ეხმიანება: „ყოველი დიდებამ ასულისა მეუფისა შინაგან, ფესუდითა ოქროვანთა შემკულ არს და შემოსილ პირად-პირადად“ (ფს. 44,14). ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისადმი მიძღვნილ საგალობლებში ხშირია ფსალმუნისეული ამ სიტყვების პერიფრაზი. ღვთისმშობლის ერთ-ერთ შესხამაში, რომელიც „უძველეს იადგარშია“ დაცული, ვკითხულობთ: „ფესუდითა ოქროვანითა შემკულსა, პირად-პირადად შუენიერსა ვადიდებდეთ“ (უძველესი იადგარი 1980: 439).

ვფიქრობ, საჭიროა საგალობლის ამ ორ ტაეპში დამონშებულ ხატ-სახეთა ცალცალკე განხილვა და მათი სიმბოლური გააზრების საფუძვლების მოძიება, რათა სრულყოფილად წარმოჩნდეს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის საგალობლისეული სახე და შესაძლებელი გახდეს ფრესკებსა და ხატებთან მისი კავშირის დადგენა.

**„ფესუ//ფესუადი“.** დავიწყით ხატ-სახით „ფესუთა“, ფსალმუნის მიხედვით „ფესუედი“, რომელიც სიმბოლურ ფუნქციას ატარებს. იგი სულხან-საბა ორბელიანმა განმარტა თავის ლექსიკონში: „ფესუედი – ჰურიათა მწიგნობარნი, ფესუთა გამოიბემდენ სამოსელთა ქუეშე მოსაწვენებელად მცნებათა უფლისათა; ფესვ – ძირის ჩინილი, გინა სამოსლის ქვედა კერძი“ (სულხან-საბა ორბელიანი 1966: 166). ამ განმარტების მიხედვით, ფესვ/ფესუედი ორმაგი სემანტიკური ველის მქონე ხატ-სახეა, იგი ერთდროულად ასახავს უფლის მცნებათა დაცვას და სამოსლის პირს, რომელიც ფოჩიანია, ფოჩი, როგორც შესამკობელი, სამოსლის ბოლოს არის გარშემოვლებული. ფრესკებზე, ხატებზე ფესვ/ფესუედი განსაკუთრებული სიფაქიზით გამოისახება, აქ ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სამოსლის „ფესუ“, „ფესუედი“ მენამული ფერის სამოსელზე შემოვლებული ოქროსფერი/ოქროვანი ფოჩია. ეს ფერი, ოქროსფერი, მას უცოდველობისა და დიდებულების ნიშნად გასდევს. ოქროსფერი სულიერების, ზეციური სიდიადის, ამაღლებულობის სიმბოლოა, მენამული, სისხლისფერი – მიწიერებისა და მსხვერპლის შეწირვა-გაღებისა. ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სამოსლის მენამულობა მისი მიწიერების, ხორციელი ჩამოშავლობის, აგრეთვე, მის მიერ ღვთის ნებით მსხვერპლის გაღების მიმანიშნებელია. მასზე შემოვლებული ოქროსფერი ფოჩი კი ზეციური დედოფლობის, ზეციური მოქალაქობის, ზეცათა ქალაქის მკვიდრობის მიმნიშნებელია. 44-ე ფსალმუნის ზემოთ ციტირებული სიტყვები წინასწარმეტყველურია, რადგან „ასულისა მეუფისა“ ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის განსაკუთრებულობას წარმოაჩენს. მისი განსაკუთრებულობა კი მისი ერთადერთობაა. ფსალმუნთა განმარტებლები აღნიშნავენ: „სამოსელ დედუფლისა ეკლესიისა არიან სარწმუნოება, სასოება და სიყვარული, ხოლო რასათვის ოქროსქსოვილ და, არა სრულიად ოქროს, ესე მრავალფერობისათვის სათნოებათაჲსა, რამეთუ რომელნიმე

ქალწულებასა იმარხავს, და სხუა ქურიობასა შინა იღუნის, და სხუა სხუასა ირასამცე იქმს და სხუა – სხუასა“ (ფსალმუნთა განმარტებანი 1996: 39); „რაოდენი ესევეითარი შესამოსელი ჴორცითა განაშუენებს უმეტეს, ესე იგი არს, მადლნი საღმრთონი და სათნოებანი სულიერნი სულსა და გონებასა, ხოლო ეწოდების მასვე დედოფალსა და შემკობილსა სძალსა და ასულ სძალ შეყოფისათჳს და შეერთებისა სულიერისა და ასულ ნათლისღებისა. პირად-პირადად სულსა იტყვს სათნოებითა შემოსილსა“ (ფსალმუნთა განმარტებანი 1996: 41).

ამგვარივე სახისმეტყველებით წარმოაჩენს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატ-სახეს ერთ-ერთი „ღმრთისმშობლისანი“: „სამოსლითა პორფირითა და ფესუდითა ოქროქსოვილითა პირად-პირადად შემკობილსა სძალსა წმიდასა ყოველი ენაა ქებით უგალობს“ (ნევემირებული ძლისპირნი 1982: 145). აქ საკმაოდ რთული სახეებითაა მოაზრებული ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხორციელი და სულიერი სიდიადე, სრულყოფილება და ჰარმონიულობა. აქაც ნათლად შეინიშნება ფსალმუნის პოეტური მეტყველების კვალი.

მართალია, ფილიპეს საგალობელში წარმმართველია ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი, მაგრამ მაცხოვრის შობის ხატი, ქრისტეშობის ხატი აცოცხლებს ევანგელურ მონათხრობს შობის შესახებ, რაც გადმოცემულია მათესა და ლუკას სახარებებში, აგრეთვე იაკობის აპოკრიფულ სახარებაში, რომლებშიც, ცხადია, აქცენტირებულია მაცხოვრის მოვლინება. შობის ხატი მორწმუნე ადამიანს ღვთის განკაცებაზე დააფიქრებს და მიახედვრებს, რომ ღვთისმშობელი მაცხოვრის განკაცების თანაზიარია, შობა ადამიანის – იესოს ცხოვრების გზის დასაწყისია. ხატებზე ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი გამოისახება მენამული სამოსლით, რომელსაც ოქროსფერი აქვს შემოვლებული, ხოლო თავზე ნათლის გვირგვინი ადგას, რაც მისი ზეციური დედოფლობის ნიშანია.

**„ოქროვანთა“.** საგალობლის სრულყოფილი გააზრებისათვის გასათვალისწინებელია ოქროს სიმბოლური მნიშვნელობაც ბიბლიური და მასზე დამყარებული საღვთისმეტყველო ეგზეგეტიკური ლიტერატურის მიხედვით. მისი სიმბოლური აღქმა მკაცრი განსაცდელისა და მონამეობრივი განწმენდის იდეითაა ნასაზრდოები. ამიტომ გამოსახებიან წმინდანები ქრისტიანულ ფერწერაში ოქროს შარავანდედით მოსილნი. ოქრო და ოქროსფერი ქრისტიანობის გავრცელების პირველ საუკუნეებში მონამეობის სიმბოლო გახდა, რომლის საფუძველი ევანგელურ-აპოსტოლური სწავლება არის: „რათა გამოცდილება იგი სარწმუნოებისა თქუენისაა უპატიოსნეს უფროს ოქროსა მის წარწყმედადისა, ცეცხლისა მიერ გამოცდილისა იპოოს საქებელად და დიდებად და პატივად გამოჩინებასა იესუ ქრისტესსა“ (I პეტრე, I, 7); „განგაზრახებ შენ, რათა იყიდო ჩემგან ოქრო გამოჭურვებული ცეცხლითა, რათა განჰმდიდრე, და სამოსელი სპეტაკი, რათა შეიმოსო, და არა გამოცხადნეს სირცხვლი სიშიშულისა შენისა“ (გამოცხ. 3, 18). როგორც ოქრო გამოიწოვება ცეცხლში და განიწმინდება მინარევებისაგან, ისე განიწმინდება ადამიანის რწმენით ანთებული გული განსაცდელისას. მისი ბრწყინვალეების ტოლფარდია წმინდანთა ბრწყინვალეობა. ფილიპეს საგალობელში ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ოქროვანი სამოსლით შემკობა მისი

გამორჩეულობის ნიშანიცაა და ზეციური დედოფლობის, სინმინდის, უბინოების, უხრწნელობის სიმბოლოც. ამიტომ იწონდა ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი საღვთისმეტყველო წიგნებში „ოქროს ტაკუკად“, „ოქროს სასაკუმეველედ“.

ს. ავერინცევემა ოქროს სიმბოლური მნიშვნელობის განსაზღვრისას აღნიშნა: „ოქროს სიმბოლიკა უკიდურესი დამცირების უსასრულო დიდების გზაზე სვლის ქრისტიანული სიმბოლიკაა; რათა აინთოს იგი სპეტაკი ბრწყინვალეობით, ოქრო უნდა გამოიწროოს განსაცდელის ცეცხლში და განინმინდოს მასში, როგორც ადამიანის ანთებული გული განინმინდება განსაცდელისას. ...ოქროს ბრწყინვალეობა მოწამეთა ბრწყინვალეობის ბადალია“ (Аверинцев 1973: 49-51). მისივე დასკვნით, „ოქრო ბიზანტიელისათვის იყო სინათლის სახე, როგორც ქვეყნარტებისა და დიდებისა და ამის შემდეგ ღვთაებრივი ენერჯის სახე... ოქრო არის მუდმივი მეტაფორა უბინოებისა და უხრწნელებისა“ (Аверинцев 1973: 49-51).

ოქროს მხატვრული ფუნქციის განსაზღვრისას უპირველესად უნდა გავიხსენოთ გამოსლვათა წიგნში მონათხრობი მოსე წინასწარმეტყველის რჩევის შესახებ ებრაელთა მიმართ, რომ ღვთისაგან ნაბოძები მანანის მარცვლები შეენახათ ოქროს ტაკუკში, რათა მომავალ თაობებს მისცემოდა საუკუნეების მანძილზე შენახული მარცვლების ხილვის საშუალება (გამოსლ. 16, 33); ქრისტიანულ სიმბოლიკაში ოქროს ტაკუკი ყოვლადწმიდა ღვთისმშობელია. ჰიმნოგრაფიაში ამგვარი გააზრების უამრავი შემთხვევა დასტურდება. ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისადმი მიძღვნილ ტროპარებში „ოქროს სასაკუმეველედ“, „ოქროს ტაკუკი“, „ოქროს პალატი“ – ღვთისმშობლის სიმბოლოებია (ნიკოლოზ გულაბერისძე 2007: 72-73, 80).

წმ. ანდრია კრიტიკელი საკითხავში „შობისათვის ღმრთისმშობლისა“ 44-ე ფსალმუნის სიტყვებს – „დადგა დედოფალი მარჯუენით შენსა, სამოსლითა ოქროქსოვილითა შემკულ და შემოსილ პირად-პირადად“ – განმარტავს: „ვინაივცა, ვითარ ვჰგონებ, წინამხედველ იქმნა იგი მიერვე სასუფეველთათაგანსა შუენიერებასა და ჰაეროვნებასა სულისა მისისასა და მოასნავებდა მის შორის დაუნჯებულთა საღმრთოსა სულისა მადლთა, რამეთუ ვითარ-ესე მე გულისჴმა-ვჰყოფ, ესე არიან სამოსელნი და ფესუნი ოქროსანი და კუალად ვჰგონებ, ვითარმედ სახუეველად სამეუფოდ გულისჴმა-იყოფებოდის მადლი უვნებელობისა, რომლისა მინდობითა ვითარცა მეცნიერი გარეშესა მას და შინაგანსა ქმნულკეთილობასა ქალწულისასა“ (მეტაფრასული კრებულები 1986: 145). წმინდა მამა მიუთითებს, თუ როგორ განმზადდებოდა საღმრთო მადლი „სახუეველად სამეუფოდ“, რომელიც შემკული იყო ოქროს ფოჩებით, ოქროს გარემოსავლებით. იგი აზრს კიდევ უფრო აკონკრეტებს: „ესე არს ღმრთივმოქსოვილი შესამოსელი დავითისი, რომელმან ტაძარი ჴორცთა თვსთაე სახედ პორფირისა შეჰმოსა თესლისაგან დავითისსა განკაცებულსა მას“ (მეტაფრასული კრებულები 1986: 145). აქ უკვე პირდაპირაა ნათქვამი, რომ „ტაძარი ჴორცთაის“ შესამოსელი სიმბოლურად პორფირის სახით წარმოიდგინება, რაც დავითის თესლისაგან აღმოცენებულს, „განკაცებულსა მას“, ე. ი. იესო ქრისტეს ჰმოსავს; სამოსელი მაცხოვრისა „ღმრთივმოქსოვილია“. ყოველივე ეს კი მაცხოვრის განკაცებას მიანიშნებს. ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მოაზრება ოქროდ ადრეულ ხანაში მოღვაწე წმინდა

მამათა თხზულებებში დასტურდება და ჰიმნოგრაფიული ტრადიცია ბიბლიურ-ევა-  
 გელურთან ერთად მათ ემყარება. რაც შეეხება ხატებსა და ფრესკებზე გამოსახულ  
 ყოვლადმინდა ღვთისმშობლის სამოსელზე ოქროსფერისა და ოქროს ღომინირებას,  
 მას სიმბოლური ფუნქცია აკისრია; ოქროს სასაკმეველ, ოქროს ტაძარი, ოქროს ტა-  
 კუკი ძველი აღთქმის ის სიმბოლოებია, რომელთა მეშვეობით წინასწარმეტყველუ-  
 რად წარმოიდგინება ყოვლადმინდა ღვთისმშობელი, როგორც მშობელი ღვთისა და  
 კაცისა.

**იაკინთე.** საგალობლის მეორე ტაეუში ყოვლადმინდა ღვთისმშობლის მადლმო-  
 სილება და ნათლით მოსილობა, ნათლით შემკობა ძვირფას თვალთა და მათ ფერთა  
 სახისმეტყველებით წარმოჩნდება: „იაკინთე ძონეული სამოსლად გაქუს, ღმრთისმ-  
 შობელო“. აქ განსამარტებელია როგორც იაკინთე და ძონეული, ისე სამოსელი.

ყოვლადმინდა ღვთისმშობლის სამოსლად იაკინთისა და ძონეულის გამოყენებას  
 ღვთისმეტყველებაში ძალზე მნიშვნელოვანი და საინტერესო ახსნა აქვს. ეზეკიელის  
 ნიგნში ნათქვამია: „და შეგმოსნე შენ ჭრელენი და შეგასხნ შენ ჯაკინთი და მოგარ-  
 ტყ შენ ბისონი და გარემოგასხნ შენ ტრიხაპტონი. და შეგამკვე შენ სამკაულითა და  
 შეგასხენ სავლტენი გარე ჴელთა შენთა და მანიაკი გარემოსა ქედისა შენისა“ (ეზეკ.  
 16, 10-11). აქვე უნდა აღვნიშნო, რომ იაკინთი ძველ ქართულში რამდენიმე ვარიან-  
 ტული სახესხვაობითაა დადასტურებული: იაკინთი, იაკინთო, ჯაკინთე, ჯაკონთონი.

წმ. ეპიფანე კვიპრელმა სპეციალური საღვთისმეტყველო თხზულება მიუძღვნა  
 ძვირფას ქვებს და თითოეული მათგანის სიმბოლური მნიშვნელობა განსაზღვრა.  
 თორმეტი ძვირფასი და ნახევრადძვირფასი ქვის სიმბოლურობა ახსნილია, ერთი  
 მხრივ, ღვთის რჩეული ერის, ებრაელთა პირველი მღვდელმთავრის, აარონის შესა-  
 მოსელზე, სამკერდულზე ორივე მხარეს თორმეტი ქვის განლაგებით, მეორე მხრივ,  
 იაკობის თორმეტი ძისაგან ებრაელთა თორმეტი ტომის დაყოფისა და თითოეული  
 ძის სამკვიდროს დადგენით. ფილიპეს საგალობელში ორი ებრაული ტომის საფუძ-  
 ველდამდეები ბიბლიური პერსონაჟის სიმბოლური ძვირფასი ქვით შემკობილად და  
 შემოსილად ყოვლადმინდა ღვთისმშობელი წარმოსახული.

თუ რატომაა ყოვლადმინდა ღვთისმშობელი იაკინთითა და ძონეულით შემო-  
 სილ-შემკული, ამის გასარკვევად საჭიროა თვით ამ თვლების სიმბოლური მნიშ-  
 ვნელობის დადგენა-დაზუსტება, რისთვისაც აუცილებელია მისი წყაროს მოძიება.  
 საუკეთესო წყარო კი არის წმ. ეპიფანე კვიპრელის მიერ შედგენილი „თულთა“,  
 რომელიც ბიბლიურ მონაცემებსა და სახისმეტყველებას ემყარება. წმ. ეპიფანე  
 კვიპრელის თხზულება იმის საფუძველსაც იძლევა, რომ იაკინთისა და ძონეულის  
 სიმბოლოებში გეოგრაფიულ მხარეთა სიმბოლური გააზრებაც ვივულისხმით და,  
 ცხადია, ვიკვლიოთ კიდევ.

იაკინთის თვალი, რომელიც არის „მბრწყინვალე ცეცხლისა მსგავს, ფანაკის მს-  
 გავს სიმენამულითა“ (შატბერდის კრებული 1979: 131), მოიპოვება აფრიკაში, ლიბიაში,  
 „მახლობელად მზის აღმოსავალისა, ადგილთა მათ ეთიოპიასათა, რომელი მივალს  
 სამხრად მიმართ“ (შატბერდის კრებული 1979: 143). მისი ბრწყინვალეობა შორიდანვე  
 იზიდავს ადამიანს, იგი დღისით და ღამით სანთელივით ანათებს, ნაკვერცხალივით

გამოსცემს ალისფერ ნათელს, რაც აადვილებს მის პოვნას, მას გარედან ატარებენ და არა „სამოსელსა შიგან“. იაკინთის თვლის ნაღესს თუ ვინმე დაღევს, მას სულს გაუღვიძებს „სამართალთა სიტყუათა მიმართ“ (შატბერდის კრებული 1979: 132). წმ. ეპიფანე კვიპრელი იაკინთის თვალს მეოთხე ადგილს განუუთვინებს აარონის შესამოსელზე, სამკერდულზე, თუმცა იქვე იმასაც აღნიშნავს, რომ იგი „მეორესა განწესებულსა პირველ არს, რომელსა ზედა წერილ არს ესრე სახელი იუდასი – ნანდვლვე განწესებასა სახისასა მას ზედა განცხადებულად გჭრუნებს მეოთხებასა და მთავრობასა. და ყოვლითა მეცნიერებითა განდგმით განაგებს ოთხკედელსა მას და სიტყურსა ფიცარსა. და გამოლესვით განადგა იგი შემდგომად განწესებისა მის, რამეთუ მთავარ იყო იუდა ერსა მას ზედა. რაჟამს ოთხად ნაწილად ერსა მას განწყოფდეს, იყო იუდა ერისთავ და დაბანაკებულ იყო მზის აღმოსავალით კერძო, ხოლო შემდგომებით მეოთხე იყო ძმათა თვსთა და მთავარ და წარმართებულ მეფობითა და წინამძღურობითა თვსითა“ (შატბერდის კრებული 1979: 141). მეოთხე ადგილზე იაკინთის თვლის განთავსება ახსენება იმით, რომ იაკობის ძეთაგან მეოთხე იუდაა, მამის მიერ პირმშოდ და მემკვიდრედ აღიარებული. სწორედ იუდას ჩამომავალია დავით წინასწარმეტყველი, ხოლო მის ხორციელ ჩამომავალადაა მიჩნეული მაცხოვარი, ძე ღვთისა და ძე კაცისა. წმ. ეპიფანეს მიხედვით, ყოველივეს საფუძველი, დასაბამი და დამტკიცება ქრისტეა, მაცხოვარია, ხოლო სარწმუნოება მისი – შეურყეველი და გარდაუქცეველი; იაკინთის თვლის სისხლისფერობა იმითაა ახსნილი, რომ მხოლოდშობილი ძე ღმერთის სისხლით იქნა გამოსყიდული, დახსნილი ყოველი ჭეშმარიტად მორწმუნე ადამიანის სული, ხოლო ცეცხლისა და ნაკვერცხლის ფერობა იაკინთისა იმას მოასწავებს, „უფალმან ჩუენმან იესუ ქრისტემან განსაჯნეს ცხოველნი და მკუდარნი დიდებულეობით მოსლვასა მას თვსა“ (შატბერდის კრებული 1979: 141).

იაკინთის თვალი მოასწავებს „წსნასა და რისხვასა, წსნასა და სინმიდესა, ღირსთა რისხვასა და ტანჯვასა უღირსთა და შეურაცხისმყოფელთა... რომელთა ზედა დაინერა სახელი იუდასი, რომლისა ნათესავისაგან უფალი გამოგვბრწყინდა და დაისხნეს საფუძველნი სიონისანი, დასაბამ და საძირკუელ და „თავკიდეთა – ლოდი იგი, რომელ შეურაცხ-ყვეს მშენებელთა“ [I კორ. 3, 11] (შატბერდის კრებული 1979: 142). უფალი ცხოვრებისა, რომელიც არის ყოველივეს დასაბამი და დასასრული, რომელიც იქმნა თავი კიდეთა, რომელიც არის ძველისა და ახლის სიმტკიცე, არის თვალი პატიოსანი. როგორც წმ. ეპიფანე კვიპრელმა მიუთითა, იგი მოიპოვება მდინარე „ფისონს, რომელი გამოითარგმანების „პირ ცეცხლის“ (შატბერდის კრებული 1979: 143), რადგან ჩუენმა უფალმა იესუ ქრისტემ სოფელს, ამქვეყნიურობას მოჰფინა „ცეცხლი სიტოვებისა“, აღტყინებულნი ცოდვანი ყოველი ადამიანისა „შენუნა“ და „ყოველნი წმიდანი თვსნი განწმიდნა“ (შატბერდის კრებული 1979: 142-143). ამიტომ, – ამბობს წმ. ეპიფანე, – ნუ გიკვიროთ, რომ იაკინთის თვალი ღამით ანათებს, რადგან, როგორც მათე მახარებელი იტყვის: „ბნელსა შინა ნათელი გამობრწყინდა“ (მათე 4, 61). ამით ნათქვამია, რომ ადამიანთა გულებს, რომლებიც დაბნელებული იყო, ღმრთისმსახურების ნათელი გამოუბრწყინა, უკეთური საქმენი მათგან განაქარვა და „დაფარულითა ზრახვითა, ვითარცა სახმ თუალისა იაკინთი-

საა, გამოცხადებთან წმიდათა თვისა“ (შატბერდის კრებული 1979: 144). იაკინთის თვის სიმბოლორობა იმითაც გამოვლინდა, რომ ღმერთმა თავის ეკლესიას დაადგა გვირგვინი, განაწესა დედოფალი თავის მარჯვნივ და მარადიულად მიუჩინა ეს ადგილი. ყოველ მორწმუნეს გამოუსახა შუბლის შუა ნაწილში „წიმი იგი პატიოსანი“ და შეამკო, ხოლო ამ სასწაულით, ქრისტეს ჯვარცმითა და მისი ხორციელი სიკვდილით, კაცობრიობას მიჰმადლა მარადიული ცხოვრება, ცოდვითა მიტევება, რაც იაკინთის თვის მეშვეობითა გამოხატული.

ამრიგად, იაკინთის თვალი სიმბოლოურად არის იუდას ნათესავის, ანუ ჩამოშვალთა, აღმნიშვნელი, ასეთად ვიცნობთ მაცხოვარს, იესო ქრისტეს, რაც საღვთისმეტყველო ლიტერატურაში გავრცელებულ ევანგელურ მოძღვრებაზე დაფუძნებულ მოტივს წარმოადგენს. იაკინთის თვალი არის ერთდროულად ხსნისა და რისხვის გამოხატულება, ხსნისა – ღირსეულთათვის, რისხვისა და ტანჯვისა – უღირსთა და შეურაცხყოფელთათვის. იაკინთის თვალი მანათობელია ღამისა, რომელშიც ქრისტეს შობამდე იმყოფებოდა კაცობრიობა, მან ნათლით შემოსა ყოველი არსი, ვინც კი ჭკმარითად ირწმუნა ქრისტე. ამიტომაც მიიჩნევა იაკინთის თვალი ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შესამკობად. რაც შეეხება იაკინთის თვის მხარეთა სიმბოლორობის გამოსახატავად გამოყენებას, ქრისტიანული სახისმეტყველების კვალობაზე, რომლის მიხედვით აღმოსავლეთი სინათლის წყაროდ და სიმბოლოდაა მიჩნეული, ხოლო სამხრეთი იმ ადგილად, სადაც მარადიული სინათლეა (შდრ.: მათე 1, 1, 2, 9), იაკინთის თვალი აღმოსავლეთით მოიპოვება.

აქ საყურადღებოა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის იაკინთითა და ძონეულით წარმოსახვისას აარონის სამკერდულის განხილვა. რა ადგილი უჭირავს იაკინთსა და ძონეულს აარონის სამკერდულზე? წმ. ეპიფანე კვიპრელის „თუალთაჲს“ მიხედვით, აარონის სამკერდულზე იაკინთი II რიგის პირველ ადგილზეა განთავსებული, ძონეული – IV რიგის პირველ ადგილზე.

**ძონეული.** იოანეს „გამოცხადებაში“ ძონეული წმინდანთა სიმართლესთანაა დაკავშირებული: „და მიეცა მას, რათა შეიმოსოს ძონეული წმიდაჲ და ბრწყინვალე, რამეთუ ძონეული სიმართლენი წმიდათანი არიან“ (გამოცხ. 19, 8). წმ. ეპიფანე კვიპრელი ძონეულსაც ბრწყინვალეების გამოცემელ ოქროსფერ თვლად მიიჩნევს, რომელიც „ცეცხლისაგან არა განირყუნის“ (შატბერდის კრებული 1979: 158). მისი სამკვიდრებელი წმინდა ადგილია, ევანგელურ გეოგრაფიულ სივრცესთან არის დაკავშირებული, გალილეს ნაზარეთის მახლობლად, სადაც „შობასა და მიდგომილებასა მარიამისსა მიეხარა გაბრიელითა და მოეცა ოქროჲ იგი ზესკნელი ქალწულისა მისგან წმიდისა ნაზარეთს, სადაცა-იგი მიდგომა იქმნა. ნაზარეთს მიეცა მიდგომა იგი, და ბეთლემს – შობაჲ, ვინაჲ-იგი იქმნა დასაბამ აღშენებთა. და ითარგმანების ბეთლემ – „სახლ ნაყოფიერების“, სადა იქმნა შობაჲ უფლისაჲ და სიონს დადვა საფუძველი თვისი, რამეთუ ჯუარი იგი ითქუმის საფუძველად ეკლესიათა. და რომელი იგიცა ჯუარს-ეცუა, იქმნა მწსნელ, დასაბამ ყოველთა მორწმუნეთა და დადვა პირველ-საფუძველი სიმაღლესა მას ზედა ჯუარისასა“ (შატბერდის კრებული 1979: 158-159).

წმ. ეპიფანე კვიპრელის მოძღვრების თანახმად, ძონეულის თვალი ზაბილონის მოდგმის თვალია: „ან ვიხილოთ ზაბილონი, რომელ დაინერა ზედა თუალსა მას ძონეულსა, ნაწილი მკვდრობისაჲ იყო ზაბილოვნისა ნაზარეთი... რომელსა (ზაბილონს - ნ. ს.) აქუნდა სიმდიდრე მრავალი ზღვსაგან. ნანდვლვე ყოველთა ცის კიდეთა ძლუნენი შეინორვიან უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა, რომელ არს თავადი საკიდურ პატროსან“... (შატბერდის კრებული 1979: 159). ზაბილონის სამკვიდრებელთან ახლოსაა ნაზარეთი, რომელთანაც დაკავშირებულია გაბრიელ მთავარანგელოზის მიერ ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისათვის მისი ღვთისმშობლობის ხარება. ეს მოასწავებდა ზეციური ოქროს, ანუ მაცხოვრის მინიჭებას ნაზარეველთათვის, საიდანაც წარმოდგება მაცხოვრის ერთ-ერთი ზედწოდება „ნაზარეველი“. ძონეულის თვალი ზოგჯერ მწვანეა, ზოგჯერ ოქროსფერი, მას ბიერილსაც უწოდებენ. წმ. ეპიფანე კვიპრელი აღნიშნავს, რომ თუ მკურნალნი მისგან ნაღესს ასმევენ ავადმყოფს, მუცლის ტკივილს უამებს და კურნავს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არმაზის მსხვერვის შემდეგ წმინდა ნინოს მიერ ნაპოვნი ქვა ბიერილია და ღრმა სიმბოლური მნიშვნელობა აქვს.

ამრიგად, ძონეულის თვლის ხსენებას და მისით ღვთისმშობლის შემკობას საკრალურობა ახლავს. იგი წმინდანთა სიმართლეს მოასწავებს. საგალობელში ძონეულით ყოვლადწმინდა ღვთისმშობელთან დაკავშირებული წმინდა ადგილების სიმბოლურ მინიშნებას ვხვდებით. იაკინთისა და ძონეულის სამკურნალო თვისებების წარმოჩენით იესო ქრისტესა და ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატ-სახეებია მოწოდებული, ვითარცა სულიერი და ფიზიკური მკურნალისა.

საყურადღებოა საგალობლის ამ ორი ტაეპის ფერთამეტყველება, რადგან იაკინთისა და ძონეულის თვლები ოქროსფერ-ცეცხლისფერია, ნათელია, ბრწყინვალეა, რაც, თავის მხრივ, ისევ იესო ქრისტეს, მაცხოვრის ღვთაებრიობასა და ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის განსაკუთრებულობას, გამორჩეულობას მოასწავებს. ოქროსფერ-ცეცხლისფერობა ქრისტეს ორბუნებოვნების სიმბოლური გამოხატულებაა.

იაკინთითა და ძონეულით შემოსვა-შემკობა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა და მაცხოვრის ხორციელ მამად მიჩნეული იოსების გენეალოგიასაც გულისხმობს, ე. ი. ქრონოტოპულ ფუნქციასაც ატარებს. იაკინთი იუდას ჩამომავალთა თვალია, იუდას ჩამომავალია იოსები, ხოლო ძონეული ზაბილონის ჩამომავალთა თვალია, ზაბილონი იყო ნაზარეთის ზღვის კიდეთ მფლობელი, ნაზარეთისა, სადაც გაბრიელ მთავარანგელოზმა ახარა ქალწულ მარიამ მისი გამორჩეულობა და მომავალი ღვთისმშობლობა. ამიტომ ეს ორი თვალი, ბიბლიური აარონის სამკერდულის შესამკობელ თორმეტ თვალთაგანნი, - იაკინთი და ძონეული - სივრცული კატეგორიის მატარებელიცაა, მათთან დაკავშირებულია ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისათვის მომავალი ღვთისმშობლობის ხარების ადგილი და ქრისტეს შობის ადგილი, ხოლო რადგან ისინი ღვთისმშობლის შესამკობი თვლებია, თავის მხრივ, ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი მარადიული ზეციური დედოფალია, ამიტომ ამ თვლებს ზედროული ფუნქციაც აკისრიათ, ვითარცა მარადქალწულის სამკაულსა და სამოსელს.

ამრიგად, როგორც მაცხოვრის მუცლადღებაა ადამიანის გონებისა და მისი მთავარი მიზნების, ისევე მიუწვდომელია შობაც, ვინაიდან ღმერთი განკაცდა და ადამიანის სახით მოვედინა კაცობრიობას ცოდვათაგან გასათავისუფლებლად. ორივე წმინდა სასწაული იესო ქრისტეს ამქვეყნად მოვლინებას უკავშირდება და მისტიურ ხასიათს ატარებს. ფილიპე ბეთლემელის საგალობლის პირველ ორ ტაეპში კონცენტრირებულია ქალწული ღვთისმშობლისაგან ძე ღმერთის, იესო ქრისტეს შობასთან დაკავშირებული ქრონოტოპული მისტიერიები. სიმბოლურად მესიის, მხსნელის, ძე ღვთისას და ძე კაცისას შობის წინასწარმეტყველება იგულისხმება ქალწული დედის მიერ, რომელიც ფესვოქროვანი სამოსლითაა შემოსილი, ზეციური მადლითა და ნათლითაა მოსილი, რომელშიც სული წმინდაა დავანებული, რომელიც იაკინთისა და ძონეულის საკრალური თვლებითაა შემკული. ამგვარი სამოსელი ქალწულ ღვთისმშობელს სრულყოფილებით წარმოაჩენს, იგი განძარცვულია „ძუელი კაცისაგან“ და შემოსილია „ახალი კაცით“. მისი სამოსელი არის „სამოსელი პირველი“, „სამოსელი საქორწინე“.

პირველი-მეორე ტაეპის აზრი მთელ დანარჩენ საგალობელში კიდევ უფრო მეტად სრულ-იყოფა. ჰიმნოგრაფი ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს მიმართავს, ვითარცა ქალწულს, დედოფალს, დიდებულს, სანატრელს, უბინოს, ბეთლემს, წმიდას, უხრწნელს, სახიერს, მოწყალესა და მწყალობელს, რომელსაც ბრწყინვალე ლამპრით ეგებებიან გალობის შემსხმელნი და ბრალთა მიტევებას ევედრებიან. ხოლო საგალობლის სიტყვები – „ლამპრითა მით ბრწყინვალითა მიგეგებვით, დედოფალო“ – ეხმიანება სახარებისეულ იგავს ათი ქალწულის შესახებ, რომლის მისტიური საზრისი მარადმღვდიარებაა (მთ. 25, 1-13).

### გამოყენებული ლიტერატურა

1. **ლოლაშვილი 1978:** ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ივანე ლოლაშვილმა, თბ., 1978.
2. **მეტაფრასული კრებულები 1986:** ძველი მეტაფრასული კრებულები, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა ნარგიზა გოგუაძემ, თბ., 1986.
3. **ნევშირებული ძლისპირნი 1982:** ნევშირებული ძლისპირნი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო გულნაზ კიკნაძემ, თბ., 1982.
4. **ნიკოლოზ გულაბერისძე 2007:** ნიკოლოზ გულაბერისძე, თხზულებანი, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ნ. სულავამ, თბ., 2007.
5. **პეტრე იბერიელი 1960:** პეტრე იბერიელი (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი), შრომები, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ს. ენუქაშვილმა, თბ., 1960.
6. **სულავა 1998:** ნ. სულავა, ფილიპე ბეთლემელი, ლიტერატურული ძიებანი, XIX, თბ., 1998.

7. **უძველესი იადგარი 1980:** უძველესი იადგარი, გამოსაცემად მოამზადეს, გამოკლევა და საძიებლები დაურთეს ელ. მეტრეველმა, ც. ჭანკიევმა და ლ. ხევსურიაძემ, თბ., 1980.
8. **ფსალმუნთა განმარტებანი 1996:** ფსალმუნთა განმარტებანი, II, უძველესი ხელნაწერების მიხედვით გამოსაცემად მოამზადა ნინო დობორჯგინიძემ, თბ., 1996.
9. **შატბერდის კრებული 1979:** შატბერდის კრებული, გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ელ. გიუნაშვილმა, თბ., 1979.
10. **Аверинцев 1973:** Аверинцев С., Золото в системе символов ранневизантийской культуры, в сб. Византия. Южные Славяне и Древняя Русь, Западная Европа, М., 1973.
11. **Март 1940:** Март Н. Я., Описание рукописей синайского монастыря, М.-Л., 1940.

Nestan Sulava

## THE IMAGINATION OF COLOR AND PRECIOUS STONES IN PHILIPPE BETLEMELI'S HYMNS WITH THE CONTEXT OF CHRISTIAN PAINTINGS

### SUMMARY

The article deals with Philippe Betlemeli's hymn written within the 16-syllable shire dedicated to Nativity of the Saviour. The hymn consists of thirteen lines which is an allusion to the Saviour and His twelve disciples. To depict the iconic image of the Holy Mother of God several precious stones and colours are used. This enables us to find a link between the hymn and Christian painting: it is essential to study the hymn in connection with both mural painting and icons.

The present article investigates the hymn interrelated to the icons where Mother of God is shown in different colours. The precious stones mentioned in the hymn are connected with the mystery of the Nativity of the Savior. The symbolic use of precious stones is described in terms of time and space as well.

**მიხეილ ქავთარია, ლალი ჯღაპანია-პრიგოლია**

## **ათონის ივირონის მონასტრის სამნივნობრო სკოლის ისტორიიდან**

ათონის მთის ივირონის მონასტრის ქართული ხელნაწერების კოლექცია საკმაოდ ცნობილია ბიზანტინოლოგიისა და ქართველოლოგიის საკითხებზე მომუშავე სპეციალისტებისათვის. XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში აღინერა ათონის ქართული ხელნაწერები ალ. ცაგარელისა (Цагарели 1886-88) და რ. ბლეიკის (Blake 1931-32) მიერ და სამეცნიერო საზოგადოებისათვის ამ აღწერილობებით ათონური ხელნაწერები ხელმისაწვდომი გახდა.

ათონის ივერთა მონასტერმა ქართული მნივნობრობის განვითარებისათვის გადამწყვეტი როლი შეასრულა. მამა-შვილმა, იოანე და ეფთვიმე ათონელებმა, ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ ევროპულ-ბიზანტიურ ლიტერატურაში გზაგაკვალული თემატიკა გადმოენერგათ და ქართულ სინამდვილეში დაემკვიდრებინათ ევროპული განწყობილებანი.

იმდროისათვის ბიზანტია საქართველოსთვის ევროპული სულისკვეთების ერთადერთი წყარო იყო. ამ ფაქტს ხელს უწყობდა ისიც, რომ საქართველოს ეკლესიამ X საუკუნის ბოლოს თავი დააღწია ანტიოქიის ეკლესიის გავლენას და კონსტანტინეპოლის ეკლესიას დაუკავშირდა. ბიზანტიურ სამყაროსთან სიახლოვემ და აქტიურმა კონტაქტებმა განაპირობეს ის, რომ საქართველოში დაიწყეს ახალი განწყობითა და პრიციპებით დანიშნაურებული ბიზანტიური მწერლობის ძეგლების თარგმნა. ადრეულმა თარგმანებმა შექმნეს ქართული სიტყვიერების მნივნობრული ბაზა, შესაბამისად – ინტელექტუალური დონე, რომელიც უკვე ვეღარ აკმაყოფილებდა თანამედროვე ლიტერატურულ-კულტურულ მოთხოვნებს. ამიტომ იმ სიახლეებმა, რაც ათონელებმა ამ სფეროში მოიტანეს, თავიდანვე მიიპყრო მკითხველი საზოგადოების ყურადღება.

იოანე ქართველმა და ეფთვიმე ათონელმა X საუკუნის 70-იან წლებში ჩაუყარეს საფუძველი ივირონს, რომელიც მონასტერში გაჩაღებული საგანმანათლებლო საქმიანობით მალე იქცა ჩვენში ლიტერატურული ცხოვრებისა და კულტურული განვითარების წამყვან კერად. ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ X საუკუნეში თვით საქართველოში არსებობდა არაერთი მნიშვნელოვანი

სამწერლობო კერა (978 წელს ოშკში გადაინერა ქართული ბიბლიის უნიკალური ეგზემპლარი და შემდეგ ათონის ივირონში გადაიგზავნა, 977 წელს გადაინერა იოანე ოქროპირის «ცხოვრება» იოანე ჩირაჟს მიერ, პარხლის მონასტერში გადაინერა ცნობილი პარხლის «მრავალთავი»...). ათონის ქართველთა სავანე გახდა ახალი შემოქმედებითი ცენტრი, სადაც, ერთი მხრივ, გადმოინერა საკუთრივ ტაო-კლარჯეთში შექმნილი და ჩამოყალიბებული სალიტერატურო სკოლის ტრადიციები, და, მეორე მხრივ, ქართული მწერლობის განვითარებას მიეცა ახალი მიმართულება.

იოანე და ეფთვიმე ათონელები ქართულ ინტელექტუალურ სივრცეში სიახლეების შემომტანნი და დამამკვიდრებლები არიან. ქართულ სულიერ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მიღწევების მიუხედავად, იოანესა და ეფთვიმეს შემოქმედებითი როლი განუსაზღვრელია. სწორედ მათი მოღვაწეობით X საუკუნის ბოლოდან ჩვენში იწყება მწერლობისა და კულტურის განვითარების ახალი ეტაპი, რომელმაც სიახლე შემოიტანა ქართული მწიგნობრობის განვითარების საქმეში. ყოველივე ამას მიმართულება კი ისევ ეროვნულმა სულმა მისცა. ტაო-კლარჯეთში დაიბადა და აღორძინდა ქვეყნის გაერთიანების, მთლიანობის იდეა: «ქართლად ფრიადი ქუეყანაჲ აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეინწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების, ხოლო კვრილეისონი ბერძულად ითქუმის» (ცხოვრება გრიგოლ ხანცთელიისაჲ 1964: 290).

იოანე ათონელის, თავისი დროის დიდი მეცენატის, მწიგნობრისა და მამულიშვილის მოთხოვნით დაიწყო მისმა შვილმა, ეფთვიმე ათონელმა, მთარგმნელობითი საქმიანობა. მამამ შვილს სამომავლოდ სამოღვაწეო-საგანმანათლებლო პროგრამა დაუსახა. ამ მიზნის განსახორციელებლად «წარიყვანა სამეუფოთ ქალაქად შვილი თჳსი ეფთვმე მამამან იოვანე და პირველად ქართული სწავლაჲ ასწავა და მერმე ბერძულად გაასწავლა ყოვლითავე სწავლულებითა სრულებით ... ეტყჳნ მამაჲ იოვანე, ვითარმედ: შვილო ჩემო, ქართლისა ქუეყანაჲ დიდად ნაკლულევან არს წიგნთაგან და მრავალნი წიგნნი აკლან და ვხედავ, რომელ ღმერთსა მიუმაღლებია შენდა. აწ ილუანე, რაითა განამრავლო სასყიდელი შენი ღმრთისაგან» (გიორგი მთაწმიდელი 1967: 60).

შორს განჭვრეტელი სამომავლო პროგრამა სრულიად გასაგებად, დანვრილებით იყო ჩამოყალიბებული: «ენასა ამას ჩუენსა ქართულსა არასადა პოვნილ იყო აქამომდე, რათამცა გამოეხუნეს წმიდანი ესე წიგნნი, თარგმანებანი წმიდისა სახარებისანი, არამედ საბერძნეთისა ეკლესიანი და ჰრომისანი საგსე იყვნეს ამათგან, ხოლო ჩუენისა მის ქუეყანისანი ნაკლულევან და არა ესე ოდენ წიგნი აკლდეს ენასა ჩუენსა, არამედ სხუანიცა მრავალნი. ამისთჳს მე, გლახაკი ესე და ნარჩევი ყოველთა მონაზონთაჲ იოანე, მწუხარე ვიყავ ამის საქმისათჳს, რომელ ესრეთ ნაკლულევან იყო ქუეყანაჲ ქართლისაჲ წიგნთაგან და დიდი ხარკებაჲ და მოღუაწებაჲ ვაჩუენე და შვილი ჩემი ეფთვმე განვსწავლე სწავლითა ბერძულითა სრულიად და გამოთარგმანებად წარვჰმართე წიგნთა ბერძულისაგან ქართულად» (Цагарели 1886-88: 91; Blake 1931-32: 23, 51, 68; Ath.-10, 335r).

იოანე მთაწმიდელმა მის მიერ წამოწყებული უდიდესი მამულიძეობის საქმიანობის განხორციელებისათვის, რომელიც მან მთლიანად შეიღწა, ეფთვიმეს, დააკისრა, შესაბამისი საფუძველი მოამზადა. უპირველესად, ეფთვიმეს ქართული ენა შეასწავლა და შემდგომ – ბერძნული. მისთვის ცხადი იყო, რომ განათლება, კულტურულ-სამწიგნობრო საქმიანობა ქვეყნის ძლიერების, ერთიანი სახელმწიფოს საფუძველი იყო. ეფთვიმე ათონელმა მამის სურვილი და დავალება პირნათლად შეასრულა.

სწორედ ამ განწყობის შედეგად ქართულ სინამდვილეში გაჩნდა „სამოციქულოს“ ახალი თარგმანი (Ath.-78).

Ath.-78. ხელნაწერი ათონის ივირონის მონასტრის ქართულ კოლექციაში ერთ-ერთი გამორჩეული, კალიგრაფიული ნუსხურით შესრულებული ხელნაწერია. ნაწერია უხეშ ეტრატზე შავი მელნით, სათაურები და აბზაცების დასაწყისები – მთავრულად და სინგურით. შეიცავს 29 რვეულს, 232 ფურცელს, თარიღდება XI საუკუნით. „სამოციქულოს“ ტექსტი დალაგებულია შემდეგნაირად: „საქმე მოციქულთა“, „კათოლიკე ეპისტოლენი“, „პავლეს ეპისტოლენი“.

ნუსხას ალ. ცაგარელი და შემდეგ რ. ბლეიკი ხელის მიხედვით XI საუკუნით ათარიღებენ და გიორგი ათონელის თარგმანად მიიჩნევენ (Цагарели 1886-88: 78; Blake 1931-32: 234). აღმწერლებს ყურადღება არ მიუქცევიათ აკროსტიქიანი სალექსო ფორმით, ორ სვეტად წარმოდგენილი ანდერძისათვის, რომელიც ერთვის ნუსხას და რომლის კიდურწერილობა იძლევა წინადადებას: „დაესრულა პავლე (პავლეს ეპისტოლენი), ქრისტე, შეიწყალე ცოფილი გეორგი“ (აკროსტიქში მონაწილეობს ყოველი სტრიქონის დასაწყისი სიტყვის პირველი ასო და, დამატებით, ბოლო 13 სტრიქონის ბოლო სიტყვის ბოლო ასოც). მოსდევს ანდერძი გადამწერისა, რომელშიც ნახსენებია გადამწერი ნიკოლა და მთარგმნელი გიორგი ათონელი. მოგვაქვს ორივე ანდერძი სრულად:

*1. „დიდებულო ქრისტეს მოციქულთა თაო,  
 ახალსა ამას ერსა საღმრთოსა  
 ეკლესიისა ნესტუად ჳმატკობილად  
 საღმრთოთ შჯული დაგვმტკიცე, ნეტარო,  
 რამეთუ ძირი უღმრთოებისაჲ განჳფხუარ  
 უმალლეს, უფროს ცათა მალალთა  
 ლირნებაჲ ჰაერთაჲ დაანთქ, ქუესკენელთა  
 აჰჳედ სამ ცამდე, ღმრთივსწავლულ იქმენ,  
 პირნი ბრძენთა მათ ზუავთანი დაჰჳშენ,  
 აცხოვნენ კაცნი, იჳსენ სოფელი,  
 ვითარცა მზე რაჲ აღივსე სოფლით,  
 ლოცვით მადლობაჲ ღმრთისაჲ მოგუმადლე,  
 ეშმაკთა მტერთა საბრჳენი დაჳსნენ.*

ქებით დიდება შენი თანა-გუაჯ, (341r)  
 [რომელი მწსნელმან ქრისტემან ჩინებულ გყო  
 ისრად, ელვისად ენად, ცეცხლისად  
 სამებისა დიდება ღმრთისმეტყუელ ჰყავ,  
 ტომთა და თესლთა შთააცუ ნათელი,  
 ეკლესიაჲ ჰყავ შენთა აღმალღებულ,  
 შაბათნი დაჰჰსნენ, დააცხრვე შჯული  
 ერთარსებისა შენისა ქადაგ  
 იოტე ბნელი, მტერი დასთრგუნე  
 წესთა ზესკნელთა წარჰხედ, წმიდაო,  
 ყოველთა ღმრთისა პირისპირ მდგომ ხარ,  
 აღთქმით იგი გვრგვნი დაგუადგ,  
 ღმობიერ გყუენ გულნი ჩუენნი ფიცხელნი,  
 ერთბამად მკვდრ გყუენ სასუფეველსა].\*

II. მოსდევს გადამწერის ანდერძი: „დიდება შენდა, ყოვლადწმიდაო სამებაო, რომელმან ღირს-მყავ უღირსი ესე აღსრულებად საქმისა ამის კეთილისა და აღვასრულე წადიერებაჲ ჩემი.

ლოცვა-ყავთ, წმიდანო ღმრთისანო, ღმერთშემოსილისა მამისა გიორგისთვის, რომელმან წმიდაჲ ესე და ქრისტეანობისა წინამძღუარი წიგნი განაახლა და თარგმნა, ქრისტემან მიეცინ სასყიდელი შრომისა და ამას წმიდასა და ყოვლად ქებულსა მოციქულსა თანა-ყვნა ნაწილი მისი, ამენ.

ჩემთვისცა, გლახაკისა ნიკოლასა, ლოცვა-ყავთ, წმიდანო მამანო, რამეთუ ფრიადითა წადიერებითა მოვიგე საუნჯე ესე კეთილისა, რაათა იქსნას ღმერთმან სული ჩემი სატანჯველისაგან საუკუნეთა და იქმნას სასყიდელი სიყუარულისა მის“ (231r).

ორივე ანდერძი, ერთი – ლექსის ფორმით დანერვილი და მეორე – პროზაული, მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს: ხელნაწერის გადამწერია ნიკოლაჲ (ნიკოლაოსი), ხელნაწერი წიგნის განმარტებული და მთარგმნელი – გიორგი [ათონელი].

გიორგის სახელი ჩანს, აგრეთვე, იმ მინაწერებში, რომლებიც წარმოდგენილია ტექსტში: „პავლე, შეიწყალე ცოდვილი გიორგი“, „ლოცვა-ყავთ მამისა გიორგისთვის“ (72r, 95r, 117r, 140r...).

გადამწერ ნიკოლას შესახებ ცნობები ათონურმა ხელნაწერებმა შემოგვიინახეს. იგი გადამწერია, გარდა Ath. 78-ისა, Ath. 55 ნუსხისა, რომელიც წარმოადგენს გიორგი ათონელის მიერ თარგმნილ თებერვლის თვენს – თანმიმდევრობით დალაგებულ ყოველდღიურ საგალობელთა კრებულს.

\* ხელნაწერში (Ath.-78) აკროსტიქული ანდერძი ნაკლულია. აკლია ბოლო 13 სტრიქონი (ცოდვილი გიორგი) A-584 ხელნაწერის მიხედვით (სადაც აკროსტიქული ანდერძი სრულია) გამოქვეყნებულია ი. აბულაძის მიერ (იხ. აბულაძე 1950: 024).

ხელნაწერზე (Ath. 55) დართულ ანდერძში ვკითხულობთ: „დიდება და მაღლი ყოველად ძლიერსა და სრულმყოფელსა ყოველთა კეთილთასა. დაესრულათუე თებერვალი სრულად და უნაკლულად ჩემ სანყალობელისა და მწარედ ცოდვილისა ნიკოლა რეცა მონაზონისაჲთა“.

ანდერძიდან ჩანს, რომ ნიკოლა გადამწერი (მონაზონი) ათონის ივირონის ლავრის მოღვაწეა და ჩართულია იქ მიმდინარე შემოქმედებით ცხოვრებაში. გიორგი ათონელის თენის ნუსხის გადაწერისას ნიკოლა მონაზონი ხელმძღვანელობდა და ასრულებდა იმ მითითებებს, რომლებიც ამოიკითხა გიორგის რედაქციის სხვა თევების ნუსხებს დართული ანდერძებიდან. გადასაწერ მასალასთან ნიკოლას ასეთი დამოკიდებულება ნათლად გამოჩნდა Ath. 55-ზე მისი მუშაობის პროცესში. Ath. 55-ზე დართულ ანდერძში იკითხება: „ნეტარსა მამასა გიორგის ფებერვალისა ანდერძი არაჲ დაენერა, თუ არა მე, ვითარცა წმიდისა სახარებისა სიტყუათა, ეგრეთ თანა არა წარვჰვდებოდე. მაგრამ ვითარცა ემცნო **სხუათა ანდერძთა შინა**, ამას კადნიერ ვიქმენ და **სტიქარონნი, რომელ უკანას ეთარგმნეს**, მისვე ღმერთშემოსილისა ბრძანებითა თანავე თავის თავისა ადგილსა დამენერა და რომელ **ძლისპირსა ზედა წარდგომანი** ეთარგმნეს, თვთადცა დამინერიან და თუ ჳმასა არა მოეზავებოდის, ნუ გიკკრს, მას ვითარცა სული წმიდაჲ, მისცემდა თარგმანი ... ვინცა სწერდე, ამათ სიტყუათა თანავე დასწერდი, დაღაცათუ არა მის ნეტარისანი არიან, არამედ მისნი მცნებულნი და მისითა მადლითა“ (ჯღამაია 1986: 89).

ანდერძში დაწვრილებით არის გადმოცემული ის სამუშაო, რომელიც ჰიმნოგრაფიული კანონების ცოდნითა და დაცვით უნდა შეესრულებინა ნუსხის გადამწერს. უფრო ზუსტად: ნუსხის გადამწერს ნუსხაზე უნდა ემუშავა იმ შენიშვნების გათვალისწინებით, რომლებსაც გიორგი ათონელისავე თვენებს დართული სხვა ანდერძებიდან ამოიკითხავდა. ნიკოლა მონაზონმა შესანიშნავად გაართვა თავი საქმეს: სტიქარონები, რომლებიც გიორგი ათონელის თენის ზოგიერთ ავტოგრაფულ ნუსხას ერთვის, თავ-თავის ადგილას ანუ კანონის წინ განათავსა. ასევე მოექცა ე.წ. წარდგომანს – გიორგი ათონელის თვენში შემავალი საგალობლის სტრუქტურისთვის დამახასიათებელ მცირე ფორმის გალობას, რომელიც გიორგი ათონელმა ბერძნულიდან ძლისპირით თარგმნა, მაგრამ იმავე ანდერძების მიხედვით, გადამწერს ძლისპირის გარეშე უნდა შეეტანა თვენში. ეს მანიპულაციები ჰიმნოგრაფიული კანონების კარგ ცოდნას მოითხოვდა (ჯღამაია 1986: 83). ნიკოლა მონაზონი დიდი სიბეჯითით, ცოდნით ითვალისწინებდა გიორგი ათონელის მიერ ანდერძებში მოცემულ ყოველ შენიშვნას და მის მიერ გადამწერილ ნუსხაში შესაბამისად განალაგებდა: ნიკოლა მონაზონის მიერ გადამწერილ თებერვლის თვენში სტიქარონები (მცირე ფორმის გალობები) თავისი რიგითაა შესული, წარდგომანთან დაკავშირებით კი მან გარკვეული სამუშაო ჩაატარა, რისი უფლება გიორგი ათონელისავე სხვა ნუსხებიდან მიიღო“ (ჯღამაია 1986: 85).

ნიკოლა მონაზონი Ath. 55-ის ანდერძს ასე ამთავრებს: „უფალმან ღმერთმა მადლითა წმიდათა მამათა ჩუენთათა – წმიდისა მამისა ეფთემესითა, გიორგის-ითა მამა ჩუენი ნიკოლა პროტოსინგილოსი დაიციეინ. მისსა წინამძღვრობასა დაინერა ესე თუე“.

ანდერძში ნიკოლა პროტოსინგილოზის წინამძღვრობის მოხსენიებამ დაავიწროვა ნიკოლა მონაზონის მოღვაწეობის თარიღი: კ. კეკელიძე ნიკოლას წინამძღვრობას ვარაუდობს XII საუკუნის პირველი მეოთხედში, იოვანე ბუქაასძის მამობის შემდეგ, 1118 წლიდან (კეკელიძე 1986: 92). ეს თვალსაზრისი სამეცნიერო ლიტერატურაში გაზიარებული იყო. ათონის ივირონის ბერძნული აქტების გამოქვეყნების შემდეგ (Actes d' Jviron 1994: 50) დაზუსტდა ნიკოლა პროტოსინგილოზის წინამძღვრობის ქრონოლოგია – 1080-1082 წ.წ.: 1080 წლით დათარიღებული ათონის ივირონის ბერძნულ აქტს, როგორც წინამძღვარი, ხელს აწერს (პირველ ადგილას) მამა ნიკოლა პროტოსინგილოზი, რომელიც, ელ. მეტრეველის მიხედვით, ჩორდვანელთა გვარის წარმომადგენელი უნდა იყოს (მეტრეველი 1988: 405).

ამრიგად, დაზუსტდა ნიკოლა გადამწერის მოღვაწეობის თარიღი – XI საუკუნის მეორე ნახევარი. მან Ath.-55, გიორგი მთაწმიდელის რედაქციის თვენი, 1080-82 წლებში გადაწერა, ხოლო Ath.-78-ის, მისივე რედაქციის „სამოციქულოს“, გადწერის თარიღია XI საუკუნის მეორე ნახევარი.

### ბამოყენებული ლიტერატურა

1. **გიორგი მთაწმიდელი 1967:** ცხორება ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანესი და ეფთემესი, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. II (XI-XV სს.), დასაბეჭდად მოამზადეს: ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, მ. დოლაძემ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა და ც. ჯღამაიამ ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1967.
2. **კეკელიძე 1986:** კეკელიძე კ., ათონის ლიტერატურული სკოლის ისტორიიდან, ეტიუდები, II, თბ., 1986.
3. **მეტრეველი 1988:** მეტრეველი ელ., ათონის ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნი, თბ., 1988.
4. **ცხორება გრიგოლ ხანცთელისა 1964:** შრომა და მოღვაწეობა ღირსად ცხოვრებისა წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი არქიმანდრიტისა, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. I (V-X სს.), დასაბეჭდად მოამზადეს: ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა და ც. ჯღამაიამ ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1964.
5. **ჯღამაია 1986:** ჯღამაია ლ., XI საუკუნის ქართული ჰიმნოგრაფიის ისტორიიდან (თვენის ზოგიერთი ათონური ნუსხის შესახებ), კრებ. „მრავალთავი“, XII, თბ., 1986.

6. **Actes d' Jviron 1994:** Actes d' Jviron, Éd. par J. Lefort, N. Oikonomidès avec la collaboration d' H. Métrévéli, II, Paris, 1994.
7. **Blake 1931-32: Blake R.,** Catalogue des manuscrits géorgiens de la Bibliothèque de la Laure d'Jviron au Mont Athos, Revue de l' Orient Chrétien, t. VIII, N3 et 4 (1931-32).
8. **Цагарели 1886:** Цагарели А., Сведения о памятниках грузинской письменности, 1886.

**Mikhael Qavtaria, Lali Jgamaia-Grigolia**

## **ON THE HISTORY OF THE EDUCATIONAL CENTRE AT IVIRON MONASTERY ON MOUNT ATHOS**

### **SUMMARY**

The Monastery of Great Lavra on Mount Athos played a special role in the history of development of Georgian literature and culture. Ioanne and Euthymius the Athonites made a big effort in order to acquaint their compatriots with the literary heritage of European and Byzantine literature.

Ioanne the Athonite, an eminent scholar, a man of letters and patriot of his time, outlined a long-term work program which became the basis of literary and educational activity at Iviron Monastery on Mount Athos: "The country of Kartli is short of books which are in Greek." It was necessary to translate them. Euthymius the Athonite and his compatriots started working to fulfill their Father's wish. So Georgian monastery on Mount Athos became a new cultural centre where the traditions of literary school of Tao-Klarjeti were transmitted and on the other hand, a new trend of Georgian literature started to develop.

Scribes made a great contribution in this literary activity. The study of codices enabled us to infer the following: the scribes, who used to copy manuscripts in neat calligraphy, were not simply scribes. They were quite educated lovers of books, scholars who knew very well the branches they were working on. A good example of this is a scribe of two manuscripts from Iviron on Mount Athos (Ath. 78 – a manuscript including The Acts of Apostles, Pauline Epistles and Catholic Epistles, and Ath. 55 – Menaion, Giorgi Mtatsmindeli's recension), a scribe – Nicola the Monk.

The colophons of both manuscripts (Ath. 78, Ath. 55) make it clear that Nicola the Scribe (Monk) is active at the Great Lavra of Iviron on Mount Athos, involved in literary work. While copying Giorgi the Athonite's Menaion, Nicola the Monk took into

consideration the notes he read in colophons of Menaia in Giorgi the Athonite's recension. Nicola's such attitude with the material to be copied was especially vivid while working on Ath. 55 (Djgamaia 1986): Nicola the Scribe arranged stichera before the canons. He did the same with short-form hymns, characteristic for Giorgi the Athonite's Menaion structure. Nicola the Monk tried to consider every note made in colophons by Giorgi the Athonite and used to arrange them correspondingly in codices copied by him.

In the colophon of Ath.55 the scribe, Nicola the Monk mentions Nicola the Proto-syngelos as the hegumen of Iviron (1080-1082). Thus, Nicola the Monk's activity can be attributed to the second half of the 11<sup>th</sup> century. He copied Ath.55 in 1080-1082, while Ath.-78 was copied in the second half of the 11<sup>th</sup> century.

ლია კიკნაძე

## ნმ. გარლაამის ქართველთა მონასტერი სირიაში (ანტიოქიის რეგიონი)<sup>1</sup>

ქართველები ანტიოქიის რეგიონში უძველესი საუკუნეებიდან ჩანან. ზოგიერთი ლიტერატურული წყაროს მიხედვით, ისინი სირიაში IV საუკუნეში ჩასულან. VI საუკუნიდან ქართველთა კონტაქტები სირიასთან სულ უფრო თვალსაჩინოა. ამისთვის დიდად უნდა შეეწყოს ხელი ცამეტი ასურელი მამის ჩამოსვლას საქართველოში, რაც დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო ქვეყნის ცხოვრებაში: ქრისტიანობის აქტიური ქადაგებით მათ ბრძოლა გამოუცხადეს სხვა კონფესიებს, ააშენეს მონასტრები, რითაც საფუძველი ჩაუყარეს კულტურულ-საგანმანათლებლო ტრადიციებს, ხელი შეუწყვეს ქრისტიანობის განმტკიცებასა და გავრცელებას (კეკელიძე 1960: 157).

სვიმეონ მესვეტე-უმცროსის (521-592) დედის, ნეტარი მართას „ცხოვრების“ მიხედვით (გამოცემულია ნ. მარისა (Mapp 1901: 36-46) და ჟ. გარიტის (Garritte 1968: 1-77), რომელშიც VI საუკუნის ამბებია გადმოცემული, ანტიოქიაში, ნმ. სვიმეონ საკვირველთმოქმედის მონასტერში ჩასულა ქართველი მამა ანტონი, იერუსალიმის ერთ-ერთი მონასტრის წინამძღვარი, ორი ქართველი ბერის თანხლებით. მას ნმ. სვიმეონ მესვეტისთვის საჩუქრად ჩაუტანია გულსაკიდი ოქროს ჯვარი, რომელშიც ცხოველმყოფელი ჯვრის ნაწილი იყო ჩასმული, და მისთვის უდიდესი ბედნიერება მიუნიჭებია. მამა ანტონს იქ დახვედრია ნმ. სვიმეონის საკვირველთმოქმედი ძალის მეოხებით განკურნებული ქართველები, რომლებიც საქართველოში დაბრუნებისთვის ემზადებოდნენ.

ეს საინტერესო თხზულება<sup>2</sup> მართას გარდაცვალებით არ მთავრდება. თხრობა გრძელდება მამა ანტონის მოღვაწეობის გადმოცემით, რომელსაც სვიმეონ საკვირველთმოქმედის მონასტერში ბევრი კეთილი საქმე გაუკეთებია, რის

<sup>1</sup> ნაკითხულია საერთაშორისო კონგრესზე „ქართველოლოგიის პრობლემები და პერსპექტივები“ (თბილისი, 2015, 11-13 ნოემბერი).

<sup>2</sup> ნეტარი მართას ცხოვრება თარგმნილია ქართულად X საუკუნის ბოლო მეოთხედში დავით ტბელის მიერ (კეკელიძე 1960: 180-181), ჟ. გარიტის მიხედვით – XI ს. 40-იან წლებამდე ნმ. სვიმეონ საკვირველთმოქმედის მონასტერში მოღვაწე ვინმე დავითის მიერ (მეტრეველი 2007: 75)

გამოც წმ. სვიმეონ მესვეტის პატივისცემა დაუმსახურებია; მას მამა ანტიონი თავის მონასტერში დაუტოვებია და რამდენიმე ხნის შემდეგ სელევკიის ეპისკოპოსად უკურთხებია (Garritte 1968: 72).

636 წელს არაბებმა ანტიოქია დაიპყრეს, რის გამოც შეწყდა ქართველთა დინება სირიის მონასტრებისკენ. 969 წელს ნიკიფორე II ფოკას მიერ ანტიოქიიდან არაბების განდევნისა და ამ რეგიონის ბიზანტიის ფარგლებში მოქცევის შემდეგ, ისევ დაიძრა ქართველი ბერების ტალღა ანტიოქიის სანახებისკენ. ქართველი მორწმუნეები თავდაპირველად უცხოურ მონასტრებს ეკედლებიან, შემდგომ კი საკუთარ სავანეებს აშენებენ და აგრძელებენ კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობას. განსაკუთრებით პოპულარულია ანტიოქიის სავანეები ტაო-კლარჯეთის ბერებისთვის, რომლებსაც ხელნაწერებზე მოშაობის დიდი გამოცდილება ჰქონდათ. მათი ჩასვლა სირიაში განაპირობა არა მარტო მნივნილოვანი საქმიანობისთვის საჭირო მშვიდმა გარემომ, რაც ტაო-კლარჯეთის ბერ-მონაზვნებს არ გააჩნდათ გარეშე მტრების განუწყვეტელი თავდასხმების გამო, არამედ იმანაც, რომ ანტიოქია ამ დროისთვის წარმოადგენდა აღმოსავლური კულტურისა და ქრისტიანული აღმსარებლობის მძლავრ კერას, სადაც სხვადასხვა კონფესიის ადამიანები თავს მშვიდად გრძნობდნენ და სადაც იქმნებოდა მნიშვნელოვანი წერილობითი ძეგლები, აღმოცენებული დასავლური ფილოსოფიურ-თეოლოგიური და აღმოსავლური ლიტერატურული ტრადიციების შერწყმის ნიადაგზე. ანტიოქიის მთიანეთის მონასტრები განსაკუთრებით მოწონდნენ იყო იმ პილიგრიმებისთვის, რომლებსაც ხიბლავდა ასკეტური ცხოვრების უკიდურესად მკაცრი ფორმა, მესვეტეობა (ამის გამოძახილია საქართველოში არსებული საცხოვრებელი სვეტები ოლთისში, შავშეთში, იმერეთში, სამეგრელოში, კახეთში).

XI საუკუნეში ქართველი ბერმონაზვნების დიდი ტალღა ჩასულა ანტიოქიის მთიანეთში; ქართული წერილობითი წყაროების მიხედვით, ამ საუკუნის 30-იანი წლებიდან შავ მთაზე დასტურდება ქართველთა არა მარტო ცხოვრება, არამედ სამწერლობო მოღვაწეობაც (მეტრეველი 2007: 87); სვიმეონ საკვირველთმოქმედის მონასტერში XI საუკუნის შუა ხანებში, თეოდოსის პატრიარქობის (1057-1076) დროს სამოცამდე ქართველი ბერი მოღვაწეობდა, რასაც იქაური ბერძენი ბერების გულისწყრომა და მათი მონასტრიდან გაძევების სურვილი გამოუწვევია. ამას გვაუწყებს გიორგი მცირის მრავალმხრივ მნიშვნელოვანი თხზულება „ცხოვრება გიორგი მთაწმიდელისა“ (გიორგი მცირე 1967: 150). მასში მოთხრობილია, თუ როგორ გადაარჩინა ქართველი ბერები მონასტრიდან გაძევებას გიორგი მთაწმიდელმა, რომელმაც პატრიარქ თეოდოსის შეკითხვებზე პასუხისას ისეთი სიბრძნე და განსწავლულობა გამოიჩინა, რომ მოხიბლულმა პატრიარქმა ასეთი სიტყვებით მიმართა მას: „პატიოსანო მამაო, კურთხეულ არს ღმერთი, რომელ ვიხილე სინმიდე შენი. დაღაცათუ ნათესავით ქართველი ხარ, სხვთა კულა ყოვლითა სწავლულებითა სრულიად ბერძენი ხარ“ (გიორგი მცირე 1967: 151). ასევე მოიხიბლა პატრიარქი გიორგი მთაწმიდელის მიერ ქართველთა „მართლისა სარწმუნოების“ დახასიათებით და მან, დარწმუნებულმა, რომ ქართ-

ველთა სარწმუნოებას „ნაკულუღევანება“ არ აქვს, შერისხა მომჩივანი ბერები და ქართველ ბერებს უფლებები გაუფართოვა – ნება დართო მონასტერში წირვის ჩატარებისა (გიორგი მცირე 1967: 151-152).

პ. პეტერსის თანახმად, XI საუკუნის შუა წლებში ქართველი ბერები იმდენად მომძლავრებულან ანტიოქიის სანახების მონასტრებში, რომ მათი ფაქტობრივი მფლობელობისთვის მიუღწევიათ (ჯობაძე 2001: 419). მკვლევარი ასახელებს ქართველების მოღვაწეობის ცხრა სავანეს: სვიმეონწმიდას, კალიპოსს, კასტანას, ბარლამწმიდას, რომანწმიდას, პროკოპინწმიდას, წყაროთა მონასტერს, ლერწმისხევს, ეზრას (მენაბდე 1980: 152). კ. კეკელიძე რვა სავანეს გამოყოფდა: სვიმეონწმიდას, ლერწმისხევს, თუალთას, კასტანას, კალიპოსს, ბარლამწმიდას, ეზრას, ალექსანდრიის მონასტერს; მ. თარხნიშვილმა ეს რიცხვი თორმეტამდე (დაუმატა თომას, გიორგის და სხვა სავანეები) გაზარდა. ვახტანგ ჯობაძემ თოთხმეტამდე მონასტერი და ქვაბი მოიძია: სვიმეონწმიდა, რომანა, კასტანა, კალიპოსი, ლერწმისხევი, წყაროთა მონასტერი, თუალთა, ეზრა, მენა, ძელიცხოველი, პროკოპინწმიდა, ბარლამწმიდა, ჯუბია და სვიმეონწმიდასთან ახლოს მდებარე ქვაბი, სადაც გიორგი შეყენებული ცხოვრობდა და მოღვაწეობდა (Djobadze 1976: 10).

ჩამოთვლილიდან რამდენიმე მონასტერი, წერილობითი და არქეოლოგიური მასალების მიხედვით, ქართველთა დაარსებულია. მათზე მსჯელობა შორს წავიყვანს. ამჟამად შემოვიფარგლებით წმ. ბარლამის მონასტრით, რომელიც ზემოთ მოყვანილ ოთხივე ჩამონათვალში ფიგურირებს და რომლის შესახებ დღეს უკვე გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ის მოქმედი ქართული მონასტერი იყო XI-XIII საუკუნეებში, ე. ი. მანამ, სანამ ეგვიპტის სულთანი ბეიბარსი ანტიოქიას დაიპყრობდა და მონასტრებს მიწასთან გაასწორებდა.

ლიტერატურული ცნობები წმ. ბარლამის, როგორც ქართული მონასტრის შესახებ, მცირეა და დაცულია ორ ხელნაწერში: Sin.-56 (თვენი, XI-XII ს.) და Jer.-107 (თვენი, 1300 წ.) Sin. Geo.-56-ში შეტანილი ბარლამის ხსენების ტექსტი ასეთია: „თუესა ივლისსა ით წმიდისა მამისა ბარლამისი, რომელ არს მთასა კავკასსა, დღესასწაული ბარლამწმიდას, ქართველთა მონასტერსა“ (44v, 8,215), იდენტურია Jer.107-ის მოსახსენებელიც: „ამასვე დღესა [20 ივლისი] წმ. ბარლამ მამისა კავკასელისაჲ ბარლამწმიდას, ქართველთა მონასტერსა და ყოველსა სოფელსა“ (109v იხ. 9). მაშასადამე, ბარლამწმიდა ორივე ხელნაწერის მიხედვით ქართველთა მონასტერია.

ჩვენი გამოკვლევის მიზანია, მოტანილი ლიტერატურული წყაროები გავამდიდროთ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ცნობით, რომელიც შემოგვინახა გიორგი მცირის ზემოთ დასახელებულმა უმნიშვნელოვანესმა თხზულებამ გიორგი მთან-მიდელის ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ.

თხზულებაში არის ძალზე მნიშვნელოვანი ეპიზოდი, რომელშიც თეოლოგიური წიგნების თარგმნის საქმეში გიორგი მთანმიდელის უდიდეს ღვაწლზე და ანტიოქიის სანახების მონასტრებში მათი გავრცელების შესახებაა მოთხრობილი. ამას მოყვება საგულისხმო ტექსტი ანტონ ლიპარიტ-ყოფილზე.

„მოიწინეს ეკლესიანი შავისა მთისანი წიგნთა მისთა მდინარითა, სულთა განმანათლებლითა, რამეთუ ყოველთა მონასტერთა გარდაიწერნეს. და უფროს ყოველთაჲსა დიდად ილუანა სულითა კურთხეულმან ანტონი ლიპარიტ-ყოფილმან და თვისსა მონასტრისა ბარლაამწმიდისათვის დააწერინა და წმიდასა ამას ბერსა დიდად პატივ-უპყრა და ნუგეშინის-სცა და თვისსა მონასტრისაგან გაკუეთილი შეუქმნა და სიმტკიცე თვისითა ჴელითა დაუწერა და შუენიერი ქებაჲ და მადლობაჲ დაწერა მას შინა ღუანლთა და შრომათა მისთათვის“ (გიორგი მცირე 1967: 155-156).

მოყვანილი ციტატის პირველი ნაწილის შინაარსი სრულიად ნათელია: შავი მთის ეკლესიები „მოიწინა“ მისი (გიორგი მთაწმიდელის) წიგნების სულთა განმანათლებელი „მდინარით“, რადგან ისინი ყველა მონასტერში გადაიწერა. ყველაზე მეტად გაისარჯა ანტონ ლიპარიტ-ყოფილი და თავისი მონასტრისათვის, ბარლაამწმიდისათვის, გადააწერინა ხელნაწერები.

მეორე ნაწილი ციტატისა, ერთი შეხედვით, ნათელი არ არის, ენობრივ-ტექსტოლოგიურ ანალიზს თხოულობს; ალბათ, ამიტომაც მისი შინაარსი დღემდე არ იყო გახსნილი, მიუხედავად იმისა, რომ ყველა ქართველი მკვლევარი, ვისაც აინტერესებდა წმ. ბარლაამის მონასტერი ანტიოქიის მთიანეთში, იმწმებდა „ცხოვრების“ ამ პასაჟს. აშკარაა, რომ დეკლარირებულად ნათქვამი სიტყვები ციტატისა „თვისსა მონასტრისა ბარლაამწმიდისათვის“ და „თვისსა მონასტრისათვის“ ქართველი მკვლევარებისთვის (პ. ინგოროყვა, ლ. მენაბდე, ჯ. აფციაური) სულ მთლად დამაჯერებელი არ იყო და მათში გარკვეულ ეჭვს ბადებდა. ეჭვის გაფანტვა კი შეეძლო ციტატის მომდევნო, ძალზე მნიშვნელოვან ნაწილს:

„წმიდასა ამას ბერსა დიდად პატივ-უპყრა და ნუგეშინის-სცა და თვისსა მონასტრისაგან გაკუეთილი შეუქმნა და სიმტკიცე თვისითა ჴელითა დაუწერა“

ამ ეპიზოდის შინაარსი მკვლევართა ყურადღების მიღმა დარჩენილი; როგორც ჩანს, შინაარსის ამოცნობისათვის ბუნდოვანებას ქმნიდა სიტყვები – „გაკუეთილი“ და „სიმტკიცე“. „გაკუეთილს“ ძველ ქართულში, რამდენიმე მნიშვნელობა აქვს: დაწესებული, გამოყოფილი, ულუფა (რაციონიდან გამოყოფილი); „სიმტკიცე“ კი ნიშნავს სიმართლეს, ძლიერებას, სიგელს, პირობას. მოყვანილ კონტექსტში „გაკუეთილს“ ულუფის მნიშვნელობა აქვს, „სიმტკიცეს“ კი – სიგელის, პირობის. მაშასადამე, ზემომოყვანილი ციტატის შინაარსი ამგვარია:

ანტონ ლიპარიტ-ყოფილმა ამ წმინდა ბერს (გიორგი მთაწმიდელს) დიდი პატივი მიაგო, ნუგეში სცა (გამახსენა) და თავისი მონასტრიდან ულუფა (გაკუეთილი) გამოუყო და სიგელი (სიმტკიცე) თავისი ხელით დაუწერა.

მაშასადამე, ანტონ ლიპარიტ-ყოფილი უფლებამოსილია თავისი მონასტრიდან, ბარლაამწმიდიდან, ულუფა გამოუყოფს წმინდა ბერს, გიორგი მთაწმიდელს, და ის ამ ფაქტს თავისი ხელით დაწერილი სიგელით ამტკიცებს; ეს ხაზგასმითაა აღნიშნული, რაც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ სხვა შემთხვევაში ანტონი ამას არ აკეთებს, ამისთვის სპეციალური პირი ჰყავს გამოყოფილი. აშკარაა, რომ სიგელის „სიმტკიცე თვისითა ჴელითა დაწერა“ ამ სიტუაციაში გამონაკლისია და გამოხატულება უდიდესი მონივნებისა გიორგი მთაწმიდელის მიმართ.

ყველაფერი ეს იმაზე მიუთითებს, რომ ანტონ ლიპარიტი-ყოფილი ბარლაამში მიდის მონასტერში უმაღლეს ეერარქიულ საფეხურზე მდგომი ბერია, უაღრესად საპატივცემულო და ღვანღმოსილი, რომელიც მონასტრის ძმობას თავკაცად, ანუ წინამძღვრად აურჩევია.

წნდება კითხვა: რა დამსახურების გამო უნდა აერჩიათ იგი წინამძღვრად?

მცირე ისტორიული ექსკურსი: ანტონ ლიპარიტიყოფილი, ანუ ლიპარიტი ლიპარიტის ძე ბაღვაში, ქართულ საისტორიო წყაროებში კარგად ცნობილი პირია; ერთი მხრივ, ძლიერი პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე, დიდი მამულებისა და ქონების პატრონი, ზვიადი და პატივმოყვარე პიროვნება, რომელიც მთელი ცხოვრება ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ იბრძოდა და მეტოქეობას უწევდა მეფე ბაგრატ IV-ს; მეორე მხრივ, მნივნილოვანი მოყვარე, თავადაც მნივნილოვანი და ავტორი რამდენიმე ნაწარმოებისა; ხელნაწერების გადანერგვა-გამრავლებაზე მზრუნველი მეცენატი, ეკლესია-მონასტრებისთვის ფინანსების გულუხვად შემწირველი, ქველმოქმედი და მათ მშენებლობა-რესტავრაციაში მონაწილეც; დიდი ალბათობით, მას ბარლაამშიდის ქართული მონასტრის დაარსება-გასრულებაში მნივნილოვანი ფინანსური წვლილი უნდა შეეჭანა. სწორედ ამიტომ უნდა აერჩიათ იგი მონასტრის წინამძღვრად. ეს უნდა მომხდარიყო მას შემდეგ, რაც ის ბაგრატ IV-სთან ჭიდილში დამარცხებული, მეფემ იძულებით შეაყენა ბერად და განდევნა საქართველოდან 1057 წელს. სავარაუდოდ, ანტონ ლიპარიტიყოფილი ბარლაამშიდის წინამძღვარი უნდა ყოფილიყო 1059/1060-1064 წლებში, ე. ი. გარდაცვალებამდე.

ანტონ ლიპარიტიყოფილის წინამძღვრობა ბარლაამშიდის მონასტრისა კიდევ ერთი არგუმენტია, რომ ეს საგანე ქართული მონასტერია XI საუკუნის 50-60-იან წლებში; წინააღმდეგ შემთხვევაში ბერძნული მონასტრის წინამძღვარი ეროვნებით ქართველი ვერ იქნებოდა.

ეს ლიტარატურული წყარო – გიორგი მთაწმიდელის „ცხოვრება“ – უფრო ძველია, ვიდრე ზემოთ მოხმობილი ორი – Sin.-56 (XI-XII სს.) და Jer.-107 (XIII ს.) და დიდ ნდობას იმსახურებს, რადგან თვითმხილველის, გიორგი მცირის, მიერაა მოწოდებული.

მოყვანილი ციტატა „გიორგი მთაწმიდელის ცხოვრებიდან“ მნივნილოვანია იმიტაც, რომ გიორგი მთაწმიდელისთვის ბარლაამშიდიდან ულუფის გამოყოფა ადასტურებს მის იქ ცხოვრება-მოღვაწეობას გარკვეული დროის განმავლობაში. დღემდე ცნობილი იყო, რომ ეს დიდი მოამაგე ეროვნული კულტურისა მოღვაწეობდა რომანას, კალიპოსის და სვიმეონშიდის მონასტრებში.

დაბოლოს: ამერიკაში მცხოვრები ჩვენი თანამემამულის, აწ განსვენებული ვახტანგ ჯობაძის ანტიოქიის სანახებში ჩატარებული ზუთი არქეოლოგიური ექსპედიციის (1962-1967 წწ.) შედეგებმა სრული უეჭველობით დაადასტურა, რომ წმ. ბარლაამის მონასტერი ანტიოქიაში, კასიუსის მთაზე, XI-XIII საუკუნეებში ქართული მონასტერია და აშენებულია ქართველების, კერძოდ, სამთავისის საკათედრო ეკლესიის მამულებელი ხუროების მიერ (ჯობაძე 2001: 431), რომლებიც ანტიოქიაში ჩასულან XI საუკუნის 30-იან წლებში. ქართული მონასტერი აშენდა ნაფუძარზე ბერძნული ეკლესიისა, რომელიც მთლიანად გაანადგურა

კატასტროფულმა მიწისძვრამ 526-528 წლებში. ასეთივე ბედი ეწია ქართულ ბარლაამშიდასაც. XIII ს-ის 60-იან წლებში ის ჯერ სულთან ბეიბარსის მეომრებმა ააოხრეს, მომდევნო საუკუნეებში კი ძლიერმა მიწისძვრებმა მიწასთან გაასწორეს, ასე რომ, ვახტანგ ჯობაძის ექსპედიციების დროს წმ. ბარლაამის ქართული მონასტრისაგან მხოლოდ ქვების გროვა იყო დარჩენილი. დღეს მონასტრის ნაშთები თურქეთის საზღვრებშია მოქცეული.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. **გიორგი მცირე 1967:** გიორგი მცირე, ცხოვრება გიორგი მთაწმიდელისაჲ, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. II (XI-XV სს.), ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1967.
2. **კეკელიძე 1960:** კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, ძველი მწერლობა, თბ., 1960.
3. **მეტრეველი 2007:** მეტრეველი ე., შავი მთის მნივობრული კერის ისტორიისათვის XI საუკუნის პირველ ნახევარში, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, ნაკვეთი I, თბ., 2007.
4. **მენაბდე 1980:** მენაბდე ლ., ძველი ქართული მწერლობის კერები, II, თბ., 1980.
5. **ჯობაძე 2001:** ჯობაძე ვ., წმ. ბარლაამის მონასტერი კასიუსის მთაზე, კრებ. „მრავალთავი“, XIX, თბ., 2001.
6. **სინური კოლექციის აღწერილობა 1979:** ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, სინური კოლექცია, II, შეადგინეს და დასაბუჯდად მოამზადეს ც. ჭანკიევმა და ლ. ჯღამაიამ, თბ., 1979.
7. **Djobadze 1976:** Djobadze W., Material for the Study of Georgian Monasteries in the Western. Environs of Antioch on the Orontes, CSCO 372, Subsidia, t. 48, Louvain, 1976.
8. **Garritte 1968:** Version géorgienne de la via de sante Marthe, éditée par G. Garritte, CSCO, vol 285, Scriptorum Uberici, t. 17, Louvain, 1968.
9. **Март 1901:** Март Н., Агиографические материалы по грузинским рукописям Ивера, ч. I, 1901.

Lia Kiknadze

## THE MONASTERY OF ST. BARLAAM IN SYRIA (IN THE ENVIRONS OF ANTIOCH)

### SUMMARY

The Georgians are present in Syria from the 6<sup>th</sup> century. In the 6<sup>th</sup> century, when Syria was conquered by the Arabs, the activities of Georgian monks in this region was scarce but from the 10<sup>th</sup> century, when Syria became Byzantine domain, Georgian monks, mainly from Tao-Klarjeti appeared in the vicinity of Antioch. This was conditioned not

only by the fact that Antioch was the centre of Eastern culture and Christian literature, but also by the fact that mountainous region of Antioch had a peaceful environment for literary activities.

Initially Georgian monks used to reside in monasteries of other countries but from the 11<sup>th</sup> century they built their own monastic establishments and became active in literary production.

Both Georgian and foreign scholars name different Georgian centers: P. Peeters names nine monasteries, K. Kekelidze – eight, M. Tarkhnishvili – twelve and V. Jobadze revealed fourteen monasteries as a result of his archeological expeditions: the Monastery of St. Symeon, Kalipos, Kastana, Romana, the Monastery of the Valley of the Reeds, “Tskarota”, “T’vali”, the Monastery of Father Ezra, Menas, the Church of the “Wood of Life”, the Monastery of the Holy Procop, St. Barlaam, Jubia, the hermitage near the Monastery of St. Symeon where George the Recluse dwelt.

A few of these monasteries were established by the Georgians. The Monastery of St. Barlaam is among them. In this research the latter one is investigated.

All the four authors mention the Monastery of St. Barlaam. According to two written monuments it is a Georgian monastery in the 11<sup>th</sup>-13<sup>th</sup> centuries. They are Sin. georg. 56 (Menaion, 11<sup>th</sup>-12<sup>th</sup> cc) and Jer. georg. 107 (Menaion, 13<sup>th</sup> c). One more literary source that mentions the same monastery is Giorgi Mtsire’s “The Bios of George the Athonite”. In the first part of a passage from the “Bios” we read about the translations (from Greek) of theological books done by this holy monk, the spreading of manuscripts in the monasteries of mountainous region of Antioch and former Liparit-Anton (Baghvashi) who had commissioned the greatest amount of manuscripts for “his Monastery of St. Barlaam”. This testifies that the Monastery of St. Barlaam had been established by him. However, for some scholars this declaration was not quite convincing, they were still doubtful. After decoding the content of the second part of the passage more light has been cast on the issue.

On the basis of the language and text analysis, the research reveals the content of the passage which attests that former Liparit-Anton was a high-rank monk or a prior. He had the right to give his share to Giorgi the Athonite which is testified by the gift certificate written by himself as a token of great veneration.

Thus, it can be inferred that the Monastery of St. Barlaam is a Georgian monastery in the 1050s-1060s. Otherwise a Georgian monk could never have become the prior of a Greek monastery.

And finally, the results of V. Jobadze’s Archeological Expeditions (1962-1967) attest to the fact that the Monastery of St. Barlaam was a Georgian monastery in the 11<sup>th</sup>-13<sup>th</sup> centuries built by Georgian masons on the foundations of a Greek monastery which was completely ruined after the disastrous earthquakes in 526-528.

## აკა დულაშვილი

### სანკტ-პეტერბურგის კოლეჯის ქართულ-ბერძნული ხელნაწერი: ბერძნული ტექსტები

მსოფლიოს სხვადასხვა წიგნსაცავში არსებული ქართული ხელნაწერი მემკვიდრეობა ჩვენი კულტურის წერილობითი თუ მხატვრული შემოქმედების მნიშვნელოვან ნიმუშებს წარმოგვიდგენს.

სანკტ-პეტერბურგში დაცული ქართულ-ბერძნული ხელნაწერი (სანკტ-პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკა, рязножз. 0.1.58) ყურადღებას XIX საუკუნის დამლევადან იპყრობს. ხელნაწერი მისი შედგენილობის, ქართული და ბერძნული ტექსტების ტიპოლოგიის, მათი შინაარსობრივი და ტექსტობრივ-ფილოლოგიური თავისებურებების თვალსაზრისით არავის უკვლევია. ლ. ევსეევას, რომელმაც მხატვრული თვალსაზრისით მონოგრაფიულად შეისწავლა ხელნაწერი, ტექსტების, განსაკუთრებით კი ქართულის, მიმართება მინიატურებთან არ გაუთვალისწინებია. მის მიერ განსაზღვრულ იქნა ხელნაწერის შექმნის სავარაუდო თარიღი და ადგილი – ათონის ივერთა მონასტერი (Евсеева 1983).

საკითხის შესწავლის სიახლეს განაპირობებს ის, რომ, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის პროექტის ფარგლებში, პროექტის მონაწილეთა მიერ სანკტ-პეტერბურგის ხელნაწერის ორენოვანი ტექსტები და დასურათება კომპლექსურად იქნა შესწავლილი.

ხელნაწერი ქართული და ბერძნული ტექსტების თავისებურ ერთიანობას წარმოადგენს. მასში შესული ორენოვანი ტექსტები განსხვავებული ყანრისა და შინაარსისაა. შეიცავს ლიტურგიკული ხასითის საკითხავების ციკლს ოთხივე სახარებიდან, ცალკეული დღესასწაულების და წმინდანებისდმი მიძღვნილ მცირე ფორმის საგალობლებს, ლოცვებს და აპოკრიფულ ტექსტებს – იესო ქრისტესა და მეფე ავგაროზის მიმონერას. ტექსტები განთავსებულია ხელნაწერის დასაწყისში, შუაში და ბოლოსაც. ხელნაწერში 385 მინიატურაა, მათგან 165 მრავალფეროვანი და 220 ერთფეროვანი გამოსახულება. ქართულ-ბერძნული ხელნაწერის ნაწილადაა მიჩნეული ქუთაისის მუზეუმის „გულანში“ (K-115) ჩართული ორი დასურათებული ფურცელიც (157r-v, 157r-v). ნუსხის დასასურათებლად შექმნილ შვიდასამდე გამოსახულებას მკვლევარი ლ. ევსეევა

XV საუკუნის ბოლოთი ათარიღებს. ხელნაწერს არ ახლავს ანდერძი, ამდენად, მისი გადაწერის ადგილისა და დროის შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება. ნუსხას ბოლო რესტავრაცია XVII საუკუნეში ჩაუტარდა. იგი ხელახლა აკინძეს და პაგინაციაც ახალი გაუკეთეს. მოგვიანო ხანისაა ხელნაწერის ვერცხლის კოტიცი.

ქართულ-ბერძნული ხელნაწერის ქართული ნაწილი თითქმის მთლიანად ეთმობა ლიტურგიკული საჭიროებისათვის განკუთვნილ სახარებისეულ საკითხავებს. ხელნაწერის კიდეებზე არ ჩანს მითითება იმაზე, თუ რომელ დღეზეა დადებული ესა თუ ის საკითხავი. საფიქრებელია, ხელნაწერის ბოლოში იყო საძიებელი ლიტურგიკული მინიშნებებით, რომელიც ბოლო ფურცელთა კლების გამო ჩვენამდე არ არის მოღწეული.

ტექსტების ამგვარი განლაგება და მინიატურებთან ერთად ერთ ხელნაწერში თავმოყრა ნუსხის თავისებურებაა. ამ ტიპის ნუსხას ლ. ვესევეა სასულიერო შინაარსის ტექსტების კრებულად მიიჩნევს, სადაც მინიატურები და ტექსტები ერთმანეთთან შინაარსობრივად და იდეურად არის დაკავშირებული. სადღესასწაულო ტროპარები და წმინდანებისადმი მიძღვნილი ლოცვები შერჩევით არის განლაგებული. ყველაზე გავრცელებული ტექსტები – საკითხავები – ნუსხის დასაწყისსა და ბოლოშია მოთავსებული, რაც ხელნაწერის იდეურ-შინაარსობრივ პროგრამას ასახავს. ხელნაწერის დასაწყისში სახარების საკითხავების რიგი, რომლებიც ქრონოლოგიურად ქრისტეს მინიერი ცხოვრების ამსახველ ფრაგმენტებს ასახვს, თავისებურ ტიპოლოგიად შეიძლება ჩაითვალოს. ქართულ-ბერძნული ხელნაწერის ეს ტექსტობრივი ნაწილი ახლოს დგას ქრისტიანულ აღმოსავლეთში, კერძოდ კი სირიასა და შუამდინარეთში გავრცელებულ დიატესარონთან, რომელიც მოღწეულია XIII საუკუნის სპარსული თარგმანით და ბერძნულენოვანი ფრაგმენტით. ამგვარი ტიპოლოგიის ხელნაწერის შესახებ აღნიშნული აქვს ვესევი კესარიელს თავის „საკელესიო ისტორიაში“. ამ ტიპის შემოკლებული სახარება გავრცელებული იყო ქრისტიანობის ადრეულ საუკუნეებში და გამოიყენებოდა ქრისტიანობის საქადაგებლად, თუმცა V საუკუნის შემდეგ იგი უკვე ერეტიკულად ითვლებოდა. მიუხედავად ამისა, მსგავსი ტიპის ხელნაწერების პოპულარობა გაგრძელდა X-XIV საუკუნეებშიც. 1541 წელს დიატესარონი გადაწერა და მინიატურებით შეამკო ქრისტიანმა სპარსმა. ეს ხელნაწერი გადაიტანეს რომში, რომ პაპისთვის საჩუქრად მიერთმიათ (Евсеева 1983: 342-366). თუკი დიატესარონის ტექსტი შუა საუკუნეებში ცნობილი იყო სირიასა და შუამდინარეთში, აგრეთვე, ევროპაში, მას, სავარაუდოდ, იცნობდნენ საქართველოშიც.

ხელნაწერში შესული ბერძნული ტექსტობრივი ნაწილი შეიცავს ქართული-სგან განსხვავებული შინაარსის ტექსტებს, მათ შორის სამედიცინო ხასიათის ეპიგრამებს, რომლებიც წლის თითოეული თვის დახასიათებას წარმოადგენს. ამ ტექსტებში აღწერილია, თუ რომელი თვეა საზიანო ან სასარგებლო ადამიანის ჯანმრთელობისთვის. ეპიგრამის ტექსტს მოსდევს თვეების პერსონიფიცირებული აღწერა, რაც ავტორს სჭირდება მინიერი დროის იდეის გადმოსაცემად. ეპი-

გრამის ავტორები არიან ნიკოლოზ კალიკლე, ბიზანტიის საიმპერატორო კარის ექიმი და შესანიშნავი პოეტი XI-XII საუკუნეებში და XI საუკუნის კომენტატორი თეოდორე პროდრომოსი. ამგვარი თხზულებები შუა საუკუნეებში გავრცელებული იყო სამონასტრო წრეებშიც.

ხელნაწერი განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მასში ჩართული ბერძნული ტექსტების შინაარსობრივი და ენობრივი თავისებურებების თვალსაზრისით და საინტერესოა შედგენილობისა და ენობრივი ფორმების სპეციფიკითაც.

ნუსხაში ბერძნული ტექსტები შემდეგი თანმიმდევრობით არის განლაგებული:

- საუფლო დღესასწაულთა მინიატურები და შესაბამისი საგალობელი ტროპარები (სურ.1);
- პერსონიფიცირებული თვეები და თეოდორე პროდრომოსის და ნიკოლოზ კალიკლეს მიერ შედგენილი ეპიგრამები (სურ. 2);
- ლოცვები: „აცხოვნე, უფალო ერი შენი, „მამაო ჩუენო“ და სხვ;
- სახარების საკითხავები ე. წ დიატესარონი: ოთხი სახარების – იოანეს, მათეს, ლუკას, მარკოზის თავებიდან;
- წმინდანებისადმი და მახარებლებისადმი მიმართული სხვადასხვა შინაარსის ლოცვები. ტექსტები შინაარსობრივად შეესაბამება თანხლებ მინიატურებს, ხოლო ტექსტში ჩართულ სავედრებელ ლოცვებში იხსენიება ქაიხოსრო, რომლის მრავალჯამიერ სიცოცხლეს და მფარველობას შესთხოვენ წმინდანებს ხელნაწერის გადამწერები (სურ. 3);
- თეოდორე პროდრომოსის ფილოსოფიური შინაარსის საგალობლები, რაზეც ტექსტის წინ წამძღვარებული სათაურიც მიუთითებს (114r-115v).

ასეთია ხელნაწერის ბერძნული ტექსტების შედგენილობა და თანმიმდევრობა.

ბერძნულ ტექსტობრივ ნაწილში, როგორც აღვნიშნეთ, არალიტურგიკული შინაარსის ეპიგრამებია, რაც ხელნაწერის სპეციფიკას წარმოადგენს. თუ დავუშვებთ, რომ ხელნაწერი ზოგადად ლიტურგიკული ფუნქციის იყო, მაშინ ნიკოლოზ კალიკლეს და თეოდორე პროდრომოსის ეპიგრამების ჩართვა არალოგიურია; ბერძნულ ტექსტობრივ ნაწილს, ვფიქრობთ, რომ დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს მთლიანად ხელნაწერის კომპოზიციის გასააზრებლად და XV საუკუნის პოსტიზანტიური გავლენითაა შედგენილი.

მინიატურების მხატვრულ-სტილისტური ანალიზის საფუძველზე სამეცნიერო წრეებში ბოლო ხანებამდე მიჩნეული იყო, რომ XV საუკუნის ბოლოთი დათარიღებული სანკტ-პეტერბურგის ქართულ-ბერძნულ ხელნაწერი ათონურ წრეში შეიქმნა. ნ. ქავთარიას დაკვირვებით, ოთხთავის მხატვრული გაფორმება და მინიატურები, ისევე როგორც ამ პერიოდის ათაბაგთა სკრიპტორიუმში დასურათებული ხელნაწერები, მათთვის დამახასიათებელი ქართული მინიატურული მხატვრული ტრადიციების და აღმოსავლური გავლენის მიუხედავად, ახლო კავშირს ამჟღავნებს ათონთან და მასთან დაკავშირებულ მხატვრულ წრესთან

(თესლონიკი) და კრეტული და დასავლური ხელოვნების ანარეკლს წარმოადგენს (Евсеева 1983: 342-366; ქავთარია 2009: 174-176; დულაშვილი... 2012: 8)

ხელნაწერის ზუსტი დათარიღება და შექმნის ადგილის განსაზღვრა შესაძლებელი გახდა ხელნაწერის ბერძნულ და ქართულ ლოცვათა ტექსტების დადგენის შემდგომ, მათში მოხსენიებული ქაიხოსროს პიროვნების იდენტიფიკაციის საშუალებით. როგორც ვაიკვა, ლოცვების ტექსტებში მოხსენიებული ქაიხოსრო არის სამცხის ათაბაგთა საგვარეულოს ცნობილი წარმომადგენელი, ყვარყვარე II დიდის ვაჟი, სამცხის ათაბაგი 1498-1500 წლებში. იგი სანკტ-პეტერბურგის ხელნაწერის ლოცვების ტექსტებში ცოცხლად იხსენიება. ამდენად, ხელნაწერი შექმნილი უნდა იყოს ქაიხოსრო ათაბაგის სიცოცხლეში, 1500 წლამდე.

ათაბაგთა კარზე იმ პერიოდში შექმნილ ხელნაწერებზე დართულ ანდერძ-მოსახსენებლებიდან, რომლებშიც ხაზგასმულია ჯაყელთა სახლის წევრების ქრისტიანული სათნოება და ქრისტიანული განწყობილება, ვიგებთ, რომ ქაიხოსრო ყვარყვარეს ძე „სიბრძნის გამომეძიებლობასთან“ ერთად, „დაუცხრომლად ღმრთის მადიდებლობითაც“ გამოირჩეოდა (შარაშიძე 1961:95-96; კლდიაშვილი 2010: 228-229).

პეტერბურგის ხელნაწერი, რომლის შექმნაშიც ქაიხოსრო ყვარყვარეს ძის განგებით მონაწილეობას იღებდა რამდენიმე გადამწერი და მხატვარ-მინიატურისტი, პალეოგრაფიული თვალსაზრისითა და მინიატურების შესრულების სპეციფიკით, სიახლოვეს გვიჩვენებს XV-XVI საუკუნეების მიჯნაზე სამხრეთ საქართველოში შექმნილი რამდენიმე მოხატული ხელნაწერი (A-351, Q-920, Q-921, K-375 და სხვ.) (ამირანაშვილი 1961: 380-381; სხირტლაძე 1994: 20-25; ქავთარია 2009: 175-176).

მხატვრული თვალსაზრისით პეტერბურგის ხელნაწერთან სიახლოვეს გვიჩვენებს ფსალმუნი (A-351). ის ქაიხოსროს ძმის, პატრონ მზეჭაბუკის დაკვეთით, 1494 წელსაა გადაწერილი ქაიხოსროს „გაზრდილი“ კალიგრაფისა და მინიატურისტის, ამბროსის მიერ. ზ. სხირტლაძის მოსაზრებით, მხატვრულ-სტილისტური თავისებურებების თვალსაზრისით, პეტერბურგის ხელნაწერის მინიატურების ერთ ჯგუფს (მათ შორის გელათის გულანაში ჩაკრულ მინიატურებს) ბევრი რამ აქვთ საერთო A-351 ხელნაწერი ფსალმუნის შემამკობელ მინიატურებთან, რაც სავარაუდოს ხდის ქართულ-ბერძნული ხელნაწერის გადწერასა და დასურათებაში სხვადასხვა ოსტატთა გვერდით ამ ხელნაწერის გადწერის და მოხატულობით შემამკობელის, ამბროსის მონაწილეობას (სხირტლაძე 1994: 21-25). 1500 წლის ახლო ხანებში ქაიხოსროს სულის სამლოცველოდ ათონის ივერთა მონასტერში დიდი შესანიშნავით ჩასულ ქაიხოსროს „გაზრდილი“ ამბროსის განსაკუთრებული წვლილი შეუტანია მონასტერში გოდოლის, სენაკებისა და კათოლიკონის გუმბათის აღდგენისა და პორტიკისას ხატის ახალი მოჭედულობით შემოსვის საქმეში. ამ დამსახურებისა და ათაბაგთა მიერ დიდი შეწირულების აღსანიშნად ქაიხოსროს პორტრეტული გამოსახულება მონას-

ტრის გალერეის ქართველ მეფეთა და დიდებულთა საკტიტორო რიგშიც ჩაურთავთ (სხირტლაძე 1994: 17-27).

ქაიხოსროს უდროო გარდაცვალებით გამოწვეული მწუხარებაა გადმოცემული ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმში დაცულ 1502 წლით დათარიღებულ მდიდრულად გაფორმებულ ოთხთავის (K-375) ვრცელ ანდერძში. დ. კლდიაშვილის გამოკვლევით, ხელნაწერის გადამწერია მღვდელმონაზონი აკაკი, რომლის მიერაც 1502 და 1504 წლებში გადწერილ და შემკობილ იქნა ორი ოთხთავი (K-375 და Q-920); ამ ხელნაწერებში მზეჭაბუკის და მისი დის, გიორგი VIII-ის თანამეცხედრის, თამარის ბრძანებით აკაკის მიერ შეტანილ იქნა ნეკროლოგის ტიპის ათაბაგთა სახლის ნევრების განმადიდებელი მოსახსენებლები. დ. კლდიაშვილის აზრით, აკაკის მიერ გადწერილი და მოხატულობით შემკული ეს ხელნაწერები პალეოგრაფიული და მხატვრული სტილის მიხედვით საათაბაგოს სამხატვრო წრეში შექმნილ სანკტ-პეტერბურგის ქართულ-ბერძნულ კრებულს უკავშირდება, რაც იძლევა ვარაუდის საფუძველს, რომ ქართულ-ბერძნული კრებულის შექმნაში მონაწილეობას იღებდა ათაბაგთა კარზე გაზრდილი ქართველი მღვდელმონაზონი აკაკი და ტრაპიზონიდან საათაბაგოში დამკვიდრებული ბერძენი მღვდელმონაზონი სვიმეონი (იგი საათაბაგოში გახდა ჯერ ტბეთის, შემდეგ აწყურის ეპისკოპოსი); მათ 1470-იან წლებში ქაიხოსროს უმცროსი ძმის, ბაადურის გარდაცვალებასთან დაკავშირებით შეწირულება ჩატანიათ ათონის ივერთა მონასტერში (კლდიაშვილი 2010: 229).

რაც შეეხება ხელნაწერის ბერძნული ტექსტებისა და ლოცვების გადამწერ-შემდგენელს, იგი, ჩვენი დაკვირვებით, მართლაც, ამ ორ მღვდელმონაზონთაგან ერთ-ერთის, კერძოდ კი, ტრაპიზონელი სვიმეონის შექმნილი უნდა იყოს; ან, როგორც ვარაუდობენ, მის შედგენაში ორივე მათგანი – ტრაპიზონელი ბერძენი სვიმეონი და ქართველი აკაკი ერთად მონაწილეობდნენ. ნიშანდობლივია ისიც, რომ სწორედ ქაიხოსრო ათაბაგის მოღვაწეობის პერიოდში საგრძნობლად გაიზარდა საათაბაგოში დამკვიდრების მოსურნე ტრაპიზონიდან გადმოსახლებულ ბერძენთა (რომეების) რაოდენობა, ხოლო თავად ქაიხოსრო ათაბაგმა შეისწავლა ბერძნული ენა და მფარველობდა ბერძნული დიასპორის წარმომადგენლებს (კლდიაშვილი 2010: 223-224).

ღრმად პატივსაცემ პიროვნებად ჩანს ქაიხოსრო ბერძნულ-ქართული ხელნაწერის ლოცვების ბერძნულ ტექსტში ჩართულ მოსახსენებლებში:

105v-106r:

βιοηήσατε τον δι̅σλον τὸν θεὸν καὶ χριστον.

(შეწიეთ მონასა ღვთისა ქაიხოსროს)

107p. ἀγιοι γυναῖκες, βιοηήσατε και σωτηρήσατε τον δι̅σλον τὸν θεὸν καὶ χριστον ὑν̅ και αἰ̅ και εἰς τους αἰ̅νας τῶν αἰ̅ωνων, ἀμῖν.

(წმინდანო დედანო, შეწიეთ და აცხოვნეთ მონა ღვთისა ქაიხოსრო, ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე).

ხელნაწერის ბერძნული ტექსტების ენობრივი ფორმების ანალიზის მიხედვით ნათლად ჩანს, რომ ხელნაწერის გადამწერი იყენებს სახარების საკითხავების ცნობილ ტექსტებს, სადაც არ შეინიშნება ორთოგრაფიული შეცდომები, მაგ., იოანეს სახრების საკითხავი ენობრივად და ორთოგრაფიულად გამართულია:

|| \*Ἐν ἀρχῇ ἦν ὁ Λόγος ἦν καὶ ὁ Λόγος ἦν πρὸς τὸν Θεὸν καὶ Θεὸς ἦν ὁ Λόγος. || \*Ὁὗτος ἦν ἐν ἀρχῇ πρὸς τὸν Θεόν. || \*Πάντα δι' αὐτοῦ ἐγένετο, καὶ χωρὶς αὐτοῦ ἐγένετο οὐδὲ ἓν ὃ γέγονεν. ἐν αὐτῷ ζῶν ἦν τὸ φῶς τῶν ἀνθρώπων. || καὶ τὸ φῶς ἐν τῇ σκοτίᾳ φαίνει, καὶ ἡ σκοτία αὐτὸ οὐ κατέλαβεν. || \*Ἐγένετο ἀνθρώπος ἀπεσταλμένος παρὰ Θεοῦ, ὄνομα αὐτῷ Ἰωάννης. || οὗτος ἦλθεν εἰς μαρτυρίαν, ἵνα μαρτυρήσῃ περὶ τοῦ φωτός, ἵνα πάντες μαρτυρήσῃ περὶ τοῦ φωτός. || \*Ἦν τὸ φῶς τὸ ἀληθινόν, ὃ φωτίζει πάντα ἄνθρωπον, ἐρχόμενον εἰς τὸν κόσμον.

ასეთივე სურათს გვიჩვენებს მინიატურებთან ჩართული საგალობელი ტროპარებიც:

მაგ., 67r-ზე დიდი პარასკევის ტროპარი:

Τὸν δι' ἡμᾶς σταυροθέντα,

δεῦτε πάντες ἡμῆσάμεν,

αὐτὸν γὰρ κατείδε Μαρία ἐπὶ τοῦ ξύλου,

καὶ ἔλεγεν, Εἰ καὶ σταυρὸν ἴχοιμεν,

σὺ ὑπάρχεις ὁ Υἱὸς Θεός μου.

66n-ზე ბზობის დღესასწაულის ცისკრის მსახურების საგალობელი ტროპარი:

Συταφέντες σοι διὰ τοῦ Βαπτίσματος, Χριστέ ὁ Θεός ἡμῶν,

τῆς ἀθανάτου ζωῆς ἠξιώθημεν τῇ Ἀναστάσει σου,

καὶ ἀσυμῶντες κράζομεν, Ὡσαινά ἐν ταῖς ὑψίστοις,

εὐλογημένος ὁ ἐρχόμενος ἐν ὀνόματι Κυρίου

რაც შეეხება ლოცვების ტექსტებს, რომლებიც ხელნაწერის გადამწერის მიერ უნდა იყოს შედგენილი, მათში შეინიშნება როგორც ორთოგრაფიული, ისე აზრობრივი შეცდომები, რაც ბერძნული ენის არასაკმარისი ცოდნით უნდა იყოს განპირობებული.

ყურადღებას გავამახვილებთ რამდენიმე განსაკუთრებით საინტერესო ენობრივ თავისებურებაზე: მაგ., ტექსტში ხშირად გვხვდება ფორმა ἡμαρτυσατε-რაც ზმნის μαρτυρέω-ს აორისტის მეორე პირის ფორმაა შინაარსიდან გამომდინარე;

ἀγχε θεόδωρε καὶ οἱτίνας ἡμαρτυσατε διὰ τοῦ κυρίου ἡμῶν ἰησοῦν χριστόν, βοηθήσατε τὸν δούλον τοῦ θεοῦ καὶ ἰησοῦν.

ლოცვის ბერძნული ტექსტის ქართული თარგმანი ასეთია: „წმინდაო თეოდორე და ვინც ენამეთ უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესთვის, შეენიეთ მონასა ღვთისას ქაიხოსროს.“ „ენამეთ“ შინაარსით არის ვნებითი გვარის აორისტი

დროის ფორმა, რომლის სწორი ტრანსლიტერაციაა ἔμαρτυρήσατε. ხელნაწერში დადასტურებული ფორმა ἵμαρτυσατε არ არის არც პოსტიზანტიური ბერძნული ენისთვის დამახასიათებელი. ეს ენობრივი შეცდომა და სასაუბრო ენის მცდარი წარმოთქმის ვარიანტია.

აქვე საგულისხმოა საკუთარ სახელთა და საღვთო სახელთა „იესო ქრისტე, უფალი ღმერთი“ პატარა ასოებით ტრანსლიტერაცია, რაც ზემოთ მოყვანილ ფრაზაშიც ჩანს: κυρίου, ιησους χριστου, τον θεον, και χριστον.

საყურადღებო მაგალითია ზმნა σατηρήσατε:

βίηθησατε και σατηρήσατε τον δονλον τον θεον

και χριστον (შეენიეთ და აცხოვნეთ მონა ღვთისა ქაიხოსრო).

σατηρήσατε ზმნა მიღებულია σάჯα (გამოხსნა, ცხოვნება), საიდანაც ნაწარმოებია არსებითი სახელი σατηρία (ცხოვნება), მაგრამ არსებითი სახელის ამგვარი ფუძიდან ზმნის წარმოება არ დასტურდება სალიტერატურო ბერძნულში. ეს, შესაძლებელია, სასაუბრო ენიდან მომდინარეობდეს.

ტექსტში გვხვდება ასევე აორისტის იმპერეტივის შემდეგი ფორმაც 107r-ზე: τους πολεμισοντας αυτον, σατηρψου (მებრძოლთა მისგან იხსენ), რაც ასევე „σάτηρ“ ფუძიდან არასწორი წარმოებაა. აქვე ორთოგრაფიაც შეცდომით არის, უნდა იყოს „σάτηρ“ ნაცვლად „σάτηρ“-ისა.

ტექსტში, სისტემატურად, φνά-ის ნაცვლად გვხვდება φοος:

106r ἔμπροσθεν αυτου φοος, οπίσω αυτου δικαιοσύνη.

107r Ιησους χριστός ικα. φοός χριστου.

109r φοοισόν μου

ბერძნულ ტექსტებში ასევე თვალშისაცემია ბიზანტიური ბერძნული ენის ფონეტიკის თავისებურებანი – ხშირია ორთოგრაფიული შეცდომები, მახვილების არასწორი დასმა ან კლება (მახარაძე 2003: 11). მაგ., προτης ἀμαρτίας – უნდა იყოს πρώτης

გვხვდება აზრობრივად გაუმართავი ფრაზებიც, რაც მხოლოდ ორთოგრაფიით არ არის გამოწვეული: მაგ., ამ ფრაზაში რამდენიმე შეცდომაა დაშვებული. არ არის დასმული მახვილები:

δέομαι τῆς σῆς ἀγαθότητος, δις μι χάριν σὺν σοφῶς του

διαοια και δραν τας σοι ἐάρεστα και μοι συμφεοιται (ვევედრები შენს სახიერებას, რომ მომანიჭო ბრძნული აზრი, რათა ვიმოქმედო შენთვის სათნოდ და ჩემს შესაფერისად).

τους διαοια-მდედრობითი სქესის სიტყვაა, ამიტომ მდედრობითი სქესის არტიკლი უნდა უძლოდეს τη διαοια. ასევე ბოლო ფრაზა:

„τας σοι ἐάρεστα και μοι συμφεοιται. „ἐάρεστα-ს აკლია ὕ- უნდა იყოს ἐάρεστα, ხოლო მეორე სიტყვა – συμφεοιται-ზმნა – არის ზმნიზედის ნაცვლად, აზრობრივად ἐάρεστα-ს ანალოგიურად უნდა იყოს ზმნიზედა συμφεοιται. წინადადებაში, შინაარსიდან გამომდინარე, ზმნიზედები უნდა იყოს.

განხილული მაგალითები გვაფიქრებინებს, რომ ხელნაწერის ბერძნული ტექსტების ავტორი არ არის კარგად განსწავლული ბერძნული ენის ორთოგრაფიასა და, ზოგადად, სალიტერატურო ენის ნორმებში.

ბერძნულ ტექსტებზე დაკვირვება აჩვენებს, რომ გადამწერისთვის ბერძნული არ უნდა იყოს მშობლიური ენა. თუ გავითვალისწინებთ XV საუკუნეში სამცხე-საათაბაგოში ტრაპიზონის ბერძნულენოვანი ტენდენციების გავლენას და პონტოდან გადმოსახლებულ დიასპორის არსებობას, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ხელნაწერში შესული ბერძნული ლოცვები შეადგინა ათაბაგების კარზე მყოფმა პონტოელმა ბერძენმა, ან ქართველმა, რომელმაც მხოლოდ სასაუბრო ბერძნული იცოდა.

პოსტიზანტიურ ბერძნულში ბრუნვათა და უღლებათა ფორმების ორთოგრაფია ხშირად არეულია, რაც სახალხო-სალაპარაკო ენის გავლენით აიხსნება. აქედან გამომდინარე, ხელნაწერში დაშვებული ორთოგრაფიული შეცდომები შეიძლება დაეშვა როგორც ტრაპიზონიდან გადმოსახლებულ ბერძენს, ასევე ქართველს, რომელმაც სწორედ ამ გარემოში ისწავლა ბერძნული ენა.

ბერძნული ტექსტების ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ხელნაწერის შედგენილობა და სახე გარკვეულწილად ავლენს მემკვიდრეობით მიღებულ იმ ლიტერატურულ ტრადიციას, რაც იმ ეპოქაში, ბიზანტიის იმპერიის დაცემისა და საქართველოს მძიმე მდგომარეობის ფონზე, კვლავ იძლეოდა მაღალი პროფესიული დონის შენარჩუნების შესაძლებლობას. ორენოვანი კრებული საინტერესო მაგალითია ბერძნულ-ქართული კულტურული ურთიერთობებისა, რომელშიც თვალნათლივ გამოჩნდა როგორც ამ ეპოქის თვალთახედვით გააზრებული ბრწყინვალე საუკუნეების შემოქმედებითი გამოცდილება, ასევე თანადროული აზროვნება.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. **ამირანაშვილი 1961:** ამირანაშვილი შ., ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1961.
2. **დულაშვილი... 2012:** დულაშვილი ე., ქავთარია ნ., ამბავი ერთი ხელნაწერისა, ქართულ-ბერძნული ილუსტრირებული ხელნაწერი სანკტ-პეტერბურგის კოლექციიდან, თბ., 2012.
3. **კლდიაშვილი 2010:** კლდიაშვილი დ., ჯაყელთა კიდევ ერთი საგვარეულო მატრიანე ქუთაისის ისტორიული მუზეუმიდან, II საერთაშორისო კონფერენცია „ტაო-კლარჯეთი“ – მასალები, თბ., 2010.
4. **მახარაძე 2003:** მახარაძე ნ., ბიზანტიური ბერძნულის ფონეტიკის საკითხები, II, თბ., 2003.
5. **სხირტლაძე 1994:** სხირტლაძე ზ., ივერიის ღვთისმშობლის ხატის მოჭედილობა, თბ., 1994.

6. **ქავთარია 2009:** ქავთარია ნ., ათაბაგთა კარის სკრიპტორიუმი XV-XVI საუკუნეებში, I სართაშორისო სიმპოზიუმის „ქართული ხელნაწერი“ – მოხსენებათა თეზისები, თბ., 2009.
7. **შარაშიძე 1961:** შარაშიძე ქ., სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVI სს), ტექსტების პუბლიკაცია, გამოკვლევები და საძიებლები ქრ. შარაშიძისა, თბ., 1961
8. **Kavtaria 2012:** Kavtaria N., The Atabag Court and Georgian Miniature Painting of the 15<sup>th</sup>-16<sup>th</sup> centuries, Le Symposium International Le Livre. La Romanie. L'Europe, Bucharest, 2012.
9. **Skhirtladze 2005:** Skhirtladze Z., The Original Cladding of the Portaitissa Icon, Oriens Christianus, Bd. 89, 2005.
10. **Евсеева 1983:** Евсеева Л., Греко-грузинская рукопись из собрания гос. публичной библиотеки им. М. Е. Салтыкова-Щедрина, Древнерусское искусство, III, 1983.

**Eka Dughashvili**

## GEORGIAN-GREEK MANUSCRIPT FROM SAINT PETERSBURG COLLECTION: GREEK TEXTS

### SUMMARY

The Georgian-Greek manuscript dated to the 15<sup>th</sup> century housed at the Library in St. Petersburg (Public Library in St. Petersburg, разн.яз. 0.1.58) has never been a subject of special study. The structure of the whole collection, the typology of Georgian and Greek texts, their contents, text and philological characteristics have never been investigated. The innovation of the present issue is that the participants of the project of Shota Rustaveli's National Scientific Fund have fully investigated the bilingual texts and illumination of the manuscript.

The manuscript is a unity of bilingual (Georgian and Greek) texts. The texts are of different genre and contents. They contain liturgical readings from the Four Gospels, short-form hymns to certain Feasts and Saints, prayers, apocryphic texts, letters written by Jesus Christ and King Abgar. Texts occupy the space not only at the beginning of the manuscripts but also in the middle and at the end.

Greek texts of the manuscript which have different contents but liturgical function, are interesting. The order of Greek texts is the following:

- Miniatures of the Feasts of the Lord and corresponding hymns (fig.1)
- Personalized months and epigrams compiled by Theodorus Prodromos and Nikoloz Kalikle (fig. 2)
- Prayers – “Bless your people, Lord”, “Our Father”, etc.

- Readings from the Gospel, the so-called Diatesaron: from Four Gospels – John, Mathew, Luke, Markoz
- Prayers of different contents to Saints, Apostles. The texts correspond to miniatures; the prayers mention Kaikhosro. The scribes plead saints his long life and mercy (fig. 3)
- Hymns of philosophical contents by Theodoros Prodromos (114r-115v)

According to their language Greek texts belong to Post-Byzantine period and they were made in the scriptoriums of Samtskhe-Saatabago. The article deals with the language features of the texts. Orthographic and grammatical errors are detected in the texts which make us think that Greek is not a native language for the scribe. Taking into consideration the fact that there was an influence of Greek tendencies of Trabzon in Samtskhe-Saatabago in the 15<sup>th</sup> century, there was the diaspora of people moved from Ponto in the South Georgia, it can be assumed that the prayers in the manuscripts were compiled by a Greek from Ponto or a Georgian who knew spoken Greek. The Four Gospels housed at Kutaisi Museum is interesting to establish the identity of the scribe. The scribe of the manuscript is Kaikhosro brought up by Atabag and his loyal Hieromonachos Akaki. The information about him can be found in Samtskhe-Saatabago manuscripts of the 1470s. In 1473 Greek Hieromonachos (immigrated from Trabzon) Symeon and Hieromonachos Akaki made a donation to the monasteries of Athos, Jerusalem and Mount Sinai to commemorate Kaikhosro's younger brother Baadur. Kutaisi Four Gospels has close affinity to St. Petersburg Georgian-Greek manuscript in terms of artistic style, calligraphy and décor. Presumably, the manuscript must have been copied by one of these hieromonachoses or maybe both of them contributed to its compilation.



სურ. 1.

ლაზარეს აღდგინება; წმ. დიონისიოსი, წმ. აბერკიოსი;


მედალიონებში: წმ. ათანასე, წმ. სილვესტროსი, წმ. პართენი, წმ. იაკობ ეპისკოპოსი (45v).



სურ. 2.

წმ. წინასწარმეტყველები: სოლომონი, დავითი, დანიელი, ამოსი; მარტის პერსონიფიკაცია – მეომარი;

წმ. აკდანოსი, წმ. პეგასოსი, წმ. აფთომიონი, წმ. ელპიდეფორი (50v)



სურ. 3.

წმინდანებისადი მიძღვნილი ლოცვები ათაბაგ ქაიხოსროს მოხსენიებით (66r-66v).

## ნუგზარ კაკაუაშვილი

# ათონური ხელნაწერი მიქარწმინდაში და კეტირა იბერიის კანონიზაციის საკითხი ამბროსი ხელაიას ინფორმაციის კვალდაკვალ

ათონის მთიდან ქართული ხელნაწერების სხვადასხვა დროს და სხვადასხვა დანიშნულებით გამოტანის ფაქტები კარგად არის ცნობილი (მენაბდე 1980: 124-244). გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ თითოეული ასეთი ფაქტის ფართო ჭრილში შესწავლა აღნიშნული მთის ქართველთა სავანის ისტორიას არა ერთი და ორი დეტალით შეავსებს და დააზუსტებს. ამის გამო დიდი მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ შესაბამისი ბიბლიოგრაფიული ცნობების გამოვლენასა და განხილვას, რადგან მათ არა მხოლოდ ავტორების შემოქმედებითი ბიოგრაფიის გამდიდრება, არამედ ათონელთა წერილობითი მემკვიდრეობის ამა თუ იმ მხარეზე, შესაძლოა, დღემდე უცნობ ან ნაკლებად ცნობილ ნახნაგებზე მინიშნება და მეცნიერების შესაბამის დარგში ახალი პერსპექტივების გაშლა ძალუძთ.

ერთ-ერთ ასეთ ცნობას შეიცავს წმინდანად შერაცხილი სასულიერო მოღვაწისა და არქეოგრაფის, ამბროსი ხელაიას, ფუნდამენტური და მრავალმხრივი პროფილის თხზულება „მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“, რომელშიც მოცემულია ავტორის მიერ 1903-1904 წლებში, ჭელიშის მონასტრის არქიმანდრიტად მოღვაწეობის დროს, ჩატარებული საველე სამუშაოს აღწერა და ანალიზი. ამ თხზულების პირველი ნაწილი გამოქვეყნდა 1915-1917 წლებში ყურნალების – „განთიადისა“ და „ცხოვრების“ – ფურცლებზე, სრული ტექსტის გაცნობის შესაძლებლობა კი მკითხველთა ფართო წრეს 2011 წელს მიეცა (ამბროსი ხელაია 2011: 7-467. პირველი პუბლიკაციის მიმოხილვა: ქავთარია 2012: 554)<sup>1</sup>. ჩვენი ყურადღება, სხ-

<sup>1</sup> ამ მიმოხილვაში მოცემული ბიბლიოგრაფიული მითითებები 1916 და 1917 წლების პუბლიკაციებისა რიგ შემთხვევაში ზუსტი არ არის. ეს ვითარება გვეკარნახობს, წარმოვადგინოთ აღნიშნული თხზულების პირველი პუბლიკაციის ჩვენ მიერ შედგენილი ბიბლიოგრაფია 2011 წლის პუბლიკაციასთან პარალელის გავლებით: ამბერი [ამბროსი ხელაია], მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში. – „განთიადი“, 1915, 2. 11-16 (= 2011: 7-13); 2. 14-22 (= 2011: 13-21); 10. 25-32 (= 2011: 21-32); „ცხოვრება“, 1915, 2-3. 37-41 (= 2011: 32-39); 1916, 1: 24-29 (= 2011: 39-45); 4. 27-31 (= 2011: 45-46); 5. 23-28 (= 2011: 46-53); 9. 31-32 (= 2011: 53-56); 10. 23-25 (= 2011: 56-58); 14.

ვათა შორის, იმ ბიბლიოგრაფიულმა ცნობამ მიიპყრო, რომელიც „მოგზაურობის“ 1917 წელს გამოუქვეყნებლად დარჩენილ ნაწილში გვხვდება. აქ ლაპარაკია ერთი ძველი ხელნაწერი წიგნის – სასულიერო კრებულის – შესახებ. ცნობა მოიცავს ამ წიგნის აღწერას და მოკლე, მაგრამ ხორცსახე ექსკურსს მის წარმომავლობაზე, აგრეთვე, პეტრე იბერზე, რომლის ცხოვრების ტექსტს თურმე ეს წიგნიც შეიცავდა. ამასთანავე, პასუხი აქვს გაცემული კითხვას: შესაძლებელია თუ არა ამ პიროვნების მართლმადიდებელ წმინდანთა შორის მოხსენიება?

აღნიშნული ცნობა ჩვენ უკვე შემოვიტანეთ სამეცნიერო მიმოქცევაში (პაპუაშვილი 2015: 250-257). წინამდებარე ნაშრომის მიზანია, უფრო სრულყოფილად განისაზღვროს როგორც დასახელებული საკითხების, ისე მათ გარშემო ამბროსი ხელაიას მიერ გამოთქმული თვალსაზრისების ადგილი და მნიშვნელობა ქართველოლოგიის შესაბამის მიმართულებებში. ვიმედობნებით, რომ ამ გზით შესაძლებელი გახდება ათონის ქართველთა საგანის ისტორიის შევსება და მისი შემოქმედებითი ცხოვრების უკეთ გაცნობა.

მითითებული თხზულებიდან, რომელიც სამეცნიერო-საექსპედიციო ჟანრს განეკუთვნება (კიკნაძე 2011: 478), ვგებულობთ: არქიმანდრიტმა ამბროსიმ 1903 წლის 10 აგვისტოს ქვემო რაჭის სოფელი მიქარწმინდა მოიხილა და მთავარანგელოზ მიქაელის ეკლესიაში რამდენიმე ძველი წიგნი აღწერა, მათ შორის ის ხელნაწერი, რომელიც ზემოთ ვახსენეთ (შდრ. ამბროსი ხელაია 2011: 401-406; პაპუაშვილი 2015: 250). იმის მიუხედავად, რომ ხელნაწერის აღწერილობა მონაცემთა ბაზით ღარიბი არ არის, მისი იდენტიფიკაცია ჯერჯერობით ვერ მოხერხდა; ეს ხელნაწერი ქართული ხელნაწერების „აღწერილობებში“ არ დაიძებნა, თუმცა ირკვევა, რომ მისი ბედით სპეციალისტები ადრევე დაინტერესდნენ.

იმის მიუხედავად, რომ „მოგზაურობის“ ის ნაწილი, რომელშიც ჩვენი კვლევის საგანზე არის საუბარი, ავტორის სიცოცხლეში ვერ გამოქვეყნდა, მან სათანადო ინფორმაცია კოლეგებს მაინც მიაწოდა (ალბათ, ზეპირად) და მიქარწმინდის ხელნაწერის მეცნიერულად შესწავლის იდეა დღის წესრიგში დააყენა. ამაზე მიგვანიშნებს ექვთიმე თაყაიშვილი, რომელიც მიქარწმინდაში 1920 წლის ივლისის მინურულსა თუ აგვისტოს დასაწყისში მივიდა და ამ სოფლის ეკლესიის სიძველენი აღწერა, თუმცა მას იქ ხელნაწერი აღარ დახვდა (თაყაიშვილი 1963: 67-70). ცნობები რაჭის ხელნაწერებისა და, კერძოდ, მიქარწმინდის ხელნაწერის თაობაზე მას სწორედ ამბროსი ხელაიასაგან, 1917 წლის 15 ოქტომბრიდან ჭყონდიდის მიტროპოლიტად პატივდებულისაგან (პაპუაშვილი 2005: 16), მიუღია. ე. თაყაიშვილის რაჭაში მოგზაურობის ერთ-ერთ მთავარ მიზანს აღნიშნული ხელნაწერების 1903 წლის შემდგომდროინდელი ბედის გარკვევა წარმოადგენდა. ვითარება ერთობ არასასურველი აღმოჩნდა. აი, მეცნიერის

14-16 (= 2011: 58-62); 15. 29-31 (= 2011: 62-65); 17-18. 29-31 (= 2011: 65-69); 1917, 1. 29-31 (= 2011: 69-83; ამ ნაწილში I და II პუბლიკაციების ტექსტები ერთმანეთისაგან დიდად განსხვავდება). ამდენად, პირველი პუბლიკაცია თხზულების სრული ტექსტის მცირე ნაწილს მოიცავს: 2011 წლის პუბლიკაციის 7-83 გვერდებს.

სიტყვები, რომლებიც შეიცავს საყურადღებო ცნობას როგორც ხელნაწერების ისტორიისათვის ზოგადად, ისე ქართული ჰაგიოგრაფიის ერთი კონკრეტული საკითხის ისტორიისათვის: „ხელნაწერები სულ დაკარგულა ან გაფუჭებულა. ჭყონდიდის მიტროპოლიტის ამბროსისაგან მქონდა ცნობა ზოგიერთ ხელნაწერების შესახებ. ეს ხელნაწერები მას ენახა და ზოგი რამ კიდევ ამოეწერა, მაგრამ ეხლა იქ აღარ მოიპოვებინა და უარსაც ამბობენ, რომ ოდესმე ყოფილა. განსაკუთრებით გვანტირებსება პეტრე ქართველის ცხოვრების ძველი ვარიანტი, რომელიც წინეთ მიქარნმინდაში ყოფილა და დღეს აღარ არის“ (თაყაიშვილი 1963: 7). წინასიტყვაობა, რომლებშიც ეს სიტყვები გვხვდება, დთარიღებულია 1920 წლის 15 დეკემბრით, რაც ნიშნავს, რომ იმ დროს მიქარნმინდის ხელნაწერის ადგილსამყოფელი მკვლევარებმაც აღარ იცოდნენ.

დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს კოდექსი მიქარნმინდიდან 1903 წლის შემდეგ გაიტანეს, მაგრამ ამ ფაქტის მიზეზისა და გარემოების თაობაზე ვერაფერს ვიტყვით. იგი არ ჩანს არც იმ ხელნაწერებში, რომლებსაც გიორგი ბოჭორიძე ჩამოთვლის მიქარნმინდისა და ბუგეულის ეკლესიებისიდან გამოტანილ სიძველეებს შორის 1925 წლის მოგზაურობის ანგარიშში (ბოჭორიძე 1994: 72-74)<sup>2</sup>. ამის გამო იძულებული ვართ, ეს ხელნაწერი გაუჩინარებულ ხელნაწერ ნიგნად მოვიხსენიოთ, რაც გვეკარნახობს, მეტი ყურადღება გამოვიჩინოთ არქივმანდრიტ ამბროსის ამ ბიბლიოგრაფიული ცნობის მიმართ.

აღნიშნული ცნობა აღემატება სტანდარტული ბიბლიოგრაფიული ცნობის მასშტაბს; იგი ანალიტიკურია და დასრულებულ მეცნიერულ მიმოხილვად წარმოგვიდგება. ეს არის მოცემული დოკუმენტის ტექნიკური და თემატური აღწერილობა ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი წიაღსვლებით; აღბეჭდილია პროფესიონალიზმით და შესაძლებლობას გვაძლევს განვსაზღვროთ ამ ხელნაწერის როგორც გარეგნული მხარე და შინაარსი, ისე წარმომავლობა, თავგადასავალი

<sup>2</sup> მითითებული ნაშრომში აღნიშნულია, რომ მიქარნმინდის მაცხოვრებელმა ივლიანე წულუკიძემ ქუთაისის მუზეუმს 1930 წელს ორი ხელნაწერი შესწირა: „იოსიფოს ფლავიოსის ნიგნი, ხუცურად ნაწერი“ და „თარგმანება იოანეს გამოცხადებისა, ხუცურად ნაწერი“ (ბოჭორიძე 1994: 351). უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ხელნაწერები მფლობელის ოჯახის საკუთრება იყო მიქარნმინდაში. ჩვენ ჯერჯერობით მხოლოდ მეორე ერთეულის იდენტიფიკაცია მოვახერხეთ. იგი უდრის 401-ს, თუმცა აღწერილობაში ადრინდელი დაცულობის ადგილი მითითებული არ არის (მდრ. ნიკოლაძე 1964: 93). მეორე შეიძლება იდენტური იყოს ამავე ფონდის 384-ისა, რომლის ტექნიკურ აღწერილობაში აღნიშნულია: „შემოსულია ა. ბაქრაძისაგან“ (ნიკოლაძე 1964: 85). არ არის გამორიცხული, რომ ივლიანე წულუკიძის შენაწერი ხელნაწერი ფონდში ა. ბაქრაძის ხელით შესულიყო, „ხელნაწერთა აღწერილობაში“ კი რალაც მიზეზის გამო შემწირველის ვინაობა მოუხსენიებელი დარჩენილიყო. ჩვენ ადგილზე გაეცანით მასალას და აღმოჩნდა, რომ 384-ის ყდის უკანა გვერდს ახლავს მიწანწერი: „ნ. 117/2833“, 401-ისას კი „ნ. 118/2834“. ეს ნიშნავს, რომ ორივე ხელნაწერი ჩამოტანილია რაჭიდან და მუზეუმის შემოსულობათა ნიგნებში (რაჭიდან შემოსულთაში და ძირითად შემოსულობათაში) ერთმანეთის მიყოლებით არის გატარებული, რაც ჩვენმიერ იდენტიფიკაციას უმაგრებს ზურგს.

და მნიშვნელობა. მხოლოდ ამ ცნობაზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მიქარწმინდის საყდარში საშუალო ზომის, დაშლილი და შელახული კოდექსი ინახებოდა. იგი ასე გამოიყურებოდა: 24×16 სმ.; ხუცურად დანერილი, სავარაუდოდ – ქალღმერთი; „უყფოთ შერული“; თავში, პაგინაციის მიხედვით, აკლდა 99 ფურცელი, დარჩენილი ყოფილა 145 ფურცელი. მაშასადამე, ეს ხელნაწერი ადრე 244 ფურცელს (488 გვერდს) მოიცავდა (შედარებით ვრცლად: პაპუაშვილი 2015: 250-251). ანდერძ-მინაწერების მეშვეობით არქეოგრაფმა დაადგინა, რომ მისი გადამწერი (შესაძლებელია, შემდგენელიც) ყოფილა დიმიტრი; გადამწერის ადგილი – ათონის მთა, სადაც ქართველები, გადამწერის თქმით, „კაცთა მზაკვრებას“ განიცდიდნენ.

უეჭველია, რომ მიქარწმინდის ხელნაწერის წარმომავლობის და შექმნის გარემოებათა გარკვევა არქეოგრაფმა იმ მინაწერების მეშვეობით მოახერხა, რომლებშიც მოცემულია სავედრებელი მოსახსენებლები: „ქრისტე, შეინყალე ამბროსე“ და მისთანანი. მკვლევარი იმონმებს თედო ჟორდანის „ქრონიკებში“ წარმოდგენილ ათონის საალაპე წიგნის ერთ-ერთ ალაპს (ჟორდანია 1897: 314-315) და ფიქრობს, რომ ეს არის ის ამბროსი, რომელიც ამ ალაპში თავს სამცხის ათაბაგის, ქაიხოსროს, აღზრდილად მოიხსენიებს. ამბროსი-ამბროსე ამავე ათაბაგის ძმამ, მზეჭაბუკმა, აღმოსავლეთის წმინდა მინებზე და ათონის მთაზე დიდი შეწირულებით გაგზავნა. ქაიხოსრო 1500 წელს გარდაიცვალა, მზეჭაბუკი კი – 1516 წელს. მაშასადამე, დასძენს ავტორი, „ეს ამბროსი სცხოვრობდა XV საუკუნის მეორე ნახევარში და XVI საუკუნის დასაწყისში. ხოლო ჩვენი ხელნაწერი, ალბათ, გადამწერილია ვიღაც დიმიტრისაგან მისი [ამბროსის] ბრძანებით მისი აღმზრდელის – ათაბაგ ქაიხოსროს სიკვდილის შემდეგ“ (ჟორდანია 1897: 405). ამდენად, ეს კრებული შექმნილი უნდა იყოს ათაბაგ ქაიხოსროს გარდაცვალების შემდეგ. ჩვენ არ გვაქვს საფუძველი, ეჭვი შევიტანოთ არც აღნიშნულ იდენტიფიკაციაში და არც მოცემულ დათარიღებაში, რის გამოც მინაწერებისეული ამბროსე ათაბაგ მზეჭაბუკის თანამეცენატ ამბროსად უნდა ვაღიაროთ.

ცნობილია კეთილი საქმეები, რომლებიც სამცხელმა ამბროსიმ<sup>3</sup>, შესანიშნავმა კალიგრაფმა და გამოცდილმა გადამწერმა, ათონის ქართველთა სავანეში მოიმოქმედა: იშვიათი ოსტატობით მოჭედა დედალეთისას სასწაულმოქმედი ხატი და მონასტრის ტერიტორიაზე სარესტავრაციო სამუშაოები ჩაატარა (სხირტლაძე 1994: 9-13, 19-26; Skhirtladze 2005: 158-193; მეტრეველი 1998: 185-187; კლდიაშვილი 2019: 222-223), მაგრამ დღემდე ცნობილ წყაროებში არსად აღნიშნული არ არის, რომ მას ათონზე ხელნაწერი წიგნების გამრავლებისა და გამშ-

<sup>3</sup> ამ პიროვნების საეკლესიო თანამდებობა გარკვეული არ არის. თ. ჟორდანია იმონმებს ბენედიქტე ბარკალაიას მიერ ათონის მთიდან ჩამოტანილ მასალას, რომელშიც ის, თითქოს, არქიმანდრიტად იხსენიება (ჟორდანია 1897: 314-315). მაგრამ ავთენტურ წერილობით ძეგლებში (პორტიკისას ხატის მოჭედილობის წარწერასა და ალაპებში), რაც საგანგებოდ შეისწავლა ზაზა სხირტლაძემ, მისი სასულიერო ხარისხი არ დასტურდება (სხირტლაძე 1994: 7-11, 19, 62; Skhirtladze 2005: 156-157).

ვენებისთვისაც ეზრუნოს. ამიტომ გვმართებს, ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ ბიბლიოგრაფიულ-ანალიტიკური ცნობა მიქარნმინდის ხელნაწერის შესახებ XV-XVI საუკუნეების სამცხელი ამბროსის ბიოგრაფიას თვალსაჩინო დეტალით ავსებს და ამდიდრებს. ესაა წვლილი ერთი ათონური ხელნაწერის, ამჟამად დაკარგულად მიჩნეულის, შექმნისა და გამშვენების საქმეში. არქეოგრაფმა, ჩანს, დროის სიმცირის გამო (მიქარნმინდის სიძველეთა აღსაწერად მის განკარგულებაში ერთი სამუშაო დღე იყო) ვერ შეძლო ამ ძეგლის პალეოგრაფიული საკითხების ფართოდ გაშუქება და, სავარაუდოდ, ვერც ანდერძ-მინანერების სრულად აღწუსება და ამოკითხვა. ამის გამო ვერ ვიტყვით დაბეჯითებით, კრებული ერთი ხელით იყო გადაწერილი თუ მეტი. დღეს მოკლებული ვართ შესაძლებლობას ვილაპარაკოთ, თუ რა მასშტაბის იყო აღნიშნული წვლილი: მხოლოდ შეკვეთასა და დაფინანსებაში გამოიხატებოდა, თუ შედგენასა და გადაწერაშიც?

მიქარნმინდის ხელნაწერის ათონურ წარმომავლობაზე მიგვანიშნებს, აგრეთვე, მისი შინაარსი, წარმოჩენილი არქიმანდრიტ ამბროსის მიერ: 1. „ათონის ივერიის მონასტრის ტიბიკონი“ (თავნაკლული) 2. გიორგი შეყენებულის ეპისტოლე 3. გიორგი მთაწმინდლის ცხოვრება 4. პეტრე იბერის ცხოვრება („ცხოვრება და მოქალაქეობა წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩვენისა პეტრე ქართველისა, რომელი იყო ძე ქართველთა მეფისა“) 5. იოანე ოქროპირის ქადაგება მეორედ მოსვლის შესახებ 6. სინანულის ლოცვები 7. არსენ კათალიკოსის, საფარელის, ტრაქტატი „განყოფისათვის ქართლისა და სომხითისა“.

დასახელებული ერთეულებიდან ხუთი (1-4, 7) ქართული მწერლობის ორიგინალური ძეგლებია. იდენტიფიკაციის მხრივ სირთულე მხოლოდ პირველს ახლავს, რადგან ასეთ თხზულებას შესაბამისი დარგის ბიბლიოგრაფია არ იცნობს (შდრ. გაბიაძე 2011: 193-194). ივირონში მიღებული იყო აიასოფის სინაქსისეული ტიპიკონი, რომელიც ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელებმა თარგმნეს (შდრ. კეკელიძე 1908: 478-486; კეკელიძე 1912: 297-300; კეკელიძე 1980: 575-576). ჩვენი აზრით, განსახილველ აღწერილობაში საქმე არა ტექსტისეულ, არამედ არქიმანდრიტ ამბროსისეულ დასათარგმნებლად გვაქვს და „ათონის ივერიის მონასტრის ტიბიკონ“-ად გიორგი მთაწმინდლის „იოანესა და ექვთიმეს ცხოვრების“ ბოლო ნაწილი იგულისხმება (ვრცლად: პაპუაშვილი 2015: 251-252). ამის თქმის საფუძველს შემდეგი გარემოება გვაძლევს: ავტორი „ათონის ივერიის მონასტრის ტიბიკონის“ ჩანართად წარმოსახავს ტექსტს, რომელიც სინამდვილეში არის „იოანესა და ექვთიმეს ცხოვრების“ ბოლო თავი ანუ ამ თხზულების ავტორის, გიორგი მთაწმინდლის, ანდერძი (გიორგი მთაწმინდელი 1967: 99-100). ამდენად, ესაა არა უბრალო ჩანართი, არამედ „იოანესა და ექვთიმეს ცხოვრების“ ტექსტის ორგანული ნაწილი. შეუძლებელია, არქეოგრაფს არ სცოდნოდა აღნიშნული „ცხოვრების“ სრული ტექსტი. ის იქვე მიუთითებს ლიტერატურას: „ალაპები“, რაც გულისხმობს გამოცემას: *ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი ალაპები, თბილისი, 1901*. ესაა, ძირითადად, „ათონის კრებულის“ (A-558) პუბლიკაცია, რომლის პირველ ნაწილს შეადგენს გიორგი

მთანმინდლის დასახელებული თხზულება ხსენებული ანდერძითურთ. მეცნიერი აღნიშნავს, სამონასტრო ტიპიკონს მიქარწმინდის ხელნაწერში 1-27 ფურცელი უჭირავსო. აქედან უდავოა, „იოანესა და ექვთიმეს ცხოვრების“ მოცულობის გათვალისწინებით, რომ აღნიშნულ ხელნაწერში 1903 წელს გიორგი მთანმინდლის თხზულების მხოლოდ ის მონაკვეთი იყო შემორჩენილი, რომელშიც მოცემულია ათონის ქართველთა სავანის ასკეტურ-კანონიკური პრაქტიკის ამსახველი მასალები, შესაბამისი განაწესები და წმ. ექვთიმეს შემდგომდროინდელი ისტორია: ტექსტი მე-19 თავიდან ბოლომდე (გიორგი მთანმინდელი 1967: 69-100). სწორედ აქაა მითითებული ის „წესნი და განგებანი“, რომელიც დაანესა ექვთიმემ „დიდისა სჯანქასარისა სრულებით და დაუბრკოლებულად“ შესრულებისათვის, რაც რეალურად არის ათონის ქართველთა მონასტრის ტიპიკონი. ასე რომ, XIX-XX საუკუნეების არქეოგრაფს ჰქონდა საფუძველი, აგეოგრაფიის ამ ნაწილისათვის ტიპიკონი ეწოდებინა. ამის გამო თამამად შეგვიტოლა ვთქვათ, რომ მიქარწმინდის ხელნაწერში პირველ ადგილზე წარმოდგენილი ყოფილა გიორგი მთანმინდლის თხზულება, რომლის ტექსტისგან არქიმანდრიტ ამბროსის ბოლო ნაწილი (სამონასტრო ტიპიკონის ამსახველი ადგილი) დახვდა<sup>4</sup>.

კრებულის საზღვარგარეთულ წარმომავლობაზე მიგვანიშნებს მეოთხე ერთეულიც – ქართული ვერსია აგეოგრაფიული მოთხრობისა პეტრე იბერზე (ქართველზე). გემართებს, ამთავითვე გავითვალისწინოთ შემდეგი: პეტრე იბერს, მისი დიდი ასკეტური ღვაწლის მიუხედავად, ქალკედონიტ-მართლმადიდებელთა ეკლესია წმინდანად არ რაცხს (შდრ. შეერთებული კალენდარი 2001: 276). მიზეზი აღნიშნული მოღვაწის თეოლოგიურ პოზიციასში უნდა ვეძებოთ (ერცვლად იხ. ივანე ლოლაშვილის გამოკვლევა: ცხოვრება პეტრე იბერისა 1988: 46-57). ამის მიუხედავად XIII-XIV საუკუნეებში ქართულად გადმოკეთდა, მაკარი მესხის მიერ, მისი ჰაგიოგრაფიული ცხოვრება (კეკელიძე 1980: 334-336), რის საფუძველზეც მან ქართველ წმინდანთა შორის ადგილი დაიკავა. ამის დამადასტურებელი წერილობითი წყაროები და მისი, როგორც წმინდანის, გამოსახულებები ხატებზე, მინიატურებსა და ფრესკებზე XIII-XVI საუკუნეებს განეკუთვნება (გაბიძაშვილი 2010: 431, 444), თუმცა XVIII საუკუნის შუა წლებიდან პეტრე იბერის ხსენება ქართულენოვან ლიტურგიკულ სივრცეში ქრება (მარი 1896: XIII-XIV), რადგან იმდროინდელი სწავლულები, კ. კეკელიძის ვარაუდით, ამ პიროვნების მონოფიზიტობაში რწმუნდებიან (კეკელიძე 1960: 238). ამასთანავე, ფაქტია, რომ პოლემიკა პეტრე ქართველის წმინდანობის საკითხზე დღემდე გრძელდება (ჯაფარიძე 2002: 16-21; Papuashvili 2012: 22-23; წმიდა პეტრე იბერი 2014: 20-21).

<sup>4</sup> ჩვენ მოკლებული ვართ შესაძლებლობას ვიცოდეთ, თუ ვინ გამოიტანა ეს ხელნაწერი ათონიდან და როდის, ანდა ვისი მეშვეობით აღმოჩნდა იგი სოფელ მიქარწმინდაში და როდის. ივირონის ქართული ხელნაწერი ნივნების სიაში, რომელიც არქიმანდ. ილარიონ ყანჩოშვილმა შეადგინა 1836 წელს, იგი ნახსენები არ არის (შდრ. Цагарели 1886: Приложение 1-16). შესაძლებელია, ვიფიქროთ, რომ იმ დროს ის იქ აღარ იყო.

ბიბლიოგრაფიული ცნობა, რომელსაც ვიხილავთ, რამდენიმე კუთხით არის საყურადღებო და ფასეული. ე. თაყაიშვილის სიტყვები, რომლის თანახმად მას, მიტროპოლიტ ამბროსის ინფორმაციის კვალობაზე, „პეტრე იბერიელის ცხოვრების ძველი ვარიანტი“ აინტერესებდა, გვარწმუნებს, რომ ინფორმატორი მის მიერ ნანახ და აღწერილ ტექსტს პეტრე იბერის ქართულენოვანი ცხოვრების ძველ ვერსიად მიიჩნევდა. სამეცნიერო ლიტერატურაში ეს ვერსია ცნობილია ვრცელ (A) რედაქციად, რომელიც შემონახულა ერთადერთ ხელნაწერში (H-1760), XV საუკუნით დათარიღებულსა და წარმოშობით პეტრინონულში. ამიერიდან ამ ხელნაწერის გვერდით მოხსენიებულ უნდა იქნას მიქარწმინდის ხელნაწერი, რომელიც არის ასევე საზღვარგარეთული წარმოშობის, – ათონური. გავიხსენოთ კორნელი კეკელიძის დაკვირვება: პეტრე იბერის ცხოვრებასა და, კერძოდ, სირია-პალესტინაში ამ მამის აღმშენებლობით საქმიანობაზე ყურადღება პირველად წმინდა მინებზე მცხოვრებმა ქართველებმა გაამახვილეს. ეს მოხდა XIII საუკუნეში, როდესაც მათ „მამა-პაპულ სიძველეებს ედავებოდნენ და ართმევდნენ ფრანგები, სომხები და მაჰმადიანები. ერთ-ერთ არგუმენტად ამ სიძველეების ქართული წარმოშობისა და, მაშასადამე, ქართველთა უფლებებისა, მათ მიერ მიჩნეული ყოფილა ისტორიულ-არქეოლოგიური მონაცემები: მათ დაუწყიათ ასეთი ცნობების ძებნა და შეგროვება. ამ წამოწყებასთან უნდა იყოს დაკავშირებული მაკარის მიერ პეტრე იბერის „ცხოვრების“ გადმოთარგმნაც“ (კეკელიძე 1960: 237). ანალოგიური პრობლემების წინაშე იდგნენ როგორც პეტრინონის, ისე ათონის ქართველი მონესენი, რის გამოც მათი სურვილი, სისავსით წარმოეჩინათ და მოქიშვე ბერძნებისთვისაც ეჩვენებინათ დიდი წინაპრის დამსახურება მსოფლიო ეკლესიის წინაშე, ბუნებრივ მოვლენად უნდა ჩაითვალოს და არც ის ფაქტი უნდა გაგვიკვირდეს, რომ პეტრე იბერის ქართულენოვანი ვერსიის უძველესი ხელნაწერები საზღვარგარეთული წარმომავლობის არიან. ათონური წარმომავლობისაა პეტრე იბერის პირველი მინიატურა, რომელიც მოთავსებულია XIV-XV საუკუნეების ბერძნულ-ქართულ კოდექსში დიდ წმინდანთა შორის (დულაშვილი... 2012: 6, 11, 40, 50, 91, 97; წმიდა პეტრე იბერი 2014: 54-57). მკვლევართა დაკვირვებით, ეს ხელნაწერი „ყველაზე ახლოს ათაბაგის კარის სკრიპტორიუმის ხელნაწერ ნიმუშებთან დგას“ (დულაშვილი... 2012: 8). ეს გარემოება კი ბუნებრივად გვკარნახობს, დავსვათ კითხვა: ეს ძეგლიც ხომ არ არის სამცხელი ამბროსის საქველმოქმედო და კულტურული მისიის ნაყოფი ათონის ივერთა მონასტერში?

მაშასადამე, საზღვარგარეთის ქართულ ეკლესია-მონასტერთა შორის ათონის ივერონი უნდა მივიჩნიოთ ერთ-ერთ კერად, რომელიც საფუძველს უყრიდა პეტრე იბერის წმინდანობის ტრადიციას საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში. ამას, აღნიშნული „ცხოვრების“ გარდა, ადასტურებს ის ანდერძ-მინაწერები, რომლებიც მოგზაურმა მიქარწმინდის ხელნაწერში ამოიკითხა, წარმოადგინა №№-ით 570, 571, 572 და რომლებშიც მეოხება მიმართულია პეტრე ქართველისადმი. რადგან ეს მინაწერები პუბლიკაციაში მოყვანილია არასრულ-

ლად: გამორჩენილია მინაწერი 571 (შდრ. ამბროსი ხელაია 2011: 403-404) და სხვა ხარვეზიც შესამჩნევია, წარმოვადგენთ ჩვენ მიერ დაზუსტებულ ტექსტს: 570. „შ(ინწყალე) ამბროსე და მეოხ ექმენ წ(ინაშე) ღ(ვთის)ა“

571. „წმიდაო პ(ეტრე) მ(ეო)ხ ყყავ მონასა შენსა წინაშე ქ(რისტეს)ა ამბროსის, მშობელთა და ნათესავთა მისთაჲ. ამინ უკუნისამდე“

572. „ფრიად ცოდვილსა და გლახაკსა ამა წიგნისა მწერალსა დ(იმი)ტრ(ი)ს და მშობელთა მისთა მეოხ ყყავ, შ, პეტრე ქართველო, წ(ინაშე) ქ(რისტეს)ა“ (ხეც, ამბროსი ხელაიას არქივი, N2: 369).

როგორც ვხედავთ, სამცხელ ამბროსის, გადამწერ დიმიტრისა და, უეჭველია, მათ თანამოსაგრეებს სწამთ, რომ პეტრე მაიუმელი – V საუკუნის ქართველი უფლისწული, ეგვიპტისა და ახლო აღმოსავლეთის დიდი საეკლესიო მოღვაწე, რომელსაც ბერძნული საეკლესიო-წერილობითი ტრადიცია ქალკედონის დიდი კრების მოწინააღმდეგე ეპისკოპოსად წარმოსახავს (იოანე რუფუსი 1965: 291-297; ევგარი სქოლასტიკოსი 1936: 290-294; ცხოვრება პეტრე იბერისა 1988: 21-30, 122-148) – არის წმინდანი, რომელსაც ღვთის კარზე ჩვენთვის შუამდგომლობა შეუძლია.

მართლმადიდებელთა მონასტერში მონოფიზიტად ცნობილი პეტრე იბერის კულტის დადასტურება მართლმადიდებელ არქიმანდრიტს, როგორც ჩანს, გარკვეულ დისკომფორტს უქმნის და მას მოკლე ისტორიულ-საღვთისმეტყველო ნიაღვრისაკენ უბიძგებს. იგი გვთავაზობს ესკიზს (ამბროსი ხელაია 2011: 405-406; 573-574), რომელშიც საუბარია აღნიშნული პიროვნების ცხოვრებასა და აღმსარებლობაზე; ორიოდე სიტყვით აღნიშნულია, თუ როგორ გახდა ქართველი უფლისწული მურვანოზი, ვარაზ-ბაკურის ძე, მაიუმის ანუ ღაზის ეპისკოპოსი და „უწარჩინებულესი მოღვაწე მთელს საქრისტიანო აღმოსავლეთში“. ავტორი იმონებებს სომეხ ისტორიკოს ასოლიკის, რომელიც ამბობს: „ბიზანტიის მხედრობა, რომელიც გაგზავნილი იყო პალესტინაში დასაწყნარებლად იმ არეულობისა, რომელიც გამოიწვია ქალკედონის კრებამ, არ ზოგავდნენ არავის, გარდა ეპ. პეტრესი მისი სინმინდისა და სათნო ცხოვრების გამო. (...) არვის ძალ-ედვა მასთან გასწორება სწავლა-მეცნიერებაში“.

არქიმანდრიტი ამბროსი ამ შემთხვევაში იმონებებს ალექსანდრე ცაგარელის ნაშრომს „Памятники грузинской старины в Св. Земле и на Синае“, რომელიც ვხვდებით პეტრე იბერის ცხოვრების მიმოხილვას ქართლის ცხოვრებაზე, შესაბამისი ჰაგიოგრაფიის არაბულ ვერსიასა და იმ ნაშრომზე დაყრდნობით, რომელიც იქ ასე არის წარმოდგენილი: „Assemani, Biblioth. Orient., t. II“ (Цагарели 1888: 33-36). არც ალექსანდრე ცაგარელს ეპარება ეჭვი იმ ცნობის სიმართლეში, რომლის თანახმად პეტრემ არ გაიზიარა 451 წელს იმპერატორ მარკიანეს მიერ ქალკედონში მოწვეული კრების დოქტრინა, რის გამოც მას „ბევრი უსიამოვნება შეემთხვა“. ასოლიკის სიტყვას, რომელიც მას რუსული თარგმანით მოჰყავს (წყაროს მითითების გარეშე), შემდეგი ინფორმაცია მოსდევს: „ასოლიკი იმასაც გვიამბობს, თითქოს წმ. პეტრემ წერილით შეაქო სომხები იმის გამო, რომ ისინი არ

დაესწრნენ ქალკედონის კრებას და რომ პეტრეს მოწაფემ, იოანემ, 32<sup>5</sup> მუხტად ჩამოაყალიბა წმ. პეტრესა და სხვა წმინდა მამების 72 სიტყვა (გამონათქვამი), რომლებშიც ქალკედონის კრების დადგენილების საწინააღმდეგო აზრები არის განვითარებული. ამ ეპისტოლეს ჩვენ მხოლოდ ასოლიკისაგან ვიცნობთ<sup>6</sup>. ასეთი ცნობების მიუხედავად, ცაგარელი ფიქრობს, რომ პეტრე არ უნდა ყოფილიყო აქტიური ანტიქალკედონიტი; წინააღმდეგ შემთხვევაში ბერძნები (იგულისხმება, ქალკედონიტიები) მას საეპისკოპოსო კათედრაზე არ დატოვებდნენ. ის იმონმებს VI საუკუნის მონოფიზიტი ეპისკოპოსის, ზაქარია მილიტინელის, ეპისტოლეს, რომლის თანახმად დიოფიზიტმა პატრიარქმა იუბენალიმ 453 წელს, როდესაც ის კონსტანტინოპოლიდან ჯარის თანხლებით დაბრუნდა იერუსალიმში, მხოლოდ პეტრე ლაზელი დატოვა თანამდებობაზე „იმპერატრიცა პილხერიას, მარკიანეს ცოლის, ქომაგობის გამო“ (Цагарели 1888: 34-35)<sup>5</sup>. ცაგარლის პოზიციას ავითარებს პეტრე იბერის ცხოვრების ქართული ვერსიების პირველი გამომცემელი და ამ თემაზე ქართველოლოგიურ მეცნიერებაში პირველი ისტორიულ-ფილოლოგიური გამოკვლევის ავტორი ნიკო მარი, რომლის თქმით, ეს წმინდანი „ქალკედონის კრების მგზნებარე მონინააღმდეგე არ უნდა ყოფილიყო“ (მარი 1896: IV)<sup>6</sup>.

ასეა თუ ისე, მკაცრი მონოფიზიტი იყო პეტრე იბერი თუ რბილი, ქალკედონის კრების აქტიური მონინააღმდეგე იყო ის თუ პასიური, მხოლოდ იმპერატრიცას პირადმა სიმპათიებმა გადაარჩინა სასტიკ მოპყრობას თუ ერესად კვალიფიცირებული მოძღვრების არასათანადოდ ერთგულებამ, თანამედროვე აღმოსავლეთის მართლმადიდებელი ეკლესია (ბერძნული ეკლესია) მას ანტიქალკედონიტად და ანტიდიოფიზიტად იცნობს. ვხედავთ, აგრეთვე, რომ ასეთ ატესტაციას არც მიქარწმინდის ხელნაწერის მოვწველი და აღმწერი, არქიმანდრიტი ამბროსი უარყოფს. მისი ესკიზიდან და მასზე დართული შენიშვნიდან (610, გვ. 573-574) ჩანს, რომ ის გაეცნო ყველა ხელმისაწვდომ წყაროს და ლიტერატურას, რომელმაც მას ასეთი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობა მისცა: მართალია, პეტრე ქართველი ანტიქალკედონიტების გვერდით იდგა და თავდაცვ ანტიქალკედონიტი იყო, მაგრამ საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ ის მაინც გამოაცხადა წმინდანად. არქიმანდრიტი წერს: პეტრე იბერი „მიიცვალა 65 წლისა იმპერატ. ზენონის დროს (474-491) და დაიფლა მისგან დაარსებულ ქართულ მონასტერში. ეკლესიამ ის ჩარიცხა წმიდათა შორის და დაანესა

<sup>5</sup> ზაქარია მილიტინელის სიტყვებთან დაკავშირებით ალ. ცაგარლს გამოცემაში მითითებულია „პ. 36“. ჩვენ შესაძლებლობა მოგვეცა, პროფ. დოქტ. უბერტ კაუფშოლდის დახმარებით (მიუნხენი), შეგვემოწმებინა შესაბამისი ადგილი. აღმოჩნდა, რომ ცაგარლის პუბლიკაციაში, გვერდის მითითებაში, გაპარულია კორექტურა: ნაცვლად 36-ისა უნდა იყოს გვ. 56.

<sup>6</sup> პეტრე იბერიელის აღმსარებლობის საკითხზე აზრთა სხვადასხვაობა შეჯამებული აქვს ივანე ლოლაშვილს. მას ამ პიროვნების თანმიმდევრულ ანტიქალკედონიტობაში ეჭვი არ ეპარება და თვლის, რომ პატრიოტი ქართველისაგან მაშინ, ქალკედონიტი ბერძნების იმპერიალისტურ მისწრაფებებს თუ გავითვალისწინებთ, სხვა პოზიცია არც იყო მოსალოდნელი (პეტრე იბერის ცხოვრება 1988: 46-57).

მისი ხსენება 2 დეკემბერს (იხ. უამნი, 1710 წ. ტფილისში დაბეჭდილი), მაგრამ XVIII საუკუნის ნახევარში ის გამოირიცხეს წმიდათა რიცხვიდან, რადგან ის იყო წინააღმდეგი ხალკიდონის კრების ზოგიერთ დადგენილებათა<sup>7</sup>. იქვე დასახელებულია ლიტერატურა: „პლ. იოსელიანი. Жизнеописание святых грузинской церкви, ტფ. 1850 წ. გვ. 13“ (ამბროსი ხელაია 2011: 406). ამ ნაშრომში, იქ, სადაც ლაპარაკია იმ ქართველ წმინდანებზე, რომელთა ხსენება დადასტურებულია მხოლოდ ძველ უამნებსა და სხვა საეკლესიო წიგნებში, ვხვდებით „წმ. პეტრე მაიუმელი ეპისკოპოსის“ ცხოვრების ზოგად მიმოხილვას. ავტორი ასახელებს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის 1839 წლის ხელნაწერს, აგრეთვე იმონებს (წყაროთა მითითებით) ბარონიუსსა და ევაგრეს ისტორიას, რომელთა თანახმად ქართველი უფლისწული არჩეულ იქნა მაიუმის ეპისკოპოსად ევტიქიანელებისაგან (მონოფიზიტებისაგან) ქალკედონის კრების შემდეგ დიოფიზიტების წინააღმდეგ მონყობილი აჯანყების დროს. მონოფიზიტებთან ასეთი კავშირის მიუხედავად, საქართველოს ეკლესიამ პეტრე იბერი მარცხ აღიარა წმინდანად, მაგრამ „XVIII საუკუნის შუა წლებში ამავე ეკლესიამ ის წმინდანთა სიიდან გამოირიცხა“ (Иоселиани 1850: 13-14). ამ შემთხვევაში ჩვენს ყურადღებას იქცევს პეტრე იბერის წმინდანად მოხსენიება („წმ. პეტრე მაიუმელი ეპისკოპოსი“) იმ მეცნიერისაგან, რომელიც თავის თავს ამავე წიგნის მეორე სატიტულო გვერდზე „ქართული სასულიერო სემინარიის აღზრდილად“ მოიხსენიებს და აღნიშნულ ნაშრომსაც ამავე სემინარიას მიუძღვნის. პეტრე იბერს წმინდანად რაცხენ, აგრეთვე, ალექსანდრე ცაგარელი, რომელიც „მართლმადიდებლური პალესტინური საზოგადოების“ თანამშრომელი გახლდათ (ლოლაშვილი 1986: 114) და დიმიტრი ბაქრაძე (ბაქრაძე 1889: 152), ასევე მართლმადიდებელი ისტორიკოსი. მაგრამ ნიშანდობლივია, რომ ხსენებული მეცნიერები იყვნენ ერისკაცები<sup>7</sup>. უფრო საინტერესოა საქართველოს ოფიციალური მართლმადიდებელი ეკლესიის პოზიცია, კერძოდ, თუ რას ფიქრობდა ამ საგანზე არქიმანდრიტი ამბროსი, რომელიც 1921 წელს კათალიკოს-პატრიარქი გახდა და 1995 წელს საეკლესიო კრების განჩინებით წმინდანად შეირაცხა<sup>8</sup>.

შესამჩნევია ფაქტი, რომ არც პლატონ იოსელიანი და არც სხვა მკვლევრები, რომელთა ნაშრომებს ხსენებული ესკიზი ასახელებს, „წმინდანთა სიიდან გამოირიცხვის“ მიზეზზე მკაფიოდ არ მიუთითებენ. დაზუსტება, რომ პეტრე იბერი „იყო წინააღმდეგი ხალკიდონის კრების ზოგიერთ დადგენილებათა“, არქიმანდრიტ ამბროსის ეკუთვნის. ესაა ფორმულა, რომელიც დოგმატური ბრალდების მასშტაბის შემცირებას ისახავს მიზნად, მაგრამ ამით ბრალდება ვერ ბათილდება. ამის მიუხედავად, არქიმანდრიტ ამბროსის პეტრე იბერის საეკლესიო-ეორტალოგიური რეაბილიტაცია მაინც შესაძლებლად მიჩნია. დოგმატუ-

<sup>7</sup> პეტრე იბერს, ხსენებულ მეცნიერთაგან განსხვავებით, წმინდანად არ მოიხსენიებს მღვდელი (შემდგ. კათალიკოს-პატრიარქი) კალისტრატე ცინცაძე, როდესაც ის ამ პიროვნების ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე ლაპარაკობს (ცინცაძე 1991: 176).

<sup>8</sup> საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ., 1996, გვ. 375.

რი ღვთისმეტყველების ენით რომ ვთქვათ, მართლმადიდებელ არქიმანდრიტს (შემდგ. კათალიკოს-პატრიარქ) ამბროსი ხელაიას სწამს, რომ პეტრე იბერი, მონოფიზიტური მრწამსის მიუხედავად, არის ცათა სასუფეველის მკვიდრი და ჩვენდამი მეოხი წმინდანი. აი, მისი სიტყვები: „საქართ[თველოს] ეკლესიას ცოდვად არ ჩათვლება, თუ ის აღადგენს თავის ძველ, მრავალსაუკუნეების განმავლობაში შეწყნარებულ დადგენილებას წმ. პეტრე მაიუმელის ხსენებისას 2 დეკემბერში“. საკითხის ასეთი გადანყვეტა წმ. ამბროსის ეკლესიოლოგიურ იკონომიაზე მიგვითითებს და სხვაგვარად მადიდებლბთან, ანუ ჰეტეროდოქსებთან, ურთიერთობის საკითხში მას გახსნილ, ღმობიერ და ტოლერანტ ღვთისმეტყველად წარმოაჩენს (შდრ. პაპუაშვილი 2006: 41-44, 48-54, 203).

### გამოყენებული ლიტერატურა

1. **ამბროსი ხელაია 2011:** ამბროსი ხელაია, მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში, მ. ქავთარიას გამოცემა, „მნიგნობრობა ქართული“, 12, თბ., 2011.
2. **ბაქრაძე 1889:** ბაქრაძე დ., ისტორია საქართველოსი (უძველესი დროიდან X საუკუნის დასასრულამდე), ტფილისი, 1889.
3. **ბოჭორიძე 1994:** ბოჭორიძე გ., რაჭა-ლეჩხუმის ისტორიული ძეგლები და სიძველეები, თბ., 1994.
4. **გაბიძაშვილი 2010:** გაბიძაშვილი ე., ქართველ წმინდანთა და დღესასწაულთა მოსახსენებელი დღეები ძველი ქართული ხელნაწერების მიხედვით, თბ., 2010.
5. **გაბიძაშვილი 2011:** გაბიძაშვილი ე., ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები, ბიბლიოგრაფია, 5 (ლიტურგია, ჰიმნოგრაფია), თბ., 2011.
6. **გიორგი მთაწმიდელი 1967:** გიორგი მთაწმიდელი, ცხორება ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანესი და ეფთჳმესი, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. II (XI-XV სს.), დასაბეჭდად მომზადდა ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1967.
7. **დულაშვილი... 2012:** ამბავი ერთი ხელნაწერისა (ქართულ-ბერძნული ილუსტრირებული ხელნაწერი სანკტ-პეტერბურგის კოლექციიდან), თბ., 2012.
8. **ევგარი სქოლასტიკოსი 1936:** ევგარი სქოლასტიკოსი, გეორგია, ტ. 3, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, ტფილისი, 1936.
9. **თაყაიშვილი 1963:** თაყაიშვილი ე., არქეოლოგიური მოგზაურობა რაჭაში, თბ., 1963.
10. **იოანე რუფუსი 1965:** იოანე რუფუსის „პლეროფორიები“, გეორგია, ტ. 2, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1965.
11. **კეკელიძე 1960:** კეკელიძე კ., დიონისე არეოპაგელი და პეტრე იბერიელი ძველ ქართულ ჰიმნოგრაფიაში, VI, თბ., 1960.
12. **კეკელიძე 1980:** კეკელიძე კ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1980.
13. **კიკნაძე 2011:** კიკნაძე ზ., რეცენზია. ჟურნ. „კადმოსი“, N3, 2011.

14. **კლდიაშვილი 2010:** კლდიაშვილი დ., ჯაყელთა კიდეე ერთი საგვარეულო მატრიანე ქუთაისის ისტორიული მუზეუმიდან, საერთაშორისო კონფერენცია „ტაო-კლარჯეთი“ – მასალები, თბ., 2010.
15. **ლოლაშვილი 1986:** ლოლაშვილი ი., ალექსანდრე ცაგარელი. ძველი ქართული მწერლობის მკვლევარი, თბ., 1986.
16. **მარი 1896:** მარი ნ., ცხოვრება პეტრე ივერისა, ქართული დედანი გამოსცა, რუსულად სთარგმნა და წინასიტყვაობა დაურთო ნიკო მარმან, Православный палестинский сборник, т. XVI, вып. 2, С-Петербург, 1896.
17. **მენაბდე 1980:** მენაბდე ლ., ძველი ქართული მწერლობის კერები, II, თბ., 1980.
18. **მეტრეველი 1998:** მეტრეველი ელ., ათონის ქართველთა მონასტრის საალაბე ნიგნი, თბ., 1998.
19. **ნიკოლაძე 1964:** ხელნაწერთა აღწერილობა ტ. II [ქუთაისის მუზეუმისა], შედგენილია და დასაბუჯდად მომზადებული ე. ნიკოლაძის მიერ, თბ., 1964.
20. **პაპუაშვილი 2005:** პაპუაშვილი ნ., წმ. ამბროსი (ხელაია) სიმართლისა და თანხმობის სამსახურში. ამბროსი (ხელაია) რუსეთის საეკლესიო პოლიტიკის შესახებ აფხაზეთში: სტატიის გამო „ხმა სოხუმიდან“, გამოსაცემად მოამზადა, თარგმნა, გამოკვლევა და შენიშვნები დაურთო ნ. პაპუაშვილმა, თბ., 2005.
21. **პაპუაშვილი 2006:** პაპუაშვილი ნ., გრიგოლ ფერაძე სარწმუნოების და მოქალაქეობის შესახებ, გამოკვლევა, ბიბლიოგრაფია, ქადაგებები, შენიშვნები, დანართი, თბ., 2006.
22. **პაპუაშვილი 2015:** პაპუაშვილი ნ., ამბროსი ხელაია მიქარწმინდის ხელნაწერისა და პეტრე იბერის შესახებ, „ჩვენი სულიერების ბალავარი“ (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, ბათუმი, 17-18 აპრილი, 2015), VII, თბ., 2015.
23. **პეტრე იბერის ცხოვრება 1988:** ცხოვრება პეტრე იბერისა, ასურული რედაქცია, გერმანულიდან თარგმნა, გამოკვლევა, კომენტარები და განმარტებითი საძიებელი დაურთო ი. ლოლაშვილმა, თბ., 1988.
24. **ჟორდანი 1897:** ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა: შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანის მიერ, ტფილისი, 1897.
25. **სხირტლაძე 1994:** სხირტლაძე ზ., ივერიის ღვთისმშობლის ხატის მოჭედილობა, თბ., 1994.
26. **ქავთარია 2012:** ქავთარია მ., ბოლოსიტყვაობა (ამბროსი ხელაიას თხზულებათა გამოცემებზე), „მნივნობრობა ქართული“, 13, თბ., 2012.
27. **შეერთებული კალენდარი 2001:** მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის შეერთებული კალენდარი, თბ., 2001.
28. **ცინცაძე 1991:** ცინცაძე კ., დამწერლობის წარმოშობა ქართველთა შორის, „საღვთისმეტყველო კრებული“, თბ., N1, 1991.
29. **წმიდა პეტრე 2014:** წმიდა პეტრე იბერი, მეოთხე შეესებული გამოცემა, თბ., 2014.
30. **ჯაფარიძე:** ჯაფარიძე ა., პეტრე იბერი – მართლმადიდებელი ეპისკოპოსი, 2002.
31. **Skhirtladze 2005:** Z. Skhirtladze, The original of the Portaitissa Icon. Oriens Christianus, B. 89, 2005.
32. **Papushvili 2012:** Papushvili N., Aus der jüngsten Vergangenheit der georgischen orthodoxen Kirche, Tiflis, 2012.

33. Цагарели 1886: Цагарели А., Сведения о памятниках грузинской письменности, вып. 1, С.-Петербург, 1886.
34. Цагарели 1888: Цагарели А., Памятники грузинской старины в Св. Земле и на Синае. Православный Палестинский Сборник, т. 4, вып. 1, С.-Петербург, 1888.

**Nugzar Papuashvili**

**ATHONITE MANUSCRIPT IN MIKARTSMINDA AND QUESTION  
OF CANONIZATION OF PETER THE IBERIAN  
FOLLOWING THE INFORMATION OF AMBROSI KHELAIA**

**SUMMARY**

An important role in the thorough study of the centers of Georgian culture abroad, and in particular, the spiritual and material heritage of the Georgians' monastery on the Holy Mount Athos can be played by bibliographical data found in the literary sources of various origins and genres. It is expected that the scientific analysis of such data will not only enrich the creative biographies of their authors, but will also reveal the details of the written heritage of the said monastery, which have been unknown or less known till today. This will allow opening up a new perspective in the relevant branch of science. At present, the subject of our study is the bibliographical datum belonging to Ambrosi Khelaia, the ecclesiastic recognized as saint. It is noteworthy not only in respect of codicology and literature or archeology, but also with its ecclesiological and theological aspects. A question whether it is possible to canonize Peter the Iberian, the Georgian episcope of the 5th century despite his tendency to heresy is mentioned in this source for the first time.

Of the written heritage of Catholicos-Patriarch Ambrosi Khelaia (St. Ambrosi the Confessor), worthwhile is the field-archeographic research and exploration accomplished by him in the major part of Racha and Lechkhumi during his service as an archimandrite at the Chelishi Monastery (1902-1904). The results of this research are given in the fundamental work by Ambrosi Khelaia *The Travel in Racha-Lechkhumi*, having not lost its scientific importance till today. The work is distinguished for new developments in respect of both, source study and factual knowledge and analysis and conceptual study. Such is the part of the work describing the story of traveling to the village of Mikartsminda and making the inventory of the antiquities of the local church.

The archimandrite's attention was drawn by the manuscript, which he dated by the 16<sup>th</sup>-17<sup>th</sup> cc. It is still impossible to identify the manuscript (the "descriptions" of the Georgian manuscripts fails to list this document), but the description the archimandrite gave allows us to consider its content and importance. It is a hand-written book, which misses its first and last pages, but is impressively thick – it is the collection of ecclesiastical works with testaments and notes. The scribe of the book was Dimitri; the place of copying was Mount Athos and the sponsor was Ambrosi. The specialist in the study of early texts was able to identify the follow-

ing works in the manuscript: (1) the typicon of the Iviron Monastery (with missing first pages), (2) the Epistle of Giorgi the Recluse, (3) the Life of Giorgi the Hagiorite, (4) the Life of Peter the Iberian, (5) the Explanation by John Chrysostom on the Apocalypse, (6) prayers of penance and (7) the treaty of Arsen Catholicos, of Sapara about “The division of Kartli and Armenia”.

As for the identification of the content, the difficulty in this respect is observed with the first item only, as the relevant bibliography does not list the title given to this writing in *The Travel (The typicon of the Iviron Monastery of Mount Athos)*. The part of “the Lives of John and Ekvtime” describing the ascetic-canonical practice of the Monastery of the Georgians on Athos, relevant typicon rules, as well as the history of the times after St. Ekvtime and the last will of the hagiographer must be meant here. The researcher thinks that the initiator of creating this manuscript was the Ambrosi, whom grandee Mzechabuki sent to Mount Athos with splendid donations approximately in 1500. It is known that this person was a remarkable calligrapher and scribe. He did many good at the Georgians’ Monastery of Athos, but no document mentions his care about the duplication or ornamentation of hand-written books on Athos. This detail of this ecclesiastic’s biography about Mikartsminda manuscript became known only via the information given by archimandrite Ambrosi. Besides, our analysis of this piece of information shows that Maecenas Ambrosi was archimandrite. He may have participated in composing and copying the collection, but this question can be clarified only if the manuscript is found and studied paleographically. The novelty in the special literary sources is the will-inscriptions showing the prayers and beseech of Dimitri and patron Ambrosi to Peter the Iberian. These texts marked in travel publication (Tbilisi, 2011, pp. 403-04) are given with a gap, which we have corrected based on the original.

The archimandrite pays particular attention to Peter the Iberian’s hagiography and prayers and thanksgiving chants found in the same manuscript. The author offers the draft with a scientific content and form to show the asceticism of this person and his merit for the Church. The work also gives the history of his place on the Orthodox calendar and reason for removing his name from this calendar. This reason was opposition to the Chalcedonian creed. Despite the fact that the archimandrite does not doubt in the reliability of this accusation, he thinks the Church-menologic rehabilitation of Peter the Iberian yet possible. Such a solution to the issue is the sign of a church economy by St. Ambrosi and shows him as an open, lenient and tolerant theologian in the relations with heterodox people.

## ქართული ტატიოვილი

### ქართული წმინდანები ანტონ I კათალიკოსის ჰიმნოგრაფიაში

მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისიდან ქართულ სასულიერო მწერლობაში გაძლიერდა ეროვნული განწყობა, ამან კი გამოიწვია ქართველ წმინდანთა მოღვაწეობის ახალი თვალსაზრისით შეფასება და მათი დამსახურების წარმოჩენა მართლმადიდებელი ეკლესიის წინაშე. სწორედ ამ კუთხით გადამუშავდა ლიტურგიკული წიგნები და მათში შეტანილ იქნა ქართველ წმინდანთა ხსენება-განგებები. ანტონი, რომლის მთელ შემოქმედებასაც „ეროვნულ-პატრიოტული ტენდენცია განსაზღვრავდა“ (ქავთარია 1977: 79), რა თქმა უნდა, გულგრილი ვერ დარჩებოდა ამ საკითხისადმი. მან ჯერ კიდევ თავისი მოღვაწეობის პირველ ხანებში (რუსეთში გადასახლებამდე) შექმნა თვენთან მაქსიმალურად დაახლოებული რედაქციის სადღესასწაულო (A-151). ანტონს ამ კრებულში ყველა დღე აქვს შეტანილი, მაგრამ განგებანი არ არის, მხოლოდ ხსენებებია (ქავთარია 1977: 106-107).

რუსეთში ანტონმა ახალი რედაქციის სადღესასწაულო შეადგინა. მასზე დართული წინასიტყვაობიდან (კეკელიძე 1957: 175-186) ჩანს, რომ მან პირველ რიგში კალენდარში ჩაატარა რეფორმა – სისრულით წარმოადგინა როგორც მსოფლიო ეკლესიის, ასევე ქართველი წმინდანებიც და ამით საბოლოოდ დაამთავრა სადღესასწაულოს თვენთან დაახლოება. ამ რედაქციაში ქართველი წმინდანები მთელი სისრულით არიან წარმოდგენილნი. ანტონმა გამოიყენა უკვე არსებული განგებანი და მას დაუმატა თავისი. რიგ შემთხვევაში შეცვალა ხსენების დღეები (მაგ.: დავით აღმაშენებლის ხსენება 25 იანვრიდან გადაიტანა 26 იანვარს; 2 დეკემბერს საერთოდ გააუქმა პეტრე იბერის ხსენება და მის ნაცვლად იმ დღეს განაწესა ისე ნილკნელის განგება). თავიდან დაწერა საგალობლები, ზოგჯერ სვინაქსარიც კი (მაგ., ქეთევან დედოფლის). ანტონი, რა თქმა უნდა, იყენებს უკვე არსებულ ჰიმნოგრაფიულ მასალას, მაგრამ უპირატესობას არ ანიჭებს მას. მის სადღესასწაულოში თითქმის ყოველი დღის განგებაა მოცემული, რამდენიმე გამონაკლისის გარდა. ანტონის რედაქციის სადღესასწაულო გავრცელდა და კანონიკური მნიშვნელობა შეიძინა (ქავთარია 1977: 105-118).

ჩვენამდე მოღწეულია ანტონ კათალიკოსის რედაქციის სადღესასწაულოს ავტორიზებული ნუსხა. იგი გადაწერილია 1760 წელს მიხაილ იოანეს ძის მიერ ვლადიმირში, ბოგოლუბოვოს მონასტერში. ეს ნუსხა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას შესწირა იასონ დავითის ძე ციციშვილმა. ამჟამად ინახება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (S-1464).

ანტონმა ქართული ეკლესიის 24 წმინდანს მიუძღვნა კანონი მცირე ფორმის საგალობლებთან ერთად, ანუ, ფაქტობრივად, მთელი განგება შეადგინა ამ წმინდანებისა, თუმცა მცირე საგალობლების ნაწილი, რომლებიც ამ განგებებში გვხვდება, სხვა ჰიმნოგრაფთა კალამს ეკუთვნის (მაგ., ქეთევან დედოფლის ანტონისეულ კანონს ერთვის როგორც მისი შედგენილი, ისე გრიგოლ დოდორქელის და სხვათა მიერ დაწერილი მცირე ფორმის საგალობლები). მხოლოდ რამდენიმე ქართველი წმინდანის კანონი არ დაწერა ანტონ პირველმა (აბო თბილელის, იოსებ ალავერდელის). ძნელია, გადაჭრით თქმა, თუ რამ გამოიწვია ეს. შესაძლოა, ვერ მოასწრო, ანდა იმდენად მოსწონდა უკვე არსებული კანონები, რომ ახალი აღარ დაწერა.

როგორც წესი, ანტონი წერს „აქებდითსა ზედა დასდებელს“ და შემდეგ მთლიანად ან უმეტესი ნაწილი მაინც გადააქვს „წყობილსიტყვაობის“ იამბიკოდ შესაბამის ადგილას.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ანტონი იყო პირველი ჰიმნოგრაფი, რომელმაც შეადგინა გრიგოლ ხანცთელის, დავით აღმაშენებლისა და ნეოფიტე ურბნელის განგებები. მანამდე ამ წმინდანთა განგებები არ არსებობდა. ნეოფიტე ურბნელის ხსენების დღის დაწესებაც კი მის სახელს უკავშირდება.

XVII-XVIII სს-ში ჩნდება დავით აღმაშენებლის სახელი ქართულ ლიტურგიკულ კრებულებში (A-379, A-1048, A-515, A-111, H-1087 და სხვ.). ყველა ხელნაწერში 25 იანვარსაა ხსენება, თანაც საგალობლები საერთოდ არ არის. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ანტონმა შეცვალა ხსენების დღე – 25 იანვარი 26 იანვრით, რადგან 25 იანვარს აღინიშნებოდა მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის დიდი მოძღვრის, გრიგოლ ღვთისმეტყველის ხსენება და ამის გამო იწრილებოდა დავით აღმაშენებლის სახელი. ანტონ კათალიკოსი იყო პირველი ჰიმნოგრაფი, რომელმაც შექმნა დავით მეფის განგება და თავის სადღესასწაულოში (S-1464, 836r-842r) მოათავსა.

ნეოფიტე ურბნელის სახელი პირველად გვხვდება X საუკუნის ძეგლში „თხრობაჲ სასწაულთათჳს წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა შიოხსთაჲ, რომელი ესე სხუათა მიერ აღწერილი ადგილ-ადგილ ერთად შემოკრიბა ბასილი კათალიკოსმან, ძემან დიდისა პატრიკისა ვაჩქესმან“ (აბულაძე 1953: 199-213).

ნეოფიტეს წმინდანად შერაცხვა უკავშირდება ანტონ კათალიკოსის სახელს. მან თავის სადღესასწაულოში (S-1464 161v-164r) 28 ოქტომბერზე შეიტანა ამ წმინდანის განგება, რომელიც თვითონვე დაწერა. მოგვიანებით, 1768 წელს, დაწერა ვრცელი მოთხრობა-საკითხავი და ქართველ წმინდანთა ანთოლოგიაში, „მარტირიკაში“, მოათავსა (ძქალძ 1980: 119-135). მაშასადამე, ნეოფიტეზე ჯერ ჰიმნოგრაფიული მასალა შეიქმნა და შემდეგ – აგიოგრაფიული.

განგებების ტექსტის შედგენისას ანტონ პირველმა გამოიყენა შიონის წიგნების წიგნში აღწერილი ნოფიტე ურბნელის ცხოვრება-მოღვაწეობის ძირითადი დეტალები. სწორედ ეს პასაჟები გაიმეორა მან შემდგომში აგიოგრაფიულ თხზულებაში.

VIII-IX საუკუნეების დიდი ქართველი მამის, გრიგოლ ხანცთელის ხსენება ქართულ ლიტურგიკულ ძეგლებში მეთერთმეტე საუკუნიდან ჩნდება (A-97 ხელნაწერზე გაკეთებულია მინაწერი). ხელნაწერებში (H-1452, A-426, Q-87, Q-646 და სხვ.) გრიგოლ ხანცთელის ხსენება დადებული იყო 5 ან 6 ოქტომბერს. ანტონი იყო პირველი ჰიმნოგრაფი, რომელმაც დაწერა გრიგოლ ხანცთელის განგება (S-1464, 124r-125v).

განგების ტექსტოლოგიურმა შესწავლამ გამოავლინა, რომ იგი არავითარ ფაქტობრივ მასალას არ შეიცავს, არც ერთი დეტალი გრიგოლის ცხოვრება-მოღვაწეობისა არ არის დასახელებული, ავტორი იფარგლება ზოგადი მსჯელობით. ეს ასეც იყო მოსალოდნელი, ვინაიდან გრიგოლ ხანცთელის შესახებ საქართველოში თითქმის არაფერი იყო ცნობილი (ამას ადასტურებს ანტონ კათალიკოსისთვის განკუთვნილი ერთი დოკუმენტი, რომელიც დღეს პეტერბურგში ინახება და შეიცავს ქართველ წმინდანთა კალენდარს – On 41E-106 (E-184) ფ. VI).

გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრების“ შემცველი ერთადერთი ხელნაწერი, რომელიც ჩვენამდეა მოღწეული, მხოლოდ 1845 წელს იპოვა ნ. ჩუბინაშვილმა ჯვრის მონასტერში; შემდეგ ეს ხელნაწერი 1902 წელს იერუსალიმის საპატრიარქო ბიბლიოთეკაში ნახა ნიკო მარმა და ტექსტი რუსული თარგმანით 1911 წელს გამოსცა (Георгий Мерчул 1911).

გარდა დავით აღმაშენებლის მთლიანი განგებისა, ანტონმა დაწერა სხვა ქართველ წმინდა მეფეთა საგალობლები, კერძოდ, არჩილისა და ლუარსაბის ორი ცხრაოდიანი კანონი (არჩილსა და ლუარსაბს ერთად ეძღვნება ორივე კანონი). ანტონმა დაწერა, ასევე, შუშანიკ დედოფლისა და ქეთევან დედოფლის საგალობლები, მიუხედავად იმისა, რომ ამ წმინდანების საგალობლები ადრევე არსებობდა, რასაც ადასტურებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ანტონისავე სადღესასწაულოში, გარდა მის მიერ დაწერილი ახალი საგალობლებისა, არის ქეთევანის გრიგოლ დოდორქელისეული და ანონიმი ავტორის საგალობლებიც. აღსანიშნავია, რომ ანტონ კათალიკოსს არათუ არ დაუწერია თამარ მეფის საგალობელი, არამედ მისი ხსენების დღეც არ აქვს მითითებული სადღესასწაულოში, თუმცა “წყობილსიტყვაობაში” მას ძალიან ამალღებულ სტრიქონებს უძღვნის (ანტონ ბაგრატიონი 1980: 239-241). თანაც თამარის ხსენება ჯერ კიდევ A-97 სვინაქსრის XIII საუკუნის მინაწერში გვხვდება (გაბიძაშვილი 2001: 300).

საერთოდ, ანტონ პირველის ახალი რედაქციის ამ სადღესასწაულოში ცხადად ჩანს, რომ მის ავტორ-რედაქტორს მიზნად ჰქონია ქართველი წმინდანების მაქსიმალური სისრულით წარმოდგენა. რამდენიმე მაგალითს დავიმოწმებთ: მაგალითად, ანტონმა ათონელი მამების სამი საგალობელი დაწერა ეფთვიმე ათონელის, გიორგი მთაწმიდლის, იოანესა და გაბრიელის. მთლიანი განგებები ან-

ტონს არ დაუნერია. ეფთვიმე და გიორგი ათონელების თითო-თითო კანონი და სამივე წმინდანის მცირე ფორმის საგალობლების ნაწილი სხვა ჰიმნოგრაფებს ეკუთვნით. ანტონმა დაწერა სამი კანონი და დასდებლების ნაწილი. ასევე მართალია ანტონ I კათალიკოსმა თავის სადღესასწაულოში წმინდა ნინოს არსენ ბულმაისიმისძისეული კანონი და ამავე წმინდანისადმი მიძღვნილი რამდენიმე მცირე საგალობელი შეიტანა, თვითონაც უძღვნა მოციქულთა სწორს კანონი, ხოლო მცირე ფორმის საგალობელთაგან – მხოლოდ დიდება და აქებდითსა ზედა დასდებელი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ანტონ კათალიკოსმა სულ 24 ქართველი წმინდანის კანონი შეადგინა, რომელთაგან მხოლოდ ერთია უაკროსტიქო – ისე ნილკნელის. დანარჩენი განყოფილია როგორც სტროფული, ისე ტაეპობრივი აკროსტიქით. ტაეპობრივია სულ ორი საგალობლის აკროსტიქი – ქეთევან დეოფლის (13 სექტემბერი) და ნინო მოციქულის (14 იანვარი).

პირველი აკროსტიქის ტექსტი ასეთია: იმადლ – სიტყუშზოდედ სამება და ღ-თი მამღვთი ჩემისა სატრფოსა მარტვილისა, რომელსა დღეს უგალობ დიდსა ქეთევანს ძეთაგან მისთა მეცა დაღათუ არ საკადრ ანტონი, შემსხმელი წმიდათა ლუანლთა მისთა, რამეთუ მაგას ოხა, ვითარცა დედამან.

აქვე მოვიყვანთ წმიდა ნინოს საგალობლის აკროსტიქის ტექსტსაც: ტრფიალსა სძალსა სიძისა, ზესთა ღმერთთას, სულის ნათლითა ბნელის შინათ მნათსა, მოციქულსა ქალწულსა, სანატრელსა შესხმისა, ძლითნი სიტყუანი მიერთმოდედ ანტონის მიერ უნდო ეპისკოპოსის და მგალობელის დაღათუ არა შესაბამ.

დანარჩენი აკროსტიქები სტროფულია. ესენია:

1. ბიძინა ჩოლოყაშვილის (18 სექტემბერი) – ბრწყინვალე ხარ ჳსენებასა შინა, ბიძინა.
2. შალვა და ელიზბარ ერისთავების (18 სექტემბერი) – ერისთავთა ლუანლი სახარულევანი არს.
3. დავითის და კონსტანტინესი (2 ოქტომბერი) – გალობასა ახალსა მივართუამ მოწამეთა.
4. გრიგოლ ხანცთელის (4 ოქტომბერი) – გრიგორის მმარხუშლთა ხატსა სიტყვერსა ვაქებ.
5. ნეოფიტე ურბნელის (28 ოქტომბერი) – ახალნერგი ტევანი სამღთოდ დაინნიხების.
6. კონსტანტინე მთავრის (10 ნოემბერი) – მოწამეთა შუწნიერება იქმნა კონსტანტინე.
7. მიქაელ-გობრონის (17 ნოემბერი) – მიხაილს ქება მიერთმოფინ მოყუასთა თანა ნეტართა.
8. ილარიონ ქართველის (19 ნოემბერი) – ილარიონს, მნათობსა ღმრთისასა, უგალობ.
9. აბიბოს ნეკრესელის (29 ნოემბერი) – სისხლითა შეამკო წესი მღუდლობისა აბიბოს.

10. ანტონ მარტყოფელის (19 იანვარი) – ანტონის დიდებულებას უკუაღწია ანტონი.
11. დავით აღმაშენებლის (26 იანვარი) – გულსაცხე ვიქმენ, დავით, ვითარმედ ყოვლად სრულ ხარ.
12. იოანე ზედაზნელის (7 მაისი) – ანბანური აკროსტიქი.
13. ექვთიმე მთაწმიდლის (13 მაისი) – სიხარულისა მოსახელესა ვაქებ ვეთიმის.
14. არჩილისა და ლუარსაბის (21 ივნისი) – მრჩობლსა უგალობ წმიდათა ვარსკულავთა.
15. არჩილისა და ლუარსაბის მეორე კანონი (21 ივნისი) – ორმზეობასა ვაქებ მარტვლთასა ანტონი.
16. გიორგი მთაწმიდლის (27 ივნისი) – მუშაკი ბრძენი ღირსად იქებოდინ გიორგი.
17. იოანე ათონელის და გაბრიელის (12 ივლისი) – ღირსთა უგალობ გალობასა ამას სურვილით.
18. ევსტათი მცხეთელის (29 ივლისი) – კეთილდგომისა მოსახელესა ვაქებ ევსტათის.
19. რაჟდენ პირველმონაშის (3 აგვისტო) – ღმრთისმშობლისას ტროპართა გარდა, სხვა ტროპარები ქმნიან აკროსტიქის შემდეგ ფრაზას – რაჟდენ მარტვილთა იქმნა ქება; ღმრთისმშობლისას მუხლები კი ქმნიან კიდურწერილობას – ანტონიოს.
20. შუშანიკ დედოფლის (28 აგვისტო) – სძალი ქრისტესი გალობით იქებოდინ დღეს.
21. დავით გარეჯელის (აღვსებითგან მეშვიდესა ხუთშაბათსა) – შეგითხზავ, დავით, გვრგვნსა სიტყუათა ყუავილთასა.

როგორც სტროფული, ასევე ტაქობორივი აკროსტიქის ფრაზა, კანონის დასაწყისში წარმოდგენილი, თვითონ კანონში ყოველთვის ზუსტად არ არის დაცული:

ანტონ კათალიკოსის ჰიმნოგრაფიულ რეპერტუარში უპირატესად მარტივი აკროსტიქები გვხვდება, ე.ი. აკროსტიქის ფრაზას ქმნის ან მხოლოდ კანონი, ან მხოლოდ სტიქარონი.

ჩვენ მიერ შესწავლილი საგალობლების აკროსტიქები ორი ფორმით გვხვდება. გვაქვს:

I. აკროსტიქები ავტორის სახელის მითითებით.

II. აკროსტიქები ავტორის სახელის მითითების გარეშე.

პირველ შემთხვევაში სახელთან ერთად ანტონი საგალობლის შინაარსზეც უთითებს. მაგალითად, არჩილის და ლუარსაბის საგალობლის კიდურწერილობის ფრაზა (ორმზეობასა ვაქებ მარტვლთასა ანტონი) მიგვითითებს, რომ საგალობელში საუბარია ორ მარტვილზე, რომელთაც აქებს ანტონი (ავტორის სახელი). წმინდა ნინოს საგალობლის აკროსტიქის (ტრფიალსა სძალსა სიძისა, ზესთა ღმერთას, სულის ნათლითა ბნელის შინათ მნათსა, მოციქულსა ქალწულსა,

სანატრელსა, შესხმისა ძლითნი სიტყუანი მიერთმოდედ ანტონის მიერ, უნდო ეპისკოპოსის და მგალობელის, დაღათუ არა შესაბამ) მიხედვით ჩანს, რომ ანტონი უგალობს ქალწულ მოციქულს. რაიმე ისტორიული დეტალი წმ. ნინოს მოღვაწეობიდან ამ ფრაზაში არ არის, მაგრამ არის ფაქტი, რომელიც საგალობლის დანერის ქრონოლოგიას აზუსტებს. ანტონი იხსენიება ტიტულით – „უნდო ეპისკოპოსი“. იგი ეპისკოპოსად იწოდება მხოლოდ რუსეთში (ვლადიმირის ეპარქიის მმართველობის დროს). ამიტომ საფიქრებელია, რომ საგალობელი დაინერა 1757-1760 წლებში (1757 წლის I დეკემბერს დაინიშნა ანტონი ვლადიმირის ეპარქიის ეპისკოპოსად, 1760 წელი კი სადღესასწაულოს გადაწერის თარიღია). ამ საგალობლის აკროსტიქში არც ერთი წმინდანის სახელი პირდაპირ მითითებული არ არის.

ქეთევან დედოფლისა და ანტონ მარტყოფელის საგალობლების აკროსტიქებში კი ავტორის სახელთან ერთად დასახელებულია წმინდანის სახელიც.

ანტონ მარტყოფელის საგალობლის აკროსტიქია – „ანტონის დიდებულებას უგალობ ანტონი“. ქეთევან დედოფლის ტაეპობრივი აკროსტიქის მიხედვით ვიგებთ, რომ საგალობელი ეძღვნება ქეთევანს, დიდ მარტივს, რომელსაც უგალობს ანტონი, ერთ-ერთი მისი შთამომავალთაგანი. ანტონის დედა, დედოფალი ელენე, ქეთევანის შვილთაშვილი იყო.

ანტონისეული აკროსტიქიანი საგალობლების უმეტეს ნაწილს ავტორის სახელი არა აქვს მითითებული, თუმცა საგალობლის შინაარსზე მინიშნება არის.

აქაც ორი ქვეჯგუფი გამოიყოფა:

- ა) შინაარსთან ერთად მითითებულია წმინდანის სახელი.
- ბ) არ არის მითითებული წმინდანის სახელი.

ანტონ I კათალიკოსის კანონთა აკროსტიქების შედგენაში მონაწილეობენ ღმრთისმშობლისას ტროპარებიც, ე.ი. ანტონი ღმრთისმშობლისას მზამზარეულ სტროფს კი არ იყენებს, არამედ თვითონ ქმნის მათ. ეს ტრადიცია დამკვიდრდა და ფართოდ გავრცელდა ამ პერიოდის ქართველ ჰიმნოგრაფთა შემოქმედებაში (მაგ.: იესე ერისთავი, მარიამ-მაკრინა, სულხან-საბა...). ამას ცალკე სპეციალური განმარტება სჭირდება, ერთი შეიძლება ახლავე ითქვას, რომ XVII-XVIII სს-ის ჰიმნოგრაფიაში ეროვნული ტენდენციების მომძლავრებამ მოშალა „ღმრთისმშობლისანებისადმი“ ტრადიციული დამოკიდებულება (ტატიშვილი 2005: 72).

საეკლესიო პოეზიის სახისმეტყველება, ჟანრის სპეციფიკიდან გამომდინარე, მკაცრად შემოსაზღვრულია. ქრისტიანული სიმბოლოები მსოფლიო საეკლესიო კრებებზე იყო კანონიზირებული და მათი თვითნებურად შეცვლა მკრეხელობად ითვლებოდა, მაგრამ ჰიმნოგრაფები მაინც ახერხებდნენ საკუთარი ინდივიდუალურობის გამოხატვას იმის მეშვეობით, თუ როგორ წარმოაჩენდნენ ბიბლიურ სიუჟეტს, როგორ ინტერპრეტაციას მისცემდნენ სახე-სიმბოლოებს. ერთი და იმავე სიუჟეტისა და მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების სხვადასხვა კონტექსტში გამოყენება საეკლესიო პოეზიის ნიმუშებს თავისთავადობასა და განუმეორებლობას ანიჭებდა. ამავე დროს, ჰიმნოგრაფი საკუთარი ემოციით და განწყობით ტვირთავდა საგალობელს (სულავა 2003: 5). გამონაკლისი ამ

მხრივ, რა თქმა უნდა, არც ანტონ კათალიკოსის შემოქმედება იყო: ანტონის საგალობლები საინტერესო სურათს იძლევიან. ავტორი, ძირითადად, ძველი აღთქმის სიუჟეტებსა და სახე-სიმბოლოებს იყენებს, ისიც იმ შემთხვევაში, თუ წმინდანის ბიოგრაფია რაიმე ანალოგიის საბაზს გვაძლევს ბიბლიურ სახესა ან სიუჟეტთან. მაგ.: დავით აღმაშენებლის განგების შედეგისას ანტონი საკმაოდ ხშირად მიმართავს წმინდა წერილს, მართალია, ზუსტ ციტიციას არ ახდენს (და ეს არც იყო მოსალოდნელი), მაგრამ ზოგჯერ საკუთარი ინტერპრეტაციით გადმოსცემს მსგავსი მოტივის ამა თუ იმ ეპიზოდს, ზოგჯერ კი მხოლოდ მოიხსენიებს ბიბლიურ პერსონაჟებს განწყობის შესაქმნელად. ანტონი ეყრდნობა ბიბლიურ სახე-სიმბოლოებს. ეს კი, როგორც არაერთგზის არის მითითებული ლიტერატურაში, ზოგადად, ჰიმნოგრაფიისთვის დამახასიათებელი მოვლენაა.

ამრიგად, ანტონ I-მა დაწერა 24 ქართველი წმინდანის კანონი და, ფაქტობრივად, შეადგინა მათი მთლიანი განგებები. აქედან სამი წმინდანის (დავით აღმაშენებლის, ნეოფიტე ურბნელისა და გრიგოლ ხანცთელის) განგებები ანტონამდე არ არსებობდა. გარდა ამისა, მის კალამს ეკუთვნის სხვა წმინდანთა მცირე ფორმის საგალობლებიც. მხატვრული თვალსაზრისით, ანტონის საგალობლები, კლასიკური პერიოდის ქართველ ჰიმნოგრაფთა შემოქმედებისგან განსხვავებით, ნამდვილად არ მიეკუთვნება ჰიმნოგრაფიის შედეგებს, თუმცა გვხვდება მზა მხატვრული სახეები, ბიბლიური პარალელების ნიმუშები, რელიგიურ-დოგმატური ფრაზეოლოგია, რაც ზოგადად დამახასიათებელია ჰიმნოგრაფიისთვის.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. **ანტონ ბაგრატიონი 1980:** ანტონ ბაგრატიონი, ნყობილსიტყვაობა, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო ივ. ლოლაშვილმა, თბ., 1980.
2. **აბულაძე 1953:** ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, ტექსტები გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ილია აბულაძემ, თბ., 1953.
3. **გაბიძაშვილი 2001:** გაბიძაშვილი ე., ძველი საქართველოს წმინდანთა და სინწინდეთა კალენდარი, მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის შერთებული კალენდარი, I გამოცემა, თბ., 2001.
4. **კეკელიძე 1957:** კეკელიძე კ., ანტონ კათალიკოსის სალიტურლიკო მოღვაწეობიდან, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, IV, თბ., 1957.
5. **სულავა 2003:** სულავა ნ., XII-XIII საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფია, თბ., 2003.
6. **ტატიშვილი 2005:** ტატიშვილი ქ., ანტონ I კათალიკოსის ორიგინალური ჰიმნოგრაფია, სადისერტაციო ნაშრომი ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, ხელნაწერის უფლებით, 2005.
7. **ქავთარია 1977:** ქავთარია მ., ძველი ქართული პოეზიის ისტორიიდან XVII-XVIII სს. „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1977.

8. **ძქაღძ 1980:** ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი VI, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთეს ენრიკო გაბიძაშვილმა და მიხეილ ქავთარიაშვილმა, თბ., 1980.
9. **გეორგიი მერჩულ 1911:** Георгий Мерчул, Житие св. Григория Хандзтийского. Груз. текст. Введение, издание, перевод Н. Марра с дневником поездки в Шавш(ет)ию и Клардж(ет)ию, ТРА-ГФ, VII, СПб, 1911.

### Ketevan Tatishvili

### GEORGIAN SAINTS IN ANTON I CATHOLICOS' HYMNOGRAPHY

#### SUMMARY

National Patriotic topic dominated in the 18<sup>th</sup> century hymnography. That is why they used to create hymns dedicated to Georgian Saints – this was the epoch's main demand reasoned by provoking strong national feelings which influenced the late feudal period Georgian ecclesiastic poetry.

Anton I the Catholicos dedicated canons to 24 Saints of the Georgian Church alongside with other stichera. In fact, he created a whole rite of these Saints (he wrote stichera to other Saints as well). However, a part of stichera from these rites belong to other hymnographers (e.g. Anton's canon to Ketevan the Queen is followed by stichera composed not only by himself but also by Grigol of Dodorqa and some others. Anton I did not write canons dedicated to only some Georgian Saints (Abo Tbileli, Ioseph Alaverdeli). It is difficult to say what it was conditioned by. It is possible that he was short of time or maybe he liked the ones that already had existed and he did not write new ones.

It should be noted that Anton was the first hymnographer who compiled Grigol of Khandzta, David the Builder's and Neopite Urbneli's rites. None of them had existed till then. Assigning the feast day of Neopite Urbneli is also associated with his name. Only one out of 24 canons of Georgian Saints by Anton is without an acrostich – Iase of Tsilkani's. Other canons are arranged both in strophe and line acrostich. From literary point of view, Anton's hymns do not belong to masterpieces of hymnography in contrast to other Georgian hymnographers' works of the classical period. However, there are literary characters, specimens of Biblical parallelism, religious and dogmatic phraseology commonly characteristic to hymnography.

## ქალაქი ჩაგალიშვილი

### დავით ბატონიშვილის თარგმანები და მათში ნარკომდგენილი სალექსიკონო მასალა

XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთში იძულებით გადასახლებულ ბატონიშვილთა შორის მრავალმხრივი, სამეცნიერო თუ ლიტერატურული ხასიათის, მუშაობა იყო გაჩაღებული, იქმნებოდა ორიგინალური ნაწარმოებები, სრულდებოდა თარგმანები.

ამ პერიოდის მოღვაწეთა შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფიგურაა საქართველოს უკანასკნელი მეფის, გიორგი მეთორმეტის უფროსი ძე – დავით ბატონიშვილი, უაღრესად განსწავლული და მეტად ნიჭიერი პიროვნება. ცნობილია მისი მრავალმხრივი მოღვაწეობა: მხატვრული პროზა და პოეზია, ისტორია და სამართლის საკითხები, საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი თუ სამხედრო საქმე. მისი ნააზრევის ამ ფართო არეალში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია თარგმანს.

დავით ბატონიშვილს თარგმანები შეუსრულებია ზოგი უშუალოდ ორიგინალიდან, ზოგიც – რუსული თარგმანიდან: მირზა მეჰთის „ისტორია ნადირ ავშარელისა“ ნათარგმნია სპარსულიდან, ვოლტერის „შობისათვის“ – ფრანგულიდან, მონტესკიეს „გულისხმისყოფისათვის სჯულთასა“ და ჟან პიერ ფრედერიკ ანსილიონის „ესთეტიკები განსჯანი“ – რუსულიდან.

„ისტორია ნადირ ავშარელისა“ ნადირ შაჰის ვეზირს, მირზა მეჰთის ეკუთვნის: „საქმენი, შრომანი და ღვანლნი დიდისა ხელმწიფისა ნადირ ავშარელისა, რომელიცა აღუწერიეს ნანდვილითა ისტორიითა მირზა მეჰთის, ვეზირსავე მისსა, რომელიცა თანა ჰყვებოდა ყოველსა საქმესა მისსა“ (ხეც, H-2310, 1r). აღნიშნული ნაწარმოები, როგორც აღვნიშნეთ, დავით ბატონიშვილს სპარსულიდან უთარგმნია: „...გარდამოვიღენ ისტორია ესე სპარსთა ენისაგან ქართულად“ (ხეც, H-2310, 2r-v). დავითის მიერ სპარსული ენის ცოდნას ადასტურებს რამდენიმე შენიშვნა-განმარტება, რომელთაც მთარგმნელი ურთავს ტექსტს სპარსულის არმცოდნე მკითხველისთვის, კერძოდ: „მაყულელნი სპარსთა ენოდების“ (ხეც, H-2310, 14r), „დარალმაზი ენოდების გილანისა და ასტარბადისა კერძოსა“ (ხეც, H-2310, 9r) და სხვ. ტექსტში გვხვდება სიტყვა „ყუი“, რომელიც, როგორც

ჩანს, გადაწერს არასწორი ფორმით გადაწერია, რასაც მოწმობს დავით ბატონიშვილისეული განმარტება, სადაც ვკითხულობთ: „ყუი კი არ არის, ყოი არის. ყოი ყოინ ცხერის წელიწადია სპარსულად“ (ხეც, H-2310, 12v). ეს შენიშვნა ჩვენთვის კიდევ ერთი გარემოების გამოა საინტერესო. ის მხოლოდ იმ ხელნაწერში გვხვდება, რომელიც უშუალოდ დავითისეულია (ხეც, H-2310) მაშინ, როდესაც ყველა სხვა შენიშვნა გათვალისწინებულია დანარჩენ ნუსხებში. ეს კი გვაფიქრებინებს, რომ აღნიშნული შენიშვნა მოგვიანოა და დავითი არ წყვეტს ტექსტზე მუშაობას მას შემდეგაც, როდესაც ტექსტი უკვე გადაწერილია სხვა ნუსხებში. საინტერესოა, აგრეთვე, ერთი შენიშვნა: რადგან ერთმანეთს თანხვდება უცხო ენის „ნადირი“ და ქართულში დამკვიდრებული უკვე სხვა მნიშვნელობაშეძენილი „ნადირი“, დავით ბატონიშვილი განმარტავს: „ნადირი არს ენა არაბთა, ხოლო ჩვენსა ზედა ენასა ეწოდების უებროდ“ (ხეც, H-2310, 14v).

ტექსტზე მუშაობისას დავითი არ შემოიფარგლება მხოლოდ შენიშვნების დართვით. იგი ძალზე ხშირად ასწორებს ცალკეულ სიტყვებს აზრის უფრო მკაფიოდ ჩამოყალიბების მიზნით (ხეც, H-2310, 26v, 27r, 39r), ავსებს ადგილებს, რომლებიც, ალბათ, ძნელად ამოსაკითხოების გამო, გადაწერლად დაუტოვებიათ (ხეც, H-2310, 25v, 51r), ავსებს ცალკეულ მონაკვეთებს; ასე, მაგალითად: გადაწერის მიერ გამოტოვებულია ტექსტში ერთი, საკმაოდ მნიშვნელოვანი მომენტი, სადაც საუბარია თეიმურაზის მიერ ნადირ შაჰის წინააღმდეგ მოწყობილ ამბოხზე. ბატონიშვილი ამ ეპიზოდს ცალკე ფურცლის სახით ურთავს ტექსტს და დასძენს: „საქართველოს ამბავში უნდა ჩაიწეროს“ (ხეც, H-2310, 96 ა). ხშირად მთარგმნელი ცვლის და აზუსტებს ცალკეულ სიტყვებს – რამდენიმე შემთხვევაში „წმინდა ადგილს“ ცვლის „მოსალოცველი ადგილით,“ ქრისტიანული თვალთახედვიდან გამომდინარე (ხეც, H-2310, 27r). ზოგჯერ სიტყვას თავზე მის სინონიმს აწერს: ჯილა – დიადიმა (იქვე). ტექსტზე ერთი თვალის გადავლებაც კი საკმარისია იმის დასანახად, თუ როგორი გულმოდგინებით ასწორებს და აზუსტებს მთარგმნელი ცალკეულ სიტყვას თუ მონაკვეთს თითქმის ყოველ გვერდზე.

აღნიშნული ტექსტი ჩვენთვის საინტერესოა სათარგმნი ნაწარმოების ამორჩევის დავით ბატონიშვილისეული პრინციპის დასადგენადაც. როგორც ცნობილია, XVIII საუკუნის 30-იანი წლებიდან ოსმალთა ბატონობა საქართველოში სპარსთა ბატონობით შეიცვალა. ნადირ შაჰის სარდლობით სპარსთა ლაშქარმა არაერთგზის ააოხრა საქართველო და ქართველთა მოდგმას სრული განადგურებით დაემუქრა (მესხია 1983: 198-199). აქედან გამომდინარე, ცხადია, ნადირ შაჰი დავით ბატონიშვილისთვისაც მისი სამშობლოს დაუძინებელი მტერია, თუმცა ეს არ უშლის ხელს, რომ მასში ძლიერი პიროვნება, შეუდარებელი მეტრძოლი დაინახოს და იგი სამაგალითოდაც დაუსახოს სხვებს. ამ თვალსაზრისით მეტად საინტერესოა ბატონიშვილისეული წინასიტყვაობა: „თანანადები ყოველთა კაცთა გულისხმისყოფითა ნიჭებულთა ესე არს და უმეტეს მათდამი, რომელთაცა სიყუარულისათვის მამულისა თვისისა უმსხვერპლებიეს სისხლი,

რათამცა სამარადისოდ მზა აქუნდეს თავი თვისი სარგებლობისათვის მზა ულისა... იძულებულმან ზემოხსენებულისა ჰაზრისამან, საჭიროდ ვპრაცხე, არა ვპრიდე შრომასა და ვითარ ძალმედვა, ვიხმეე ღონისძიებად შემეცნებისათვის ერთა ჩვენთასა, ახლისა ამის ყურადსაღებელისა ისტორიისა დიდებულისა მის კაცისა ნადირ ავშარელისა, რომელთაცა არა აქუნდათ და არცაღა უწყოდენ ისტორია მისი ვიდრე დღეინდელად დღემდე. არა მცირედსა სარგებელსა მისცემს განმხილველთა ამის ისტორიისათა ერთა ესეგუართა, რომელთაცა აქეთ გული მამაკაცებრი ... გარდამოვიღენ ისტორია ესე სპარსთა ენისაგან ქართულად... და აღმოვაჩინენ საქმენი, შრომანი და ღუანღნი, თუ ვითართა გოლიათობითა და შრომითა მიიწივა სიმდაბლისაგან სიმაღლისა ღირსებასა... და განათავისუფლა მამულნი თვისნი ხელთაგან მტერთა ... და ანუ ვითარ განადიდა სამეფო თვისი და დასძინა სპარსეთსა ინდია, თურქისტანი, სინდეთი, ხვარაზმი და კავკასი. ეპკონებ...ნაყოფისა ჩვენებითა მოვიმსთომცა ერთაგან ჩვენთა მადლობანი ამაღ, რომელ ვინათგან ერთაშორის ჩვენთა იპოების სული მამაკაცებრი და სიყუარულიცა მამულისა" (ხეც, H-2310, 2r).

ენობრივი თვალსაზრისით, აღნიშნული თარგმანი გამართული ქართულითა შესრულებული, თუმცა კი, იმდროინდელი საერთო ტრადიციისამებრ, სტილი ოდნავ მძიმეა, მაგრამ სათარგმნი ნაწარმოების ენის კარგად ცოდნა მთარგმნელს საშუალებას აძლევს აზრი მკაფიოდ ჩამოაყალიბოს; ამასთანავე, დავითი ხშირად ურთავს ტექსტს უცხო სიტყვათა განმარტებებს ქართველი მკითხველისათვის.

აღნიშნული თარგმანი კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია ოთხი ნუსხის სახით: H-2310, A-1772, H-2104 და H-604. ამათგან უპირველესი უნდა იყოს H-2310. ამას გვაფიქრებინებს ის გარემოება, რომ თუმცა ხელნაწერი შესრულებულია რამდენიმე გადამწერის მიერ, მაგრამ სათაური, შესავალი და, რაც მთავარია, შენიშვნები მთელი ტექსტის მანძილზე, ცალკეულ სიტყვათა განმარტებები და ჩანართები დავით ბატონიშვილის ხელით არის შესრულებული.

ქრონოლოგიურად H-2310-ს უნდა მოსდევდეს A-1772 ხელნაწერი, რომელიც უშუალოდ მისგან უნდა იყოს გადწერილი. ამას გვაფიქრებინებს ის გარემოება, რომ ეს ნუსხა ზუსტად მიჰყვება H-2310-ის ტექსტს და ითვალისწინებს ყველა შენიშვნას. აღნიშნული ხელნაწერი არაა დასრულებული (წყდება 34-ე თავზე).

რიგით მესამე, „ნადირ შაჰის ისტორიის“ დავითისეული თარგმანის H-2104 ნუსხა გადწერილია ბაგრატ ბატონიშვილის მიერ უკვე პეტერბურგში 1814 წელს: „აღვსწერე მე მეფის გიორგის 13 ძემან ბაგრატმან თვით ხელითა ჩემითა მსხემობასა ჩემსა როსიასა შინა ს.პეტერბურხსა... წელსა 1814“ (ხეც, H-2104, 196r). ბაგრატ ბატონიშვილის ხელწერის გარდა, აღნიშნულ ნუსხაში კიდევ ორი გადამწერის ხელი გაირჩევა (ხეც, H-2104: 7, 8, 129, 134). ვფიქრობთ, რომ ტექსტის აღნიშნული ადგილები უნდა ეკუთვნოდეთ მირზა გურგენის ძესა და ყარამან ენაკოლოფაშვილს, რომლებიც მოხსენიებულნი არიან ხელნაწერის თავფურც-

ელზე: „სრულ იქმნა ესე ...თანაშემწეობითა მირზა გურგენის ძისა და ყარამან ენაკოლოფაშვილისათა.“ ამ ნუსხაში დაცულია ნადირ ავშარელის პორტრეტი, რომელიც იოანე ბატონიშვილს შეუსრულებია და პორტრეტის ქვეშ წაუნერია: „საყუარელსა ძმასა ჩუენსა, მეფის ძეს ბაგრატს, მოგიძღვნი ნამუშავეესა ჩემსა მეფის ძე იოანე“ (138 r). ასე იყრის თავს ერთ წიგნში სამი ძმის, სამი ბატონიშვილის – დავითის, ბაგრატისა და იოანეს ნიჭიერება: – დავითი თარგმნის, ბაგრატი გადაწერს და იოანე მშვენიერად შესრულებული პორტრეტით ამკობს ხელნაწერს.

ქრონოლოგიურად ბოლო, H-604 ნუსხა, არ წარმოადგენს ჩვენთვის საინტერესო ხელნაწერს, რადგან იგი გადაწერილია XXX საუკუნეში ხელნაწერიდან H-2104.

უშუალოდ ორიგინალიდან უთარგმნია დავითს ვოლტერის მცირე ზომის ნაწარმოები „შობისათვის“. ხელნაწერის წინასიტყვაობაში ვკითხულობთ: „ფრანციულით თარგმნილი მეფის ძის ლენერალ-ლეიტენანტის, სენატორისა და კავალერის დავითისაგან“ (ხეც, H-2169, 10 r).

ლიტერატურაში დავით ბატონიშვილი ვოლტერიანელის სახელითაა ცნობილი (ასათიანი 1933; რუხაძე 1954). როგორც ჩანს, დავითის ამ ზედწოდებას მის სიცოცხლეშივე დაედო სათავე. რუსეთში სწავლამიღებული ბატონიშვილი ვოლტერის შრომებსაც გაეცნო და მისი იდეები საქართველოშიც ჩამოიტანა (იოსელიანი 1936: 70). ალბათ, ამიტვე აიხსნება დავით ბატონიშვილის თამამი შეხედულებები ეკლესიასა და წირვა-ლოცვაზე. ცნობილია, რომ მამის, გიორგი მეთორმეტის სიტყვებს „შვილო დავით, თურმე ეკლესიას თეატრს ეძახი, ცისკარს – სათამაშოს და წირვას – წარმოდგენას; ნუ შერები ამისთანა ღვთის გარეგან საქმეს, მოიქეც და ღმერთი იწამეო“, დავითმა ასე უპასუხა: „წადით და ასე უთხარით მამაჩემსა, რაც იმას სწამდეს, მე გამიწერეს და რაც მე მწამდეს – იმას გაუწერესო“ (კაკაბაძე 1914: 43). თუმცა კი, ბატონიშვილის ასეთი განწყობა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ იგი ზოგადად სარწმუნოების მიმართ იყოს გულაცრუებული. პირიქით, დავითი შესანიშნავადაა განსწავლული საღმრთო წერილში; ამას მონიშნავს მისი სალექსიკონო მასალა (ქუთათელაძე 1967), სადაც ბატონიშვილის მიერ მრავალგზის დამონმებულია ძველი თუ ახალი აღთქმის ცალკეული ადგილები. ჩვენს შემთხვევაშიც, დავით ბატონიშვილი სათარგმნად იღებს ვოლტერის სარწმუნოებრივი ხასიათის ნაწარმოებს „შობისათვის“, რომელიც მაცხოვრის შობის თარიღის დადგენას ეხება.

კ.კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია აღნიშნული თარგმანის ერთი – H-2169 ნუსხა, რომელიც უშუალოდ მთარგმნელისეული უნდა იყოს. ამას გვაფიქრებინებს ის გარემოება, რომ მასში რიგი ადგილებისა და ცალკეული განმარტებები შესრულებულია დავით ბატონიშვილის ხელით.

ვოლტერის „შობისათვის“, როგორც აღვნიშნეთ, მაცხოვრის შობის თარიღის დადგენას ეხება და გულისხმობს გარკვეული მოსაზრებების ცოდნას ამ საკითხთან დაკავშირებით. სწორედ ამიტომ, დავითი, როდესაც თარგმანის წინასიტყ-

ვაობაში მიმართავს დავით რექტორს, წერს: „ჩემო ოსტატო, კაცისა ამის ცნობაში მიზეზი ეს არის, რომ ნიშნავს და აჩვენებს უპირველესთა ადგილთა და ნამკითხველი თავად უნდა მიეწიოს ზედმიწევნილებაზედ და ნანდვილს ცნობაზედ. თქვენ ხომ წიგნები ბევრი გახლავსთ და შეაგონებთ და ყოველსავე ჰპოებთ. ეს კაცი მათ ერთათვის სწერს, ვინც იციან რამე და არა მათთვის, ვისცა ცნობა არა აქვს“ (ხეც, H-2169, 17r).

მთარგმნელი ბრმად არ მიჰყვება სათარგმნ ტექსტს. ქართველი მკითხველი-სათვის ნათელი რომ გახდეს ესა თუ ის მოსაზრება, დავითი ურთავს საკუთარ კომენტარებს. ასე, მაგალითად: ტექსტში ვკითხულობთ: „და ნათელ ილო იესოცა ოცდაათისა წლისამან: ლუკ. გ. და კვ.“ ბატონიშვილი განმარტავს: „ფრანციცულს სახარებაში ასე სწერია, – და ნათელ ილო იესო მახლობელ ოცდაათისა წლისამან, ხოლო „მახლობელ“ ლექსი ჩვენში და რუსულში არა სწერია; დამონმებად ეს მოაქვს ავტორსა, რადგან თქვაო „მახლობელ“, მაშა ზედმიწევნით არა სკოდნიაო“ (ხეც, H-2169, 15r). ამ შენიშვნიდან ისიც ნათლად ჩანს, რომ მთარგმნელი ფრანგულ მასალას უდარებს რუსულ და ქართულ ტექსტებს და აკეთებს სათანადო დასკვნებს.

აღნიშნულ თარგმანში არაა მითითებული მისი შესრულების თარიღი. ჩვენი ვარაუდით, დავით ბატონიშვილს ეს თარგმანი უნდა შეესრულებია რუსეთში გადასახლების შემდეგ. ესაა პერიოდი, როცა ვოლტერი ისევ აქტიუალური ხდება და მის ნაწარმოებებს თარგმნიან მრავალ ენაზე, მათ შორის, რუსულადაც (ასათიანი 1933: 74). დავითიც, როგორც სიახლეების მომხრე, საფიქრებელია, რომ ამ ტენდენციას მიჰყვება და ვოლტერს ქართულად თარგმნის. ისევე, როგორც სხვა თარგმანებს, ბატონიშვილი აღნიშნულ თარგმანსაც ურთავს ცალკეულ სიტყვათა განმარტებებს, რომელთა შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

დავით ბატონიშვილს ეკუთვნის, აგრეთვე, მონტესკიეს თხზულების „გულისხმისყოფისათვის სჯულთასა“ თარგმანი, შესრულებული რუსულიდან, რის შესახებაც ვკითხულობთ შესავალში: „თარგმნილი ფრანციცულით რუსულსა ენასა ზედა, ხოლო რუსულით ქართულად მეფის ძის, მემკვიდრის, ღენერალ-ლეიტანანტისა და სენატორისა და კავალერის დავითისაგან“ (ხეც, S-370, 1). დავით ბატონიშვილს, როგორც მისივე წინასიტყვაობიდან ირკვევა, აღნიშნული ნაწარმოები უთარგმნია ძმის, თეიმურაზის თხოვნით: „ჩემო საყვარელო ძმაო თეიმურაზ, უაღმატებულესი სურვილი და სწავლისადმი მოცალეობა, რომელიცა შექმნია სულსა შენსა თვისებად, აღმოჩნდა ღირს ხსოვნისა ყოველთა კაცთათვის; განღვიძებულმან ამით, ხელგეჰყავ თარგმანებად წერილისა ამისა, მონტესკუსაგან ქმნილისა სჯულთათვის გულისხმისყოფისათა, რომელიცა არის ერთიცა ესე უმჯობესთა წერილთაგანი ყოველსა ევროპასა შინა, ხოლო მე კი ვსასოებ, რომელ შრომა ესე ჩემი მსახურ მექმნას დატკობაბასა შინა ძმებრისა სიყვარულისა“ (ხეც, S-370, 2). ამასვე ადასტურებს თავად თეიმურაზ ბატონიშვილის მინაწერი: „ეს წიგნი მეფის ძემ დავითმან ჩემის თხოვით სთარგმნა“ (ხეც, S-370, 3).

„გულისხმისყოფისათვის სჯულთასა“ წარმოადგენს ვრცელ თხზულებას ორ წიგნად სხვადასხვა ქვეყნის ხალხთა წეს-ჩვეულებებისა და პოლიტიკური წყობის შესახებ. აღნიშნული თარგმანის კ. კეკელიძის სახ. ეროვნულ ცენტრში დაცულ ნუსხათაგან ქრონოლოგიურად უპირველესია ხეც, S-370-371 ნუსხები, რომლებიც დავით ბატონიშვილის ავტოგრაფს წარმოადგენს და დასრულებულია 1816 წელს: „შევასრულე ორივე წიგნი მონტესკუ პეტერბუხს წელსა ჩყივ (1816), აპრილის კმ (28) და მოვბლაჯე ხელითა ჩემითა“ (ხეც, S-371, 462). ეს ხელნაწერები თეიმურაზ ბატონიშვილს დისწულის, დავით დადიანისთვის გადაუცია: „ეს მონტესკუს წიგნი, როდისაც ჩვენმა ხელმწიფე ძმამ სთარგმნა, ჯერ პირველად ორივე ტომი თვისის ხელით დანერა და მე ძმასა მათსა, მეფის ძეს თეიმურაზს მიბოძა. მეორეთ ეს ორი წიგნი, იგივე, რომელიც ან თქვენ მოგართვით, ბატონო დადიანო და მემკვიდრეო დავით, მეფის ძემ დავითმა თავისავე ხელით გარდაწერა“ (ხეც, S-371, 463).

S-188-ის ა და ბ ნუსხები დასრულებულია 1816 წელს. ეს ხელნაწერი, როგორც ჩანს, ეკუთვნოდა დავით რექტორს. შემონახულია დავით ბატონიშვილის ორი წერილი ალალო ყორღანაშვილისა და მდივან მანუჩარ თუმანიშვილისადმი, სადაც ვკითხულობთ: „... რეგტორს ანსილიონი, ჩემგან თარგმნილი, მოვართვი... და მონტესკუ ფოშტით... მოსვლია თუ არა?“ (საქართ. სიძველენი: 367-368) და მეორე: „რეგტორი მომიკითხეთ. ანსილიონი და მონტესკუ მოუვიდა თუ არა. ან მეორე ტომსაც გამოუგზავნი“ (ხეც, H-3254, 35 v). ამასთანავე, მეორე წიგნის ბოლოს დავით რექტორის მინაწერია: „გავმართე ალექსის ძემან, კეთილშობლმან დავით რექტორმან“ (ხეც, S-188ბ, 252r). ამ შენიშვნასთან დაკავშირებით, ხელნაწერის აღწერილობაში (ხეც, S-I: 203) სამართლიანადაა აღნიშნული, რომ დავით რექტორის განცხადება წიგნის გამართვის თაობაზე გაზვიადებულია (ქრ. შარაშიძე), რადგან მას მხოლოდ ერთი სიტყვის („ტრიბუნი“) განმარტება ჩაურთავს (ხეც, S-188ბ, 252). ამ სიტყვის განმარტებას კი დავით ბატონიშვილიც გვაძლევს (ხეც, S-188ბ, 41v).

მოგვიანო ხანისაა ხეც, H:1424 ნუსხა, შესრულებული 1840 წელს. გადამწერის, პოლკოვნიკ გრიგოლ წერეთლის, ცნობით, ეს ნუსხა შესრულებულია დავით ბატონიშვილისეული ხელნაწერიდან: „...მე თვით მისის უგანათლებულესობის ხელის ნაშრომიდან გადმოვსწერე“ (ხეც, H-188, 184r). აღნიშნული ნუსხა წარმოადგენს „გულისხმისყოფისათვის სჯულთასას“ მეორე ნაწილს.

დავით ბატონიშვილი, ისევე, როგორც თითქმის ყველა სხვა შემთხვევაში, აქაც თარგმანზე მუშაობას ტექსტის გადაწერის შემდეგაც განაგრძობს. ნათარგმნ ტექსტში მრავლად გვხვდება მთარგმნელის ხელით შესრულებული შენიშვნები თუ ჩამატებები. ამ შენიშვნებისა და ჩამატებების მიზანი ძირითადად შინაარსის დაზუსტებაა, აზრის უფრო ნათლად ჩამოყალიბება, ზოგჯერ კი – შევსება ადგილებისა, რომლებიც გადაწერის დროსაა გამორჩენილი (ხეც, S-188ბ, 150r, 143v, 184r, 172r და სხვ.).

„გულისხმისყოფისათვის სჯულთასას“ თარგმანს ახლავს მეტად საყურადღებო მთარგმნელისეული შენიშვნები, რომლებიც საინტერესოა დავით ბატონიშვილის შეხედულებების გასაცნობად თუ მისივე განწყობილების წარმოსადგენად. ასე, მაგალითად: ჩრდილოეთის ქვეყნების მცხოვრებთა დახასიათებისას მონტესკიე წერს: „უამსა საჭიროებისასა უმსხვერპლებენ ერთსა კერძოსა ქვეყანისათვისისასა, ოხერ ჰყოფენ საზღვართა თვისთა და შეიქმენ უდაბნოდ და ამის გამო შინაური სახელმწიფო მათი დაშთების მიუკარებელ“. დავით ბატონიშვილი შენიშნავს: „თუმცაღა ღონისძიება ესე იხმიეს რუსთა პირისპირ ფრანცუცთა წელსა ჩყიბ, გარნა ვერა დააყენა ამან მოწვა მოსკოვისა“ (ხეც, S-188ა, 250r).

ცალკეული ქვეყნების წეს-კანონების დახასიათებისას მონტესკიე წერს: „პეტრე პირველმან... ქმნა კეთილგონივრული წესდებულება... უკეთუ გლახთა რიცხვი შემცირდების, აძლევენ კვალად ეგეოდენსავე და უკეთუ განმრავლდების აღწერადმდე, არა გამოიღებენ გამოსაღებას“. დავითი ეკამათება მონტესკიეს: „უფალსა მონტესკუს არა სცოდნია, თუ ვითარი სახივი აძევსთ მუჟიკთა რუსეთსა შინა და ანუ ვითარი შეჭირება და ძალი ადგასთ და ამისთვის ჰსჯის ესრეთ“ (ხეც, S-188ბ, 139).

ხოლო როდესაც ავტორი ცივი კლიმატის მცხოვრებთა დახასიათებისას წერს: „და ესრეთ კაცნი ცივისა კლიმატისანი უმეტეს გულმწინდაობა, უმცირეს იჭენულობა, უმცირეს მზაკვრება და უმცირეს მცბიერობა“, მთარგმნელი შენიშნავს: „აქა სცდების ავტორი. არავინ არს ესრეთ შურის მგებელი, გულმანკიერ, იჭენულ, მზაკვარ, მცბიერ და უყვარულ, ვითარცა ცივისა ჰაერსა შინა მცხოვრებნი ანუ ჩრდილოელნი“ (ხეც, S-188ბ, 161r-v). მონტესკიეს მომდევნო შეხედულების – „...ხოლო მცხოვრებნი ცივთა ადგილთანი მამაც, ვითარცა ჭაბუკნი“- გამო დავით ბატონიშვილი წერს: „სცთები, უფალო მონტესკუ, იარანალ რტიშჩევი და კნორიგნი არიან მცხოვრებნი ცივისა კლიმატისანი და ბონაპარტე და მარშალ ნეი – ცხელისა კლიმატისა, ნუჟემ ზემონი სჯობდეს ქვემოთა ბიჭად ანუ სარდლად“ (ხეც, S-188ბ, 162r).

„გულისხმისყოფისათვის სჯულთასას“ ახლავს ასეთივე ხასიათის კიდევ რამდენიმე მთარგმნელისეული შენიშვნა, რომლებიც საყურადღებოა ერთი გარემოების გამო. როდესაც დავით ბატონიშვილი ნათარგმნ ტექსტზე მუშაობისას ურთავს შენიშვნასა თუ განმარტებას, ბოლოში ყოველთვის აწერს „დავით“ თავისებური ხელრთვით. თავდაპირველად, ასევე მოქცეულა ჩვენთვის საინტერესო შემთხვევებშიც, მაგრამ შემდეგ ნაუშლია საკუთარი ხელრთვა და შენიშვნის ტექსტშიც ჩაურთავს სიტყვები, როგორებიცაა „იტყვიან“, „რეცა“, რათა მკითხველს დარჩეს შთაბეჭდილება, თითქოს ეს შენიშვნები თხზულების ავტორს ეკუთვნოდეს და არა – მთარგმნელს. მიზანი ერთია: დავით ბატონიშვილს სურს, რომ ესა თუ ის შეხედულება მკითხველს მიანოდოს არა საკუთარი, არამედ უკვე აღიარებული აზრის სახით. სამაგალითოდ მოვიყვანთ ერთ ადგილს: თავდაპირველად შენიშვნა იყო ასეთი სახის: „ჩრდილოეთსა შინა ესრეთ არს სიმთვრალე განდიდებულ, რომელ არათუ მამაკაცი, არამედ დედანიცა

რაცრაცებენ მთვრალნი ქუჩათა შინა და ეგრეთმრავალნი მიხილავს მშვენიერად მორთულნიცა გორვიდიან ლაფთა შინა. დავით. "დავითისავე ჩამატებების შემდეგ კი ასე იკითხება: „ჩრდილოეთსა შინა, იტყვიან, ესრეთ არს სიმთვრალე განდიდებულ, რომელ არა თუ მამაკაცი, არამედ რეცა დედანიცა რაცრაცებენ მთვრალნი ქუჩათა შინა; ეგრეთ მრავალნი, იტყვიან, გვიხილავსო“ (ხეც, S-1888, 175v). ხელრთვა „დავით“ გადაშლილია. ასევეა ჩასწორებული შენიშვნები ხეც S-370-371 და ხეც, S-188 ა, ბ ნუსხებში, ხოლო მოგვიანო ხანის ხეც, H-1424 ნუსხაში კი უკვე საბოლოო სახითაა შეტანილი.

დავით ბატონიშვილის, როგორც მთარგმნელის ეს პატარა „ემშაკობა“ საინტერესოა იმის გამო, რომ საშუალება გვძლევს ნათლად დავინახოთ საკუთარი მიწიდან ძალად მოწყვეტილი ბატონიშვილის განწყობა და გაღიზიანება იმ ხალხისა და გარემოს მიმართ, სადაც მოუხდა სიცოცხლის მნიშვნელოვანი ნაწილის იძულებით გატარება.

აღნიშნული შენიშვნების გარდა, თარგმანის ტექსტს ახლავს უცხო სიტყვათა მთარგმნელისეული განმარტებები, რომელთაც ცალკე განვიხილავთ სხვა თარგმანებზე დართულ განმარტებებთან ერთად.

„გულისხმისყოფისათვის სჯულთასა“, როგორც აღვნიშნეთ, წარმოადგენს თხზულებას სხვადასხვა ქვეყნის წეს-ჩვეულებებისა და პოლიტიკური წყობის შესახებ. მის თარგმნას დავით ბატონიშვილი დიდი სერიოზულობით ეკიდება, ხელახლა კითხულობს თითოეულ ნათარგმნ მონაკვეთს და ასწორებს შინაარსობრივად თუ სტილისტურად. თარგმანი გასაგები და კარგი ქართულითაა შესრულებული და, დავითის სხვა თარგმანთაგან განსხვავებით, მძიმე სტილი არ ახასიათებს. თუმცა კი, მთარგმნელი მაინც ბოდიშს იხდის მკითხველის წინაშე: „მრავალი შრომა შემემთხვა, ვინაიდგან მთარგმნელთა არა სცოდნოდათ კარგათ ფრანციცული და რუსულზე ბრჯგუდ გადმოელოთ, რომელ ძნელად იყო მისახვედრი მრავალი აზრი. გარნა სიყვარულმან ძმისა ჩემისა თეიმურაზისამან სძლო შრომასა და გთხოვთ წარმკითხველთა არა ჰყოთ ოხუნჯობა... გარწმუნებთ წარმკითხველთ, აზრი არ არის დაკარგული და მშვენიერსიტყვაობას არ გამოვეძიე ამაღ, რომელ საჭიროდ არა ვრაცხე“ (ხეც, S-371, 463). მაგრამ, როგორც უკვე ვთქვით, მთარგმნელის შიში თითქმის უსაფუძვლოა; თუმცა კი, ისიც გასათვალისწინებელია, რომ რადგან თარგმანს აკლია იმ დროისათვის მიღებული სტილის სიმძიმე („მშვენიერსიტყვაობა“), შესაძლოა, სწორედ ეს ჩათვლილიყო მაშინდელი მკითხველის თვალში ნაკლად.

დავით ბატონიშვილი არც ამ შემთხვევაში ირჩევს უსაფუძვლოდ სათარგმნ მასალას და ამის შესახებ თვითონვე მიგვითითებს: „... აზრი ესე და ამგვარნი პოლტიკანი ქართველთათვის ახალი გასაგონია და ვსასოებ არა გაეგონოს... და ვსთხოვ წარმკითხველთა, ყურადღებით წარიკითხოთ წერილი ესე. მერწმუნეთ, მრავალს ცნობას მოგცემს“ (ხეც, S-371, 463). ამგვარად, „გულისხმისყოფისათვის სჯულთასას“ ბატონიშვილისეული თარგმანი კიდევ ერთი მნიშვნელო-

ვანი ნაშრომია იმდროინდელი ქართული მნივნიანობის ევროპული ნაშრომით გამდიდრების თვალსაზრისით.

დავით ბატონიშვილსავე ეკუთვნის მე-18 საუკუნის ფრანგი მოაზროვნის, ჟან-პიერ-ფრედერიკ ანსილონის თხზულების – „ესთეტიკებრნი განსჯანის“ – ქართული თარგმანი. თარგმანი შესრულებულია რუსულიდან, რაზედაც მითითებულია ხელნაწერი ნუსხის, ხეც, H-2181 თავფურცელზე: „ქმნილი უფლისა ანსილონის მიერ, რომელიცა სთარგმნა ფრანციცულით რუსულად რეზანის არხიეპისკოპოსმან თეოფილაქტე, ხოლო რუსულით ქართულად – ლენერალ-ლეიტენანტმა და სენატორმან დავით“ (ხეც, H-1).

„ესთეტიკებრნი განსჯანი“ ნარმოადგენს ფილოსოფიურ მსჯელობას ხელოვნების როლსა და დანიშნულებაზე. ნაწარმოები საკმაოდ დიდტანიანია და ფრიად შრომატევადი სამუშაოა ჩატარებული დავით ბატონიშვილის მიერ. „ესთეტიკებრნი განსჯანის“ ერთგვარ გაგრძელებას წარმოადგენს „პაექრობა ანუ ბაასი უფლისა თეოფილაქტე ექსარხოსისა და არქიერისა ფილარეტისა რაოდენთამე შენიშნათა ზედა უფლისა ანსილონისა აღნაქესსა შინათა“. ეს გაგრძელება წარმოადგენს კამათს თეოფილაქტე რუსანოვსა და არქიერ ფილარეტს შორის „ესთეტიკებრნი განსჯანის“ ცალკეულ კონცეფციათა შესახებ. როგორც ჩანს, დავით ბატონიშვილს ცალ-ცალკე უთარგმნია და გამოუგზავნია საქართველოში ეს ორი თხზულება. ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ არსებულ ნუსხათა შორის ადრეული ნუსხები, H-2181 და H-2254, წარმოადგენენ ცალკე „ესთეტიკებრნი განსჯასა“ და ცალკე „პაექრობას“. შემდგომში კი, უკვე საქართველოში, გადამწერს ეს ორი თხზულება ერთად მოუთავსებია; ასეთი სახისაა ხელნაწერი H-198.

ყველაზე ადრეული არსებულ ნუსხათა შორის, როგორც აღვნიშნეთ, უნდა იყოს ხელნაწერი H-2181. ამ ვარაუდის საფუძველს გვაძლევს ის ფაქტი, რომ ეს ნუსხა წარმოადგენს უშუალოდ დავით ბატონიშვილის ავტოგრაფს და H-2254 ნუსხაშიც სათაური და მინაწერი ბოლოში, ცალკეული შენიშვნები თუ შესწორებები შეტანილია დავითისავე ხელით. H-2181 ნუსხა შესრულებულია 1815 წელს (153 v); ქრონოლოგიურად მას მოსდევს H-198 ნუსხის პირველი ნაწილი ანუ „ესთეტიკებრნი განსჯანი“, რომელიც შესრულებულია 1819 წელს (97v). ამავე წელს დაუსრულებიათ A-278 ნუსხა (105 v). რაც შეეხება H-201 ნუსხას, ის დასრულებული არაა და წყდება მეოთხე განსჯის შუაში.

პეტერბურგის ცენტრალური არქივის იოანე ბატონიშვილის ფონდში (№ 64-74) დაცულია დავით ბატონიშვილის ორი წერილი, საიდანაც ირკვევა, რომ დავითს „ესთეტიკებრნი განსჯანი“ გამოუგზავნია როგორც ეგნატე იოსელიანისათვის, ასევე, დავით რექტორისთვისაც: „ეგნატი, ... ანსილონ გარდავანერინე და გიგზავნი ფეშქაშათ და უნდა გარდამიწერო და თხზვაც გამისწორო“. და მეორე, წერილი მდივან მანუჩარ თუმანიშვილისადმი: „... რექტორი მომიკითხეთ. ანსილონი და მონტესკიე მოუვიდა თუ არა“. სავარაუდოდ, H-198 და H-201 ნუსხები უნდა იყოს გადანერილი იმ ხელნაწერიდან, რომელიც ბატონიშვილს დავით რექტორისთვის გამოუგზავნია, რადგან ორივე ნუსხას წინ

უძღვის ბატონიშვილის მიძღვნა თავისი გამზრდელისადმი: „ჩემო საყვარელ მეგობარო და ლალავ, უფალო რექტორო დავით, ძეო ალექსიევო... იგი („ესთ. განსჯ.“ ე. წ.) მაღალი და უზესთაესი გვარი მეტაფისიკებრთა და ესტიტიკებრთა გამოკვლევათა ბუნებითასა, უკანასკნელი იგი არს უზვი წყარო პოეზიისა და შვენიერ-სიტყვაობისა, სადაცა ქართველნი აშკინი შაირობათანი შეემეცნებინ პოეზიასა და პოემასა ამა უმაღლესსა გარდამოცემასა ყოველთა სხოლათა შინა ევროპისათა შემდგომად მოსმენისა ფილოსოფიისა და შვენიერ სიტყვაობისა შეამეცნებენ მოწაფეთა. მოილე, ლალო ჩემო, შრომა ესე გაზრდილისა შენისა ნიშნათ სიყვარულისა ჩემისა თქვენდამო“ (ხეც, H-198, 2r).

„პაექრობის“ უპირველესი ნუსხა, როგორც აღვნიშნეთ, უნდა იყოს H-2254, რომელზედაც უშუალოდ უმუშავია დავით ბატონიშვილს. ეს ნუსხა უთარილოა, ხოლო H-198 და Q-766 ნუსხების შესრულების ადგილი და დრო – მეჯვრისხევი, 1819 წლის 14 ივნისი (ხეც, H-198, 96v, ხეც, Q-766, 13v) – ერთმანეთს ემთხვევა, გადამწერის ხელი კი სხვადასხვაა. ამასთანავე, Q-766 მხოლოდ „პაექრობას“ წარმოადგენს, ხოლო H-199 ნუსხაში „პაექრობა“ ერთვის „ესთეტიკებრ განსჯას“, როგორც მისი გაგრძელება. დავით ბატონიშვილი წერს: „სრულ ვჰყავ ყოველივე და ესეცა ვსთარგმნე თანა შესატყვისად ანსილიონისა და გთხოვ ივანე ერისთავსაც გარდაწერინო“ (ხეც, H-2254, 47r). ეს მინაწერი საინტერესოა კიდევ ერთი გარემოების გამო: როგორც ჩანს, ბატონიშვილის თხოვნის თანახმად, ივანე ერისთავის დავალებით, კიდევ გადაუწერიათ აღნიშნული თხზულება. ამ ვარაუდის საბაზს ვგაძლევს Q-766 ნუსხის ერთ-ერთი მინაწერი (14r) : „მოწყალო ხელმწიფევი გრიგოლ ზურაბის ძეო, მოგართვი კრიტიკა ანტიკრიტიკითურთ ერთად შეთხზული..., უამსა მას შინა მეცა მომიგონებთ, თქვენს მონას ივანე ერისთავს“.

როგორც აღვნიშნეთ, დავით ბატონიშვილს ანსილიონის თხზულება გადათარგმნისთანავე გამოუგზავნია ეგნატე იოსელიანისა და დავით რექტორისათვის. მაგრამ ბატონიშვილი ამით არ წყვეტს თარგმანზე მუშაობას, ასწორებს ადგილებს და აზუსტებს თარგმანს. ამ შესწორებების შესახებ ეგნატე იოსელიანს სწერს და სთხოვს ტექსტში შეიტანოს სათანადო ცვლილებები, კერძოდ: მეხუთე განსჯის ანუ მეხუთე ნაწილის ერთ-ერთ ნაწილს აზუსტებს შინაარსობრივი თვალსაზრისით; H-2181 დავითისეულ ნუსხაში ეს ადგილი ასე იკითხება: „...გინა თუ ოდენ მსგავსებდნენ დანტისისა ბეატრიქსასა, ლუარასა, უკვდავსა საყვარელსა პეტრარხისასა, ბრადმანტასა, იზაბელასა, და ალეინასა არიოსტისასა, ლერმანიკასა და კლორინდასა, ტასისასა“ (გვ. 208). A-278 ნუსხაში კი ეს ადგილი უკვე შესწორებულია მთარგმნელის მითითებისამებრ: „...გინა თუ ოდენ მსგავსებდნენ დანტისისა ბეატრიქსასა და ლუარასა უკვდავსა სასაყვარლოსა წარმოდგენასა. ხოლო პეტრარხისა ბრადმანტასა. იზაბელასა და ალეინასა არიოსტისა, ლერმონიასა და კლარინდას და აგრეთვე ტასისისა“ (ხეც, A278-110).

პირველი ნაწილის („განსჯა ცნობისათვის და გულისხმისყოფისა დაუსრულებელისა“) ერთ-ერთ ადგილს, რომელიც ბატონიშვილისეულ ნუსხაში (ხეც,

H-2181) ასე იკითხება: „მომაცოუნებელი ესე ხატი არა რაიმესა მეტყველი გონებისათვის“ (გვ.9), დავითი ასე ცვლის: „მომაცოუნებელი ესე ხატი არა რაიმესა მეტყველი გამოხატვისათვის“. ასეთივე სახითაა შეტანილი ეს შესწორება A-278 ნუსხაში (გვ.4). ამავე ნაწილში დავით ბატონიშვილი კიდევ ერთ ადგილს აზუსტებს; ნაცვლად „რაიცა ამა ხილულსა სოფელსა ქვეშე დაიფარვის და რომელ მეორე ყოვლითურთ არს განსხვავებულ პირველისგან“ (ხეც, H2181- 13), A-278 ნუსხაში უკვე შესწორებულია მთარგმნელის მითითებისამებრ: „რაიცა ამა ხილულსა სოფელსა ქვეშე დაიფარვის, სხვა იგი ხილულისაგან ყოვლითურთ არს განსხვავებულ“ (გვ. 6). ყველა ზემოჩამოთვლილი შესწორება გათვალისწინებულია მხოლოდ A-278 ნუსხაში. სავარაუდოდ, A-278 უნდა იყოს გადანერილი სწორედ იმ ნუსხიდან, რომელიც დავით ბატონიშვილმა ეგ. იოსელიანს გამოუგზავნა. შესწორებებიც შეტანილი უნდა იყოს ამ უკანასკნელის მითითებით, დავითის თხოვნის თანახმად.

დავით ბატონიშვილის ტექსტზე მუშაობის პრინციპების ნათლად წარმოსადგენად საინტერესოა ერთი შენიშვნა. როგორც ვთქვით, „პაექრობა“ წარმოადგენს კამათს „ესთეტიკებრნი განსჯანის“ ცალკეულ მოსაზრებათა გამო. ჩვენთვის საინტერესო შემთხვევაშიც კრიტიკოსი ანუ არქიელი ფილარეტი ეკამათება ავტორს ანუ ეგზარხოს თეოფილაქტეს „ესთეტიკებრნი განსჯანის“ ერთ-ერთი ადგილის თარგმანის მართებულობის გამო. დავით ბატონიშვილი ბრმად არ მიჰყვება ტექსტს და, თავის მხრივ, ურთავს მეტად საინტერესო შენიშვნას ფრანგული ენის ბუნებიდან გამომდინარე. იგი წერს: „აქა არს ცილობა თარგმანებასა ზედა. ხოლო ვინათგან ენა ფრანცუსთა არს მოკლე, ამისთვის რომელთამე ლექსთა მის შორის აქვთ მრავალმნიშვნელობა, ვითარცა ლექსთა მაჯამისათა. ლექსი უკვე ესე, რომელ არს სერვის, ჰნიშნავს მსახურებასაცა და სროლასაცა ჟამსა მოხსენებისა ზარბაზნისასა, რომელიცა კრიტიკოსს უხმევია ძვირის ყოფასა შინა და განუმარტავს ყოვლითურთ ნინააღმდგომ მნიშვნელობისა მისისა, ვითარცა აქვს მას აღნაქესსა შინა“ (ხეც, Q-766, 4v). ეს შენიშვნა იმითაცაა საინტერესო, რომ ერთხელ კიდევ გვიდასტურებს დავითის მიერ ფრანგული ენის ცოდნას.

დავით ბატონიშვილი, როგორც აღვნიშნეთ, სავსებით გამიზნულად ირჩევს სათარგმნ ლიტერატურას. „ესთეტიკებრნი განსჯანის“ თარგმნის მიზანიც, ისევე, როგორც ბევრ სხვა შემთხვევაში, ერთია – ევროპული ნააზრევის შემოტანა საქართველოში. დავითის თითქმის ყველა თარგმანს ახლავს მთარგმნელისეული შეფასება სათარგმნი თხზულებისა; ასეა ამ შემთხვევაშიც. დავით ბატონიშვილი ზემოაღნიშნულ მიმართვაში დავით რექტორისადმი ამბობს: „...ხოლო და რაცა თვის ეყვის შევნიერსა ამა ქმნილებასა უფლისა ანსილიონისასა, იგი არს საკუთარი საგანი მოცალეობასა დიდთა და სწავლულთა კაცთასა; იგი არს მაღალი და უზესთაესი გვარი მეტაფისიკებრთა და ესტეტიკებრთა გამოკვლევათა ბუნებისათა; და უკანასკნელი იგი არს უზვი წყარო პოეზიისა და შევნიერსიტყვაობისა, სადაცა ქართველნი აშიენი შაირობითნი შეემეცნებიან პოეზიასა

და პოემასა ამა უმაღლესსა გარდამოცემასა ყოველთა სხოლათა შინა ევროპისა  
 სათა შემდგომად მოსმენისა ფილოსოფიისა და შვენიერსიტყვაობისა შეამეცნე-  
 ბენ მონაფეთა“ (ხეც, H-198, 2r).

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ჟან პიერ ფრედერიკ ანსილიონი დავით ბა-  
 ტონიშვილის თანამედროვეა. როგორც H-198 ნუსხის ერთი მინაწერი გვამც-  
 ნობს, „უფალი ანსილიონი სცხოვრებდა 1833 წელში“ ასე, რომ „ესთეკიბერნი  
 განსჯანის“ თარგმნას რუსულ ენაზე (1814წ.). უშუალოდ მოსდევს დავით ბა-  
 ტონიშვილისეული თარგმანი რუსულიდან ქართულ ენაზე, როგორც თარგმანი  
 ერთ-ერთი უახლესი ევროპული ნააზრევისა. დავითისავე სიტყვით: „სრულ იქმნა  
 წიგნი ესე... რომელსაცა... ყოვლისა ფილოსოფიისა და სხვათა გვართა მშვენიერ  
 სიტყვაობისათა მონაფეთა საზოგადოდ ევროპის სხოლათა შინა შეამეცნებენ და  
 რომელიცა უჩვენებს თეორიასა და კანონთა უპირატესთა ხელოვნებათა ბუნებ-  
 ისათა“ (ხეც, H-2181, 153r-v).

H-2181 ნუსხა საინტერესო მასალას გვანვდის დავით ბატონიშვილის სალიტ-  
 ერატურო ენასთან დამოკიდებულების თვალსაზრისით. დავითი წერს: „...თუმ-  
 ცალა ამას შინა არიან რაოდენნიმე ლექსნი მდაბიონი ხმარებულ, რომელიცა  
 მდაბიოდ შერაცხილ არიან კათოლიკოსის ანტონი პირველის მიერ და მიმბაძ-  
 ველთა მისთაგან..., გარნა მე განკვირებულ ვარ ამას ზედა, რომელ მეცნიერსა  
 მას გვამსა რასათვის შეურაცხიეს ლექსნი ესე მდაბიოდ და დატევებითა მათი-  
 თა განუგლახაკებიეს ენა ქართველთა... არა უხმს ენასა ჩვენსა განწრფელეზა“  
 (153r-v).

„ესთეტიკებრნი განსჯანის“ დავით ბატონიშვილისეულ თარგმანს ახლავს  
 დიდი რაოდენობით უცხო სიტყვათა მთარგმნელისეული განმარტებები. ასეთი  
 სახის სალექსიკონო მასალა, როგორც არაერთგზის აღვნიშნეთ, გვხვდება და-  
 ვითის ყველა თარგმნაში. ეს მასალა მნიშვნელოვნად ამდიდრებს ბატონიშვილის  
 ლექსიკოგრაფიულ ნამუშევარს.

მკვლევართაგან დავით ბატონიშვილის ლექსიკოგრაფიული მუშაობით დაინ-  
 ტერესდა ლ.ქუთათელაძე. როგორც ის აღნიშნავს, დავით ბაგრატიონი ქართველ  
 მოლავანთა შორის პირველთაგანია, რომელიც აგრძელებს საბას უკვდავ საქმეს  
 (ქუთათელაძე 1967: 13). როგორც მკვლევარი აღნიშნავს, დავით ბატონიშვილს  
 სალექსიკონო მუშაობა ადრევე დაუწყია. საბას ლექსიკონში (ხეც, H-1736) ჩამა-  
 ტებების სახით შეუტანია განმარტებანი. შემდეგ კი ეს მუშაობა პეტერბურგში  
 ყოფნის დროსაც გაუგრძელებია (ცსსა, 1446 - 106).

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში დავითის მიერ შეტანილი მასალის  
 განხილვისას დადგინდა, რომ ბატონიშვილს საბასეული ნუსხა საკუთარი თარგ-  
 მანებიდან აღებული რამდენიმე სალექსიკონო ერთეულით შეუვსია (აკორდი,  
 ანარხია, ავსპიცი, დრამატული პოეზია, ელემენტი, ეპიზოდი, ენერგია, ენტუ-  
 ზიანში, ეპოპეა, ემბლემა, კამერა, ღირა, ლანდშაფტი, მონადი, მელოდია, მნას,  
 ორდენი, პლასტიკა, პოლარის ვარსკვლავი, პორტიკი, როლი, სტერლინგი, ტა-  
 ლანტი, ტროპა, ღრუპა, ხარაკტერი). განმარტებათა საკმაოდ დიდი ნაწილი კი,

რომელთაც დავით ბატონიშვილი ურთავს თავის თარგმანებს, დღემდე ცალკე-ცალკე თავმოყრილი არსად გვხვდება, ამდენად, ჩვენთვის მეტად საინტერესოა ეს მასალა დავით ბატონიშვილის ლექსიკოგრაფიული მუშაობის სრული სურათის აღსადგენად.

დავით ბატონიშვილი აგრძელებს ქართულ ლექსიკოგრაფიულ პრინციპებს. მისი განმარტებები თითქმის ყოველთვის ამომწურავ მასალას იძლევა ამა თუ იმ სალექსიკონო ერთეულის განხილვისას. დავითს შესაბამისი მაგალითებიც მოჰყავს მეტი კონკრეტულობისათვის; მაგალითად, „ლენის“ განმარტებისას დასძენს: „მაგალითად: ლენია ტფილისისა, გორისა, თელავისა და სხვათა“. იქვე მიუთითებს ამ სიტყვის სხვა მნიშვნელობასაც კონტექსტის გათვალისწინებით: „გარნა აქა ნიშნავს აღმატებულსა სულსა ხელოვანისასა. კვალად ეწოდების სრულებასა გონებისასა“.

დავით ბატონიშვილის განმარტებათა დიდი უმრავლესობა ისეთივე შინაარსისაა, როგორითაც დღეს გვხვდება. თუმცა, არის შემთხვევები, როდესაც ამა თუ იმ სიტყვას სხვა მნიშვნელობა აქვს შექმნილი; ასეთია, მაგალითად, „ნაციის“ დავითისეული განმარტება: „ფრანციცულისა ენითა ეწოდებისთ ერთა ქვეყანისათა, გინა ნათესავთა. მაგალითად, ნაცია ქართლისა, ნაცია კახეთისა, ნაცია იმერეთისა“ (ხეც, H-2181, 29r). არის შემთხვევები, როდესაც ამა თუ იმ სიტყვის განმარტება საბასთან უკვე გვაქვს, მაგრამ დავით ბატონიშვილი მის განსხვავებულ მნიშვნელობასაც გვანვდის. მაგალითად, „ზნეობას“ სულხან-საბა მხოლოდ „ზნეების ანუ ჩვეულებათა“ მნიშვნელობით განმარტავს, დავითი კი ამ სიტყვის განსხვავებულ მნიშვნელობაზეც მიგვითითებს: „ზნეობითსა სოფელსა ახალნი უწოდებენ ყოველსა მას, რაცა თვის ეყვის ყოფაქცევასა და მოქმედებასა კაცთასა და რაცა თვის ეყვის გონებასა კაცობრივსა; მაგალითად, რაცა იმოქმედების და განისჯების გონებითა კაცისათა“ (ხეც, H-2181, 20v).

სრულად უცხო სიტყვათა განმარტებების სალექსიკონო მასალა კი ასეთი სახისაა:

#### **ათვისტნი**

უმლთოთა ეწოდების. ესენი ამტკიცებენ, რეცა სოფელსა ეწარმოოს თავით თვისით.

#### **არიოპაგად**

ინოდებოდა ათინასა შინა უპირველესი რჩევა გინა სენატი (ხეც, S-370, ფ. 194).

#### **არხიოლოდ**

ელინური ლექსი არს. ჰნიშნავს დასაბამსიტყვაობასა (ხეც, H-2254, 37v).

**აქცია**

არს ლექსი ლათინური. ესე ნიშნავს თეთრსა დადებულსა საამხანაგოსა ვაჭართაგან. ამით მოიყიდვენ და განსჰყიდვენ საქონელსა და ზიარი და სარგებელი არს საამხანაგოდ (ხეც, S-371, ფ. 282).

**ბელვერდელ**

ლათინურად ენოდების ჩარდახსა. მუნ იდგა ანდრიანტი აპოლონისა და ამა მიზეზითა ენოდების რეცა ჩარდახელი აპოლონი, ესე იგი ჩარდახსა მდგომი (ხეც, H-2181, 56r).

**გრაკხნი**

იყვნენ ძენი სემპრონიოს გრაკხნისა და ასულის ნულნი სციპიონისა, აფრიკელად ნოდებულისანი, რომელთაცა ენოდებოდათ ტიბერიოს და კაიოს. იხილე რომისა ისტორია (ხეც, S-370, ფ. 462).

**გურგარიანნი**

შინდოთა ხელმწიფეთა შთამომავლობასა ენოდების (ხეც, H-2310, 110r).

**დარალმაზი**

ენოდების გილანისა და ასტარაბადისა კერძოსა (ხეც, H-2310, 9v).

**ედილი**

ედილი მართევდენ თანამდებობასა ვითარცა ან პოლიცემისტერი, ანუ ნაცვალნი. სახელო რომსა შინა, რომლისა თანამდებობა იყო ქვრეტა საზოგადოთა შენებულებათა და ქუჩათა (ხეც, S-370, ფ. 388).

**ეფორნი**

იყვნენ მსაჯულნი გამორჩეულნი ლაკედემონიასა შინა, რომელნიცა განწესებულ იყვნეს ალვირსხმისათვის თვითნებობისა მეფეთასა, ჩინებულთა გვართასა და ერთასა. ხოლო უკანასკნელ შეიქმნენ იგინი გამომეძიებლად ყოველთა სამოქალაქოთა და სამსჯავროთა საქმეთა (ხეც, S-370, ფ. 210).

**ეპიკურელთა**

ფილოსოფოსთა სექტისა სწავლა შედგებოდა მას შინა, რათამცა ყოველთა მოებობინათ ყოვლითურთ კმაყოფილება განცხრომისა. იგინი დაამტკიცებდნენ, ვითარმედ თვით ღმერთნიცა ამისთვის არიანო მოცალე და სხვისა არარასთვისმე (ხეც, H-2181, 63v).

**ეპიფან**

ბერძულად უგანცხადებულესსა და კუალად უწარჩინებულესსა ენოდების (ხეც, H-2169, 10v).

**ეშაფოთი**

ენოდების ამაღლებულსა ტახტსა, მსგავსად ანბიონისსა, სადაცა აღიყვანენ დამნაშავეთა მას ზედა და დასჯიან სახილველად ერთათვის (ხეც, S-371, ფ. 172).

### **ზნეობისა**

სოფელსა ახალნი უწოდებენ ყოველსა მას, რაცა თვის ეყვის ყოფაქცევა-სა და მოქმედებასა კაცთასა და რაცა თვის ეყვის გონებასა კაცობრივსა. მაგალითად, რაცა იმოქმედების და განისჯების გონებითა კაცისათა (ხეც, H-2181, 20v).

### **თეოგენია**

არს ლექსი ელინური; ხოლო ესე ნიშნავს ნათესავთმეტყველებასა ღმერთთასა ანუ შობილებასა (ხეც H-2254, 30v).

### **თეორია**

ელინურად ხედვისთა ცნობასა გინა მეცნიერებასა ეწოდების (ხეც, H-2181, 55r).

### **ილოტნი**

ეწოდებოდნენ მხოლოდ ლაკედემონიასა შინა დამონებულთა მათგან მეზობელთა, რომელთაგანცა გამოიყვანდნენ მსახურად. და უმეტეს მიენერებოდა ერსა მესინელთასა, რომელიცა ლაკედემონელთა დაიპყრეს და ვიეთნიმე გარდაასახლეს ადგილთა თვისთა, ხოლო მონანი ესე იყვნენ მათგან დიდსა შემჭირვებასა და ტანჯვასა ქვეშე (ხეც, S 371, გვ. 245).

### **კაპიტოლია**

იყო ტაძარი იუპიტერისა, სადაცა აღესრულებოდნენ ყოველნი დღესასწაულობანი და დამტკიცდებოდნენ ყოველნი წესდებულებანი რესპუბლიკისანი, სადაცა იყო შენებულება ესევითარი, რომელიცა მსახურებდა მათ ციხედაცა (ხეც, S: 371, ფ.129).

### **კვესტორი**

იყო რომსა შინა მოხელე და ესე იყო საზოგადო ერისა მოლარე და ამისი თანამდებობა იყო მესტუმრობა გინა მემანდრობაცა (ხეც, S-371, ფ. 121).

### **კომიკებრი**

წარმოდგენა თიატრსა შინა ეწოდების სამასხარაოსა ანუ გასაკიცხელსა (ხეც, H-2181, 107r).

### **კოსმნი**

იყვნენ მმართველნი გამორჩეულნი კრიტელთა მიერ მდაბიოთა შედგმულებათაგან განმგედ. და ამა კოსმთაგან გამოირჩეოდიან სენატორნიცა (ხეც, S-371, ფ. 82).

### **კოსმოგენია**

არს ლექსი ელინური, ხოლო ესე ნიშნავს სისტემასა სოფლისა შექმნისათვის (ხეც, H-2254, 31r).

**კრიტიკა**

ჰქვიან ოხუნჯობას ანუ აგდებას, რომელ გაუქექო და გამოეძიო წერილნი და აგდება რამე ჩაუნწერო... ვგონებ, კილვა იყოს (ხეც, H-2169, 13r).

**ლეგეონი**

ენოდებოდა პოლკსა გინა გუნდსა ერთსა შედგმულსა სამიათასთაგან კაცთა გინა ექესი ათასთაგან (ხეც, S-371, ფ. 37).

**ლოგისტნი**

ათინასა შინა იყვნენ ესევეთარნი მოხელენი, რომელნიცა მოსთხოვდიან ანგარიშსა მათგან, ვისცა ხელთა შინა ექმნებოდის ხაზინისა თეთრნი (ხეც, S-370, ფ. 211).

**მანდარინი**

არს ღირსებისა წოდება და ანუ ტიტული სახელოსა კიტაიასა შინა. ხოლო ესე არს ლექსი პოროთოგალიული, ესე განყოფილ არს მრავალ კლასად (ხეც, S-371, ფ. 312).

**მედიცის**

გვარი იყო მმართველი ფლორენციისა (ხეც, H: 198, 35r).

**მელანხოლია**

ესე იგი მოწყინება, დაღვრემილება, ფიქრში დაღრმობა, სევდიანობა, ძილის გაკრთობა და ესევეთარნი (ხეც, H-218, 151r).

**მემარბაში**

ესე იგი არხიდექტორთ უზუცესი (ხეც, H-2310, 140v).

**ნადირ**

არს ენა არაბთა, ჩვენსა ენასა ზედა ეწოდების უებროდ (ხეც, H-2310, 26v).

**ნაცია**

ფრანციცულის ენითა ეწოდებისთ ერთა ქვეყანისათა, გინა ნათესავთა. მაგ.: ნაცია ქართლისა, ნაცია კახეთისა, ნაცია იმერეთისა; და ესრეთ სხვანიცა იგულისხმე (ხეც, H-2181, 29r).

**ოპერა**

შედგების გამოხატვასა შინა დიდმშენიერებასა და საკვირველებისასა.

**პანტიესტნი**

იყვნენ ფილოსოფოსნი, რომელთაცა სწამდათ მიზეზი მხოლოდ ერთი და რომელნიცა არა განასხვავებდნენ ღმერთსა ნივთთა დასაბამთაგან და იტყოდნენ და ანუ უმჯობეს თქმად შერაცხდნენ იგინი ღმერთსა დასაბამთა თანა ნივთთასა (ხეც, H-2181, 2v).

### პანტოონი

იყო ბომონი, რომელსაცა შინა დიდმშენიერი და დიდადშენებული ჯამსა იმპერატორთასა, სადაცა რომაელთა დაპყრობილთა ერთა ღმერთნი იცვე-ბოდნენ და დღესაცა არიან განუხრწნელ (ხეც, H-2181, 56r).

### პატრიკი

წოდება არს. ვითარიმე აზნაურება, რომელთაცა აქვნდათ შთამომავლობა-თა რომულოსისა სენატორთაგან, ვითარცა ჩვენში აზონისაგან აზნაურება (ხეც, S-370, ფ. 464).

### პოლუს

ლექსი არს ბერძული, ხოლო ესე ეწოდების ორსა დასასრულსა ღერ-ძისასა, რომლისა გარშემო შარი მიწისა გინა სფერა ოცდაოთხ საათში ერთგზის გარდატრიალდების; ხოლო ერთსა მათგანსა ეწოდების პოლუსი ჩრდილოეთისა და მეორესა – პოლუსი სამხრისა; და ორთავე თანასწორი აქეთ განშორებულება ეკვატორისაგან (ხეც, S-371, ფ. 316).

### პრესპექტივი

არს ლექსი ფრანციული. ესე ნიშნავს ხელოვნებასა გამოხატველს საგან-თასა ვითარსამე სწორესა სიბრტყესა ზედა, რომელნიცა გვეჩვენებთან ჩვენ ერთი მეორისა მდგომარედ უშორეს შემდგომთა სახითა; გარნა ოდესმე სიტყვა ესე მიიღების მეტაფორად და მუნ ალყვანებად (ხეც, H-2181, 152v).

### პრეტორნი

ჰნიშვნენ მსაჯულთა ქალაქისათა (ხეც, S-370, ფ. 303).

### პრობლემა

არს წინაჩამოგდება ესევეითარი, რომლისაცა შესაძლო არს დამტკიცებაცა და დარღვევაცა და კვალად კითხვაცა მიზეზთა უცნობთა ნივთთასა (ხეც, H-2181, ფ. 2).

### პროზა

ლათინურად ეწოდების ყოველსა მას თხზულებასა, რომელიცა ლექსად და შაირად არა არს (ხეც, H-2181, 70r).

### პსიხოლოღია

არს ლექსი ელინური, ფსიხი ეწოდების სულსა და ლოლოს – სიტყვასა, ესე იგი არს სულისა სიტყვაობა (ხეც, H-2181, 18v).

### რიგვანი

სპარსულათ უპირველეს მართებელს ეწოდების ადგილსა, რომელსაცა არს განწესებული ხელმწიფეთაგან შესაბამათ პატივისაცა (ხეც, H-2104, 74r).

### სარტყელი

ქვეყანისა შარსა ზედა იპოების სარტყელი ხუთი: ერთი ცხელი – ეკვატორ-სა ქვეშე, ორი ზომიერი – აქით და იქით ეკვატორისა და ორი ცივი – თავსა და ბოლოსა პოლუსისა (ხეც, S-371, ფ. 446).

### სატირა

არს ლექსი ბერძული. ესე ნიშნავს ლექსითა და ანუ პროზათა თავსიცილსა ანუ ასაგდებსა რასამე შეთხზვასა (ხეც, S-370, ფ. 98).

### სეიმი

ენოდების თვითოეულთა განთვისებულთა სამპყრობელთა და სამეფოთა-გან აღრჩეულთა დეპუტატად მოლაპარაკებისათვის საქვეყნოთა საქმეთასა (ხეც, S-371, ფ. 70).

### სისტემა

ელინურად ენოდების მოკიდულებასა შვენიერსა გინა უშვერსა სხეულთა გინა ჰაზრთასა (ხეც, H-2181, 55r).

### სოფისტნი

იყვნენ ამაო ფილოსოფოსნი, რომელთაცა ყოველი ფილოსოფია შედგებოდა, რათამცა ეყბედათ მათ ამაოთა საგანათავის (ხეც, S-370, ფ. 119).

### სცენა

არს ლექსი ელინური, რომელიცა ენოდების ადგილსა თეატრსა შინა. ადგილსა მას, სადაცა მოქმედებათა წარმოადგენენ აკტიორნი (ხეც, H-2181, 9r).

### ტირანი

არს ლექსი ბერძული. უფროსი; ერთმეფედ გაიგონე ამად, რომელ უამსა მას ძველნი ბერძენნი მეფეთა ტირანად უწოდებდნენ (ხეც, S-371, ფ. 211).

### ტრალიკა

ელინურად ენოდების სამწუხაროსა წარმოდგინებასა (ხეც, H-2181, 107r).

### ტრალიური

შედგების გამოხატვასა შინა სამწუხაროსა და საშიშარსა (ხეც, H-2181, 107v).

### ტრიბუნნი

ენოდებოდა მოხელეთა რომსა შინა, რომელნიცა დასცევდენ სამართალთა ერთასა პირისპირ პატრიკთა (ხეც, S-371, ფ. 75).

### ტრიუმფი

ენოდების სადღესასწაულოთა შემოსვლათა მძლეველთასა (ხეც, S-371, ფ. 135).

### **ფანტაზი**

არს ლექსი ელინური. ხოლო ესე ენოდების ოცნებითა წარმოდგინებათა გინდა გამოხატვათა გონებისათა (ხეც, H-2181, 87v).

### **ფეტიშ**

არს ლმერთი აფრიკისა ნეგრთა, ხოლო ნეგრნი ესე არიან შავნი არაბნი (ხეც, H-2181, 15v).

### **ფიზიკური**

სოფელი ენოდების ნივთთა და მოქმედებათა მათთა.

### **ფრინესა ანუ ფრინა**

იყო ქალი მშვენიერი, გარნა როსკიპი ძველთა ბერძენთა შორის და საყვარელი პრაქსიტელისა სკულპტორისა; ხოლო **ლაისა** – ქალი სიცილიელი და ესეცა როსკიპი, რომელსა ეტრფო დიმოსთენ; და **სპასია** – მილიტიელი, იონიასა შინა ქალი მშვენიერი და სწავლული, გარნა როსკიპი, სადაცა სოკრატ დავლიდა სწავლისათვის სკოლასა მისსა, რომელსაცა პერიკლოს ეტრფო, დაუტევა ცოლი თვისი და იქორწინა მას ზედა (ხეც, H: 2181, 100v).

### **ქურური**

არს ჰინდოთა თეთრის წონა ანუ სათვალავი, მაგალითად, ვითარცა მანეთი გინა აბაზი გინა თუმანი; ხოლო ერთი ქურური შეადგენს ასსა ლაქსა, ხოლო თვითოეულსა ლაქსა შინა ასი ათასი რუფა ხოლო რუფა ენოდების ჰინდოურსა მანეთსა, რომლისა ფასი არს ათი შაური ჩვენი თეთრი, გარნა ორსა ქურურსა შინა იპოების ათი მილიონი რუბლისა, გინა ზუთისა აბასისა. (ხეც, H-2310, 114v – 115r).

### **ლენია**

ენოდების სულსა მყვანებელსა და დამცველსა კაცისასა და ყოვლადთა ერთასა, კვალად უსულოთაცა ზედა რეცა დაპატრონებულთა. მაგალ.; ლენია ტფილისისა, გორისა, თელავისა და სხვათა. გარნა აქა ნიშნავს აღმატებულსა სულსა ხელოვანისასა; კუალად ენოდების სრულებასა გონებისასა (ხეც, H-2181, 21r).

### **ლიპოტეზმა**

ელინურად ნიშნავს ჯერჩინებითა დადებულებასა ჭეშმარიტად შეწყნარებულსა, რომლისა ჭეშმარიტებასა ჯერეთლა არა აქენდეს მტკიცედ დამტკიცება (ხეც, H-2181, 55r).

### **ყორჩიბაში**

ჩვენსა ზედა ენასა მსახურთუხუცესსა ენოდების (ხეც, H-2310, 4v).

### ყალბდარ

ლექსი არს სპარსთა ენისა, ხოლო ქართულებრ ეწოდების მწირსა ანუ მსხემსა (ხეც, H-2310, 13r).

### ხაზარნი

იყვენ მრავალ ნათესავად ანუ გვარად განყოფილნი... იყვენ იგინი აწინდელთა ყირღიზთანი წინაპარნი (ხეც, H-2169, 3r).

### ჯვარით ლაშქრობა

პირველი ჯვარით ლაშქრობა იყო მეთერთმეტე საუკუნესა წელსა 1096, ხოლო მეორე – 1147, და უკანასკნელი – 1248, სადაცა ევროპელნი განღვიძებათა პაპისათა შეკრბენ განსადევნელად სარაცინთა (სარკინოზთა) იერუსალიმით და ბრძოლასა ამას უწოდებენ ევროპელნი ჯვარით ლაშქრობასა (ხეც, S-371, ფ. 321).

წარმოდგენილი სალექსიკონო მასალიდან ნათლად ჩანს, რომ მრავალმხრივ განსწავლული დავით ბატონიშვილი სერიოზულ მთარგმნელობით მუშაობას ეწევა მისი ცხოვრების პეტერბურგულ პერიოდში. იგი სათარგმნ მასალას შემთხვევით არ ირჩევს, ხელმძღვანელობს სრულიად კონკრეტული პრინციპით და თითქმის ყოველთვის თავადვე გვიზიარებს თარგმნის მიზანს. ირჩევს იმ უცხოენოვან თხზულებებს, რომელთაც ან რაიმე კავშირი აქვთ საქართველოს ისტორიასთან, ანდა წარმოადგენენ ისეთი ხასიათის ნაწარმოებებს, რომელთა მიზანიც განმანათლებლურია. თარგმანები შესრულებულია ან უშუალოდ ორიგინალიდან, ან რუსული თარგმანიდან. დავით ბატონიშვილი არ კმაყოფილდება სათარგმნი მასალის მხოლოდ მშრალი გადმოცემით; ურთავს საკუთარ კომენტარებს და გვანვდის მრავალ საინტერესო შეხედულებას ამა თუ იმ საკითხზე. ამასთანავე, ბატონიშვილი აგრძელებს დიდი ლექსიკოგრაფის, სულხან-საბა ორბელიანის ტრადიციებს და ყოველ თარგმანს ურთავს უცხო სიტყვათა განმარტებებს. ახლად ნათარგმნ ლიტერატურას მაშინვე სამშობლოში აგზავნის და ამ გზით ხელს უწყობს ევროპული განათლების შემოტანას საქართველოში.

დავით ბატონიშვილის მიერ ნათარგმნ მონტესკიეს „გულისხმისყოფისთვის სჯულთასას“ ერთვის თეიმურაზ ბატონიშვილის მინაწერი: „...ბატონო დადიანო და მემკვიდრეო დავით... ამ წიგნს, რადგან იმისის (დავით ბ.-ის, ე.ჩ) ხელით არის ნათარგმნი, თქვენ უნდა პატივს სცეთ და როგორც ანტიკა ანუ უნჯი რამ ძვირფასი, ისე შეინახოთ თქვენს წიგნთ საუნჯეში“ (ხეც S-371, ფ. 463-464). აქედანაც ნათლად ჩანს ის დიდი პატივისცემა და დაფასება, რომლითაც გარემოცული იყო თანამედროვეთაგან ღრმა განსწავლულობის გამო დავით ბატონიშვილი.

## ბამოყენებული ლიტერატურა

1. ასათიანი 1933: ასათიანი ლ., ვოლტერნიანობა საქართველოში, ტფ., 1933.
2. იოსელიანი 1936: იოსელიანი პლ., ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, ნ.1, ტფ., 1936.
3. კაკაბაძე 1914: კაკაბაძე ს., წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის, ნ.1, 1914.
4. მესხია 1983: მესხია შ., საისტორიო ძიებანი, ტ. 1, თბ., 1983.
5. რუხაძე 1954: რუხაძე ტრ., ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან, თბ., 1954.
6. საქ. სიძველენი 1910: საქართველოს სიძველენი, ტ. 3, 1910.
7. ქუთათელაძე 1967: ქუთათელაძე ლ., დავით და იოანე ბაგრატიონების ლექსიკოგრაფიული ნაშრომები, თბ., 1967.
8. ხეც, A-278: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა, ტ. 1, შეადგინეს და დასაბუთდად მოამზადეს: თ. ბრეგაძემ, მ. ქავთარიამ და ლ. ქუთათელაძემ, ელ. მეტრეველის რედაქციით, თბ., 1980.
9. ხეც, A-1772: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერები (A კოლექცია), აღ. ბარამიძის რედაქციით, ტ. 5, 1955.
10. ხეც, H-198, H-201: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია), აკად. ს. ჯანაშიას საერთო რედაქციით, ტ. 1, დასაბუთდად მომზადებულია ხელნაწერთა განყოფილების თანამშრომლების ლ.ქუთათელაძისა და ნ. კასრაძის მიერ, ილ. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1946.
11. ხეც, H-2014, H-2169, H-2181, H-2254, H-2310: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია), ტ. 5, შედგენილია და დასაბუთდად მომზადებული ლ. მეფარიშვილის მიერ, აღ. ბარამიძის რედაქციით, თბ., 1949.
12. ხეც, H-1424: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფ. მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია), კ.კეკელიძის საერთო რედაქციით, ტ. 3., შედგენილია და დასაბუთდად დამზადებული ქრისტინე შარაშიძის ხელმძღვანელობითა და საერთო რედაქციით, თბ., 1943.
13. ხეც, H-3254: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფ. მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია), კ.კეკელიძის საერთო რედაქციით, ტ. 6, შედგენილია და დასაბუთდად მომზადებული ნ. კასრაძის, ე. მეტრეველის, ლ. მეფარიშვილის, ლ. ქუთათელაძისა და ქრ. შარაშიძის მიერ, თბ., 1953.
14. ხეც, Q-766: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ახალი (Q) კოლექციისა, ტ. 2, შედგენილია და დასაბუთდად დამზადებული თ. ბრეგაძის, თ. ნუქიძის, ნ. კასრაძის, ელ. მეტრეველის, ლ. ქუთათელაძისა და ქრ. შარაშიძის მიერ, ილ. აბულაძის რედაქციით, თბ., 1958.
15. ხეც, S-188, S-370, S-371: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი

საზოგადოების (S) კოლექციისა, ტ. 1, შედგენილია და დასაბეჭდად დამზადებული თ. ბრეგაძის, თ. ენუქიძის, ნ. კასრაძის, ლ. ქუთათელაძისა და ქრ. შარაშიძის მიერ, ელ. მეტრეველის რედაქციით, თბ., 1959.

**Elene Chagelishvili**

**DAVID BATONISHVILI'S TRANSLATIONS AND THE DICTIONARY MATERIAL FOUND IN THESE TRANSLATIONS**

**SUMMARY**

David Batonishvili is a prominent Georgian figure who emigrated to Russia at the beginning of the 19<sup>th</sup> century. His scholarly and literary activity is diverse and distinguished. He translated the works by Mirza Mehti, Voltaire, Montesquieu and Jean Pierre Frederic Ancilion. These are translations from Persian, French and Russian.

David Bagrationi always carefully choose the material for translation, he always tried to foresee Georgian reality. These translations are interesting to present David Bagrationi as a scholar, to understand his feelings while in exile.

David Bagrationi as a lexicographer has been paid a due attention from early times (Kutateladze 1967). However, it is the first time the vast material found in the above-mentioned translations is published. This enables us to fully represent David Bagrationi's commitment to compiling and editing dictionaries.

## ია გაჩეჩილაძე

# ქართველ პოეტთა მთარგმნელობითი მოღვაწეობა კვლ საქართველოში ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ხელნაწერების მონაცემთა მიხედვით

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ ხელნაწერებში უხვად არის წარმოდგენილი ძველ ქართველ მოღვაწეთა პოეტური შემოქმედება. მათი ლექსები, ორიგინალური თუ ნათარგმნი, გაბნეულია სხვადასხვა ანთოლოგიებსა, კრებულებსა, მინაწერებსა თუ ანდერძებში. მთელი ამ მასალის საფუძველზე ჩვენ მიერ შედგენილ იქნა ლექსთ-საძიებელი, რომელშიც ლექსები დალაგებულია ორი წესით:

1. ავტორთა სახელების ანბანური რიგის მიხედვით; 2. დასაწყისის მიხედვით დალაგებული, ასევე, ანბანური რიგით. ამ უკანასკნელში წარმოდგენილია ლექსები, რომელთაგან ზოგიერთის ავტორი დღეისათვის უცნობია, ან სხვადასხვა ხელნაწერში სხვადასხვა ავტორია მითითებული.

ლექსთსაძიებელში წარმოდგენილი მთელი ამ ზღვა მასალის შესწავლა საშუალებას იძლევა:

- დაზუსტდეს ზოგი სადავო ლექსის ავტორი;
- მოხდეს ლექსების იდენტიფიკაცია;
- ზოგიერთ უავტოროდ წარმოდგენილ ლექსს დაეძებნოს ავტორი;
- შესწავლილ იქნას ქართველ ქალთა პოეტური მემკვიდრეობა;
- დადგინდეს იქნას ანთოლოგიების შედგენის პრინციპები;
- შესწავლილ იქნას ქართველ პოეტთა მთარგმნელობითი მოღვაწეობა ძველ საქართველოში;
- ჩასწორდეს გადამწერთა მიერ შერყვნილი ზოგი ლექსის ტექსტი.

ყოველივე ზემოთქმულის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ხელნაწერების მონაცემების ბაზაზე შედგენილი ლექსთსაძიებლის გამოცემა უადრესად საინტერესო და საჭირო იქნება როგორც ძველი ქართული პოეტური მემკვიდრეობის მკვლევართათვის, ასევე, ძველი ქართული პოეზიით დაინტერესებული ფართო საზოგადოებისათვისაც.

წინამდებარე ნაშრომში შესწავლილია ქართველ პოეტთა მთარგმნელობითი მოღვაწეობა ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ხელნაწერების მონაცემთა ბაზის საფუძველზე.

თარგმნის ხელოვნებას საქართველოში დიდი ხნის ისტორია აქვს. ერის ცხოვრებაში მომხდარი ესა თუ ის მოვლენა თავისებურად აირეკლება მწერლობაშიც. ასე აისახა ქართულ მწერლობაში ქვეყანაში მომხდარი მთელი რიგი სოციალურ-პოლიტიკური თუ ისტორიული ძვრები. ეს ძვრები სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვაგვარად აირეკლებოდა. ადრეულ პერიოდში ქართულ ლიტერატურაში ბერძნულ-ბიზანტიური ლიტერატურის კვალი ჩანს. მოგვიანებით ამ გავლენებმა ორმხრივი ხასიათი მიიღო. XVI-XVII საუკუნეებიდან, რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური კავშირის გაძლიერებასთან ერთად, შეინიშნება რუსული ლიტერატურისადმი ინტერესის ზრდა. XVII საუკუნის დასასრულსა და XVIII საუკუნის დასაწყისში განსაკუთრებით შეინიშნება რუსეთ-საქართველოს კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობის ორმხრივი ხასიათი. რუსი მწერლები ფართოდ იყენებენ ქართულ ფოლკლორს, წიგნურ ლექსებს, საისტორიო წყაროებს. თავის მხრივ, ქართველი მწერლებიც ეცნობიან რუსულ ლიტერატურას. აღორძინების ხანის ქართველი მწერლები ინტენსიურ მთარგმნელობით მოღვაწეობას ეწევიან. ამ პერიოდში ქართველებმა რუსულიდან თარგმნეს საისტორიო, მხატვრული, სამეცნიერო-ტექნიკური ჟანრის თხზულებები, სახელმძღვანელოები და სხვა. რუსულიდან ქართულად თარგმნილი თხზულებების სიუხვე და მრავალფეროვნება ნათლად მონშობს, თუ რაოდენ კარგად იცნობდნენ ქართველი მწერლები რუსულ ლიტერატურას, რამდენად ღრმად და საფუძვლიანად დაეუფლნენ რუსულ ენას და, ამდენად, ნათარგმნი ლიტერატურის სიუხვით ქართველი საზოგადოების ფართო ფენები ეზიარნენ არა მარტო რუსულ, არამედ რუსეთის გზით შემოსულ დასავლეთ ევროპის ლიტერატურასაც.

„რესპუბლიკანური“ იდეები, განათლებული აბსოლუტიზმით გატაცება, ვოლტერიაზობის ელემენტები, ენციკლოპედიკობა – იმხანად საქართველოში რუსეთის გზით შემოდიოდა: „ნათარგმნი თხზულებები შემთხვევით და უმიზეზოდ როდი ჩნდებიან ამა თუ იმ ლიტერატურაში, ისინი გამოწვეული არიან იმ სოციალურ-კულტურული თუ სხვა ხასიათის მოთხოვნილებებით, რომელთაც აყენებს ადგილობრივი მიმდინარეობა აზროვნებისა. მათი დახმარებით ჩვენ ვგებულობთ, რა ინტელექტუალური და მორალური ინტერესები ამოძრავებდა იმ ხანაში ამ თუ იმ ხალხს, რა იდეები, აზრები და საკითხები იპყრობდნენ მის ყურადღებას, როგორ ითვისებდა ის ამ იდეებს და აზრებს. ერთი სიტყვით, როგორი იყო მისი გონებრივი, ზნეობრივი დონე, მისი ესთეტიკურ-მხატვრული გემოვნება და ლიტერატურული განვითარება“ (კეკელიძე 1957: 1).

თუ ყველაფერ ამას გავითვალისწინებთ, ცხადი გახდება, რა მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთ-საქართველოს კულტურულ-ლიტერატურულ ურთიერთობას საქართველოსათვის. თავისთავად იგულისხმება, რომ ამ ურთიერთობამ რუსულ ლიტერატურაშიც სათანადო გამოხმაურება ჰპოვა (Берков 1946: 129).

ქართველი მოწინავე საზოგადოება გაეცნო რუსულ და რუსულსავე შემოსულ დასავლეთ ევროპის ლიტერატურას. მიჰყო ხელი მთარგმნელობით მოღვაწეობას.

ლექსთსაძიებლიდან ამოკრებილი რუსულიდან თარგმნილი ლექსები ჩვენ მიერ დალაგდა შემდეგი წესით: 1. ლექსები, რომელთა ავტორიც და მთარგმნელიც ცნობილია; 2. ლექსები, რომელთა ავტორი ცნობილია, ხოლო მთარგმნელი – უცნობი; 3. ლექსები, რომელთა ავტორი უცნობია, მთარგმნელი კი – ცნობილი, და, ბოლოს, 4. ლექსები, რომელთა ავტორიც და მთარგმნელიც უცნობია, არის მხოლოდ მინაწერი: „თარგმანი რუსულის ლექსისა“, ან კიდევ „თარგმანი რუსულიდან“.

რუსულიდან ნათარგმნი პოეტური ნაწარმოებებიდან ლექსთსაძიებელში ყველაზე დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი **ა. ს. პუშკინის** პოეზია. ეს სავესებით ბუნებრივია. პუშკინი თავისი ცხოვრების გარკვეულ პერიოდში მჭიდროდ იყო დაკავშირებული საქართველოსთან. თავის ლექსებშიც იგი სიყვარულით იგონებს საქართველოში გატარებულ დღეებს, აქაურ მეგობრებს. საქართველოში პუშკინის ლექსები მოსმენილი ჰქონდათ პირველწყაროდან – თვით პოეტი კითხულობდა მათ ქართველი მოწინავე საზოგადოების წარმომადგენელთა წინაშე. პუშკინი იქცა საქართველოში განათლებული ახალგაზრდობის უსაყვარლეს პოეტად. მისი პოეზიის თარგმნი ვარჯიშობდა თბილისის გიმნაზიის მოწინავე ახალგაზრდობა: ნიკოლოზ ბარათაშვილი, მიხეილ თუმანიშვილი და სხვანი. პუშკინის პირველ მთარგმნელთა შორის უნდა დავასახელოთ ალ. ჭავჭავაძე, თეიმურაზ ბატონიშვილი, სოლომონ რაზმაძე, დავით ყორღანაშვილი...

ლექსთსაძიებელში წარმოდგენილია **ალ. ჭავჭავაძის** მიერ თარგმნილი პუშკინის ლექსები: „ყვავილი“, „ანჩარი“, „სიზმარი“, „კაკეასის ზვავი“, „ვიდრემდის გქონან“, „სპილენძის მხედარი“. ამ თარგმანებმა იმთავითვე მოიპოვეს დიდი პოპულარობა. მათ მღეროდნენ ლიტერატურულ სალონებში, ქუჩებში (Дондуа 1926: 207). ალ. ჭავჭავაძის მიერ თარგმნილი ლექსი „ძილი“ (თბილისის უწყებანი 1830: 2), მეორე ვარიანტით „სიზმარი“, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის 12 ხელნაწერშია მოთავსებული ორი სხვადასხვა სათაურით: „ოცნება“ და „გალვიძება“. ეს უკანასკნელი ახლოს არის ლექსის პუშკინისეულ სათაურთან «Пробуждение». ეს ხელნაწერებია: H-101, H-1103, H-1196, Q-308, Q-318, Q-438ა, A-1753, S-4907, S-5081, S-5271, S-4589, S-3686. ამათგან ზოგ ხელნაწერში აღნიშნული ლექსი უსათაუროდა და არც მთარგმნელია მითითებული. მოვიტანთ შედარებისათვის მცირე ნაწყვეტს დედნისა და ალ. ჭავჭავაძისეული თარგმანის ტექსტიდან:<sup>1</sup>

<sup>1</sup> აქ და ქვემოთ ყველგან, მოტანილ თარგმანებსა და ამონარიდებში ხელნაწერისეულ პუნქტუაციას ვასწორებთ თანამედროვე ქართული ენის ნორმების მიხედვით (ი.გ.)

**ალ. ჭავჭავაძე, სიზმარი**

სადა არიან, ოცნებაო,  
 სიტკბონი შენნი?  
 სადა ხარ, ღამის სიხარულო,  
 მსწრაფლ განასროლო?  
 მაღიად განჰქრენ, ვაჰ, აჩრდილნი,  
 სიზმრად მომჩვენნი,  
 და განაფხიზლი ბნელსა შინა  
 ვშთომილვარ მხოლო.

**А. С. Пушкин, Пробуждение**

Мечты, мечты,  
 Где ваша сладость?  
 Где ты, где ты,  
 Ночная радость?  
 Исчезнул он  
 Весёлый сон.  
 И одинокий  
 Во тьме глубокой

Я пробужден (Пушкин 1985: 149).

პუშკინის იგივე ლექსი უთარგმნია **სოლომონ რაზმაძესაც**:

„ჰოი, ზმანო, ზმანო, სადაა თქვენი სიტკბოებანი?  
 ჰოი, ღამისა სიამოვნებავე, სად მიმოჰფრინავე?  
 ვაი, საამონი იგი სიზმარნი წარხდეს ვით ქარნი,  
 და მე, ღარიბსა, უფსკრულს სიბნელეს  
 თვალნი აღმეხვენ, ლოგინსა მწოლსა“.

სოლომონ რაზმაძის თარგმანი დაცულია ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის A-1284 ხელნაწერში. მცირეოდენი ცნობა თვით მთარგმნელის, სოლომონ რაზმაძის, შესახებ. სოლომონ რაზმაძის მამა, გივი რაზმაძე, მეფე ერეკლესთან დაახლოებული პირი იყო. მეფე ერეკლემ მას აზნაურობა უბოძა. 1811 წელს თეიმურაზ ბატონიშვილს ახალგაზრდა სოლომონი თან წაუყვანია პეტერბურგში და ლიცეუმში მიუბარებია. სოლომონმა პეტერბურგში დაჰყო 22 წელი. იგი მშვენივრად დაეუფლა რუსულ ენას, გაეცნო რუსულ ლიტერატურას და თარგმნას მიჰყო ხელი. ამ პერიოდში მან თარგმნა ა.ს. პუშკინის „დემონი“, რომლის ვრცელი ფრაგმენტი მოთავსებულია A-1284 ხელნაწერში დასაწყისით:

„— ოდეს ვნახე მე  
 სოფლის სიამე“

ამავე ხელნაწერში არის სოლომონ რაზმაძის სხვა თარგმანიც, მითითებულია მხოლოდ ორიგინალის ავტორი — „პუშკინიდან“, არ არის აღნიშნული — პუშკინის რომელი ნაწარმოებიდან. ჩვენ დავაზუსტეთ, რომ ეს არის ფრაგმენტი პოემა „ეგგენი ონეგინიდან“:

„У ночи много звёзд прелестных...“

„— ღამეს უვიან მთიებნი ნაზნი“

მასვე ეკუთვნის პუშკინის „წინასწარმეტყველის“ თარგმანი:

„უდაბნოს ბნელსა ვვლიდი მაშვრალი...“ (ხეც., A-1284)

„Духовной жаждою томим,  
 В пустыне мрачной я влачился...“ (Пушкин 1985: 385).

სოლომონ რაზმაძის თარგმანები, რომლებიც ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში, თეიმურაზ ბატონიშვილის კოლექციაში ინახება (25),

იოსებ გრიშაშვილმა გამოსცა გაზეთ „კომუნისტში“ (1935 წ. 299) და „ლიტერატურულ საქართველოში“ (1937 წ. 4). ამ ლექსებიდან 1832 წელს დაიბეჭდა „მელოდია“ („ლიბჰანური სიმღერა“) და „ლზინი“ (იხ. „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათაგანი“, 1832 წ., 5, მარტი, გვ. 114 და 115), (გრიშაშვილი 1952: 127).

ზოგჯერ მთარგმნელი თავისებურად ცვლის ტექსტს. ასეთ შემთხვევაში იგი მას უწოდებს „მიბაძვას“. მაგალითად, ხელნაწერ Q-51-ში არის ვასილ ერისთავის ლექსი „ტუსალი“, იქვე აღნიშნულია „მიბაძვა ლერმონტოვისა“:

„ერთხელ შევესწარ ქალაქ ადგილს საპატიმროსა“....

ჩვენი აზრით, ეს ლექსი დანერვილია ლერმონტოვის ლექსის «Узник»-ის მიბაძვით:

«Отворите мне темницу,

Дайте мне сиянье дня...» (Лермонтов 1957: 13).

ყველაზე უხვად ლექსთსაძიებელში წარმოდგენილია ალ. ჭავჭავაძის მიერ თარგმნილი ლექსები. ასე მაგალითად: „ყვავილი“ პუშკინიდან:

„- ყუავილი მხმარი, სუნ მიღებული

ნიგნშ იდუა სრულად დავინყებული...“

ეს ლექსი არის შემდეგ ხელნაწერებში: H-1196, Q-4686 და S-4907 (ჭავჭავაძე 1949: 131).

ა. პუშკინი, აწარჩი, თარგმანი ალ. ჭავჭავაძისა:

„- უდაბნოს მწირსა და განხრეკილსა...“

ლექსი დაცულია ხელნაწერებში: H-1196, S-4907 და S-3686 (ჭავჭავაძე 1949: 133).

ხელნაწერში ზოგჯერ ლექსს სათაური არა აქვს მითითებული. არის მხოლოდ მინანერი: „ალ. ჭავჭავაძე, პუშკინიდან.“

„- ზვირთნი ხმოვანი, აღქაფებული,

შავთ კლდეთ ებრძვიან, ზე ემსხურევიან...“ (ჭავჭავაძე 1949: 136).

ლექსი შემდეგ ხელნაწერებშია: H-1196, Q-438ა, S-3686, S-4907, S-5190. ამათგან S-3686 ხელნაწერში მითითებული არ არის ავტორი. ჩვენ მიერ დაძებნილი იქნა პუშკინის აღნიშნული ლექსი. ეს არის „Обвал“:

«Дробяся о мрачные скалы,

Шумят и пенятся валы...» (Пушкин 1985: 457).

ალ. ჭავჭავაძის მიერ თარგმნილი პუშკინის „სპილენძის მხედარი“ მხოლოდ ერთ ხელნაწერშია (H-1196):

„- ადგილს უდაბურს, დგა იგი კლდესა ზედა,

ზვირთოვანისა, ფართოისა მდინარის...“ (ჭავჭავაძე 1949: 138).

XIX საუკუნის პირველ ათწლეულში რუსეთში მეტად იყო გავრცელებული სიმღერა: «Чёрный цвет, мрачный цвет» .... იმ დროის პოეტთა უმრავლესობა თავის განწყობას თაღ ფერებში წარმოსახავდა. ეს ტენდენცია თბილისის სალონებშიაც გავრცედა. რუსულ პოეზიას ზიარებული ჩვენი პოეტები ამ განწყობას

შავ ფერთან მიმართებაში გადმოგვცემენ. ამ გავლენით არის დაწერილი ალ. ჭავჭავაძის ლექსი: „ფერსა ბნელს, ფერსა შავს“, რომელიც პოეტმა გადაუთარგმნა თავის ქალიშვილს, ნინო გრიბოედოვისას, რომელიც ქმრის სიკვდილის შემდეგ მუდამ შავებში დადიოდა:

„ფერსა ბნელს, ფერსა შავს,  
მე ვეტრფი მარადჟამს.  
აროდეს ფერსა სხვას  
არ ვეტრფო, ვფიცავ ცას“.

ეს ლექსი არის H-1196, Q-438ა, S-4907 ხელნაწერებში. არც ერთ ხელნაწერში არ ჩანს დედნის ავტორი (ჭავჭავაძე 1949: 147; გრიშაშვილი 1952: 108)).

ამ ლექსის რუსული დედნის შესახებ იოსებ გრიშაშვილი წერდა:

„ალ. ჭავჭავაძის ლექსის – „ფერსა ბნელს, ფერსა შავს“ – რუსული დედანი დღემდე არ იყო აღმოჩენილი. თვით ბარათაშვილის აკადემიურ გამოცემაში,<sup>2</sup> რომელიც 1922 წელს, სხვათა შორის, ჩვენი უახლოესი თანამშრომლობით გამოვიდა, ვერ მოთავსდა რუსული ტექსტი მისი უპოვნელობის გამო. ალ. ჭავჭავაძის თხზულებათა შენიშვნებში ვწერდით: „სამწუხაროდ, ამ ლექსის სრული რუსული ტექსტი ვერ აღმოვაჩინეთ. იმედი კი მაქვს ვიპოვნი და მეორე გამოცემისთვის წარვუდგენ მკითხველს“ (ჭავჭავაძე 1940: 330). ეს იმედი გამიმართლდა: შარშან, მოსკოვში ყოფნის დროს, სიმღერების ერთი ხელნაწერი კრებული აღმოვაჩინე, სადაც სიმღერა „ჩორნი ცვეტ“ მთლიანად იყო მოთავსებული. იგი სიხარულით გადმოვიწერე, თუმცა, სამწუხაროდ, ზედ არ ეწერა ავტორის ვინაობა“ (გრიშაშვილი 1952: 111). მოგვყავს ამ ლექსის რუსული ტექსტი და პარალელურად მისი ალ. ჭავჭავაძისეული თარგმანი:

ფერსა ბნელს, ფერსა შავს  
მე ვეტრფი მარადჟამს.  
აროდეს ფერსა სხვას  
არ ვეტრფო, ვფიცავ ცას.

Черый цвет, мрачный цвет,  
Ты мне мил навсегда,  
Я клянусь в другой цвет  
Не влюблюсь никогда.

არას ძალს, არას გვამს  
არა აქვს უფლება,  
აშორვოს ფერსა შავს  
ჩემი ტრფიალება.

Не принудят меня,  
Не заставят меня  
Разлюбить черный цвет,  
Силы нет, власти нет.

<sup>2</sup> ამ შემთხვევაში ი. გრიშაშვილი გულისხმობს ნიკოლოზ ბარათაშვილის მიერ ალ. ჭავჭავაძისეული თარგმანის „ფერსა ბნელს, ფერსა შავს...“ ანალოგიით დაწერილ ლექსს: „ცისა ფერს, ლურჯსა ფერს“.

ნუ მკითხავ, ფერსა შავს  
რათ ვეტრფიანლები?  
ჰგიშრობენ, – და რა ვჰყო,  
საყვარლის თვლები!

От чего, спросит свет,  
Я влюблен в цвет теней?  
Я скажу – черный цвет  
Цвет подруги моей.

გინდ მე მან, სასურმან,  
მივწყოს ამავე წამს,  
მით ვტრფოდე უდრეკად,  
ფერსა ბნელს, ფერსა შავს.

И пусть вдруг милый друг  
Позабудет меня,  
Черный цвет, мрачный цвет  
Все любить буду я.

ფერებში ვილოც შავს,  
ცხოველში მას საგანს, –  
მას შევერთამ ჩემსა სულს,  
მარად მისს შეწირულს.

У меня мысль одна,  
Черный цвет и она,  
В ней навек я солью  
Мрачну душу свою.

სოფლითაც განსვლის ჟამს  
ვისუდრებ ფერსა შავს,  
და ვიდრემდის ვცოცხლობ,  
თვალს არ მოვაშორებ.

Разставаясь с землей  
Облечусь в черный цвет,  
А пока в очах свет,  
Я влюблен в черный цвет.

როგორც ვხედავთ, ალ. ჭავჭავაძის ლექსი ამ რუსული ლექსის თითქმის სიტყვასიტყვით თარგმანს წარმოადგენს. ალ. ჭავჭავაძისეული თარგმანი ლექსის შინაგანი რიტმით, მელოდიურობითა და მარცვალთა რაოდენობით საოცრად ერწყმის ორიგინალის ჟღერადობას. ლექსი თავისი ფორმით, ზომითა და რიტმით გამოირჩეოდა იმ პერიოდის ქართულ პოეზიაში.

დავით რექტორის ცნობილ ანთოლოგიაში (S-1512) არის ნიკოლოზ ახვერდოვის ლექსის ალ. ჭავჭავაძისეული თარგმანი.

**„ალ. ჭავჭავაძე, თარგმანი პეტრე ზაგრატიონის მიცუალეზასა შინა თქმული ნიკოლაოს ახვერდოვისაგან 1812 წ.-ს:**

- არ არს სისრულე სოფელსა ამას შინა.

არცა სადამე მტკიცე ბედნიერება...“ (ჭავჭავაძე 1949: 140).

არის შემთხვევები, როდესაც სხვადასხვა ხელნაწერი ერთსა და იმავე ლექსს სხვადასხვა მთარგმნელს მიაწერს, ან შეცდომით მთარგმნელს ავტორად წარმოაჩენს:

„ამა სოფელს დამშთომიეს მხოლოდ ესე სანატრელი“.

H-101 ხელნაწერში ეს ლექსი არის როგორც ალ. ჭავჭავაძისეული თარგმანი პუშკინიდან; S-5081 და S-5271 ხელნაწერებში აღნიშნული ლექსი უავტოროდ არის წარმოდგენილი; სინამდვილეში კი იგი არის გრიგოლ ორბელიანის მიძღვნა ნინო ჭავჭავაძისადმი, რომელიც პოეტის მუზა იყო. ლექსს სათაურად აქვს „მასვე“, – იგულისხმება ნინო ჭავჭავაძე – გრიბოედოვისა, რომელსაც არაერთი

ლექსი უძღვნა პოეტმა გრიგოლ ორბელიანმა. ლექსი გამოქვეყნებულია (ორბელიანი 1959: 6).

აღ. ჭავჭავაძეს უთარგმნია **კორნელის „სინნა“**. იგი ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ორ ხელნაწერშია: A-1409-სა და S-490-ში. A-1409 ხელნაწერში ტექსტს წინ უძღვის მინაწერი: „სინნა. ტრალედია ესე ითარგმნა ფრანციცულის ენიტგან თავადის ალექსანდრე ჭავჭავაძისაგან“.

ხელნაწერ A-1410-ში არის აღ.ჭავჭავაძის მიერ თარგმნილი **რასინის „ფედრა“**:

„– უსაყვარლესო ტერამენ! გარდასწყდა! ჯერ-არს, ნარვიდე...“

მანვე თარგმნა ლაფონტენიდან „ჭრიჭინა და ჭიანჭველა“:

„ჭრიჭინამ ერთხელ ჭრიჭინით მთელი ზაფხული ატარა,

მერე შიმშილმა შეჰპნოდა, რა ცამან თოვა პატარა“.

თუ გადავხედავთ ხელნაწერებს, შემდეგი სურათია. ამ ლექსის აღ. ჭავჭავაძისეული თარგმანი არის 13 ხელნაწერში. აქედან ორში: H-2684-სა და Q-438ა-ში არის როგორც გრ. ორბელიანის თარგმანი, H-9 და S-5081 ხელნაწერებში არც ავტორია მითითებული და არც მთარგმნელი, ასევეა H-130ა ხელნაწერშიც. დანარჩენ ხელნაწერებში კი – H-1103, H-1132ა, S-1511, A-1408ბ, A-1575ი, S-5271, S-2482, S-4907 – იგი არის როგორც აღ.ჭავჭავაძისეული თარგმანი. ლექსი გამოქვეყნებულია (ჭავჭავაძე 1949: 150).

აღ. ჭავჭავაძის მიერ თარგმნილი **ვოლტერის „ალსარება“** არის ორ ხელნაწერში: S-1540-სა და S-4907-ში:

„– ჰე, მაღალო! ვის ვერ ვინმე მოგნდომიეს ჯერად ცნობად“

(ჭავჭავაძე 1949: 150).

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ოთხ ხელნაწერს შემოუნახავს აღ. ჭავჭავაძის მიერ თარგმნილი **ვოლტერის „ტაქტიკაზე“** (S-303, S-1511, S-4907 და A-140ბ):

„– მე ამას წინად ვენეი ჩვენს მენიგნეს მათეოზსა...“

(ჭავჭავაძე 1949: 157).

დავით რექტორისეულ ანთოლოგიაში (S-1511) მოთავსებულია აღ.ჭავჭავაძის მიერ თარგმნილი კიდევ ერთი ლექსი: „აღ. ჭავჭავაძისგანვე გარდმოღებული ფრანგულით (!) ქართულსა ხმასა ზედა დალექსვით მოძღურისა და მოწაფისათვის“:

„ერთსა ვისმე მოხუც პატრსა, პარასკევსა დიდ მარხვისას...“

ხელნაწერში ორიგინალის ავტორი მითითებული არ არის (ჭავჭავაძე 1949: 154).

აღ. ჭავჭავაძის მიერ თარგმნილი **ჰიუგოს ლექსი** არის ორ ხელნაწერში (H-1196 და S-2398):

„– მეფე რომ ვიყო ესრეთი,

ხელთ მეპყრას მთელი ხმელეთი...“ (ჭავჭავაძე 1949: 146).

**პუშკინის ლექსის „ყვავილის“** ალ.ჭავჭავაძისეული თარგმანი დაცულია ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ოთხ ხელნაწერში: H-1196, S-3686, S-4907 და Q-438ა. წარმოგადგენთ პუშკინის ლექსს „ყვავილი“ და ამ ლექსის ალ.ჭავჭავაძისეულ თარგმანს:

**А.С. Пушкин, Цветок**

Цветок засохший, безуханный  
 Забитый в книге вижу я,  
 И вот уже мечтою странной  
 Душа наполнилась моя.  
 Где цвел, когда? какой весной?  
 И долго ль цвел, и сорван кем,  
 Чужой, знакомой ли рукою  
 И положён сюда зачем?  
 На память нежного ль свиданья,  
 Или разлуки роковой,  
 Иль одинокого гулянья  
 В тиши полей, в тени лесной?  
 И жив ли тот, и та жива ли?  
 И нынче где их уголок?  
 Или уже они увяли,  
 Как сей неведомый цветок (Пуш-  
 кин 1985: 434).

**ალ.ჭავჭავაძე, „ყვავილი“, თარგმანი**

ყვავილი მხმარი, სუნმიღებული,  
 ნიგნს იდვა სრულად დავიწყებული,  
 მისმან დანახვამ მყისად აღმივსო  
 მიმოგონებით გული ვენებული.  
 ნეტარ ეს მდელიო, სად ყვავებულა,  
 დიდხანამც შლილა, როდის მოსთლულა,  
 უცხოს თუ მცნობის ვისიმე ხელით,  
 და რას მიზეზით აქ შთადებულა?  
 საგონად ტკბილის ერთად შეყრისა,  
 თუ ნიშნად მწარის მოშორებებისა,  
 თუ მყუდროთ ველთა და გრილთ ტყეთ შინა,  
 სახსოვრად მარტოდ რონინებისა?  
 ნეტა არიან სადმე ცოცხალი  
 ამის მომწყვეტი კაცი და ქალი?  
 თუ, გლახ, ისინიც ესრეთვე მჭკნარან,  
 როგორც ეს მდელიო არის მიმქრალი?

როგორც ვხედავთ, ალ. ჭავჭავაძე თავის თარგმანში ახერხებს გადმოგვცეს პუშკინის ლექსის მუსიკალურობა, ცდილობს თარგმანი დაუახლოვოს ორიგინალს და მშვენივრად ახერხებს ამას.

ლექსისაძიებელში უხვად არის წარმოდგენილი პუშკინის, რასინის, ვოლტერის, ჰიუგოსა და სხვათა ალ. ჭავჭავაძისეული თარგმანები.

საინტერესოა ერთი გარემოება – რუსული ლიტერატურით დაინტერესებული ქართველი მონივნავე საზოგადოება უფრო და უფრო დიდ ინტერესს იჩენდა თარგმნილი ლიტერატურისადმი. ეს მოვლენა ამ პერიოდის ჩვენს ლიტერატურაში აირეკლა ნათარგმნი ლიტერატურის სიუხვით. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ზოგჯერ ქართველი მთარგმნელი, გაეცნობოდა რა რომელიმე რუსულ ნაწარმოებს, აკეთებდა მის არა პირდაპირ თარგმანს, არამედ – მიმსგავსებას, რომელსაც თვითონვე უწოდებდა „მიბაძვას“. მაგ.: „მიბაძვა პუშკინისა“, „მიბაძვა ლერმონტოვისა“, „მიბაძვა კრილოვისა“, და ა.შ.

ამის ნიშნად შეიძლება დავასახელოთ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის A-1284 ხელნაწერში არსებული ერთი თარგმანი. ხელნაწერი დაწერილია 1882 წელს **ვასილ კარბელაშვილის** ხელით. მის 10v-11r – ზე ვკითხულობთ:

„ა. პუშკინისა – ღამეს უვიან მთიებნი ნაზნი.

ტფილისს სუფევენ მნათნი ღამაზნი...“

იქვე მინაწერებია: „რუსულში მოსკოვი არის და მე ტფილისი ვახსენე“.

„რაზმაძესია ეს შენიშვნა. ვ. კარბელაშვილი“.

ბოლოშია მთარგმნელის ინიციალები: „ს. რ.“ **სოლომონ რაზმაძე**.

ხელნაწერში არ არის მითითებული, ალ. პუშკინის რომელი ნაწარმოებიდან არის შესრულებული თარგმანი.

ჩვენ დაეძებნეთ ორიგინალი, ეს არის ფრაგმენტი პუშკინის „ევგენი ონეგი-ნიდან“. ნიმუშად მოვიტანთ რუსულ-ქართული ტექსტების ფრაგმენტებს:

**А. С. Пушкин, „Евгений Онегин» სოლომონ რაზმაძე, ა. პუშკინისა**

У ночи много звезд прелестных,  
Красавиц много на Москве,  
Но ярче всех подруг небесных  
Луна в воздушной синеве.  
Но та, которую не смею  
Тревожить лирою моею,  
Как величавая луна,  
Средь жен и дев блестит одна.  
С какою гордостью небесной  
Земли касается она!  
Как негой грудь ее полна

(Пушкин 1985: 313).

ღამეს უვიან მთიებნი ნაზნი,  
თბილისს სუფევენ მნათნი ლამაზნი,  
ვითა ციურთა მნათთა ლამისა  
აღემატების სხივი მთვარისა.  
არამედ იგი, ვის ვერ შეჰკადრებ,  
ჩემის ებანიტ ქებანის ძნობას,  
დიდებულადა გაესილს მთვარისებრ  
შორის ნარნართა ქალებთა ელვას,  
ვითარ ციურის ახოვნებითა  
ვალს დიდებულად ჰაეროვანი,  
რავდენ სავსე აქეს სიტკობებითა  
ბროლისა მკერდნი სანდომიანი,

ჩვენი ყურადღება მიიქცია ლექსთსაძიებელში შესულმა ალ. ჭავჭავაძის მიერ თარგმნილმა ერთმა ლექსმა სათაურით „მეფე რომ ვიყო“. ეს ლექსი ლექსთ-საძიებელში ორი ხელნაწერით არის წარმოდგენილი: H-1196 და H-2398. ორივე ხელნაწერი მხოლოდ მთარგმნელს – ალ. ჭავჭავაძეს მიუთითებს, არ ასახელებს დედნის ავტორს. ალ. ჭავჭავაძის თხზულებათა 1940 წლის გამოცემაში, იოსებ გრიშაშვილის რედაქციით, წინათქმით, შენიშვნებითა და ლექსიკონით, 323-ე გვ.-ზე ვკითხულობთ: „**ვ. ჰიუგოს** ეს ლექსი ა.ჭავჭავაძის გარდა ნათარგმნი აქეს ბევრ ქართველ მწერალს, ესენია:

**გიორგი ერისთავი:**

„ტურფავ! თუ ვიყო მეფე, მოგცემდი სამეფოსა,  
ჩემსა საჯდომსა ეტლსა, სკიპტრას და ჩოქვით ერსა...“  
(ერისთავი 1936: 74)

**გრიგოლ აბაშიძე:**

„მეფე რომ ვიყო – მოგიძღვნიდი დიდებას ქვეყნის,  
გვირგვინს მეფისას და ძვირფასთა ჩემთ სამკაულთა...“  
(აბაშიძე 1901: 47).

**სიმონ ქვარიანი:**

„რომ ვიყო მეფე ძლევაშოსილი,  
ჩემსა სამეფოს შენ მოგართმევდი...“ (ქვარიანი 1901: 81).

### ვახტანგ ორბელიანი:

„რად არ ვარ მეფე, რომ მივსცე მას დიდება ტკბილი,  
ჩემი სამეფო, ჩემი ერი მუხლმოდრეკილი...“ (ორბელიანი 1884: 33).

### მამია გურიელი:

„მეფე რომ ვიყო, ვუფლებედი  
სრულიად ცისა ქვეშეთსა,  
უსაზღვრო ნებით ვსუფევედი,  
გიბატონებდი შენ ერთსა“... (გურიელი 1897: 75).

ამ ლექსს მამია გურიელის ნიგნში არ აწერია, რომ თარგმანია, ალბათ, იმიტომ, რომ რუსმა პოეტმა ქალმა **ტ. ბეკხანოვამ** იგი თარგმნა რუსულად როგორც მამია გურიელის ორიგინალური ნაწარმოები. თუნდაც ამ ლექსის მაგალითის მიხედვით ცხადია ხდება, როგორი იყო ქართველი საზოგადოების ინტერესთა სფერო, რამდენად იცნობდნენ ჩვენი პოეტები და მწერლები რუსულ და დასავლეთ ევროპის ლიტერატურას, იცოდნენ რუსული, ფრანგული და სხვა ენები, აცნობდნენ საზოგადოებას სხვა ხალხების ლიტერატურას. რაც შეეხება ამ ლექსის ალ. ჭავჭავაძისეულ თარგმანს, იგი იმდენად სრულყოფილია, იმდენად მუსიკალურად და ლაღად ჟღერს, რომ ორიგინალის შთაბეჭდილებას ტოვებს. მოგვყავს ამ ლექსის **ალ. ჭავჭავაძისეული** თარგმანის სრული ტექსტი:

„მეფე რომ ვიყო ესრეთი, ხელთ მეპყრას მთელი ხმელეთი,  
ფერხთ-ქვე გიგებდი ყოვლს კეთილს, რაც უვის ხელმწიფებასა,  
გვირგვინს, ქვეყანას, სკიპტრასა, პორფირსა, ტახტსა და სრასა,  
სრულიად ვანაცვალებდი შენგან ერთს შემოხედვასა.  
თუ ვიყო ყოვლის შემძლებელ, სამოთხის ულევს განცხრომას,  
მთიებთ ქვეყანათ, სამყაროთ და ჰაერთ კეთილგანწყობას,  
ანგელოზთ ციურს გალობას, ჩემს მათზედ შემძლებლობასა,  
გეფუცვი, მსხვერპლად უძღვნიდი ერთს ოდენ შენსა კოცნასა“.

საგანგებოდ გვინდა შევჩერდეთ ალ. ჭავჭავაძის ერთი ლექსის, **„ღუგას“** ირგვლივ. რას წარმოადგენს ეს ლექსი? იგი შედგება 10 ორსტრიქონედისაგან. თითოეული ამათგანი ფორმით, შინაარსით, მარცვალთა რაოდენობით ერთმანეთისაგან განსხვავდება. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს თითოეული ამათგანი ცალ-ცალკე მთლიანი ლექსის ფრაგმენტს წარმოადგენს. 1940 წელს გამოცემულ ლექსთა კრებულში (ი. გრიშაშვილის რედაქციით, წინათქმით, შენიშვნებითა და ლექსიკონით) ამ ლექსის შესახებ გამოცემული წერს: **„ღუგა“** ამოღებულია საქართველოს ცენტრარქივის ხელნაწერიდან (ჭავჭავაძე 1940: 22) ეს ლექსი რამდენიმე ფრაგმენტისაგან შედგება. დასათაურებულია ასე: **„ალექსანდრე ჭავჭავაძისაგან“**. აქ შევსებული და რედაქციაქმნილია საქ. მუზეუმში დაცულ სხვადასხვა ხელნაწერიდან 1635; 101; 1103 და **ეკატერინე დადიანისეულ** რვეულებიდან“.

აქედან რამდენიმე მონაკვეთი („სოფლის მიმნდობთ“ და „არა ერთხელ სიჭაბუკე“) დაიბეჭდა ილიას „ივერიაში“, ი. მეუნარგიას პუბლიკაციით (ივერია 1883:

101) "დუგას" ერთ-ერთი ორსტრიქონედი, რიგით მეორე, არის ხელნაწერი ეროვნული ცენტრის S-1635ბ ხელნაწერი:

„არა ერთხელ სიჭაბუკე დაუთრვილავს სიბერესა,  
 არა ერთხელ ბედის დილა შეუცვლია შავს ღამესა“.

ამავე ხელნაწერში (S-1635ბ) არის „დუგას“ კიდევ ერთი – 1 – ორსტრიქონედი.

ჩვენი ყურადღება მიიქცია „დუგას“ მეორე ორსტრიქონედმა: „არა ერთხელ სიჭაბუკე...“ ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, **მიხეილ თუმანიშვილის** არქივში ჩვენ შემთხვევით წავეწყდით ხელნაწერ რვეულს (837), რომელსაც სათაურად აწერია „ქართული სტიხები“. **ხელნაწერი მიხეილ თუმანიშვილის ავტოგრაფია**, ტოვებს შავი პირის შთაბეჭდილებას, ხშირია გადაშლილი და ჩასწორებული ადგილები. თითოეულ ლექსს მინერილი აქვს დაწერის დრო და ადგილი. ამ მინაწერების მიხედვით კრებული შედგენილია 1838 წლის მარტიდან ნოემბრამდე. დაწერის ადგილებია: „ტფილისი“, „სილნაღი“, „წინანდალი“. რვეულის ბოლოს არის ლექსი სათაურით „**ელეგია**“. ჩვენი ყურადღება მიიქცია ლექსის ბოლო სტროფმა.

„არა ერთხელ სიჭაბუკე დაუთრვილავს სიბერესა,  
 არა ერთხელ ბედის დილა შეუცვლია შავს ღამესა.  
 გარნა ვინცა მსხვერპლად ჰქმნია სიყვარულსა უიმედოს,  
 მან გულითა დამჭკნარითა ნუთუ ოდეს გაიხაროს?“

ლექსის მთლიანი ტექსტის წაკითხვისას აღნიშნული ორსტრიქონედი ჰარმონიულად ერწყმის ლექსის საერთო განწყობას. ისმის კითხვა: ვისია დასახელებული ორსტრიქონედი – ალ. ჭავჭავაძისა თუ მიხეილ თუმანიშვილის?

ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში ი. გრიშაშვილის მიერ მითითებულ 101-ით არსებულ არც ერთ ხელნაწერში ეს ლექსი არ არის. იგი დაცულია მხოლოდ ორ ხელნაწერში: S-11635ბ-სა და H-1103-ში. ამათგან საძიებელი ორსტრიქონედი მხოლოდ S-1635ბ ხელნაწერშია. ხელნაწერი XIX საუკუნისაა. იმავე ხელნაწერში „დუგას“ კიდევ ერთი ორსტრიქონედია: „სოფლის მიმნდობთა...“ ორივეს ბოლოში მინერილი აქვს ალ. ჭავჭავაძის ინიციალები: „ა. ჭ.“

საქართველოს ცენტრარქივის 335 ხელნაწერში ლექსის ტექსტი, სათაურით „ალ. ჭავჭავაძისაგან“, „დუგას“ მსგავსად ხელოვნურად აერთიანებს ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ორსტრიქონედებსა და „წერილ ლექსებს“. ასეთი სათაური აქვს ალ. ჭავჭავაძის რამდენიმე პატარა ლექსს. მათში გაერთიანებულია „დუგაში“ შემავალი 5 ორსტრიქონედი (მეოთხე, მეექვსე, მეშვიდე, მერვე, მეცხრე) და კიდევ ალ. ჭავჭავაძის „წერილი ლექსები“ – „რაა სიკვდილი“ და „ეს ცეცხლი რომ მე მეგზნება“. ტექსტი დამახინჯებულია. ჩვენთვის საინტერესო ორსტრიქონედი არც აქ არის.

ლექსი „დუგა“ არც 1881 წელს გამოცემულ ალ. ჭავჭავაძის ლექსთა კრებულშია. ურნალ „ივერიამი“ (1883 წ. №1) მოთავსებულია ალ. ჭავჭავაძის ლექსები, მათ შორის „დუგას“ ორი ორსტრიქონედი: „სოფლის მიმნდობთა...“ და ჩვენთვის საინტერესო „არა ერთხელ სიჭაბუკე...“ სქოლიოში ასეთი სახის შენიშვნაა: „ეს



ლექსები თ. ალ. ჭავჭავაძის გამოგვიგზავნა ჩვენ ბი. მეუნარგიამ შემდეგს წერილით: „ბ-ნო რედაქტორო, გიგზავნით ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსებს. არც ერთი ეს ლექსი არ არის დაბეჭდილი მის ლექსთა კრებაში... ეს ლექსები ვიპოვე მე – ვინ იფიქრებდა ამას – თავ. დავით ერისთავის წიგნებში... ამას შემდეგ არ გამოკვირდება თქვენს რედაქციის პორტფელშია ცი გამოვჩხრიკო დაუბეჭდავი ბარათაშვილი, მივინყებული ჭავჭავაძე“ (ივერია 1883: 100).

მაშასადამე, „დუგას“ შემადგენელი ნაწილები, ხელნაწერებსა თუ ძველ გამოცემებში დაფანტული სახით გაბნეული, ი. გრიშაშვილმა გააერთიანა და საერთო სათაურით „დუგა“ დაბეჭდა ალ. ჭავჭავაძის ლექსთა კრებულში. თვით ტერმინი „დუგა“ ნიშნავს მუსიკალურ მელოდიას, ხმას. სავარაუდებელია, რომ იგი მიუთითებს ლექსის გარკვეულ ფორმაზე. გადავხედოთ მიხეილ თუმანიშვილის ლექსების ძველ გამოცემებს: მიხეილ თუმანიშვილის 1881 წელს გამოცემულ ლექსთა კრებულში არის ლექსი სათაურით „ელეგია“, ეს იგივე ლექსია, რომელიც ჩვენ ვნახეთ მის ავტოგრაფულ ხელნაწერ რვეულში (837). კრებულში სათაურს ქვემოთ მიწერილი აქვს „**გრაფ. რასტოპჩინიძე**“.

უფრო ადრე – 1858 წლის ჟურნალ „ცისკრის“ მეორე ნომერში – არის იგივე ლექსი სხვა სათაურით – „**ზამთრის შემოღამება**“, ქვემოთ მიწერილია „გრაფინა რასტოპჩინიძეან, ავტორი – **მიხეილ თუმანიშვილი**. ე.ი. ეს ლექსი მიხეილ თუმანიშვილის სიცოცხლეშივე დაიბეჭდა (მიხ. თუმანიშვილი გარდაიცვალა 1875 წელს).

ლექსი საკმაოდ ვრცელია. მოგვყავს მისი ტექსტი მთლიანად:

**მიხეილ თუმანიშვილი, „ზამთრის შემოღამება“**

(გრაფინა რასტოპჩინიძეან)

შავმა ნისლმა მზისა შუქი დააბნელა სინყვიადით,  
 შუბლსა გარე კაეშანი მომეხვია ღრუბელივით,  
 არა ერთხელ მეამების ნელი სიო, მზის სინათლე,  
 ვითა მქრალი სხივი მთვარის, ვითა ქარი მოშრიალე,  
 ხშირად ცისა ჩამოღრუბლეა დამაფიქრებს მხიარულსა,  
 ხშირად ბნელი დაღამება მეფინება ნაღვლად გულსა.  
 მაგრამ რისგან შეეჩვივნენ ფიქრნი ჩემნი ესრეთ სევდას?  
 ნუთუ გლოვა ბუნებისა დაალონებს ჩემებრ ყველას?  
 ანუ ესე მიუხვედრი იდუმალი ჭმუნვარება  
 მხოლოდ მე ჩემს საგრძნობელად, მხოლოდ ჩემს გულს ეთვისება?  
 და იქმნება მისთვის გულსა კარი ადრე და-ცა-ეხშო,  
 რომ აქვს მასცა დასავალი და ზამთარი უნუგემო,  
 რომ მთიები იმედისა, რომ ვარსკვლავი სიხარულის  
 ცხოვრებისა გზასა ზედა არა დიდხანს მოგვინათის?  
**არა ერთხელ სიჭაბუკე დაუთრთვილავს სიბერესა,  
 არა ერთხელ ბედის დილა შეუცვლია შავს ღამესა.**

გარნა ვინცა მსვერპლად ჰქმნია სიყვარულსა უიმედოს  
მან გულითა დამტკნარითა ნუთუ ოდეს განიხაროს?

ჩვენს მიერ ხაზგასმული ორი სტრიქონი შესულია ალ. ქავჭავაძის „დეუგას“ შემადგენლობაში ერთ-ერთ (2) ორსტრიქონედად.

ვეძებდით რა ამ ლექსის დედანს, რომელიც ქართულ თარგმანში ორი სათაურით – „ელეგია“ და „ზამთრის შემოღამება“ – არის წარმოდგენილი, ჩვენ ვნახეთ გრაფინია როსტოპჩინას ლექსების ორტომეული; 1857 წლის მეორე გამოცემის მეორე ტომში აღმოჩნდა ლექსი სათაურით „Зимний вечер“.

შედარებამ ცხადყო, რომ მიხეილ თუმანიშვილის „ელეგია“, იგივე „ზამთრის შემოღამება“, სწორედ ამ ლექსის თარგმანს წარმოადგენს. ქართული თარგმანი ჯერ დაბეჭდილა 1858 წ-ს ჟურნალ „ცისკარში“ სათაურით „ზამთრის შემოღამება“, ხოლო შემდგომ, 1881 წელს, მიხეილ თუმანიშვილის ლექსთა კრებულში სათაურით „ელეგია“.

### Зимний вечер

Когда, порой зимы, так рано вечереет,  
И солнце без лучей на западе тускнеет,  
Зачем, зачем так грустно мне?  
Когда природы день так молод умирает,  
И день подложный нам его переживает,  
Зачем печаль встаёт в душе?  
Смотрю как стелются туманы черной мглою,  
Внимаю птиц ночных пронзительному вою,  
И мысли грёзой заменяю,  
Виденья мрачные, тоскующия думы  
Тревожат мой покой беседою угрюмой.  
Уныньем веют на меня.  
Зачем? Какая связь меж сердцем беспокойным  
Кипящем жизнью, и этим дивно стройным,  
Но хладным, мертвым естеством?  
Зачем мечты мои цвет неба отражают?  
Зачем сочувствия мир видимый сдружают  
С неосязаемым умом?  
Иль перст зиждательный всему дает значенье?  
Иль все окрестное есть притча и сравненье  
Прообраз нашего житья?  
Иль это таинство созвучий сокровенных  
В миг посвящения, в час сумерк вдохновенных  
Чутьем души постигла я?  
И может быть, затем так сердце приуныло,

Что есть и у него закатное светило  
И безотрадная зима...  
Что полдень радости и утро упования  
Не долго нам блестят... что всякое сиянье  
Неверно, – как мечта сама?  
**Не раз младую жизнь страдания облекали  
Могильным саваном; нередко ночь печали  
Сменяет счастья красный день...**  
И жертвы тайныя скорбей неизлечимых  
Живут, живут свой век... но в их сердцах томимых  
Вес холод, пустота и тень...  
Когда, порой зимы, так рано вечереет,  
Я за неё грущу, учаством с ней сливаюсь, –  
Мне страшно... страшно за себя!....  
Село Анна, Январь, 1836г. (Ростопчина 1857: 162).

ჩვენ მიერ გახაზულია ლექსის ის ნაწილი, რომელიც შეცდომით შეუტანიათ ალ.ჭავჭავაძის „დუგას“ ერთ-ერთ ორსტრიქონედად. ე.ი. დადგინდა, რომ ალ.ჭავჭავაძის „დუგასში“ შემავალი ორსტრიქონედი მიხეილ თუმანიშვილისეული თარგმანიდან არის ამოღებული.

ისმის კითხვა:

1. როდის თარგმნა მიხეილ თუმანიშვილმა ეს ლექსი?
2. რატომ მიაწერეს აღნიშნული ორსტრიქონედი ალ. ჭავჭავაძეს?

რადგან მიხეილ თუმანიშვილის ორიგინალური თუ ნათარგმნი ლექსები 40-იან წლებამდეა დაწერილი (ამის შემდგომ იგი ძირითადად სამსახურეობრივი საქმიანობით არის დაკავებული სიცოცხლის ბოლომდე), ამავე დროს იმ ავტოგრაფულ ხელნაწერში, (837), რომელშიაც მოთავსებულია ლექსი „ელეგია“, ყველა ლექსი თარიღდება 1838 წლით, ხოლო ლექს „ელეგიას“ გადაწერის თარიღი საერთოდ არ აქვს მითითებული, სავარაუდოა, რომ აღნიშნული ლექსიც იმავე პერიოდშია თარგმნილი და იმავე რვეულშიც ამიტომ არის მოთავსებული. გრაფინია როსტოპჩინას ლექსი „Зимний вечер“ დაუწერია 1836 წელს, როგორც მისი კრებულის გამოცემიდან ჩანს. მაშასადამე, მიხეილ თუმანიშვილს მართლაც შეეძლო ამ პერიოდში ეთარგმნა აღნიშნული ლექსი. რაც შეეხება ამ ლექსის ალ. ჭავჭავაძისთვის მიკუთვნებას, როგორ და რატომ მიაკუთვნეს აღნიშნული ორსტრიქონედი ალ.ჭავჭავაძეს, ამას ერთგვარად ხსნის შემდეგი გარემოება:

ი. გრიშაშვილის ცნობით, „დუგა“ შედგენილია სხვადასხვა ხელნაწერებიდან და ეკატერინე დადიანისეული რვეულებიდან. ეკატერინე დადიანის რვეულები ჩვენ ხელთ არა გვაქვს. საჯარო ბიბლიოთეკის რარიტეტსაცავში არის ეკატერინე დადიანისეული ერთი ალბომი, მაგრამ ჩვენთვის საინტერესო ორსტრიქონედი მასში არ შედის. შესაძლებელია, დასახელებული ორსტრიქონედი იყო ეკა-

ტერინე ჭავჭავაძის რეეულეებში, აქედან ალ. ჭავჭავაძის სხვა ლექსებთან ერთად მოხვდა დავით ერისთავის ნიგნებში, საიდანაც შემდეგ ი. მეუნარგიამ გადაუგზავნა ჟურნალ „ივერიის“ რედაქციას.

იმ ვარაუდის დაშვების შესაძლებლობას, თუ როგორ უნდა მოხვედრილიყო ლექსის ეს ფრაგმენტი ეკატერინე ჭავჭავაძის რეეულეებში, გვაძლევს მიხეილ თუმანიშვილის ბიოგრაფიის ერთი მომენტი: გიმნაზიის წლებში მიხეილ თუმანიშვილი ძალიან დაუმეგობრდა ნიკოლოზ ბარათაშვილს. ისინი იმხანად ხშირად დადიოდნენ წინანდალში, ალ. ჭავჭავაძის სტუმართმოყვარე ოჯახში. „ორივე გატაცებულნი არიან ალ. ჭავჭავაძის ასულით, ეკატერინეთი და სიამოვნებით ისწრაფიან სტუმართმოყვარე წინანდალში. ორივენი ლექსებს წერენ ალბომში – იმ დროის მოდური სენი“.

ცნობილია, აგრეთვე, რომ მიხეილ თუმანიშვილს ეკატერინე ჭავჭავაძეზე დაუწერია ლექსი „თ.კ.ჭ. ალბომზე“, რომელიც გაუმართავი დარჩა. მისი ეს გატაცებაა ნაგულსხმევი ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილში მიხეილ თუმანიშვილისადმი: „მშვიდობით ალაზნის ხეობის მეუღაბნოვე! მაუწყე რაიმე შენი მინაწყლის ქალწულზე“. წერილი თარიღდება 1838 წლის აგვისტოთი. სავარაუდებელია, რომ მიხეილ თუმანიშვილმა მის მიერ თარგმნილი ლექსის ეს ფრაგმენტი ალბომში ჩაუწერა ეკატერინე ჭავჭავაძეს და ამ გზით ის შეცდომით ჩაითვალა ალექსანდრე ჭავჭავაძისეულად.

აქვე შეიძლება აღვნიშნოთ ერთი გარემოება: თითქოს ცოტა უცნაურად გვეჩვენება გრაფინია როსტოპჩინას ლექსებით დაინტერესება იმ პიროვნების მხრიდან, რომელიც კარგად იცნობდა რუსულ და დასავლეთ ევროპის ლიტერატურას, თარგმნიდა პუშკინს, მაგრამ გადავავლეთ რა თვალი იმ პერიოდის რუსულ ლიტერატურას, ვეძიებდით რა ცნობებს გრაფინია როსტოპჩინას შესახებ, მივაკვლიეთ ერთ მეტად საინტერესო კომენტარს დღეისათვის ამ შედარებით ნაკლებად ცნობილი პოეტი ქალის შესახებ. ეს არის ლერმონტოვის თხზულებათა ერთ-ერთი გამოცემის 245-ე გვერდზე გამომცემლის, ირაკლი ანდრონიკოვის, კომენტარი აღნიშნული კრებულის 81-ე გვერდზე მოთავსებული ლექსის – „Графине Ростопчиной“ შესახებ: „Евдокия Петровна Ростопчина, урожденная Сушнова, – известная поэтесса 1830-1840 годов. Она была старше Лермонтова на три года. Познакомились они в Москве, еще в ранней юности. В ту пору Ростопчина разделяла взгляды передовой молодежи и даже написала послание в Сибирь к сосланным декабристам.“

Прошло несколько лет. Лермонтов и Ростопчина встретились в Петербурге и стали часто видеться в салоне Карамзиных. Особенно часто встречались они в последний приезд Лермонтова в столицу – в 1841 году.

Уезжая на Кавказ, Лермонтов подарил Ростопчиной альбом, куда вписал стихотворение «Я верю: под одной звездою...» А через несколько дней после его отъезда вышел в свет сборник стихотворений Ростопчиной, который она отослала поэту с надписью: «Михаилу Юрьевичу Лермонтову в знак удивления к его таланту и дружбы искренней к нему самому».

Книга это уже не застала его в живых» (Лермонтов 1969: 245).

მაშასადამე, რუსულ ლიტერატურას ზიარებული ქართველი საზოგადოება, მთარგმნელობითი მოღვაწეობით გატაცებული ჩვენი პოეტები, პუშკინთან და ლერმონტოვთან ერთად ეცნობოდნენ იმ პერიოდისათვის ცნობილ სხვა პოეტების შემოქმედებასაც, რომელთა შორის, როგორც ირკვევა, გრაფინია როსტოპჩინაც იყო. ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ მიხეილ თუმანიშვილმა თარგმნა ამ პოეტი ქალის ერთ-ერთი ლექსი და მისი ფრაგმენტი ჩაუნერა ეკატერინე ჭავჭავაძეს ალბომში, რის შემდგომ ეს ფრაგმენტი შეცდომით ჩაითვალა ალ.ჭავჭავაძისეულად. ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ შემდეგი:

1. ალ. ჭავჭავაძის „დუგას“ მეორე ორსტრიქონედი არის მთლიანი ლექსის ფრაგმენტი;

2. ეს ფრაგმენტი არ არის ალ. ჭავჭავაძისა, არამედ გრაფინია როსტოპჩინას ლექსის – „ზამთრის შემოღამების“ – მიხეილ თუმანიშვილისეული თარგმანია.

**ვიმედოვნებთ, რომ ალ. ჭავჭავაძის ლექსთა კრებულის შემდეგი გამოცემელი გაითვალისწინებენ ჩვენი კვლევის შედეგს და ლექსის აღნიშნულ ორსტრიქონედს აღარ შეიტანენ ალ. ჭავჭავაძის ლექსთა კრებულში.**

კვლავ რამდენიმე ცნობა პოეტი ქალის, გრაფინია როსტოპჩინას შესახებ, რომელიც მეგობრობდა ლერმონტოვთან და, ალბათ, ამითაც აიხსნება ქართველ პოეტთა ინტერესი მისი პოეზიისადმი. მართალია, ამ პოეტი ქალის შემოქმედებად დროს ვერ გაუძლო, მაგრამ თვით ის ფაქტი, რომ მისი ლექსებით დაინტერესებული იყო ლერმონტოვი, ცხადყოფს, რომ თანამედროვეთა შორის იგი მოწონებით სარგებლობდა. აი, რას წერს ლერმონტოვი 1841 წლის 28 ივნისს პიატიგორსკიდან ბებიას, ე.ა. არსენიევას: „... Напрасно вы мне не послали книгу графини Ростопчиной: пожалуйста, тотчас по получении моего письма пошлите мне ее сюда в Пятигорск“ (Лермонтов 1958: 471).

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის H-1139 ხელნაწერის 12r-ზე არის ყაფლან ვაჩნაძის მიერ თარგმნილი გრაფინია როსტოპჩინას ლექსი. თვით ხელნაწერი წარმოადგენს ყაფლან ვაჩნაძის მიერ თარგმნილ მარკ ტვენის „უკანასკნელი ნუგეზის“ თარგმანს. ყაფლან ვაჩნაძის თარგმანი სუსტია.. ლექსი თავისთავად ინტერესმოკლებულია, გადმოგვცემს პოეტი ქალის მელანქოლიურ განწყობას. ამ შემთხვევაში საგულისხმოა თვით ის ფაქტი, რომ ქართველი საზოგადოება, პუშკინთან და ლერმონტოვთან ერთად, ეცნობოდა რუსული პროზისა თუ პოეზიის არაერთ წარმომადგენელს და მათი თარგმანები ქართველი საზოგადოების ფართო წრეებისათვის მისაწვდომი ხდებოდა.

ლექსთსაძიებელში წარმოდგენილი ნათარგმნი რუსული პოეზია გამოირჩევა თავისი სიუხვითა და მრავალფეროვნებით. ამასთან, ლექსთსაძიებელი წარმოაჩენს ზოგი ლექსის განსაკუთრებულ პოპულარობას. ამის ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ დიდი რუსი პოეტის, გაბრიელ რომანის ძე დერჟავინის ერთ-ერთი ლექსი „ღმერთი“ ან, მეორენაირად – „ოდა ღმერთს“, რომელიც უთარგმნიათ პოეტებს:

მირიან ბატონიშვილს, გიორგი ავალიშვილს, ალ. ჭავჭავაძეს, დიმიტრი მაღალაშვილს, რევაზ ყორჩიბაშს, პეტრე ლარაძეს, იოანე ბაზლიძეს, დავით დადიანს...

როგორც უკვე აღვნიშნეთ, XIX საუკუნის ქართულ ხელნაწერებში შეტანილი ნათარგმნი პოეტური შემოქმედების განხილვისას შეიძლება გამოვყოთ შემდეგი ქვეჯგუფები:

1. ლექსები, რომელთა მთარგმნელიც და ავტორიც ცნობილია;
2. ლექსები, რომელთა მთარგმნელი ცნობილია, ორიგინალის ავტორი კი არაა;
3. ლექსები, რომლებშიაც მხოლოდ ის არის მითითებული, რომ ლექსი რუსულიდან არის თარგმნილი, ავტორი და მთარგმნელი მითითებული არ არის;
4. ლექსები, რომელთა მთარგმნელი აღნიშნავს, რომ მისი თარგმანი არის ამა თუ იმ პოეტის რომელიმე ლექსის მიბაძვა. მაგ.: „მიბაძვა პუშკინისა“, „მიბაძვა ლერმონტოვისა“, უბრალოდ, „რუსული ხმა“.

პირველ შემთხვევაში აღნიშნული ლექსის დედანს ვპოულობთ ავტორის გამოცემებში და ვადარებთ თარგმანს.

მეორე შემთხვევაში ავტორის დადგენა რთულია, ზოგჯერ შეუძლებელიც. მესამე შემთხვევაში ხელნაწერში აღნიშნულია, რომ ლექსი რუსულიდან არის თარგმნილი, მაგრამ ავტორი და მთარგმნელი მითითებული არაა.

მეორე და მესამე შემთხვევაში ლექსის ავტორის დადგენა მხოლოდ მაშინ ხერხდება, თუ ლექსი პოპულარულია, ან თუ სასიმღერო რომანსის სახით არის ცნობილი. მაგალითად, H-253 ხელნაწერის IIr-v-ზე არის ჩანერილი ლექსის ორი სტრიქონი:

„მახსოვს ჟამი სანატრელი,  
როს აღმოჩნდი თვალთა წინა,  
ვით ოცნება საკვირველი,  
ვითა ღმერთი შვენებისა.“

არც მთარგმნელი და არც ავტორი არ არის მითითებული. არის მხოლოდ მინაწერი: „თარგმანი რუსულიდან“.

ჩვენ მიერ დადგენილი იქნა, რომ იგი ა.ს. პუშკინის პოპულარული ლექსის ფრაგმენტს წარმოადგენს. მოვიტანთ ორიგინალის ტექსტსაც:

«Я помню чудное мгновение,  
Передо мной явилась ты,  
Как мимолётное видение,  
Как гений чистой красоты» (Пушкин 1985: 351).

ლექსი ორიგინალში ვრცელია, ხელნაწერში მისი მხოლოდ ფრაგმენტია. ჩვენი ვარაუდით, ლექსი მთლიანად იყო თარგმნილი დღეისათვის ჩვენთვის უცნობი ქართველი პოეტის მიერ, გადამწერმა ხელნაწერში აღნიშნული ლექსის მხოლოდ ერთი სტროფი ჩაწერა; სავარაუდოდ მან ან იმ ხელნაწერთი ისარგებლა, სადაც მთლიანი ლექსი არ იყო მოთავსებული, ან თვითონ ლექსის მხოლოდ ეს ფრაგმენტი იცოდა ზეპირად და რაც ახსოვდა, ის ჩაწერა.

მეოთხე შემთხვევაში მთარგმნელი აღნიშნავს, რომ მისი თარგმანი არის არა ზუსტი, არამედ ორიგინალს მიმსგავსებული. მაგ.: „მიბაძვა პუშკინისა“, „მიბაძვა



ლერმონტოვისა“ და სხვ. ასეთ შემთხვევებში ზოგჯერ თარგმნილი ლექსები ნად შორდება ორიგინალს, რომ მისი მიკვლევა ძნელდება.

ზოგჯერ ხელნაწერში უცნობი პირის მიერ თარგმნილ ლექსს ახლავს გადამწერის მინაწერი: „თარგმანი რუსულის ლექსისა“ (H-101, 113-114). ეს არის XIX საუკუნის ლექსთა კრებული, შესრულებულია სხვადასხვა ხელით. მასში არის ალ. ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანის, გიორგი თუმანიშვილის და სხვათა ორიგინალური და ნათარგმნი ლექსები.

საინტერესოა გიორგი (გიგო) სოლომონის ძე ანდრონიკაშვილის ლექსთა კრებული (Q-30ა). ხელნაწერი XIX-XX საუკუნეებით თარიღდება. მასში ძირითადად წარმოდგენილია გიგო ანდრონიკაშვილის შემოქმედება: ორიგინალური თუ ნათარგმნი. შევჩერდებით ერთ-ერთ ლექსზე, სათაურით „N-ს“, გადამწერის მინაწერია „პუშკინით“ ანუ თარგმანი პუშკინიდან. პუშკინის თხზულებათა გამოცემებში აღნიშნული ლექსი არ აღმოჩნდა. სავარაუდოდ მოვიძიეთ მ.ი. ლერმონტოვის ლექსთა კრებულებშიც. ჩვენი ვარაუდი გამართლდა – ლექსის ორიგინალის ავტორი ლერმონტოვი აღმოჩნდა. შესაძლებელია, მთარგმნელმა ლექსი თარგმნა ზეპირ, ავტორი არ ახსოვდა და შეცდომით პუშკინს მიაწერა. აქვე ვურთავთ ლექსის ქართულ-რუსულ ტექსტს:

Q-30ა, „N-ს“,

„- სხვათ ფერხთ წინ მდგომი არ ვივინყებდი  
შემოხედვასა შენი თვალების,  
სხვათ სიყვარულში ვიტანჯებოდი

სიყვარულითა წარსულთ დღეების,  
ჩემს ფიქრს დემონი, შმაგი მფლობელი,  
ხშირად აღვიძებს მიძველებულსა,  
და ვიმეორებ, მხოლოდ მყოფელი:  
მიყვარს და მიყვარს, ვმონებ მე ერთსა!“

М.Ю. Лермонтов  
«К. Л. » –  
(Подражание Байрону)  
У ног других не забывал  
Я взор твоих очей,

Любя других, я лишь страдал  
Любовью прежних дней;  
Так память, демон – властелин,  
Всё будит старину,  
И я твержу один, один:  
Люблю, люблю одну  
(Лермонтов 1957: 194).

დედანში მიძღვნას მთარგმნელი ცვლის ზოგადი მიძღვნით „N....ს“. ამავე ხელნაწერში არის გიგო ანდრონიკაშვილის სხვა თარგმანებიც, როგორც პოეტური, ასევე პროზაულიც.

H-2130 ხელნაწერის 74v-75r-ზე არის გრიგოლ ბატონისშვილის მიერ რუსულიდან თარგმნილი ლექსი, ორიგინალის ავტორი უცნობია:

„გულ ფიცხელი მმუხანათობს  
ტარის იქმნა გარდარევით...“

ხელნაწერის მინაწერში ვკითხულობთ: „ეს ქუემო ლექსი რუსულს წიგნში ეწერა და მე მეფის ძის ძემ გრიგოლმა გადმოვთარგმნე რუსულიდამ ქართულად ისევ ლექსად პეტერბურხსა შინა“ (75 r).

ხელნაწერში ზოგჯერ მითითებული არ არის არც მთარგმნელი და არც ორიგინალის ავტორი. მაგ. H-3146 ხელნაწერის 2r-ზე არის ლექსი:

„ვარდის ბალსა მე შევალ შენსა,  
ჩემო სატრფოო, ტურფავ...“

მინაწერში ვკითხულობთ: „ფრანციულიდან გარდმოღებული 1838, მარტის 8-ს, ილორი“. მხოლოდ ამ მონაცემებით დღეისათვის ვერ მოვიძიეთ ვერც მთარგმნელი და ვერც ორიგინალის ავტორი. ეს შემდგომი კვლევის საგანია. ერთი რამ ცხადია: რადგან მთარგმნელს ფრანგულიდან უთარგმნია აღნიშნული ლექსი, იგი განათლებული პიროვნება და წარმომავლობით მაღალი წრის საზოგადოებიდან უნდა ყოფილიყო.

ლექსთსაძიებელში გ. დერჟავინის ლექსის თარგმანია უსათაუროდ:

„მე ვიყავ მკვირცხლი ყრმა კაცი

მოყვარე ნადირობისა“.... (ხეც., S-3686: 175-176).

ლექსის ბოლოს მიწერილია: „ეს ლექსი მათის უგანათლებულესობის მგერელთა მთავრის დადიანის ძის გრიგოლის მიერ ნათარგმნი და გალექსილი დერჟავინის ლექსებიდამ. წარსულს კვირაში რომ ვახლდი თქვენს უგანათლებულესობას, ქაღალდები კი ვეღარ მოვიგონე თან წამომეღო და ზეპირ რაც მომაგონდა, ეს თქვენს მიერ გარდმოღებული და გალექსული. თქვენი ბიძა მეფის ძე თეიმურაზ. 1837წ. დავსწერე და მოგართვი სანკტ-პეტერბურგს“.

ძველ ქართულ ხელნაწერებში გვხვდება დღეისათვის უცნობ პოეტთა ლექსების თარგმანებიც. ასეთებია: ე.სერებრიაკოვი (S-3710), ი. ზუბალოვი (S-5278), ი. მურატოვი (S-303a), ე. კოლუბინსკი (S-2592), პ. ა. ოპოჩინინი.<sup>3</sup>

ლექსთსაძიებელში წარმოდგენილი ქართველ პოეტთა მთარგმნელობითი მოღვაწეობის ამსახველი მასალის სიუხვის გამო წინამდებარე ნაშრომში მათი ღვაწლის მხოლოდ მცირე ნაწილია განხილული. მთელი ამ მასალის სრულად წარმოჩენა მაღლიერი შთამომავლობის ვალია. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ერის კულტურის დონე, მისი გემოვნება, ვლინდება არამარტო მისსავე წიაღში აღმოცენებულ ლიტერატურულ ნაწარმოებებში, არამედ ნათარგმნ ლიტერატურაშიც, რადგან ხალხის ინტერესები რამდენადმე განაპირობებს ნათარგმნი ლიტერატურის რაობას. ამ შემთხვევაში ხდება ხალხებს შორის ურთიერთგაველენაც. ნათარგმნი ლიტერატურა თავისებურ გავლენას ახდენს ამა თუ იმ ერის სულიერ კულტურაზე, აფართოებს მის მსოფლმხედველობას, ზრდის ხალხში განათლების დონეს. ამიტომ ძველ ქართველ პოეტთა მთარგმნელობითი მოღვაწეობის აღნუსხვა საინტერესო და საჭიროა როგორც ძველი ქართული პოეტური მემკვიდრეობის მკვლევართათვის, ასევე, ძველი ქართული პოეზიით დაინტერესებული მკითხველისათვისაც.

<sup>3</sup> ოპოჩინინი პეტრე ალექსეის ძე (1853-1907), რუსი პოეტი, ჟურნალისტი. დედა ჰყავდა ქართველი – ჯამბაკურ-ორბელიანი (Хоперия 1972).

## გამოყენებული ლიტერატურა

1. აბაშიძე 1901: აბაშიძე გ., თხზულებანი, №16 ქუთ., 1901.
2. გრიშაშვილი 1952: გრიშაშვილი ი., ლიტერატურული ნარკვევები, თბ., 1952.
3. გურიელი 1897: გურიელი მ., თხზულებანი მამია გურიელისა (მ. ფაზელისა), ქუთ., 1897.
4. ერისთავი 1936: ერისთავი გ., თხზულებანი, შ. რადიანისა და ი. ბალახაშვილის რედაქციით, ტფ., 1936.
5. თუმანიშვილი 1881: თუმანიშვილი მ., ლექსთა კრებული, თბ., 1881.
6. კეკელიძე 1957: კეკელიძე კ., ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. V, თბ., 1957.
7. ორბელიანი 1959: ორბელიანი გ., თხზულებათა სრული კრებული, აკ. განაჩიშვილის და ჯ. ჭუმბურიძის შესავალი წერილებით, რედაქციითა და შენიშვნებით, თბ., 1959.
8. ორბელიანი 1884: ორბელიანი ვ., ლექსები, 1884.
9. რუხაძე 1960: რუხაძე ტ., ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან, XVI-XVIII სს., თბ., 1960.
10. ქვარიანი 1901: ქვარიანი ს., სუმბული, ყვარ., 1901.
11. ჭავჭავაძე 1940: ჭავჭავაძე ალ., თხზულებანი, ი. გრიშაშვილის რედაქციით, წინათქმით, შენიშვნებითა და ლექსიკონით, თბ., 1940.
12. ჭავჭავაძე 1949: ჭავჭავაძე ალ., ლექსები, თბ., 1949.
13. ხელთუბნელი 1938: ხელთუბნელი მ., მიხეილ თუმანიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა, თბ., 1938.
14. პუშკინი 1938: პუშკინი ალ., კრებული – პუშკინი საქართველოში, თბ., 1938.
15. თბილისის უწყებანი 1830: გაზ. „თბილისის უწყებანი“, №2, ტფ., 1830.
16. ცისკარი 1858: ჟურნ. „ცისკარი“, №2, ტფ., 1858.
17. ივერია 1883: ჟურნ. „ივერია“, №1, ტფ., 1883.
18. ხეც, A-1284: კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, A-1284:
19. ხეც, S-3686: კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, S-3686:
20. Берков 1946: Берков П.Н., Грибоедов и Грузия. Вестник ленинградского университета, №3, 1946.
21. Дондуа 1926: Дондуа К., Пушкин в грузинской литературе, сборник: «Пушкин в мировой литературе», 1926.
22. Лермонтов 1957: Лермонтов М. Ю., Собрание сочинении, т. I, 1957.
23. Лермонтов 1958: Лермонтов М. Ю., Собрание сочинении, Проза, письма, т. IV, 1958.
24. Лермонтов 1969: Лермонтов М. Ю., стихотворения и поэмы, Комментарий И. Андроникова, Башкирское книжное издательство, 1969.
25. Пушкин 1985: Пушкин А.С., сочинения в трёх томах, т. I, II, 1985.
26. Ростопчина 1857: Графиня Ростопчина, стихотворения, изд. второе, т.2, Санкт-Петербург, 1857.
27. Хоперия И. 1972: Хоперия И., Об одном забытом стихотворении, журнал «Вопросы литературы», №2, 1972.

**Ia Gachechiladze**

**GEORGIAN POETS AS TRANSLATORS IN OLD GEORGIA ACCORDING  
TO THE DATA OF THE MANUSCRIPTS HOUSED AT THE NATIONAL  
CENTRE OF MANUSCRIPTS**

**SUMMARY**

In the 16<sup>th</sup>-18<sup>th</sup> centuries political links between Russia and Georgia become stronger which results in reciprocal cultural relationships. Russian writers use widely Georgian folklore, historical sources, legends. On the other hand, Georgian writers get acquainted with Russian literature, they actively do translations. They translate both Russian and West European literature that is introduced through Russia.

The article deals with the translating activity of Georgian poets of the Renaissance period.

The author of the original is not sometimes alluded to in the manuscript or is mentioned in a wrong way. This work is an attempt to identify the right author and present corresponding Russian-Georgian text, too.

Due to the abundance of the material depicting Georgian poets' activities, only a part of the works is presented.

დარეჯან კლდიაშვილი

## სვეტის უდაბნოს სულთა მატინაე\*

დევი ბერძენიშვილი თავის რეცენზიას ჩემს სადოქტორო ნაშრომზე „ქართული სულთა მატინაეები“ ასრულებდა ამერიკელი მწერლის, რობერტ პენ უორენის სიტყვებით: „არაფერი არ იკარგება, არაფერი არასდროს, და ყველა დრონი ერთი დროა; ყველა მათ, გარდაცვლილთ წარსულში, არ უცხოვრიათ, ვიდრე მათი დახასიათებით ჩვენ არ მივეცით იმათ სიცოცხლე. და თვალები მათი გვიხმობენ უკუნეთიდან. აი, რის გვეჯერა ისტორიკოსებს. და გვეჯერა ჩვენ ქეშმარიტება“. ყოველივე ეს მით უფრო შეიძლება თქმულიყო თავად საისტორიო მეცნიერებაზე, რომელსაც მან მთელი თავისი ცხოვრება მიუძღვნა.

ეს წერილი ნაკლებად ცნობილ და უკვე არარსებულ სვეტის უდაბნოს და მისი ისტორიის აღდგენის ცდას წარმოადგენს – იგი დევი ბერძენიშვილის გარდაცვალების შემდგომ დაინერა და მას ეძღვნება.

სვეტის უდაბნოსა და ერთ დროს იქ დაცული ხელნაწერების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა; დიდი ხნის განმავლობაში არც თავად სვეტის ადგილმდებარეობა იყო ზუსტად განსაზღვრული.

შავშეთის სვეტს უკავშირდება 1028 წელს ბაგრატ IV-ისაგან განდგომილი ტაოელი აზნაურების ბიზანტიაში გადასვლა და მტბევარი ეპისკოპოსის, საბას მიერ იმპერატორ კონსტანტინე VIII-ის მიერ გამოგზავნილი ბიზანტიელების ლაშქრის შესაჩერებლად ტბეთის კათედრალის მახლობლად „სვეტის“ სახელზე სიმაგრის აშენება და კლარჯეთის ათორმეტ უდაბნოს არქიმანდრიტთან, ანჩელ ეპისკოპოსს ეზრასთან ერთად იქ ერთი გამაგრება. სუმბატ დავითის ძის ცნობით, მტბევარმა სიმაგრე ააგო „მახლობლად ტბეთის ეკლესიისა და სახელსდგა მას სვეტი, და შეკრიბა მაშინ მან ერი თვისი, და შევიდეს მას შინა თუთ საბა მტბევარ-ეპისკოპოსი და ეზრა ანჩელ-ეპისკოპოსი და შავშეთის აზნაურნი“ (სუმბატ დავითის ძე 1949: 72-73; სუმბატ დავითის ძე 1955: 386).

სვეტის უდაბნო სამეცნიერო ლიტერატურაში ბოლო ხანებამდე გ. ყაზბეგის მიერ ტბეთის ეკლესიის ჩრდილოეთით სოფელ ციხისძირთან არსებულ სვეტისე-

\* ნაკითხულ იქნა დევი ბერძენიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში 2014 წლის 8 დეკემბერს.

ბურ მთასთან და იქ არსებულ ნანგრევების ნაშთებთან იყო გაიგივებული. მას სვეტის უდაბნოსთან აიგივებდნენ და იქ დაცულ ხელნაწერებს აკუთვნებდნენ ე. თაყაიშვილი, მ. ჯანაშვილი, ს. კაკაბაძე, პ. ინგოროყვა და სხვ. (Kaznec 1876: 52-55; თაყაიშვილი 1907: 120-122; ჯანაშვილი 1913; კაკაბაძე 1928: 76-78; ინგოროყვა 1965: 72-73; შათირიშვილი 2010: 402-407). შავშეთში ტბეთის მიმდებარედ უდაბნო-მონასტერის არსებობა ნაკლებ მოსალოდნელია, თუნდაც იმიტომ, რომ საბა მტბევეარის მიერ აგებული სვეტი იყო სიმაგრე და არა მონასტერი. რაც შეეხება სვეტის ციხეს, უკანასკნელ წლებში ჩატარებული სამეცნიერო ექსპედიციების დროს ციხის ნანგრევები დაფიქსირებულ იქნა ტბეთის ჩრდილოეთით აღმართული სვეტისებრი მთისა და სოფელ ციხისძირის (თანამედროვე ქაიადიბი) მიდამოებში (ბერძენიშვილი 2009: 75-76; სამუშია 2008: 115-121; სამუშია 2015: 143-153; ხუციშვილი... 2004: რუკა).

ჯერ კიდევ XIX საუკუნის დამლევს, შავშეთ-კლარჯეთსა და აჭარაში მოწყობილი ექსპედიციის დროს (1888 წ.), პ. უვაროვას და ა. პავლინოვის მიერ სვეტის უდაბნო გაიგივებულ იქნა ქ. ართვინის მახლობლად, ნიგალის ხეობაში, ჭოროხის მარჯვენა ნაპირზე, სოფელ სვეტში (თურქეთი, ართვინის ვილაიეთის სოფელი Vezir Köy) მდგარ ეკლესიებთან (Павлинов 1893: 60-62; Уварова 1891: 309-310). იმავე ხანებში, 1889 წელს დ. ბაქრაძისადმი გრიგოლ გურიელის (1819-1891) მიერ მინერილი წერილიდან ვიგებთ, რომ ადგილობრივი მოსახლის, ისმეილ-ალა შაშიკაშვილის (შაშა-ზადე) ინფორმაციით, ჭოროხის პირზე სვეტის სახელით ცნობილ სოფელში „დიდი ეკლესია ყოფილა და ხალხი იმ ეკლესიასაც დიდ პატივს სცემდა, ძველად თურმე და ეხლახან თათრები ხანდისხან დადიან სანახავად. აქ ძველად ართვინის ქალაქი ყოფილა“ (დიასამიძე 2009-2010: 211-213).<sup>2</sup>

სოფელ სვეტში მდგარი ერთ-ერთი ეკლესია, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში შუა უზნის ნიგალის ბაზილიკის სახელითაა ცნობილი, დღეისათვის მხოლოდ უმნიშვნელო ნანგრევების სახითაა მოღწეული. ამ სამნავიან ბაზილიკას არქიტექტურის მკვლევრები X საუკუნის პირველი ნახევრით ათარიღებენ (ტიერი 1989: 140; ბერიძე 1981: 170-171; ხოშტარია 2005: 214-216). მეორე, ადგილობრივ მოსახლეობაში ქაფიზი-ქილისედ (თურქ. Kapisi-Kilise – ბჭის ანუ კარის ეკლესია) წოდებული ეკლესია, ნიგალის ეკლესიიდან ერთი კილომეტრის დაშორებით მდებარეობდა. სრულიად გამორჩეული, რთული აღნაგობის, ტეტრაკონქის უგუმბათო ტიპის ეკლესიიდან და იქვე მდგარი რამდენიმე სართულიანი შიდა კიბეებით დაკავშირებული მართკუთხა კოშკიდან დღეისათვის აღარაფერია დარჩენილი; შემორჩა მხოლოდ 1888 წლის ექსპედიციის დროს ა. პავლინოვის მიერ შესრულებული კომპლექსის აღწერილობა, კოშკის სქემატური გეგმა, ჭრილები, ნახაზი და ერთი ფოტოსურათი, აგრეთვე, პრ. უვაროვას მოკლე აღწერა. ა. პავლინოვის აღწერით, ეკლესია მოხატული ყოფილა,

<sup>2</sup> ი. სიხარულიძის დაზუსტებით, სოფელი სვეტი ხევის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს (სიხარულიძე 1985: 24).





სვეტის კარის ეკლესია და კოშკი. 1888 წ.

ხოლო საკურთხევის წინ მდგარა კანკელი (Павлинов 1893: 60-62). დ. ხოშტარიას მოსაზრებით, სვეტის ბჭის ეკლესიის სავარაუდო თარიღი X საუკუნის შუა ხანებით შეიძლება განისაზღვროს; რაც შეეხება კოშკს, ის ნაკლებად ჰგავს დაყუდებული ბერის ადგილსამყოფელს და უფრო თავდაცვითი ნაგებობა უნდა ყოფილიყო (ხოშტარია 2005: 213-220).

ნიგალში, ართვინის მახლობლად, სოფელ სვეტში მდგარ სამონასტრო კომპლექსს, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ადრეული ხანიდან მოკიდებული მნიშვნელოვანი როლი უნდა შეესრულებინა როგორც მხარის, ისე, ზოგადად, საქართველოს ისტორიაში.



ნიგალის//ლიგანის ხეობისა და ართვინის მდებარეობას ბატონიშვილი ვახუშტი შემდეგნაირად განსაზღვრავდა: „*ართვანის სანახებიითურთ, ვიდრე ერგეს ზღვრამდე, ჭოროხის ჴეობის იმიერი და ამიერი იწოდების ლიგანის ჴეობად*“, ხოლო „*შავშეთის მდინარის შესართავს ზეით ჭოროხს მოერთვის დასავლეთი-დამ ისპირის მდინარე, წოდებული ჭოროხადევე, და ამა ისპირის მდინარის შესართავს ზეით, ჭოროხის მდინარის აღმოსავლით კიდებუდ არს ართვანი, ქალაქი მცირე*“ (ბატონიშვილი ვახუშტი 1973: 680). ბუნებრივი ქედებით შემოსაზღვრული ჭოროხისა და მასში შემავალი ხეობების ეს მონაკვეთი ვიწრო კლდოვანი გასასვლელითა და შავშეთ-კლარჯეთ-ტაოსკენ გამავალი გზებით, ადრეული ხანიდან მოკიდებული, შემოსეული მტრის წინააღმდეგ ბუნებრივ თავდაცვით ზღუდეს ქმნიდა და სტრატეგიულ-პოლიტიკური თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. ვახუშტი ბატონიშვილისავე აღწერით,



ХРАМЪ ВЪ СВЕТИ.

Рисунки по А-В.

ПЛАНЪ ХРАМА ВЪ СВЕТИ.



სვეტის კარის ეკლესია. ფასადი, ჭრილები და გეგმა  
(ა. პავლინოვის მიხედვით)

შავშეთს აღმოსავლეთით ესაზღვრებოდა არსიანის მთა, კლარჯეთიდან მასზე გარდამავლი გზებით – ერუშეთის, ფოცხოვის და ზარზმა-ყველის მიმართულ-ბით, ხოლო სამხრეთით „კლდე არტანუჯისა და შავშეთს შორისი, ვითარცა კედელი, რომელი ჩამოვალს არსიანის მთიდან დასავლეთად, ვიდრე კინლა ჭოროხამდე, და განვლის მას კლდესა შინა გზა, ვითარცა კარი, და თვნიერ მისა არს გზა; დასავლით მთა შავშეთისა, შავშეთს და ჭოროხს შორისი; ჩრდილოთ მთა, არსიანიდან ჩამოსული დასავლით ჭოროხამდე“ (ბატონიშვილი ვახუშტი 1973: 179). ვახუშტი ბატონიშვილის ამ განსაზღვრებასთან დაკავშირებით, ა. პავლინოვი შენიშნავდა, რომ შავშეთის სამხრეთით არსებული კლდე, როგორც „კედელი“ ჰყოფს არტანუჯს და შავშეთს და მიემართება არსიანის მთის დასავლეთით ჭოროხამდე; იგი ჭოროხის კანიონის გასწვრივ არსებულ გზას, როგორც ერთადერთ შემავალ „კარს“ კლარჯეთსა და შავშეთში, ართვინის მახლობლად, ჭოროხის ხეობის მარჯვენა ნაპირზე, სვეტში მდგარ კოშკით გამაგრებულ იმ ეკლესიასთან აიგივებდა, რომელიც ადგილობრივთა მეხსიერებაში ჯერ კიდევ შემონახული იყო კარის ეკლესიის სახელით (Павлинов 1893: 60).

IX საუკუნის 20-30-იან წლებში ბაგრატიონთა ტაო-კლარჯეთის სამთავროს ფუძემდებელი, აშოტ კურაპალატი, რომელიც არაბ დამპყრობთა წინააღმდეგ ჯარის შესაგროვებლად ნიგალში იმყოფებოდა, არაბთა მიერ შელტოლვილ იქმნა იქ არსებულ ეკლესიაში 826 წლის 29 იანვარს და მოკლულ იქნა მისივე ქვეშევრდომების, ოროზ-მოროზის ძეთა მიერ. კურაპალატის მკვლელობის ამბავი ვრცლად აქვს გადმოცემული სუმბატ დავითის ძეს. მისი ცნობით, სარკინოზთაგან დევნილი აშოტი „მოინია ჴევსა ნიგალისასა, და იწყო ძებნად ერისა, რაათამცა ვითა განიმრავლა ლაშქარი თვისი, და წარმოემართნეს მოსვლად მის წინაშე იგინი, რომელთა მან უბრძანა, ხოლო იგინი მოვიდეს კვალად მისსა. მაშინ ვიდრე მოწვენამდე მათდა კარად მისსა არა უწყოდა აშოტ ზაკუა [მათი], და არა ჰყვა მას ერი თვისი, თვნიერ მცირედთასა. ვერ წინა-აღუდგებოდა იგი მათ, ამისთვისცა შეივლტოდა აშოტ კურაპალატი ეკლესიად, და მოწყლეს იგი მახვლითა საკურთხეველსა ზედა, და შეისუარა საკურთხეველი იგი სისხლითა მისითა, რამეთუ დაკლეს იგი მუნ, ვითარცა ცხოვარი აღსავალსა საკურთხეველისასა და სისხლი მისი დანთხეული დღესცა საჩინოდ სახილველ არს“. ნიშანდობლივია, რომ მკვლელობის მომენტში აშოტს მისი „ერი“ არტანუჯისწყლის და იმერხევის შესართავთან, დოლისყანაში (თურქეთი, ართვინის ვილაიეთის სოფელი Hamamli Köy)<sup>3</sup> ელოდებოდა. ისინი მკვლელებს დასწევინ „სავანეთა ზედა ჭოროხისასა, მოსრნეს იგინი ბოროტად, ვიდრემდის არა დაუშთა ერთი მათგანი, ხოლო წარმოიღეს მკუდარი აშოტ კურატპალატი“ და „დაფლეს მისსა

<sup>3</sup> 826 წლისთვის დოლისყანაში ეკლესია ჯერ კიდევ არ იდგა, მონასტერი იქ მოგვიანებით, 850-950 წლებს შორის უნდა აეგოთ (ხოშტარია 2005: 111).

მას საფლავსა შინა, ციხესა არტანუჯისასა, ეკლესიასა წმიდათა მოციქულთასა (სუმბატ დავითის ძე 1949: 62-63; სუმბატ დავითის ძე 1955: 377).<sup>4</sup>

ნიგალისხევის იმ სოფლის სახელს, რომლის ეკლესიაშიც აშოტ კურაპალატი მოკლეს, სუმბატ დავითის ძე არ ასახელებს, თუმცა, მისი ცნობის თანახმად, ეკლესია ნიგალის ხეობის შესასვლელში, ართვინის მახლობლად, ჭოროხის ნაპირზე („კარად მისსა“) მდებარეობდა.<sup>5</sup> ამ ადგილას ეკლესიის არსებობა, IX საუკუნის 20-იანი წლებიდან მოკიდებული XI საუკუნის 20-იანი წლების ჩათვლით, სუმბატ დავითის ძის მიერ დადასტურებული ფაქტია – მისი აღნიშვნით, ნიგალის ეკლესიის საკურთხეველში დანთხეული აშოტის სისხლი მის დროსაც „საჩინოდ სახილველ“ იყო. ვფიქრობ, ეს ეკლესია უნდა მდგარიყო ჭოროხის მარჯვენა ნაპირზე, იმ ადგილას, რომელიც შემდგომ ხანებში სვეტად იქნა სახელდებული. ნიშანდობლივია, რომ ამ ადგილს და იქ მდგარ კარის ეკლესიას თავის დროზე ა. პავლინოვი ანიჭებდა იმ ციტადელის ანუ კარის მნიშვნელობას, რომელზედაც გადიოდა გზა შავშეთისა და კლარჯეთისაკენ.

მეორე ეპიზოდი, რომელიც ასევე ნიგალის სვეტის სამონასტრო კომპლექსთან არის დაკავშირებული, ამ უდაბნოს წიგნთსაცავის კუთვნილ, X საუკუნის პირველი ნახევრით დათარიღებულ მეტაფრასულ კრებულს უკავშირდება. მისი მომგებელი, მამამთავარი სტეფანე ს. კაკაბაძის მიერ გურგენ კურაპალატის ძის, ერისთავთ-ერისთავ აშოტ კუხის († 918) მიერ აგებული ტბეთის კათედრალის პირველ მტბევარ ეპისკოპოს სტეფანესთან არის გაიგივებული, ხოლო ხელნაწერი – 915-930 წლებით დათარიღებული (კაკაბაძე 1928: 77-78). კრებული თავიდანვე სვეტის უდაბნოსთვის იქნა გადაწესებული თუ შემდგომ შეწერილი, ანდერძში მითითებული არაა, თუმცა, მოგვიანო ხანის მინაწერებით ეს ხელნაწერი საუკუნეთა განმავლობაში სვეტს ეკუთვნოდა. ხელნაწერის მომგებელი სტეფანე მამამთავარი, იგივე მტბევარი, ცნობილი თავისი ლიტერატურული მოღვაწეობით, იყო ავტორი აშოტ კუხის დაკვეთით 914-918 წლებში დანერგილი ანტიარაბული ხასიათის აგიოგრაფიული თხზულებისა „წამებაჲ წმიდისა მონამისა გობრონისი“, რომელშიც აბულ-კასიმის 914 წლის შემოსევისას არაბი დამპყრობლების წინააღმდეგ ყველის ციხის მეციხოვნეთა თავგანწირული ბრძოლის ამბავს ეხება. აქედან გამომდინარე, სავსებით ბუნებრივია, რომ სტეფანე მტბევარის მიერ მოგებული ხელნაწერი სწორედ ნიგალის

<sup>4</sup> აშოტ კურაპალატის მოკვლევისა და მისი ძეების გამეფების ამბავი კონსტანტინოპოლიდან მომავალი წმ. გრიგოლ ხანცთელისათვის ტაოში შეუტყჷობნიებიათ (გიორგი მერჩულე 1963: 264).

<sup>5</sup> სუმბატ დავითის ძის ცნობას აშოტ კურაპალატის მკვლელობის შესახებ დამახინჯებით გადმოგვცემენ „მატიანე ქართლისა“ და ვახუშტი ბატონიშვილი. „მატიანე ქართლისა“-ში კურაპალატის მკვლელობის ადგილად მითითებულია გარდაბანის ეკლესია (მატიანე ქართლისა 1955: 253), ხოლო ვახუშტის თანახმად, ნიგალს ლტოლვილ აშოტს „მოუდგნენ სარკინოზნი კულასა (და არა კარად – დ. კ.)“ და არტანუჯის ციხეში შელტოლვილი მოკლულ იქნა პეტრე-პავლეს ეკლესიაში (ბატონიშვილი ვახუშტი 1973: 129).

იმ ეკლესიისთვის შეენირათ, რომლის საკურთხეველშიც არაბთა მიერ მოწვეული მკვლევების მიერ მოკლულ იქნა აშოტ კურაპალატი, თავად წმ. გრიგოლ ხანცთელის შეფასებით, – „სიმტკიცე ეკლესიათა და ზღუდე ქრისტიანეთა“. წმ. გრიგოლის გარდაცვალებიდან ცხრა ათეული წლის შემდეგ, გიორგი მერჩულე დიდი ბაგრატიონიანი კურაპალატის და ქართველთა მეფის შესახებ ასევე აღნიშნავდა, რომ სწორედ აშოტის მიერ „დაემტკიცა ქართველთა ზედა მთავრობამ მისი და შვილთა მისთა“ (გიორგი მერჩულე 1963: 258, 262, 264); ხოლო X საუკუნის დასაწყისში ერისთავთ-ერისთავ აშოტ კუხის მიერ შევსებულ აშენებული ტბეთის კათედრალის პირველ ეპისკოპოსს და სვეტში დაცული მეტაფრასული კრებულის მომგებელს, სტეფანე მტბევარს ასახელებდა მათ შორის, რომელთაც ხელეწიფებოდათ წმ. გრიგოლ ხანცთელის ცხოვრების დანერა (გიორგი მერჩულე 1963: 294).

ყოველივე ამის საფუძველზე ეჭვს არ უნდა იწვევდეს, რომ სტეფანე მტბევარის მიერ მოგებული და შემდგომ ხანებში სვეტის უდაბნოში დაცული წმინდანთა ცხოვრება ეკუთვნოდა ნიგალის იმ ეკლესიას, სადაც არაბთაგან ნიგალელთა მოსყიდული ჯგუფის მიერ მოკლულ იქნა აშოტ კურაპალატი, ამ მხარეში წმ. გრიგოლ ხანცთელის (759-861) მიერ წამოწყებული სამონასტრო აღმშენებლობის მხარდამჭერი, ხანცთის ახალი ეკლესიის მაშენებელი და შატბერდის ადგილის აგარაკად შემწირველი. როგორც უკვე აღვნიშნე აშოტ კურაპალატის მკვლელობის მომენტში, 826 წლისათვის ეკლესია ნიგალში უკვე იდგა. ნიგალის ეს ეკლესია, სავარაუდოდ, უნდა ყოფილიყო სოფელ სვეტის შუა უბანში მდგარი ბაზილიკა, რომლის აშენებაც წმ. გრიგოლ ხანცთელის მიერ IX საუკუნის პირველ მეოთხედში კლარჯეთში წამოწყებულ ინტენსიურ სამონასტრო მშენებლობას უნდა უკავშირდებოდეს. არქიტექტურის ისტორიის მკვლევართა მიერ სვეტში მდგარი ნიგალის სახელით ცნობილი სამნავიანი ბაზილიკა X საუკუნის პირველი ნახევრითაა დათარიღებული, თუმცა იმასაც აღნიშნავენ, რომ გეგმის პროპორციებითა და საერთო კომპოზიციით ქრონოლოგიურად ის უფრო ახლო დგას როგორც IX საუკუნის, ასევე X საუკუნის დასაწყისის სამხრეთ საქართველოს ზოგიერთ სხვა ბაზილიკურ ნაგებობასთან (ქვაბისხევი, ნუკა-საყდარი, პარეზი, სათლე, ესბეკი) (Thierry 1989: 140; Беридзе 1981: 170-171; ხოშტარია 2005: 214-216). ამდენად, ძეგლის არქიტექტურული მონაცემები ხელს არ უშლის იმას, რომ სვეტის ბაზილიკა IX საუკუნის პირველი მეოთხედით დათარიღდეს და გაიგივებულ იქნეს ნიგალის იმ ეკლესიასთან, რომელშიც 826 წელს მოკლულ იქნა არაბთაგან შელტოლვილი აშოტ კურაპალატი.

რაც შეეხება ნიგალის ბაზილიკის ზემოთ, ერთი კილომეტრის დაშორებით არსებულ ეკლესიას და კოშკს, მის თარიღს, არქიტექტურული მონაცემების გათვალისწინებით, X საუკუნის შუა ხანებით განსაზღვრავენ; ადგილობრივთა შორის სოფელ სვეტში მდგარი, ამჟამად უკვე ძირფესვიანად დანგრეული ეს ეკლესია

ქაფიზი-ქილესედ ანუ კარის ეკლესიად იწოდებოდა.<sup>6</sup> მიუხედავად იმისა, რომ ამ მხარის ძველი ქართული ტოპონიმების უდიდესი ნაწილი დაიკარგა, მათი ნაწილი მაინც შემოინახა წერილობითმა წყაროებმა და მოსახლეობამ. სოფლის სახელი „სვეტი“ და ადგილობრივთა მიერ იქ მდგარი ეკლესიის სახელდება „კარის“ ანუ ბჭის ეკლესიად აშკარა კავშირში უნდა იყოს როგორც სუმატა დავითის ძის ქრონიკაში დასახელებულ ნიგალის ხეობის „კარად“ მდგარ ეკლესიასთან, ისე საბა მტბევარის მიერ ტბეთის მახლობლად აგებულ სვეტის სიმაგრესთან და იმ პერიოდის პოლიტიკურ მოვლენებთან. მიჩნეულია, რომ საქართველოში „სვეტს“ რამდენიმე-სართულიან კოშკს უწოდებდნენ, სადაც თითოეული სართული დათმობილი ჰქონდა სამლოცველოს, სენაკს და სამეურნეო სათავსს (ათონის ივერთა მონასტერში წმ. ფეთქმესელი ბურლო (კოშკი), უბისი, მარტვილი, მარტყოფი, რკონი, დავით გარეჯის ლავრა და სხვ.) (რჩეულიშვილი 1959: 230; გაგოშიძე 2012: 130). საეკლესიო წრეებში „სვეტი“ საყდართან ან მონასტერთან არსებულ სიმაგრის აღსანიშნავადაც იხმარებოდა (კაკაბაძე 1928: 76-78). ამდენად, მონასტრთან აგებული კოშკი ქართულ ხუროთმოძღვრებაში თავდაცვით დანიშნულებასთან ერთად ხშირად კულტის მსახურების (მარტომყოფი ბერების) მუდმივი საცხოვრებლის და სკრიპტორიუმის ფუნქციასაც ითავსებდა. იგივე დანიშნულება უნდა ჰქონოდა სვეტის კოშკსაც.

თუ როდის და ვის მიერ აიგო ნიგალის კარის ეკლესია ან როდის ეწოდა მას სვეტი, ძნელი სათქმელია. ვ. ბერიძე იქ კარის ეკლესიის აგების დროს X საუკუნის პირველი ნახევარით განსაზღვრავს (Беридзе 1981: 170-171), დ. ხოშტარია – X საუკუნის შუახანებით (ხოშტარია 2005: 230). X საუკუნის შუახანები სწორედ ის პერიოდი, როცა ბაგრატიონთა სახლის პატრონაჟით ინტენსიური საეკლესიო მშენებლობა მიმდინარეობს შავშეთ-კლარჯეთსა და ტაოში, როცა ადარნასე ქართველთა მეფის მეგვიდრეების დროს, აშოტის კურაპალატის ზეობაში (945-954), გიორგი მერჩულეს მიერ 951 წელს იწერება გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება; ახლო ხანებშივე, დიდებულ აზნაურთა, დაფანჩულთა შვილის, ეზრა ანჩელი მამამთავრის ზეობაში გაჩენილი „ყუედრების“ და ეჭვის გასაფანტად ბაგრატიონთა ცხოვრების ამსახველი ახალი სასწაულებითა და სიუყუტებით (ალექსიძე 2010: 238-243). აშოტ კურაპალატისა და ადარნერსეს რომანული ეპიზოდების გარდა, ვფიქრობ, თბილისის ამირა საჰაკის მფარველობით ცქირის მიერ (რომელიც იყო ამირასაგან „მოციქულად მავალი აშოტ კურაპალატსა წინაშე“) აწჩის საყდრის მძლავრობით მიტაცება, წმ. გრიგოლისათვის მკვლელის მიგზავნა და არაბების მიერ შეგულიანებული აწჩის მრევლის მიერ ხანცთის ეკლესიის დანგრევის მცდელობა უნდა ყოფილიყო „ცხოვრებაში“ შემატებული ერთ-ერთი ძირითადი

<sup>6</sup> „კარი“ იხმარებოდა როგორც საეკლესიო კომპლექსის შესავალი ანუ ბჭის ეკლესიის აღსანიშნად, ასევე „კარ“ ინდიკატორიანი რთული ტოპონიმებისათვის, რომლებიც ხშირ შემთხვევაში შეიცავდნენ ეკლესიის ან წმინდანის (ან ხატის) სახელს (ბერაძე 2006: 133-135).

სიუჟეტი (გიორგი მერჩულე 1963: 305-307).<sup>7</sup> დიდი აშოტ კურაპალატის შთამომავლები, სავარაუდოდ, არც ნიგალის ეკლესიას დაივინებდნენ და კარის ეკლესიას ააშენდნენ იქ, სადაც არაბთა მიერ მოსყიდული შინაგამცემების მიერ მოკლულ იქნა ტაო-კლარჯეთის სამთავროს ფუძემდებელი დიდი აშოტ კურაპალატი. რამდენადაც სუმბატ დავითის ძე ნიგალის ამ ეკლესიებს სვეტის სახელით არ იცნობს, გამორიცხული არაა, რომ მან ეს სახელი დაიმკვიდრა XI საუკუნის 20-იანი წლების დამლევის მოვლენებამდე, როცა არაბების წინააღმდეგ ბრძოლაში ყოფილი მოკავშირის, ბიზანტიელთა ექსპანსიის შესაჩერებლად საბა მტბევარმა ტბეთის მახლობლად სიმაგრე ააგო „და სახელ-სდვა მას სვეტი“ და იქ გამაგრდა ანჩელ ეპისკოპოს ეზრასთან და ერთან ერთად, ან მის შემდგომ ხანებში (სუმბატ დავითის ძე 1949: 72-73; სუმბატ დავითის ძე 1955: 386). სტრატეგიული თვალსაზრისით სვეტის სახელით ცნობილი ნიგალის კარის ეკლესია და კოშკი მნიშვნელოვან პუნქტს წარმოადგენდა. იგი ჭოროხის ხეობის იმ მონაკვეთშია აგებული, სადაც შეიძლებოდა გამაგრების შემთხვევაში ბიზანტიელების შეჩერება და შვემეთ-კლარჯეთისაკენ გამავალი გზის გაკონტროლება.<sup>8</sup>

შვემეთ-კლარჯეთისა გასაყარზე, ჭოროხის მარჯვენა ნაპირზე, ართვინის მახლობლად მდებარე სვეტის მონასტერი IX საუკუნიდან მოკიდებული ჯერ წმ. გრიგოლ ხანცთელის, შემდგომ კი ანჩის ეპარქიაში შემავალ საარქიმანდრიტო უდაბნოთა შორის უნდა ვიგულისხმოთ, რადგან წმ. გრიგოლ ხანცთელის შემდგომ, კლარჯეთის „დღეებულნი უდაბნონი, მღვდლნი და დიაკონნი მათნი ანჩელთა ეპისკოპოსთაგან“ იკურთხეოდნენ (გიორგი მერჩულე 1963: 303-304). XVI საუკუნის დასაწყისის დოკუმენტში – „კათალიკოზის ხელქვეშეთნი მღვდელმთავარი და სამწყსონი სამცხე-საათაბაგოში“, – ნიგალისხევი ანჩელი ეპისკოპოსის სამწყსოშია დასახელებული. ანჩის ეპარქიაში შედიოდა: „სამსწყალს აქეთი ხანცთას და ოპიზას შუა დახატულა. იმას ქვემოთი ნიგალისხევი, გაღმა და გამოღმართი, გონიის სამზღრამდი“ (ქსდ 1970: 245). სვეტის კუთვნილებას საარქიმანდრიტო უდაბნოებისადმი ასევე მიანიშნებს სვეტის ოთხთავზე შესრულებული ერთ-ერთი მოსახსენებელი, რომელშიც მეოხება სწორდ ათორმეტ უდაბნოს მიემართება (ხეც, A-844, 196v-197r).

სვეტის უდაბნო, რომელიც იქ დაცული ოთხთავის მოგვიანო ხანის მინაწერებით, ღვთისმშობლის სახელობისა ყოფილა, მნიშვნელოვან სამონასტრო ცენტრს წარმოადგენდა.<sup>9</sup>

<sup>7</sup> ზ. ალექსიძეს „ცხოვრების“ განახლებისას დამატებული თავების ნუსხაში ცქირთან დაკავშირებული სიუჟეტი არ შეაქვს, რამდენადაც მიიჩნევს, რომ აშოტი ამ შემთხვევაში თავად იყო დაზარალებული (ალექსიძე 2010: 238-43).

<sup>8</sup> პ. ინგოროყვას შენიშვნით, გიორგი მერჩულისა და სუმბატ დავითის ძის ცნობით, ჭოროხის ხეობის მხარეები გავერანებული და დაცლილია. სპერი და ნიგალი მურვან ყრუს დროს არაბთა თარეშის უშუალო ასპარეზია, არაბები დასავლეთიდან ნიგალის გზით გადაინ სპერზე (ინგოროყვა 1954: 382-3).

<sup>9</sup> „სვეტის ღვთისმშობლის“ დადასტურება ოთხთავის XVI საუკუნის დასაწყისის მოსახსენებლებში ამ მოსაზრებისაკენ გვიბიძგებს (ხეც, A-844, 115r-117r).

სვეტის სამონასტრო ბიბლიოთეკის კუთვნილი ხელნაწერების ანდერძ-მინაწერების თანახმად, უდაბნოს ადრეული ხანიდან მოკიდებული მჭიდრო ურთიერთობა ჰქონია შავშეთში – ტბეთის, ხოლო კლარჯეთში – ხანცთის, სკრიპტორიუმებთან. სვეტში მდიდარი წიგნთსაცავის არსებობას ადასტურებს ამ უდაბნოდან მოღწეული რამდენიმე ხელნაწერი წიგნი. იყო თუ არა თავად სვეტში სკრიპტორიუმი, ძნელი სათქმელია, რამდენადაც ამ სამონასტრო ცენტრიდან მოღწეული X-XII საუკუნეებით დათარიღებული ხელნაწერებიდან ორი (ხეც, H-341; ხეც, S-4999) ტბეთსა და ხანცთაშია გადაწერილი, ხოლო თუ სად შეიქმნა კვირიკე ნადლუნის მიერ შექმნილი ნუსხები (ხეც, A-844; ხეც, A-89), უცნობია.

სვეტს ეკუთვნოდა, ამჟამად თავბოლონაკლული, ქალაღზე ნაწერი წმინდანთა ცხოვრება (ხეც, H-341).<sup>10</sup> ხელნაწერი, სავარაუდოდ, გადაწერილია X საუკუნის დასაწყისში, აშოტ კუხის მიერ ახალაშენებული ტბეთის კათედრალის სკრიპტორიუმში, რომელიც მომგებლის სავედრებელი მინაწერის თანახმად, წმ. გიორგი მთავარმონაშის სახელობისა უნდა ყოფილიყო. ოთხთავის მომგებელად დასახელებული მამადმთავარი სტეფანე, როგორც უკვე აღინიშნა, გაიგივებულია ტბეთის პირველ ეპისკოპოს სტეფანე მტბევართან (კაკაბაძე 1928: 77-78). ერთ-ერთი სავედრებელი მინაწერით (ღო იჲ ქ ე... დაიცვენ ყ წი ძმანი სუეტისანი მშვდობით) დგინდება ხელნაწერის შემდგომი დაცულობის ადგილი. როგორც ეს მინაწერიდან ირკვევა, წმინდანთა ცხოვრება ეკუთვნოდა მონასტერს, რომლის სახელიც იყო სვეტი. სამხრეთ საქართველოს დაპყრობის შემდგომ, ხელნაწერი სვეტის უდაბნოდან ადგილობრივ აზნაურ ხერხემელისძეებს წალკაში უნდა წაეღოთ. ამაზე მიანიშნებს XVII საუკუნის მხედრული ხელნაწერზე შესრულებული გვიანი მინაწერი: „ხერხეულიძემ წალკელმა“ (351r).

კიდევ ერთი ხელნაწერი, რომელიც ხანცთის უდაბნოს სკრიპტორიუმთან სვეტის ძმობის მჭიდრო ურთიერთობის შესახებ გვანჯდის ცნობას, XII საუკუნეში

<sup>10</sup> ხელნაწერი ს. კაკაბაძის მიერ X საუკუნის მეორე ნახევრითაა დათარიღებული. მისი დაკვირვებით, ტექსტი გადაწერილი უნდა იყოს ოთხი სხვადასხვა პირის მიერ, რომელთაგან ორი ნაწილის გადამწესხველია იოვანე „უცბად მჩხრეკელი“ და გიორგი (ს. კაკაბაძე, ევსტათი მცხეთელის ცხოვრება, გვ. 76-78); ტყავგადაკრული ტვიფრული ყდის ასომთავრული წარწერების მიხედვით, ოთხთავი გვიან ხანაში ჩაჩიკას ძე ნიკოლოზის (ნიკოლოზ ჩაჩიკასვილი) საკუთრებაა. ოთხთავის მომგებლისა და გადამწესხველთა სავედრებელი მოსახსენებულები და ანდერძი ხელნაწერში რამდენიმე ადგილასაა შეტანილი – წმინდაო გიორგი მთავარმონაშეო, მეოხ-ექმენ მამადმთავარსა სტეფანეს წინაშე ქრისტესა და ყ(ოველ)თა კრებულთა მათთა, ა(მ)ინ (fol. 1); ქრისტე ღმერთო, ადიდე მამამთავარი სტეფანე შენმიერთო დიდებითა სულიერთო და ჯორციელითა, ორთავე სუფევათა შინა, და წმინდა მღვდელთ-მოძღვართა თანა და წმიდათა მონაშეთთა თანა დაუსაყდრე სასუფევლსა შენსა, ა(მ)ინ, სტეფანეთურთ და ყოველით კრებულთ მათით, ა(მ)ინ. ლოცვა-ყავთ იოვანესთვის უცბად მჩხრეკელისათვის და დაკლებული ყოველი შემიწიდევეთ (fol. 197; შდრ. fol. 1, 118, 146); ქრისტე, შეიწყალე ვ(იორგ)ი, ა(მ)ინ (fol. 275) (ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა 1946: 251-252).

ხანცთელი დიაკონის, სტეფანეს მიერ სვეტის კრებულის ხარჯით („საფასოსო“) სვეტის უდაბნოსათვის გადაწერილი გიორგი მთაწმიდელისეული დეკემბრის თვენია (ხეც, S-4999).<sup>11</sup> ანდერძიდან ირკვევა, რომ სვეტის უდაბნოს, როგორც ერთ-ერთ საარქიმანდრიტო მონასტერს, საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობა ჰქონია ხანცთის უდაბნოსთან და იქ არსებულ სკრიპტორიუმთან, ჰყოლია საკუთარი მოურავი (აბრამადი/იკონომისი/ეპიტროპოსი)<sup>12</sup> ანტონი, რომელსაც მონასტრის საფასით ხანცთელ დიაკონ სტეფანესთვის სვეტისათვის გადაუწერიანებია ხელნაწერი (fol. 664).<sup>13</sup>

ასევე სვეტის უდაბნოს ეკუთვნოდა რიგის ოთხთავის სახელით ცნობილი, XI საუკუნით დათარიღებული, ეტრატზე ნაწერი ხელნაწერი (ხეც, A-844), რომლის ძირითადი ნაწილისათვის ნუსხის გადამწერს, კვირიკე ნადლუნს გამოუყენებია V-VI საუკუნეების ოთხთავის ეტრატის ფურცლები. კვირიკე ნადლუნს ხანმეტი სახარების ეტრატის ფურცლები იმავდროულად გამოუყენებია კიდევ ერთი ხელნაწერის (ხეც, A-89) შესაქმნელად, რომელიც იოანე ოქროპირის მათეს სახარების თარგმანების ექვთიმე ათონელისეულ თარგმანს წარმოადგენს (ქაჯაია 1973: 52-57). გამორიცხული არა არის, რომ ეს ხელნაწერიც სვეტის უდაბნოს ეკუთვნოდა, თუმცა ამჯერად გადაჭრით ამის თქმა ძნელია, რამდენადაც მასზე არსებული მინაწერები, ძირითადად, ტექნიკური ხასიათისაა.

რუისის ეკლესიაში XX საუკუნის დასაწყისში ნანახი ოთხთავი ე. თაყაიშვილმა XI საუკუნით დაათარიღა, თავად ხელნაწერი კი შეცდომით შავშეთში მდებარე ტბეთის სვეტის საკუთრებად მიიჩნია (თაყაიშვილი 1907: 120-122). როგორც ეს ხელნაწერის აშიბზე შესრულებული მოსახსენებლებიდან (ხეც, A-844, 29r, 40v, 212r) გაირკვა, ოთხთავი სვეტის ღვთისმშობლის სახელობის მონასტერს ეკუთვნოდა.

<sup>11</sup> ანდერძის თანახმად: *დაწერა ესე თუე დეკენბერი უდაბნოსა ხარძისა, ჴელითა სტეფანე დიაკონისათა უდაბნოსა სუეტისათჳს, საფასოსთა მათითა. ღმერთმან შეუნდგენენ, რაჲცა ვისი ჭირი უნახავს ამას წიგნსა ზედა. პირველ ყოველთასა მოურავს სუტისასა ანტონის შეუნდგენენ ღმერთმან და ყოველთანი ძმანი დაიცვენინ ქრისტემან, და უკეთუ იპოოს რაჲ საწდოჲ ამას ჩ(უე)ნსა ნაშრომსა, ჩვენთჳსცა ლოცვა-ყავთ ლუთისათაჲ და უცბად ჩხრეკისათჳს შემინდევით. გიორგის ხუცესსა შეუნდგენ ღმერთმან, დიად შემე გუეყო (S ფონდის აღწერილობა 1969: 319).*

<sup>12</sup> მოურავი „აბრამადის“ სახელით დასტურდება 1083 წელს დასავლეთის დიდი დომესტიკოსის, გრიგოლ ბაკურიანისძის მიერ პეტრიწონის მონასტრისათვის დადებულ ტიპიკონში. „აბრამადი“ მონასტრის ერთ-ერთი ხელისუფალთაგანია, რომელიც ტიპიკონის ქართულ ტექსტში იკონომოსთან და განმგესთან ერთად იხსენიება, ხოლო ბერძნულში შეესიტყვება ეპიტროპოსი ან იკონომისი (პეტრიწონის ტიპიკონი 1971: 0, 22; 16, 1; 21, 5); XII-XIII საუკუნეების სეტის გაბრიელ მთავარანგელოზის წარწერიდან კი ცნობილი ხდება, რომ ხატი მოუჭედავთ ვინმე იოანეს აბრამადობის დროს (თაყაიშვილი 1937: 267-268). მოხმობილი მასალების მიხედვით, მონასტრის მოურავი ფუნქციების მიხედვით იგივე ეპიტროპოსი ანუ აბრამადია („გამეც“, „ეკონომისი“).

<sup>13</sup> კლარჯული თევის ტექსტისა და ხელნაწერის არქეოგრაფიული აღწერილობისათვის, იხ. შათირიშვილი 2010: 402-407.

სვეტის უდაბნოს გვიანი ხანის ისტორიისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ოთხთავის ტექსტის გარშემო ნუსხურით და მხედრულით ჩანერილი მრავალრიცხოვანი მოსახსენებლები, რომელთა ერთიანობაც სვეტში შევედრებულთა „სულთა მატიანეს“ ქმნის. ეტრატის ფურცლებზე მინერილი ადრეული მოსახსენებლების მნიშვნელოვანი ნაწილი საგანგებოდ ამოუშლიათ და მათი ნაწილის ამოკითხვა ამჟამად უკვე შეუძლებელია. XV-XVI საუკუნეებში სვეტის მონასტრის მრევლისათვის დადებულ მოსახსენებლებში იხსენიებიან: ათაბაგთა სახლის წევრები და მათთან მოყვრობით დაკავშირებული პირები, ამილახორისშვილები, შალიკაშვილები, კოპასძეები, ლასურისძეები, ერისთავები, თუხარელები, კავკასიძეები, ხანთუბისძეები, ავალიშვილი და ტაო-კლარჯეთში მცხოვრებ საგვარეულოთა სხვა წარმომადგენლები. XV-XVI საუკუნეების მიჯნის მოსახსენებლების ნაწილში მოხსენიებულნი არიან ადგილობრივი სასულიერო პირები: სვეტის დეკანოზი მათე კუციძე (40v), ხანცთის დეკანოზი ათანასე შარაბიძე (69v), დეკანოზი დემეტრე და მისი ძმა იოვანე (86v), სვეტში შევედრებული წინამძღვარი იოსებ ახალაძე (112r), დაყუდებული იაკობი (145v), დეკანოზი გერმანე პაპიძე და მისი გაზრდილი ბერაკა (178v). სვეტის უდაბნოში შევედრებული პირებისათვის ხსენება და სახარებაზე დალოცვა იმავე ხანებში დაუნესებიათ კლარჯეთის სხვა მონასტრებში და სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის ქართველთა ეკლესიაში.

ათაბაგთა მფლობელობისას სვეტის უდაბნო ჯაყელთა სახლის განსაკუთრებული მზრუნველების ქვეშ ჩანს. ამაზე მიუთითებს ოთხთავის ტექსტის დასასრულს ჩანერილი სვეტის კრებულის დაწერილი, რომლის თანახმადაც, პატრონმა ივანემ მონასტერი საბაზიარო გადასახადისაგან გაათავისუფლა და „სხუა მრავალ კეთილ საქმე უყო სვეტსა“ (212r). დაწერილში მოხსენიებული პატრონი ივანე არის ათაბაგ ყვარყვარე II დიდის (1416-1492) შთამომავალი, მისი მეხუთე ვაჟის, ორვაჟანდას ძე. ორვაჟანდა ყვარყვარეს ძე და მისი ვაჟები – ქაიხოსრო და ივანე – კლარჯული ხელნაწერებისა და სინას მთის ქართველთა ეკლესიის სულთა მატიანეების მოსახსენებლებში „ათაბაგად“, „დიდად“, „ათაბაგ-ამირსპასალარად“ იწოდებიან. იმ პერიოდის თურქული დოკუმენტური წყაროებით, ივანე ორვაჟანდას ძე († 1530), სარგებლობდა რა ქართლის სამეფო ხელისუფლების მხარდაჭერით, ოპოზიციაში ედგა ათაბაგთა სახლის კანონიერ მეთაურს, ათაბაგ ყვარყვარე III-ს (1516-1535) და არტანუჯში იყო გამაგრებული. ოთხთავის მოსახსენებლებს შორის შეტანილია ივანეს ვაჟების – ბექასა და ორვაჟანდას გამდელის მოსახსენებელიც (90r).<sup>14</sup>

<sup>14</sup> ათაბაგ ივანეს საოჯახო მოსახსენებელი, რომელშიც იხსენიებიან მისი თანამეცხედრე – ანა, ძეები – ბექა და ორვაჟანდა, ასევე შეუტანიათ სინას წმ. ეკატერინეს მონასტრის წმ. გიორგის ქართველთა ეკლესიის სულთა მატიანეში. მათი მოსახსენებლები დადებულია საათაბაგოდან წაღებული იმ შენორულების საფუძველზე, რომელიც სინას მთაზე ჩაუტანია ხანცთელ მღვდელმონაზონ მარკოზს (კლდიაშვილი 2008: 146-147, 179).

სახარების მინაწერ მოსახსენებლებში გვხვდება ყვარყვარე II დიდის შთამომავლების სახელებიც. მათში იხსენიებიან: ათაბაგ ყვარყვარე II-ის შვილიშვილის, თამარისა და მეფე გიორგი VIII-ის ქალიშვილის, ქეთონის გამზადელი, თეკლა (89v), გიორგი VIII-ის და თამარის ყოფილი სიძე (მათი ასულის, ელენეს ქმარი) – სფირიდონ ბენასშვილი და მისი მეორე თანამეცხედრე, ალექსანდრე II იმერთა მეფის (1484-1510) ასული თინათინი (115r-117r). ერთ-ერთი მოსახსენებელი დადებულია ხოსაშვილების ოჯახის წარმომადგენლებისათვის (196v-197r). ეს საგვარეულო ტაოს ერისთავ ფანასკერტელებთან ერთად ყვარყვარე II-ის ძის, მანუჩარის სიმამრის – მისი თანამეცხედრის, ასთანდარის მამის, კირილეს სახელით შემონახვნივლ ქართლის მეფე კონსტანტინე II-ის (1484-1505) ერთგულ მომხრეებად გვევლინებოდნენ ამ მხარეში.

თურქეთის მიერ მხარის დაპყრობის შემდგომ მონასტერი გავერანდა. სვეტის უდაბნო დანგრეულ იქნა 1960-იან წლებში, კლარჯეთ-შავშეთის ისეთ ცნობილ ეკლესიებთან ერთად, როგორებიც იყო ექექი, ბერთა, ოპიზა, ტბეთი, ალი და სხვ. (ჯობაძე 2007: 15).

#### ბამოყენიებული ლიტერატურა

1. **ალექსიძე 2010:** ალექსიძე ზ., ბაგრატი ერისთავთა ერისთავის მიერ „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრების“ „განახლება“, ქრისტიანული კავკასია, ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი, I, თბ., 2010.
2. **ბატონიშვილი ვახუშტი 1973:** ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, IV, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973.
3. **ბერაძე 2006:** ბერაძე მ., ტაო-კლარჯეთში დადასტურებული ქართული სახელები, თსუ მესხეთის ფილიალის შრომები (პუბლიცისტურ მეცნიერებათა სერია), I, 2006.
4. **ბერძენიშვილი 2009:** ბერძენიშვილი დ., ექსპედიციის დღიურები, კრებულში: ანდრია პირველწოდებულის ნაკვალევზე, თბ., 2009.
5. **გაგოშიძე 2012:** გაგოშიძე გ., დავით კურაპალატი და წმ. სვიმეონ მესვეტის კულტი საქართველოში, II საერთაშორისო კონფერენცია „ტაო-კლარჯეთი“. მოხსენებათა თეზისები, თბილისი-ბათუმი, 2012.
6. **გიორგი მერჩულე 1963:** გიორგი მერჩულე, შრომაჲ და მოღუწუნებაჲ ღირსად ცხოვრებისაანმდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი არქიმანდრიტისა, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. I (V-X), დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ლ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ. ც. ჭანკიევეა და ც. ჯღამაიამ, თბ., 1963.
7. **დიასამიძე 2009-2010:** დიასამიძე ა., ჭოროხის ხეობის სიძველეთა შესახებ (გრ. გურიელის, დ. ბაქრაძის და ი. შაშიკაშვილის მიმოწერიდან), საისტორიო მოამბე, 79-80, თბილისი, 2009-2010.

8. **თაყაიშვილი 1907:** თაყაიშვილი ე., არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნები ნანი, I, ტფილისი, 1907.
9. **თაყაიშვილი 1937:** თაყაიშვილი ე., არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, პარიზი, 1937.
10. **ინგოროყვა 1954:** ინგოროყვა პ., გიორგი მერჩულე. ქართველი მწერალი მეთე საუკუნისა, თბ., 1954.
11. **ინგოროყვა 1965:** ინგოროყვა პ., თხზულებათა კრებული, II, თბილისი, 1965.
12. **კაკაბაძე 1928:** კაკაბაძე ს., ვესტატი მცხეთელის ცხოვრება, საისტორიო კრებული, III, ტფილისი, 1928.
13. **კლდიაშვილი 2008:** კლდიაშვილი დ., სინას წმ. ეკატერინეს მონასტრის ქართველთა ეკლესიის სულთა მატინე, I, თბ., 2008.
14. **მატინე ქართლისაჲ 1955:** მატინე ქართლისაჲ, ქართლის ცხოვრება, I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955.
15. **პეტრინონის ტიპიკონი 1971:** შანიძე ა., ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი. ტიპიკონის ქართული რედაქცია, თბ., 1971.
16. **რჩეულიშვილი 1959:** რჩეულიშვილი ლ., XVII საუკუნის სასახლე ძალინაში, Ars Georgica, 5, თბ., 1959.
17. **სამუშია 2008:** სამუშია ჯ., სვეტის ციხის ლოკალიზაციისათვის, საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიის საკითხები, IX, თბილისი, 2008.
18. **სამუშია 2015:** სამუშია ჯ., ისევ სვეტის ციხის შესახებ, საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, IX, თბ., 2015.
19. **სიხარულიძე 1985:** სიხარულიძე ი., ნივალე, ბათუმი, 1985.
20. **სუმბატ დავითის ძე 1949:** სუმბატ დავითის ძის ქრონიკა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონების შესახებ, ტექსტი გამოსცა შესავლით, შენიშვნებით და ორი გენეალოგიური ტაბულით ე. თაყაიშვილმა, მსკი, ნაკ. 27, თბ., 1949.
21. **სუმბატ დავითის ძე 1955:** სუმბატ დავითის ძე, ცხოვრება და უწყება ბაგრატიონთა, ქართლის ცხოვრება, I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955.
22. **ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა 1946:** საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, დასაბუთდად მოამზადებულია ხელნაწერთა განყოფილების თანამშრომლების - ლ. ქუთათელაძის და ნ. კასრაძის მიერ, ი. აბულაძის რედაქტორობით, ტ. I, თბ., 1946.
23. **ქსძ 1970:** ქართული სამართლის ძეგლები, III, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1970.
24. **ქაჯაია 1973:** ქაჯაია ლ., ერთი ნარმოშობის ორი პალიმფსესტის შესახებ, კრებ. „მრავალთავი“, III, თბ., 1973.
25. **შათირიშვილი 2010:** შათირიშვილი ლ., XII საუკუნის ერთი კლარჯული „თვენის“ შესახებ, „საერთაშორისო კონფერენცია ტაო-კლარჯეთი“ - მასალები, თბი., 2010.
26. **ხოშტარია 2005:** ხოშტარია დ., კლარჯეთის ეკლესიები და მონასტრები, თბ., 2005.
27. **ხუციშვილი... 2004:** ხუციშვილი თ., მაჭავარიანი შ., შენგელია კ., სილოვაჯა ვ., ტაო-კლარჯეთი, ხუროთმოძღვრული ძეგლების კატალოგი (რუკით), თბ., 2004.

28. **ჯანაშვილი 1913:** ჯანაშვილი მ., ტბეთის სვეტი შავშეთში, გაზ. „სახალხო განათება“, 1913, N955.
29. **ჯობაძე 2007:** ჯობაძე ვ., ადრეული შუა საუკუნეების ქართული მონასტრები ისტორიულ ტაოში, კლარჯეთსა და შავშეთში, თბ., 2007.
30. **S ფონდის აღწერილობა 1969:** ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, S კოლექცია, VI, შეადგინეს და დასაბუქდად მოამზადეს თ. ბრეგაძემ, ლ. ქაჯაიამ, ლ. ქუთათელაძემ, მ. შანიძემ და ც. ჭანკიევმა, თბ., 1969.
31. **Thierry 1989:** Thierry J. M., Topographie et etat actuel des monuments georgiens en Turquie orientale, *Revue des etudes georgiennes et caucasiennes*, N5 (1989).
32. **Беридзе 1981:** Беридзе В., Место памятников Тао-Кларджети в истории грузинской архитектуры, Тбилиси, 1981.
33. **Казбек 1876:** Казбек Г., Три месяца в Турецкой Грузии, Записки Кавказского отдела Императорского русского географического общества (ЗКОРГО), вып. X, 1876.
34. **Павлинов 1893:** Павлинов А., Экспедиция на Кавказ 1888 года, МАК, III, 1893.
35. **Уварова 1891:** Уварова П., Кавказ. Аджария, Шавшети, Посховский участок, Путевые записки, ч. II, Москва, 1891.

### Darejan Kldiashvili

## COMMEMORATIVE CHRONICLE OF THE MONASTERY OF SVETI

### SUMMARY

The present article is an attempt to restore the history of the less known and already non-existing monastery of Sveti. Different opinions exist in the scholarly literature concerning the churches located on the right bank of the river Chorokhi, in the village Sveti, the Nigali Gorge (Turkey, village *Vezir Koy* of Artvin villayet) and the manuscripts belonged to them. Within a long time the location of the monastery of Sveti was not specified either.

That section of the river Chorokhi, surrounded by natural ridges and its gorges, in which Sveti Monastery was located, with narrow rocky passes and the roads leading to historical Shavsheti-Klarjeti-Tao, formed a natural defensive barrier against the enemy from the early period; it was of special importance from the strategic and political viewpoint.

Beginning from the ninth century, the Sveti Monastery should have been first under the patronage of St Gregory of Khandzta, then the archimandrite monasteries of Ancha Eparchy. Based on the study of historical sources, the supposition was expressed that the three-nave basilica known as Nigali (dated by the first half of the tenth century), located in the middle of the village Sveti was connected with intensive monastic building activity started in Klarjeti by St Gregory of Khandzta in the first quarter of the ninth century. It is identified with that church of Nigal, in which on 29 January of 826 was killed being persecuted by Arabs Ashot I the Great, *Curopolates* – a founder of the Tao-Klarjeti principal of Bagrationi family.

The other church known among the local population as *Kapisi-Kilise* (in Turkish – the church of gate), was located in one kilometer distance from the Nigali Church. Nothing has been preserved from tetraconch type church (built presumably in the mid-tenth century) and nearby located several-storey tower (only description of the complex, schematic plan and sections of the church and tower, and one photo, done by Pr. Uvarova and A. Pavlinov in 1888 has preserved). The name of the monastery and the village “Sveti” as well as the defensive tower standing by the church, is apparently connected with the events of the end of 1020s, when Saba, Bishop of Tbeti, built a fortress in Shavsheti, near Tbeti, named “Sveti” and was fortified there together with Ezra, Bishop of Anchi, to suspend expansion of Byzantines.

The monastery of Sveti, probably in the name of the Mother of God, was an important spiritual center. According to the colophons and adscripts of the manuscripts, belonging to the Sveti Monastery library, it had a close relation with the scriptoria of Khandzta in Klarjeti and Tbeti in Shavsheti from the early period. Existence of a rich and one of the most ancient book depositories in Sveti is witnessed by the manuscripts preserved from that monastery: Life of Saints (NCM, MS H-341) – copied in the beginning of the tenth century under the donorship of Stepane, first Bishop of by eristav of eristavs Ashot II K’uxi (†918) newly-built Tbeti Cathedral; Four Gospels (NCM, MS A-844) copied of mid-eleventh century by Kvirike Nadghuni, for the main part of which he used the parchment sheets of five-sixth cc. Gospel; *Menaion* of December of the translation of St George the Athonite copied by Stepane Dean of Khandzta, for the monastery of Sveti under the donorship of Anton, *epitropos* (მოურავი) of Sveti in the twelfth century.

Of special importance for the history of Sveti Monastery are numerous fifteenth-sixteenth cc. commemorations, written in *nuskhuri* (minuscule) and *mkhedruli* (secular) on the margins of the Four Gospels (NCM, MS A-844) for the monastery of the local congregation, the unity of which forms *Synodikon*, or Commemorative chronicle. The members of the Atabags of Samtskhe, representatives of Tao-Klarjeti families and local spiritual fathers are mentioned in it. In that period the monastery was under the patronage of Jaqeli ruling family and used privileges from them.

After the Ottoman Empire occupied South Georgia the Sveti Monastery was abandoned. The complex was ruined in the 1960s, along with such famous churches of Shavsheti and Klarjeti, as Tbeti, Ekeki, Berta, Opiza, Ali, etc.

ირაკლი გელაშვილი, თამაზ გოგოლაძე


## X-XI საუკუნეების უცნობი წარწერა მოხისის სამეცხის ეკლესიიდან<sup>1</sup>

სოფელი მოხისი მდებარეობს თეთრინყაროს რაიონში, თრიალეთის ქედის სამხრეთ კალთაზე, ზღვის დონიდან 1360 მეტრზე. სოფელი დაცლილია, მხოლოდ რამდენიმე ოჯახი ითვლება მუდმივ მაცხოვრებლად. სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილს „აგარაკებს“ ეძახიან. სწორედ „მოაგარაკეთა“ ერთ-ერთ ოჯახში (თეიმურაზ ასლანიშვილი და თეა მწყერაშვილი) ყოფნის დროს მიაწოდეს ცნობა აღნიშნული ტაძრის შესახებ ნაშრომის ერთ-ერთ ავტორს – ირაკლი გელაშვილს, რომელმაც ეკლესია 2015 წლის 10 ივლისს მოინახულა. იგი დაინტერესდა ტაძრის აღმოსავლეთ კედლეზე, სარკმლის თავზე, არსებული წარწერით. თბილისში დაბრუნების შემდეგ ერთობლივად (ირაკლი გელაშვილი, თამაზ გოგოლაძე) დაეინყეთ მოხისის ეკლესიის შესახებ არსებული ინფორმაციის მოძიება-დამუშავება. აღმოჩნდა, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში მოხისის სამეცხის ეკლესიის სააღმშენებლო წარწერის შესახებ მწირი ინფორმაცია მოგვეპოვება.

ირაკლი ციციშვილი 1980 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში „მატერიალური კულტურის ძეგლები ქვემო ქართლის ისტორიულ-არქეოლოგიური ექსპედიციის მასალების მიხედვით“ სულ რამოდენიმე წინადადებით შეეხო მოხისის ეკლესიას. მისი აღნიშვნით: „როგორც აღმოსავლეთის სარკმლის თავზე შემონახული წარწერიდან ირკვევა, ეკლესია XI-XIII საუკუნეებშია აგებული, ხოლო XIX საუკუნის 50-იან წლებში იგი განაახლა ადგილობრივმა მებატონემ, ყავრიშვილმა“ (ციციშვილი 1979: 7).

შედარებით სრული ინფორმაცია მოვიპოვეთ აღნიშნული ტაძრის შესახებ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში დაცული ძეგლის პასპორტიდან, რომელიც 1979 წლის 18 სექტემბრითაა დათარიღებული და შედგენილია ვლადიმერ (ლადო) ვარდოსანიძის მიერ. პასპორტი მეტნაკლებად ვრცელ ინფორმაციას გვანდის ტაძრის შესახებ, ამიტომ მას სრული სახით წარმოვადგენთ:

<sup>1</sup> აღნიშნული სტატია მოხსენების სახით წაკითხულ იქნა ილია აბულაძისადმი მიძღვნილ V სამეცნიერო კონფერენციაზე კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, 2015 წლის 30 ნოემბერს.



მოხისის სამების ეკლესია

„ეკლესია დარბაზული ტიპისაა, ზომით 9,3×5,4 მ., შიდა სივრცე მაღალია და მთლიანობაში აღიქმება. კამარის საბჯენი თალი ვიწრო კრონშტეინებზეა დაყდრნობილი. თალი შედგენილია ფოროვანი ბაზალტისაგან თლილი ელემენტებით. აფსიდის თალი გამოყოფილია პრიმიტიული იმპოსტებით – ბრტყლად დადებული ფიქალებით.

აფსიდი ნახევარწრიულ მოხაზულობას უახლოვდება. მის ცენტრში თაღოვანი სარკმელია გაჭრილი, ხოლო ჩრდილოეთ ნაწილში განიერი, გეგმაში სწორკუთხა ნიშია. კიდევ თითო თაღოვანი სარკმელია გაჭრილი სამხრეთ და დასავლეთ კედლებში. საკურთხევლის დონე ოდნავ ამაღლებულია, სოლეა აგურითაა ნაგები. შესავლელი სამხრეთ კედელშია გაჭრილი – ბალავრის ქვა დაკარგულია. შემორჩენილია მხოლოდ შიდა, თაღოვანი ნაწილი. იატაკი მოპირკეთებულია ქვის უსწორმასწორო ფილებით. ინტერიერი შებათქამებულია და შეთეთრებული. ძირითადად სამშენებლო მასალად გამოყენებულია ადგილობრივი ჯიშის სუსტი შლადი ფენოვანი ქვიშაქვა. გამოყენებულია როგორც ვებრთელა ლოდები, ისე წერილი ქვა. წყობის ხასიათი არაერთგვაროვანია – ქვები ჩალაგებულია ჰორიზონტალურადაც, შვერილადაც, აქა-იქ ჩატანებულია აგურიც და კრამტიც. ფასადების საერთო გამა მოყვითალო-მონაცრისფროა.

აღმოსავლეთ სარკმლის საპირე ქვაზე ასომთავრული ნარნერაა ამოკვეთილი. სარკმელს აგვირგვინებს რელიეფური ნარბი, რომლის ბოლოები გაშლილია. ეკლესიის აღმოსავლეთ, სამხრეთ და დასავლეთ კედლებს პერანგად შემოუყვება ქვის კედლები“.<sup>2</sup>


<sup>2</sup> პასპორტი ინახება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს საბუთთა ფონდში: მოხისის სამების ეკლესია, ძეგლის კოდი – 0005949, ავტორი ვლადიმერ (ლადო) ვარდოსანიძე.

როგორც ვხედავთ, ლ. ვარდოსანიძე დეტალურად იძლევა ტაძრის ხუროთმოძღვრულ დახასიათებას, თუმცა გაკვრით ახსენებს აღმოსავლეთ სარკმლის საპირე ქვაზე შესრულებულ ასომთავრულ წარწერას. პასპორტში ტაძრის აშენების ქრონოლოგია X-XII საუკუნეებითაა განსაზღვრული, ხოლო მისი გადაკეთება – XIX საუკუნით. ეკლესიის დასავლეთ კედელში ჩადგმული სოფ. მოხისის მეტატონის, აზნაურ იოსებ ბესარიონის ძე ყავრიშვილის საფლავის ქვის წარწერიდან ასევე ვგებულობთ მის მიერ ტაძრის განახლების შესახებ.

2015 წლის 27 ივლისს მოეწყო საგანგებო ექსპედიცია (ირაკლი გელაშვილი, თამაზ გოგოლაძე, გელა ქისტაური) მოხისის სამების ეკლესიის წარწერის შესწავლის მიზნით.

თავდაპირველად წარწერა გავასუფთავეთ ხავსისაგან, რამაც საშუალება მოგვცა ჩვენთვის საინტერესო წარწერა სრულად წაგვეკეთებოდა. ამის შემდგომ მოვამზადეთ მისი ტექნიკური აღწერილობა, დავამზადეთ წარწერის პალეოგრაფიული ასლი და გადავიღეთ მაღალი გარჩევადობის ფოტოები.

წარწერა შესრულებულია ტაძრის აღმოსავლეთის ფასადზე, სარკმლის რელიეფური წარბის გარშემო, მინიდან 216 სმ-ის სიმაღლეზე, ქვაზე, რომელიც საგანგებოდ ჩაუსვამთ სარკმლის მორთულობისა და წარწერის შესასრულებლად. წარწერის ფართობია: 87×72 სმ.; ამოკვეთილია ოთხკუთხა ფორმის ქვის მთელ პერიმეტრზე, სარკმლის წარბის გარშემო. ქვის ზედა მარჯვენა კუთხე დაზიანებულია; მიუხედავად ამისა, წარწერის ტექსტი დაზიანებული არ არის; ტექსტისათვის განკუთვნილ არესთან შედარებით სარკმლის წარბი 1-1,2 სმ-ით არის



სააღმშენებლო წარწერა მოხისის ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადზე



**წარწერის პალეოგრაფიული დახასიათება.** წარწერა შესრულებულია კუთხოვანი ასომთავრულით, რომლისთვისაც დამახასიათებელია ასომთავრულიდან ნუსხურში გარდამავალი გრაფემები. წარწერაში დარღვეულია ორხაზოვანი საწერი ბადე და სტრიქონების ჰორიზონტალური მდებარეობა, სიტყვები დაქარაგმებულია და არ არის დაშორებული ერთმანეთს, არც განკვეთილობის ნიშნებია გამოყენებული.

წარწერაში სწორი ნუსხურით გადმოცემულია მხოლოდ ორი – „ლ“ და „თ“ გრაფემები: „ლ“ გრაფემისათვის დამახასიათებელია მარცხნივ გაზიდული დამატებითი განივი ხაზი, „თ“ გადმოცემულია კუთხოვანი ფორმით, თუმცა ზოგ შემთხვევაში შეინიშნება კუთხეების მომრგვალების ტენდენცია (მესამე სტრიქონის პირველ სიტყვაში); „ე“ და „ვ“ გადმოცემულია მარცხნივ გაზიდული დამატებითი განივი ხაზებით; „მ“ გრაფემის მუცლის შემკვერელი ხაზი არ გადადის მარჯვენა მხარეს.

განსაკუთრებული პალეოგრაფიული დატვირთვის მატარებელი გრაფემებია: „განი“, „ეინი“, „ინი“, „ონი“, „ტარი“ და „წილი“.

„გ“ გრაფემა წარწერაში ორჯერ გვხვდება მეთორმეტე და მეცამეტე სტრიქონებში, გადმოცემულია კუთხოვანი ფორმით, მარცხნიდან მიდგმული დამატებითი განივი ხაზით და ქუსლის გარეშე. პირველ შემთხვევაში გრაფემა მოთავსებულია ოთხხაზოვანი ბადის მეორე და მეოთხე ხაზებს შორის, ხოლო მეორე შემთხვევაში, პირველ და მესამე ხაზებს შორის. მსგავსი უქუსლო „განი“ დადასტურებულია X საუკუნის ბოლო მეოთხედით დათარიღებულ ახალსოფლის ეკლესიის (თეთრიწყაროს რაიონი) ბაგრატ III-ისა და გურანდუხტ დედოფლის მოსახსენებელ წარწერაში, ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში – სსმ-30 (186) (წარწერების კორპუსი 1980ა: 258-259).

„ვ“ გრაფემა წარწერაში ოთხჯერ გვხვდება და გადმოცემულია მარცხნივ გაზიდული დამატებითი განივი ხაზით, რომლის მკლავიც ძირს არ ჩამოდის.

შენიშვნის ღირსია ის, რომ მეხუთე სტრიქონის ბოლო სიტყვაში „წმიდაი“ და მეშვიდე სტრიქონში „ეკლესიაი“, e-ის ნაცვლად გამოყენებულია „ი“ გრაფემა. მეცხრე სტრიქონის ბოლო სიტყვაში დაფიქსირებული „ი“ გრაფემის ფეხი საკმაოდ დახრილია მარჯვნიდან მარცხნივ. მსგავსი ფორმით „ი“ გრაფემა დადასტურებულია ილორის ეკლესიის XI-XII საუკუნეებით დათარიღებულ გიორგი ქოჩოლავეას წარწერაში (წარწერების კორპუსი 1980ბ: 161).

„ო“ გრაფემა წარწერაში ორჯერ გვხვდება. იგი პატარა ზომისაა და განთავსებულია ოთხხაზოვანი ბადის მეორე და მესამე ხაზებს შორის. წრიულ მუცელს მარჯვენა ქვედა მხარეს მიდგმული აქვს ზემოთ აპრეხილი ქუსლი, რომელიც თითქმის მუცლის სიმაღლემდე ადის. მსგავსი მოხაზულობის „ო“ გვხვდება: XI-XII საუკუნეებით დათარიღებულ გიორგი ქოჩოლავეას ილორის ეკლესიის (წარწერების კორპუსი 1980ბ: 161), 1046 წლის საურმაგ აქუნისძის სავანის ეკლესიის (წარწერების კორპუსი 1980ბ: 60-61) და მიქაელ მჭევრავის ძის ქორეთის ეკლესიის (წარწერების კორპუსი 1980ბ: 121) წარწერებში.

დამახასიათებელია „ტ“ გრაფემის მოხაზულობა, რომელიც წარწერაში ერთხელ გვხვდება და მესამე სტრიქონის პირველ სიტყვაში თავგახსნილი ფორმითაა

გადმოცემული (მიმსგავსებულია ნუსხურ „ც“ გრაფემას). მსგავსი ფორმის „ტ“ დაფიქსირებულია სტეფანე კალატოზის XI საუკუნის სიმონეთის ეკლესიის წარწერაში (წარწერების კორპუსი 1980ბ: 114)

„წ“ გრაფემა წარწერაში დადასტურებულია სამჯერ. განსაკუთრებით საინტერესოა მეორე სტრიქონის მესამე სიტყვაში მისი მოხაზულობა, რომელიც გადმოცემულია თავგახსნით, ხოლო მკლავი მორკალულია და შეერთებულია ფეხთან. მსგავსი „წ“ გვხვდება ატენის მცირეგუმბათიანი ეკლესიის რატი ერისთავის 982/989 წლების სააღმშენებლო წარწერაში (წარწერების კორპუსი 1980ა: 203).

ამდენად, მოხისის ეკლესიის სამშენებლო წარწერა პალეოგრაფიული თვალსაზრისით დიდ მსგავსებას ამჟღავნებს X-XI საუკუნეების ქართულ ეპიგრაფიკულ ძეგლებთან, შესაბამისად, იგი X-XI საუკუნეებს უნდა განეკუთვნებოდეს.

**წარწერის ისტორიულ-წყაროთმცოდნეობით ანალიზი.** წარწერა სააღმშენებლო ხასიათისაა, რომელშიც შინაარსობრივად გამოიყოფა:

- საღვთისმეტყველო შესავალი ანუ მეოხება ღმრთისადმი („ქ. სახელითა ღმრთისაჲთა, მამისა, ძისა და სულისა წმიდისა“);
- ტაძრის მაშენებელთა სახელდება და მათ მიერ ეკლესიისადმი განუღო დამსახურების აღნიშვნა („ჩუენ, აღმაოტისძეთა კუირიკე და თევდორე და ბეშქენ, აღვაშენეთ წმიდაჲ ესე ეკლესიაჲ“);
- სავედრებელი, სადაც ტაძრის მაშენებელნი ეკლესიისადმი განუღო სამსახურის სანაცვლოდ მეოხებას ითხოვენ თავისი სულისათვის („საოხად სულისა ჩუენისა ღმერთი არს მოწამე ჩუენთა ესე გლახაკთა გუიქმნია“);
- იურიდიული ნაწილი, სადაც საუბარია ტაძრის მაშენებლების მიერ ჭალაში მდებარე ვენახის საზედაშედ ყიდვისა და მოხისის სამების ეკლესიისათვის შეწირვის შესახებ („პირველ, ჭალას ვენაჲ ვიყიდეთ საზედაშედ ამავე ეკლესისათვის“).<sup>3</sup>

წარწერაში მოხისის ეკლესიის მაშენებლად მოხსენიებული აღმაოტისძეთა გვარი მოცემული ფორმით ისტორიულ საბუთებსა და ნარატიულ წყაროებში არ იხსენიება. გვიან პერიოდის წყაროებში კახეთში, გრემის მახლობლად, დასტურდება ტოპონიმი აღმაოტი; ალექსანდრე კახთა მეფის მიერ 1492 წელს ალავერდის ტაძრისადმი მიცემულ შეწირულობის წიგნში იხსენიება მდივან-მწიგნობარი იოანე აღმატისშვილი (საბუთების კორპუსი 2014: 289-293), ხოლო 1627 წელს ქართლის კათალიკოზ ზაქარიას მიერ გაცემულ საბუთში დავით აღმატისშვილის შესახებ აღნიშნულია, რომ იგი მეფე თეიმურაზის ნებადართულობით სვეტიცხოველს ეყმო და ანთოკს დასახლდა (სამართლის ძეგლები 1970: 488). XVII-XVIII საუკუნეებში ეს საგვარეულო მოიხსენიება როგორც აღმატელაშვილი და აღმატლისშვილი.

ჩვენს ხელთ არსებული მასალებით, მართალია, ურთიერთმიმართება აღმაოტისძეებს, აღმატისშვილებს და აღმატლისშვილებს შორის ვერ დგინდება, თუმცა,

<sup>3</sup> სულხან-საბას განმარტებით, ზედაშე არის ეკლესიისათვის შესაწირავი ღვინო (სულხან-საბა ორბელიანი 1966: 276).

ექვს არ იწვევს, რომ ისინი ერთი საერთო ფუძიდან მომდინარეობენ.

წარწერაში მოხსენიებული „ჭალა“ გეოგრაფიული პუნქტის აღმნიშვნელი სახელია და, სავარაუდოდ, ტაძრის ახლოს მდებარეობდა. აღნიშნული ტოპონიმი დასტურდება სოფელ მოხისის სამხრეთით მოსაზღვრე სოფელ დიდ თონეთში, სადაც ადგილობრივი მოსახლეობა თონეთის სიონის ცნობილ ტაძარს სწორედ „ჭალის საყდრის“ სახელით მოიხსენიებს. 2016 წლის აგვისტოში შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის – „ქვემო ქართლის ეპიგრაფიკული კორპუსი“ – ფარგლებში ვიმყოფებოდი ალგეთის ხეობაში წარწერების შესწავლის მიზნით. მოვინახულეთ თონეთის სიონის ეკლესიაც. წინამდებარე ნაშრომის ერთ-ერთმა ავტორმა, ირაკლი გელაშვილმა, ტაძრის საკურთხეველში ნახა ხის ჯვარი, რომელზედაც მხედრულად ეწერა: „ჭალის საყდრისა არის“. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს ადგილობრივ მოსახლეობაში დაცულ ინფორმაციას. ზემოთ მოტანილი მასალებიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ აღმართიძეებმა სოფელ ჭალაში (დღევანდელ თონეთში) იყიდეს ვენახი, რომელიც შესწირეს მათ მიერ აშენებულ მოხისის სამების ეკლესიას.

მოხისის სამების ეკლესიის წარწერა ქართული ეპიგრაფიკული დიპლომატიკის ძეგლთა შორის განიხილება. მიუხედავად იმისა, რომ წარწერა სააღმშენებლო ხასიათისაა, იგი იმავდროულად იურიდიული ხასიათის შეწირულების აქტსაც წარმოგვიდგენს.<sup>4</sup>

ამდენად, მოხისის სამების ეკლესიის X-XI საუკუნეების უცნობი სააღმშენებლო წარწერა იურიდიულ აქტსაც შეიცავს და ამ მხრივაც მნიშვნელოვან ადგლს იკავებს ქართული ეპიგრაფიკული დიპლომატიკის ძეგლებს შორის.

#### გამოყენებული ლიტერატურა

1. **სილოგავა 1972:** სილოგავა ვ., ქართული სამართლის ძეგლები დასავლეთ საქართველოს ლაპიდარულ წარწერებში, მაცნე (ისტორიის სერია) 4, 1972 წელი.
2. **სულხან-საბა ორბელიანი 1966:** სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, წიგნი I, თბ., 1966.
3. **სამართლის ძეგლები 1970:** ქართული სამართლის ძეგლები, III, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1970.
4. **წარწერების კორპუსი 1980ა:** ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, I, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-X ს.), შეადგინა და გამოცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1980.

<sup>4</sup> ეპიგრაფიკული დიპლომატიკის ძეგლებში იგულისხმება ყველა ის წარწერა, რომელშიც წარმოდგენილია იურიდიული აქტი და დადგენილია სამართლებრივი ურთიერთობა ორ მხარეს შორის. ეკლესიის კედლებზე ამოკვეთილი სააღმშენებლო წარწერები ზოგჯერ შეიცავენ იურიდიული შინაარსის ტექსტებს (ალაპები, შეწირულობები, ფეოდალურ საკუთრებასთან დაკავშირებული აქტები), რაც მათ იურიდიული მნიშვნელობას სძენს.

5. წარწერების კორპუსი 1980ბ: ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, II, დასავლეთ საქართველოს წარწერები, ნაკვ. I, (XI-XIII სს.), თბ. 1980.
6. საბუთების კორპუსი 2014: ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, XV საუკუნის მეორე ნახევარი, III, შეადგინეს თ. ენუქიძემ, დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, გამოსაცემად მოამზადა მ. სურგულაძემ, თბ., 2014.
7. ციციშვილი 1979: ირ. ციციშვილი, მატერიალური კულტურის ძეგლები ქვემო ქართლის ისტორიულ-არქეოლოგიური ექსპედიციის მასალების მიხედვით, ძეგლის მეგობარი, 54, თბ., 1980.

**Irakli Gelashvili, Tamaz Gogoladze**

### AN UNKNOWN INSCRIPTION OF THE 10<sup>TH</sup>-11<sup>TH</sup> CC FROM MOKHISI CHURCH OF THE TRINITY

#### SUMMARY

A Building inscription was revealed in Mokhisi (Tetrtskaro region) on the wall of the Church of the Trinity in July 2015.

A detailed study of special literature has shown that the content of the inscription is unknown. We have visited Mokhisi Church twice to investigate the inscription and prepared its technical description, made a paleographic copy and taken high quality photos. The text written in *asomtavruli* reads:

**In the name of our Lord, the Father, the Son, and the Holy Spirit, we, the Almaotisdzes Kvirike and Theodore and Beshken built this Holy Church to be forgiven by our Lord, who is the witness how poor we are.**

**First, we bought a vineyard in the woods to make wine for libation for the very church.**

Here we learn that this is a building inscription according to which the church was built by the Almaotisdzes: Kvirike, Theodore and Beshken and it was dedicated to Saviour.

The inscription is a juridical epigraphic document at the same time. In the final lines we read that the builders of the church also bought a vineyard nearby and dedicated it to the church so that to provide it with wine for libation.

We date the inscription back to the 10<sup>th</sup>-11<sup>th</sup> centuries according to its paleographic features.

## ალექსი ოსტროვსკი

### დავით IV აღმაშენებლის სპილენძის მონეტის ანალიზისა და ატრიბუციისათვის

ქართული სამეფოს გაერთიანების პერიოდი ქართულ ნუმისმატიკაში აღინიშნა ე.წ. „ქართულ-ბიზანტიური“ მონეტების ემისიებით.<sup>1</sup> ამ პერიოდის ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო მონეტას წარმოადგენს დავით IV აღმაშენებლის უნიკალური სპილენძის მონეტა, რომელიც 1957 წელს აღწერა დ. ლანგმა.<sup>2</sup> ყველა მკვლევარი ამ მონეტას ტრადიციულად მიაკუთვნებს დავით IV-ის მეფობის აყვავების პერიოდს (დაახლოებით 1118-1125 წწ.),<sup>3</sup> თუმცა ეს ატრიბუცია არასდროს ყოფილა დაწვრილებითი ანალიზის საგანი. წინამდებარე ნაშრომის მიზანია ამ მონეტის ანალიზი და ატრიბუცია.

#### ტრადიციული ატრიბუცია

განსახილველი მონეტის სრული აღწერილობა (სურ. 1):<sup>4</sup>

Æ, ø 35 მმ, წონა 10.73 გრ., სიქების (ღერძების) ორიენტაცია  $\uparrow$  ( $\approx 180^\circ$ , 6:00h)

Av: გვირგვინოსანი მეფის გამოსახულება ბიზანტიურ საიმპერატორო სამოხელში, სკიპტრით (თავზე ჯვრით) და სამეფო სფეროთი. მეფის თავის ორივე მხარეს ასომთავრული ზედწერილია: **ԾԸ | ՃՓԷ**.

Rv: მონეტის ცენტრში გამოსახულია თანაბარმკლავიანი ჯვარი, რომელიც ფორმით ახლოსაა ბოლნისისა და კაცხის ჯვართან. ჯვარი შემოფარგლულია ორი წრით, წრეებს შუა ასომთავრული ზედწერილია:

**ԺԾԾՓԴԸԲԸԻԿԻԿԻԿԻԿԸԸԸԸԸ.**

<sup>1</sup> ე. ი. ქართული მონეტები, გამოქვეყნებული ბიზანტიური ნიმუშების მიხედვით. დაწვრილებით იხ.: Пахомов 1970: 51-74; კაპანაძე 1969: 61-68; ღუნდუა 2006: 188-200.

<sup>2</sup> Lang 1957: 144-145 [Pl. XVII, №10].

<sup>3</sup> დაწვრილებით იხ. ქვემოთ..

<sup>4</sup> British Museum Collection Database. „1857, 1226.7“, [www.britishmuseum.org/collection](http://www.britishmuseum.org/collection). British Museum. Online. Accessed 20.05.2016.

მონეტის ერთადერთი ცნობილი ცალი დაცულია ლონდონში, ბრიტანეთის მუზეუმში (საინვ. № 1857,1226.7); მუზეუმმა მონეტა შეისყიდა 1857 წელს ირლანდიელი პალეონტოლოგის, უილიამ უ. კოულისაგან (1807-1888).

მონეტის შუბლზე ზედწერილის ნაკითხვა უეჭველია: **დ(ავი)თ | მ(ე)ფე**.

რაც შეეხება ზურგის ლეგენდას, დ. ლანგმა წარმოადგინა წარწერის შემდეგი ნაკითხვა:

**სჲც ჰ ზც ჰჲჲ ლჲც ჰ ოჲ ნჲც = ს(ა)ხ(ელი)თ(ა) ქ(რისტე)ს(ია) დ(ავი)თ, მ(ე)ფე აფ(ხაზ)თ(ა), ქ(ართველთა), რ(ა)ნ(თა), კ(ა)ხთ(ა).<sup>5</sup>**

ნ. ბერძენიშვილმა და დ. კაპანაძემ ეს ნაკითხვა დააზუსტეს, რასაც დ. ლანგიც დაეთანხმა:

**ჰ ზც ჰჲჲ ლჲც ჰ ოჲ ნჲც სჲც = ქ(რისტე), დ(ავი)თ, მ(ე)ფე აფ(ხაზ)თ(ა), ქ(ართველთა), რ(ა)ნ(თა), კ(ა)ხთ(ა), ს(ომე)ხთ(ა).<sup>6</sup>**

მეფის წარმოდგენილი ტიტულატურა – „მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა [და] სომეხთა“ – საფუძველს იძლევა, მონეტა დაეთარილებინათ დავით IV-ის მეფობის ბოლო პერიოდით – 1118-1125 წლებით (გ. დუნდუა, თ. დუნდუა), ან 1123-1125 წლებით (დ. კაპანაძე). დღესდღეობით ეს ატრიბუცია და ნაკითხვა – „ქრისტე, [ადიდე] დავით, მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა [და] სომეხთა“ – საყოველთაოდ არის მიღებული.<sup>7</sup> შემდგომში ჩვენ დავიმომხმებთ ამ ნაკითხვას და ატრიბუციას, როგორც *ტრადიციულს*.

ტრადიციული დათარილების მიხედვით – ეს მონეტა დავით IV-ის სახელზე მოჭრილი მონეტების ორი ყველაზე გვიანდელი ტიპიდან ერთ-ერთ ტიპს წარმოადგენს. დავით IV-ის მონეტების ეს ორი გვიანდელი ტიპი საკმაოდ განსხვავებულია – ბოლო დროს გადათარილებული მეორე ტიპის მონეტები არაბულ-წარწერიანია.<sup>8</sup>

### ტრადიციული ნაკითხვის ანალიზი

მონეტის შესაძლო ბიზანტიური პროტოტიპის ძებნამ არსებითი შედეგი არ გამოიღო. შუბლის იკონოგრაფიული ტიპი ახლოსაა როგორც ალექსი I კომნენოსის (1081-1118), ისე იოანე II კომნენოსის (1118-1143) მიერ გამოშვებულ მონეტებთანაც.<sup>9</sup> ასევე შუბლის მსგავსი იკონოგრაფიითა და სამოსელით დავითი წარმოდგენილია სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის ფერწერულ ხატზე,

<sup>5</sup> Lang 1957: 144; დ. ლანგის ორიგინალური ნაკითხვა არის “In the name of Christ, Davit’, king of the Abkhazians, the K’art’velians, the Ranians, and the Kakhet’ians”.

<sup>6</sup> კაპანაძე 1969: 66 [№54]; Пахомов 1970: 296 [№14]; დუნდუა... 2006: 196-197.


<sup>7</sup> E.g. კატალოგი III: 18-19, 27-29, 188-189, 194; ისტორიული საბუთების კორპუსი I: 50; საქართველოს ისტორია, II: 405; British Museum Collection Database, *loc. cit.*; და ა. შ.

<sup>8</sup> იხ. Paghava 2012.

<sup>9</sup> Grierson 1982: Pl. 59-63,



სურ. 1. დავით IV აღმაშენებლის სპილენძის მონეტა.  
(© Trustees of the British Museum)



a



b

სურ. 2.\* ბაგრატ IV-ის მონეტები: **Р** და **Н** გრაფემების აღრევა.  
a) **Р Н**-ს ნაცვლად (ბაგრატ IV ნოველისიმოსი)  
b) **Н Р**-ს ნაცვლად? (ბაგრატ IV სევასტოსი)

\* ბაგრატ IV-ის მონეტების ფოტოები მოტანილია წიგნიდან: Пахомов 1970: ტაბ. III, №40, 42.

რომელიც მის ერთადერთ თანადროულ, ჩვენამდე მოღწეულ და იდენტიფიცირებულ გამოსახულებას წარმოადგენს.<sup>10</sup>

დავით IV-ის მეფობის პერიოდს (1089–1125) ემთხვევა ალექსი I კომნენოსის მიერ განხორციელებული 1092 წლის სამონეტო რეფორმა, რომელმაც არსებითად შეცვალა ბიზანტიაში არსებული სამონეტო სისტემა,<sup>11</sup> ამიტომ ალექსი I-ის რეფორმის შემდეგდროინდელი ემისია შესაძლებელია დადგინდეს განხილული მონეტის დათარიღების *terminus ante quem non*. თუმცა 1092 წლის ფულად სისტემაში ჩვენ მიერ განხილული მონეტა შეესაბამება 2.7 ტეტარტერონს, ანუ 0.15 სტამენონს (ვერცხლის ასპრის),<sup>12</sup> რაც არ იძლევა საშუალებას დავადგინოთ რაიმე კავშირი განხილულ დავითის მონეტასა და ბიზანტიაში გატარებული რეფორმის შემდეგდროინდელ სამონეტო სისტემას შორის.

ამრიგად, არც მონეტის მეტროლოგია, და არც მისი იკონოგრაფია არ იძლევა საშუალებას, დავადგინოთ რაიმე რიგის შეზღუდვები მონეტის ატრიბუციაზე.

### დაქარაგმება

შუა საუკუნეების ქართული ეპიგრაფიკული ძეგლებისათვის დამახასიათებელია დაქარაგმების სამი ძირითადი ტიპი:

- სიგლა, ე. ი. დაქარაგმება სიტყვის პირველი ასოს მიხედვით (ჩვეულებრივ გვხვდება მხოლოდ სიტყვებში რ<sup>~</sup> = რ(ამეთუ) და წ<sup>~</sup> = წ(ოლო));
- კონტრაქცია, ე. ი. დაქარაგმება სიტყვის პირველი და უკანასკნელი ასობით და დარჩენილი ასობიდან ნაწილის შეკვეცა (მაგ. გ<sup>~</sup>ი = გ(იორგ)ი, ქ<sup>~</sup>სა = ქ(რონი)კ(ო)ნსა);
- ხმოვნების გამოტოვება (მაგ. დ<sup>~</sup>ღბ = დ(ი)დ(ე)ბ(ა)ღ, ჯ<sup>~</sup>რ<sup>~</sup>ს = ჯ(ერ)-(ა)რს).<sup>13</sup>

სუსპენსია, ანუ სიტყვის ბოლო ნაწილის შეკვეცა (მაგ. მ<sup>~</sup>რ = მ(ა)რ(კოზ)), უცხოა ქართული ეპიგრაფიკისთვის, იგი მხოლოდ გამოწკლის შემთხვევაში გვხვდება.<sup>14</sup>

ზოგიერთ შემთხვევაში, რომელიც ჩვეულებრივ წარწერისათვის განკუთვნილი ადგილის ნაკლებობას უკავშირდება, კონტრაქცია და ხმოვნების გამოტოვება შეიძლება კომბინირებულად ხდებოდეს, რაც ინვესს უკანასკნელი ხმოვნის შეკვეცას. ასეთი პრაქტიკა ჩვეულებრივ დამახასიათებელია მონეტათა ლეგენდ-

<sup>10</sup> Kldiashvili 1989; კლდიაშვილი 2008: 53-54.

<sup>11</sup> Grierson 1999: 2; Grierson 1982: 10.

<sup>12</sup> 1092 წ. სისტემას შეესაბამება 4-გრამიანი სპილენძის ტეტარტერონი და 18 ტეტარტერონის ლირებულების ბილონის სტამენონი. იხ. Grierson 1999: 44; Hendy 1985: 508, 514.

<sup>13</sup> ჯავახიშვილი 1949: 139-144; Чанкиева 1974: 435; დანელია... 1997: 312. აქაც და შემდგომაც, თუ სხვა მითითებები არ არის, დაქარაგმების მაგალითები მოტანილია ი. აბულაძის შრომიდან: აბულაძე 1973: 387-416.

<sup>14</sup> დანელია... 1997: 309.

ებისთვის (მაგ. ქრთ = ქ(ა)რ(თველ)თ(ა)<sup>15</sup>). თუ ერთი ფრაზის ფარგლებში გვხვდება რამდენიმე შეთანხმებული ან ერთგვაროვანი წევრის გამოყენება ერთსა და იმავე ბრუნვაში და დაქარაგმებები სტანდარტული არ არის, მაშინ, ჩვეულებრივ, ერთნაირი ბრუნვის ნიშანთა გადმოცემით გამოყენებულია დაქარაგმების ერთნაირი ტიპი (მაგ. სწთა ღთა = ს(ა)ხ(ელი)თა ლ(მრთისაჲ)თა; აფხზთა და ქრთველთა მფე = აფხ(ა)ზთა და ქ(ა)რთველ(ე)ლთა მ(ე)ფე)<sup>16</sup>.

ამრიგად, მოსალოდნელი იყო ბრუნვის დაბოლოება თ (-თ(ა)) ყოფილიყო ლეგენდის ხუთივე პოლიტონიმთან, მაგრამ ტრადიციულ წაკითხვაში არასტანდარტული ქ(ართველთა) და რ(ა)ნ(თა) მოხვდება ერთ ჯგუფში მოსალოდნელ აფ(ხაზ)თ(ა), კ(ა)ხთ(ა) და ს(ომე)ხთ(ა) ფორმებთან. ასე რომ, წარმოდგენილი დაქარაგმებების კომბინირების თვალსაზრისით, ტრადიციული წაკითხვა არ შეესაბამება ქართულ ეპიგრაფიკაში მიღებულ ჩვეულებრივ პრაქტიკას.<sup>17</sup>

ახლა უფრო დაწვრილებით განვიხილოთ დაქარაგმებების გახსნა, რომელიც იგულისხმება ტრადიციულ წაკითხვაში:

⊕ ႁႃ ႁႆ ႁႆႁ ႃႆႃ = ქ(რისტე) დ(ავით) მ(ე)ფე აფ(ხაზ)თ(ა) წარმოადგენს სტანდარტულ წაკითხვას და არავითარ ეჭვს არ იწვევს.

⊕ = ქ(ართველთა) მიუღებელი გახსნაა. ქართული ლეგენდების შემცველ ქართულ-ბიზანტიურ სხვა მონეტებზე ქართველთა დაქარაგმებულია როგორც ქრთველთა, ქრთველთ, ქრთელთ, ქრთლთ, ქრვლთ, ქრთ და ქა, მაგრამ არასდროს – როგორც ქ<sup>18</sup> ქართული ეპიგრაფიკის ძეგლებში ქს დაქარაგმების სტანდარტული გახსნა არის მხოლოდ ქ(რისტე).<sup>19</sup> ამიტომ მიუღებელი ჩანს ლეგენდის შუაში დაქარაგმება *ad hoc* და იმ სახითაც, რომელიც ყველგან გამოყენებულია *nomina sacra*-თვის. უფრო მეტიც, აბსოლუტურად დაუჯერებელია წარ-

<sup>15</sup> Пахомов 1970: 62 [№21].

<sup>16</sup> მაგალითები იხ.: დანელია... 1997: 52; წარწერების კორპუსი II: 56 [№36]. შდრ., მაგალითად, გიორგი II-ის მონეტებში ტიტული „აფხაზთა და ქართველთა მეფე“ (Пахомов 1970: 61-69), დასავლეთ საქართველოს წარწერებში ბაგრატ IV-ის განსხვავებული ტიტულებით წოდება (წარწერების კორპუსი II: 52-56 [№ 33-36]) და ა.შ.

<sup>17</sup> ასევე უნდა აღინიშნოს, რომ წარწერის შუაში დაქარაგმებების არათანმიმდევრობა თავისთავად ალოგიკურია. არასტანდარტული დაქარაგმებები უფრო მოსალოდნელი იყო მონეტის ლეგენდის ბოლოში, როდესაც ხელოსნისთვის ცხადი ხდებოდა ადგილის ნაკლებობა და ამის გამო გამოირიცხებოდა მიღებული დაქარაგმებების გამოყენება. მაგალითად, გიორგი II მონეტებზე, ფორმულაში „ქრისტე ადიდე გიორგი, აფხაზთა და ქართველთა მეფე“ უფრო ხშირად ხდება ქართველთა-ს და არა აფხაზთა-ს ვარირება (იხ. Пахомов 1970: 62-69 [№21-40]), ხოლო მეფე იკვეცება ერთ მ-მდეც კი (იხ. Пахомов 1970: 66-68 [№29-38]).

<sup>18</sup> Пахомов 1970: 61-69 [№ 20-41].

<sup>19</sup> ქ დაქარაგმების ქ(რისტე)-დ გახსნის შესახებ დაწვრილებით იხ. ქვემოთ, გვ. 166. გარდა ამისა, ქ გამოიყენებოდა ტექსტის დასაწყისის აღსანიშნავად და გაგებული იყო როგორც ჯვარი, ან როგორც მიმართვა ქრისტესადმი (იხ., ქაჯაია 1969: 103, 107).

ნერაში ერთი და იმავე ქ-ს დაქარაგმების ორი განსხვავებული წაკითხვა ერთი ფრაზის ფარგლებში.

**ჟწ = რ(ა)ნ(თა)** ქარაგმის გახსნა საეჭვოა რამდენიმე მიზეზის გამო. უპირველეს ყოვლისა, სუსპენსია **რ(ა)ნ(თა)** არ თავსდება ქართული დაქარაგმების არც ერთ სტანდარტულ ჯგუფში. ეს მითუმეტეს მოულოდნელია წინამდებარე, ასევე არასტანდარტულ, ქ-სთან მეზობლობაში. გარდა ამისა, მოცემული დაქარაგმება არ შეიცავს ბრუნვის დაბოლოებას და წინააღმდეგობაშია **რ(ომელმა)ნ**-ის ჩვეულებრივ დაქარაგმებასთან. „რანთა“ დაქარაგმებისათვის, **რწ**-ს ნაცვლად, უფრო მოსალოდნელი იყო იმავე სიგრძის **რთ**. ეს უკანასკნელი, თუმცა ასევე ემთხვევა სტანდარტულ **რ(ომელ)თ(ა)**-ს, მაგრამ მაინც შესაბამისობაშია XI საუკუნის ქართულ ეპიგრაფიკაში საყოველთაოდ მიღებულ პრაქტიკასთან – შეიცავს ბრუნვის დაბოლოებას და არის კონტრაქცია.

**ჟღწ = კ(ა)ხ(ა)** დაქარაგმება ჩვეულებრივია, გვხვდება ეპიგრაფიკულ ძეგლებში და არავითარ ეჭვს არ იწვევს.

**სღწ = ს(ომე)ხ(ა)** ასევე პრობლემატური ჩანს, ვინაიდან წინააღმდეგობაშია როგორც სტანდარტულ **სხ(უა)თ(ა)**, ასევე შესაძლებელ **ს(ა)ხ(ელი)თ(ა)** დაქარაგმებებთან.<sup>20</sup> უფრო ნაკლებ მისაღებია დაქარაგმების ეს გახსნა უშუალოდ ქ-ს წინა პოზიციაში (**სღწ ჟ**), რადგან იგი ეწინააღმდეგება მოსალოდნელ წაკითხვას – **ს(ა)ხ(ელი)თ(ა) ქ(რისტე)სითა**. ამ შემთხვევაში უფრო მოსალოდნელი იყო დაქარაგმება **სშთ**, რომელიც არ ეწინააღმდეგება არც ერთ გავრცელებულ დაქარაგმებას და ასევე არ იძლევა განსხვავებული წაკითხვის საშუალებას მომდევნო ქ-თან კონტექსტში (**სჟწ ჟ**).

ამრიგად, უპირობოდ დასაბუთებულად ვერ მივიღებთ ვერც შემოთავაზებული დაქარაგმებების გახსნას თავისთავად და ვერც მათ შესაბამისობას ლეგენდის ტრადიციულ წაკითხვასთან.

### ზურგის ფორმულა და მეფის ტიტულატურა

ასევე ჩვეულებრივი პრაქტიკიდან გადახრილი ჩანს ლეგენდის ფორმულა „ქრისტე, [ადიდე] დავით, მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა [და] სომეხთა“.

და კავშირი მსგავსი ფორმულის უკანასკნელი წევრის წინ ჩვეულებრივ შენახულია. ასე მაგალითად, და კავშირი დასტურდება ქართველი მეფეების მრავალკომპონენტისაგან შემდგარ შვიდ განსხვავებულ ტიტულატურაში, რომლებიც გვხვდება ქართულ-ბიზანტიურ მონეტებზე (ბაგრატ IV, გიორგი II და დავით IV).<sup>21</sup> უფრო მეტიც, გიორგი II-ის (1072-1089) მონეტების 22 ვარიანტიდან, და კავშირი არც ერთში არ არის გამოტოვებული.<sup>22</sup> ადგილის მწვავე უკმარისო-

<sup>20</sup> დაქარაგმება **ს(ა)ხ(ელი)თ(ა)** გვხვდება თამარ მეფის მონეტებზე (იხ. Пахомов 1970: 93).

<sup>21</sup> Пахомов 1970: 59–73 [№ 17–44].

<sup>22</sup> Пахомов 1970: 61–69 [№ 20–41].

ბის შემთხვევაშიც კი და კავშირი მაინც შენარჩუნებულია და წარმოდგენილია შემოკლებულად, მხოლოდ **დ**-ს სახით (მაგ., გიორგი II კესაროსის ვერცხლის მონეტაზე). არაფრით არ განსხვავდება მდგომარეობა დავით IV-ის ტიტულატურასთან დაკავშირებით ჩვენთვის ცნობილ სხვა წყაროებშიც, როგორცაა რუის-ურბნისის კრების „ძეგლისწერა“, დავით IV-ის სიგელი ნიანია ნიანისძისადმი, გელათის ჯვარი, ხობის მონასტრის საწინამძღვრო ჯვარი და ა.შ. – მეფის ტიტულატურაში და კავშირი „აფხაზთა“ და „ქართველთა“ შორის ყველგან გვხვდება.

ასევე, სიტყვა **ადიდე** არ უნდა იყოს გამოტოვებული „ქრისტე ადიდე ...“ ფორმულაში. ასე, **ადიდე** არ არის გამოტოვებული ქართულ-ბიზანტიური მონეტების 8 სხვადასხვა ტიპის 28 ვარიანტიდან არც ერთში (ბაგრატ III, ბაგრატ IV, გიორგი II და დავით IV).<sup>23</sup>

შეუძლებელი არ არის, მაგრამ საკმაოდ უჩვეულოა 1118–1125 წლების პერიოდისთვის მონეტის შუბლის ლეგენდაში წარმოდგენილი დავითის ტიტული „მეფე“. დემეტრე I-ის (დავით IV-ის ძის) და გიორგი III-ის (დავით IV-ის შვილიშვილის) მონეტების მოკლე ლეგენდები, რომლებიც შედარებულია განხილული მონეტის შუბლთან, გადმოსცემენ სწორედ მეფის სრულ ტიტულს – „მეფეთა მეფე“ (და არა უბრალოდ „მეფე“). საესებით მოსალოდნელია, იგივე გვქონოდა დავით IV-ის შემთხვევაშიც, 1118–1125 წლებში – გიორგი II-ის გარდაცვალების შემდეგ (1112) დავით IV-ს უნდა ეტარებინა ტიტული „მეფეთა მეფე“ და არა „მეფე“.

## დასკვნა

ჩვენი აზრით, დავით IV-ის სპილენძის მონეტის ლეგენდის ტრადიციული ნაკითხვის ძირითად პრობლემებს წარმოადგენს:

- 1) ზოგიერთი დაქარაგმების საეჭვო გახსნა;
- 2) ლეგენდის ერთგვაროვანი წევრების დაქარაგმების საეჭვო მეთოდი;
- 3) ლეგენდის არასტანდარტული ფორმულა.

## გასწორებული ნაკითხვა

ტრადიციული ნაკითხვის სიძნელეების დასაძლევად ჩვენ აუცილებლად მიგვაჩნია ყურადღება მივაქციოთ იმ ფაქტს, რომ ტრადიციულ ნაკითხვაში არასტანდარტულად არის გახსნილი ერთბაშად ორი ფრაგმენტი, რომელსაც ქართულ ეპიგრაფიკაში საესებით ტიპიური ინტერპრეტაცია აქვს:

- **სԷԸ**, ჩვეულებრივ გამოყენებული იყო **ს(ა)ხ(ელი)თ(ა) ან სხ(უა)თ(ა)** სიტყვების გადმოსაცემად, მაგრამ გახსნილია როგორც „სომეხთა“;
- **ჟԻԿ**, რომელიც არის **ქრ(ო)ნ(ი)კ(ონი)**-ს შესაძლებელი დაქარაგმება, გახსნილია როგორც „ქართველთა, რანთა, კახთა“.

<sup>23</sup> Пахомов 1970: 55–73 [№ 16–44].

**ზეცჳი** მონაკვეთის წაკითხვა: **და(ავით) · მ(ე)ფე აფ(ხაზ)თ(ა)** არა  
 ნაირ ეჭვს არ ზადებს. ამრიგად, ინტერპრეტაციას საჭიროებს ტექსტის მხოლოდ  
**ჴჳი** მონაკვეთი, რომელიც თითქმის მთლიანად ზემოთ მითითე-  
 ბული სტანდარტითაა დაქარაგმებული. თუ გავითვალისწინებთ დაქარაგმებების  
 ტიპიურ გახსნას, ლეგენდა მთლიანად ასე უნდა წავიკითხოთ:

**სჳი ჴ ჳი ჳი ჳი ჴჳი**

**ს(ა)ხ(ელი)თ(ა) ქ(რისტესითა) · და(ავით) · მ(ე)ფე აფ(ხაზ)თ(ა) · ქ(ო)ნ(ი)-  
 კ(ონი) ზთ:**<sup>24</sup>

ამ წაკითხვაში ან ქორონიკონის წელი **ზთ** (6009) არასწორია, ან სიტყვა  
 „ქორონიკონი“ გამოყენებულია არასტანდარტულად (შეცდომით?) და აღნიშნავს  
 თარიღს სამყაროს დასაბამითგან. შუასაუკუნეობრივ საქართველოში მიღებული  
 იყო რამდენიმე „დასაბამითგან“-ის ერა, რომლებიც შეეფარდებოდა სამყაროს  
 შექმნის 5604 (ყველაზე გავრცელებული), 5508, 5492 და 5198 წლებს.<sup>25</sup> ამ სის-  
 ტემით დათარიღების შემთხვევაში, დასაბამითგან 6009 წელი შეიძლება შეეფარ-  
 დოს ახ. წ. 405, 501, 517 ან 811 წელს, თუმცა იმ დროისთვის არც აფხაზთა მეფე  
 დავითი არსებობდა და პალეოგრაფიულადაც ვერც მონეტის ზედწერილს დავა-  
 თარიღებთ V–VIII საუკუნეებით. ამკარაა, რომ თარიღი გადმოცემულია ქორონი-  
 კონით და მონეტის ლეგენდაში არის შეცდომა (რაც ნაკლებად სავარაუდოა),  
 ან ჩვენ ვკითხულობთ ქორონიკონის მოცემულ თარიღს არასწორად. ტექსტის  
 დასახელებულ მონაკვეთში, სადაც მითითებულია თარიღი „**სჳი**“, შესაძლებე-  
 ლია ერთადერთი კონიექტურის დაშვება, რომ **სჳი** ამოკვეთილია გრაფიკულად  
 მსგავსი **ს**-ს ნაცვლად, ან **ს** თავშეუკრავად არის ამოკვეთილი. ამდენად, მონ-  
 ეტის ლეგენდის მოცემულ მონაკვეთში მითითებული უნდა იყოს ქორონიკონი  
 „**სჳი**“ და არა „**სჳი**“.<sup>26</sup>

კონიექტურა **ს > \*ს** იძლევა 309 წელს, რომელიც ქორონიკონის მე-13 ინ-  
 დიქტიონში შეესაბამება 1089 წელს (780+309=1089), ე. ი. დავით IV-ის გამეფების  
 წელს.<sup>27</sup> ამ შემთხვევაში ზურგის ლეგენდა შესაძლოა ასე წავიკითხოთ:

**ს(ა)ხ(ელი)თ(ა) ქ(რისტესითა) · და(ავით) · მ(ე)ფე აფ(ხაზ)თ(ა) · ქ(ო)ნ(ი)-  
 კ(ონი) ტთ:**

ტექსტის შემოთავაზებული წაკითხვა და მასში მითითებული ქორონიკონი  
 სავსებით ეთანხმება „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“ ტექსტიდან დავი-  
 თის აღსაყდრების შესახებ პასაჟს, სადაც იმავე ფორმითაა მითითებული მისი  
 გამეფების თარიღი: „ხოლო ქორონიკონი იყო ტთ“.<sup>28</sup>

<sup>24</sup> წაკითხვის შესაძლებელი ვარიანტები ასევე შეიძლება იყოს **ქ(რისტესითა) და  
 ქ(ო)ნ(ი)კ(ონსა)**.

<sup>25</sup> დანელია... 1997: 347–348; კეკელიძე 1940: 85–87.


<sup>26</sup> ვარაუდი გაკეთებულია ბაგრატ IV, გიორგი II და დავით IV მონეტების  
 გრაფემების ფორმათა საფუძველზე და ი. აბულაძის პალეოგრაფიული ცხრილების  
 გათვალისწინებით (იხ. აბულაძე 1973: XI, №8–9).

<sup>27</sup> საქართველოს მეფეები 2007: 122; Toumanoff 1990: 135.

<sup>28</sup> ქართლის ცხოვრება 2008: 307<sub>67</sub>.

იმის შესაფასებლად, თუ რამდენად მისაღებია ეს ნაკითხვა, აუცილებელია დაზუსტდეს: რამდენად შესაძლებელია შემოთავაზებული კონიექტურა – პალეოგრაფიული თვალსაზრისით რამდენად დასტურდება **H** და **P** გრაფემების აღრევის შემთხვევები XI საუკუნის ძეგლებში; რამდენად კორექტულია ქარაგმების გახსნა გასწორებულ ნაკითხვაში; რამდენად შეესაბამება მონეტის ზედწერილებში წარმოდგენილი დავითის წოდება „მეფე აფხაზთა“ მისი გამეფების დროს, 1089 წელს.

კონიექტურა \* **P H**-ს ნაცვლად



სურ. 3. **P vs. H** – ხელოსნის ხელის თავისებურება?

- a) ბაგრატ IV-ის „აფხაზთა და ქართველთა მეფის“ ვერცხლის მონეტა
- b) დავით IV-ის სპილენძის მონეტა

განხილული პერიოდის წერილობით ძეგლებში დასტურდება **H** და **P** გრაფემების მსგავსება და მათი ურთიერთაღრევა. მაგალითად, საბერეების (X ს., დავით გარეჯის ლავრა) რამდენიმე ფრესკულ წარწერაში **P** გრაფიკულად ძალიან ჰგავს **H**-ს,<sup>29</sup> ხოლო სიმეონ მესვეტის ხატზე ლავამიდან (XI ს. პირველი ნახევარი, მესტიის თემი) **P** და **H**-ს ფორმები იმდენად ახლოა ერთმანეთთან, რომ ექვთიმე თაყაიშვილმა **ჟHPPH** = მხ(ა)ტვ(ა)რ- თავდაპირველად წაკითხა როგორც **ჟPPH**, და შემდგომ აკაკი შანიძემ შეასწორა ეს ნაკითხვა.<sup>30</sup>

ამ კონტექსტში ყველაზე მნიშვნელოვანია **H** და **P** გრაფემების აღრევა ბაგრატ IV-ის (1027–1072) მონეტებზე.<sup>31</sup> მაგალითად, ე. პახომოვი ბაგრატ IV ნოველისიმოსის მონეტასთან დაკავშირებით აღნიშნავდა, რომ „**H** (**b** = **x**) ძალიან ჰგავს **P**-ს.“<sup>32</sup> თუმცა, მონეტების დათვალიერებისას ადვილად შეიძლება დარწმუნება, რომ **H** და **P**-ს ფორმები არათუ ჰგავს, არამედ სავსებით ემთხვევა ერთმანეთს (სურ. 2ა).

<sup>29</sup> სხირტლაძე 1985: 66 [№36], 68 [№39].

<sup>30</sup> Чубинашвили 1959: 303.

<sup>31</sup> Пахомов 1970: 59–60 [№17–18]; ტაბ. III, №40–41]; Шамба 1987: ტაბ. XXVII, XXVIII, XXIX, XXXI, №№32, 34–37, 47, 58.

<sup>32</sup> Пахомов 1970: 59 [№17; ტაბ. III, №40].

ბაგრატ IV სევასტოსის ერთ მონეტაზე<sup>33</sup> **Р** გრაფიკულად ძალიან ახლოსაა **Е**-თან გრაფემის ზედა გახსნილი ნაწილით (სურ. 2ბ). ერთადერთ მცირე გრაფიკულ განსხვავებას ქმნის გრაფემა **Р**-ს მარჯვენა შუა სეგმენტში კუთხის მომრგვალება, მაშინ როცა **Е**-ში ეს კუთხე სწორია. აბსოლუტურად ანალოგიურ თავისებურებას ვაწყდებით დავით IV-ის განხილულ მონეტაზეც (სურ. 3). ამგვარად, სრულიად შესაძლებელია, რომ ჩვენი მონეტის ზურგის ლეგენდაში საქმე გვაქვს არა გრაფიკულ შეცდომასთან, არამედ გრაფემა **Р**-ს დანერილობის პალეოგრაფიულ თავისებურებასთან.

### დაქარაგმებები

რამდენადაც ჩვენ ვიღებთ **ႬႬ ႦႦ ႬႬႬ** მონაკვეთის წაკითხვას როგორც **დავით მე(ფ)ე აფ(ხა)თ(ა)**, ამიტომ წარმოვადგენთ ფორმულის მხოლოდ იმ ნაწილის ანალიზს, რომელიც განსხვავდება ტრადიციული წაკითხვისაგან.

**ႦႦႬႬ** = **ქ(რ)ნ(ი)კ(ონ)სა** არის სუსპენსია და ქართული ეპიგრაფიკისათვის ტიპიური არ არის, რადგანაც X-XI საუკუნეების ძეგლთა უმრავლესობაში *ქრონიკონ*- ფუძე დაქარაგმებულია როგორც **ქრწნ** ან **ქრწ**. მიუხედავად ამისა, *ქორონიკონსა* დაქარაგმება როგორც **ქრწსა** (ფუძით **ქრწ**, და არა **ქრწნ** ან **ქრწ**), დასტურდება ოშკში (ერისთავთ-ერისთავის ბაგრატის 963 წლის სტელის უკანა მხარე)<sup>34</sup>, ხოლო **ქრწ** - ორჯერ დავით გარეჯის ლავრაში.<sup>35</sup>

**სႬႬ** = **ს(ა)ხ(ელი)თ(ა)** გვხვდება არც ისე ხშირად, როგორც ზოგადად მიღებული **სხლო**, რადგანაც **სხთ** დაქარაგმება თანხვდება ზოგადად მიღებულ **სხ(უა)თ(ა)**-ს. თუმცა მონეტაზე ჩანს ადგილის უკმარისობა, ამიტომ სრულიად მისაღებია უმოკლესი დაქარაგმების ფორმის გამოყენება. მაგალითად, თამარ მეფის მონეტებზე ადგილის უკმარისობის ანალოგიურ სიტუაციაში *სახელითა* ასევე დაქარაგმებულია როგორც **სხთ**.<sup>36</sup>

**Ⴆ** = **ქ(რისტე)სითა** ასევე არატიპიურია, უფრო მეტად მოსალოდნელი იყო მოკვეცილი კონტრაქცია **ქთ**. მიუხედავად ამისა, ქრისტე-ს დაქარაგმება როგორც **ქ** სრულიად ნორმალურია ქართულ ეპიგრაფიკაში, რაც დასტურდება XI საუკუნის ცნობილი წარწერებით:

- **ქ(რისტე) შ(ეიწყალ)ე გ(ა)ბათა** (ატენის სიონი);
- **ქ(რისტე) შ(ეიწყ(ა)ლ)ე მა[მ]აჲ გ(ა)ბ[რ]ი[ე]ლ** (ნესგუნი, სვანეთი).<sup>37</sup>

<sup>33</sup> Пахомов 1970: [№19; ტაბ. III, №42].

<sup>34</sup> სილოგავა 2006: 73.

<sup>35</sup> გარეჯის ეპიგრაფიკული ძეგლები I: 100, №6. აქ უნდა აღინიშნოს, რომ დავით გარეჯის ლავრის წარწერები განეკუთვნება XV საუკუნეს, ე.ი. დროის მიხედვით დაშორებულია ჩვენ მიერ განხილულ პერიოდს. თუმცა ეს მიუთითებს, რომ ქრონიკონი-ს ასეთი დაქარაგმება პრინციპულად შესაძლებელია.

<sup>36</sup> Пахомов 1970: 93.

<sup>37</sup> წარწერების კორპუსი I: 217 [№116.21.b]; წარწერების კორპუსი II: 98 [№89].

ანალიზს მოითხოვს ასევე „სახელითა ქრისტემისითა“ შეთანხმებულ კონსტრუქციაში ქ-სთან ბრუნვის დაბოლოების უქონლობა, ანუ <სხთ ქ>-ს გამოყენება მოსალოდნელი <სხთ ქთ>-ს ნაცვლად. <სხთ ქ> დასაშვებია, რადგანაც მას აქვს თავისი ტიპოლოგიური პარალელი სხვა წარწერებთან, რომლებშიც „სახელითა ღმრთისადათა“ ფორმულის მეორე ელემენტში ბრუნვის დაბოლოება ასევე გამოტოვებულია:

- ს(ა)ხ(ე)ლ(ი)თა ღ(მრთისადათ)ა (ზემო ნიქოზი, X ს.);
- ს(ა)ხ(ელი)თ(ა) ღ(მრთისადათ)ა (კოშკები, X ს-ის მეორე ნახევარი);
- ს(ა)ხ(ე)ლ(ი)თ(ა) ღ(მრთისადათ)[ა] (ბოლნისის სიონი, X ს.).<sup>38</sup>

„სახელითა ქრისტემისითა“ ფრაზის მაქსიმალური შეკვეცა ასევე შესაძლებელია აიხსნას მონეტის ზურგზე წრიულად ამოკვეთილი ლეგენდისათვის ადგილის შეზღუდულობით, თუ ჩვენ დავუშვებთ, რომ წარწერის ტექსტის ამოსაკვეთად ხელოსანმა ლეგენდის ამოჭრა დაიწყო მეფის დაქარაგმებული სახელით დთ. ამ შემთხვევაში ლეგენდის ბოლო სეგმენტში, სადაც ოთხზე მეტი ასო ვერ დაეტეოდა, „სახელითა ქრისტემისითა“ გადმოცემული იყო მოკლე სხთ-ს და მისი მომდევნო უმოკლესი ქ-ს სახით.

### ზურგის ფორმულა

ფორმულა „სახელითა ქრისტემისითა“ არატიპიურია ქართული ეპიგრაფიკისათვის, რადგან იქ ჩვეულებრივ გვხვდება „სახელითა ღმრთისადათა“. მიუხედავად ამისა, ეს ფორმულა ძველი ქართული მწერლობისათვის უცხო არ არის, იგი ცნობილია მრავალრიცხოვანი წყაროთი (მაგ. სინური და უდაბნოს მრავალთავეები, შატბერდის კრებული, დიდი რჯულისკანონი და ა.შ.). მის უახლოეს პარალელს ჩვენ ვხვდებით „ქართლის მოქცევაში“, სადაც წმ. ნინო მიმართავს მეფე მირიანს: „შენ მეფე სახელითა ქრისტესითა“<sup>39</sup>. რამდენადაც მეტნაკლებად მოსალოდნელია, რომ ხელოსანმა წარწერის ამოკვეთა დაიწყო სიტყვიდან „დავით“ და დაამთავრა ფორმულით „სახელითა ქრისტესითა“, ლეგენდის ნაკითხვა შემდეგნაირად უნდა დაზუსტდეს:

ღ(ავით) · მ(ე)ფე აფ(ხაზ)თ(ა) · ქრ(ო)ნ(ი)კ(ონი) ტთ · ს(ა)ხ(ელი)თ(ა) ქ(რისტემისითა)

ეს ფორმულა შეიძლება წარმოადგენდეს ალუზიას წმ. ნინოს სიტყვებზე მეფე მირიანის მიმართ, ხოლო მისი გამოყენება დავითის გამეფების კონტექსტში ერთგვარი პარალელი უნდა იყოს ქართლის პირველი ქრისტიანი მეფის სტატუსის წინოს მიერ აღიარებისა.

<sup>38</sup> წარწერების კორპუსი I: 185–186 [№93], 200–201 [№108], 250–251 [№138].

<sup>39</sup> ქართლის ცხოვრება 2008: 121.

## მეფის ტიტულატურა

მონეტის შუბლზე დავით IV აღმაშენებლის ტიტული „მეფე აფხაზთა“ (და არა „მეფეთა მეფე“) ნამდვილად შეესაბამება 1089 წელს. რუის-ურბნისის კრების „ძეგლისწერაში“ (1105) დავითი მოხსენიებულია როგორც „მეფე“ (უფრო ზუსტად – „მეფე აფხაზთა და ქართველთა, რანთა და კახთა“), ხოლო გიორგი II – როგორც „მეფეთა მეფე“.<sup>40</sup>

მონეტის ზურგზე წარმოდგენილი ტიტულით – „მეფე აფხაზთა“ (და არა „აფხაზთა და ქართველთა“) დავით IV იწოდებოდა მისი სახელით მოჭრილ ვერცხლის დრაქმების ზედწერილში.<sup>41</sup> რამდენადაც დავით IV-ს მონეტების ერთპიროვნული მოჭრის უფლება მოსალოდნელი არ არის მის გამეფებამდე, ამიტომ დავითის ვერცხლის დრაქმები უნდა დათარიღდეს 1089 წლის შემდგომი, უფრო კონკრეტულად, ახლო ხანებით.<sup>42</sup>

კიდევ ერთ არგუმენტს იმის სასარგებლოდ, რომ დავით IV თავისი მეფობის დასაწყისში იწოდებოდა მხოლოდ „აფხაზთა მეფედ“, ჩვენ ვპოულობთ „ქართლის ცხოვრებაში“. „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“ შემდეგნაირად აღწერს დავითის გამეფებისას არსებულ პოლიტიკურ ვითარებას: „და იყო მაშინ საზღვარი სამეფოსაჲ მთაჲ მცირე ლიხთაჲ და სადგომი სამეფოჲ ნალულის-თავი. და ოდესცა ნადირობაჲ უნდის ქართლისა ჭალაკთა ..., არა შთავიდიან, ვიდრემდის ცხენ-კეთილთა მჭედართა მიერ მოინახიან .... ამა ვითარებასა შინა გარდაჲდა ნელინადი ოთხი“.<sup>43</sup> შეიძლება დავასკვნათ, რომ 1089-1092 წლებში (არაბთა მფლობელობის გამო) დავითის ხელისუფლება რეალურად არ სცილდებოდა ლიხის (სურამის) ქედს აღმოსავლეთით, ლიხი კი ტრადიციულად წარმოადგენდა აფხაზთა სამეფოს დასავლეთ საზღვარს.

ამრიგად, მონეტის შუბლის და ზურგის ტიტულატურა, სადაც ჩვენი წაკითხვით დავითი მოხსენიებულია როგორც „მეფე აფხაზთა“, სასეებით დასაბუთებულად შეესაბამება 1089 წელს.

## დასკვნა

ჩვენ ვიძლევიტ ზურგის ლეგენდის შემდგენარ წაკითხვას:

ԾԸ ՔՓՄ ԸՓԸ ԻԻԻԿ ԸԸ ԸԽԸ Ի, Ե.Ի.

დ(ავით), მ(ე)ფე აფ(ხაზ)თ(ა), ქ(რ)ნ(ი)კ(ონი) ტ(თ) [309], ს(ა)ხ(ელი)თ(ა) ქ(რ)ისტ(ეს)ითა).<sup>44</sup>

<sup>40</sup> ძეგლისწერა 1978: 195.

<sup>41</sup> კაპანაძე 1969: 65–66 [№53]; დუნდუა... 2006: 194–195 [ტაბ. IX, №56].

<sup>42</sup> შდრ. დუნდუა... 2006: 195.

<sup>43</sup> ქართლის ცხოვრება 2008: 308<sub>1-7</sub>.

<sup>44</sup> წაკითხვის კიდევ ერთი დასაშვები ვარიანტი არის ԸԽԸ Ի ԾԸ ՔՓՄ ԸՓԸ ԻԻԻԿ ԸԸ, Ե.Ի. ს(ა)ხ(ელი)თ(ა) ქ(რ)ისტ(ეს)ითა) დ(ავით), მ(ე)ფე აფ(ხაზ)თ(ა), ქ(რ)ნ(ი)კ(ონი) ტ(თ) [309]. მაგრამ, ზემოთ მითითებული მიზეზების გამო, ჩვენ უპირატესობას ვანიჭებთ წარმოდგენილ ვარიანტს.

ამრიგად, განხილული მონეტა განეკუთვნება დავით IV აღმაშენებლის მემკვიდრეობის არა ბოლო პერიოდს, როგორც ეს ტრადიციულად არის მიღებული, არამედ ზუსტად ემთხვევა მისი გამეფების თარიღს, 1089 წელს. ამდენად, დავით IV-ის სპილენძის მონეტის ზედწერილის ჩვენ მიერ წარმოდგენილი წაკითხვა ხსნის ლეგენდის ტრადიციული წაკითხვისას არსებულ პრობლემებს. მონეტის ზედწერილში მითითებულია ემისიის ზუსტი წელი – 1089. მონეტა მოჭრილ იქნა მისი გამეფების აღსანიშნავად და, სავარაუდოდ, მემორიალური ხასიათისაა.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. **აბულაძე 1973:** აბულაძე ილ., ქართული წერის ნიმუშები, მეორე შევსებული გამოცემა, თბ., 1973.
2. **გარეჯის ეპიგრაფიკული ძეგლები I:** გარეჯის ეპიგრაფიკული ძეგლები, ტ. I, ნაკვეთი I, წმ. დავითის ლავრა, უდაბნოს მონასტერი (XI–XVIII სს.), გამოსაცემად მოამზადეს დ. კლდიაშვილმა და ზ. სხირტლაძემ, თბ., 1999.
3. **დანელია... 1997:** დანელია კ., სარჯველაძე ზ., ქართული პალეოგრაფია, თბ., 1997.
4. **დუნდუა... 2006:** დუნდუა გ., დუნდუა თ., ქართული ნუმისმატიკა, I ნაწილი, თბ., 2006.
5. **ისტორიული საბუთების კორპუსი I:** ქართული ისტორიული საბუთები IX–XIII სს., შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1984 (ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I).
6. **კაპანაძე 1969:** კაპანაძე დ., ქართული ნუმისმატიკა, თბ., 1969.
7. **კატალოგი III:** ქართული ნუმისმატიკის კატალოგი, III ნაწილი. „ოქროს ხანა“ და დაქვეითება. სამონეტო საქმე და სამონეტო მიმოქცევა XI–XVI საუკუნეების საქართველოში, თბ., 2015.
8. **კეკელიძე 1940:** კეკელიძე კ., ქართული ერა და ეორტალოგიური წელიწადი, აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, ტ. V–VI, თბ., 1940, გვ. 83–101.
9. **კლდიაშვილი 2008:** კლდიაშვილი დ., ქართული სამონასტრო სულთა მატრიანები. სინას წმ. ეკატერინეს მონასტრის ქართველთა ეკლესიის სულთა მატრიანე, წიგნი I, თბ., 2008.
10. **საქართველოს ისტორია II:** საქართველოს ისტორია, ტ. II, საქართველო IV საუკუნიდან XIII საუკუნემდე, რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2012.
11. **სილოგავა 2006:** სილოგავა ვ., ოშკი – X საუკუნის მემორიალური ტაძარი, თბ., 2006.
12. **სხირტლაძე 1985:** სხირტლაძე ზ., საბერეების ფრესკული წარწერები, თბ., 1985.

13. **ქართლის ცხოვრება 2008:** ქართლის ცხოვრება, მთ. რედ. როინ მეტრეველი, თბ., 2008.
14. **ქაჯაია 1969:** ქაჯაია ლ., ორი ტექნიკური ნიშანი ძველ ქართულ ხელნაწერებში, პალეოგრაფიული ძიებანი, II, თბ., 1969, გვ. 103-107.
15. **ძეგლისწერა 1978:** გაბიძაშვილი ე., რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა, თბ., 1978.
16. **წარწერების კორპუსი I:** ქართული წარწერების კორპუსი, I, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-X სს.), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1980.
17. **წარწერების კორპუსი II:** დასავლეთ საქართველოს წარწერები, ნაკვ. I (IX-XIII სს.), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვ. სილოგავამ, თბ., 1980 (ქართული ლაპიდარული წარწერების კორპუსი, II).
18. **ჯავახიშვილი 1949:** ჯავახიშვილი ივ., ქართული პალეოგრაფია, თბ., 1949.
19. **Grierson 1982:** Grierson P., Byzantine Coins, London, 1982.
20. **Grierson 1999:** Grierson P., Byzantine Coinage, Washington, 1999.
21. **Hendy 1985:** Hendy M. F., Studies in Byzantine Monetary Economy, c.300-1450, Cambridge, 1985.
22. **Kldiashvili 1989:** Kldiashvili D., L'icône de Saint George du Mont Sinai avec le portrait de David Agmashenebeli, Revue des etudes géorgiennes et caucasiennes, N5, 1989, pp. 150-161.
23. **Lang 1957:** Lang D. M., Notes on Caucasian numismatics (Part I), Numismatic Chronicle, Sixth Series, Vol. XVII (1957), pp. 134-146.
24. **Paghava 2012:** Paghava I., The first Arabic coinage of Georgian monarchs: re-discovering the Specie of Davit IV the Builder (1089-1125), King of Kings and Sword of Messiah, The 3rd Simone Assemani Symposium on Islamic Coins, eds. B. Callegher, A. D'Ottone, Triste, 2012, pp. 220-261.
25. **Пахомов 1970:** Пахомов Е. А., Монеты Грузии, Тб., 1970.
26. **Чанкиева 1974:** Чанкиева Ц. А., Правила сокращения в памятниках древнегрузинской письменности, Проблемы палеографии и кодикологии в СССР, М., 1974, с. 434-439.
27. **Чубинашвили 1959:** Чубинашвили Г. Н., Грузинское чеканное искусство, Исследование по истории грузинского средневекового искусства, Текст, Тб., 1959.
28. **Шамба 1987:** Шамба С. М., Монетное обращение на территории Абхазии (V в. до н.э. – XIII в. н.э.), Тб., 1987.

Alexey Ostrovsky

ON THE ATTRIBUTION OF A UNIQUE COPPER COIN OF  
DAVID IV THE BUILDER

SUMMARY

One of the most notable of Georgian-Byzantine coins is a unique copper coin of David IV the Builder, described by David Marshall Lang in 1957. (The coin is kept at the British Museum). The legend of this coin is usually read as “Christ, [aid] David, [king of] Abkhazians, Kartlians, Ranians, Kakhეთians, Armenians” (we refer to it as to *the conventional reading*), and the coin is usually dated to 1118-1125, i.e. to the end of rule of David IV. However, the conventional reading never was a subject of detailed analysis.

We think that the conventional reading of the coin legend cannot be accepted, and the main problems of this reading rest with the following: doubtful expansion of several abbreviations, questionable method of abbreviation of homogeneous parts of the phrase (even if one accepts the proposed expansions of abbreviations), and irregular formula of the coin’s legend. Neither coin weight, nor its iconography provide for any hints or limitations with regard to the attribution of the coin.

We propose to accept the conjecture  $\text{E} > *P$ , which is grounded in Georgian epigraphy data of the corresponding period. This conjecture leads to the following reading of the reverse legend: „დ(ავით) • მ(ე)ფე აფ(ხაზ)თ(ა) • ქ(რ)ი(ნ)იკ(ონი) ტ̃თ • ს(ა)ხ(ელი)თ(ა) ქ(რისტეფესითა)” (*David, king of Abkhazians, in Chronikon 309, in the name of Christ*). This reading overcomes all the problems of the conventional reading and does not contradict the usual norms and habits of Medieval Georgian epigraphy.

Thus, the coin has to be dated to 1089, and it was dedicated to the coronation of David IV. It becomes the first Georgian coin that bears the Georgian Chronikon date and the exact year of coinage. The formula of the legend has an interesting parallel in the Georgian hagiographic literature, and may be an allusion to confirmation of authority of king Mirian by St. Nino.

მანუჩარ გუნცაძე

## ისტორიოგრაფია როგორც საბჭოთა პოლიტიკის იდეოლოგიური მექანიზმი 1920 წლის ოსი გოლუპვიკაჟის აჯანყების მაგალითზე

საბჭოთა პოლიტიკის იდეოლოგიურ მოდელებზე ბევრი დაწერილა სამეცნიერო სივრცეში და მათი ანალიზი საკმაოდ მნიშვნელოვანია. იდეოლოგიური მოდელები თუ მექანიზმები, ბუნებრივია, მრავალფეროვანი იყო, დანყებული პოლიტიკური აქტიურობით, დამთავრებული კარგად ნაცნობი საბჭოთა რეპრესიებით. ამ ყველაფერს, ცხადია, ერთი მიზანი ჰქონდა: მმართველი ძალის იდეოლოგიის გავრცელება და საზოგადოებისათვის თავზე მოხვევა. ერთ-ერთი ასეთი საინტერესო მექანიზმია სამეცნიერო სივრცის კონტროლი და მისი გამოყენებით არასწორი, ყალბი ინფორმაციის გავრცელება და ერთგვარი ალტერნატიული რეალობის თუ ხელისუფლებისათვის სასურველი ისტორიის შექმნა. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა არქივებზე წვდომის შეზღუდვა, რაც კვლევის ჩარჩოებში მოქცევას იწვევდა და ობიექტურ მკვლევარსაც კი, მასალების არარსებობის გამო, შესაძლებელია, რეალობისგან სრულიად განსხვავებული სურათი მიეღო. მოცემული სტატიაც სწორედ ერთ-ერთი ასეთი მაგალითის განხილვას ისახავს მიზნად, კერძოდ კი, თუ როგორ ხდებოდა ისტორიოგრაფიის გამოყენება საბჭოთა პოლიტიკისათვის სასურველი ისტორიის შესაქმნელად. კვლევისათვის აღებული საბჭოურ ისტორიოგრაფიაში განხილული საქართველოს პირველი რესპუბლიკის ისტორიის ერთი მონაკვეთი, რომელიც კარგად გვიჩვენებს, თუ როგორ ხდებოდა რეალური ფაქტების სახეცვლილება საბჭოთა პოლიტიკის ზეგავლენით.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის შესწავლა, ცხადია, საბჭოთა ეპოქაში გარკვეულ ცენზურას ექვემდებარებოდა. ამ პერიოდის საქართველოს ისტორიის კვლევა ან აკრძალული იყო, ან ბოლშევიკური პროპაგანდის ელფერი გასდევდა. ასეთი მიდგომით, რა თქმა უნდა, ფერხდებოდა 1918-1921 წლების საქართველოს ისტორიის შესახებ არსებული კვლევები.

ქართულ-ოსური კონფლიქტი, რომელიც სწორედ 1918-1921 წლებში ჩაისახა, ზემოთ აღნიშნული პრობლემის გამო რთულად საკვლევ თემატიკაში შედიოდა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ ოს ბოლშევიკთა მოწყობილ სამ აჯანყებას შორის, 1920 წლის ოსი ბოლშევიკების აჯანყება ყველაზე გამორჩეული იყო თავისი მასშტაბურობით და მოთხოვნების თვალსაზრისით, რადგანაც მიზნად ისახავდა საქართველოს ტერიტორიიდან შიდა ქართლის ნაწილის, ცხინვალის რეგიონის (ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“) გამოყოფასა და რუსეთისათვის შეერთებას.

ჩვენ მიზანია, ოსი ბოლშევიკების მიერ მოწყობილი აჯანყების ჩახშობისას ქართული სამხედრო შენაერთების რეალური მეთაურის პიროვნების დადგენა.

ერთი შეხედვით, ამ საკითხის გარკვევა, თუნდაც საბჭოური ისტორიოგრაფიის მიერ, არც ისე რთული უნდა ყოფილიყო და ყველაფერს ნათელი აქამდეც უნდა მოჰყენოდა; თუმცა, საბჭოთა ეპოქაში საკითხმა გარკვეული იდეოლოგიური დატვირთვა შეიძინა – როგორც ჩანს, ოსი მოსახლეობისათვის მტრის ხატის შესაქმნელად იმ ადამიანის სახელს იყენებდნენ, რომელიც ოსი ბოლშევიკების მიერ მანამდე მოწყობილ აჯანყებების ჩახშობას ხელმძღვანელობდა. სავარაუდოდ, ამიტომაც 1920 წლის აჯანყების ჩახშობა იმავე პიროვნებას, ანუ სახალხო გვარდიის გენერალს, ვალიკო ჯუღელს მიენერა. რა თქმა უნდა, ცალკე კვლევის საკითხია, რამდენად რეალური იყო ბრალდებები აჯანყების ჩახშობის დროს გამოყენებული მეთოდების სიმკაცრის შესახებ.

საბჭოურ ისტორიოგრაფიაში საკმაოდ უარყოფითად იყო წარმოჩენილი ვალიკო ჯუღელის პიროვნება და სწორედ მას მიენერებოდა მთელი პასუხისმგებლობა ყველა იმ სიმკაცრეზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1920 წლის ოსი ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლის დროს.

მართლაც და საინტერესოა, თუ ვინ იყო ის ადამიანი, რომლის პასუხისმგებლობასაც წარმოადგენდა აღნიშნული აჯანყების ჩახშობა და, რეალურად, საქართველოს ბედის წარმართვაც, ვინაიდან ამ დაპირისპირებებმა მნიშვნელოვანი შედეგი გამოიღო და კვალი დატოვა საქართველოს უახლესი პერიოდის ისტორიაში.

თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში ვალიკო ჯუღელის, როგორც ხელმძღვანელის, გვერდით კიდევ ერთი გენერლის სახელი გამოჩნდა. საუბარი გვაქვს გენერალ გიორგი მახნიაშვილზე, მაგრამ ამ საკითხს მოგვიანებით განვიხილავთ.

ახლა კი გავადევნოთ თვალი, თუ როგორ არის ასახული ქართულ ისტორიოგრაფიაში აღნიშნული საკითხი. 1969 წელს გამოიცა გ. თოგოშვილის მონოგრაფია სახელწოდებით: „ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობა“, რომელშიც გაკრიტიკებულია ქართული ჯარის მოქმედება და გენერალი ვალიკო ჯუღელი „არქიბანდიტად“<sup>1</sup> არის მოხსენიებული (თოგოშვილი 1969: 123), ანუ ეს ნაშრომი

<sup>1</sup> მეტსახელში ავტორმა გააერთიანა არქიმანდრიტის წოდება ბანდიტთან, რათა უფრო უარყოფითად წარმოეჩინა ვალიკო ჯუღელი, როგორც მაღალი იერარქიის ბანდიტი.

სწორედ იმ ნორმებში თავსდება, რომელსაც საბჭოთა ცენზურა ითვალისწინებდა და ვალიკო ჯუღელისგან მტრის ხატის შექმნით ცდილობდა 1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ხალხის მჩაგვრელ სახელმწიფოდ წარმოედგინა.

მსგავსი პათოსი შეინიშნება 1972 წელს გამოცემულ საქართველოს ისტორიის ნარკვევების მეექვსე ტომშიც, სადაც ქართული სამხედრო შენაერთების მოქმედება ოსი ხალხის მიმართ გადადგმულ აგრესიულ ნაბიჯად არის წარმოჩენილი: „მენშევიკების სამხედრო ძალებმა, რომლებიც ორი ცხენოსანი პოლკის, ქვეითი ბატალიონის, ორი სამთო ბატარეისა და გვარდიელთა რაზმებისაგან შედგებოდა, ვ. ჯუღელის მეთაურობით 9 ივნისს დაიწყეს ცხინვალზე შეტევა. ეს იყო მთელი საშინაო ოსეთის ანიოკება“ (სურგულაძე 1972: 680). აქაც აჯანყების ჩახშობის ხელმძღვანელად ვალიკო ჯუღელი არის მოხსენიებული.

ჩვენი მიზანია არა საბჭოთა პერიოდის კონკრეტულ მკვლევართა ნაშრომებში არსებულ ხარვეზებზე ყურადღების გადატანა (რომლებიც განპირობებული უნდა ყოფილიყო როგორც წყაროებზე ხელმიუწვდომლობით, ასევე, ცენზურით და სხვა ობიექტური და სუბიექტური მიზეზებით), არამედ საბჭოთა სახელმწიფოს მიერ ისტორიოგრაფიისადმი მიდგომების განხილვა.

საბჭოური ისტორიოგრაფიის ნააზრევი მეორდება პოსტსაბჭოთა ეპოქაშიც. XX საუკუნის 90-იანი წლების შემდეგ გამოქვეყნებულ სამეცნიერო მონოგრაფიებსა თუ სტატიებში უკვე ხდება რადიკალური ცვლილება მოვლენების შეფასების კუთხით. ამ პერიოდიდან კონტროლი გაქრა და, შესაბამისად, მოვლენათა შეფასებებიც უკვე მკვლევართა საკუთარი მოსაზრებებისა და მიხედვით ხდებოდა. სწორედ ამიტომ, დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ პერიოდში გამოცემულ სამეცნიერო პუბლიკაციებში აჯანყება შეფასებულია არა როგორც ოსი ხალხის თვითგამორკვევის მცდელობა და ტერიტორიული გამოყოფის სამართლიანი მოთხოვნა, არამედ როგორც ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული ქმედება, რომელიც საბჭოთა რუსეთის მიერ იყო ინსპირირებული. თუმცა, 1920 წლის ოსი ბოლშევიკების აჯანყების წინააღმდეგ ქართული ჯარის მეთაურის ვინაობასთან დაკავშირებით, ინერციით კვლავ ძალაში რჩება ძველი შეხედულება.

რაც შეეხება ზემოთ დასახელებულ კიდევ ერთ პიროვნებას, გენერალ გიორგი მაზნიაშვილს, მისი დაკავშირება 1920 წლის აჯანყებასთან გვხვდება რამდენიმე ნაშრომში. დ. ჭუმბურიძის ნიგნში „ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა XX ს-ის დასაწყისში (1918-1921 წლებში)“, აღნიშნულია, რომ: „ოსეთის აჯანყება სასტიკად ჩაახშეს გიორგი მაზნიაშვილის და ვალიკო ჯუღელის ხელმძღვანელობით ქართული გვარდიის ნაწილებმა“ (ჭუმბურიძე 2003: 324).

ასევე საინტერესოა 2012 წელს გამოქვეყნებული ს. ალექსიას მონოგრაფია – „აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების კონფლიქტების ანატომია“ და მისივე სადოქტორო დისერტაცია („აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტე-

ბი და მათი დარეგულირების პრობლემები“). ორივე ნაშრომში 1920 წლის ოსი ბოლშევიკების აჯანყების ჩახშობის ხელმძღვანელად ვალიკო ჯუღელია დასახელებული. ავტორის თქმით, „აღნიშნული აჯანყება 1920 წელს საქართველოს სახალხო გვარდიამ ჩააქრო. ოპერაციას ხელმძღვანელობდა ვალიკო ჯუღელი“ (ალექსია 2012: 153; ალექსია 2013: 77).

გიორგი მაზნიაშვილი და ვალიკო ჯუღელი ქართული სამხედრო შენაერთების ხელმძღვანელებად არიან მოხსენიებულნი 2014 წელს გამოცემულ ზ. კვარაცხელიას ნაშრომში: „რუსეთის გამოუცხადებელი ომი საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ (აფხაზეთი, „სამხრეთ ოსეთი“) და საერთაშორისო თანამეგობრობა“. ნიგნში ვკითხულობთ: „ოსეთში დაწყებული აჯანყების ჩასახშობად გაიგზავნა საქართველოს შეიარაღებული ნაწილები გიორგი მაზნიაშვილისა და ვალიკო ჯუღელის მეთაურობით“ (კვარაცხელია 2014: 77).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს მოსაზრებები არ არის სწორი. საფუძველს მოკლებულია გენერალ გიორგი მაზნიაშვილის დაკავშირება 1920 წლის ოსი ბოლშევიკების აჯანყებასთან, რადგან მას საერთოდ შეხება არ ჰქონია არც ამ და არც წინამორბედ აჯანყებებთან. 1919 წელს გიორგი მაზნიაშვილი ინიშნება ახალციხე-ახალქალაქის გენერალ-გუბერნატორად, ხოლო 1920 წლის ოქტომბრიდან გადადის თბილისის გარნიზონის უფროსად. შესაბამისად, 1920 წლის ივნისში განვითარებულ სამხედრო მოვლენებში მას მონაწილეობა არ მიუღია.

რაც შეეხება ვალიკო ჯუღელის საკითხს, დასახელებულ ნაშრომთა უმეტესობაში იგი მოხსენიებულია აყანჯების ჩახშობის მეთაურად, ხოლო როგორც ზემოთ ითქვა, საქართველოს ისტორიის ნარკვევებში სწორედ მას მიეწერება აჯანყების სასტიკად ჩახშობის გარდა ცხინვალზე იერიშის მიტანაც.

1920 წლის ქართულ-ოსური დაპირისპირების საკვლევად გამოყენებული გვაქვს რამდენიმე მნიშვნელოვანი წყარო – საარქივო მასალა – აღნიშნული მოვლენების უშუალო მონაწილეთა მოგონებები (საუბარია გიორგი კვინიტაძისა და ვალიკო ჯუღელის მოგონებებზე) და თანადროული პრესა.

უპირველესად შევხებით ვალიკო ჯუღელის მოგონებებს, სადაც იგი წერდა, რომ 1920 წლის ოსი ბოლშევიკების აჯანყების დროს მას ებარა მარჯვენა ფლანგის ხელმძღვანელობა დაგებუაძესთან და კარგარეთელთან ერთად (ჯუღელი 1920: 229). როგორც საარქივო მასალებიდან გავარკვეით, ცხინვალის აღება მოხდა არა მარჯვენა ფლანგის (რომელსაც ჯუღელი ხელმძღვანელობდა), არამედ ცენტრალური ფლანგის მიერ (ჯუღელი 1920: 229). შესაბამისად, მხოლოდ ჯუღელის მოგონებებიდანაც კარგად ჩანს, რომ ხელმძღვანელი ის არ ყოფილა და არც მას განუხორციელებია შეტევა ცხინვალზე.

ისმის კითხვა, ვინ იყო აჯანყების ჩახშობის დროს სამხედრო ოპერაციის ხელმძღვანელი? გიორგი კვინიტაძისა და ვალიკო ჯუღელის მემუარებში იფორმაცია ქართულ ჯარში ფლანგების ხელმძღვანელების ვინაობის და სტრატეგიის შემუშავების შესახებ ერთმანეთს ემთხვევა (კვინიტაძე 1998: 233).

კვინიტაძისა და ჯუღელის შეჯერებული ინფორმაციისა და გენშტაბის ოფიციალური ცნობების გათვალისწინებით, 1920 წელს ოსი ბოლშევიკების აჯანყების ჩახშობის დროს სამხედრო მმართველობის გადანაწილება ქართული მხრიდან შემდეგნაირად მოხდა: რაზმის ხელმძღვანელად დაინიშნა გენერალი კონიაშვილი, მთლიან ოპერაციას კი გიორგი კვინიტაძე ხელმძღვანელობდა. შეიქმნა მარჯვენა და მარცხენა კოლონა და ცენტრალური შემტევი ძალა, რომელიც ორ კოლონად – ცენტრალურ მარჯვენა და ცენტრალურ მარცხენა კოლონად დაიყო. ცენტრალურ კოლონებს ცხინვალის აღება ჰქონდათ დავალებული. მარჯვენა კოლონის ხელმძღვანელებად ვალიკო ჯუღელი და ალექსანდრე დგებუაძე დაინიშნენ, ცენტრალურ მარჯვენა კოლონას კი გენერალი კონიაშვილი ხელმძღვანელებდა, მარცხენა კოლონას – პოლკოვნიკი ნიკოლოზ გედევანიშვილი; ცენტრალურ მარცხენა კოლონას, რომელსაც ყველაზე სუსტად მიიჩნევდა კვინიტაძე და მისი ფუნქცია მხოლოდ მარცხენა კოლონასთან დაკავშირება იყო, თავად კვინიტაძე ხელმძღვანელობდა. მარცხენა კოლონისთვის, გედევანიშვილთან ერთად უნდა ეხელმძღვანელა გვარდიის შტაბისა და დამფუძნებელი სათათბიროს წევრს, ზაქარია გურულს.

ქართული სამხედრო ნაწილების მიერ ცხინვალის აღების შემდეგ გიორგი კვინიტაძემ ჯარის ხელმძღვანელად გენერალი კონიაშვილი დატოვა, თვითონ კი თბილისში დაბრუნდა. აქედან მოყოლებული უკვე კონიაშვილი ატყობინებდა გვარდიის მთავარ შტაბს მოვლენების განვითარების შესახებ (ერთობა 1920: № 133). შესაბამისად, ჯუღელი არც კვინიტაძის თბილისში დაბრუნების შემდეგ ყოფილა აჯანყების ჩახშობის ოპერაციის ხელმძღვანელი. მიუხედავად ამისა, აღნიშნულ სამხედრო მოქმედებებში ჯუღელის როლი უმნიშვნელო არ იყო, რამდენადაც იგი სამხედრო შტაბის სხდომებს ესწრებოდა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ოს ბოლშევიკებთან შეტაკებებში მხოლოდ სახალხო გვარდიის შენაერთები იღებდნენ მონაწილეობას და ჯუღელი ამ სამხედრო ოპერაციების მთავარი ხელმძღვანელი არ ყოფილა, როგორც ეს სამეცნიერო ნაშრომებშია მითითებული.

ძირითადი სამხედრო მოქმედებების დასრულებისა და ქართული მხარის მიერ აჯანყების ჩახშობის და სტრატეგიული ადგილების დაკავების შემდეგ, ზედმეტი გართულებების თავიდან ასაცილებლად იქ მაინც დარჩა მცირე რაოდენობით ჯარი, რომელიც მშვიდობას უზრუნველყოფდა. ამ სამხედრო შენაერთებს კი, როგორც ამას ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული დოკუმენტი ადასტურებს, პოლკოვნიკი ინკირველი ხელმძღვანელობდა (ხეც, კ. ინასარიძის ფონდი)<sup>2</sup>. შესაბამისად, არც აჯანყების ჩახშობის შემდეგ დარჩენილი ჯარის ხელმძღვანელი ვალიკო ჯუღელი.

<sup>2</sup> კარლო ინასარიძის პირადი საარქივო ფონდი ბოლომდე დამუშავებული არ არის, შესაბამისად, აქ მითითებულ მასალას ჯერ-ჯერობით საარქივო ნომერი არ გააჩნია.

ამრიგად, ჩატარებული კვლევის შედეგად გაირკვა, რომ ოსი ბოლშევიკების აჯანყების ჩახშობისას ქართულ სამხედრო შენაერთებს ხელმძღვანელობდა გენერალი გიორგი კვინიტაძე და არა ვალიკო ჯუღელი, როგორც ეს აქამდე იყო მიჩნეული ქართულ ისტორიოგრაფიაში. გენერალი ვალიკო ჯუღელი კი 1920 წლის სამხედრო ოპერაციების დროს მხოლოდ მარჯვენა ფლანგს ხელმძღვანელობდა.

საბჭოთა იდეოლოგიისათვის მსგავსი ინფორმაციის დამკვიდრების მიზანი ქართული ჯარისა და საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დისკრედიტაცია იყო, რამაც იმდენად მოიკიდა ფეხი, რომ თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაშიც ჰპოვა ასახვა.

### ბამოყენებული ლიტერატურა

1. **ალექსია 2012:** ალექსია ს., აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების კონფლიქტების ანატომია, თბ., 2012.
2. **ალექსია 2013:** ალექსია ს., აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტები და მათი დარეგულირების პრობლემები, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2013 წ. ელ. ვერსია: [http://www.old.bsu.edu.ge/humanities/upload/sadoqtoro\\_sulxan\\_aleqsia\\_2013.pdf](http://www.old.bsu.edu.ge/humanities/upload/sadoqtoro_sulxan_aleqsia_2013.pdf) (ბოლო ნახვა 25.10.2015).
3. **ბახტაძე 1968:** ბახტაძე უ., სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნა და მისი სამართლებრივი მდგომარეობა, თბ., 1968.
4. **ბენდიანიშვილი 2002:** ბენდიანიშვილი ალ., საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წწ.), თბ., 2001.
5. **ბლუაშვილი 2005:** ბლუაშვილი უ., ქართულ-ოსური კონფლიქტი: ვინ და რატომ დაიწყო იგი? თბ., 2005.
6. **ერთობა 1920:** გაზეთი „ერთობა“, 1920 წ., № 133.
7. **ხეც, კ. ინასარიძის ფონდი:** ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კარლო ინასარიძის პირადი ფონდი.
8. **ვადაჭკორია 2003:** ვადაჭკორია შ., საქართველოს პოლიტიკური ისტორიის საკითხები (XX საუკუნე), თბ., 2003, წიგნი 1.
9. **ვადაჭკორია 2006:** ვადაჭკორია შ., საქართველოს პოლიტიკური ისტორიის საკითხები (XX საუკუნე), თბ., 2006, წიგნი 2.
10. **ვადაჭკორია 2010:** ვადაჭკორია შ., დამოუკიდებელი საქართველო და რუსეთის აგრესიული პოლიტიკა 1918-1921 წლებში, თბ., 2010.
11. **ვადაჭკორია 2012:** ვადაჭკორია შ., ოსური მითი და ქართული სინამდვილე (პასუხად ოს ისტორიკოსებს), თბ., 2012.
12. **თოგოშვილი 1969:** თოგოშვილი გ., ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობა, თბ., 1969.
13. **თოიძე 1991:** თოიძე ლ., როგორ შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, თბ., 1991.
14. **ითონიშვილი 2005:** ითონიშვილი ვ., უცხოტომელთა ავაზაკობა საქართველოში, თბ., 2005.

15. **იოთხნიშვილი 2007:** იოთხნიშვილი ვ., ქართველთა გოდება გაპარტახებულ სამშობლოში, თბ., 2007.
16. **კვარაცხელია 2014:** კვარაცხელია ბ., რუსეთის გამოუცხადებელი ომი საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ (აფხაზეთი, „სამხრეთ ოსეთი“) და საერთაშორისო თანამეგობრობა, 2014 წ.
17. **კვინიტაძე 1998:** კვინიტაძე გ., მოგონებები, თბ., 1998, წ. 1.
18. **ლორთქიფანიძე 1995:** ლორთქიფანიძე გრ., ფიქრები საქართველოზე, თბ., 1995.
19. **სურგულაძე 1972:** სურგულაძე ა., საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება საქართველოში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VI, ა. სურგულაძე, თბ., 1972.
20. **მენთეშაშვილი 1989:** მენთეშაშვილი ა., სამხრეთ ოსეთის 1920 წლის მაის-ივნისის შეიარაღებული აჯანყება, გაზ. „სახალხო განათლება“, 1989, №95.
21. **მენთეშაშვილი 1996:** მენთეშაშვილი ა., ოსური სეპარატიზმი 1918-1920 წლებში, კრებული: ოსთა საკითხი, თბ., 1996.
22. **სონღულაშვილი 2009:** სონღულაშვილი ა., სამხრეთ ოსეთი საქართველოში?!, თბ., 2009.
23. **ჭუმბურიძე: 2003:** ჭუმბურიძე დ., ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა XX ს-ის დასაწყისში (1918-1921 წლებში), თბ., 2003.
24. **ხუციშვილი 1990:** ხუციშვილი ნ., შიდა ქართლი – ისტორია და თანამედროვეობა, საარქივო დოკუმენტები გვამცნობენ. გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1990, 20 იანვარი.
25. **ჟორჯოლიანი 1992:** ჟორჯოლიანი გ., თოიძე ლ., ლეკიშვილი ს., მატარაძე ლ., ხოშტარია-ბროსე ე., ქართულ-ოსური კონფლიქტის ისტორიული და პოლიტიკური ასპექტები და მისი მოგვარების გზები, თბ., 1992.
26. **ჯუღელი 1920:** Джугели В., Тяжёлый крест (Записки народногвардейца), Тиф-лиси, 1920.

**Manuchar Guntsadze**

## HISTORIOGRAPHY AS IDEOLOGICAL MECHANISM OF THE SOVIET UNION

### SUMMARY

A lot of things have been written on the ideological methods of the Soviet politics within Georgian scholarly field and beyond it and their analysis is rather interesting. The aim of this article is to discuss how historiography was used for creating desiring history for the Soviet policy.

In 1918-1921 there were three uprisings of Ossetian Bolsheviks, but in 1920 it was the most distinguished one by its dimensions and requirements that aimed at separating a part of Shida Kartli, Tskhinvali region (now the so-called South Ossetia) from Georgia and becoming a part of Russia.

In the 1990's Georgian scholars had the chance to research the thematic of 1918-1921 freely. But the prejudice that was composed at the period of the Soviet Union seemed so true that it was copied in Modern Georgian historiography. Presumably, for this purpose Valiko Jugheli, who was one of the significant figures of the leader party and the general of Georgian public army, was ascribed as the leader who put down the uprising in 1920.

In the scholarly monographs or articles published in the 1990's, the attitude towards the first Democratic Republic of Georgia has changed. There was no restriction of the Soviet policy and it made it possible to write the works without the Soviet censorship. That is why in the scholarly literature, published after gaining the independence of Georgia, the uprising is considered not as the attempt of self-determination of the Ossetian people and justified requirement of territorial allocation, but as the action directed against the Georgian state inspired by the Russians.

For studying the Georgian-Ossetian Conflict in 1920 I have several sources. The first is archival material (Georgian and Russian), the second one is the memoirs of leaders (Giorgi Kvinitadze's and Valiko Jugheli's), there are also periodicals that are a significant source for my research. According to this material I have studied this issue again and the reality became rather different. In fact, the leader of the Georgian military operation against the uprising was general Giorgi kvinitadze and not Valiko Jugeli. He was the leader of the right flank only.

Why was the Soviet regime interested to announce Valiko Jugeli as the leader of Georgian army? My answer is simple, as I mentioned Valiko Jugeli was one of the important figures from Georgian leader party- Social Democrats. Announcing Valiko Jugheli as the leader of the Georgian army and making him an oppressor would be the same policy of the Georgian state, too. Of course this would help the Soviet political ideology to make Georgian Social-Democratic Party as oppressor in people's eye. This prejudice was spread by Soviet ideology very easily because access to archives was limited at the time of The Soviet Union. But this prejudice still exists in Georgian modern historiography. That was just one example how prejudice can change real history for a long time and how it can be used by state for subjective reasons.

ANDREA SCHMIDT

UNIVERSITÉ CATHOLIQUE DE LOUVAIN, INSTITUT ORIENTALISTE

## DIE SYRISCHEN HANDSCHRIFTEN DES KEKELIDZE HANDSCHRIFTENZENTRUMS IN GEORGIEN. EIN ÜBERBLICK

Das Nationale Handschriftenzentrum in Tbilisi verfügt über vier syrische Handschriften. Diese werden im Rahmen des Vestigia Projektes der Universität Graz von Erich Renhart (Universität Graz, Österreich) und Andrea Schmidt (Universität Louvain, Belgien) identifiziert und katalogisiert.<sup>1</sup> Der Katalog wird auf deutsch erscheinen, mit armenischer und georgischer Übersetzung. Dieser Artikel soll einen ersten Überblick über die syrischen Handschriften in Tbilisi geben. Dem Katalog wird man eine detaillierte Beschreibung und Identifikation der Texte entnehmen können.

Anders als das Matenadaran in Jerevan, das eine syrische Sammlung mit ca. 39 Vollmanuskripten und Fragmenten besitzt, besitzt das georgische Kekelidze Handschriftenzentrum nur vier syrische Handschriften. Allerdings stehen sie literarisch und durch ihre überwiegend ostsyrische Herkunft in einer engen Beziehung zu einem Großteil der syrischen Handschriften im Jerevaner Matenadaran. Das erklärt die Entscheidung der Herausgeber, die in Armenien und Georgien aufbewahrten syrischen Handschriften in einem gemeinsamen Katalog zusammenzufassen.

Die syrischen Manuskripte in Tbilisi sind allesamt Papierhandschriften. Sie sind mit den Nummern syr. 1-4 signiert. Es gibt keinen Hinweis, wann sie nach Georgien und in den Besitz des Kekelidze Handschriftenzentrum von Tbilisi gekommen sind.

### Tbilisi no. 1: Liturgie

Das Manuskript enthält das Brevier der chaldäischen Kirche nach dem ostsyrischen Ritus und eine Anzahl von Gebeten für verschiedene Anlässe. Viele Gebete widmen sich

<sup>1</sup> E. RENHART – A. SCHMIDT, *Katalog der syrischen Handschriften in Jerevan und Tbilisi* (in Vorbereitung), siehe <http://www.vestigia.at/syriacfragments.html>.

den Kranken. Die chaldäische Kirche ist der katholisch unierte Zweig der östsyrischen „Apostolischen Kirche des Ostens“ („nestorianische“ „assyrische“ Kirche), die sich seit dem 3. Jahrhundert außerhalb des Oströmischen Reichs im Gebiet des Euphrat und Tigris bis weit nach Zentralasien und Südindien ausgebreitet hatte. Seit dem ausgehenden 17. Jahrhundert ist ein Teil dieser uralten Ostkirche mit Rom uniert. Die nicht unierten Christen der „Kirche des Ostens“ bezeichnen sich heutzutage auch als „Assyrische Kirche“. Der chaldäische Patriarch wird vom Papst berufen und residiert in Bagdad (wegen des Krieges im Irak, der Emigration christlicher Flüchtlinge aus Irak und Syrien und der gefährlichen Lage in Bagdad hat er derzeit seinen Sitz im irakisch-kurdischen Teil bei der Stadt Dohuk). Trotz der Angliederung an Rom ist die chaldäische Kirche kaum verwestlicht oder latinisiert. Vor allem liturgisch hat sie sich ihre alten Riten bewahrt.

Die Handschrift ist auf Syrisch und Karschuni geschrieben. Die Christen der „Kirche des Ostens“ in den modernen Staaten Syrien und Irak waren nach dem 10. Jahrhundert als Untertanen des Abbasiden-Kalifats allmählich dazu übergegangen, die arabische Sprache als Muttersprache anzunehmen und auch darin zuschreiben. Die uralte syrisch-aramäische Sprache geriet bei der christlichen Bevölkerung in Vergessenheit. Sie wurde vom Klerus und Gelehrten gepflegt und vor allem für die Liturgie benutzt. Das Bedürfnis der Arabisch sprechenden Christen, sich von den Muslimen abzugrenzen und ihre kulturelle-religiöse Identität im Orient zu behaupten, führte dazu, daß sie ihre Texte in syrischen Buchstaben schrieben. Diese Schrift, also arabische Sprache in syrischer Schrift, nennt man „Karschuni“. Besonders ab dem 16. Jahrhundert wurden viele christliche Bücher in Karschuni geschrieben und gedruckt. Sie dienten einem zweifachen Zweck: sie konnten von den Arabisch sprechenden Christen gelesen und verstanden werden, zugleich erinnerte die syrische Schrift an die historische Bedeutung der eigenen christlichen Identität. Arabisch in syrischer Schrift ist ein sogenanntes allographisches Phänomen, welches die Forschung auch als „identity marker“ bezeichnet.<sup>2</sup> Schriften, die in anderen Sprachen als der ursprünglichen Sprache geschrieben wurden, gab es im Mittelalter und früher Neuzeit mehrere; zu den wichtigsten allographischen Literaturen zählt in Andalusien die jüdisch-arabische Literatur in hebräischer Schrift, oder bei den Griechen auf dem Osmanisch beherrschten Balkan das Türkische in griechischen Buchstaben, oder bei den Armeniern auf dem Balkan und im großpolnischen Reich das Kiptchak-Türkische in armenischer Schrift. Viele allographische Schriften hatten ihre Epoche und sind aus unterschiedlichen Gründen wieder verschwunden. Das Karschuni wird bis in die heutige Zeit von arabischen Christen verwendet besonders für liturgische Bücher, wengleich sehr

<sup>2</sup> Zu diesem Phänomen im größeren historischen und kulturellen Zusammenhang vgl. J. DEN HEIJER – A. SCHMIDT, „Scripts beyond borders: Allographic traditions and their social, cultural and philological aspects. An analytical introduction“, in: J. DEN HEIJER – A. SCHMIDT – T. PATARIDZE (eds.), *Scripts Beyond Borders. A Survey of Allographic Traditions in the Euro-Mediterranean World*, (Publications de l'Institut Orientaliste de Louvain 62), Louvain-la-Neuve 2014, p. 1-63.


vermindert.<sup>3</sup> Ein Zeugnis hierfür ist die vorliegende Handschrift no. 1 in der syrischen Sammlung des Kekelidze Handschrifteninstituts.

Die Handschrift hat 81 Blatt und enthält das chaldäische Brevier (mehrere Lagen sind lückenhaft). Der Text beginnt in syrischer Schrift und fährt ab folio 31 in Karschuni fort. Auf den folgenden Seiten sind die Texte abwechselnd auf Syrisch und Karschuni. Die Schrift ist sorgfältig ausgeführt; es ist eine breite ostsyrische Kursive mit vielen Punkten ober und unterhalb der Buchstaben für die Vokalisierung. Die Bindung der Handschrift ist lose; mehrere Folios sind verlorengegangen, andere Seiten sind falsch eingebunden. Für den Katalog müssen die Lagen neu bestimmt und die Seiten zugeordnet werden. Die Handschrift hat einen braunen Ledereinband. Im vorderen und hinteren Einband sind innen mehrere Papierfragmente zur Verstärkung in den Deckel geklebt. Sie stammen aus anderen Manuskripten und sind sowohl in Karschuni und Syrisch als auch in arabischer Schrift beschrieben. Soweit es möglich ist, müssen diese Fragmente noch identifiziert werden. Unter anderem konnte herausgefunden werden, daß ein Blatt ein arabisches Medizinrezept gegen Husten enthält, andere Blätter sind mit Gebeten und Wünschen beschrieben.

Zwei Daten sind in Karschuni angegeben: auf folio 79v am unteren Rand das Datum 1810, und auf folio 80v ein Kolophon mit Datum und Namen des Schreibers: "*Der Priester Tuma ibn Madju schrieb dieses Buch für seinen geliebten Sohn Yuhannan. Möge es zu seinem Segen sein. Amen. Im Jahre Christi 1805*". Es ist bemerkenswert, daß der Schreiber Tuma sein Buch nach dem gregorianischen Kalender datiert und nicht die traditionelle syrische Datierung der «Seleukidenära» befolgt. Das läßt sich konfessionell erklären. Der Schreiber ist ein Priester der römisch unierten Kirche. Viele chaldäische Schreiber adaptierten den gregorianischen Kalender oder datierten ihre Handschriften doppelt nach syrischer und europäischer Chronologie.<sup>4</sup> Der Kolophon gibt keinen Ortsnamen an. Es muß sich um einen Ort im chaldäischen Siedlungsgebiet im damaligen Osmanischen Reich handeln, wo man Arabisch sprach, das heißt in Syrien oder im Irak.

<sup>3</sup> Vgl. J. MOUKARZEL, "Le Garshuni. Remarques sur son histoire et son évolution", in: J. DEN HEJER – A. SCHMIDT – T. PATARIDZE (eds.), *op.cit.*, p. 107-137.

<sup>4</sup> Vgl. L. BERNHARD, *Die Chronologie der Syrer*, (Österr. Akademie der Wiss. Phil.-hist. Kl. 264, 3. Abhlg.), Wien 1969, p. 120f.



Tbilisi syr. 1, fol. 14v/15r mit farbiger Zierleiste zum Abschluß eines Textes.

### Tbilisi no. 2: Amulett

Diese Handschrift ist eine gut erhaltene Papierhandschrift in einem brauen Ledereinband. Sie fällt durch ihre vielen bunten und naiven Zeichnungen zwischen den Textabschnitten auf. Es handelt sich um eine typische Amulethandschrift aus der ostsyrischen Tradition. Die ostsyrischen Christen der apostolischen „Kirche des Ostens“ haben bis in das ausgehende 20. Jahrhundert diese uralte Sitte aus der vorchristlichen jüdischen und aramäischen Tradition behalten. Surma d’Bet Mar Schem’on, die Schwester des 1915 von Kurden ermordeten ostsyrischen Patriarchen Schem’on, erinnert sich an den Brauch, als sie nach dem I. Weltkrieg mit vielen Landsleuten vor den antichristlichen Massakern der Türken in die USA geflüchtet war:

*„Viele unserer Landsleute gebrauchen und tragen Zaubersprüche gegen den bösen Blick und heften sie ihren Kindern und Tieren an. Ebenso soll eine Kette mit blauen Perlen gegen den bösen Blick von Nutzen sein. Auch gibt es verschiedene Weisen, die Zukunft vorherzusagen, allgemein werden dafür die Buchstaben des Namens verwendet“.<sup>5</sup>*

<sup>5</sup> SURMAD’BAIT MAR SHIMUN, *Assyrian Church Customs and the Murder of Mar Shimun*, London 1920, p. 19.

Die Amulette waren keine offiziellen Texte der Kirche, sondern wurden von Privatleuten in Auftrag gegeben. Schreibkundige Priester oder Diakone einer Gemeinde fertigten sie nach individuellen Wünschen an und wurden dafür bezahlt. Amulette wurden als dünne Rollen oder kleine Handschriften hergestellt, damit sie leicht am Körper getragen werden konnten. Sie waren für den alltäglichen Gebrauch und alle möglichen Gelegenheiten bestimmt. Das erklärt die Fragilität und Abnutzung der erhaltenen Amulette.

Aufgrund der individuellen Besonderheiten eines Amuletts enthalten die Handschriften keine feststehenden Texte wie etwa biblische oder liturgische Handschriften. Sie sind ganz auf den persönlichen Bedarf des Auftraggebers zugeschnitten, und die Texte können stark variieren. Die in einem Amulett aufgeschriebenen Gebete, Anathemata und Bannsprüche zeigen, daß sie für Menschen aus ländlichem und sozial niedrigem Milieu geschrieben wurden, für einfache, in der Regel ungebildete Personen, die keinen Zugang zu Technik, Medizin und modernen Erkenntnissen hatten. Diese Menschen waren Naturgewalten, Krankheiten oder der Willkür ungerechter Herrscher und sozialer Verhältnisse ausgeliefert. So enthalten die Amulette Gebete für diverse Krankheiten in der Familie und bei den Haustieren (Kuh, Schaf, Huhn), andere Bannsprüche sollen vor Waffengewalt (Schwert, Pfeil, Dolch, Gewehr) schützen, bewaffneten Übeltätern und bösen Machthabern. Manche Sprüche flehen Wohlstand für die Familie herbei, Reichtum der Ernte auf Feldern und in Weingärten; sie sollen Mäuse, Sperlinge, Insekten, Feuer, Diebe abwehren und alles, was Schaden am Eigentum anrichten kann. Schutzgebete gegen Dämonen sind besonders häufig zu finden, besonders häufig sind die Bannsprüche gegen den bösen Blick oder den weiblichen Dämon Lilith. Dieser Dämon „erstickt“ Frauen im Kindbett und ihre Säuglinge. Interessant sind auch die Zauberformeln, die Reisende bei Nacht vor Überfällen, Wölfen, Schlangen schützen sollen. Manche Amulette enthalten Liebeszauber oder das Gegenteil, nämlich Verwünschungen von Frauen. Andere wiederum enthalten konkrete Formeln, zum Beispiel für guten Honig, gegen das Sauerwerden von Milch, gegen das Weinen von Säuglingen, das Abbrennen des Heus, gegen Rückenschmerzen und Migräne.

Welche Schutzheiligen werden in den Amuletten angerufen? Maria, Jesus Christus oder die Apostel spielen keine oder nur eine untergeordnete Rolle. Gott wird vor allem mit den alttestamentlichen Bezeichnungen *El-Shaddai*, *Adonai*, *Zebaoth*, *Ehye-Asher-Ehye* („*Ich bin, der ich bin*“) benannt. Angerufen werden auch alttestamentliche Personen wie Salomon und David, die Propheten Henoch, Daniel und Elia, und sogar Moses. Eine große Rolle spielen die Engel Gabriel und Azaziel. Ferner kommen ostsyrische Heilige vor, die besonders im Gebiet der Osttürkei und Nordiraks von den Christen verehrt wurden: Hormizd und Abdicho, Tamsis, Zai'a, Schalita, Pula etc. Eine wichtige Schutzmacht ist der Reiterheilige Georg. Er fehlt in keinem Amulett.

Alle ostsyrischen Amulethandschriften sind bebildert. Das macht dieses volkstümliche Genre besonders reizvoll. Denn generell kennen die Handschriften der ostsyrischen Tradition – mit Ausnahme von dekorativen Flechtkreuzen – keine Miniaturen. Die Minia-

turen in den Amuletten sind naiv und von ungeübter Hand. Die Bilder sind manchmal zwischen den Text gesetzt; sie bezwecken, die Bannsprüche und Gebete bildlich zu verstärken. Dargestellt werden Heilige und Engel als Reiter mit der Lanze einen Dämon durchbohrend. Regelmäßig ist der heilige Georg dargestellt. Auch Dämonen sind abgebildet, zum Beispiel Asmodi, Paron und Lilith, letztere als „böser Blick“ mit schwarzen wild abstehenden Haaren und Klauen. Ferner gibt es magische Zeichnungen wie den „Ring Salomos“, das ist ein acht oder sechzehneckiger Stern mit Buchstaben und den Namen Gottes beschriftet. Jedem Buchstaben ist eine besondere Kraft zuteil. Es werden Waffen abgebildet, Wölfe, Skorpione und andere gefährliche Tiere. Diese Bilderserie wird regelmäßig auf der letzten Seite mit einem mehrfarbigen, typisch ostsyrischen Flechtkreuz abgeschlossen.



*Tbilisi syr. 2, fol. 9v: Der Reiterheilige Mar Zai'a mit Lanze den Dämon des Todes (mit Pfeilen und Köcher) durchstoßend.*



fol. 12r: Bannsprüche gegen alle Arten von unheilvollen Waffen. Am unteren Rand in armenischer Schrift die türkische Glosse eines gewissen Yovhannes.

Amulette sind eine ostsyrische Besonderheit; sie gehen auf vorchristliche Traditionen zurück und waren in der jüdischen, mandäischen und aramäischen Kultur Mesopotamiens in verschiedenen Formen weit verbreitet.<sup>6</sup> Auf grund ihres beständigen Gebrauchs im Alltag sind nur wenige christlich-aramäische Handschriften erhalten. Die meisten syrischen Amulette in den westeuropäischen Bibliotheken (Berlin, Paris, Cambridge, London, Birmingham etc.) datieren aus dem späten 18. und 19. Jahrhundert. Nur fünf Handschriften gehen auf die Zeit von 1714 bis 1777 zurück. Sie befinden sich in den Bibliotheken von St. Petersburg, Paris, Birmingham und Jerevan. Die Handschrift in Tbilisi steht in der Reihe der ältesten bekannten Amulette an sechster Stelle. Das Manuskript ist in dunkelbraunes Leder eingebunden und hat 34 Blatt. Der Kolophon am Ende der Handschrift (fol. 32-33) ist erhalten. Es ist ein langer Text, dessen Beginn in roter Tinte von

<sup>6</sup> Vgl. J. NAVEH - Sh. SHAKED, *Magic Spells and Formulae: Aramaic Incantations of Late Antiquity*, Jerusalem 1993; M. MORIGGI, *A Corpus of Syriac Incantation Bowls. Syriac Magical Texts from Late-Antique Mesopotamia, (Magical and Religious Literature of Late Antiquity, 3)*, Leiden 2014; E.C.D. HUNTER, "Amulets and the Assyrians of Kurdistan", in: *Journal of Assyrian Academic Studies*, 9, 2 (1995), p. 25-29.

Zu den Illustrationen in syrischen Amulethandschriften vgl. E. BALICKA-WITAKOWSKA, "Illustrating charms: a Syriac manuscript with magic drawings in the collection of the British Library", in: G.A. KIRAZ (ed.), *Malphono w-Rabo d-Malphone. Studies in honor of Sebastian P. Brock*, Piscataway 2008, p. 779-808.

den übrigen Texten abgesetzt ist. Leider ist der Text auf fol. 33 verwischt und schwer lesbar. Fest steht, daß die Handschrift im Jahre 1790 „am 2. Mai des Jahres 2102 der Seleukiden“ geschrieben wurde. Geschrieben wurde sie für einen Jungen namens Joseph Sohn des Ladjin aus der Gemeinde «Mart Maryam» von dem Erzdiakon Eliya aus dem Dorf Unter-Tulu (ܘܢܬܪܬܘܠܘܝܝܡ) im Distrikt Tergwar. Die ostsyrischen Heiligen Thomas, Augin und Kyriakos und Giwargis wurden in dieser Gegend verehrt. Sie werden im Kolophon erwähnt. Der Diakon Eliya war eine bekannt als Kopist. Er war verwandt mit dem Bischof Johannes von Mawana; dieser und seine gesamte Familie wirkten seit dem 17. Jh. über mehrere Generationen hinweg in Mawana (ܡܘܘܢܐ) als Schreiber. Auch Eliyas Sohn, der Priester Abdisho, war als Kopist tätig. Mehrere Handschriften sind aus der Schreiberfamilie des Bischofs von Mawana erhalten.<sup>7</sup>

Die Ortschaften Mawana und Unter-Tulu lagen im Distrikt Tergawar ca. 35 km östlich von Urmia, heute im Nordiran unweit der türkischen Grenze und dem (as)syrisch und kurdisch besiedelten Hakkarigebirge. In Mawana stand die Kirche der Mart Maryam («Herrin Maria»)<sup>8</sup>. Vielleicht ist das Amulett anlässlich der Taufe des jungen (ܡܘܢܐ) Joseph bar Ladjin in der Kirche oder bei einer anderen religiösen Handlung für ihn gefertigt worden.



Tbilisi syr. 2, fol. 7v mit Glosse von der Hand des späteren Besitzers Joseph bar Gauzel.

<sup>7</sup> D. WILMHURST, *The ecclesiastical organisation of the Church of the East, 1318-1913*, (CSCO, 582; *Subsidia*, 104), Leuven 2000, p. 308f.

<sup>8</sup> WILMHURST, *op.cit.*, p. 308. Im Kolophon von Handschrift 2 wird sie als «Dorf» bezeichnet (ܡܘܢܐ ܕܝܗ ܡܝܪܝܡ, fol. 33r). Der syrische Begriff könnte auch auf eine Kirchengemeinde deuten.

Das Amulett aus der Hand des Eliya kam später in den Besitz anderer Bewohner von Tulu. Diese haben am Seitenrand mehrmals ihre Namen geschrieben. Unter anderem kommt die Glosse (f. 20v) vor «(dieses Buch gehört) zum Hause des Joseph Sohn des Gauzel».<sup>9</sup>

Diese Handschrift mit den fünf anderen alten Amuletten von 1714-1777 zu vergleichen und zu edieren, verspricht interessante Ergebnisse.<sup>10</sup>

### Tbilisi no. 3: Liturgie

Die Handschrift mit 107 Blatt ist stark zerrissen und durch Insektenfraß zerstört. Sie datiert aus dem Ende des 19. Jahrhunderts. Es ist keine vollständige Handschrift, sondern ein Konvolut von sechs Fragmenten aus verschiedener Handschriften, die ungeordnet zusammengebunden wurden.

Das erste Fragment (Seiten 1-7) ist in einer schön geschwungenen Schrift geschrieben. Es enthält das ostsyrische Morgenoffizium. Vereinzelt sind die Titel in roter Tinte hervorgehoben.




Tbilisi syr. 3: Erstes Fragment.

<sup>9</sup> *Յոս 1 Ի ԺԹ ԹԻՐԱԿ* fol. 20v.

<sup>10</sup> A. Schmidt und G. Abousamra arbeiten an der Edition und Übersetzung dieses Amuletts zusammen mit der Erstedition der Jerevaner Amulette.


Das zweite Fragment ist in einer völlig anderen Handschrift geschrieben. Dieser Teil enthält Gebete des ostsyrischen Kirchenlehrers Narsai (5. Jh.) für das Nachtoffizium. Das Fragment findet eine Fortsetzung im vierten Teil der Handschrift.



Tbilisi syr. 2: Zweites Fragment.


Das dritte Fragment der Handschrift enthält Texte des ostsyrischen Offiziums und die Anaphora der Apostel. Die Schrift des Schreibers ähnelt jener aus dem ersten Teil, und vielleicht gehören der erste und dritte Teil zusammen; das muß textlich noch überprüft werden. Auch dieser 3. Teil bricht mit dem Ende der Lage ab.

Es folgt ein viertes Fragment geschrieben in demselben Schrifttypus wie Teil 2, allerdings ist der Text keine unmittelbare Fortsetzung von Teil 2. Auf die fragmentarischen Teile 2 und 4 bezieht sich der Kolophon auf Seite 77: „Beendet ist die Ordnung der Sakramente mit der Eucharistie der seligen Apostel durch die Hände des Priesters Abraham, Sohn des Priesters Mattai, Sohn des Priesters Hormizdas, Sohn des Priesters Jeremia, Sohn des Priesters Tuma, Sohn des Priesters Schapira. Ihr Andenken sei zur Seligkeit und zum Lobpreis ihres Herrn, und für den an Verfehlungen sündigen Schreiber das fürchterliche Gericht, (im Jahre) des Christus 1880. Amen, (dem Jahr) der Syrer 2191“. Der Schreiber, Priester Abraham, gibt zunächst die westliche Zeitrechnung an und rechnet dann das Datum nach dem traditionellen syrischen Kalender um.




Tbilisi syr. 3: Ende zweites Fragment– Anfang drittes Fragment (neue Lage).

Ein fünftes Teilfragment folgt nach Seite 78. Wieder ist es in einer anderen Handschrift mit violett gefärbten Tinte geschrieben. Der Text kann den beiden voran gegangenen Teilen nicht zugeordnet werden. Am Ende der Lage steht ein Kolophon desselben Schreibers aus Teil 4, nämlich des Priesters Abraham, Sohn des Priesters Mattai. Unten am Rande steht die Jahreszahl 1880.



Tbilisi syr. 3: Fünftes Fragment mit Datum.

Den sechsten Teil der Handschrift bildet ein Fragment in derselben Schrifttype wie die Teile 2 und 4. Der Text enthält liturgische Gebete, bildet aber keine direkte Fortsetzung der anderen Texte. Auf der letzten Seite des Konvoluts (Seite 107) steht ein Kolophon des Priesters Abraham mit der Jahreszahl 1875.



Tbilisi syr. 3: Sechster Teil, links unten mit Kolophon und Datum.

Das Manuskriptkonvolut besteht aus sechs Fragmenten aus zwei oder drei verschiedenen Handschriften, die ungeordnet zusammengebunden worden sind. Es handelt sich um ein liturgisches Manuskript der ostsyrischen Kirche mit Stundengebeten und der Anaphora. Der Schreiber der Fragmente 2, 4, 5 und 6 ist ein Priester Abraham. Er hat sie zwischen 1875 und 1880 geschrieben. Bemerkenswert ist, daß wieder um eine doppelte Datierung nach westlichem und syrischem Kalender gegeben wird. Das könnte darauf hinweisen, daß der Schreiber Abraham der chaldäischen Kirche angehörte. Ort und Schreiber der Fragmente 1 und 3 im Manuskript sind nicht bekannt.

**Tbilisi no. 4: Amulett**

Das Manuskript in einem Pappeinband besteht aus 59 Blatt aus dünnem modernen, mit Bleistift vorliniertem Schreibpapier. Es ist in einem schlechten Zustand. Die Bindung ist fast gelöst und ein Fünftel der Handschrift ist am unteren inneren Rand abgerissen. Es ist ein Amulett, das aus zwei einzelnen Amulettmanuskripten zusammengebunden und von Unbekannt später mit großen Zahlen durchpaginiert wurde. Das erste Amulett der Handschrift beginnt traditionell mit den Worten „in der Kraft unseres Herrn Jesus

*Christus beginnen wir zu schreiben das Amulett...*“, danach folgt das *Vater Unser*. Auf Seite 79 schließt es mit dem typischen ostsyrischen Flechtkreuz ab. Das zweite Amulett beginnt mitten im Text auf Seite 80 mit einer neuen Lage. Auf Seite 118 schließt es mit einem Flechtkreuz ab.



Tbilisi syr. 4, Seite1: Anfang des 1. Amulett

Die Texte sind in serto-Schrift geschrieben, sehr hastig und unschön mit großen Abständen zwischen den Worten und Zeilen. Vereinzelt sind Rubriken und Wörter in roter Tinte hervorgehoben. Anders als das Amulett in Handschrift no. 2 sind die Illustrationen in diesem Manuskript roh und ungelenkt.



Seite 69: Die Propheten Henoch und Elia im Paradies.

Ein schwer entzifferbarer Kolophon auf Seite 113 besagt, daß das 2. Amulett der Handschrift im Jahre 1908 für einen Jungen geschrieben wurde von einem Schreiber namens Zay'a Sohn des Isa aus dem Dorf Unter-Naši (ზაშა, ის). Dieser Ort gehörte zu den größeren Ortschaften im Distrikt Anzel nordöstlich von Urmia im heutigen Nord-Iran.<sup>11</sup> Hier lebten bis zum I. Weltkrieg viele Christen der assyrischen bzw. ostsyrischen "Kirche des Ostens". Nicht wenige traten in der zweiten Hälfte des 19. Jh. unter dem Einfluß der französischen Lazaristen in Urmia zum katholischen Glauben über.

Das bringt uns zu der Frage, wie die syrischen Handschriften nach Georgien gelangt sein könnten. Zumindest für die mit Kolophonen versehenen Amuletthandschriften läßt sich die Epoche annähernd bestimmen. Zehntausende (as)syrischer Christen aus den nordiranischen Gebieten um Khoy, Salmas und Urmia emigrierten zwischen 1828 und dem I. Weltkrieg aus ihren Dörfern in der fruchtbaren Urmiaebene. Andere kamen aus dem türkischen Hakkari-Gebirge, den historischen Siedlungsgebiete der ostsyrischen chaldäischen und (as)syrischen Kirche. Gründe für die Flucht waren die drückende Steuerlast unter der muslimischen Obrigkeit, Elend und Massaker an der christlichen Bevölkerung. Die Flüchtlingswellen stiegen nach 1880 stark an. Unter russischem Schutz<sup>12</sup> siedelten sich die Christen auf dem Gebiet der heutigen Staaten Armenien und Georgien an. Um die Mitte des 19. Jh. gab es schon sieben (as)syrische Kolonien. Aus dem Hakkarigebirge bildeten Flüchtlinge aus den Kantonen Gawar und Jilu Kolonien in der Umgebung von Jerevan (Dmitrov, Dvin-Aysor, Arzni) und Tbilisi. Dzveli-Kanda ca. 26 km nordwestlich von Tbilisi in der Region Duscheti wurde von (as)syrischen Aussiedlern aus Urmia gegründet.<sup>13</sup> Ihre Kirche ist heute der georgisch orthodoxen Kirche angegliedert. Die (as)syrischen Neubewohner von Kanda kamen mehrheitlich aus dem zerstörten Ort Naši bei Urmia. Die Handschrift no. 4, die laut Kolophon in Naši geschrieben ist, dürfte bei der Flucht als Schutzamulett mitgeführt worden sein.

Der Kolophon der Amuletthandschrift no. 2 nennt die Ortschaften Mawana und Unter-Tulu im Kanton Tergawar. Der Kanton war für mehrere Schreiberfamilien im 17., 18. und 19. Jh. angesehen, darunter die Familie des Bischofs Johannes von Mawana, welcher Eliya, der Schreiber des Amuletts, angehörte. Die Siedlungen lagen im Umkreis von Urmia unweit des (as)syrisch und kurdisch besiedelten Hakkarigebirges. Von hier aus emigrierten ab Mitte des 19. Jh. zahlreiche Großfamilien in den Kaukasus, insbesondere aus den Kantonen Jilu und Gawar. Die syrischen Handschriften in Jerevan enthalten interessante Kolophone aus diesen Gegenden.<sup>14</sup>

<sup>11</sup> WILMSHURST, *op.cit.*, p. 321, 328f.

<sup>12</sup> F. HELLOT-BELLIER, "Migrations des chrétiens d'Azerbaïdjan iraniens vers Tiflis au XIXe siècle", in: F. HELLOT-BELLIER – I. NATCHKEBIA (eds.), *La Géorgie entre Perse et Europe*, Paris 2009, 230, 232f.

<sup>13</sup> HELLOT-BELLIER, *op. cit.*, p. 225-227, 230.

<sup>14</sup> Zur Herkunft der Handschriften, die von Flüchtlingen aus Hakkari nach Armenien gebracht wurden, siehe RENHART – SCHMIDT, *Katalog der syrischen Handschriften in Jerevan und Tbilisi* (in Vorbereitung).

Die Amulethandschriften und wohl auch die chaldäischen Liturgiehandschriften in den Sammlungen von Tbilisi und Jerevan haben demnach eine gemeinsame Herkunft. Ihre Überführung nach Armenien und Georgien muß zwischen Mitte 19. Jh. und 1918 geschehen sein, als die alten Dörfer infolge der kurdischen und türkischen Massaker und in den kriegesischen Auseinandersetzungen zwischen Russen, Türken und Europäern verarmten oder zerstört wurden.<sup>15</sup> Es ist bemerkenswert, daß sich unter den Handschriften eine relativ hohe Zahl an Amuletten befindet, welche die weltweit nicht sehr häufigen Zeugnisse ergänzen. Man könnte annehmen, sie wurden am Körper mitgeführt, um die Flüchtlinge auf ihrem schweren Gang in die Emigration zu beschützen. Die Fundstücke im Kekelidze Handschriftenzentrum von Tbilisi zusammen mit ihren Gegenstücken im Matenadaran sind somit wichtige Zeugnisse für die Erschließung der volkstümlichen Literatur der einst großen syrisch apostolischen «Kirche des Ostens».



© mit Erlaubnis von Assyrian International News Agency [www.aina.org](http://www.aina.org)

<sup>15</sup> Zum Schicksal der Ostsyrer und Armenier im politischen Kontext siehe F. HELLOT-BELLIER, *Chronique de massacres annoncés. Les Assyro-Chaldéens d'Iran et du Hakkari face aux ambitions des empires (1896-1920)*, (*Cahiers d'études syriaques*. 2), 2 vols, Paris 2014.

## ანდრეა შმიდტი

ლუვენის კათოლიკური უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის  
ინსტიტუტი

## საქართველოს ხელნაერთა ეროვნულ ცენტრში დაცული სირიული ხელნაერთების მიმოხილვა

### რეზიუმე

სტატიაში მიმოხილულია ოთხი სირიული ხელნაწერი, რომლებიც დაცულია კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. ანდრეა შმიდტმა (ლუვენის უნივერსიტეტი, ბელგია) და ერის რენჰარტმა (გრაჯის უნივერსიტეტი, ავსტრია) მოახდინეს მათი იდენტიფიცირება და კატალოგიზირება (ერევანსა და თბილისში დაცული სირიული ხელნაწერების კატალოგი, გერმანულ-სომხურ-ქართული /შზადდება გამოსაცემად/, იხ. <http://www.vestigia.at/syriacfragments.html>). კატალოგი გამოვა გერმანულ ენაზე სომხური და ქართული თარგმანითურთ. კატალოგში წარმოდგენილი იქნება ხელნაწერების დეტალური აღწერილობა და მოხდება მათი იდენტიფიცირება. ეს სირიული ხელნაწერები ლიტერატურულად და მათი შექმნის ადგილის მიხედვით ახლო დამოკიდებულებას ამჟღავნებენ იმ სირიული ხელნაწერების დიდ ნაწილთან, რომლებიც დაცულია ერევანში, მატენადარანში. ამით აიხსნება გამომცემლების გადაწყვეტილება, სომხეთსა და საქართველოში დაცული სირიული ხელნაწერები ერთ საერთო კატალოგში მოათავსონ.

სტატიაში მიმოხილული ოთხი სირიული ხელნაწერი შესრულებულია ქალღმერთ და შედარებით გვიანი პერიოდისა (XVIII-XIX სს.). საქმე ეხება სირიულ-ქალდეური ეკლესიისა და ე. წ. ასირიული ეკლესიის (ანუ იმავე „აღმოსავლეთის სამოციქულო ეკლესიის“) აღმოსავლურ-სირიულ ხელნაწერებს; ამ უკანასკნელს ადრე შეცდომით „ნესტორიანულ ეკლესიას“ უწოდებდნენ. ორ ხელნაწერში ამუღებებია მოცემული, ორი კი ლიტურგიკული ხასიათისაა ლოცვებითა და აღმოსავლურ-სირიული რიტუალის ანაფორებით. ერთ-ერთი ლიტურგიკული ხელნაწერი ქალდეური ეკლესიის ხელდასხმით (Offizium) სირიულად და კარშუნით (სირიული ასოებით არაბულ ენაზე) არის დაწერილი; მეორე ლიტურგიკული ხელნაწერი შერეული ხასიათისაა, რომელიც, სულ მცირე, 6 სხვადასხვა ხელნაწერის ფრაგმენტებითაა შედგენილი.

განსაკუთრებით ძვირფასია ორი დასურათებული ამუღებებიანი ხელნაწერი. მინიატურები ამ ხალხურ ფანრს განსაკუთრებულ ხიბლს ანიჭებს. საერთოდ, აღმოსავლურ-სირიული ტრადიციის ხელნაწერებისათვის მინიატურები არ არის დამახასიათებელი, თუ არ ჩავთვლით დეკორატიულ, დაწვრილ ფერებს. წარმოდგენილ სირიულ ამუღებებში გაუნაფავი ხელით შესრულებული პრიმიტიული მინიატურებია; სურათები გამიზნულია იმისათვის, რომ გააძლიეროს ბოროტი დემონების განდევნის შელოცვებისა და ლოცვების ტექსტი. ხელნაწერებში

გამოსახულია აღმოსავლეთ სირიის მებრძოლი წმინდანები და ანგელოზები, რომლებიც დემონებს ებრძვიან, მაგალითად, დემონ ლილიტს ან „ბოროტი მზერის“ დემონს. ამულეტების ბოლოს ტიპური სირიული დეკორატიული დაწნული ჯვრებია. სირიული ამულეტები უკავშირდება წინაქრისტიანულ ტრადიციას და ფართოდ იყო გავრცელებული მესოპოტამიის იუდაურ, მანდეურ და არამეულ კულტურებში. ამგვარი ხელნაწერები კონკრეტულად აღმოსავლურ-სირიული ეკლესიის ლიტერატურული კუთვნილებაა. მსოფლიოში შემორჩენილია აღმოსავლურ-სირიული ტრადიციის მხოლოდ ხუთი ძველი ამულეტი (1714 წლიდან 1777 წლამდე). კ. კეკელიძის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ამულეტი (ხელნაწერი №2), რომელიც 1790 წლით თარიღდება, ჩვენთვის ცნობილი უძველესი ამულეტების რიგში მე-6 ადგილს იკავებს და, ამრიგად, ძალიან მნიშვნელოვანია ხალხური ლიტერატურის ამ სპეციფიური სახეობის შესწავლისათვის. ეს ხელნაწერი, 34 ფურცლითა და ერთი გრძელი კოლოფონით, კარგად არის შემონახული.

კოლოფონების მიხედვით ზუსტად დგინდება სამი სირიული ხელნაწერის თარიღი და წარმომავლობა. ისინი დღევანდელი ჩრდილო ირანის, ურმიას ტერიტორიის მიმდებარე სხვადასხვა ადგილიდანაა. სტატიაში დასმულია საკითხი, თუ როდის შეიძლება ყოფილიყო ისინი ჩამოტანილი საქართველოში. ეს პერიოდი შეიძლება შემოისახლეროს 1828-1918 წლებით, როდესაც აღმოსავლეთ სირიელების ძველი დასახლების ადგილებიდან, ჰაკარიდან და ურმიას ვაკიდან, ლტოლვილები და ემიგრანტები ჩადიოდნენ კავკასიაში. ერეენისა და თბილისის მიდამოებში დაარსდა სირიული კოლონიები. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის №4 ამულეტის ხელნაწერი ნასრიდანაა ჩამოტანილი იმ სირიელების მიერ, რომლებიც მოგვიანებით ქანდას მიდამოებში დასახლდნენ. ემიგრანტების მიერ საქართველოში ჩამოტანილი ხელნაწერების შემავსებელი ფრაგმენტები ინახება ერევანში, მატენადარანში.

## თამარ აბულაძე

### „შაჰ-ნამეს“ დასთანები სპარსულ ხელნაწერთა შუაზიურ კოლექციებში

ფირდოუსის „შაჰ-ნამემ“ უდიდესი გავლენა იქონია ირანისა და მთელი აღმოსავლეთის კულტურულ-ლიტერატურულ პროცესებზე. საუკუნეთა განმავლობაში, XI საუკუნიდან მოკიდებული, პოემა იესებოდა ჩანართებითა და ინტერპოლაციებით, იქმნებოდა მისი პროზითი და ლექსითი ვერსიები ცალკეულ ეპიზოდებზე, პოემის გმირთა ციკლებზე, ძირითადად, მითოლოგიურ და საგმირო ნაწილებში შემავალ ეპიზოდებზე დამყარებული მხატვრული თხზულებები, მათ შორის, ქართული ვერსიებიც, რომლებიც ალორძინების ხანას, XVI-XVIII საუკუნეებს განეკუთვნება.

პოემის ინტერპოლაციები, ძირითადად, XI-XII საუკუნეებშია შექმნილი. მოგვიანებით კი (XV-XVI სს.) ჩნდება „შაჰ-ნამეს“ დამოუკიდებელი ვერსიები, რომელთაგან ზოგიერთი უშუალოდ ფირდოუსის თხზულებიდან მომდინარეობს, ნაწილი კი ფოლკლორულ და ზეპირ გადმოცემებს, დასთანებს, უკავშირდება. უნდა აღინიშნოს, რომ, უმეტეს შემთხვევაში, არ არსებობს ამ ვერსიათა კრიტიკული გამოცემები, რაც ართულებს ტექსტების გამოყოფას ძირითადი ტექსტისგან, თუ ისინი ჩართულია პოემაში და მათი, როგორც ცალკეული ვერსიების, იდენტიფიკაცია.

პოემის ვერსიების, ისევე, როგორც თავად ფირდოუსის თხზულების, ცენტრალური ფიგურა სწორუპოვარი ფალავანი რუსტემია. მისი გმირობის ამსახველი, ასევე, მისი წინაპრების (საამის – რუსტემის ბაბუის, ზაალის – რუსტემის მამის) და შთამომავლების (სოჰრების და ფერემორზის – რუსტემის შვილების, ბარზუს – რუსტემის შვილიშვილის) ეპიზოდები უკავშირდება სისტანის ციკლის ეპოსს, რომელიც, თავის მხრივ, სათავეს იღებს ახალი სპარსული მწერლობის ადრეული პერიოდით დათარიღებული სისტანის ლოკალური იტორიის ამსახველი პროზითი ვერსიებიდან („თარხი-ე სისტან“ და „იაჰია ალ-მულუქ“ (Gazerani 2015: 30-31). ამ მდიდარი ნარატიული მასალიდან ფირდოუსი მხოლოდ ნაწილს იყენებს. „შაჰ-ნამეს“ ვერსიების ავტორები კი, უმეტესად ანონიმები, ძირითადად ამ ციკლს ეყრდნობიან და განავრცობენ მას ახალ ფორმატში („შაჰ-ნამეს“ მოთქყარიბის მეტრში). ამ რიგის პოემებს „მეორად ეპოსს“, ასევე, „გვიანდელ ეპოსს“ უწოდებენ. სისტანის

ისტორიასთან დაკავშირებული ეპიკური თხზულებები, დაჯგუფებული ამავე ტიპის სხვა პოემებთან, „სპარსული ეპიკური ციკლის“ სახელითაა ცნობილი (Van Den Berg 2012: 18). ამ რიგში შედის: „ბარზუ-ნამე“, „შაჰ-ნამეს“ ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ჩანართი თუ დამოუკიდებელი თხზულება რუსტემის შვილიშვილის გმირობებისა და ცხოვრების შესახებ, რომელიც, გავრცელებული მოსაზრებით, XI საუკუნეშია დაწერილი<sup>1</sup> და „სამ-ნამე“ – გერშასპის შვილიშვილის, ზალის მამისა და რუსტემის ბაჰუსის, დაუმარცხებელი სისტანელი ფალავნის, სისტანის (ზაბულისტანის) მმართველის, ეპიზოდების ამსახველი თხრობა.

პოემის ვერსიებისა და მასთან დაკავშირებული თხზულებების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს სპარსული ხალხური დასთანები წარმოადგენს. ეს არის ხალხური თხრობა, სათავედასავლო, რომანტიკული, დიდაქტიკური ამბები, ხშირად „ხალხურ წიგნებად“, „ხალხურ რომანებად“ გაერთიანებული; ასევე, ცალკეული, უკვე არსებული ფოლკლორული, ლიტერატურული წყაროებისა და თქმულებების ციკლიზაციის შედეგად შექმნილი ზეპირი, ან, დროთა განმავლობაში, ლიტერატურულ თხზულებებად გაფორმებული ნაწარმოებები (Бертельс 1960: 239). მათში საგრძნობა ზღაპრულ-საგმირო ეპოსის ტრანსფორმაციის შედეგად შექმნილი უძველესი ირანული ეპიკური სტადიების კვალი (ქაიუმარსის, ჯემშიდის, ფერიდუნის, რუსტემის გმირობებთან დაკავშირებული თქმულებები) (Мелетинский 1963: 443).

დასთანების უანრი გვიანდელი ფენომენია, რომელიც წარმოადგენს ინდივიდუალური და ხალხური შემოქმედების ნაზავს. მათ კითხულობდნენ პროფესიონალი მთქმელები, მთხრობელები. ეს ინსტიტუტი ირანში უძველესი დროიდანაა ცნობილი. ეს იყო ხშირად კლასიკური ჰანგებით შეზავებული წარმოდგენები, რომლებიც იმართებოდა ქუჩაში, ყავა-ხანაში, ქარვასლაში, ბაზარში, ზოგჯერ შაჰის კარზეც. მაგალითად, ცნობილია შაჰ-აბას I-ის პირადი ყისა-ხანი მოლა ბიხუდი ჯონაბადი (მოჰამედ თაჰერ ნასრაბადის „თეზქერეს“ მიხედვით), რომელიც, ისევე როგორც იმდროინდელი სხვა მთქმელები, ძირითადად, „შაჰ-ნამეს“ ამბებს კითხულობდა (გვახარია 1973: 48-49, 79). ზეპირი ეპოსის უანრი უაღრესად პოპულარული იყო სპარსულენოვან და თურქულენოვან ხალხებში, მთელ ახლო აღმოსავლეთში (Chadwick, Zhirmundsky 2010: 315-316).

უანრულად მრავალფეროვანი და მრავალგვარ წყაროზე დამყარებული დასთანების მთქმელების/მკითხველების რეპერტუარი ძალიან ფართო იყო. არსებობდა მოკლე კონსპექტები, ასევე, მდიდრულად გაფორმებული, მინიატურებით შემკული ვრცელი ხელნაწერები და ხმარებისაგან გაცვეთილი ნუსხებიც, რომლებითაც სარგებლობდნენ მთხრობელები, გადმომცემები და სხვ. (Боршевский 1963: 18).

„შაჰ-ნამე“ თავისი წყაროებით, გარკვეულწილად, წერილობით ძეგლებთან ერთად დაკავშირებულია ზეპირ შემოქმედებასთანაც, მათ შორის, ზემოთ ჩამოთვლილ თქმულებებთან. თავის მხრივ, პოემა იქცა სათავედ არაერთი გადამუშავებისა,

<sup>1</sup> ამ სოუჟეტის გვიანდელი, დასთანებიდან მომდინარე ვერსიები ფართოდაა გავრცელებული ცენტრალურ აზიაში (Paksyoy 1955).

რომლებიც შემდგომ, XVI საუკუნიდან, სპარსული ხალხური დასთანების განხორციელების მეორე პერიოდში, საფუძვლად დაედო სეფიანთა ხანის და შემდეგი დროის ყისა-ხანების (მთხრობელების) რეპერტუარში შემავალ დასთანებს (გვახარია 1973: 79-80).

ამრიგად, „შაჰ-ნამეს“ ინტერპოლაციები და მის თემატიკაზე შექმნილი დამოუკიდებელი თხზულებები თუ ვერსიები ემყარება როგორც წერილობით, ისე ხალხურ გადმოცემებს.<sup>2</sup> ამ მრავალი შრის შემცველ მასალაზე იქმნება დასთანები, ზეპირი ეპოსი – თხრობის სრულიად განსაკუთრებული, კომპლექსური ვარიანტი. ხშირ შემთხვევაში, მთხრობელების მიერ გამოყენებული ტექსტი ხელნაწერების სახითაა შემონახული, რომლებიც ილუსტრირებულია და ასახავს „შაჰ-ნამეს“ მხატვრული რეპერტუარის გავრცელებულ სიუჟეტებს.

ერთ-ერთი ასეთი ნუსხაა კორნელი კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის სპარსული კოლექციის შუაზიური ხელნაწერი PAC-462. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ხელნაწერმა მოიცვა ფირდოუსის პოემის და, ზოგადად, დასთანების მთელი თავისებურებები, რომლებზეც ზემოთ ვისაუბრეთ.

ხელნაწერი XIX საუკუნის I ნახევრისაა; შეიცავს 337 ფურცელს; ნაკლულია; გადანერილია ნასთაღიყით სქელ ლურჯ ქაღალდზე; ტექსტში ჩართულია 61 მინიატურა.

ჩვენი ხელნაწერი ბევრი კომპონენტით ავლენს მსგავსებას სომხეთში, მატენადარანში დაცულ „შაჰ-ნამეს“ ერთ სრულ ნუსხასთან, რომელიც შეიცავს ილუსტრირებულ „ბარზუ-ნამეს“ (მატენადარანი, არაბულ-სპარსული ფონდი, №535). ამის შესახებ ქვემოთ ვისაუბრებთ PAC-462-ის მინიატურებზე მსჯელობისას. მატენადარანის ხელნაწერი ფათჰ-ალი ხანის პერიოდით (1797-1834 წწ.), 1830 წლით თარიღდება. ვფიქრობთ, ჩვენი შუაზიური ხელნაწერიც ამ ეპოქაშია შექმნილი, რაზეც მიუთითებს ხელნაწერის სტრუქტურა, გაფორმების სტილი, ილუსტრაციები.<sup>3</sup>

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის შუაზიური სპარსული ხელნაწერების აღწერილობაში მითითებულია, რომ ხელნაწერი, სავარაუდოდ, „როსტომ-ნამეს“ ნარმოადგენს (კატალოგი 1977: 106). პირველად კატალოგში (დავთარში) აღნიშნული ნუსხა „შაჰ-ნამეს“ პროზით ვერსიადაა მიჩნეული. 2005 წელს სპარსულ ენაზე გამოიცა სეიფულა მოდაბერისა და მაია მამაცაშვილის მიერ შედგენილი სპარსულ ხელნაწერთა PAC კოლექციის აღწერილობა, რომელშიც PAC-462 ნუსხაში შემავალ თხზულებად „როსტომ-ნამე“ – „პოემის გამოკრებილი დასთანებია“ – მითითებული (აღწერილობა 2005 : 222-223).

<sup>2</sup> ამ ტიპის ინტერპოლაციები, ძირითადად, განიცდის ორი სახის ტრანსფორმაციას: 1. დე-კონტექსტუალიზაციას, როდესაც ორიგინალური ტექსტი ნაწილობრივ ან მთლიანად იცვლება, თუმცა, თავად ციტატები პოემიდან უცვლელი რჩება; 2. შეცვლა/ჩანაცვლებას, როდესაც ციტატებიც იცვლება ფაბულის შესაბამისად (Rubanovich 2015).

<sup>3</sup> მატენადარანის ხელნაწერის, მასში ჩართული „ბარზუ-ნამეს“ ილუსტრაციების შესახებ იხ., ამირბეკიან 1999.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს „დასთანის“, როგორც ტერმინის, პოლისემურობა: დასთანებს უწოდებენ ცალკეულ ეპიზოდებს ეპიკური თხზულებებიდან, აგრეთვე, ავტორისეულ პოემებს, ლეგენდებს, თქმულებებს, ფოლკლორულ ნიმუშებს. ს. მოდაბერისა და მათა მამაცაშვილის აღწერილობაში მითითებული „დასთანები“ გულისხმობს „შაჰ-ნამეს“ ცალკეულ ამბებს და არა ჟანრს. ჩვენ ვხმარობთ აღნიშნულ ტერმინს „ხალხური წიგნების“ მნიშვნელობით. ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ ხელნაწერში შემავალი ტექსტის სამივე დასახელება, გარკვეულწილად, სწორად მიუთითებს თხზულების რაობას, არც ერთი მათგანი არ არის ამომწურავი. საჭიროა გარკვეული დაზუსტება.

ტექსტი წარმოადგენს პროზას, რაც დამახასიათებელია დასთანებისათვის, რომლებიც, ძირითადად, პოეტური ვერსიების პროზად გარდათქმავა, თუმცა, ხშირია ლექსნარევი, რიტმული პროზა. ის დასთანები, რომლებიც ლექსადაა, სავარაუდოდ, პროზითი ვერსიების შემდგომი გალექსვის შედეგადაა შექმნილი (გვახარია 1973: 79).

ტექსტში მეტ-ნაკლები სისრულითაა გადმოცემული „შაჰ-ნამეს“ ეპიზოდები პოემის მითოლოგიური ნაწილიდან, დაწყებული ჯემშიდის თხრობიდან, დამთავრებული ბარზინის და ბაჰრამ გურის ეპიზოდით. სიუჟეტი ხშირად არ არის თანმიმდევრული და სცდება „შაჰ-ნამეს“ ძირითად ქარგას. როგორც ჩანს, ტექსტის შემდგენლისათვის, რომელიც მიჰყვება უშუალოდ ყისა-ხანის თხრობას, უმთავრესი კონკრეტული გმირების ამსახველი ეპიზოდების გადმოცემა და არა მათი ზუსტი თანმიმდევრობის დაცვა. მართალია, ტექსტის ცენტრალური ფიგურა რუსტემია და დანარჩენი ამბები, ძირითადად, მის ირგვლივ ვითარდება, როგორც თავად „შაჰ-ნამეში“, მაგრამ ტექსტი მაინც აღრეულია, მაგალითად, საამის ნაწილი არაერთხელაა გახლენილი და ხშირად უადგილოდაა ჩართული, ისევე, როგორც ბარზუსთან დაკავშირებული ეპიზოდები.

როგორც გაირკვა, „შაჰ-ნამეს“ ძირითად ტექსტთან შედარებით, ხელნაწერში ბევრად მეტია მოთხრობილი რუსტემის შვილიშვილის, ბარზუს შესახებ, რაც მოიცავს მის აღზრდას ირანის სამტროდ დაპირისპირებულ თურანში, შემდეგ მის ბრძოლებს ირანელ ფალავნებთან, მის დატყვევებას, რუსტემთან სამ შეხვედრას და ბარზუს დედის მიერ მის გადარჩენას, როდესაც იგი უამბობს რუსტემს, რომ ბარზუ მისი შვილიშვილი, მის მიერ ტრაგიკულად მოკლული სოჰრაბის შვილია, და მის მოკვლას დევისგან. ტექსტი მიჰყვება უშუალოდ „ბარზუ-ნამეს“<sup>4</sup> და, ვფიქრობთ, მისგან მომდინარეობს.

„ბარზუს წიგნი“ ჩართულია „შაჰ-ნამეს“ ერთ-ერთ ქართულ ვერსიაში, გალექსილ „როსტომიანიში“. ტექსტი გამოცემულია (ქართული ვერსიები 1934) და ემყარება A რედაქციას, რომელიც სამ ხელნაწერშია დაცული: A-858, S-428, S-1504.

<sup>4</sup> „ბარზუ-ნამეს“ ძველი და ახალი ვერსიების შესახებ იხ. რაფსან რაჰმონის სტატია კრებულში: Melville 2012: 291-302. აქვეა მოტანილი ამ თხზულების დეტალური შინაარსი თავების მიხედვით.

ნუსხები XVII-XVIII საუკუნეებისაა. ბარზუს ეპიზოდები ცალკე წიგნად ამ ვერსიაში არ არის გამოყოფილი, ისინი მოთავსებულია როსტომის აქვან დევთან შერკინებისა და ბეჟან-მანიჩუს ეპიზოდებს შორის. „ბარზუ-ნამეს“ ჩანართები ფირდოუსის პოემის სპარსული ტექსტის ძირითად ნაწილშიც სწორედ ბეჟან-მანიჩუს რომანტიკულ ამბავს უძღვის, თუმცა წინა ეპიზოდები სხვადასხვა ვერსიების მიხედვით. ქართული ტექსტი მოიცავს „გულოვანი ბარზუს“ ბრძოლებს ირანელ ფალავნებთან – ფარემურზთან და ტუსთან, მის მიერ ამ გამირების შეპყრობას, როსტომის მიერ მათ გამოსხნას, თურანის მმართველის, აფრასიობისათვის ამ ამბის შეტყობინებას, ბარზუსა და როსტომის სამ ბრძოლას; მესამე შებრძოლებისას ბარზუს დედის მოსვლას. ამ ვერსიაში, განსხვავებით აღნიშნული სპარსული ინტერპოლაციისა, არ არის ბარზუს სიკვდილის სცენა. იგი მთავრდება ნადიმით როსტომთან და მის წინაპრებთან.

PAC-462-ში შემავალი საამის ეპიზოდები „საამ-ნამეს“ უნდა უკავშირდებოდეს, თუმცა, ძნელი სათქმელია, საიდან მომდინარეობენ ისინი – „საამ-ნამეს“ ვერსიიდან თუ პოემის ჩანართიდან. ჩვენ არ გვქონდა საშუალება შეგვესწავლა „საამ-ნამეს“ სპარსული ტექსტი, თუმცა ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში სტუმრობისას, „შაჰ-ნამეს“ ცნობილმა მკვლევარმა, პოემის საერთაშორისო პროექტის ხელმძღვანელმა, ჩარლზ მელვილმა მთელი ხელნაწერი „საამ-ნამედ“ მიიჩნია, რასაც ვერ დავეთანხმებით, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, ტექსტის მნიშვნელოვანი ნაწილი „ბარზუ-ნამეს“ თხრობას მიჰყვება, საამის ამბები კი, სავარაუდოდ, „საამ-ნამეს“.<sup>5</sup>

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ფირდოუსის პოემის გმირთა ეპიზოდებზე შექმნილი დასტანების ტექსტებში შეუძლებელია მათი ნყარობის მკვეთრი გამიჯნვა, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, ეს ზეპირი ეპოსია, დამყარებული წერილობით და ფოლკლორულ მასალაზე, როგორც, გარკვეულწილად, თავად „შაჰ-ნამე“.

ხელნაწერში ფირდოუსის სახელი საგანგებოდ, ნითელი მელნითაა გამოყოფილი; ასევე, სიტყვები *ყისსა (გადმოცემა, თხრობა), ბეით (სალექსო სტრიქონი) და ნაზმ (ლექსი)*. განსაკუთრებით ხაზგასმულია და პერიოდულად მეორდება – *ყისსა გადმოგვეცემს, ყისსა მოგვიტხრობს* და ა. შ. გამოყოფილია შინაარსობრივად მნიშვნელოვანი მომენტებიც. ტექსტი წარმოადგენს ლექსნარევ პროზას, რომლის ბოლო ნაწილში სალექსო ჩანართები უფრო ბევრია.

ნუსხაში ზოგიერთი გვერდი არასწორადაა ჩაკინძული (შებრუნებულია), ერთ გვერდზე (213r) ტექსტი ნაღმაა, მინიატურა კი უკულმაა ჩაკრული. ზოგან მინიატურა არ შეესაბამება ტექსტის შესაბამის მონაკვეთს.

როგორც აღვნიშნეთ, ტექსტში 61 მინიატურაა, თუმცა მათი მიმდევრობა არეულია. როგორც ჩანს, ტექსტის გადამწერი და მისი ილუსტრატორი ცალ-ცალკე მუშაობდნენ ნუსხაზე, რაც ხშირად ხდება სპარსულ ხელნაწერებში. ყოველ მინიატურას აქვს განმარტებითი წარწერა.

<sup>5</sup> ეს ეპიზოდები ქართულ ვერსიებში ან ცალკეა თავმოყრილი, ან „როსტომიანში“ ჩართული.

ხელნაწერში წარმოდგენილი ილუსტრაციები, უმრავლეს შემთხვევაში, სიუჟეტის კონკრეტული ეპიზოდების დადგენილ დასურათებას მიჰყვება, კერძოდ: ზოპაქის შიათანთან გასაუბრება, ფაქტიურად, ყველა ბატალური სცენა თუ შერკინება, დევებთან ბრძოლების ამსახველი ილუსტრაციები, რომანტიკული სცენები (როსტომი და თაჰმინე, ბეჟანი და მანიუე და სხვ.).

ზოგიერთი ილუსტრაცია მხოლოდ კონკრეტული თხზულებისა თუ ჩანართისთვისაა დამახასიათებელი, მაგალითად, როსტომისა და ბარზუს ბრძოლის ამსახველი მინიატურა, რომელსაც შეაჩერებს ბარზუს დედა და ამცნობს როსტომს, რომ ბარზუ მისი შვილიშვილია. ეს მინიატურა მხოლოდ „ბარზუ-ნამესთვისაა“ დამახასიათებელი (სურ. 1).

მინიატურა ინდური ტიპისაა, კომპოზიციის ქვედა ნაწილში მასშტაბურად გამოსახული გმირებით. ბარზუ წევს, სახეზე ტანჯვის კვალი ამჩნევია, რაც შექმუხნული წარბებითაა გადმოცემული. წვეროსანი რუსტემი დახრილია და ხელში მოკლე დანა უჭირავს, რომლითაც უნდა განგმიროს ბარზუ. მარჯვნივ შაჰრუს გამოსახულებაა, რომელიც ცდილობს რუსტემის შეჩერებას. ფიგურები შუქ-ჩრდილების მოდელირებითაა გადმოცემული, რისთვისაც გამოყენებულია შავი ფერის საღებავი და ძირითადი ფონისგან განსხვავებული უფრო მუქი ფერები. მთელი კოლორიტი აგებულია ყაჯარული მინიატურისათვის დამახასიათებელი მკვეთრი, კონტრასტული ფერების და ნიუანსების აქცენტირებით. ამას ხაზს უსვამს გმირთა ჩაცმულობა, რომლის გამოსახვისას ქარბობს ყვითელი, ფორთოხლისფერი, ცისფერი და მონათალო ფერები.

ხელნაწერის სხვა მინიატურები, როგორც აღვნიშნეთ, „შპს-ნამეს“ ილუსტრირების მიღებულ რეპერტუარს წარმოგიდგენს. მოვიტანთ რამდენიმე მინიატურას, რომლებიც პოემის ძირითადი ტექსტის, მისი ინტერპოლაციებისა თუ ცალკეული ვერსიების გმირების ცნობილ ეპიზოდებს ასახავს: რუსტემისა და შავი დევის ბრძოლა (სურ. 2), საამ ფალანის შერკინება მოედანზე (სურ. 3), ზაალის შეხვედრა მის აღმზრდელ სიმურღთან (ფასკუნჯთან) (სურ. 4), ფარემურზისა და ჯეჰანგირის შეხვედრა (სურ. 5).

სპარსული ხელნაწერების შუააზიური კოლექციის ხელნაწერი PAC-462 შეიცავს სპარსული *დასთანის* ყანრის პროზით „შპს-ნამეს“, რომელშიც შედის „საამ-ნამესა“ და „ბარზუ-ნამეს“ ინტერპოლაციებისა თუ ამ პოემების ცალკეული ვერსიების საკმაოდ ვრცელი მონაკვეთები, ჩართული რუსტემის ციკლის თხრობაში. ნუსხა ყაჯარული პერიოდისაა. ტექსტი წარმოადგენს ყისა-ხანების (მთხრობელების, ნამკითხველების) ტიპურ თხრობას, რაზედაც მიუთითებს თავად ხელნაწერში ჩართული ფრაზები (ყისა მოგვითხრობს, ყისა გვეუბნება და ა. შ.). ნუსხის ილუსტრაციები ასახავს ფირდოუსის პოემისა და მისი გავერცობა/გაგრძელებების დასურათების მიღებულ ტრადიციას.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. გვახარია 1973: სპარსული ხალხური პროზის ისტორიიდან, თბ., 1973.
2. კატალოგი 1977: სპარსულ ხელნაწერთა კატალოგი, შეადგინა მ. მამაცაშვილმა, თბ., 1977.
3. ქართული ვერსიები 1934: „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიები, ტ. II, იუსტ. აბულაძის, ალ. ბარამიძის, პ. ინგოროყვას, აკ. შანიძის რედაქციით, კომენტარებით და ლექსიკონით, თბ., 1934.
4. აღწერილობა 2005: კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის (თბილისი) სპარსულ ხელნაწერთა აღწერილობა, შემდგენლები სეიფულა მოდაბბერი ჩარბორჯი და მაია მამაცაშვილი, ტ. 2, თეირანი, 2005 (სპარსულ ენაზე).
5. Chadwik, Zhirmundsky 2010: Nora K. Chadwik, Victor Zhirmundsky, Oral Epics in Central Asia, Cambridge Univesity Press, 2010.
6. Gazerani 2015: Saghi Gazerani, 'The Sistani Cycle of Epics and Iran's National history~, Brill, 2015.
7. Melville 2012: Ch. Melville, G. Van Den Berg, Shahnama Studies II: The Reception of Firdusi's „Shahnama“, Brill, 2012.
8. Paksoy 1955: H. B. Paksoy, The Dastan Genre in Central Asia, Modern Encyclopedia of Religions in Russia and the Soviet Union, Vol. 5, Academic International Press, 1955, avialable at: [http://vlib.iue.it/carrie/texts/carrie\\_books/paksoy-6/cae05.html](http://vlib.iue.it/carrie/texts/carrie_books/paksoy-6/cae05.html).
9. Rubanovich 2015: Julia Rubanovich, 'ŠĀH-NĀMA vi. The Šāh-nāma as a Source for Popular Narratives, ' *Encyclopædia Iranica*~, online edition, 2015, available at <http://www.iranicaonline.org/articles/shah-nama-06-dastan> (accessed on 25 June 2015).
10. Van Den Berg 2012: G. R. Van Den Berg, „Metafor and Imigery in Persian Poetry~, ed. by Ali Asghar Seyed Gohrab, Leiden-Boston, Brill, 2012.
11. Амирбекиян 1999: Раиса Амирбекиян, Иллюстрированный цикл интерполяции «Барзума» из «Шах-нама» Фирдоуси 1830 года, [http://hpj.asj-qa.am/4799/1/1999-2-3\(190\).pdf](http://hpj.asj-qa.am/4799/1/1999-2-3(190).pdf).
12. Бертельс 1960: Е. Э. Бертельс, История персидско-таджикской литературы, Избранные труды, М., 1960.
13. Борщевский 1963: Ю. Борщевский, Персидская народная литература, М. 1963.
14. Мелетинсий 1963: Е. М. Мелетинсий, Происхождение героического эпоса, М. 1963.



სურ. 1. რუსტემისა და ბარზუს ბრძოლა



სურ. 2. რუსტემისა და შავი დევის ბრძოლა



სურ. 3.  
სამ ფალავნის  
შერკინება მოედანზე



სურ. 4.  
ზაალის შეხვედრა მის  
აღმზრდელ სიმურღთან



სურ.5.  
ფარემუზისა და  
ჯიჰანგირის შეხვედრა

Tamar Abuladze

## DASTANS OF "SHAHNAMEH" IN THE MIDDLE ASIAN COLLECTION OF PERSIAN MANUSCRIPTS

### SUMMARY

"Shahnameh" by Ferdowsi had a great effect on cultural and literary processes of both Iran and entire East. During centuries the poem was being expanded with insertions and interpolations. Different versions were being created in the form of prose style and poetical recast based on mythical and heroic episodes.

The interpolations of the poem mainly belong to the 11<sup>th</sup>-12<sup>th</sup> centuries. Later, in the 15<sup>th</sup>-16<sup>th</sup> centuries, independent versions of "Shahnameh" came into light. Some of them are originated directly from the work by Ferdowsi while others have close links with folklore and oral history, *dastans*.

One of the most important sources of the poem's versions and the compositions connected with it is Persian *dastans*. This is a folk narration, stories of different genre – adventure, romantic, didactic. They are often combined as "folk books", "folk novels". The texts used by the narrators are often preserved in the form of manuscripts which are illustrated and depict the widespread plots of "Shahnameh"'s fictional repertoire.

The Middle Asian manuscript PAC-462 of the Persian collection housed at the Korneli Kekelidze National Centre of Manuscripts can be described as the above-mentioned type of manuscripts. It should be noted that this manuscript has all the characteristics of Ferdowsi's poem and *dastans*. The text is written in prose, characteristic for *dastans*, which is a poem converted into prose. However, there is often rhythmical prose with inserted poems. *Dastans* in the form of poems must be later versions of prose.

The manuscript contains more or less full episodes from "Shahnameh" 's mythical part beginning with Jamshid's narration and finishing with Barzim and Bahram Gur's episode. The central part of the work is episodes connected with Barzu, Rustem's grandchild and the narration about Saam the wrestler which must be connected with "Shahnameh".

There are 61 miniatures in the text; their order does not follow the text. In most cases the illustrations follow certain episodes. Some illustrations are characteristic only for specific compositions or interpolations (a miniature of Indian type depicting Rustem's and Barzu's battle).

Thus, Middle Asian Manuscript PAC-462 from Persian collection housed at the Korneli Kekelidze National Centre of Manuscripts contains a prose version "Shahnameh" of the Persian *dastan* genre. It comprises rather detailed sections from "Saamnameh" and "Barzunameh" interpolations or sections from certain versions of these poems. They are inserted in Rustem's cycle of narration. The manuscript belongs to Qajar period. The text is typical Khisa-Khans' narration which is testified by inserted phrases ("Kisa says", "Kisa tells us", etc). The illustrations of the Manuscript depict the tradition of illustrating Ferdowsi's poem.

ცისანა აბულაძე

## სულთან მეჰმედ IV-ის ბრძანებულება იერუსალიმის ყადისადმი მწინდა მიწის ქართული მონასტრების შესახებ

მწინდა მიწაზე ოსმალობის ხანის ქართული სამონასტრო თემის ისტორიის წერილობითი წყაროები დიდი რაოდენობითაა დაცული იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებელი საპატრიარქოს ბიბლიოთეკის არქივში. აქ შექმნილი ან გადაწერილი XI-XVII საუკუნეების 159 ქართული ხელნაწერისა და ორი ისტორიული საბუთის გვერდით ინახება სხვადასხვა ფორმულარის ასზე მეტი დოკუმენტი არაბულ და თურქულ ენებზე (Tselika 1992)\*. სამწუხაროდ, 2001 წლის 17 დეკემბრიდან 2002 წლის აპრილამდე ისრაელსა და პალესტინაში ქართველ მეცნიერთა კომპლექსური ექსპედიციის მუშაობის დროს (ხელმძღვანელი თ. მგალობლიშვილი) მათზე თვალის შევლებაც კი შეუძლებელი აღმოჩნდა.<sup>1</sup>

გასული საუკუნის 90-იან წლებში იერუსალიმში ხანგრძლივი მივლინების დროს კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის მეცნიერ თანამაშრომელმა

\* კატალოგში შესულ მასალას გავეცანი ეკა დულაშვილისა და თამარ მესხის დახმარებით, რასაც დიდი მადლიერებით აღვნიშნავ.

<sup>1</sup> ექსპედიციის მუშაობის პირობებისა და შედეგების შესახებ იხ. Akademia, ისტორიულ-ფილოლოგიური ჟურნალი, 2003, ტ. 5 (A).

ამჟამად არაბისტ გოჩა ჯაფარიძის მეცნიერული ინტერესებისა და გულითადი კოლეგიალური დამოკიდებულების შედეგად ჩემს ხელთაა სულთან სულიმან კანუნის 1521-1524 და 1514-1540 წლების, სელიმ II-ის – 1568 წლის, აჰმედ I-ის 1605-1607 და 1614 წლების ბრძანებულებები ქაქულის, ჯვრის, ამუდისა და გოლგოთის შესახებ. საბუთების ძნელად გასარჩევი ტექსტების ამოკითხვასა და გამართვზე მუშაობას დღემდე ვაგრძელებ. ასევე ძნელად გასარჩევი აღმოჩნდა საბუთების verso-ზე იმდროინდელი ქართველი და ბერძენი ბერებისა და მწინდა მამების მიერ ბერძნულად და ქართულად შესრულებული მინაწერები. ქართული ტექსტები კალიგრაფიული ასომ-თავრულით, გაკრული ნუსხა-ხუცურით, იშვიათად კი მხედრულითაა შესრულებული: „ესე წიგნი ნაიბისა არის“, „ესე ხუანთქრის ბრძანების სურათი (პირი – ც.ა.) ჯუარის მონასტრისათვის მიცემული“, „ბრძანება იოვანე მახარებლის ჯუარის მამის ბარნაბასაგან აღებული“, „ხუანთქრის არზა ჯუარის მონასტერში თათრის ჯამი და მუნ არა იყო რა“ და სხვ.

იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს ბიბლიოთეკის არქივიდან არაბული და ოსმალური საბუთების ფოტოპირების მოპოვების შესახებ იხ. ჯაფარიძე, ბუაჩიძე 2009: 538-557.

თინათინ ცერაძემ საპატრიარქოს არქივიდან „დამისახურა“ ერთი ოსმალური საბუთის ქსეროპირი, რომელიც შესასწავლად გადმომეცა. ეს არის სულთან მეჰმედ IV-ის (1648-1687) მიერ იერუსალიმის ყადისადმი გავზავნილი ბრძანებულება, უფრო ზუსტად „ჰუქმი შიქაძეთი“. ბრძანებულება გაცემულია სულთნის მაღალ კარზე პატრიარქ დოსითეოს II-ისა და ქრისტიანი ბერების მიერ გავზავნილი არზის პასუხად. ჩვენამდე მოღწეულია მხოლოდ ბრძანებულების ასლი. იგი გადმოღებულია სამხედრო შარიათის მოხელის მიერ, რომელსაც უჭირს დედნიდან არაბიკათი დაწერილი ქრისტიანული სახელების ამოკითხვა და სწორად გადმოწერა (მაგალითად, წმ. თევდორე **تاردوس مار** Mar Tardaros, ხოლო **دير التفافه** Deyr al-Tafafa ?!, გაუგებარია რომელი ქართული მონასტრის სახელი იგულისხმება. სახელის ჟღერადობის გამო შეიძლება გვეფიქრა „წმ. თეკლა“, მაგრამ წმ. თეკლას მონასტერი ქართველებმა ბერძნულ საპატრიარქოს ჯერ კიდევ პატრიარქ თეოფანეს დროს გადასცეს).

სულთნის უმაღლესი კანცელარიიდან გამოსული საბუთი უთუოდ დაცული იქნება იერუსალიმის შარიათის სასამართლოს არქივში – ბრძანებულების ადრესატი არის ყადი. საპატრიარქოს ბიბლიოთეკის არქივში კი მხოლოდ აქ წარმოდგენილი ასლი ინახება (Тселіка 1992:487).

ბერძნული მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქი დოსითეოს II (1669-1707) „იერუსალიმის პატრიარქების ისტორიაში“ აღნიშნავს: „1682 წლის აგვისტოში კონსტანტინოპოლში გავემგზავრეთ, [წმ. საფლავის] მამებს კი ვუბრძანეთ, ყადი თუ მცირე თანხაზე დათანხმდებოდა, განეახლებინათ ივერთა მონასტრები. ძალიან გავერანებული იყო განსაკუთრებით სამი: წმ. ჯვრის, წმ. ბასილის და წმ. ნიკოლოზის. მამებმა ისარგებლეს ხელსაყრელი შემთხვევით, მოსამართლეს გამოართვეს ხოჯეტი (sic), ანუ შეკეთების ნებართვა იმ მონასტრებისა, რომლებიც დავასრულეთ. ერთ წელიწადში დავასრულეთ ივერთა შემდეგი მონასტრები: წმ. ჯვრის, წმ. ნიკოლოზის, წმ. ბასილის, წმ. თევდორეს, წმ. ანასი და წმ. გიორგისა ევრიადში. რაც იმ დროს უსიამოვნებანი მოხდა, ახლა მათზე ლაპარაკის დრო არ არის“.<sup>2</sup> სწორედ „იმ დროს მომხდარ უსიამოვნებათა“ შედეგია სულთან მეჰმედ IV-ის მიერ იერუსალიმის ყადისადმი 1686 წლის იანვარში გამოცემული წინამდებარე ბრძანებულება.

წმინდა მამებს იერუსალიმის ყადის ჰუჯათის შესაბამისად აღუდგენიათ „დანგრევის პირამდე მისული“ ეკლესია-მონასტრები: წმ. საბას ლავრა, წმ. ჯვრის, წმ. ნიკოლოზის, წმ. ბასილის, წმ. თევდორეს, წმ. ანასი და წმ. გიორგის. ქრისტიანთაგან ჩატარებული აღდგენითი სამუშაოების გამო ადგილობრივი უბირი მოსახლეობა (**اهلی عام**) აღშფოთებულია და წმინდა მამებს დამუქრებია – კანონიერ საზღვრებს გასცდნენ და ამიტომ აღდგენილს დავანგრევთ.

<sup>2</sup> პატრიარქ დოსითეოსის „იერუსალიმის პატრიარქების ისტორიისა“ და საქართველოში გამოგზავნილ მის ეპისტოლეებს ვუთითებ შემდეგი პუბლიკაციების მიხედვით: მაისისვალიშვილი 2008; ტივაძე 1971; Кантепа 1897.

დოსითეოსმა და წმინდა მამებმა ედირნეში (ადრიანოპოლში) მყოფ სულთანს არზა წარუდგინეს მუსლიმთაგან ქრისტიანი ბერებისა და აღდგენილ ნაგებობათა დაცვის თხოვნით. სულთანმაც ირწმუნა პატრიარქისა და ქრისტიანი ბერების განაცხადი და იერუსალიმის ყადის უბრძანა: „ჩემი წმინდა ნება-სურვილი არ არის ლატაკ ბერებს ისე მკაცრად და არაადამიანურად, მეტისმეტად ზღვარსგადასულად მოეპყრათ, როგორც მათ არზაშია წარმოდგენილი. შარიათის ჰუჯათისა და ჩემი უზენაესი ბრძანებულების საწინააღმდეგო და შეუსაბამო საქმეს ნურავის ჩაადენინებთ. საჭირო არ გახდეს აღნიშნული ვითარების გამო ჩემი ბრძანებულების განმეორებით გამოცემა“. მოვლენათა განვითარების შემდგომ მუსლიმი მოსახლეობა იძულებული გამხდარა უსიტყვოდ დამორჩილებოდა სულთნის ბრძანებულებას, თუმცა სინამდვილეში მათ წმინდა მამებზე გაბრაზებისა და დამუქრების მიზეზი ჰქონდათ.

პატრიარქი დოსითეოსი 1699 წლის მარტში ადრიანოპოლიდან საქართველოში გამოგზავნილ ეპისტოლეში იერუსალიმში ჩატარებული აღდგენითი სამუშაოების შესახებ წერდა: **„ჩვენ აღვაშენეთ ივერთა მონასტრები – აღვაშენეთ ახალი კედლები და სენაკები“**. ისლამური სამართალით იკრძალებოდა მუსლიმურ გარემოში ძველი ქრისტიანული ნაგებობის დანგრევა და ახლის აგება; ჩვეულებრივ, ძველის შეკეთების შემთხვევაში რაიმეს დამატებაც იკრძალებოდა (Heyd 1960: 174), „როცა რაიმე ძველი დაინგრევა, უნდა აღდგეს დანგრეული ძველი იმის გარეშე, რომ აშენდეს ახალი“ (ორენი 1991: 23). ეს პირობა აშკარად დაირღვა წმ. საბას ლავრის აღდგენა-გამაგრების დროსაც, როცა განახლდა შიდა კედლები, დამატებით აშენდა მეორე ახალი კედელი და სახლი (სხვაგან „დიდი კელია“ – ც. ა.) (Симский 1904: 72-79). ამის გამო წმ. საბას ლავრაში ჩატარებული აღდგენითი სამუშაოები, მისი მასშტაბურობის გამო, „გადაკეთებდაც“ კი შეფასდა (მამისთვალისძვილი 2008: 131). წმინდა მინის ქართულ მონასტრებთან დაკავშირებულ არაერთ ოსმალურ საბუთში ქართული მონასტრების გვერდით წმ. საბას ლავრა ხშირად იხსენიება (იხ. სულთან სულეიმან II-ის 1688 წლის ბრძანებულებანი წმინდა საფლავის საძმოს დაქვემდებარებაში არსებული ეკლესია-მონასტრების შესახებ.)

რაც შეეხება აღდგომის, იგივე უფლის საფლავის აღდგომის ეკლესიას, „იერუსალიმის პატრიარქების ისტორიაში“ აღნიშნულია, რომ ის „ადრე დანგრეული იყო. მისი განახლებისათვის შეგროვილი ფულით პატრიარქმა გადაიხადა ქართველების ვალის პროცენტები“ (მამისთვალისძვილი 2008: 139); პატრიარქი დოსითეოსი 1681 წლის დასაწყისში სასწრაფოდ საქართველოში გამოემგზავრა. ამის შესახებ იგი 1699 წელს გამოგზავნილ ეპისტოლეში წერდა: „მიუხედავად წმინდა საფლავის აღდგენის საჭიროებისა, ყველაფერი მივატოვეთ და მოვედით ივერიაში“.

სულთნის ქვემოთ წარმოდგენილ ბრძანებულებაში რატომღაც არ იხსენიება წმ. ანასა და წმ. გიორგის (ევრიადში) ქართული მონასტრები. არც ერთი ეს სახ-

ელი არ იკითხება ტექსტის იმ მონაკვეთში (Deyr al-Tafafa?), რომლის იდენტიფიკაციასაც ვერ ვახერხებ.

იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქო, განსაკუთრებით, თავად პატრიარქი დოსითეოს II, თავდაუზოგავად იღვწოდა ქართული მონასტრების აღდგენისათვის და ვალების გასასტუმრებლად. მისი თქმით, 20, 30, 40 წლის მანძილზე „მიტოვებულ“, „გამოკეტილი“ და „დანგრევის პირამდე მისული“ წმ. ჯვრის, წმ. ნიკოლოზის, წმ. ბასილის, წმ. თევდორეს, წმ. ანას და წმ. გიორგის მონასტრების აღდგენისა და მათი ვალების გასტუმრებისათვის „ზრუნვა“ უპირველესად ნაკარნახევი იყო შიშით, რათა სომხებსა და კათოლიკე ფრანცისკელებს „არ გამოეყიდათ“ ისინი „სესხის გამცემ აგარიანთაგან“. ბერძნები ცდილობდნენ, „არ დაეშვათ ბოროტება და შეურაცხყოფა მართლმადიდებელთა მთელი მოდგმისა“. დოსითეოს II მოსკოვის პატრიარქ იოაკიმისადმი 1686 წელს გაგზავნილ წერილში აღნიშნავდა: „არ შეგვეძლო დაგვეშვა, რომ ლათინებსა და სომხებს გამოეყიდათ მევალებებისაგან ქართველთა მონასტრები“ (Каптерев 1866: 142-143). საამისო გამოცდილება მართლაც მწარე იყო. ასე გადავიდა წმ. იაკობის ქართველთა მონასტერი სომხეთა და წმ. იოანე მახარებლის (იგივე სვეტი ანუ ამუდი, ახლანდელი მაცხოვრის) მონასტერი ფრანცისკელების ხელში.

პატრიარქი დოსითეოსი 15-20 წლის მანძილზე ახლადმომხდარი ფაქტის სიმძაფრით ავრცელებდა ინფორმაციას ბერძნებისაგან წმინდა მიწის ქართული მონასტრების ნაგებობათა გამაგრების და მოგვიანებით იქ მსახურების აღდგენის შესახებ. თუმცა მონასტრების აღდგენა-გამაგრების პროცესი დოსითეოს II-ის „პატრიარქების ისტორიისა“ და ეპისტოლეების მიხედვით, 1683-1685 წლებს არ სცილდება.<sup>3</sup>

დოსითეოს II ინფორმაციას წმ. ჯვრის მონასტრის ვალების გადახდისა და „დანგრევის პირამდე“ მისული მონასტრების გადარჩენის შესახებ ცვლის ადრესატების შესაბამისად (სავარაუდოდ, ითვალისწინებს ბერძენთა ძირითადი მიზნის განხორციელების მომავალ პერსპექტივას ქართული მონასტრების დასასაკუთრებლად). ამ მიზნით იგი არსებითად მხოლოდ საქართველოში გამოგზავნილ წერილებში წარმოაჩენს ქართველთა წვლილს და ძალისხმევას წმინდა მიწაზე ქართული ეკლესია-მონასტრების შესანარჩუნებლად; თუმცა აქაც ერთმანეთის გამომრიცხავი განცხადებები ჩნდება: „ჩვენ აღვადგინეთ ივერთა მონასტრები ივერიელთა დახმარების გარეშე“; ამასთან, კარგად ახსოვს, რომ მისი აქტი-

<sup>3</sup> წმინდა საბას ლავრაში აღდგენითი სამუშაოების ჩატარების თარიღად მ. სიმსკის მიერ „История Иерусалимских патриархов“-ში მითითებული თარიღი – 1688 წელი კორექტურული შეცდომა უნდა იყოს. ლავრის აღდგენის უფლება პატრიარქმა მიიღო მას შემდეგ, რაც ქართველებისათვის („за грузин“) გადაიხადა 94 000 პიასტრი. ეს კი მოხდა 1685 წელს (Симский 1904, თავი XI, პარაგრაფი 2); საბას ლავრის „გადაკეთების“ თარიღად იქვე მითითებული 1686 წელი, რაც საეჭვოა (იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს არქივში დაცულია 1684 წლის „თეზქერე“, რომელიც სულთნის ბრძანებულების გამოსაცემად იყო საჭირო).

ური მონაწილეობით 1681 წლის ზაფხულში ქართლში შედგა „პირობის“ რევიზია „გარიგების წიგნი“, რომლის თანახმად, „საქმე ჩვენი (ბერძნების - ცა.) იქნება, ფულს კი მათი უგანათლებულესობანი“ - მეფე გიორგი XI და ლევან ბატონიშვილი გაიღებდა; მისი თქმით, „ფული ჯვრის მონასტრის ვალის გათანაბრების სრულად გადახდისათვის მივიღეთ მყარად და მთლიანად“. მიუხედავად ამისა, ბერძნულ საპატრიარქოს მაინც დასჭირებია ივერიელთა ნაცვლად ხარჯის გაღება: „მაგრამ არ ითხოვენ არც ბევრს და არც ცოტას, პირიქით, უბრუნებენ წმ. ჯვრის მონასტერს“ (1706 წლის ივნისი, ეპისტოლე VI).

ცხადია, ბერძნული საპატრიარქო შეადგენდა ანგარიშს და ზუსტად აღრიცხავდა თანხას, რომელიც იერუსალიმში ქართული მონასტრების შესანარჩუნებლად იხარჯებოდა. „იერუსალიმის პატრიარქების ისტორიაში“ დოსითეოს II წერდა, რომ წმ. ჯვრის, წმ. ნიკოლოზის, წმ. ბასილის, წმ. თევდორეს, წმ. ანას და წმ. გიორგის (ევრიადში) ივერთა მონასტრების შეკეთებაზე დაიხარჯა 20 000 გროში, ვალის გადახდასთან დაკავშირებით კი ზოგადად აღნიშნავდა: „ქართველებმაც მოგვცეს“ (Каптерев 1896: 142-143).

იერუსალიმში ქართველ მეცნიერთა ზემოთ ხსენებული ექსპედიციის მუშაობის დროს თ. ცერაძეს საშუალება მიეცა გასცნობოდა წმინდა საფლავის ბერძნულ ხელნაწერთა კოლექციის N523 ხელნაწერს, რომელიც, ფაქტობრივად ხარჯთაღრიცხვის დავთარი აღმოჩნდა (ცერაძე 2003: 47). მასში შეტანილია წმ. ჯვრის, წმ. ნიკოლოზის, წმ. ბასილის, წმ. თევდორეს, წმ. გიორგისა და წმ. საიდნაიას (იგივე წმ. ანას) ხარჯთაღრიცხვა 1665 წლის 1 ოქტომბრიდან 1696 წლის 25 ოქტომბრამდე, ანუ იმ დრომდე, ვიდრე აღნიშნული ქართული მონასტრები ბერძნული საპატრიარქოს გამგებლობაში გადავიდოდა. იერუსალიმის ქართული მონასტრები წმ. საფლავის ბერძნული ძმობის გამგებლობაში გადავიდა 1695 წელს სულთან მუსტაფა II-ის (1695-1701) მიერ გაცემული ბრძანებულებით: ქართველთა მონასტრები და ვაკუფები ბერძნებმა მართონ. იღუმენად არ დადგინდეს ქართველი თუ არ იქნება განჩინება და წერილი ქართველი ხელისუფლისა (Тσεлика 1992:413). ამდენად, საეჭვოა, რომ ხსენებულ „ხარჯთაღრიცხვის დავთარში“ შეეტანათ საქართველოდან ჩატანილი თანხისა და მოსაკრებელთა ოდენობა.

ქვემოთ ქვეყნდება სულთან მეჰმედ IV-ის ბრძანებულების ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით:

[1] صورت امر شريف عاليشاندر

[2] اصلندن نقل و تحرير اولندی

[1] مطابقه لأصله المطاع دله الفقير اليه تعالى

[2] حسين بن أحمد المأمور باستماع الأمور

[3] الشرعيه العسكريه من له الأمر

[4] غفر لهما

VIII B 7 689

Handwritten signature or title in Ottoman Turkish script, possibly reading 'Mehmed IV' or similar, written in a stylized, cursive hand.

Main body of handwritten text in Ottoman Turkish script, consisting of several lines of dense, cursive writing. The text appears to be a formal decree or order, as indicated by the header. It contains various names and titles, including 'Mehmed IV' and 'Jerusalem'. The script is highly stylized and characteristic of the period.





- [1] افاضى قضات المسلمين اولى ولات الموحدین معدن الفضال والیقین حجّه الحق على الخلق اجمعین وارث علوم الانبیا والمرسلین
- [2] المختص ببيزيد عناية المليك المعين مولانا قدسى شريف قاضيسى زيدت فضائيله توقيع رفيع همايون واصل اولجاق معلوم اوله كه
- [3] قدسى شريفده واقع روم طايفه سى بطريق اولان نام نصرانى و راهبرى درگاه معالامه
- [4] عرضحال ايدوب بونلريك قديمى تصرفلرين اولان مخصوص مناسترلرنده قدسى شريف خاريجنده غدر
- [5] ناحيه سنده مار صاوه نام مناستر و محاماتلرنده گورجى طايفه سنده مخصوص اولان قدس شريف ظاهرده
- [6] دير المصلبه و مناستر مزبوره تابع نفس قدسى شريفده دير النكلز و دير التفافه! sic ومار تدورس
- [7] مار باسليوس و قمام الحضر نام قديمى مناسترلرينك مرورايتلى وديوار لرى و سقفى
- [8] و ساير بعضى يرلرى خرابه مرده اولوب مومى اليه ذكر اولنان مناسترلرينك خراب اولان يرلرى
- [9] بوندن اقدم واضع قرلميب اوزره تعمير اولنمق ايچون جانب شر عدن حجّت شرعيه ويرلوب
- [10] بونلر دخى حجّت شرعيه موجبنجه قرلميب اوزره اذن شرعله تعمير ايليوب خلاف شرع شريف وضع
- [11] اولويوب دخل و رنجيده اولنمق لازم كلمز ايكن حالا گلان اهل عرف طايفه سى
- [12] و بعضى كمسنه لر مّجد مغاير تعمير و جلب مال ايچون اول حجّت شرعيه يه مقايديسز قديمى مناسترلر كزى
- [13] خراب اولان يرلرين مقدما تعمير ايتمشسز كشف و هدم ايده رز ديو خلاف شرع شريف تعدى
- [14] او رنجيدن حالى اولمديغى بلدروب حجّت شرعيه لرى موجبنجه عمل اولنوب خلافه شرع شريف تعدى انتدير لميب
- [15] منع و دفع اولنمق بابنده امر شريفيم رجه ايلدكلرى اجلدن خلافه شرع تعدى ايتديريلميب امرم اولمشدر
- [16] بيوردم كه حكم شريفمله و صول بولدقده بو بابده صدر اولان امرم اوزره عمل ايدوب دخى
- [17] خصوص مزبوره عام مقيد و حجّت شرعيه نظر ايدوب گوره سن عرض اولندوغى اوزره

[48] رهبان فقرا سنه ظلم و تعدى اولندوغى رضای شریفم یوقدر مزبور لره محکم تنبيه

و تاكيد ايليه سكر من بعد

[19] اول حجّت شرعيه يه مغاير بونلرى اول و جهله قديمى مناستر لر يكر زده خراب

اولان يرلرين تعمير

[20] ايتمشسز كشف و هدم ايدرز ديو مجداً اخذ و جلب ايچون خلاف شرع شريف تعدى و

و رنجيده و رميده

[21] ايتدير ميوب منع و دفع ايليه سن شرع شريف و امر همايونمه مخالف كمنه يه ايش

ايتد رميوب

[22] خصوصى مزبور ايچون تكرار امرم و اريلوب ايلميه سن شويله بله سن و بعد النظر بوحكم

همايونمى يذرينه

[23] ابقا ايدوب علامت شريفه اعتماد فلاسن تحريرا فى اواسط شهر صفر الخير سنه سبع و

تسعين و الف

بمقام ادرنه

**დამოწმების ფორმულა: მაღალღირსეული წმინდა ბრძანებულების პირი, გად-  
მოღებული და გადმოწერილი დედნიდან**

შესაბამისია მისი მაღალი დედნისა, მიჰყვება მის ენას. გლაზაკი მონა მაღა-  
ლი ალაჰისა, ჰუსეინი იბნ აჰმედი – სამხედრო შარიათის მორჩილი მსახური.

ალაჰიმც მიუტევებს ორთავეს.

**წარწერა ბეჭედზე:** 'ატა იბნ მურადი, ჰუსეინი

მუსლიმ მსაჯულთა შორის უსამართლიანესს, მართლმორწმუნე მმართველ-  
თაგან საუკეთესოს, სიბრძნისა და სიკეთის საბადოს, შარიათისა და მაჰმადის  
სჯულის ცოდნით ამაღლებულს, მოციქულთა და წინასწარმეტყველთა მემკვი-  
დრეს, მეფისაგან უხვი წყალობით გამორჩეულ მევლანას,<sup>1</sup> წმ. იერუსალიმის  
ყადის, გამრავლდეს მასზე სიკეთე, როცა უზუნაესი მაღალი თევკიცი<sup>2</sup> მიაღწ-  
ევს, ეცნობოს: წმ. იერუსალიმში მცხოვრებ ბერძენთა პატრიარქმა სახელად  
[...]<sup>3</sup>, ქრისტიანმა და მისმა ბერებმა ჩემს მაღალ კარიბჭეში არზა გამოგზავნეს  
და გვაცნობეს, რომ ძველთაგანვე მხოლოდ მათ კუთვნილ მონასტრებში – წმ.  
იერუსალიმის გარეთ, კედრონის მხარეში წმ. საბად სახელდებულ მონასტერსა  
და ლავრაში, წმ. იერუსალიმის ფარგლებს მიღმა, ქართველი ხალხის კუთვნილ  
წმ. ჯვრისა და ხსენებული მონასტრისადმი დაქვემდებარებული წმ. იერუსა-  
ლიმის შიგნით მდებარე წმ. ნიკოლოზის, წმ. თეკლას (?!), წმ. თევდორეს, წმ.  
ბასილის და წინასწარმეტყველის აღდგომის (قام) სახელით ცნობილი ძველი

მონასტრების დაზიანებული ტალანი, კედლები, სენაკები, ჭერი და სხვა ადგილები ჩამოინგრა და გავერანდა.

ხსენებული მონასტრების ჩამონგრეული ადგილების აღსადგენად ადრე წმინდა შარიათის ჰუჯათი გამოსცეს – ისე უნდა აღედგინათ, რომ შენობები არ დაეზარიათ. მათაც შარიათის ჰუჯათის შესაბამისად შენობები არ დაუზარევიათ და მიღებული ნებართვის მიხედვით მხოლოდ შეაკეთეს. ამიტომ იმათ საქმეში ჩარევა და მათი სიმშვიდის დარღვევა საჭირო არ იყო. ახლა აქ მოსული ადგილობრივი მდაბიონი და სხვანი გვეუბნებიან, რომ თქვენ ქონების მისატაცებლად, წინააღმდეგ ჰუჯათის პირობებისა, ადრეც დიდი გარჯის გარეშე შეაკეთეთ მონასტრების ჩამონგრეული ადგილები – ჩვენ ეს ცხადვყავით და დავანგრევთო. [ბერებმა] შეგვატყობინეს, რომ წმინდა შარიათის საწინააღმდეგოდ, მათი ზღვარდაუდებელი მოქმედებისა და შეურაცხყოფისაგან მოსვენება არა აქვთ.

რადგან გვთხოვეს ჩემი წმინდა ბრძანებულება, შესახებ იმისა, რომ იმოქმედონ შარიათის ჰუჯათის მიხედვით და წმინდა შარიათის საწინააღმდეგო ქმედებით ზღვარს არ გადავიდნენ, როცა ჩემი წმინდა ჰუქმით მოვლენ, იმოქმედეთ ჩემი ბრძანებულების შესაბამისად. თან საგანგებოდ მოიძიეთ ხსენებული ხალხის შესახებ სასამართლო დავთარში ჩანაწერი და შარიათის ჰუჯათი. დარწმუნდებით, რომ ჩემი წმინდა ნება-სურვილი არ არის, ლატაკ ბერებს ისე მკაცრად და არაადამიანურად, ზღვარგადასულად მოეპყრათ, როგორც ეს მათ არზაშია წარმოდგენილი. ხსენებულების მიმართ იყავით სამართლიანნი, გამოიჩინეთ მათდამი ყურადღება და მზრუნველობა.

შემდგომად ამისა, თუ მუსლიმი მდაბიონი კვლავ განაცხადებენ შარიათის ჰუჯათის საწინააღმდეგოდ – თქვენს ძველ მონასტრებში აღდგენილ, ჩამოშლილ ადგილებს გამოვავლენთ და აშენებულს დავანგრევთო – ძალით ასალებად და წასართმევად წმინდა შარიათის წინააღმდეგ ზღვარს ნუ გადავლენ და კანონს ნუ დაარღვევენ.

შარიათის ჰუჯათისა და ჩემი უზენაესი ბრძანებულების საწინააღმდეგო, შეუფერებელ საქმეს ნურავის ჩაადენინებთ. საჭირო არ გახდეს ხსენებული ვითარების გამო ჩემი ბრძანებულების განმეორებით გამოცემა. ასე იცოდნენ, მას შემდეგ რაც გაეცნობიან, ეს ჩემი უზენაესი ჰუქმი მათ ჩააბარონ. წმინდა ნიშანს მიენდონ.

დაინერა კეთილი საფარის შუა რიცხვებში, ათას ოთხმოცდაჩვიდმეტ წელს, ადგილსა მას ედირნეს.

### შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

1. მეელანა < არაბ. **مولا** ბატონი, მასწავლებელი. 'مولا' > ჩვენი ბატონი, ჩვენი მასწავლებელი. საერო და სასულიერო ავტორიტეტების საპატიო ტიტული.
2. თევკიცი - (არაბ. **توقیق**) ფადიშაჰის ბრძანებულება. თავდაპირველად, თევკიცი თულრის მნიშვნელობით გამოიყენებოდა. დროთა განმავლობაში გაფართოვდა მისი შინაარსი და ეწოდა სულთნის თულრით გამოცემულ სიგელს (Недков 1966:46).
3. ოსმალურ დიპლომატიკაში მიღებული იყო ბრძანებულების ტექსტში თანამდებობის აღნიშვნა, ხოლო საკუთარი სახელისთვის თავისუფალი ადგილი რჩებოდა. საკუთარი სახელი იწერებოდა კონკრეტული პირისადმი გაგზავნილ წერილში, როგორც წესი, მხოლოდ ჰათი ჰუმაიუნსა და ბერათებში (შდრ. ჯიქია 1971: 280; აბულაძე 1973: 299).
4. ჰუჯათი < **حجّات**-არაბ. ჰუჯჯათ - საბუთი, მოწმობა, არგუმენტი > შარი-ათის სასამართლოს გადაწყვეტილებათა წიგნიდან ამოწერილი და დაინტერესებულ პირზე გაცემული ოფიციალური საბუთი. ეს არის ყადის გადაწყვეტილება. ვრცლად (ჯიქია 1969: 165-168).
5. 1686 წლის იანვარი

### ბამოყენებული ლიტერატურა

1. **აბულაძე 1973:** აბულაძე ც., ოსმალობის ხანის სამი თურქული ფირმანი, აღმოსავლური ფილოლოგია, 1973, ტ. III.
2. **მამისთვალისვილი 2001:** მამისთვალისვილი ელ., ქართლის სამეფოსა და იერუსალიმის საპატრიარქოს ურთიერთობის ისტორიიდან (XVII საუკუნის მეორე ნახევარი), ქართული დიპლომატია წელიწდეული, 2001, ტ. 8.
3. **მამისთვალისვილი 2008:** მამისთვალისვილი ელ., საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან(XVI-XVII სს), თბ., 2008.
4. **ორენი 1991:** სალამე ო, გერშონ ბენ ორენი, ქართველები იერუსალიმში XVI საუკუნის სამი არაბული დოკუმენტის მიხედვით. თბ., 1991.
5. **ტივაძე 1971:** ტივაძე თ., იერუსალიმის პატრიარქის დოსითეოსის წერილი საქართველოს შესახებ, ქართული წყაროთმცოდნეობა, 1971, ტ. III.
6. **ცერაძე 2003:** ცერაძე თ., ახალი მონაცემები იერუსალიმის ქართული სამონასტრო კოლონიის შესახებ, Akademia, ისტორიულ-ფილოლოგიური ჟურნალი, 2003, ტ 5 (A).
7. **ჯაფარიძე, ბუაჩიძე 2009:** ჯაფარიძე გ., ბუაჩიძე გ., წმინდა მინაზე ქართული ეკლესიის ისტორიის არაბული დოკუმენტური წყაროები სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტრისა და იერუსალიმის წიგნთსაცავებში, ისტორიანი-სამეცნიერო კრებული მიძღვნილი როინ მეტრეველის დაბადების 75 წლისთავისადმი, 2009.

8. **ჯიქია 1969:** ჯიქია ს., ოსმალური იურიდიული დოკუმენტები XVIII საუკუნის პირველი ნახევრის ქართლში, აღმოსავლური ფილოლოგია, ტ. I, 1969.
9. **ჯიქია 1971:** ჯიქია ს., სულთან აჰმედ III-ის ფირმანი ბაქარ ბაგრატიონს, ქართული წყაროთმცოდნეობა, ტ. III, თბილისი, 1971.
10. **Каптерев 1896:** Каптерев Н Ф., Сношения Иерусалимского патриарха Досифея с русским правительством (1669-1707), С.-Петербург, 1896.
11. **Каптерев 1897:** Каптерев Н.Ф. , Господство греков в Иерусалимском патриархате, საიტზე: <http://dugward.ru/library/kapterev/kapterev-gospodstvo-grekov.html>
12. **Недков 1966:** Недков Б., Османотурска дипломатика и палеография I, София, 1966.
13. **Симский 1904:** Симский М., История Иерусалимских Патриархов со времен шестого вселенскаво собора до 1810 г, ППС Вып. 55, С.-Петербург, 1904.
14. **Heyd 1960:** Heyd U., Ottoman Documents on Palestine, Oxford., 1960.
15. **Τσελικά 1992:** Τσελικά Α., Καταγραφή τοῦ Ἀρχείου τοῦ πατριαρχείου Ἱεροσολύμων, Ἀθήνα, 1992.

**Tsisana Abuladze**

**SULTAN MEHMED THE IV'S ORDER TO THE KADI OF JERUSALEM  
ABOUT THE GEORGIAN MONASTERIES ON THE HOLY LAND**

**SUMMARY**

The article investigates the order given by Sultan Mehmed IV (1648-1687) to the Kadi of Jerusalem who was told to protect certain places from Muslims' attacks. Namely: newly restored St. Saba's Lavra, the church of Resurrection and Georgian Monasteries of the Holy Cross, St. Nikoloz, St. Basilios, St. Theodoros. The churches of St. Anna and St. George (Evriad), having been restored in the same period, are not mentioned in the Order of the Sultan.

The Order given by Sultan Mehmed IV depicts vividly the process of transition of the Georgian monasteries on the Holy Land to the domain of the Greek. Sadly enough, there is only a copy of this Order housed at the Archive of the Jerusalem Greek Patriarchate Library.

The Ottoman text of the Order given by Sultan Mehmed IV and its Georgian translation with notes and facsimile is appended.

## ლიანა სამყურაშვილი, შორენა თავაძე

### „ნიგნი სააქიმოჲ“ (ხეც, S-1274). კვლევის ისტორია

კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ხელნაწერი კოლექციები მოიცავს მრავალენოვან ორიგინალურ და ნათარგმნ ძეგლს, რომლებიც საერო მწერლობის სხვადასხვა დარგსა და სფეროს განეკუთვნება – ისტორია, გეოგრაფია, მოგზაურობა, ლექსიკოგრაფია, მედიცინა, სამართალი, ასტრონომია-ასტროლოგია, მათემატიკა, სამხედრო ხელოვნება და სხვ.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფონდებში საკმაო რაოდენობით არის წარმოდგენილი სამედიცინო დარგის ხელნაწერები, რომლებიც X-XX საუკუნეებში არის დათარიღებული და დაახლოებით 500-მდე ერთეულს აღწევს. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ხელნაწერი S-1274, XV-XVI სს. (Такайшвили 1903: 640-680; S ფონდის აღწერილობა 1961: 134), რომელშიც წარმოდგენილია ძველი ქართული მედიცინის ისტორიის საინტერესო წერილობითი ძეგლი – ხოჯაყოფილის მიერ თარგმნილი „ნიგნი სააქიმოჲ“. თხზულება, დღესდღეობით, მხოლოდ ამ ერთადერთი ნუსხით არის ცნობილი (სურ. 1).

ხელნაწერის პირველი აღმწერლის, ექვთიმე თაყაიშვილის მიხედვით, ეს ნუსხა ზურაბ წერეთლის საკუთრება ყოფილა, რომელიც შემდეგში მისი მეუღლის მემკვიდრეობით გურიელებს გადაეცათ. სიძველეთა მოყვარულმა დ(ავით) გურიელმა, ე. თაყაიშვილის პირადი თხოვნით, აღნიშნული ხელნაწერი შეიძინა თავისი მოგვარისაგან და 1890 წელს „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ შესწირა. ეს ცნობა ე. თაყაიშვილმა გამოაქვეყნა გაზეთ „ივერიაში“ 1890 წ., 11, 13, 14, 15-ში (Такайшвили 1903: 644).

ხელნაწერი ამჟამად 406 ფურცელს შეიცავს. მას ფურცელთა სამი სთავალავი აქვს: 1. გადაწერის თანადროული – რვეულებრივი (შესრულებულია ასომთავრულით, რვეულების თავსა და ბოლოში); 2. აკინძვის დროინდელი – გვერდობრივი და 3. თანამედროვე – ფურცლობრივი. „ნიგნი სააქიმოჲ“ ტექსტი შესრულებულია 7-394 ფურცლებზე, რომლისთვისაც გამოყენებულია XV-XVI სს-ების ვენციური ჭვირნიშნაინი ქალაღი (Лихачев 1899: 127, 1289), ხელნაწერის ზომა: 300×200; ტექსტის ზომა: 220×130; ნუსხა აკინძულია რვეულებად, შეიცავს ხელნაწერის 50 რვეულს (თითოეული სრული რვეული შეიცავს რვა ფურცელს).

თხზულება გადანერილია XV-XVI სს-ების ლამაზი, საშულო ზომის ნუსხური ხელნაწილით; ქვეთავები – შედარებით დიდი ზომის ნუსხურით. ტექსტში შეინიშნება ასოთა გადაბმის შემთხვევები (სურ. 2). ტექსტი ნაწერია შავი მელნით, მელნის ფენა კარგად არის შემონახული. მხოლოდ ზოგიერთ ფურცელზე შეინიშნება მელნის გაჟონვა ფურცლის მეორე მხარეს. სავარაუდოდ, ეს გამოწვეულია იმით, რომ გამოყენებულია სხვადასხვა სისქის ქაღალდი. ტექსტის ცალკეული სიტყვები ნაწერია სინგურით. განკვეთილობის ნიშნად გამოყენებულია ერთი და სამი წერტილი. თხზულება ბოლონაკლულია. ხელნაწერში მრავლადაა დასმული „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ბეჭდები.

ხელნაწერი XVIII საუკუნეში მეორედ აუკინძავთ. მას მეორადი ყდა აქვს, რომელიც ჩასმულია ხეზე გადაკრული შინდისფერი ტყავის ყდაში; ყდა ტვიფრულია ყვავილოვანი ორნამენტებით. სამეცნიერო ლიტერატურის თანახმად, მსგავსი ტიპის ყდები XVIII საუკუნეში მზადდებოდა (კარანაძე 2002: 31). დღეისათვის ყდას აღარ აქვს შემორჩენილი შესაკრავი, თუმცა შეინიშნება მისი კვალი; სავარაუდოდ, ტყავის თასმები ჩამაგრებული იქნებოდა ხის შტირებზე.

მეორე აკინძვის დროს ხელნაწერისთვის მიუმატებიათ 1-6 და 395-406 ფურცლები, რომლებიც XVIII საუკუნის რუსული წარმოების მოლურჯო ქაღალდის არის; ამ ფურცლებზე სხვადასხვა ჩანაწერებია შესრულებული: 1-6 ფურცლებზე XIX საუკუნის მხედრული ხელით ჩანერილია სამკურნალო მცენარეებისა და ტერმინების ლექსიკონი, განყოფილი ანბანის რიგზე, ხოლო დასასრულს, 395-406 ფურცლებზე – სხვადასხვა სამკურნალო რეცეპტები. ამავე ქაღალდით არის შევსებული ხელნაწერის დაზიანებული ფურცლებიც. რესტავრაციის შედეგად შევსებულ 9-10 ფურცლებზე და, ასევე, დაუნერგელ გვერდებზეც ფ. 11v-12r ტექსტი ნაწერია განსხვავებული, გვიანდელი – XVIII საუკუნის ნუსხური ხელით<sup>1</sup>; ეს მიუთითებს, რომ ხელნაწერის რესტავრაციის დროს, XVIII საუკუნეში, გადამწერებს ხელთ ჰქონდათ მეორე ხელნაწერი, საიდანაც მოხდა ტექსტის ნაკლული ადგილების შევსება. სამწუხაროდ, ის ნუსხა დღეისათვის აღარ ჩანს.

ხელნაწერში მრავლად არის სხვადასხვა დროისა და შინაარსის მინაწერები, შესაბამისად, შესრულებული სხვადასხვა ხელით. მათგან ნაწილი არის ტექსტში გამოტოვებული ფრაზები, რომლებიც გადამწერს შესაბამისი მისათითებელი (ჩასამატებელი) ნიშნით აშიგებზე ჩაუნერია შემდეგ გვერდებზე: 173r, 247r, 306r, 349r და, ასევე, სხვა ფურცლებზე (სურ. 3).

ხელნაწერის ისტორიისათვის საყურადღებოა 6v-ზე სავანგებოდ ხვეული ნუსხურით და შავი მელნით ჩანერილი სახელი – „არხიმადრიტი გერმანე“. სახელის ასე თვალსაჩინოდ ჩანერა უშუალოდ თხზულების დასაწყისში (მეორე აკინძვის დროს ჩამატებულ რუსულ ქაღალდზე), გვაფიქრებინებს, რომ ხელნაწერის მეორედ აკინძვა ამ პიროვნების სახელთანაა დაკავშირებული. შესაძლოა, იგი შესრულებული სამუშაოს დამკვეთი იყოს (სურ. 4).

<sup>1</sup> ხელნაწერი: S 1274.

XVIII საუკუნის ქართული ხელნაწერების ანდერძ-მინაწერებში რამდენიმე „არქიმანდრიტი გერმანე“ დასტურდება. 1. A 1194-ის მინაწერი 1v-ზე: 1793 წელს მოიყვანეს დედოფალი. იმავე წელსა არქიმანდრიტი გერმანე ელი[ა]ვა (?) (A ფონდის აღწერილობა 1954, 267); 2. Q 903-ის (XVIII ს.) ანდერძი: „პირველი ესე სასწავლო ყრმათათვის რუსულიდან ქართულად გადმოითარგმნა ბატონიშვილის დარეჯანის მოღარეთხუცის ჩხვიძის გაბრიელისაგან და ქართულ ენაზედ გასწორდა არქიმანდრიტის გერმანესაგან“ (Q ფონდის აღწერილობა 1958, 315); 3. ქუთაისი (K) 80 (XVIII ს.), ანდერძი [დამკვეთის და გადამწერის]: „უფალო იესო ქრისტე, შეიწყალე ყოვლითურთ განათლებულის და განწმედილის, მანგლელ არქიერის იოსების არქიმანდრიტი გერმანე ნინამძღურისშვილი, რომელმან აღვანერინე წიგნი ესე...“ (ქუთაისის (K) ხელნაწერთა აღწერილობა 1953: 221).

ამ პერიოდის მოღვაწე გერმანეთაგან მიხეილ ქავთარიას თავის შრომაში „დავით გარეჯის ლიტერატურული სკოლა“ მოხსენიებული ჰყავს დავით გარეჯის ნინამძღვარი გერმანე (1769-1781); ასევე, A-256 ხელნაწერის ანდერძის მიხედვით, 1741 წელს დოდოსრქის ნინამძღვარი გერმანე; ხოლო ამავე ხელნაწერის 1753 წლის მინაწერის თანახმად, გადამწერი ბერი გერმანე (1v) (ქავთარია 1965: 136-137, 171).

ამჟამად არანაირი საბუთი არ გვაქვს იმისათვის, რომ ჩამოთვლილ პიროვნებათაგან რომელიმე დავუკავშიროთ 6v-ზე საგანგებოდ ჩანერილ „არქიმანდრიტ გერმანეს“. შესაძლოა, ეს მომავალმა კვლევამ გამოავლინოს.

ხელნაწერის ისტორიისათვის, ვფიქრობთ, კიდევ ერთი მინაწერი საყურადღებო, რომელიც უშუალოდ თხზულების დასაწყისში 7r-ს ზედა აშიაზეა ჩანერილი ბერძნულად: Ὁ Μοναχῆσιον του Τιμῆου Σταυροῦ – „მონასტერი პატიოსანი ჯვრის“<sup>2</sup>. მელნის მიხედვით იგი თხზულების თანადროული არ ჩანს, გვიან არის მიწერილი. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ხელნაწერი ერთხანს ინახებოდა იერუსალიმში, ჯვრის მონასტრის ქართულ ხელნაწერებთან ერთად, ვიდრე მას რესტავრაციას გაუკეთებდნენ და ახალ ყდაში ჩასვამდნენ (სურ. 5).

საინტერესოა, ასევე, 114r-ს ქვედა აშიაზე, გვიანდელი, გაუნაფავი ნუსხური ხელით შესრულებული მინაწერი ქართულ და ბერძნულ ენაზე: „უფალო ღმერთო, მოიხსენე, ფრიად ცოდვილი სიმონ ke ton Ronauon aftu, ამინ“. ხაზგასმული ნაწილი ბერძნულია და ქართულად ნიშნავს: და მისთა მშობელთა. ამავე ხელით, აქვე, ტექსტის გასწვრივ აშიაზე ჩანერილია ქართული ანბანი (სურ. 6).

მეორედ აკინძვის დროს ხელნაწერის ბოლოში ფურცელთა რიგი არეულა; ეს ნათლად ჩანს ტექსტის თანამიმდევრობიდან, რომელიც შედარებულია თხზულების საძიებელთან და, ასევე, რესტავრირებული ფურცლების თანამიმდევრობის აღმნიშვნელი ნიშნებიდან (ბოლო ფურცლებს ქვედა კიდეში, გვერ-

<sup>2</sup> ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის უფროსი მეცნიერი თანამშრომლის, თინა ცერაძის ზეპირი ინფორმაციის თანახმად, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ქართულ ხელნაწერებზე ხშირად გვხვდება ამგვარი მინაწერები.

დობლივ სათვალავად შავი მელნით დასმული აქვს ჯვრები 1-დან 6-მდე, რომლებიც მკინძავმა ვერ შეამჩნია და ფურცელთა რიგი დაარღვია. ამკინძველის მიერ დაშვებული შეცდომა და ტექსტის თანმიმდევრობა ასევე არეულად დაიბეჭდა პირველ გამოცემაში, რომელიც მოამზადა ქართული მედიცინის ისტორიის პირველმა მკვლევარმა და სამედიცინო ძეგლების გამომცემელმა, ექიმმა ლადო კოტეტიშვილმა (წიგნი სააქიმო: 1936).

აღნიშნული ხარვეზი გავასწორეთ „წიგნი სააქიმოს“ მეორე გამოცემისთვის მომზადებულ ელექტრონულ ვერსიაში, რომელიც მოვამზადეთ ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში; მასში ხელნაწერის ფურცლები ასეთი თანამიმდევრობით არის დალაგებული: ფფ: 391, 393, 392, 394 (სამყურაშვილი 2012: 255-261).

ხელნაწერის დასაწყისში, 7r-ზე არის თხზულების თარგმანის შექმნასთან დაკავშირებული საინტერესო ანდერძი: „ესე წიგნი სააქიმო, ოდეს რუქანდან სულტანი კარნუ ქალაქისა კართა ზედა გააქციეს, მუნით ალაფად მოიღეს. ქრისტეს მიერ პატრონი ქყონდიდელმან, მისმან მწიგნობართუხუცესობამან, პროტოე უპერტიმოსმან და ვაზირთა ყოველთა უპირველესმან, კაცმან გონება მოზავმან და საღმრთოთა მსჯავრთა მართლმსაჯულმან და ჳელისაღმკურობელმან უღონთა და ქვრივთამან, ქართულად მათარგმნინა მე, მინასა მათსა ხოჯაყოფილსა“ (წიგნი სააქიმო 1936: 3). აღნიშნული ცნობა რამდენიმე კითხვას პასუხობს: 1. ბასიანის ბრძოლის (XIII ს-ის დასაწყისი – 1206 წ.) დროს „წიგნი სააქიმოს“ ორიგინალი ალაფის (ნადავლის) სახით იქნა მოპოვებული; 2. თხზულების მთარგმნელია ხოჯაყოფილი.

ლ. კოტეტიშვილი „წიგნი სააქიმოს“, როგორც სამედიცინო თხზულებას, დიდად აფასებდა, ხოლო მის მთარგმნელს – ხოჯაყოფილს – XII საუკუნის ცნობილი ქართველი მეცნიერ-ფილოსოფოსების და მწიგნობრების რიგს მიაკუთვნებდა და აღნიშნავდა: „ამ ეპოქის მეცნიერ-ფილოსოფოსთა სახელოვან ჯგუფს, რომელსაც შეადგენენ ისეთი სახელები, როგორებიც არიან: იოანე მტბევეარი, სინელი, არსენ ნინოწმიდელი, ანტონ ქყონდიდელი, იოანე ბოლნელი ... ეფრემ მცირე, არსენ იყალთოელი, იოანე პეტრიწი და მრავალი სხვა, უნდა მიემატოს არანაკლებ ბრწყინვალე ქართველი მეცნიერ-ექიმის, „ხოჯა ყოფილის“ ფსევდონიმ ქვეშ ამოფარებული სახელიც, ხოლო იმდროინდელ საღვთისმეტყველო, საბუნებისმეტყველო და ფილოსოფიურ თხზულებათა თარგმანების საკმაოდ დიდ რიცხვს უნდა მიემატოს წინამდებარე „წიგნი სააქიმო“-ც, რომელიც წარმოადგენს იმდროინდელი საქართველოს წერილობითი მედიცინის ერთ-ერთ თვალსაჩინო ძეგლს“ (კოტეტიშვილი 1936: XXVII).

„წიგნი სააქიმოს“ მთარგმნელთან დაკავშირებით წერდა ილია აბულაძეც: „[ხოჯა ყოფილი] შემთხვევითი მწიგნობარ-მთარგმნელი კი არ არის, არამედ მკურნალი-მწიგნობარია, რომელიც განვრთნილია როგორც უცხო, ისე მშობლიურ სამკურნალო მწერლობაში. მისი თარგმანის მაღალი თვისებები ნაყოფია გარკვეული ტრადიციისა, რომელიც საქართველოში წინა საუკუნეებში უნდა შემუშავებულიყო“ (აბულაძე 1985: 65-66). ამ განცხადების საუკეთესო დასტურს

წარმოადგენს ლ. გელენიძის ნაშრომი, რომელშიც ვრცლად არის შესწავლილი ძველი ქართული წერილობითი ძეგლების ანატომიურ-ფიზიოლოგიური ლექსიკა (გელენიძე: 1974).

მთარგმნელის – „ხოჯა ყოფილის“ – ვინაობის შესახებ არანაირი ცნობა არ შემონახულა. „ხოჯა“, იმდროინდელი გაგებით, მოძღვარსაც ნიშნავდა, მასწავლებელსაც, დიდვაჭარსაც (საბა). ლ. კოტეტიშვილის აზრით, „ხოჯა“ საექიმო პირი უნდა ყოფილიყო, შეიძლება, მასწავლებელიც, მაგრამ ის უსათუოდ ქართველი იყო. მან ზედმიწევნით კარგად იცოდა ქართული ენა“ (ნიგნი სააქიმო: 1936: XXV). ჩვენი მხრიდან დაუშვავებთ, რომ „ხოჯაყოფილმა“ არაბული ენაც შესანიშნავად იცოდა, რადგან მან არაბულიდან თარგმნა ასეთი დიდი მოცულობის რთული სამედიცინო თხზულება.

„ნიგნი სააქიმოს“, როგორც ერთ-ერთ უძველეს ქართულ ნათარგმნ სამედიცინო თხზულებას, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. გამომდინარე მისი შინაარსიდან, ირკვევა, რომ XIII საუკუნის დამდეგს ქართული საერო მწერლობის სამედიცინო ჟანრი საკმაოდ განვითარებული იყო; საექიმო სახელმძღვანელო წიგნის მოთხოვნილება იმდენად დიდი ყოფილა და იმდენად ზრუნავდნენ სამედიცინო განათლებაზე, რომ ამ წიგნის ორიგინალის ხელში ჩაგდებისთანავე შეუფასებიათ და, ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის ბრძანებით, დაუყოვნებლივ შესდგომიან მის ქართულად გადმოთარგმნას.

შოთა მესხიას ნაშრომის (მესხია 1979: 29-34) თანხმად, XII-XIII საუკუნის პირველ ათეულში საქართველოს სამეფო კარზე მხოლოდ ერთი ვეზირის – ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის – თანამდებობა არსებობდა, რომელიც მეფის შემდეგ უპირველესი მოხელე იყო და სამეფოს პირველი პირის უფლებებით სარგებლობდა. ამდენად, ხოჯაყოფილმა „ნიგნი სააქიმოს“ თარგმანი უზენაესი ხელისუფლების დავალებით შეასრულა.

აღნიშნული ცნობა საშუალებას გვაძლევს დაეშვათ, რომ თარგმანი საქართველოში შეიძლება შეესრულებინათ, ხოლო მისი მთარგმნელი ერთ-ერთი იმ ქართველთაგანი იქნებოდა, რომლებიც განათლებას მახლობელი აღმოსავლეთის კულტურულ ცენტრებში ღებულობდნენ (ჯაფარიძე 2012: 79-80) და, საქართველოში დაბრუნებულნი, მოღვაწეობას სათანადო განათლების მიხედვით განაგრძობდნენ.

აღნიშნული პერიოდის საქართველოში სათანადო პირობები არსებობდა. ის სამკურნალო ცენტრები, რომელთა შესახებ ცნობები ისტორიულ წყაროებს შემოუნახავს, როგორიცაა გელათში დავით აღმაშენებლის მიერ გახსნილი საავადმყოფო-ქსენონი (ქართლის ცხოვრება, 1996: 336), ასევე, დავითის მემკვიდრის – დემეტრე I-ის – მიერ დადებული პირობა თბილისში საავადმყოფოს გახსნის შესახებ მუსლიმებისთვის (თუ საავადმყოფოს გახსნას მუსლიმებისთვის აპირებდა, ქართველების საავადმყოფო, სავარაუდოდ, უკვე არსებობდა), (ცნობა ამოღებულია ნიგნიდან: თბილისის ისტორია 1990: 136) და სხვა. ამ ცენტრებში

მოღვაწე ქართველ მკურნალებს პრაქტიკულთან ერთად თეორიული-მედიცინური მიმართებითი საქმიანობაც შეიძლებოდა ეწარმოებინათ.

წიგნი საშუალებას გვაძლევს გავიგოთ, თუ რა ხასიათის იყო მედიცინა ამ ეპოქის საქართველოში და შეეფერებოდა თუ არა მეცნიერების ეს დარგი იმ მაღალ მეცნიერულ-კულტურულ დონეს, რომელიც „ოქროს ხანად“ არის ცნობილი ჩვენი ერის ისტორიაში.

ხელთ გვაქვს სახარების სამი მოხატული ხელნაწერი ქართული მონასტრიდან, რომელიც ღვთისმშობლის სახელზე იყო აგებული კალიპოსში, ანტიოქიის მახლობლად: A-484 და S-962 ხელნაწერები დღეს საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახება და თარიღდება 1054 წლით; ხოლო მესამე, No. 76, – ინახება ქუთაისის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმში და 1060 წლითაა დათარიღებული. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ხელნაწერები მოკლე ინტერვლებით დაშორებულ პერიოდშია გადაწერილი, ისინი მაინც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, განსაკუთრებით კი მოხატვის თვალსაზრისით. მაგ.: A-484 ხელნაწერის მოციქულთა გამოსახულებები, მათი სტილის მიხედვით, შესრულებული უნდა იყოს ცნობილი კონსტანტინოპოლელი მხატვრის მიერ; მცირე, მაგრამ უხვად მოხატული ხელნაწერის, S-962-ის, არაჩვეულებრივი მოხატველიც ბიზანტიის დედაქალაქიდან უნდა ყოფილიყო. ქუთაისის No. 76 სახარებაში გამოსახული მოციქულების სამოსელის ორნამენტის მსგავსი ნაკვეთები გვაგონებს იმ ოსტატის ქართული ჭედურობის ნიმუშებს, რომელიც საქართველოდან ახალი ჩასული იყო ანტიოქიაში. მოციქულთა ფიგურების გამოსახვისას ეს მხატვარი ბიზანტიური პრაქტიკის მიმდევარია, მაგრამ მის ნამუშევარში არ შეინიშნება იმ მინიატურების ზეგავლენა, რაც გვხვდება კალიპოსში, რამდენიმე წლით უფრო ადრე გადაწერილ, მდიდრულად მორთულ ხელნაწერ წიგნებში. ერთადერთი დასკვნა, რომელიც შეიძლება გამოვიტანოთ კალიპოსის ჯგუფის მაგალითზე, არის ის, რომ 1050-1060-იან წლებში ღვთისმშობლის ქართველთა მონასტერში არ არსებობდა მტკიცე მინიატურული მხატვრობის ტრადიცია. ეს კი ცოტა უცნაურია, რადგან მონასტერი ნაყოფიერი ლიტერატურული მოღვაწეობის ცენტრი იყო, რაც დასტურდება დოკუმენტებით 1040 წლიდან.

მიუხედავად ამისა, თუ მათ ბიზანტიური ხელოვნების შორეულ პერსპექტივაში განვიხილავთ, კალიპოსის ხელნაწერები თანმიმდევრულია. პრობლემის ამოხსნის საშუალებას იძლევა ბერძნული სახარების ლექციონარი ფლორენციაში, ლაურენზიანას ბიბლიოთეკის, Med. Palat. 244, რადგან სწორედ ეს ხელნაწერი გამოიყენა ნიმუშად ქუთაისში დაცული No. 76-ის მხატვარმა. ფლორენციის ლექციონარი განკუთვნილი უნდა ყოფილიყო ეკლესიის მაღალი იერარქისთვის, რომელიც ლიტურგიას საეკლესიო კალენდრის ყველაზე მნიშვნელოვან დღესასწაულზე ასრულებდა. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ მასში შედის ძალიან გამონვლილივით შერჩეული საკითხავები, წელიწადში მხოლოდ 22 დღისთვის, ხოლო მთელი ტექსტი დანერვილია ოქრომელნით არაჩვეულებრივი ეტრატის განიერ ფურცლებზე; თითოეულ გვერდზე 10 ხაზი შესრულებულია ბრწყინვალე ხელით. XIV საუკუნის დასაწყისში



ხელნაწერი კონსტანტინოპოლიდან ტრაპიზონში გადაიტანეს და ქალაქის საბჭოთა ედრო ტაძარს შესწირეს.

უკანასკნელი კვლევებით ფლორენციის ლექციონარი, კოდიკოლოგიური თვალსაზრისით, დაუკავშირდა მოსკოვის საისტორიო მუზეუმის ხელნაწერს – Syn. 511-ს (A. B. Захарова «Греческое Евагелие-апракос из Государственного исторического музея. История, кодикология, текст и декоративное оформление» in Художественное наследие. Хранение, исследования, реставрация, No. 20 (მოსკოვი, 2003, გვ. 7-19). ეს ხელნაწერი რუსეთის დედაქალაქში 1391 წელს კვიპროსის მიტროპოლიტმა ჩაიტანა კონსტანტინოპოლის აია სოფიას საკათედრო ტაძრის ბიბლიოთეკიდან (A. I. Саминский, «Евагелие из библиотеки Святой Софии Константинопольской в Москве конца XIV века». სტატია იბეჭდება ჟურნალში „Россия и Христианский восток“, vol. IV (მოსკოვი)). ვვარაუდობთ, რომ ორივე გამორჩეული ხელნაწერი შექმნილი უნდა ყოფილიყო კონსტანტინოპოლის პატრიარქის ახლო წრეში, დიდ ეკლესიაში გამოსაყენებლად, ხოლო მართლმადიდებლური სამყაროს დიდ საეკლესიო ცენტრებში გადანაწილებით ისინი დემორჩილენ ერთიან ლიტურგიკულ პრაქტიკას. ანტიოქია, როგორც ანტიკური პატრიარქატის დედაქალაქი, რომელიც 969 წელს ბიზანტიის იმპერიამ მუსლიმთაგან გამოიხსნა, ყველაზე მნიშვნელოვანი ბიზანტიური საეკლესიო ცენტრი იყო X საუკუნის ბოლოდან XI საუკუნის ჩათვლით.

ფლორენციისა და მოსკოვის ლექციონარები თარიღდება გვიანი 1060-1070-იანი წლებით. ფლორენციის მინიატურების ქუთაისში დაცულ ხელნაწერში წარმოდგენილი ქართული ანალოგიები ადასტურებს, რომ მისი მოდელი და, ალბათ, ამ მოდელის მონათესავე მოსკოვში დაცული ხელნაწერი, უნდა დათარიღდეს არაუგვიანეს 1060 წლისა, რადგან იგი ყველაზე ადრეა გადანერილი. თუმცა, A-484 ხელნაწერში (1054 წ.) წმ. იოანეს მინიატურის კომპოზიცია ჯერ კიდევ მიყვება მაკედონიურ ხანაში დაფუძნებულ ტრადიციას. ამ მოციქულის იკონოგრაფია ორივე ლექციონარში მოასწავებს ახალ ეტაპს ბიზანტიური ხელოვნების განვითარებაში. ეს ორი ხელნაწერი გადანერილი უნდა იყოს რამდენიმე წლით გვიან, ვიდრე A-484 ნუსხა, დაახლოებით იმ პერიოდში, როცა ფლორენციის ასლი გაიგზავნა კონსტანტინოპოლიდან ანტიოქიაში და გამოიყენეს როგორც ნიმუში ქუთაისის სახარების მინიატურებისათვის.

ქუთაისის სახარებისთვის გამოყენებული ბიზანტიური მოდელის წარმომავლობისა და თარიღის დადგენამ საშუალება მოგვცა გვეჩვენებინა, თუ ბიზანტიური წიგნის რა სახის მხატვრობა აინტერესებდათ კალიპოსის ქართველ ბერებს. მათ ყურადღებას იპყრობდა და იყენებდნენ ყველაზე გვიანდელ და ყველაზე წარმატებით შესრულებულ წიგნის ხელოვნების კონსტანტინოპოლურ ნიმუშებს, რომლებიც გვხვდებოდა საპატრიარქო ეპარქიაში. ამის დადასტურება A-484-ისა და S-962-ის მინიატურების დახვეწილი სტილი. ამჭრილში კალიპოსის ღვთისმშობლის ქართული მონასტერი ჭეშმარიტი შესაყარი იყო კონსტანტინოპოლური მინიატურის მხატვრობისა ანტიოქიაში.

**თამარ მოსხაზური, თამარ ჭუმბურიძე**

## **გერმანელი ხელოვანის გრაფიურები ქართულ „ლოცვანში“**

ორი ქვეყნის, საქართველოსა და გერმანიის, ურთიერთობებს დიდი ხნის ისტორია აქვს. ცნობები საქართველოს შესახებ გვხვდება XVIII-XIX საუკუნეების გერმანელი მოგზაურების, მწერლებისა თუ მეცნიერების ნაწარმოებში. განსაკუთრებით მჭიდრო ურთიერთობები ჩანს XIX საუკუნის დასაწყისიდან, როდესაც რუსეთის იმპერატორის, ალექსანდრე I-ის ნებართვით გერმანელთა დაახლოებით 500 ოჯახი ჩამოვიდა საქართველოში და საკუთარი კოლონიები დააარსა (Haigas, Hummel 2002: 28; Scheitnischvili 2013). 1865 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით, საქართველოში 4 200 გერმანელი ცხოვრობდა, ხოლო 1897 წლისათვის – 7 400 (სონლულაშვილი 1995). ამ ბოლო დროს ბევრი რამ დაინერა საქართველოში მცხოვრებ გერმანელებზე, გერმანელი არქიტექტორების მიერ აგებულ შენობებზე, გერმანელ მენარმეთა საქმიანობაზე საქართველოში და სხვ. გერმანელთა საქართველოში ცხოვრების კვალი ჩანს კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ 20-მდე გერმანულ ხელნაწერშიც, ესენია: გუსტაფ რადეს მოგზაურობების ჩანაწერები, სხვადასხვა სახის ლიტურგიკული თუ სხვა ტიპის კრებულები, წერილები და ა. შ. (ჭუმბურიძე, ქიმერიძე 2015: 431-435).

ამ კუთხით ჩვენი ყურადღება მიიპყრო კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულმა ქართულმა ხელნაწერმა, მართლმადიდებლურ ლოცვათა კრებულმა – H-334 (აბულაძე 1946: 241-243).

**კოდიკოლოგიურ-პალეოგრაფიული აღწერილობა:** ხელნაწერი შეიცავს 166 ფურცელს; თავდაპირველი ზომა: 135×100 მმ; ნაწერის ზომა: 82×55 მმ; სტრიქონების რაოდენობა: 26. შედარებით გვიან ხელნაწერის ფურცლებზე მიუკრავთ დაჭრილი ფურცლებისაგან შედგენილი მართკუთხა ჩარჩო, რის შედეგადაც მისი ამჟამინდელი ზომაა: 205×182 მმ. მასალა – ევროპული ქაღალდი. ჭვირნიშანი დასტურდება როგორც ხელნაწერის ძირითად ფურცლებზე (ff. 112, 115, 116, 124, 132, 144, 158, 159), ისე გვიან მიკრულ ნაწილებზე (ff. 3, 4, 5 და ა. შ.). ჩასმულია მცირედ დაზიანებულ ტყავადაკრულ ხის ყდაში; ყდის ზედაპირი ტვიფრულია, აქვს ფიგურული ყუა. დასაწყისში ჩართულია ერთი დამცავი ფურცელი. ხელნაწერი სრულია, კარგად არის შემონახული.

დანერილია ნუსხურით; მთავრულით შესრულებულია სათაური 2r-ზე, მთავრულია ასევე პარაგრაფის დასაწყისში მოთავსებული სიტყვის პირველი გრაფემები. ხელწერა ფორმალურია, გრაფემები – მარჯვნივ გადახრილი. ტექსტი დანერილია შავი მელნით. სათაურები და მთავრული გრაფემები შესრულებულია წითელი მელნით. ხელნაწერს აქვს თანადროული რვეულებრივი პაგინაცია – რვეულები დანომრილია რიცხვის აღმნიშვნელი ქართული გრაფემებით (იხ. 2r – 7v; 8r – 15v და ა. შ.); შეიცავს, ასევე, გვიანდელ ფურცლობრივ დანომრვას. შედგება 21 რვეულისაგან. ხელნაწერის დეკორს ქმნის სათაურების თავსამკაული (39r, 129v, 159r), ნაწერის ფიგურული – ისრისებრი – ფორმა ცალკეული პარაგრაფის ბოლოს (32v, 38r, 65r, 112v, 125v, 129v, 149r, 158r, 166r), ასევე, ხელნაწერში ჩართული ორი სურათი.<sup>1</sup>

**შედგენილობა:** შუალამის ლოცვა, იბაკონი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი, იბაკონი ღმრთისმშობლისა, ლოცვა წმიდა მაკარისი, ლოცვა ყოველთა შვიდეულთა დღეთანი, ლოცვანი ღამისანი ათორმეტთა ჟამთანი, ლოცვანი დღისანი ათორმეტნი და ა.შ.

**მინაწერები:** ხელნაწერში დასტურდება ძირითადი ტექსტის ხელითა და მელნით შესრულებული ორი მინაწერი, რომლებიც ამ ხელნაწერის გადამწერს ეკუთვნის. როგორც ერთ-ერთი მინაწერიდან ირკვევა, ხელნაწერი გადამწერილია 1756 წელს სიონის დეკანოზის, ნიკოლოზის მიერ:

აღვწერე სრ(უ)ლი(ა)დ ლოცვანი ესე ფრი(ა)დ ც(ო)დვილმან სიონის დეკანოზმ(ა)ნ ნიკ(ო)ლ(ო)ზ, წელთა ჩღწგ (149r).

მეორე მინაწერში ვკითხულობთ:

ყ(ო)ვლ(ა)დ წ(მი)დაო ქ(ალ)წ(ულ)ო ღ(მრ)თისმშ(ო)ბ(ე)ლო, შ(ე)იწყალ(ე) მწერალი წიგნისა ამის ცოდვილი დეკ(ა)ნ(ო)ზი სიონისა ნიკ(ო)ლ(ო)ზ (157r).

ამგვარად, ხელნაწერის გადამწერის ადგილია სიონი – ღვთისმშობლის მიძინების საპატრიარქო ტაძარი თბილისში. ცნობილია ამ პერიოდის არაერთი ქართული ხელნაწერი, რომელიც თბილისში, სწორედ სიონის ტაძარშია გადამწერილი.

162r-ზე, მოგვიანებით მიკრულ მართკუთხა ჩარჩოზე, დასტურდება კიდევ ერთი, სავარაუდოდ XIX საუკუნის ხელით შესრულებული მინაწერი:

ესე ლოცვანი ჩემი დანერილი არის. ვინც ნახო, სიცოცხლე უბძანეთ თო (sic), ლევან თარხანოვი.

მინაწერის ხელწერა არაფორმალურია. მიუხედავად მინაწერში მონოდებული ინფორმაციისა, აშკარაა, რომ მის ავტორს ხელნაწერის გადამწერასთან არანაირი კავშირი არა აქვს. თუმცა გამორიცხული არ არის, რომ სწორედ მას უკავშირდებოდეს ხელნაწერის ფურლებზე გვიანდელი ოთხკუთხა ჩარჩოს მიკვრა, რის შედეგადაც ხელნაწერი მცირე ზომის ე. წ. ჯიბის „ლოცვანიდან“ შედარებით მოზრდილ კრებულად არის ქცეული.

ყურადღებას იპყრობს ორი სურათი, რომელიც ხელნაწერის დეკორის როლს ასრულებს. ეს არის ორი გრაფიურა:

<sup>1</sup> ამის შესახებ იხ. ქვემოთ.

I. Iv-ზე დაკრული გრაფიურა წარმოადგენს ოვალური ჩარჩოს ფორმის თხელ ქალაქზე შესრულებულ ნახატს, რომლის ცენტრალური ნაწილი დაზიანებულია, შემორჩენილია მხოლოდ ოთხი ანგელოზის თავის გამოსახულება. ჩარჩოს ქვემოთ ახლავს ნაბეჭდი წარწერა: *S. Salvator Mundi* (სურ. 1). წარწერის მიხედვით, გრაფიურის დაზიანებული ნაწილი შეიცავდა „ქვეყნიერების მსხნელის“, ანუ ქრისტეს გამოსახულებას.

II. 158v-ზე დაკრულ გრაფიურაზე, ოვალურ ჩარჩოში, გამოსახულია ღვთისმშობელი სამი ანგელოზით. ახლავს ნაბეჭდი წარწერა: 2412 *Mart Engelbrecht exc. a v S. Mater Salvatoris* (სურ. 2). წარწერაში მითითებულია გრაფიურათა ავტორი – ცნობილი გერმანელი მხატვარი და გამომცემელი, მარტინ ენგელბრეხტი (1684-1756). აბრევიატურა *exc. (= excudit)* ნიშნავს „გრაფირებულია“, ხოლო *a v* არის შემოკლება გერმანული ქალაქის, აუგსბურგის ლათინური სახელწოდებისა (*Augusta Vindelicorum*), სადაც ეს გრაფიურებია შექმნილი. *Mater Salvatoris* – „მხსნელის დედა“ – სურათზე გამოსახული ღვთისმშობელია.

გერმანელი ხელოვანი, მარტინ ენგელბრეხტი, დაიბადა 1684 წელს ქ. აუგსბურგში, სადაც მან თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი გაატარა. საგამომცემლო საქმიანობა ენგელბრეხტმა ჯერ ბერლინში დაიწყო, შემდეგ ვენაში გადავიდა, 1711 წელს კი აუგსბურგში დაბრუნდა. იქ თავისი ძმისა და ი. ა. პფეფელის მიერ დაარსებულ გამომცემლობაში მუშაობდა. პფეფელის გამომცემლობიდან წასვლისა და ძმის გარდაცვალების შემდეგ კი თავად უძღვებოდა გამომცემლობას. 1743 წლიდან ენგელბრეხტი ქალაქის საბჭოს წევრია. მისი გარდაცვალების შემდეგ ენგელბრეხტის საქმე



სურ. 1



სურ. 2

მისმა სიძემ გადაიბარა და გამომცემლობამ ძველი სახელით განაგრძო მუშაობა.

მარტინ ენგელბრეხტის, როგორც მხატვრისა და დეკორატორის, მოღვაწეობა მრავალმხრივია. იგი 3000-ზე მეტი ნახატის ავტორი და დეკორატიული ხელოვნების ნიმუშთა ილუსტრატორია. განსაკუთრებით ცნობილია თავისი გრაფიურებით; ეს არის ევროპის სამეფო ოჯახების წარმომადგენელთა პორტრეტები, ქალაქების ხედები, ბუნების პეიზაჟები, ხელოვნების, ხელოსნების და სხვადასხვა პროფესიის ადამიანთა გამოსახულებები და სხვ. ენგელბრეხტს აქვს ასევე რელიგიურ და ალეგორიულ თემებზე, სამხედრო თუ ისტორიულ მოვლენებზე შესრულებული ნახატები, ბრძოლის სცენები. განსაკუთრებით აღსანიშნავია სერია „პანდურები“, რომელიც 150-მდე გრაფიურისაგან შედგება; სურათებზე გამოსახულები არიან ავსტრიის ტახტისათვის მებრძოლი დაქირავებული ჯარისკაცები. ეს სერია დღეისათვის ვენის მუზეუმშია დაცული. ენგელბრეხტის გრაფიურათა დიდი ნაწილი ინახება ამერიკაში, ნიუ-ჰევენში, იელის უნივერსიტეტის ბეინეკეს იზვიათი წიგნებისა და ხელნაწერების ბიბლიოთეკაში.

მარტინ ენგელბრეხტის სახელთან არის დაკავშირებული ასევე მინიატურული თეატრალური დადგმების – დიორამების შექმნა. ეს არის სპეციალურ ყუთში (Guckkasten) ჩალაგებული 5-დან 8-მდე ნახატი, რომლებსაც ერთი სიუჟეტი აერთიანებს და რომლებიც ამ ყუთის წყალობით ერთგვარი სივრცის ილუზიას – სამგანზომილებიან პერსპექტივას ქმნიან. ენგელბრეხტის დიორამების თემატიკა საკმაოდ მრავალფეროვანია, ეს არის რელიგიური სიუჟეტები, სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენელთა ცხოვრების ამსახველი ყოველდღიური ამბები და სხვ.

სწორედ ენგელბრეხტის მიერ დიორამის თეატრისათვის რელიგიურ თემაზე შექმნილი სერიის ორი ფრაგმენტი ჩართული XVIII საუკუნის შუა წლებში თბილისში გადაწერილ ქართულ ლოცვანში, რაზეც მეორე გრავიურაზე აღნიშნული სერიის ნომერი – 2412 – მიანიშნებს.

საიდან და როდის უნდა მოხვედრილიყო ეს გრავიურები თბილისში? XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე თბილისის კულტურულ ცხოვრებაში უკვე ილანდება ევროპული კულტურის ნიშნები, მაგრამ ამ პერიოდის საქართველოში დიორამის თეატრის, ან მსგავსი მოვლენის შესახებ ინფორმაციის არარსებობის პირობებში ძნელი დასაშვებია, რომ ამ ორი გრავიურის ქართულ ხელნაწერში დადასტურების ფაქტი თბილისში ევროპული ტიპის დიორამის თეატრის არსებობაზე მიანიშნებდეს.

ფიქრობთ, გერმანელი მხატვრის გრავიურები ქართულ ხელნაწერში მოგვიანებით, ფურცლებზე ოთხკუთხა ჩარჩოს მიკვრისას გაჩნდა. ეს უნდა მომხდარიყო XIX საუკუნის I მეოთხედში, როდესაც დაიწყო გერმანელების მასობრივი გადმოსახლება საქართველოში. სავარაუდოდ, სწორედ მათ სხვა რელიკვიებთან ერთად საქართველოში უნდა ჩამოჰყოლოდათ მარტინ ენგელბრეხტის გრავიურები, რომლებსაც, როგორც ჩანს, უკვე დაკარგული ჰქონდათ თავიანთი თავდაპირველი – დიორამის თეატრის სურათების – ფუნქცია.

როგორ და რატომ იქცნენ ეს გამოსახულებები სიონის საპატრიარქო ტაძარში გადაწერილი მართლმადიდებლური ლოცვანის გაფორმება-გამშვენების მასალად, ცალკე საკითხია.

## ბამოყენებული ლიტერატურა

1. **აბულაძე 1946:** საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები – H კოლექცია) აკად. ს. ჯანაშიას საერთო რედაქციით. ტ. I, დასაბეჭდად მომზადებულია ხელნაწერთა განყოფილების თანამშრომლების, ლ. ქუთათელაძისა და ნ. კასრაძის მიერ, ი. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1946.
2. **სონლულაშვილი 1995:** სონლულაშვილი ა., გერმანელები საქართველოში, თბ., 1995.
3. **ჭუმბურიძე, ქიმერიძე 2015:** ჭუმბურიძე თ., ქიმერიძე ნ., გერმანულენოვანი ხელნაწერები ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი 24 (2015).
4. **Haigas, Hummel 2002:** Haigas P., Hummel G., Schwäbische Spuren im Kaukasus. Auswandererschicksaale, Metzingen, 2002.
5. **Scheitnischvili 2013:** Scheitnischvili, N.; Von Katharinenfeld bis Bolnisi: Zur Geschichte einer deutschen Siedlung in Georgien, Georgica 36, 2013.

Thamar Otkhmezuri, Thamar Chumburidze

ENGRAVINGS OF A GERMAN ARTIST IN THE  
GEORGIAN PRAYER BOOK

ABSTRACT

A Georgian manuscript – a prayer book (NCM H-334) – was copied in 1756 in Tbilisi, in the Sioni Cathedral of the Dormition; according to the colophon, it was restored in the second half of the 19<sup>th</sup> century. The prayer book includes two engravings: 1. the engraving is quite damaged, only the images of the heads of four angels have been preserved; it has an inscription: *S. Salvator Mundi* (1v); 2. In the engraving Mother of God and three angels are depicted; there is an inscription: 2412 *Mart Engelbrecht exc. a v S. Mater Salvatoris* (158v) [2412 *Mart Engelbrecht excudit Augusta Vindelicorum, S. Mater Salvatoris*]. These engravings on religious theme are parts of the *diorama* theater made by a well-known German artist Martin Engelbrecht (1684-1756).

The engravings should have been inserted into the manuscript in the second half of the 19<sup>th</sup> century, when it was restored. The 19<sup>th</sup> century is a period of the settlement of German colonists in Georgia, by whom these engravings should have been brought to Georgia.

ჟარარ ბარიტი

ერთი ქართული ხელნაწერის ბედი და უბედობა<sup>1</sup>

(Collection Garrett-24, პრინსტონი)

1956 წელს, როცა „სინის ქართული ხელნაწერების კატალოგის“ (Garitte 1956: 318) ბეჭდვა დავასრულეთ, ჩვენი ყურადღება მიიპყრო ბოლანდისტის, ლირსი მამის, ფ. ჰალკინის სასიამოვნო ცნობამ რობერტ გარეტის (აშშ, ბალტიმორი) კოლექციის ერთი ქართული ხელნაწერის შესახებ, რომელიც აშშ-სა და კანადაში დაცულ სემიურ დე რიჩისა და უილსონის ხელნაწერთა ნუსხაში (Ricci... 1935: 868, n.24) შემდეგნაირადაა აღწერილი:

„24. საგალობლების კრებული. ქართულ ენაზე (XI ს.), 99 ფურცელი (15×12 სმ.), ძირითადად, პალიმფსესტი. ქვედა ფენა (მარჯვენა კუთხეებში უფრო გვიანდელი), უმეტესად, ბერძნული თეოლოგიური ტექსტი დახრილი მთავრულით; შეიცავს რამდენიმე უფრო ძველ სირიულ ფურცელს. თანამედროვე ტარსიკონის ყავისფერი ყდა. სინური“.

1962 წელს გამოქვეყნებული სემიურ დე რიჩის ნუსხის „დანართი“ (Faye... 1962: 310-313) გვამცნობს, რომ 1942 წელს რ. გარეტმა თავისი ხელნაწერთა კოლექცია პრინსტონის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას გადასცა<sup>2</sup>. ამ ბიბლიოთეკის დირექციამ ხელნაწერის სრული მიკროფილმი მოგვანოდა.

როცა ხელნაწერს, Garrett-24, მხოლოდ „ნუსხის“ მოკლე აღწერილობით გავეცანით, უკვე ეჭვი შეგვეპარა (Garitte 1956: 3; 318), რომ იგი 1883 წელს ალექსანდრე ცაგარლის მიერ n.93-ით აღწერილ სინის მთის ნმ.ეკატერინეს მონასტრის ხელნაწერთან (Цагарели 1888: 240, n.93) უნდა გაგვევიგებინა. ამ ხელნაწერს, რომელიც დღეს სინის მთაზე აღარაა დაცული, ა. ცაგარელი შემდეგნაირად აღწერს:

<sup>1</sup> Aventures et mésaventures d'un manuscrit géorgien (le cod. Garrett 24, Princeton), Bedi Karthlisa, XXIII-XXIV, 1967, p. 37-52; Scripta Disiecta, II, 1980, p. 546-560.

<sup>2</sup> Supplément, p. 310: „ხელნაწერი 171 ნუსხაში შეტანილია როგორც რობერტ გარეტის ხელნაწერი (ბალტიმორი, მერილენდი), რომელიც გარეტმა 1942 წ-ს პრინსტონის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას გადასცა. ხელნაწერი N24 დანართში აღწერილი აღარაა (მითითებულია მხოლოდ ის პუნქტები, რომლებიც გავრცობას თუ შეცვლას მოითხოვდა“).

„93. Сказание о сошествии Иисуса Христа и распространении христианства. 3 1/2 вершк. длин., 2 2/3 шир. 109 л. На пергаменте, палимпсест. Письмо строчное, четкое, без всяких украшений. Начала и конца недостает. Начинается: „არიან და უცვალებელ ბელ [ცაგ.; უ.ი. უცვალებელ] ჩუწნთვს და ჩუწნისა ცხოვრებისათვს მოდრიკნა ცანი და გარდამოხედა და ცათაგან განუშორებელ იყო და დაემკვდრა მუცელსა ღმრთისმშობლისასა...“ Оканчивается: „ხოლო ვითარ მოვიდა არა ქმნილი, მსგავსი მამისა, და დაუტევა ნებსით...“ Почерк писца Иоанна Синайского, X в<sup>3</sup>.

ცაგარლის n.93 ხელნაწერის მახასიათებლები (ეტრატი, პალიმფსესტი, 109 ფურცელი, 156×118 მმ., X ს.) დაახლოებით შეესაბამება Garrett-24 ხელნაწერის მახასიათებლებს (ეტრატი, პალიმფსესტი, 99 ფურცელი, 150×118 მმ., XI ს.). უფრო მეტიც, „ნუსხის“ მიხედვით გარეტის ხელნაწერი სინური, ცაგარლის მიერ აღწერილ ხელნაწერებს შორის კი N.93 ერთადერთია, რომელსაც გარეტისეული ხელნაწერის მახასიათებლები მიესადაგება.

Garrett-24 ხელნაწერის ცაგარელი-93-თან იდენტიფიკაციას ერთი ნინააღმდებგობა ელოდება; კერძოდ, ის, რომ პირველი მათგანი ნარმოდგენილია როგორც „საგალობელთა კრებული“, მეორის შინაარსი კი განსაზღვრულია როგორც „თხრობა იესო ქრისტეს გარდამოსვლასა და ქრისტიანობის გავრცელებაზე“, მაგრამ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, „ნუსხის“ განსაზღვრება მცდარია.

\* \* \*

გარეტის ხელნაწერის თავში დართულ ფორზაცზე გვხვდება ხელით მინანური:

A.R.I. Kasse Fach. 3

Georgisch. – Hymnarium georgice

Pergament manuskript spätestens

Des 11 Jhs.

22<sup>4</sup>. VIII.

(მერე ინგლისურად:)

R.G<sup>5</sup>

1922 ? (Hiersemann)

De R. 24 <sup>6</sup>

<sup>3</sup> თხრობა იესო-ქრისტეს გარდამოსვლასა და ქრისტიანობის გავრცელების შესახებ, 3 1/2 [= 156 მმ] სიგრძეში, 2 2/3 [= 118 მმ] სიგანეში. 109 ფურცელი, ეტრატი, პალიმფსესტი. ნუსხური, გასაგები, ყოველგვარი შემკულობის გარეშე. დასაწყისი: „არიან და უცვალებელ ჩუწნთვს და ჩუწნისა ცხოვრებისათვს მოდრიკნა ცანი და გარდამოხედა და ცათაგან განუშორებელ იყო და დაემკვდრა მუცელსა ღმრთისმშობლისასა...“. დასასრული: „ხოლო ვითარ მოვიდა არა ქმნილი, მსგავსი მამისა, და დაუტევა ნებსით...“. გადამწერ იოანე სინელის ხელი, X ს.

<sup>4</sup> გადასწორებულია 23-დან.

<sup>5</sup> = R(obert) G(arrett).

<sup>6</sup> = (Seymour) de R(icc)i, n. 24.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ცნობა „1922? (Hirsemann)“. იგი მიუთითებს, რომ ხელნაწერი შექმნილია 1922 წლის მახლობლად, კარგად ცნობილ ლაიფციგელ ანტიკვართან, ვ. ჰირზემანთან.

ყიდვა-გაყიდვის ერთ-ერთ კატალოგში, რომელიც ამ ფირმამ პირველი მსოფლიო ომის დასრულებისთანავე გამოაქვეყნა, აღმოვაჩინეთ ვრცელი აღწერილობა ხელნაწერისა, რომელიც შემდგომ Garrett-24-ად იქცა. ეს კატალოგი, რომელსაც ღირსი მამის, ჰალკინის წყალობით ბრიუსელში, ბოლანდისტა ბიბლიოთეკაში მივაკვლიეთ (ლიტერი: 1235. V), მცირე ზომის, ყდის ჩათვლით 12 გვერდიანი ბროშურა აღმოჩნდა ტექსტზე დართული 4 ტაბულით, ზომით 220×155 მმ. მას არც რიგითი ნომერი, არც თარიღი არ გააჩნია, მაგრამ რადგან ფასი შევიცარული ფრანკებითაა მითითებული, ეს ის პერიოდი უნდა იყოს, როცა მარკა გაუფასურდა, ანუ 20-იანი წლების დასაწყისი.

ამ კატალოგში მოცემული ჩვენი ხელნაწერის აღწერილობა უთუოდ ცნობილ ორიენტალისტსა და ლიტურგისტს ბონიდან, ანტონ ბაუმშტარკს ეკუთვნის, რომელსაც სისტემატურად მიმართავდა ანტიკვარი ჰირზემანი. 1922 წლით დათარიღებული თავისი „კატალოგი 500“-ის (Hirsemann 1922: 2) შესავალში კ.ვ. ჰირზემანი წერდა:

„დაბოლოს, მინდა მადლობა გადავუხადო ბონის უნივერსიტეტის პროფესორს, ბ-ნ ბაუმშტარკს საქმის ღრმა ცოდნითა და დიდი გულმოდგინებით შედგენილი ბერძნული, არაბული და სირიული ხელნაწერების აღწერილობისთვის, რომელიც მან ჩვენი კატალოგისთვის შეადგინა“.

იმავე „კატალოგი-500“-ისთვის დართულ ცალკე ფურცელზე ვკითხულობთ ბონის უნივერსიტეტის პროფესორის, დოქტორ ა. ბაუმშტარკის 1922 წლის 17 იანვრით დათარიღებულ ტექსტს, რომელიც ასე იწყება:

„ბერძნული, ქრისტიანულ-არაბული და სირიული ხელნაწერები და ფრაგმენტები, გარდა კარლ ჰირზემანის „კატალოგი – 500“-ის NN. 8 და 19-ისა, გულდასმით და ზოგი მათგანი არაერთხელ იქნა შესწავლილი ჩემ მიერ საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში, როცა ვასრულებდი მუშაობას „სირიული ლიტერატურის ისტორიაზე“<sup>7</sup>, რომელშიც შევეცადე, რაც შეიძლება ზუსტი ცნობები მომეწოდებინა სადავო ტექსტების ყოველგვარი წერილობითი დამოწმების შესახებ...“

საჭიროდ მივიჩნიეთ, სრული სახით მოვიტანოთ ჰირზემანის დაუთარიღებელ კატალოგში გამოქვეყნებული ბაუმშტარკის შენიშვნა (გვ. 6-8, N.16); ეს კატალოგი იშვიათია, რომ არა ვთქვათ, ხელმიუწვდომელი, მისი შენიშვნა კი შეიცავს ფასეულ ინფორმაციას ხელნაწერის ბერძნული და სირიულ-პალესტინურად მიჩნეული ქართული ტექსტების შესახებ.

<sup>7</sup> იგულისხმება ა. ბაუმშტარკის კლასიკური ნაშრომი Geschichte der syrischen Literatur, რომელიც 1922 წ-ს ბონში გამოიცა. იხ. ტაბ.VIII: ამ წიგნისთვის მთელი რიგი ხელნაწერები თუ ფრაგმენტები შესასწავლად მომანოდა კ.ვ. ჰირზემანის ფირმამ ლაიფციგიდან.

16. საგლობელთა კრებული, ქართულ ენაზე, ეტრატი, XI ს., 17 ფრაგმენტები. თავ-ბოლონაკლული, არასრული ქართული ხელნაწერი ეტრატზე, 99 ფურცელი, 14-16 სტრიქონი, თანამედროვე ყდით (იხ. ტაბ. III)<sup>8</sup>, 15000 შვეიცარული ფრანკი.

ქართული მწერლობის საუკეთესო თბილისელი სპეციალისტის, ბ-ნ პროფ. თაყაიშვილის შეფასებით, ხელნაწერი არაუგვიანეს XI საუკუნით თარიღდება. დაწერილია ხუცურით, რომელიც დღეს დამკვიდრებული მხედრულისგან განსხვავებით, მხოლოდ სასულიერო ლიტერატურაში გამოიყენება. საქმე გვაქვს საგლობელთა ფრაგმენტებთან, რომელთა დასაწყისი თარგმანში ასე უღერს: „ნდობითა და ქრისტეს რწმენისადმი ერთგულებით, იძულების გარეშე, საბერძნეთის იმპერატორის მფარველობით. მის შემდეგ იყო დიდი იმპერატორი კონსტანტინე, რომელმაც მხოლოდ ერთი წელი და რამდენიმე თვე იმეფა, შემდეგ დაავადდა და გარდაიცვალა“.

ეს უნიკალური ხელნაწერი იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ იგი ნაწილობრივ პალიმფსესტია და მის დასამზადებლად გამოყენებულია სულ ცოტა 7 სხვა უფრო ძველი ხელნაწერის ფურცლები.

1. fol. 79-86, ორმაგი პალიმფსესტი. უძველესი ფენა ძალიან ლამაზი ბერძნული (ან ლათინური) მთავრულით, სავარაუდოდ, V საუკუნის. უფრო გვიანდელი ქვედა ფენა IX-X სს-ის ბერძნული მინუსკულით. შიგადაშიგ ვხვდებით შემოკლებას Θ=θედ.

2. fol. 63-70 - ქვედა ფენა - მთავრულით, მახვილების გარეშე, სავარაუდოდ, VII ს. როგორც ჩანს, საქმე უნდა გვქონდეს ლიტურგიკულ ტექსტთან. ΤΩ ΖΩΟΠΟΙΟΥ ΣΤΑΥΡΟΥ ΤΗΣ ΤΑΦΗΣ ΤΗΣ ΤΡΙΗΜΕΡΟΥ ΕΚ ΝΕΚΡΩΝ ΑΝΑΣΤΑΣΕΩΣ fol. 64, ე.წ. „ანამნეზი“ = ლათინური ნირვის unde et memores-ს, ΟΥ ΠΑΡ(Ε)ΙΔΕΣ ΑΛΛ ΗΛΘΕΣ ΚΑΙ ΕΣΩΣΑΣ, fol. 68, წარმოადგენს ევქარისტიულ სამადლობელ ლოცვას ხსნისთვის; დღემდე უცნობი ევქარისტიული ლიტურგიის ΕΥΛΟΓΗΜΕΝΟΣ ὁ ΤΩΝ ΠΑΤΕΡΩΝ ΘΣ, fol. 67, დღის განმავლობაში წასაკითხი ლიტურგიკული საგალობლებია.

3. fol. 72, 74, 75, 77. ქვედა ფენა გაკრული და დახრილი ხელით, უმახვილო ბერძნული მთავრულით. fol. 74r, 75v საშობაო ჰომილიის ფრაგმენტებს უნდა წარმოადგენდეს. იკითხება ΟΙ ΠΟΙΜΕΝΕΣ ΤΟ ΘΑΥΜΑ Η ΓΗ ΤΟ ΣΠΗΛΑΙΟΝ ... ΠΑΡΘΕΝΟΣ ΕΤΕΚΕΝ ΚΑΙ ...ΜΕΤΑ ΗΜΩΝ ΚΤΙΣΜΑΤΩΝ ΕΥΧΑΡΙΣΤΙΑΝ προσφεπόντων? გამორიცხული არ არის, რომ იგი ლიტურგიკულ პოეზიას წარმოადგენდეს. შდრ. თანამედროვე ბერძნული საშობაო მწუხრის ლოცვა ტროპარიონში: ἔκαστου γὰρ τῶν ὑπο σου γειομεισῶν κτισμάτων τῆς εὐχαριστίας σοι προσάγει οἱ ἄγγελοι τὸν ἕμμοι οἱ οὐπαντὶ τὸν ἀστέρα οἱ Μάγοι τὰ δῆρα οἱ ποιμένες τὸ θάσμα ἢ γῆ τὸ σπήλαιον.

4. fol. 43-76 ქვედა ფენა უმახვილო ბერძნული მთავრულით, დაწერილი აბზაცებად. ყოველი აბზაცი იწყება აშიაზე გატანილი მთავრულით. სტროფების

<sup>8</sup> ტაბ. III. მოცემულია ხელნაწერის fol. 87 v.

რიგი შეესაბამება ლიტურგიკული პოეზიის, ე.წ. კანონისთვის დამახასიათებელ რიგს, თუ ტექსტი არა უადრეს VIII საუკუნისაა.

5. fol. 91-98, ისევე, როგორც 80, 82, 83, 85-თან მიმართებით, დარწმუნებული არა ვართ, რომ იგივე ხელია. ქვედა ფენა ბერძნული მთავრულით, ცალკეულ სიტყვებში გვხვდება მახვილები. ლოცვა სინანულისათვის. 85, ტექსტის ბოლოს ხაზი. 93r იკითხება: Πῆς μετὰ ΝΟΙΑΣ ΤΗΣ ΗΜΩΝ ΜΗ ΠΑΡΙΑΔΗΣ ΔΕΟΜΑΙ. 85<sup>o</sup> πΑΝΘΩΣ ΩΣ ΑΝΘΣ (=ἀνθρώπος) ... ΩΣ ΘΣ (=θεός).

7. fol. 87-90 და 99, ქვედა ფენა: ქრისტიანულ-პალესტინური დამწერლობა, წაგავს პალიმფსესტის ფრაგმენტს ბრიტანეთის მუზეუმიდან Add. 14.450. fol. 195, რომლის ზედა ფენაც VII ს-ის უნდა იყოს (= E.Tisserant, Specimina codicum orientarium, Tafel 39), უფრო ძველი ქრისტიანულ-პალესტინური ქვედა ფენა ე.წ. Codex Climaci კი აგნ. შმიტ ლევისის მიერ გამოცემული, 40 სინელი ბერის მარტილობის ფრაგმენტები და ევლოგიონის ლეგენდაა (= Horae Semiticae 8 Tafeln 1-5 bzw. Tafel in Horae Semiticae 9). შეიცავს მოკლე ცნობებს ისტორიულ პირებზე (მათ შორის ასკეტ სილვანუსზე), რომლებსაც ედესურ-სირიულ ე.წ. „მამათა სამოთხეში“ 'Enñišo (მდრ. A. Baumstarc, Geschichte der syrischen Literatur, 201 f.) ვხვდებით. (ასევე, იხ. ინგლისური თარგმანი J. Bedjan, Acta martyrum et sanctorum, 7, 791 f., 803 f. bzw. In: Englisher Übersetzung E.W.Budge the Paradise or garden of the holy fathers, London, 1807, 2, 200, f. 213). აქედან ორის ძველი ლათინური თარგმანი „ცხოვრების“ თხრობის პირველი დამოწმებაა (აღსანიშნავია, რომ ეს შინაგანად ადრეც იყო მოსალოდნელი) და წარმოადგენს ასევე ქრისტიანულ-პალესტინურ ენაზე დაწერილ ე.წ. პატერიკს ან აპოფთეგმას. როგორც ჩანს, თხრობა დალაგებულია გმირების, პიროვნებების ან ცალკეული ამბების მიხედვით და ისტორიისთვის ფრიად მნიშვნელოვანია. პალეოგრაფიული თვალსაზრისით იგი ქრისტიანულ-პალესტინური მწერლობის უძველესი შემონახული ძეგლია და ეჭვი არ გვეპარება, რომ VI-VII საუკუნეებით თარიღდება, ანუ დაახლოებით მაშინდელია, როცა ტექსტი ლათინურად ითარგმნა, ან ცოტა უფრო ადრინდელიც, ვიდრე სირიული 'Enñišo'. მას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც რელიგიურ-ისტორიული პრობლემის, ასევე ქართული, ქრისტიანულ-პალესტინური და ბერძნული მწერლობის შესწავლის საქმეში.

ამ შენიშვნის ნაწილი, რომელიც ეხება ქართულ ტექსტს, არასწორია მრავალი თვალსაზრისით; ბაუმშტარკმა ქართული არ იცოდა და, ალბათ, ექვთიმე თაყაიშვილს მიაწოდა ხელნაწერის ერთ-ერთი გვერდის ფოტო.

არსებობს წინააღმდეგობა, ერთი მხრივ, ის, რომ ხელნაწერი შეიცავს 99 ფურცელს, მეორე მხრივ კი, ის, რომ იგი თავ-ბოლონაკლული (მე-17) კვატერნიონია. ტექსტი, რომელიც თარგმნილია და წარმოდგენილია როგორც „საგალობელთა კრებულის“ დასაწყისი, fol. 99-ის რ-ზეა, რომელიც რვეული 17-ის პირველი, ამჟამად კი ხელნაწერის უკანასკნელი ფურცელია. ეს ანომალია შეიძლება ავსხნათ, თუ დავუშვებთ, რომ ბაუმშტარკმა თაყაიშვილს გაუგზავნა fol. 99r-ის ფოტო (რომელსაც ზედა აშიაზე აქვს მე-17 კვატერნიონის აღნიშვნა და ოდნავ

დაზიანებულია ზედა გარე კუთხეში); ალბათ, თაყაიშვილმა იფიქრა, რომ საგალობელთა კრებული ეხებოდა ხელნაწერის პირველ გვერდს და მასზედ მოცემული ძალიან მოკლე ტექსტი საგალობლის ფრაგმენტად მიიჩნია. ბაუმშტარკმა კი დაასკვნა, რომ ქართული ხელნაწერი „საგალობელთა კრებული“ იყო და პირზემანის კატალოგში დაფიქსირებული და კრებულის ფორზაცზე დატანილი ეს განსაზღვრება სწორედ აქედან მოხვდა სემიურ დე რიჩის „ნუსხაში“, ე. ი. ეს აბსოლუტურად მცდარია.

\* \* \*

ხელნაწერი Garrett-24 შეიცავს ეტრატის 99 ფურცელს, 150×120 მმ, გვერდები სავსეა, რადგან გვერდზე 14 (იშვიათად 15 ან 16) სტრიქონია. ხელი ცნობილი გადამწერის, იოანე ზოსიმესთვის დამახასიათებელი ხელია, რომელმაც 973-986 წლებში სრულად გადაწერა, შეავსო თუ აღადგინა მთელი რიგი ქართული სინური ხელნაწერები (Garitte 1958: 15-16; Garitte 1960: 249, 253, 256, 258).

დღეისათვის კრებული შეიცავს 11 სრულ და 3 არასრულ კვატერნიონს. ისინი დანომრილნი არიან პირველი ფურცლის რექტოს ზედა და ბოლო ფურცლის ვერსოს ქვედა აშიებზე. შემონახული პირველი დანომვრა არის 4 fol. 6v-ზე, ე.ი. ხელნაწერს თავში აკლია სამი რვეული და მეოთხე რვეულის პირველი ორი ფურცელი, ანუ სულ 26 ფურცელი. მე-15 რვეული (fol. 87-90) შეიცავს მხოლოდ 4 ფურცელს; აკლია შიდა ორი ორმაგი ფურცელი fol. 88 და 89-ს შორის. მე-17 რვეულიდან შემორჩენილია მხოლოდ პირველი ფურცელი (fol. 99).

ყოველი რვეულის მეოთხე ფურცლის v-ს ზედა და მეხუთე ფურცლის r-ს ზედა აშიებზე (ანუ შუა რვეულში) სინგურით, ძირითადი ხელით წერია სათაური: „ს(ა)კ(ით)ხ(ა)ვი ჯ(უარ)ის გ(ა)მ(ო)ჩ(ი)ნების(ა)ჲ“ ან „ს(ა)კ(ით)ხ(ა)ვი ჯ(უარ)ის პ(ო)ვნის(ა)ჲ“ (fol. 18v-19r, 26v-27r, 82v-83r, 94v-95r) ან „ჯ(უარ)ის პ(ო)ვნის(ა)ჲ ს(ა)კ(ით)ხ(ა)ვი“ (fol. 66v-67r)<sup>9</sup>.

ამ სათაურმა საშუალება მოგვცა ადვილად დაგვედგინა ხელნაწერის ტექსტი: ესაა ალექსანდრე ხუცესის „სიტყვა“ ჯვრის გამოჩინებაზე, BHG 410<sup>10</sup>; ეს ვერსია შემონახულია რამდენიმე გვიანდელ ქართულ ხელნაწერში (კეკელიძე 1957: 10, N7; Tarchnišvili 1955: 428; Garitte 1963: 321), როგორებიცაა ბოდლეს ბიბლიოთეკის „თენი“ (Peeters 1912: 314, N.36) და თბილისური ხელნაწერები A-518 და Q-762 (Assfalg 1963a: 34; ბრეგაძე 1958: 208, N.5).

<sup>9</sup> სინურ ქართულ ხელნაწერებში რვეულების შუაში სათაურის მითითების შესახებ (რაც ჩვეულებრივი მოვლენა იყო ძველ სირიულ ხელნაწერებში), იხ. ჩვენი Catalogue du Sinaï, p. 21, 47, 70, 176, 155.

<sup>10</sup> F. Halkin, Bibliotheca hagiographica graeca, 3<sup>e</sup> éd.(Subsidia Hagiographica, 8a), Bruxelles, 1957, III, p. 85, n.410-410c. ბერძნული ტექსტისთვის მიუუთითებთ Patrologia Graeca (PG 87, col. 4016-4076), რომელსაც მოჰყავს გრეტსერის გამოცემა. „სიტყვა დაახლოებით 600 წლით უნდა თარიღდებოდეს; იხ. E. Bihain, in: Le Muséon, 76, 1963, p. 485.

ასე გადაიჭრა პრობლემა, რომელიც ხელს უშლიდა გარეტის ხელნაწერის იდენტიფიკაციას ცაგარელი – 93-თან: ხელნაწერს არაფერი აქვს საერთო „საგალობელთა კრებულთან“ და მისი რეალური შინაარსი კარგად შეესაბამება ცაგარლისეულ განსაზღვრებას.

ე. ი. ხელნაწერი Garrett-24 1883 წელს სინაზე იყო, მაგრამ 1902 წელს, როცა ნ. მარმა და ივ. ჯავახიშვილმა ადგილზე შეისწავლეს წმ. ეკატერინეს მონასტრის ქართული ხელნაწერები (Garitte 1956: 4-5, 10-11), იგი მათ იქ არ დახვედრიათ.

გარეტის ხელნაწერის ნაკლები ტექსტი იწყება სიტყვებით: „არს იგი ღმრთისმშობელ ქალწული, წმიდაა და უბინოა, რომელმან ესრეთ შვა იგი ვითარცა მუცლად-ილო“, რაც შეესაბამება ბერძნულის – *θεοτόκος ἔστιν ἡ ἀγία παρθένος, ἦτις οὕτως αὐτὸν ἀπέκρινεν, ἄσπερ δὴ καὶ σιγάβην αὐτὸν.* (PG 87, col. 4028 A 4-6).

მე-15 რეეულში ლაკუნის გამო (fol. 88 და 89-ს შორის) დაკარგულია PG 87, col. 4064 B-1-ის შესაბამისი ტექსტი (ἐν χρυσῇ θήκῃ ἀποθηκεύσας). col. 4064 D-3-ის შესაბამის ტექსტამდე (ἢ οἰκονομῆ τῆς Ἱερουσαλῆμ).

უკანასკნელი ფურცლის (fol. 99) verso მთავრდება სიტყვებით: „სადა-იგი ნათელ-ილო უფალმან ჩუენმან იესუ ქრისტემან და ვერ აღესრულა“ (= *ἀνελάβρο δὲ τοῦτο ἕως τοῦ τούδε καιρῶν, ἐν τῇ Ἰουδαίᾳ ποταμῶ τούτου ἀξίωσασθῆναι πῶσιν*, PG 87, col. 4068 B 2).

ე. ი. აკლია: **1.** თავში, PG 87, col. 4016-4028 A-4-ის შესაბამისი ტექსტი, ანუ PG-ს 224 სტრიქონი, რომლებიც ქართული ხელნაწერის 26 ფურცელზე უნდა ყოფილიყო (მართლაც, ქართული ხელნაწერის ერთი ფურცლის, ანუ ორი გვერდის ტექსტი შეესაბამება PG-ს საშუალოდ 8-10 სტრიქონს); **2.** PG 87, col. 4064 B2-D2-ის 32 სტრიქონიანი ტექსტი fol. 88 და 89-ს შორის, რაც შეესაბამება ქართული ხელნაწერის 4 ფურცელს; **3.** ბოლოში, PG 87, col. 4068 B2 4076 A 14-ის შესაბამისი ტექსტი, ანუ 200 სტრიქონი, რომელთა თარგმანსაც ქართული ხელნაწერის 22-25 ფურცელი დაჭირდებოდა.

\* \* \*

ცაგარლის მიერ მითითებული დასაწყისი: „ჩუწნთვს და ჩუწნისა ცხოვრებისათვს მოდრიცნა ცანი და გარდამოხედა...“ ის არაა, რასაც დღეს ვხვდებით ხელნაწერის დასაწყისად; იგი შეესაბამება ბერძნულ *παρῶν καὶ μηδαισὺν περιγραφομένουσ δὲ ἡμᾶσ καὶ διὰ τῆσ ἡμετέραν σωτηρίαν ἔκλυε τοὺσ οὐρανοὺσ καὶ κατέβη* (PG 87, col. 4025 B14-C2), რაც 20 სტრიქონით ზემოთ იკითხება, ვიდრე დღევანდელი ტექსტის დასაწყისი. ე.ი. ცაგარლის დროს ხელნაწერს თავში ორი ფურცლით მეტი ჰქონდა, ვიდრე დღეს (ანუ, რვეული 4 სრული იყო).

გარეტის ხელნაწერის ფოტოების წყალობით მივაკვლიეთ 1883 წელს ცაგარლის სინაზე ყოფნის შემდეგ ხელნაწერის თავიდან ამოღებული ორი ფურცლიდან მეორეს. იგი შეადგენს მანგანას კოლექციაში დაცული სინის ქართული ხელნაწერების ეტრატის 8 ფურცლიანი ნაკრების ნაწილს (Selly Oaks Colleges-ის

ბიბლიოთეკა, ბირმინგემი); ჩვენ ამ ცოტა ხნის წინ აღვენერეთ ეს 8 ფურცელი (Garitte 1960: 239-259). მეოთხე ფურცელი (Mingana géorg. 4) 152×120 მმ ზომისაა და მასზე ერთ სვეტად მოცემულია 14 სტრიქონიანი ტექსტი ნუსხურით; ხელი იოანე ზოსიმესია (Garitte 1960: 249-250; ტაბ. VI b); ეს მონაცემი კარგად შეესაბამება Garrett-24 ხელნაწერის მონაცემებს. Mingana géorg. N.4-თან დაკავშირებით ვწერდით (Garitte 1960: 249): „სინურ ხელნაწერთა შორის ვერ მივაკვლიეთ ხელნაწერს, რომელსაც უნდა ეკუთვნოდეს Mingana – 4. შესაძლოა, ხელნაწერი დაკარგულია. ეს ვარაუდი სწორი აღმოჩნდა: Mingana – 4 გარეტის ხელნაწერს ეკუთვნის. იგი უშუალოდ წინ უძღოდა ამ ხელნაწერის დღევანდელ fol. 1-ს. მინგანას ფურცლის ტექსტი, რომელიც გამოვაცქეყენეთ და ვთარგმნეთ, მაგრამ იდენტიფიცირება ვერ შევძელით (Garitte 1960: 249-251), იწყება სიტყვებით: „მეტყუელი და გონიერი“ (=αἰσχῦς ἔχουσα) λοικῆς καὶ σοεράς PG 87, col. 4025 C10); მთავრდება – „ამისთვის ჭეშმარიტად თვნიერ ცილობისა“ (=ბერძნულ ნძ. τὸ το κύριος καὶ κατὰ ἀληθείαν, PG 87, col.4028 A 3), რასაც უშუალოდ მოსდევს გარეტის ხელნაწერის fol.1 „არს იგი ღმრთისმშობელ ქალწული წმიდა“ (=ბერძნულ θροτικός ἐστὶν ἡ ἀγία Παρθένος, PG 87, col. 4028 A-4).

ცაგარელმა ხელნაწერში დათვალა 109 ფურცელი (იხ. ზემოთ), მაშინ როცა Garrett – 24 მხოლოდ 99-ს შეიცავს; ხელნაწერს 1883 წლის შემდეგ 10 ფურცელი დაუკარგავს. თუ ცაგარლის მიერ მითითებული რიცხვი სწორია და მას მანგანას ფურცელს გამოვაკლებთ, მოსაძებნი რჩება 9 ფურცელი.

ბ-ნი ასფალგის მიერ ახლახან გამოცემულ, გერმანიაში დაცულ ქართულ ხელნაწერთა კატალოგისთვის (Assfalg 1963a: 484-487) დართულ ტაბულებში, ჩვენდა გასაოცრად, აღმოვაჩინეთ ჩვენი ხელნაწერის შიდა ორმაგი ფურცლის რეპროდუქცია<sup>11</sup>. მარცხენა გვერდის ტექსტი იწყება სიტყვებით: „ქუეყანისა მპყრობელთა“, რაც შეესაბამება ბერძნულ τῶς ἡγεμόσ τῆς ἐπαρχίας (PG 87, col. 4064 B 14); მარჯვენა ფურცლის ტექსტი მთავრდება სიტყვებით „რომელი მოეცა ყოველსა სამეუფოსა მისსა სიხარული“ რაც შეესაბამება ბერძნულ ἡ ἐποίησεν ἐν τῶς χρισῶς τῆς βασιλείας αὐτῶς (col. 4064 C 5). იმავე ორმაგი ფურცლის გარე გვერდების ტექსტი ბ-ნ ასფალგს მოცემული აქვს თავისი კატალოგის 32-ე გვერდზე: საქმე გვაქვს ფრაგმენტებთან, რომლებიც შეესაბამებიან ბერძნულ PG 87, col. 4064 B 10-14 და 4064 C 5-10. ეს ორმაგი ფურცელი არის ის მეორე ფურცელი, რომელიც აკლია გარეტის ხელნაწერს რვეული 15-ის შუაში, fol.88 და 89-ს შორის (იხ. ზემოთ). ეს 4 გვერდი აღადგენს ბერძნული col.4064, B 10 – C 10-ის ტექსტს. რვეული 15-ის ლაკუნა დავიდა 2 ფურცელზე: ერთი, რომელიც უშუალოდ მოსდევდა fol. 88-ს და შეესაბამება ბერძნულის col. 4064 B 1-9, და რომელიც წინ უძღოდა fol.89-ს და შეესაბამებოდა ბერძნული ტექსტის C 10 – D 3-ს.

<sup>11</sup> Tafel IV; იგივე ტაბულა იხ. H. Duensing, *Nachlese Christlich-palästinisch-aramäischer fragmente*, in: *Nachrichten der Akademie der Wiss.*, in: *Göttingen, Philol.-Hist.Klasse*, 1955, N.5, p. 115-194; იხ. p. 139. –ზედა ამაზე, ჩვეულებრივ, სათაურია.

მიკვლეული ორმაგი ფურცელი წარმოადგენს ეტრატზე დანერილი პალიმფსესტის ფურცლების ნაკრების ნაწილს, რომელიც დღეისათვის დაცულია გიოტინგენის „Staats-und Universitätsbibliothek“-ში, როგორც სირიული ხელნაწერები n. 17, 19, 21-25 (მითითებულ სირიულ-პალესტინურ ტექსტებთან); ბ-ნი ასფალგის „გერმანიაში დაცული სირიული ხელნაწერების კატალოგში“ (Assfalg 1963b: 184-194) ისინი აღწერილია როგორც სირიული ტექსტები, ხოლო მისსავე „ქართულ ხელნაწერთა კატალოგში“ (Assfalg 1963a: 29-35) – როგორც ქართული ტექსტები.

პასტორმა ჰუგო დუნსინგმა (†1961), რომელმაც საუკუნის დასაწყისში შესწავლა და ნაწილობრივ გამოაქვეყნა კიდეც სირიულ-პალესტინური ხელნაწერების ტექსტები, ეს ორი ფურცელი გიოტინგენის ბიბლიოთეკას გადასცა. მაშინ იგი „კერძო პირის“<sup>12</sup> საკუთრება იყო, რომლის ვინაობაც მან მხოლოდ 1944 წელს გაამხილა. ეს გახლდათ ფრიდრიჰ გროტი<sup>13</sup>. 1906 წელს დუნსინგმა ეს ფურცლები აღწერა როგორც „მომცრო ზომის ქართული ხელნაწერის ნაწილობრივ დაზიანებული ფურცლები“<sup>14</sup>.

ბატონი ასფალგის სირიული კატალოგის მიხედვით, ამ ფურცლების თუ ფრაგმენტების რაოდენობა 30-ს უდრიდა<sup>15</sup>. იმავე ავტორის ქართულ ხელნაწერთა კატალოგშიც აღწერილია იგივე ფურცლები (Assfalg 1963b: 29-34) და შენარჩუნებული აქვს იგივე რიგი, რაც სირიულ-პალესტინურ კატალოგში, ისე რომ, ავტორს არც უცდია ამ ფურცლებისა თუ ფრაგმენტების ქართული ხელნაწერის რიგის შესაბამისად დალაგება; „ქართულ ხელნაწერთა კატალოგში“ ხელნაწერთა ყოველი ფრაგმენტის მოცემულია ტექსტის ერთი ან ორი ნიმუში, მათი მდგომარეობისა და შინაარსის აღწერის გარეშე. ასეთ ვითარებაში შეუძლებელია გარეტის ხელნაწერს ზუსტად მიაბა გიოტინგენის ფურცლები თუ ფრაგმენტები.

დღეისათვის უნდა დავკმაყოფილდეთ იმის აღნიშვნით, რომ ბ-ნი ასფალგის მიერ წარმოდგენილი ტექსტის ნიმუშები ალექსანდრე ხუცესის „სიტყვას“ ეკუთვნის<sup>16</sup>.

<sup>12</sup> H. Duensing, *Christlich-palästinisch-aramäische Texte und Fragmente*, Göttingen, 1906; p. 1: „აქ გამოქვეყნებული ტექსტები და ფრაგმენტები ერთმა კერძო პირმა გადმომცა გადასათვალეურებლად. იხ., აგრეთვე, მისი Nachlese (სქ. 24) და შემდეგ სქოლიოში მითითებული სტატია.“

<sup>13</sup> H. Duensing, *Neue Christlich-palästinisch-aramäische Fragmente*, in: *Nachrichten von der Akademie der Wiss. in Göttingen, Philol.-Hist.Klasse*, 1944, n.9, p. 215-272; p. 215: „ახლა, როცა მისი ყოფილი მფლობელი ცოცხალი აღარაა, ვფიქრობ, უფლება მაქვს გავამხილო მისი სახელი: ეს იყო ან გარდაცვლილი დოქტორი ფრიდრიჰ გროტი.“

<sup>14</sup> Duensing, *Texte und Fragmente*, 1906, p. 2, n. 5; დუნსინგი დასძენს: „ფრაგმენტები, რომელთა ამოკითხვაც შესაძლებელია, ამჟამად გახუნებულია და შეიცავს ეფრემის ტექსტის V-თი ცნობილ ფრაგმენტს, ასევე III ბ-თი აღნიშნულ ნაწყვეტს თხრობიდან ბერ-მონაზვნობის შესახებ.“

<sup>15</sup> Assfalg, *Syrische Handschriften*, p. 184-194; n. 84, 86, 88-92; ბ-ნი ასფალგის თანახმად, ფურცლების უმეტესობა ფრაგმენტებს წარმოადგენს, ძირითადად, ესაა რამდენიმესტრიქონიანი ფრაგმენტები“ (Georg. Handschr. p. 29).

<sup>16</sup> ბ-ნმა ასფალგმა მის მიერ გამოქვეყნებული ნიმუშები შეადარა თბილისი Q-762 და A-144-ის შესაბამის ფრაგმენტებს, მაგრამ არ შეუდარებია ბერძნული დედნისთვის.

10,1 (Géorg. Handschr., p.30) = სირ. ხნ. (Syr.Handschr.n.84, p. 184-186, 5 ფურცლი); ნიმუში = ბერძნ. PG 87, col. 4073 C 11-13.

10,2 (Géorg. Handschr., p. 30-31) = სირ. MS. 19 (Syr. Handschr, n.86, p.187-188, 6 ფურცლიანი ფრაგმენტი); ნიმუში = ბერძნ. PG 87, col. 4069, C 13- D 3 და 4072 B 10-12; ამ ნაწილის ერთი ფურცელი მოცემულია დუნსინგის Christlich-palästinisch-aramäische Texte und Fragmente (Göttingen, 1906)-ის უკანასკნელ ტაბულაზე; ამ გვერდის ტექსტი შეესაბამება ბერძნულ PG 87, col. 4072, C 7-10-ს.

10,3. (Géorg. Handschr., p. 31)= სირ. ხნ. 21 (Syr.Handschr, n. 88, p. 190, 2 ფრაგმენტი); ქართულ კატალოგში ამ ტექსტის არავითარი ნიმუში არაა წარმოდგენილი.

10,4. (Géorg. Handschr., p. 31) = სირ. MS. 22 (Syr. Handschr, n. 89, p. 190-191, 5 ფურცლიანი ფრაგმენტი); ქართული ტექსტის არავითარი ნიმუში არაა წარმოდგენილი.

10,5. (Géorg. Handschr., p. 32) = სირ. MS. 23 (Syr. Handschr, n.90, p. 192-193, 7 ფურცელი და ერთი ორმაგი ფურცელი); ასფალგის მიერ მოცემული ორი გვერდი ებმის ტაბ. IV-ზე წარმოდგენილ ორ გვერდს და შეიცავს ქართულ ტექსტს, რომელიც შეესაბამება ბერძნულ PG 87, col.4064, B 10 – C 10 (იხ. ქვემოთ).

10,6. (Géorg. Handschr., p. 33) = სირ. MS. 24 (Syr.Handschr, n.91, p. 193-194, ერთფურცლიანი ფრაგმენტი); ნიმუში = PG 87, col. 4069 B 8-11 და 4069 B 5-7. პირველი ნიმუშის („ხოლო ვითარ მოვიდა სიტყუასა მას რომელ არს შობილი და არა ქმნილი, მსგავსი მამისაა, დაუტევა ნეფსით“) სტრ. 7-11 წააგავს იმას, რასაც ცაგარელი თავისი n. 93-ის დასაწყისად ასახელებს („ხოლო ვითარ მოვიდა არა ქმნილი მსგავსი მამისა და დაუტევა ნეფსით); სიტყვები „სიტყუასა მას, რომელ არს შობილი და“ ცაგარელთან გამოტოვებულია, რადგან გადამხტარია სხვა სტრიქონის იმავე სიტყვაზე (მისი ტექსტი გაუგებარია); გიოტინგენის ხელნაწერში „ნეფსით“-ის შემდეგ კიდევ ორი სტრიქონია, ოღონდ დაზიანებული და, შესაძლოა, ცაგარელმა ისინი ამიტომაც გამოტოვა. ეს ტექსტი ბერძნულში იკითხება 54 სტრიქონით ქვემოთ, ვიდრე დღევანდელი გარეშის ხელნაწერის დასაწყისია. ცაგარლის დროს ხელნაწერს ბოლოში 6 ფურცლით მეტი უნდა ჰქონოდა, ვიდრე დღესა აქვს.

10,7. (Géorg. Handschr., p. 33) = სირ. MS. 25 (Syr. Handschr, N. 92, p. 194, ორი ფურცლის ფრაგმენტი); ტექსტის პირველი ორი სტრიქონი გამოცემულია = ბერძნულ PG 87, col. 4073 A 14.


როგორც ვხედავთ, ბ-ნი ასფალგის მიერ გამოქვეყნებული ტექსტის ყველა ნიმუში გარეშის ხელნაწერის დაკარგული ბოლო ნაწილია (რომელიც წყდება ბერძნული PG 87 col. 4068 B 2-ის შესაბამის ნაწილზე), გარდა n. 10,5-ისა, რაც რვეული 15-ის ლაკუნაა.

თუ n.10,6-ის ტექსტი არ არის ის, რაც ცაგარელმა ამოიკითხა როგორც თავის ხელნაწერ n. 93-ის დასაწყისი, უნდა დავუშვათ, რომ გიოტინგენის ზოგი ფურცელი სინური ხელნაწერიდან ცაგარლის ჩასვლამდე (1883 წ.) არის ამოღებული, რადგან ასფალგის მიერ გამოქვეყნებული მრავალი ტექსტი (10,1; 10,2;


10,7) ეკუთვნის „სიტყვის“ იმ ნაწილს, რომელიც მოსდევს ამ დასაწყისს (თუ გამოვრიცხავთ, რომ 1883 წელს ფურცლების რიგი არეული იყო); მეტიც, თუ გიოტინგენის ფრაგმენტები მართლაც ჩვენი ხელნაწერის 30 ფურცელია და თუ ცაგარლის მიერ აღნიშნული 109 ფურცლის რაოდენობა სწორია და გარეტის ხელნაწერი ამჟამად 99 ფურცელს შეიცავს, გიოტინგენის ფურცლების რაღაცა რაოდენობა კრებულიდან 1883 წლამდე უნდა იყოს ამოღებული. რითი უნდა აიხსნებოდეს ის ფაქტი, რომ ისინი მიაბეს სხვა ფურცლებს (კერძოდ, n. 10,6 ფურცელს?), რომლებიც 1883 წელს. ჯერ კიდევ სინაზე იყო? საკითხისთვის შუქის მოსაფენად საჭიროა უშუალოდ გიოტინგენის დედნების, ან, უკიდურეს შემთხვევაში, მათი სრული ფოტოების გაცნობა.

1. 1922 წლის მახლობლად დაუდგენელი პილიგრიმობის შემდეგ ხელნაწერი აღმოჩნდა ლიფციველი ანტიკვარის, ჰირზემანის კატალოგში, რომელმაც იგი 15000 შვეიცარულ ფრანკად გაყიდა. ეს კატალოგი შეიცავს ხელნაწერის ა. ბაუმ-შტარკისეულ აღწერას, რომელმაც ქართული ტექსტი შეცდომით საგალობელთა კრებულად მიიჩნია.

2. სავარაუდოდ, 1922 წელს ხელნაწერი ბალტიმორელი (ამერიკა) ბიბლიოგრაფის, რობერტ გარეტის საკუთრება გახდა. მან 1942 წელს თავის სხვა ხელნაწერებთან ერთად იგი პრინსტონის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას გადასცა. სემიურ დე რიჩის ნუსხაში ხელნაწერი აღწერილია ლიტერით Garrett-24. ფორზაცზე მითითებული ბაუმშტარკის განსაზღვრებით, ხელნაწერის რაობა მითითებულია როგორც „საგალობელთა კრებული ქართულ ენაზე“.



მინგანას (პირმინგემი) კოლექციის  
 ქართული ფურცელი, fol. 4v



Cod. გარეტი-24, fol. 1

3. ეს მითითება მცდარია; სინამდვილეში, ხელნაწერი შეიცავს ალექსანდრე ხუცესის „სიტყვას“ ჯვრის გამოჩინებაზე (BHG 410); გარეცის ხელნაწერი ამ ქართული ტექსტის უძველესი დამონმებაა.

4. ხელნაწერი თავ-ბოლონაკლულია: ასეთი იყო, როცა 1883 წელს ცაგარელმა სინაზე ნახა იგი, ოღონდ მაშინ 10 ფურცლით მეთს მოიცავდა, ვიდრე დღეს (109-ს ნაცვლად 99-ისა), ალბათ აქედან 2 ნამდვილად თავში იყო და 6, ალბათ, ბოლოში.

5. 1883 წლის შემდეგ ხელნაწერის თავში აცლილი ორიდან ერთი ფურცელი დღეს მინგანას კოლექციაში Selly Oak-შია (ბირმინგემი); ესაა Mingana, გეორგ. 4, რომელიც უშუალოდ წინ უძღოდა დღევანდელი გარეცის ხელნაწერის fol. 1-ს.

6. ხელნაწერიდან ამოღებული სხვა ფურცლები (მათ შორის რვეული 15-ის ერთი ორმაგი ფურცელი) შემონახულია გიოტინგენის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, სადაც ისინი სირიულ ხელნაწერებად არიან კატალოგიზირებული.

რამაც ცაგარელი-93 ხელნაწერს უბედურებები დაატეხა თავს, ისაა, რომ ფურცლების გარკვეული რაოდენობა პალიმფსესტია; მითითებულმა სირიულ-პალესტინურმა ტექსტებმა გააღვიძეს იშვიათობისა და გამოუქვეყნებელი ტექსტების მოყვარულ ორიენტალისტთა ყინი, აცდუნეს გაეტანათ ისინი სინის ბიბლიოთეკიდან და ამოეჭრათ მისი ფურცლები.

რაც შეეხება X საუკუნის ქართულ ტექსტს, ცაგარლის შემდეგ მისით არავინ დაინტერესებულა ასფალგის გარდა, რომელმაც გიოტინგენის ფურცლები თავის „გერმანიაში დაცულ ქართულ ხელნაწერთა კატალოგში აღწერა, მაგრამ არავითარი საშუალება არ გააჩნდა დაედგინა, რომ ისინი გარეცის ხელნაწერიდან იყო. მათ, ვინც უშუალოდ ხელნაწერი აღწერეს (ბაუმშტარკი, ს. დე რიჩი) ქართული არ იცოდნენ და დაეყრდნენ კომპეტენტური ექსპერტის მოსაზრებას, რომელსაც კრებული ხელთ არ ჰქონია და ქართული ტექსტის დასადგენად მცდარი ვარაუდი შესთავაზა, რამაც დღემდე მიჩქმალა ამ ხელნაწერის რეალური შინაარსი.

P. S. ჯეიმს თ. კლემონი (Clemons 1966: 503, N.375) Garrett-24-თან დაკავშირებით წერს: პალიმფსესტის შინაარსი დაუდგენელია; ზედა ფენა – ქართული საგალობლები, XI ს., ეტრატი. თანამედროვე ტარსიკონის ყდა; 15×12 სმ., 99 ფურცელი. – სემიურ დე რიჩიმ ჩემი ყურადღება მიაპყრო ჯერომ უილსონის *Census...*, vol. I, p. 868-ს. დადგენილია, რომ პალიმფსესტის ქვედა ფენის უმეტესი ნაწილი ბერძნული თეოლოგიური ტექსტია, რამდენიმე გვერდი კი სირიული. თავდაპირველად ხელნაწერი სინაზე იყო. 1960 წლის ზამთარში გამოიფინა პრინსტონის უნივერსიტეტში მოწყობილ გამოფენაზე „სინის მთა და წმ. ეკატერინეს მონასტერი“. პრინსტონის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის „ქრონიკები“ XXI (1959-1960), p. 237-243-ზე მოცემული ცნობის მიხედვით, ხელნაწერი გადაწერილია 986 წელს სინელი ბერის, იოანე ზოსიმეს მიერ. სავარაუდოდ, იგი წარმოადგენს კრებულს, რომელიც „სინის მთის ქართული ხელნაწერების კატალოგით“ (1888)

ცნობილია, როგორც ცავარელი – 93. იგი 1924 წ-ს პრინსტონის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულმა, ბ-ნმა რობერტ გარეტმა გერმანელი ანტიკვარისგან შეიძინა.

სამწუხაროდ, ხელი არ მიგვიწვდა ბ-ნ რიშარის მიერ მითითებულ ნაშრომებზე – Répertoire des bibliothèques et des catalogues de manuscrits grecs, Supplément I, 1958-1963, Paris, p. 48-49. Al. P. Clark, The Manuscript collection of the Princeton University Library, Princeton University Library, 1958; The Garrett Collection of manuscripts, in: Princeton University Chronicle, 3, 1942, p. 113-115; R. Garrett, Recollections of a Collector, იქვე, 10, 1949, p. 103-116.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. **ბრეგაძე 1958:** ბრეგაძე თ., ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ახალი (Q) კოლექციისა, II, თბ., 1958.
2. **კეკელიძე 1957:** კეკელიძე კ., ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, V, თბ., 1957, გვ. 10, n.7
3. **Assfalg 1963a:** Assfalg J., Georgische Handschriften (Verzeichnis der orientalischen Handschriften in Deutschland, III), Weisbaden, 1963.
4. **Assfalg 1963b:** Assfalg J., Syrische Handschriften (Verzeichnis der orientalischen Handschriften in Deutschland, V), Weisbaden, 1963.
5. **Clemons 1966:** Clemons J.T., Checklist of Syriac Manuscripts in the United States and Canada, Orientalia Christiana Periodica, 32, 1966.
6. **Faye... 1962:** Faye C. U., Bond W. H., Supplement to the Census of Medieval and Renaissance Manuscripts in the United States and Canada, New York, 1962.
7. **Garitte 1956:** Garitte G., Catalogue des manuscrita géorgiens littéraires du Mont Sinaï, (CSCO 165/Subs.9), Louvain, 1956.
8. **Garitte 1958:** Garitte G. Le calendrier palestino- géorgien du Sinaïticus, 34, (X<sup>e</sup> s.), Subsidia Hagiographica, 30, Bruxelles, 1958, p.15-16, Le Muséon, 73, 1960, p.249, 253,256, 258.
9. **Garitte 1960:** Garitte G., Les feuillets géorgiens de la collection Mingana & Selly Oaks (Birmingham), in: Le Muséon, 73,1960, p. 239-259.
10. **Garitte 1963:** Garitte G., in: Le Muséon, 76, 1963.
11. **Hiersemann 1922:** Hiersemann K. W., Orientalische Manuscripte. Arabische, syrische, griechische, armenische, persische Handschriften des 7-18. Jahrhunderts, meist theologischen, vorzüglich Kirchen-und Liturgiegeschichtlichen Inhalts von hoher Bedeutung, z. gr. Tl. Inedita und unica, mit 20 Tafeln, Leipzig, 1922.
12. **Peeters 1912:** Peeters P., Analecta Bollandiana, 31, 1912.
13. **Ricci... 1935:** Ricci Seymour (de), Wilson W.J., Census of Medieval and Renaissance Manuscripts in the United States and Canada, I, New York, 1935.
14. **Tarchnišvili 1955:** Tarchnišvili M., Geschichte der kirchlichen georgischen Literatur, Studi e Testi, 185, Vatican, 1955.

15. **Цагарели 1888:** Цагарели А., Памятники грузинской старины в Святой Земле и на Синае (Православный Палестинский сборник, IV, I), Санкт-Петербург, 1888. Доп. II: Каталог грузинских рукописей Синайского монастыря.

ფრანგულიდან თარგმნა  
ცისანა ბიბილეიშვილმა

**Gérard Garitte**

**FORTUNE AND MISFORTUNE OF ONE GEORGIAN MANUSCRIPT**  
(COLLECTION GARRETT-24, PRINSTON)

SUMMARY

Garrett-24 (=Tsagareli 93), a 10<sup>th</sup> century manuscript from Mount Sinai was taken away from the Monastery of St. Catherine between the years 1883-1902. In 1922 a bibliographer from Baltimore, R. Garrett bought it from V. Irzeman, a well-known antiquarian from Leipzig. In 1942 he donated it to the Library of Princeton University. A. Baumstark considered it to be "A Collection of Hymns" by mistake. In fact, it is an early Georgian translation of a sermon about the apparition of the cross by Aleksandre the Monk.

The beginning and the ending of the manuscript is missing. One of the two missing folios of the beginning of the manuscript is in Mingana (Birmingham) collection, others are at the Library of Gottingen University (Germany) catalogued as Syriac manuscripts. After Tsagareli only J. Asfalg expressed interest in the 10<sup>th</sup> c. Georgian text. He added the description of these folios to the "Catalogue of Georgian Manuscripts Kept in Germany". However, he could not identify them exactly. It was G. Garrett who identified the folios and their origin.

Translated from French by **Tsiana Bibileishvili**

მაია რაფავა

**გამოხმაურება თამარ მესხის ნაშრომზე:  
„სინა და საქართველო. ახალი ფურცლები  
მრავალსაუკუნოვანი ისტორიისათვის“,  
თბილისი, 2013**

სინას მთის ქართული ხელნაწერების ახალი კოლექციის აღმოჩენამ და შესწავლამ მნიშვნელოვანი სიახლეები შესძინა ქართული და კავკასიის ქრისტიანული ქვეყნების კულტურისა და მეცნიერების ისტორიის შესწავლის საქმეს. მოენყო ქართველ მეცნიერთა სამი ექსპედიცია სინაზე (1990, 1994, 1996 წლები). მრავალწლიანი თავდაუზოგავი შრომის შედეგად 2005 წელს, ქართულ, ბერძნულ და ინგლისურ ენებზე გამოქვეყნდა სინას ქართული ხელნაწერების ახალი კოლექციის აღწერილობა. ამ აღწერილობით შეივსო ის მონაცემები, რაც მეცნიერებაში არსებობდა საქართველოსა და სინას მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის შესახებ სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის ქართული ხელნაწერების, ქართული და არაბული მეტატექსტებისა და ევროპულ პილიგრიმთა აღწერილობებში დაცული ცნობების სახით.

და აი, სამეცნიერო ნაშრომთა ამ ბაზას შეემატა ახალი წიგნი, რომელშიც წმ. ეკატერინეს მონასტრის ბიბლიოთეკასა და არქივში დაცული ბერძნულენოვანი მასალებისა და დოკუმენტების საფუძველზე გადაშლილია სრულიად ახალი ფურცლები საქართველოსა და სინას საღვთისმეტყველო-კულტურული კერის ურთიერთობის ისტორიიდან. წიგნის სახელწოდებაა „სინა და საქართველო, ახალი ფურცლები მრავალსაუკუნოვანი ისტორიისათვის“, გამოქვეყნდა თბილისში, 2013 წელს.

წიგნის ავტორია თამარ მესხი, ბერძნული ენისა და ლიტერატურის შესანიშნავი მკვლევარი. იგი თავად იყო სინას მთაზე მოქმედი ორი ქართული ექსპედიციის წევრი (1994 და 1996 წლებში). უშუალო წვდომამ წმ. ეკატერინეს მონასტრის ბერძნული ხელნაწერებისა და არქივის საგანძურთან და პირდაპირმა კონტაქტებმა ამ საგანძურის მეურვე ბერძენ სასულიერო პირებთან მას საშუალება მისცა ექსპედიციის წევრთა უშუალო ინტერესების გარდა (რაც ქარ-

თული ხელნაწერების აღწერას ისახავდა მიზნად), გაცნობოდა ბერძნულენოვან ცნობებს საქართველოს შესახებ. ამ თვალთახედვით არის გაშუქებული წიგნში ქართველთა მოღვაწეობის კვალი სინას მთაზე (VI-XVI სს.), ასევე, სინელ ბერთა მოღვაწეობა საქართველოში (XVI-XX სს.).

მრავლისმთქმელია წიგნის სახელწოდებაში ჩართული ფრაზა: „ახალი ფურცლები მრავალსაუკუნოვანი ისტორიისათვის“. მართლაც, აღტაცებას იწვევს ამ ახალი ფურცლების რაოდენობა და რაობა. მარტო წიგნის სარჩევის გაცნობა საკმარისია იმის გასაცნობიერებლად, თუ რა რაოდენობის სერიოზულ სიახლეს ჩაღრმავება მკვლევარი და მეცნიერებაში უკვე არსებული მოსაზრებებისა და ახალი ცნობების შეჯერების საფუძველზე მოუცია საკუთარი დასკვნები ამა თუ იმ საკითხის გარშემო.

ჩემს მიზანს არ წარმოადგენს წიგნში განხილული ცალკეული საკითხის შესახებ აზრის გამოთქმა, ეს ძალიან შორს წავიყვანდა. ვიტყვი მხოლოდ, რომ თითოეული მათგანი იმსახურებს ამ საკითხის კვლევა-ძიებით დაინტერესებულ მკვლევრის მხრივ სპეციალურ შეფასებას.

ჩემი მხრივ, მინდა ვისაუბრო იმ შთაბეჭდილებაზე, რაც დამეფულა წიგნის კითხვისას. ეს არის აბსოლუტური სიამოვნების განცდა, რაც ჩემში გააჩინა ავტორის უაღრესად ორიგინალურმა სტილმა: სერიოზული მეცნიერული ხასიათის, წერილობით წყაროებსა და ფაქტობრივ არგუმენტებზე დაყრდნობილი მსჯელობის შეხამება მემუარულ სტილთან, რაც მკითხველს ბევრად საინტერესოდ და მსუბუქად და, ამავე დროს, ძიებისთვის მიმზიდველად წარმოუჩენს საკვლევ საკითხს. ბევრი ადგილის დამონმება შეიძლება მკვლევრის მიერ ძალზე ლოგიკურად წარმოდგენილი არგუმენტაციიდან: ასაბნი თუ არაბნი? (გვ. 26-29); დეკანოზი და დიკოსი, ლავრა და მონასტერი (გვ. 69-71); მარიამ და მარია (გვ. 84-850). ეს და მსგავსი მცირე სემანტიკური ძიებანი, სხვა წყაროებიდან მოხმობილ დოკუმენტებთან ერთად, მკვლევარს ძალზე საინტერესოდ აქვს განხილული უაღრესად მნიშვნელოვანი დასკვნების გასაკეთებლად, კერძოდ, სინას მთაზე ქართველთა მონასტრების (რაოდენობით 11) იდენტიფიკაციისათვის.

II და III თავებში მიმოხილულია სინა-საქართველოს ურთიერთობა X-XX საუკუნეებში. უაღრესად საინტერესოდ გვეჩვენება მკვლევრის მიერ მოპოვებული ახალი მასალის (სინას მთის ბერძნული ხელნაწერების მინაწერების) ანალიზი სინას მთის ბერძენ მოღვაწეებთან ერეკლე II-ისა და გიორგი XII-ის მიმონერასთან დაკავშირებით. ქართველი მეფეების სინას მონასტრებთან ურთიერთობის ხასიათის გასარკვევად ავტორს, ქართული სამეცნიერო ნარკვევების გვერდით, მოტანილი აქვს ბერძენი მკვლევრების ნაშრომები. ამავე დროს, ბერძნული ენის საუკეთესო ცოდნა მას დაეხმარა, გაეკეთებინა საყურადღებო დასკვნა იმის შესახებ, რომ ქართველ მეფეთა წერილები შესრულებულია ბერძნულის პონტოს დიალექტის მატარებელი პირის მიერ და, რაც მთავარია, XVIII საუკუნეში ჯერ კიდევ იყო ორმხრივად ინტენსიური ცდები, განახლებულიყო სინასა და საქართველოს შორის თბილი, მეგობრული ურთიერთობა.

თამარ მესხი არ იფარგლება მხოლოდ ტექსტოლოგიურ-კოდიკოლოგიურ ხასიათის ძიებით. მის ინტერესებში შემოდის ჰუმანიტარული მეცნიერების ყველა დარგის (ზოგადად ისტორია, წყაროთმცოდნეობა, ეპიგრაფიკა, ხელოვნება, ენათმეცნიერება...) მონაცემები, რომლებშიც იგი ხედავს სინა-საქართველოს ურთიერთობის დამადასტურებელ ფაქტებს. სხვადასხვა მონაცემის (განსაკუთრებით ისტორიული დოკუმენტების) მოშველიებით, მისეული ხედვით არის გააზრებული ხონისა და სამთავისის ეკლესიათა ფრესკების არაბული წარწერების წარმომავლობის საკითხი და, შესაბამისად, გარკვეული კორექტივებია შეტანილი ამ საკითხთან დაკავშირებით მეცნიერებაში მანამდე არსებულ დასკვნებში. მკვლევარი ხონისა და სამთავისის ტაძრების ფრესკებზე არაბული წარწერების არსებობას წმ. ეკატერინეს მონასტერთან მჭიდრო ურთიერთობით ხსნის.

მრავალმხრივია ის არგუმენტაცია, რომელზე დაყრდნობითაც გაკეთებულია ავტორის საყურადღებო დასკვნა ქართლის 1672 წლის გერბზე გამოსახული სიმბოლოს (მთა, რომელსაც კვამლი ასდის) ასახსენლად. ეს სიმბოლო სინასა და საქართველოს შორის არსებული ურთიერთობების შედეგი აღმოჩნდა (თავი V, გვ.139-150).

ქართული და ბერძნული ხელნაწერებიდან, ნარატიული წყაროებიდან, ისტორიული დოკუმენტებიდან და ხელოვნების ძეგლებიდან მარცვალ-მარცვალ ამგვარად არის ამოკრეფილი და დანვრილებით გაანალიზებული კომპლექსური სახის მასალა, რომელშიც გამჟღავნებულია სინა-საქართველოს მრავალსაუკუნოვანი კავშირების ისტორია.

თამარ მესხის წიგნს მნიშვნელობასა და ღირსებას მატებს იმ წერილებისა და ჩანაწერების გამოქვეყნება, რაც დაცულია წმ. ეკატერინეს მონასტრის ბერძნულენოვან არქივში და რომელშიც გამჟღავნებულია ქართველი მეფეებისა და სინას მონასტრების უმაღლესი იერარქიული პირების ურთიერთობის ხასიათი და მოტივები XVI-XVIII საუკუნეებში. პუბლიკაციაში ბერძნულ დედნებს ერთვის ავტორისეული ქართული თარგმანები. წერილებთან ერთად გამოქვეყნებულია ქართველ მეფეთა და მათი ოჯახის წევრების მოსახსენებლები.

სინას მთის ქართული ხელნაწერების შესახებ ტექსტოლოგიურ-ფილოლოგიური და წყაროთმცოდნეობითი დაკვირვებების გარდა, თამარ მესხმა სრულიად უცნობი და ხელოვნებათმცოდნეებისათვის უაღრესად საინტერესო ცნობები წარმოადგინა სინას მთის ქართულ ხატებთან დაკავშირებით. წიგნის ამ მონაკვეთშიც სახეზეა კვლევა-ძიების კომპლექსური და ცნობისწადილით გაჯერებული სტილი. შესაძლებელია, ავტორის ზოგიერთ დებულებასთან დაკავშირებით მეტი არგუმენტაციის მოხმობის სურვილი გაჩნდეს, მაგრამ ის ფაქტი, რომ ამდენი საკითხია წამოჭრილი და მეცნიერული ძიების სფეროში შემოტანილი, უკვე პოზიტიური მოვლენაა და უაღრესად დასაფასებელი. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის, რომ ავტორმა თავის წიგნს დაურთო სინას ხატების შესახებ გეორგიოს და მარია სოტირიუსების მონოგრაფიის მე-7 თავის თარგმანი, რო-

მელიც ეხება ბერძნულ ხატებზე არსებულ ბერძნულ წარწერებს. სოტირიუსების წარწევის ქართული თარგმანი შესრულებულია მაღალმხატვრულ დონეზე და იგი ნამდვილად კარგი შენაძენია ქართული ჰუმანიტარული მეცნიერებისათვის.

დაბოლოს, მინდა გამოვხატო ის ზოგადი შთაბეჭდილება, რაც ჩემზე დატოვა თამარ მესხის მონოგრაფიის სამეცნიერო შინაარსმა და ამ შინაარსის გადმოცემის ფორმამ, თხრობის სტილმა. ეს არის კვლევა-ძიების ჟინით გატაცებული მეცნიერის მიზანდასახულება, სინას ქართული სიძველეების კვალზე გაატაროს მკითხველი და ნათელი მოჰფინოს ამ სიძველეების ღირებულებასა და მნიშვნელობას ქართული კულტურის ისტორიისათვის.

## ქრონიკა, ინფორმაცია (2016 წ.)

### პროექტები, გამოფენა-პრეზენტაციები

▪ 20 თებერვალს ქუთაისში, გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმში, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ეგიდით, ცოდნის კვირეულის ფარგლებში, გაიხსნა გამოფენა – **„გიორგი კვინიტაძე და საქართველო (1918-1921 წლების ქრონიკები)“**. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული საარქივო მასალა: გიორგი კვინიტაძისა და ივანე ნაწუაშვილის პირადი წერილები, მოგონებები, ფოტოები, მემორიალური ნივთები. ამ კვირეულისთვის საგანგებოდ გამოიფინა გიორგი კვინიტაძის რესტავრირებული მუნიდირი და ჩოხა. ასევე კვირეულის ფარგლებში ცენტრის თანამშრომელმა, აქრეთმცოდნეობის განყოფილების ხელმძღვანელმა გოჩა საითიძემ წაიკითხა ლექცია – გენერალი გიორგი კვინიტაძე. გამოფენა მიზნად ისახავდა, რომ ფართო საზოგადოება გასცნობოდა ამ მნიშვნელოვანი პიროვნების პირად საარქივო მასალას.

▪ 15 მარტს გაიხსნა გამოფენა **„ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი ტექნიკურ უნივერსიტეტში“**. გამოფენის მიზანია, სტუდენტები გასცნობოდნენ საქართველოში სამნივნობრო კერების განვითარების ისტორიასა და უძველესი ხელნაწერის რესტავრაციის პროცესს. გამოფენა გაიხსნა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში. წარმოდგენილი იყო ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ტაო-კლარჯული ხელნაწერის – ჯრუჭის I სახარების ასლი და საინფორმაციო ბანერები საქართველოს სამნივნობრო კერების შესახებ. გამოფენაზე ასევე წარმოდგენილი იყო ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კონსერვაცია-რესტავრაციის ლაბორატორიის მიერ ჩატარებული სამუშაოების ამსახველი ბანერები, რომლებზეც ასახული იყო ხელნაწერების რესტავრაციის პროცესი: ხელნაწერის განმენდა, ახალი ყდის შექმნა, აკინძვა და სხვა. გამოფენა გაგრძელდა 17 მარტის ჩათვლით.

▪ 21 მარტს, ტყის საერთაშორისო დღეს, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში გაიხსნა გამოფენა „ისტორიის მწვანე ფურცლები“. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული უძველესი ისტორიული საბუთები ტყის შეწირვის, ტყით სარგებლობის შესახებ, სასამართლო დავების ჩვენებები, რომლებშიც განიხილებოდა ტყით უკანონოდ სარგებლობის ფაქტები, ტყის იჯარით აღებისა და შეშით სარგებლობის წესები; ასევე ხელნაწერები და მინიატიურები, სადაც გამოსახულია ტყის საფარის შექმნა, ფლორა და ფაუნა. გამოფენა 28 მარტამდე გაგრძელდა. სკოლის მოსწავლეებს მიეცათ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართვის საშუალება და ცოტა ხნით თვითონ გახდნენ მკვლევარები, რაც გულისხმობდა გამოფენილი მასალის შესწავლასა და შემდეგ საგანგებოდ შედგენილი კითხვარების შევსებას. ორიგინალი მასალის პარალელურად გამოიფინა ფოტოასლებიც, რომელთა მომზადებაც შესაძლებელი გახდა ფონდის – „your forest“-ის მეშვეობით.

▪ 31 მარტს საქართველოს პარლამენტში გაიხსნა დამოუკიდებლობის აღდგენის რეფერენდუმის 25 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა – „რეფერენდუმიდან დამოუკიდებლობამდე“. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი იყო გამოფენის თანამონაწილე-ორგანიზატორი. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ცენტრის არქივში დაცული ფოტოები, აგრეთვე, 1991 წლის რეფერენდუმისა და 9 აპრილს დამოუკიდებლობის აღდგენის ამსახველი ისტორიული დოკუმენტები, ფოტო და ვიდეო მასალა, ისტორიული ფოტოები საქართველოს პარლამენტის ფოტოარქივიდან.

▪ 4 აპრილს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრში გაიმართა პროექტების – „ქართულ დასურათებულ ხელნაწერთა გაფორმებაში ჩართული მინიატურების მონაცემთა ბაზა“ და „ბიბლიური სიუჟეტები ქართულ ხელნაწერთა გაფორმებაში: ლიტერატურული და იკონოგრაფიული წყაროები“ – პრეზენტაცია. პროექტები შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსდა და მათი მიზანია სამეცნიერო სივრცეში ინფორმაციული და პრაქტიკული კუთხით გამოსაყენებელი ბაზის შექმნა, რაც დაინტერესებულ პირებს საშუალებას მისცემს მარტივად მოიძიონ სასურველი ინფორმაცია: უძველეს ხელნაწერში ჩართული მხატვრობის სხვადასხვა ნიმუშები, მათი შინაარსობრივი დატვირთვა, სიმბოლური მნიშვნელობა და ა. შ. მნიშვნელოვანია, რომ საინფორმაციო ბაზა ორენოვანია და უცხოელ დაინტერესებულ მეცნიერებსაც შეეძლებათ ბაზით სარგებლობა. არსებული ბაზა არის ორივე განხორციელებული პროექტის პირველი ეტაპი. ბაზა მუდმივად განახლებადი იქნება და მომავალშიც შეივსება.

▪ საგანმანათლებლო პროექტი – „წიგნის მოვლის კულტურა“, სოფელი სიმონეთი, დავით კლდიაშვილის სახელობის სკოლა, 6-8 აპრილი; ახმეტის რაიონი, სოფ. დუისი, 6 მაისი; ქიათურის I საჯარო სკოლა, 18 მაისი: პროექტის ფარგლებში განხორციელდა ლექცია-პრეზენტაციები თემაზე – „რესტავრაციის საფუძვლები,

რესტავრაციის მნიშვნელობა და ზოგადი ისტორია“; განხორციელდა პრაქტიკული სწავლება ქალაქის რესტავრაციის, წიგნის აკინძვის ტრადიციული მეთოდების, წიგნის სამშენის კაპიტალის ქსოვის ტექნიკის შესახებ. მოსწავლეების მიერ მიღებული ცოდნის განსაზღვრისთვის შეივსო შემადგამებელი კითხვარები; განხორციელდა დავით კლდიაშვილის სახლ-მუზეუმის ფონდში დაცული ექსპონატების, წიგნებისა და საარქივო მასალის მონიტორინგი. პროექტი განახორციელა ხელნაერთა ეროვნული ცენტრის კონსერვაცია-რესტავრაციის ლაბორატორიამ.

▪ 14 აპრილს დედაენის დღესთან დაკავშირებით ხელნაერთა ეროვნულ ცენტრში გაიხსნა გამოფენა სახელწოდებით „დედაენისკენ“. გამოფენა იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ პირველი გამოცემის 140-ე წლისთავს მიეძღვნა. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო იაკობ გოგებაშვილის მიერ „დედა ენისათვის“ შექმნილი შავი ნაწერები, მისი ხელით ნასწორები, უბის წიგნაკები, წერილები „დედა ენის“ თემატიკაზე, სახელმძღვანელოს განხილვის ოქმები, ოსკარ შმერლინგისეული ილუსტრაციების ორიგინალები, „დედა ენის“ სტამბური კლიშეები, რეპრესირებული აფხაზური „დედა ენის“ ეგზემპლარი ივანე ჯავახიშვილის პირადი ბიბლიოთეკიდან და სხვ. გამოფენა ასევე მოიცავდა საგანმანათლებლო პროგრამას სკოლის მოსწავლეებისთვის. მათ შეეძლოთ სპეციალურად შედგენილი კითხვარების შევსება. დაწყებითი კლასების მოსწავლეებმა კი „რწყილი და ჭიანჭველას“ ზღაპარი საკუთარი ხელით წიგნად აკინძეს.

▪ 14 აპრილს ქ. ფოთში განხორციელდა საგამოფენო-საგანმანათლებლო პროექტი „ჩემი დედაენა“. ქ. ფოთის მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობით მომზადებული საგამოფენო-საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავდა სამ ნაწილს: 1. კომპიუტერულ-შემცენებითი პროგრამების – „ჩემი შექმნილი წიგნი“ და „წიგნთან მოპყრობის მარტივი წესები“ – პრეზენტაცია და პრაქტიკული აქტივობა დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისათვის; 2. ლექცია – „ჩემი დედაენა“ – საბაზო და საშულო საფეხურის მოსწავლეების, სტუდენტებისა და დაინტერესებული ფართო საზოგადოებისათვის; 3. გამოფენა – „ჩემი დედაენა“ – საინფორმაციო ფოტობანერების მეშვეობით. პროექტის განსახორციელებლად ქ. ფოთში მივლინებით იმყოფებოდნენ ცენტრის განათლებისა და გამოფენის განყოფილების სპეციალისტები: მარიამ კიკალოშვილი და გვანცა ბოჭორიშვილი, ასევე ცენტრის დიგიტალიზაციის ლაბორატორიის სპეციალისტი დიმიტრი გურგენიძე.

▪ 19 აპრილი – გამოფენა „კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე – 150“. გამოფენა საგანგებოდ მომზადდა კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატეს დაბადების 150-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის ფარგლებში. ექსპოზიციაზე წარმოდგენილი იყო პატრიარქ კალისტრატესთან დაკავშირებული საარქივო დოკუმენტების ორიგინალები.

▪ 20 აპრილს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში **სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის ბაკალავრებმა** იმუშავეს ექვთიმე თაყაიშვილისა და ივანე ჯავახიშვილის პირად არქივებზე. შეისწავლეს არქივის დამუშავების წესი და მოისმინეს ხელნაწერების შესახებ საინტერესო ისტორიები.

▪ 22 აპრილს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისა და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ორგანიზებით გაიხსნა გამოფენა – **«ქვეყანა გვაქვს უფალავი ფერთა»**. გამოფენის მიზანია, საზოგადოებას გააცნოს ცენტრში დაცული უნიკალური ხელნაწერები და დოკუმენტები და, რაც მთავარია, ახალგაზრდა თაობას დაანახოს გარემოს დაცვის აუცილებლობა და მნიშვნელობა. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული უნიკალური და მრავალფეროვანი ხელნაწერები: XV-XIX საუკუნეების ისტორიული საბუთები, სასამართლო განხილვები, ტყით სარგებლობის გრაფიკები, შეშისა და საშენი მასალის სარგებლობის ნესები, ასევე, ხელნაწერები, სადაც გამოსახულია სამყაროს შექმნის სცენები, სამედიცინო შინაარსის ხელნაწერები – კარაბადინები, რომლებშიც აღწერილია ბუნებრივი რესურსების მიხედვით სხვადასხვა სამკუნალო საშუალების მომზადება და სხვა. გარდა ხელნაწერებისა, გამოფენაზე წარმოდგენილი იყო საქართველოს ნაკრძალებისა და დაცული ტერიტორიების ფოტოები. გამოფენა ასევე ითვალისწინებდა საგანამანათლებლო პროგრამას, კერძოდ, გამოფენაზე მოსულ დაწყებითი კლასის მოსწავლეს შეეძლო სხვადასხვა ხელნაწერიდან გადმოხატული ცხოველებისა და ფრინველების გამოსახულებების გაფერადება. უფროსკლასელებმა კი სამედიცინო კარაბადინების რეცეპტების მიხედვით დაამზადეს მარტივი სამკურნალო საშუალებები.

▪ 27 აპრილს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში მოენყო გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იყო **ქართული, ქართულ-სპარსული, ოსმალური, არაბული და ევროპული დოკუმენტები**. გამოფენა სპეციალურად მოენყო სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტების სტუდენტებისათვის. სტუდენტებს გამოფენილი დოკუმენტების შესახებ ესაუბრა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ხელნაწერ სიძველეთა დაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი თამარ აბულაძე. სტუდენტებს ასევე ჩაუტარდათ ყოველკვირეული პრაქტიკული კურსი, რომლის მეტორიც არის კოდიკოლოგიისა და ტექსტოლოგიის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი ნესტან ჩხიკვაძე.

▪ 27 აპრილს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში გაიმართა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის – **«ქართულ პალიმფსესტია კატალოგი (მონაცემთა ბაზა)»** – შუალედური პრეზენტაცია, რომელიც წარადგინეს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მეცნიერმა თანამშრომლებმა: ლამარა ქაჯაიამ, დალი ჩიტუნაშვილმა, ირმა ხოსიტაშვილმა, ციცილო გულედანმა, ხათუნა გაფრინდაშვილმა.

▪ 27 აპრილს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში გაიმართა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის – **„ქვემო ქართლის ეპიგრაფიკული კორპუსი“** – პირველი წლის შედეგების პრეზენტაცია. პრეზენტაციას უძღვებოდნენ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მეცნერ-თანამშრომლები: თეიმურაზ ჯოჯუა, ირაკლი გელაშვილი, თამაზ გოგოლაძე.

▪ 2016 წლის აპრილში დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატმა, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ 850 წლის იუბილესთან დაკავშირებით, განახორციელა პროექტი – **„გადანერე ვეფხისტყაოსნის ერთი სტროფი“**. პროექტის მიზანს წარმოადგენდა „ვეფხისტყაოსნის“, როგორც ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის უმნიშვნელოვანესი ნიმუშის მიმართ ინტერესის გაღრმავება ქვეყნის ფარგლებს გარეთ მცხოვრებ თანამემამულეებში, განსაკუთრებით – ბავშვებსა და მოზარდებში. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი აქტიურად იყო ჩართული აღნიშნულ კონკურსში. პროექტის შემთავამებელ ეტაპზე ცენტრმა გამოავლინა გამარჯვებულები ნომინაციაში – „ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის რჩეული“.

▪ 17-22 მაისს მოეწყო გამოფენა **„ქეთევან მაღალაშვილი – 120“**, რომელიც ეძღვნებოდა მხატვრის საიუბილეო წელს. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო მხატვრის მიერ სხვადასხვა დროს შექმნილი 70-მდე ფერწერული და გრაფიკული ნამუშევარი, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული მხატვრის ღია ბარათები, წერილები, ადრეული პერიოდის ფანქრით შესრულებული ჩანახატები და სხვ. გამოფენა გაიმართა დიმიტრი შვეარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაში.

▪ 18 მაისს აბანოთუბნის ტერიტორიაზე გაიმართა **საქართველოს ეროვნული სამოსის დღისადმი** მიძღვნილი ღონისძიებები. აქ გამოიფინა ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული საარქივო მასალის ფოტოები, სადაც მეფეთა შესამოსელის საინტერესო ნიმუშებია; პაპუნა წერეთლის, რაფიელ ერისთავის, ვასილ კარბელაშვილისა და XIX საუკუნის სხვა მოღვაწეთა არქივებში დაცული ეროვნული სამოსით შემოსილი პიროვნებების მნიშვნელოვანი ფოტოები; ფრესკების მიხედვით აღდგენილი ლაშა-გიორგისა და ზაქარია მხარგრძელის სამოსის ესკიზები ივანე ჯავახიშვილის არქივიდან; ისტორიული საბუთები, რომლებშიც სხვადასხვა სამოსის ჩამონათვალია.

▪ 18 მაისს, მუზეუმის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში გაიმართა ღონისძიება – **„ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი და კულტურული ლანდშაფტი“**, რომელზეც სკოლის მოსწავლეებს საშუალება ჰქონდათ გაეფერადებინათ თამარ მეფისეული „ვანის სახარების“ დეკორაციაში ჩართული ცხოველებისა და მცენარეების გამოსახულებები, აგრეთვე, თავისი ხელით შეექმნათ და აეკინძათ წიგნი. ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო კა-

ლიგრაფების ნამუშევრები. სტუმრებს საშუალება ჰქონდათ მათთვის სასურველი ტექსტი დაენერათ კალიგრაფების დახმარებით. უფროსკლასელებისათვის კი კულტურის პოლიტიკის მონვეულმა ექსპერტმა – კოტე ნაცვლიშვილმა წაიკითხა ლექცია თემაზე – მუზეუმების ლანდშაფტი და ქალაქი.

▪ 19 მაისს საქართველოს ეროვნული მუზეუმის ივანე ჯავახიშვილის სამცხე-ჯავახეთის მუზეუმში, ბულგარეთის საელჩოსთან თანამშრომლობით, გაიმართა გამოფენა – **„ბალკანეთის ხელნაერთა მემკვიდრეობა: VI-XVIII საუკუნეები“**. ექსპოზიციაზე წარმოდგენილი იყო ცნობილი ბულგარელი ფოტოგრაფის, ივო ჰაჯიმიშვილის მიერ გადაღებული 50 ფოტონამუშევარი. გამოფენის გახსნას ხელნაერთა ეროვნული ცენტრის თანამშრომლები და დირექტორი ზაალ აბაშიძე დაესწრნენ. ცენტრის დირექტორმა ბულგარეთის ელჩთან და საელჩოს წარმომადგენლებთან შეხვედრისას ისაუბრა სამომავლო თანამშრომლობის გეგმებზე.

▪ 24 მაისს, ქუვეითის ისლამური კულტურის დედაქალაქად გამოცხადების წელთან დაკავშირებით, ქუვეითის ეროვნულ ბიბლიოთეკაში განხორციელდა კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაერთა ეროვნულ ცენტრში დაცული არაბული და ქართული ხელნაწერების დიგიტალური ასლების გამოფენა – **„ქართული და არაბული ხელნაწერები“**. გამოფენა გახსნეს საქართველოს ელჩმა, როლანდ ბერიძემ და ქუვეითის კულტურის, ხელოვნებისა და ლიტერატურის ეროვნული საბჭოს გენერალურმა დირექტორმა. ხელნაერთა ეროვნული ცენტრის მეცნიერმა თანამშრომელმა ნიკოლოზ ჟღენტმა წარმოადგინა მოხსენება აღნიშნული ხელნაწერების და არაბული კოლექციების შესახებ (გამოფენაზე წარმოდგენილი იყო სხვადასხვა პერიოდში შესრულებული ვეფხისტყაოსნის ნუსხები, ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილის სამკურნალო კარაბადინი, სულხან-საბა ორბელიანის სიტყვის კონა და სხვა ხელნაწერების ასლები).

▪ 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით, ქ. ფოთში ხელნაერთა ეროვნულმა ცენტრმა წარმოადგინა ორი ფოტოგამოფენა: **„ქართველი მეფეების მიერ გაცემული საბუთები“** და **„ტაო-კლარჯეთის ციხესიმაგრეები“**. პირველი თემა შერჩეული იყო იმ გარემოების გამო, რომ ქართველ მეფეთა მიერ გაცემული სიგელები ერთგვარი ისტორიაა ქართული სახელმწიფოებრიობისა, ხოლო ციხეები ამ სახელმწიფოებრიობის დაცვისათვის ბრძოლაში უმნიშვნელოვანესი საფორტიფიკაციო სეგმენტია. გამოფენის დღეს ქ. ფოთი მასპინძლობდა თურქეთის დელეგაციას და მათაც მიეცათ ექსპოზიციის დათვალიერების შესაძლებლობა.

▪ 10 ივნისს სიმონ ჯანაშიას სახელობის მუზეუმის ახალ საგამოფენო სივრცეში **შუა საუკუნეების საგანძურის გამოფენა** გაიხსნა. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო წინაქრისტიანული და შუა საუკუნეების ქართული ხელოვნების

ნიმუშები, რომლებიც ასახავენ იმ კულტურული ტრადიციების ერთიანობას და უწყვეტობას, რომელთა საფუძველზეც ყალიბდებოდა ქართული სახელმწიფოებრიობა და ეროვნული თვითშეგნება. ეროვნული მუზეუმის საგანძურში არსებულ ხელოვნების ნიმუშებთან ერთად გამოიფინა ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული X-XVIII საუკუნეების ხელნაწერები. მათ შორის გამორჩეულია ალავერდის ოთხთავი (1054 წ.), XII-XIII საუკუნეების ვანის ოთხთავი, 1188-1210 წლებში შესრულებული ასტროლოგიური კრებული – „საეტლო და სამთვარიო“. დამთვალიერებელი გაეცნო უნიკალურ ხატებს, ნაქარგობის ნიმუშებს, ქვის, ხის და შუა საუკუნეების სხვა გამორჩეულ ექსპონატებს: დავათის IV საუკუნის სტელა ქართული ანბანის უძველესი გამოსახულებით, V-VI საუკუნეების ჩვენამდე მოღწეული მოზაიკის უძველესი ნიმუში ბიჭვინთიდან, ნაქარგობის XII-XVIII საუკუნეების უნიკალური ნიმუშები, რომლებიც ნათლად ასახავენ ნაქარგობის ევოლუციის პროცესს. მათ შორისაა ჩვენამდე მოღწეული ყველაზე ადრინდელი, XII საუკუნის ნაქარგი საბუხრეები კაცხიდან. ექსპოზიციაზე ქართული ხელოვნების შედევრებთან ერთად წარმოდგენილი იყო შუა საუკუნეების ის ტექნოლოგიები და ხელსაწყოები, რომლებიც გამოიყენებოდა მათ შესაქმნელად.

- 16 ივნისს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში გაიმართა **ქარჩხაძის გამომცემლობის** მიერ დაბეჭდილი წიგნების გამოფენა-გაყიდვა. ქარჩხაძის გამომცემლობა 2004 წლიდან მუშაობს ქართული წიგნის ბაზარზე და ამ ხნის განმავლობაში მოიზოვა მყარი რეპუტაცია, როგორც საბავშვო შემეცნებითი და მხატვრული წიგნების ერთ-ერთმა წამყვანმა გამომცემლობამ.

- **ისტორიის მასწავლებელთა ასოციაციამ და ნორჩ ისტორიკოსთა კლუბმა** შეარჩია 35 ახალგაზრდა, რომლებიც ვიკიპედიის ჯგუფთან ერთად ამზადებენ სტატიებს თბილისის ისტორიის შესახებ. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრსა და ისტორიის მასწავლებელთა ასოციაციას შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში ცენტრის განათლებისა და გამოფენების განყოფილების ხელმძღვანელმა, ნესტან ბაგაურმა 20 ივნისს მათ ჩაუტარა ლექცია თემაზე – „**თბილისის ისტორია ხელნაწერებში**“. სტუმრებმა მოისმინეს საინტერესო ფაქტები სხვადასხვა ქართული თუ უცხოური ხელნაწერის შესახებ.

- 22-23 ივნისს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსა და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანიზებით გაიმართა **„ვეფხისტყაოსნის“ ზეპირად მცოდნეთა კონკურსი**. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრიდან დაჯილდოების ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო ვეფხისტყაოსნის ბანერები და საპრეზენტაციო ტექსტი ცენტრში დაცული ვეფხისტყაოსნის ხელნაწერების შესახებ.

▪ 26 ივნისს ეროვნულ გალერეაში გაიხსნა გამოფენა – „მწვანე“, რომელშიც ხელნაწერთა ეროვნული ცენტრიც იღებდა მონაწილეობას. გარემოს დაცვის მსოფლიო დღის აღსანიშნავად გალერეის სივრცეში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე, ალექსანდრეს ბაღში, განთავსდა ეკოლოგიის თემაზე სხვადასხვა მედიუმი შესრულებული ნამუშევრები, რომელთა ავტორები არიან: მამუკა ჯაფარიძე, თემო ჯავახი, ილიკო ზაუტაშვილი, გურამ ნიბახაშვილი, ლევან ჭოლოშვილი, კარლო კაჭარავა და სხვა. ასევე, ცენტრიდან გამოფენაზე წარმოდგენილი იყო XVII საუკუნის უნიკალური ხელნაწერი – „პირობის წიგნი ტყის გაუყიდველობის შესახებ“.

▪ 19 ივლისს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში გაიხსნა ქართველოლოგიის საერთაშორისო საზაფხულო სკოლა – „ქართული ხელნაწერი“. საზაფხულო სკოლა გათვალისწინებულია საქართველოს ისტორიითა და კულტურით დაინტერესებული უცხოელი მკვლევარებისა და საქართველოს უნივერსიტეტების წარმომადგენლებისათვის. სკოლის მიზანია მეცნიერების განვითარების ხელშეწყობა და უცხოელი მეცნიერების დაინტერესება ქართული კულტურით. კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერითა და დაფინანსებით, უკვე მეხუთედ ახორციელებს ქართველოლოგიის საერთაშორისო საზაფხულო სკოლას. 2016 წელს სკოლის მონაწილეთა შორის იყვნენ ოქსფორდის, სორბონის, ლეიდენის და ევროპის სხვა წამყვანი უნივერსიტეტების მაგისტრანტები, დოქტორანტები და ახალგაზრდა დოქტორები. სკოლის ქართველი მონაწილეები წარმომადგენდნენ საქართველოს 5 რეგიონულ უნივერსიტეტს. 2016 წლის 28 ივლისს საზაფხულო სკოლა დაიხურა. მონაწილეებმა წარმომადგინეს თავიანთი პრეზენტაციები და მათ საზეიმოდ გადაეცათ კუთვნილი სერტიფიკატები. სკოლის ფარგლებში მონაწილეებს ჰქონდათ საშუალება მოესმინათ გასვლითი ლექციები უმნიშვნელოვანეს ხუროთმოძღვრულ ძეგლებზე.

▪ 23 ივლისს გაიხსნა ქიმიის 48-ე საერთაშორისო ოლიმპიადა, რომელშიც მონაწილეობდნენ მოზარდები მსოფლიოს 75 ქვეყნიდან; ისინი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ქიმიის ცოდნაში. ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა, ოლიმპიადის ფარგლებში, საქართველოს ეროვნულ მუზეუმში გამოფინა ხელნაწერი: ვახტანგ VI-ის „ქიმიის წიგნი“ (S 3721). ხელნაწერი XVIII საუკუნის 40-იან წლებს მიეკუთვნება. წიგნის ხასიათიდან ჩანს, რომ ვახტანგ VI-ს განუზრახავს მინერალური (არაორგანული) ქიმიის საფუძვლები განეხილა იმდროინდელი მეცნიერების დონეზე და გადმოეცა მისი გამოყენების მნიშვნელობა პრაქტიკული საქმიანობისათვის. გამოფენილი ერთეული ასახავს სამეცნიერო (ქიმიური) ცოდნის დონეს XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოში.

▪ 26 აგვისტოს „ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მეგობართა საზოგადოება“ ორგანიზება გაუწია გალა კონცერტს – „ხელოვანები ხელნაწერებისთვის“,



რომელიც გაიმართა პროექტის – „ახალგაზრდები ახალგაზრდებისთვის / Young for Young“ მხარდაჭერით. გალა კონცერტში მონაწილეობდნენ ქართველი ხელოვანები: მსოფლიო საოპერო სცენის ვარსკვლავი, მეცო-სოპრანო – ანიტა რაჭველიშვილი, პიანისტი – დავით ალადაშვილი, ჩელისტი – ლიზი რამიშვილი და „Georgian Strings“. კლასიკური მუსიკის საღამო გაიმართა „სტრადას“ ეზოში (კ. მარჯანიშვილის 5). თბილისის კონცერტის შემდეგ დავით ალადაშვილმა და ლიზი რამიშვილმა გააგრძელეს კონცერტები თელავში, ბათუმში, ქუთაისსა და მესტიაში, სადაც ასევე მუსიკალური სასწავლებლის ბავშვებისათვის ჩაატარეს მასტერკლასები. ღონისძიება მიეძღვნა ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული კოლექციების პოპულარიზაციას და ჯანსაღი გარემოს შენარჩუნების პრობლემებს. მუსიკალური ტურნე ფესტივალის სახეს მიიღებს და ტრადიციად იქცევა. თელავში, ბათუმში, ქუთაისსა და მესტიაში კონცერტებზე დასწრება თავისუფალი იყო.

▪ 17 სექტემბერს გაიხსნა **„მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალი“**, რომლის ფარგლებშიც ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის 4 კომპლექსური ღონისძიება განხორციელდა: 1. შოთა რუსთაველის 850 წლის იუბილესადმი მიძღვნილი გამოფენა და საჯარო ლექციების ციკლი (13 საჯარო ლექცია); 2. „ვაჟა-ფშაველა – 155“ – საჯარო ლექციების ციკლი, გამოფენა, სიმულაციური თამაში „არქივისტი: ვაჟა-ფშაველას პირადი არქივი არქივისტის თვალით“ (ირინა გოგონაია, ვლადიმერ კეკელია); 3 „ქალაღღის შექმნის და წიგნის აკინძვის ვორქშოუები“ – სახალისო მეცნიერება სკოლის მოსწავლეებისათვის; 4. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის გამოცემების პრეზენტაცია („ექსპო-ჯორჯიას“ პავილიონი). ფესტივალის ვიზიტორები აქტიურად იყვნენ ჩართულები აღნიშნულ აქტივობებში და ბევრი საინტერესო ინფორმაცია მიიღეს, ზოგადად, ხელნაწერთა ცენტრის შესახებ.

▪ 19 სექტემბერს გაიხსნა გამოფენა – **„ვეფხისტყაოსანი და ქართული ხელნაწერი“**. წარმოდგენილი იყო სხვადასხვა პერიოდში გადაწერილი ვეფხისტყაოსნის უნიკალური ხელნაწერები. გამოფენა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორმა, ზაალ აბაშიძემ გახსნა. იგი სტუმრებს ესაუბრა ცენტრში დაცული კოლექციების და გამოფენაზე წარმოდგენილი ხელნაწერების მნიშვნელობაზე. გამოფენა მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალის ფარგლებში გაიხსნა და 25 სექტემბრამდე გაგრძელდა.

▪ 20 სექტემბერს განხორციელდა პროექტი – **„ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი ქუთაისში“**. კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა ქუთაისის ცენტრალური ბულვარი ერთი დღით მასშტაბურ საგამოფენო სივრცედ აქცია. ქალაქის ამ ყველაზე ხალხმრავალ და საზოგადოებისთვის საყვარელ ადგილზე ფოტობანერების სახით ერთდროულად იყო წარმოდგენილი შემდეგი ექსპოზიციები: „პალიმფსესტები“, „მოჭედილი ყდები“, „ტაო-კლარჯეთის ხელნაწერი მემკვიდრეობა“, „ვეფხისტყაოსანი“, „აკაკი – ბედნიერი ნიჭის შემოქმედ“.

მედი“, „ვაჟა-ფშაველა – 155“, ქართველ მეფეთა მიერ გაცემული სიგელდართან ერთად პროექტი ასევე მოიცავდა სამეცნიერო-პოპულარულ ლექციასა და შემეცნებით აქტივობას – „ნიგინის მოვლის კულტურა“, რაც გულისხმობდა მოსწავლეებისათვის ფურცლის აღდგენისა და სხვა სარესტავრაციო პროცესების შესახებ პრაქტიკული „ვორქშოპის“ ჩატარებას. ეს აქტივობა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში განხორციელდა ცენტრის კონსერვაცია-რესტავრაციის ლაბორატორიის თანამშრომლების მიერ. საჯარო სივრცეში წარმოდგენილი გამოფენა და სარესტავრაციო ნაწილი ერთგვარად შეავსო ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკაში გამოფენილმა საარქივო მასალამ. ქუთაისში პირველად გამოიფინა ამ ქალაქის საჯარო ბიბლიოთეკის დამაარსებლის – **ანტონ ლორთქიფანიძის** საარქივო ექსპონატები, რომლებიც დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. ექსპოზიციაზე ასევე წარმოდგენილი იყო **აკაკი წერეთლის, ექვთიმე თაყაიშვილისა** და სხვა მოღვაწეთა არქივი დაცული მასალები. ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკაში ცენტრის მთავარმა მეცნიერმა თანამშრომელმა, **ნესტან ჩხიკვაძემ** წაიკითხა საჯარო ლექცია – „ქართული ხელნაწერი“, ცენტრის სწავლულმა მდივანმა, **შალვა გლოველმა** წაიკითხა საჯარო ლექცია თემაზე – „ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კოლექციები“. ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკას ცენტრის დირექტორმა, **ზაალ აბაშიძემ** საჩუქრად გადასცა ცენტრის გამოცემები. ღონისძიება დაიგეგმა ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკის მხარდაჭერით. გამოფენის მიზანი იყო ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული უნიკალური მემკვიდრეობის პოპულარიზაცია. ღონისძიება დაიგეგმა ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკის მხარდაჭერით.

▪ 21 სექტემბერს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, „მეცნიერებისა და ინოვაციების თბილისის ფესტივალის“ ფარგლებში, გაიხსნა გამოფენა – **„ვაჟა-ფშაველა – 155“**, რომელიც მიეძღვნა ვაჟა-ფშაველას დაბადების 155 წელს. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო მასალები ვაჟა-ფშაველას არქივიდან: მისი პირადი წერილები, პოემები, ლექსები, სხვადასხვა ჩანაწერები და ა.შ. („ბახტრიონი“, „სტუმარ-მასპინძელი“ და სხვა). გარდა გამოფენისა, სკოლის მოსწავლეებისათვის განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „არქივისტი“, რომელიც მიზნად ისახავს გაცნოს მოსწავლეებს საარქივო საქმის თავისებურებები, დოკუმენტურ წყაროებთან მუშაობის დეტალები. გამოფენის ფარგლებში სტუმრებმა ასევე მოისმინეს სამეცნიერო-პოპულარული ლექციები და მოეწყო თენგიზ აბულაძის ფილმიდან „ვედრება“ – ფრაგმენტების ჩვენება-დისკუსია. ლექციას – „ვაჟას და თენგიზ აბულაძის ვედრება“ – უძღვებოდა პროფესორი ლევან გიგინეიშვილი.

▪ 24 სექტემბერს ქალაქ ფოთში ჩატარდა **ნიკო ნიკოლაძის დაბადებიდან 173 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიებები**, რომლებშიც ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმაც მიიღო მონაწილეობა. მოეწყო გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იყო ცენტრში დაცული ნიკო ნიკოლაძის საარქივო მასალის ფოტოები, პირადი და საზოგადო მოღვაწეობის ამსახველი წერილები, რუსული ცენზურისა და ჟან-

დარმერის მიერ ნიკოლაძეზე თვალთვალის დადგენილებები, ნიკო ნიკოლაძისა და მისი ოჯახის წევრებს ფოტოები... ცენტრში დაცული რამდენიმე ათეული საარქივო დოკუმენტი გამორჩეულ შტრიხებს სძენს ნიკო ნიკოლაძის პიროვნებას. თვრამეტი წელი იყო ნიკო ნიკოლაძე ფოთის ქალაქისთავი (1894-1912 წწ.). მთელი ცოდნა, ენერჯია, მონდომება და კონტაქტუნარიანობა ფოთის ამოქმედებას მოახმარა. ნიკოლაძემ ორჯერ იმოგზაურა ევროპაში, გაეცნო საუკეთესო პორტების პროექტებს, სამშენებლო ტექნიკას. რვაჯერ წავიდა „პეტრეს ქალაქში“, რათა დაერწმუნებინა რუსეთის უმაღლესი ხელისუფლება პორტის მშენებლობისათვის სესხის გაცემაში. ფოთის ნავსადგურის მშენებლობაში პირველად გამოიყენეს ბეტონი, რათა წყალს არ გაერღვია დამცავი ჯებირი. შედეგად ფოთი იქცა მოკირწყლულ ქუჩებიან, ქვითკირის სახლებიან, ხიდებით დამშენებულ ევროპულ ქალაქად. გამოფენა სიმბოლურად მოეწყო შუქურაზე, რომელიც ნიკო ნიკოლაძის სახელს უკავშირდება (1862 წელს ნაწილ-ნაწილ იქნა ჩამოსხმული ინგლისში, 1864 წელს შევიდა ექსპლუატაციაში და დღემდე ფუნქციონირებს). ღონისძიებას ორგანიზება გაუწია ქ. ფოთის მერიის მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურმა.

▪ 7 ოქტომბერს ქ. სტოქჰოლმში, სამეფო სასახლის საჭურველის მუზეუმში, საქართველოს ელჩის ორგანიზებით, გაიმართა შოთა რუსთაველის 850 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიება, რომელიც მიზნად ისახავდა საზოგადოებისთვის რუსთაველის და ვეფხისტყაოსნის მნიშვნელობის გაცნობას და, ზოგადად, უძველესი ქართული კულტურის სათანადოდ წარმოჩენას. ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო ვეფხისტყაოსნის ბოლო ინგლისურენოვანი თარგმანი, რომლის ავტორი, ამერიკელი მწერალი და მთარგმნელი, ლინ კოფინი თავად წარსდგა მოხსენებით დამსწრე საზოგადოების წინაშე. მეტი თვალსაჩინოების მიზნით დამსწრე საზოგადოებისთვის დაიგეგმა „მინი სპექტაკლი“ და წარმოდგენილი იყო ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ვეფხისტყაოსნის ილუსტრაციები.

▪ 10 ოქტომბერს ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა იუსტიციის სასწავლო ცენტრთან ერთად დაიწყო საგანმანათლებლო პროექტი – **„სახელმწიფო მოხელეები (პორტრეტები ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კოლექციების მიხედვით)“**. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის განათლებისა და გამოფენის მიმართულების ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია დაამუშაოს ცენტრის კოლექციებში დაცული ინფორმაცია და შესთავაზოს მრავალფეროვან აუდიტორიას. ამ მიზნის მისაღწევად მიმართულება თანამშრომლობს ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა ჯგუფებთან და ორგანიზაციებთან. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს იუსტიციის სასწავლო ცენტრის ინიციატივით დაიგეგმა თანამშრომლობის პროექტი, რომლის ფარგლებშიც ცენტრის შესაბამისი სპეციალისტები წაიკითხავენ ლექციას საჯარო მოხელეებზე, რომელთა შესახებ ინფორმაცია დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (პირადი არქივები თუ სხვა მასალა). პროექტის მიზანია, ახალგაზრდა საჯარო მოხელეებისა და ამ სფეროთი დაინტერესებული სტუდენტების ცოდნის ამა-

ლღება, ასევე მათი ცნობიერების ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეტანა. თანამშრომლობის შედეგად შეირჩა ცხრა თემა: 1. სახელმწიფო მოხელეები შუა საუკუნეებში (1 ან 2 ლექცია), 2. ერეკლე II, 3. დიმიტრი ყიფიანი, 4. ნიკო ნიკოლაძე, 5. ილია ჭავჭავაძე, 6. გრიგოლ ორბელიანი, 7. ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, 8. შალვა ამირანაშვილი, 9. კანდიდ ჩარკვიანი. აღნიშნული შეთანხმების ფარგლებში 10 ოქტომბერს ჩატარდა პირველი ლექცია. ლექციის თემა იყო: „**სახელმწიფო მართვის ისტორიიდან – შუა საუკუნეების საქართველოში**“ (ლექცია ჩაატარა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის განათლებისა და გამოყენების განყოფილების ხელმძღვანელმა, ისტორიკოსმა ნესტან ბაგაურმა). ლექციის თემა იყო ფარნავაზ მეფის, დავითისა და თამარის მიერ გატარებული სახელმწიფო და ადმინისტრაციული რეფორმების ანალიზი. ლექციის პარალელურად იუსტიციის სასწავლო ცენტრში გამოიფინა ჭიაბერის დაწერილის მულაჟი და ქართველ მეფეთა მიერ გაცემული საბუთების ფოტოები. პროექტი 2017 წელსაც გაგრძელდება. იგეგმება იუსტიციის სასწავლო ცენტრთან ურთიერთთანამშრომლობის შემორანდუმის გაფორმება.

▪ 16 ოქტომბერს **ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში** გაიმართა **„ვეფხისტყაოსნისადმი“ მიძღვნილი ღონისძიება**, რომლის თანაორგანიზატორი იყო ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. ღონისძიების მიზანი იყო საზოგადოებისთვის კიდევ ერთხელ შეეხსენებინა ამ უნიკალური პოემის, როგორც კულტურული მემკვიდრეობის, მნიშვნელობა. ღონისძიება რამდენიმე საფეხურს მოიცავდა. მასში მონაწილეობდნენ როგორც უფროსი თაობის წარმომადგენლები ასევე სკოლის მოსწავლეები. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ხელნაწერების ასლები: ვეფხისტყაოსნის ე.წ ბეგთაბეგისეული და წერეთლისეული ნუსხები. ორივე ხელნაწერის ორიგინალი უნიკალური მხატვრობით გამოირჩევა. ბეგთაბეგისეული ვეფხისტყაოსანი ცნობილია მისი გაფორმებით, რომელიც ოქრომელნითა შესრულებული და თითოეული გვერდის ორნამენტი განსხვავებულია; ხოლო წერეთლისეული ვეფხისტყაოსანი ყველაზე უხვად ილუსტრირებულ ვეფხისტყაოსნად ითვლება. საგამოფენო სივრცეში ასევე განთავსებული იყო საინფორმაციო ბანერები ვეფხისტყაოსნის თემაზე. გამოფენა ერთი თვე გაგრძელდა და ნებისმიერი მსურველისათვის შესაძლებელი იყო უნიკალური ხელნაწერის „წერეთლისეული“ ვეფხისტყაოსნის ასლისა და საინფორმაციო ბანერების ხილვა.

▪ 18 ოქტომბერს თბილისის ოპერისა და ბალეტის წითელ დარბაზში გაიმართა წიგნის – **„შუა საუკუნეების ქართული ტორეტიკა“** – პრეზენტაცია. ღონისძიებას უძღვებოდა კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი ზაალ აბაშიძე.

▪ 2016 წელს ივანე ჯავახიშვილის დაბადების 140 წლის იუბილესთან დაკავშირებით ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმმა და იურიდიულმა ფაკულტეტმა

20 ოქტომბერს გახსნეს გამოფენა: **„ივანე ჯავახიშვილი და სამართალი“**. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გალერეაში გამოიფინა ივანე ჯავახიშვილის ავტოგრაფები. სამართლის ისტორიის კვლევის ამსახველ საარქივო დოკუმენტებთან ერთად საზოგადოებას საშუალება ჰქონდა ეხილა ივანე ჯავახიშვილის პირადი ნივთები და საბიბლიოთეკო იშვიათობად ქცეული მისი გამოცემები ავტორისეული მინაწერებითა და შენიშვნებით, საინტერესო ფოტოები. ყოველ ეპოქაში სახელმწიფოს მოწყობისა და მისი რაობის განმსაზღვრელი სამართლებრივი საფუძვლები იყო, ამიტომ სამართალწარმოების ტრადიცია, ორიგინალური სამართლებრივი ძეგლები, სასამართლო აქტები და განჩინებები, ისტორიის ნებისმიერ ეტაპზე ყოველთვის განსაკუთრებულ ინტერესს აღძრავდა. ივანე ჯავახიშვილი საგანგებოდ იკვლევდა საქართველოში სამართლის ისტორიას, სამართლებრივ ტერმინოლოგიას, სამართლის დარგში შექმნილ ცალკეულ თხზულებებს, სახელმწიფოს მოწყობის სამართლებრივ საფუძვლებსა და სხვ. ივანე ჯავახიშვილის მოღვაწეობის ეს მხარე ცნობილია როგორც ისტორიკოსების, ისე იურისტებისა და სამართლის ისტორიკოსებისათვის, თუმცა ამ უმნიშვნელოვანესი კვლევების ამსახველი ჩანაწერები, სამართლებრივი ტერმინოლოგიისა თუ საგულისხმო აქცენტების ათასობით ბარათი, სამართლის ისტორიის სამუშაო ვერსიები ფართო საზოგადოებისათვის ნაკლებადაა ცნობილი. ეს საარქივო ჩანაწერები დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, ივანე ჯავახიშვილის პირად არქივში და ნათლად ასახავს, თუ რა კოლოსალური შრომა ჩაუტარებია მეცნიერს. გამოფენა 26 ოქტომბრამდე გაგრძელდა და დასრულება ყველა მსურველისთვის იყო შესაძლებელი.

▪ 20 ოქტომბერს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში გაიმართა პროექტის – **„ძველი ქართული სამნიგნობრო კვრები (ორენოვანი მონაცემთა ბაზა და ელექტრონული რუკა)“** – შუალედური პრეზენტაცია. პროექტი შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით ხორციელდება.

▪ 26 ოქტომბერს ქ. რუსთავში მოენყო გამოფენა – **„შოთა რუსთაველის ეპოქა“**. 2016 წელი შოთა რუსთაველის საიუბილეო წელია. ამ თარიღთან დაკავშირებით ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისა და რუსთავის ისტორიული მუზეუმის ორგანიზებით მომზადდა აღნიშნული გამოფენა, რომელიც გაიმართა ქ. რუსთავის ისტორიულ მუზეუმში.

▪ 31 ოქტომბერს მოენყო წიგნების პრეზენტაცია – **პროკლე დიადოხოსი, „კავშირნი ღმრთისმეტყუელებითნი“**, იოანე პეტრინის თარგმანი და განმარტება: I ტომი – პროკლე დიადოხოსი, პლატონური ფილოსოფოსი. „კავშირნი ღმრთისმეტყუელებითნი“. თარგმანი და განმარტება იოანე პეტრინისა. H-1337 ხელნაწერის ფაქსიმილური გამოცემა; II ტომი – პროკლე დიადოხოსი. „კავშირნი ღმრთისმეტყუელებითნი“. თარგმანი და განმარტება იოანე პეტრინისა. H-1337

დბლომატური გამოცემა. III ტომი – პროკლე დიადოხოსი. „კავშირნი ღმრთისმეტყუელებითნი“ და იოანე პეტრინის განმარტება. სომხური ვერსია. სამეცნიერო მომზადდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის – „პროკლე დიადოხოსი, „კავშირნი ღმრთისმეტყუელებითნი“, იოანე პეტრინის თარგმანი და განმარტება“ – ფარგლებში.

▪ 4 ნოემბერს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში გაიმართა **სტაჟიორთა სასერტიფიკატო გასაუბრება**. პრეზენტაცია წარმოადგინა თოთხმეტმა სტაჟიორმა შემდეგი სტრუქტურული ერთეულებიდან: ბიბლიოთეკა, განათლებისა და გამოფენების, კოდიკოლოგიისა და ტექსტოლოგიის, ელექტრონული რესურსებისა და დიგიტალიზაციის განყოფილებები, რესტავრაციისა და კონსერვაციის ლაბორატორია, საგარეო ურთიერთობების, განვითარებისა და განათლების დეპარტამენტი, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ღონისძიებების სამსახური.

▪ 11 ნოემბერს გაიმართა საქალაქო დათვალიერება-კონკურსის – **„ეკითხო-ლობო „ვეფხისტყაოსანს“** – მონაწილეთა დაჯილდოება. ღონისძიების ფარგლებში ცენტრმა ფინალში გადასულ მონაწილეებს საგანგებო საჩუქრები გადასცა და გამარჯვებული ახალგაზრდები ცენტრში მოიწვია.

▪ 12 ნოემბერს ახმეტელის თეატრში გაიხსნა გამოფენა **„ერთად მოვუაროთ ხელნაწერებს“**. გამოფენა დაიგეგმა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისა და ხელნაწერი მემკვიდრეობის პოპულარიზაციის მიზნით. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო საინფორმაციო საგამოფენო ბანერები თემაზე „ტაო-კლარჯეთის ხელნაწერი მემკვიდრეობა“. გამოფენის გახსნის შემდეგ დამთვალიერებელმა დარბაზში გადაინაცვლა, სადაც სპექტაკლის დაწყებამდე საზოგადოებას მიმართეს თეატრის სამხატვრო და ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის რესტავრაციის ლაბორატორიის ხელმძღვანელებმა. მათ ისაუბრეს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მნიშვნელობასა და ფუნქციაზე, ასევე აღნიშნეს თეატრისა და ცენტრის თანამშრომლობის მნიშვნელობა და სამომავლო გეგმებიც დასახეს. გამოფენა 22 ნოემბრის ჩათვლით გაგრძელდა და ამ ხნის განმავლობაში ახმეტელის თეატრში მისული მაცურებელი სპექტაკლის ბილეთთან ერთად საჩუქრად იღებდა უძველესი ხელნაწერების მიხედვით შექმნილ ღია ბარათს (თამარ მეფის სიგელი, ერეკლე II-ის საბუთი, „ვეფხისტყაოსნის“ მინიატიურები და სხვ.).

▪ 13 ნოემბერს, ქალაქ პეტერბურგში (რუსეთი), ერმიტაჟში შოთა რუსთაველის 850 წლის იუბილეს აღსანიშნავად ჩატარდა საგანგებო ფესტივალი – **„რუსთაველის ეპოქა ერმიტაჟში“**. „ერმიტაჟის“ ორგანიზებით გამართულ საღამოზე მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა სახელმწიფო ერმიტაჟის გენერალური დირექტორი, მ. ბ. პიოტროვსკი. ასევე, თბილისიდან – კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრიდან განხორციელდა

ტელეარტთა, სადაც მთავარმა მეცნიერებმა – ელენე მაჭავარიანმა, ლელა შათირიშვილმა და თამარ აბულაძემ წარმოადგინეს ცენტრში დაცული ვებხისტყაოსნის უძველესი ხელნაწერები.

▪ 15 ნოემბერს ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტმა (TDI) ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს მხარდაჭერით, ტოლერანტობის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად საქართველოს ეროვნულ არქივში გახსნა გამოფენა – **„უწყვეტი მრავალფეროვნება.“** გამოფენა მოეწყო ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრთან, საქართველოს ეროვნულ არქივთან, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან, გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმსა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო 70-მდე დოკუმენტი (დედნები და ასლები), რომლებიც ასახავდნენ საქართველოს რელიგიურ და ეთნიკურ მრავალფეროვნებას და წარმოაჩენდნენ ტოლერანტობის მრავალსაუკუნოვან ტრადიციას. ასევე წარმოდგენილი იყო XVIII-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა, საერო და სასულიერო მოღვაწეთა პირადი არქივები, პრესაში გამოქვეყნებული წერილები და მხატვრული ლიტერატურის ნიმუშები. გამოფენაზე წარმოდგენილი ექსონატების მნიშვნელოვანი ნაწილი ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახება.

▪ 18 ნოემბერს მოეწყო საჯარო ლექცია თემაზე: **„ვეფხისტყაოსნის კვლადაკვალ“.** ლექცია საგანგებოდ დაიგეგმა ნორჩ ისოტორიკოსთა სკოლისა და ისტორიის მასწავლებელთა საქართველოს ასოციაციისათვის. აღნიშნულ ორგანიზაციასთან ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს გაფორმებული აქვს ურთიერთ-თანამშრომლობის მემორანდუმი. ლექცია ნაიკითხა ცენტრის განათლებისა და გამოფენების განყოფილების ხელმძღვანელმა, ისტორიკოსმა, ნესტან ზაგაურმა. ლექციას ესწრებოდა 130-მდე მოსწავლე და 20-მდე მასწავლებელი. ლექციის ბოლოს გაიმართა დისკუსია, რომელშიც ჩართულები იყვნენ როგორც პედაგოგები, ისე მოსწავლეები. დაისახა სამომავლო თანამშრომლობის გეგმები.

▪ 24 ნოემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა ივანე ჯავახიშვილის დაბადების 140 წლის იუბილესადმი მიძღვნილი გამოფენა – **„ივანე ჯავახიშვილის მიერ ევროპული საგანმანათლებლო პრინციპების დანერგვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1918-1926 წლებში“.** გამოფენას თსუ-ს რექტორი გიორგი შარვაშიძე, რექტორის მოადგილე მიხეილ ჩხენკელი, ივანე ჯავახიშვილის შთამომავლები, აკადემიური წრეების წარმომადგენლები და სტუდენტები ესწრებოდნენ. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრსა და თსუ-ს ფონდებში დაცული საარქივო მასალები: საგანმანათლებლო პროგრამები, თსუ-ს ადმინისტრაციის ბრძანებები, უნივერსიტეტის ავტონომიასთან დაკავშირებული მასალები, უნივერსიტეტის დამფუძნე-

ბელი საზოგადოების კრების ოქმები, თსუ-ს სტუდენტებისა და პროფესორების ფოტოები და მემორიალური ნივთები.

- 8 დეკემბერს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში მოენყო ზურაბ ჭუმბურიძის წიგნის – **„ქართული ენა, დამწერლობა, ხელნაწერები“** – პრეზენტაცია. წიგნის წარდგინებას ესწრებოდნენ სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები. ღონისძიება გახსნა ცენტრის დირექტორმა – ზაალ აბაშიძემ.
- 26 დეკემბერს საქართველოს ეროვნულ მუზეუმში გაიხსნა გამოფენა – **„დავით აღმაშენებლის ანდერძი და შუა საუკუნეების საგანძორი“**. გამოფენა გაიმართა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის, საქართველოს ეროვნული მუზეუმის და საქართველოს ეროვნული არქივის მონაწილეობით.
- ცენტრის გამოფენისა და განათლების განყოფილება აგრძელებს ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ პროექტს – **„სტაჟირების პროგრამა“**. 2016 წელს სტაჟიორად დამტკიცდა 87 სტაჟიორი. ცენტრში სტაჟირების წარმატების დამადასტურებელი სერტიფიკატი გადაეცა 59 სტაჟიორს.
- **ახალგაზრდული კონფერენცია – „გოგებაშვილის პედაგოგიკა – თანამედროვე გამოწვევები“**. კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია იაკობ გოგებაშვილის, ილია ჭავჭავაძის და XIX საუკუნის სხვა მოღვაწეთა პირადი არქივები. ცენტრის საგამოფენო და საგანმანათლებლო მიმართულება ამ საარქივო მასალაზე დაყრდნობით ინტენსიურად ამზადებს სხვადასხვა საგამოფენო და საგანმანათლებლო პროგრამებს. მათგან გამორჩეული დაინტერესება იაკობ გოგებაშვილის საარქივო მასალისადმი, რომელიც არაერთგზის გამოიფინა ფართო საზოგადოების წინაშე როგორც თბილისში, ისე რეგიონებში. აღნიშნული აქტივობების ძირითადი სამიზნე აუდიტორია გახლდათ საჯარო სკოლის სხვადასხვა საფეხურის მოსწავლეები. სხვადასხვა დროს იაკობ გოგებაშვილის პირად არქივზე მუშაობამ აჩვენა, რომ გოგებაშვილის პედაგოგიური ნააზრევი, მისი მიდგომები დღესაც აქტუალურია. ქართული საგანმანათლებლო სივრცე, სწავლა-სწავლების პროცესი დღეს საინტერესო ეტაპზეა: ძიების პროცესი, სწორი ვექტორების დანახვა, ასაკობრივი თავისებურებების განსაზღვრა ამ პროცესში და სხვ. ვინაიდან 2016 წელს შესრულდა იაკობ გოგებაშვილის **„დედა ენის“** პირველი ბექედური გამოცემიდან 140 წელი (პირველი გამოცემა დაიბეჭდა 1876 წ.), ცენტრის განათლებისა და გამოფენების განყოფილებამ მოამზადა და ჩაატარა ახალგაზრდული სამეცნიერო კონფერენცია პედაგოგიკის მიმართულებით. ამ გზით ცენტრმა განათლების საკითხებით დაინტერესებულ სტუდენტებსა და ახალგაზრდა მკვლევრებს შესთავაზა საკითხთან დაკავშირებული საარქივო მასალა, რომელიც გაცილებით მეტს იტევს, ვიდრე გამოქვეყნებული სტატიები და მრავალტომეულები. მონაწილეებს საშუალება ჰქონდათ მათ მიერ შერჩეული თემა-

ტიკის მიხედვით ემუშავათ გოგებაშვილის და XIX საუკუნის სხვა ცნობილი საზოგადო მოღვაწეების საარქივო მასალის ორიგინალებზე ცენტრის სამკითხველო დარბაზში, სადაც მათ საქმიანობას კოორდინაციას უწევდა ცენტრის განათლებისა და გამოფენების განყოფილება. კონფერენციაში აქტიურად იყო ჩართული ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებების ფაკულტეტი. კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო 10 მომხსენებელი. კონფერენციის გახსნას ესწრებოდნენ: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარე და მისი მოადგილე, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრი, აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის წარმომადგენლები და სხვ. ამ კონფერენციისათვის მომზადდა საგანგებო სასაჩუქრე ნაკრები: ჩანთა, კალამი, ბლოკნოტი და საქაღალდე იაკობ გოგებაშვილის ავტოგრაფის ელემენტებით.

▪ პროექტი – **სასწავლო-კვლევითი ჰონორარი საბრძოლო თემატიკით დანტერესებული მკვლევრებისათვის** – გულისხმობს საქართველოში სამხედრო თემატიკის მკვლევართა ნახალისებას. პროექტის ფარგლებში ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის განათლებისა და გამოფენების განყოფილება უზრუნველყოფს 2 გამარჯვებული სტიპენდიანტის კვლევის მონიტორინგს, კომისიის შეხვედრების ორგანიზებას, კოორდინაციას ჰონორარის გამცემ ორგანიზაციასთან – საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და სტიპენდიანტებთან. 2016 წელს შედგა პროექტის შუალედური მონიტორინგის მიხედვით გათვალისწინებული კომისიის ორი სხდომა, რომლებზეც სტიპენდიანტებმა: დიმიტრი სილაქაძემ და ლანა გაბრიადემ – წარმოადგინეს შუალედური პრეზენტაციები.

## ზიზიტაბი

- 14 იანვარს ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა უმასპინძლა 25 სოციალურად დაუცველ ბავშვს ოჯახური ტიპის ბავშვთა სახლებიდან.
- 28 იანვარს ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა უმასპინძლა ქართველ მთარგმნელსა და ექსპერტს, ალექსანდრე კარტოზიას და გერმანელ მთარგმნელებს.
- 17 თებერვალს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს სტუმრად ეწვივნენ საქართველოს ელჩი ირლანდიაში – გიორგი ზურაბაშვილი, უფროსი მრჩეველი – დავით ჯავახიშვილი და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების და პროგრამების დეპარტამენტის უფროსი – ნინო ტუსკია. სტუმრებმა დაათვალიერეს უძველესი ხელნაწერების კოლექცია.

▪ 25 მარტს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს ეწვივნენ **საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-ს სტუდენტები**. მათ დაათვალიერეს უძველესი ხელნაწერები და ძველნაბეჭდი წიგნები. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო უძველესი წიგნების როგორც ასლები, ასევე ორიგინალები, სხვადასხვა დროს სხვადასხვა წიგნთსაცავსა თუ კერძო კოლექციაში დაცული ქართული კულტურისა და ისტორიის უმნიშვნელოვანესი საგანძური. გამოფენაზე ასევე წარმოდგენილი იყო ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული უძველესი ისტორიული საბუთები.

▪ 27 აპრილს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს ეწვივნენ **ფრანკფურტის მუზეუმის** თანამშრომლები – დოქტორი რიჩარდ ცახარუკი, ალექსანდრა ნოიბაუერი (მაინის ფრანკფურტის ხატების მუზეუმიდან) და მუზეუმის სხვა თანამშრომლები. სტუმრებმა დაათვალიერეს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ხელნაწერები და დოკუმენტები, ასევე იშვიათ გამოცემათა კაბინეტი, პირველნაბეჭდი ქართულ-იტალიური ლექსიკონი, ბიბლია და ა.შ. ვიზიტის ფარგლებში დაიგეგმა ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრსა და ფრანკფურტის მუზეუმს შორის სამომავლო თანამშრომლობა.

▪ 17 მაისს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს ესტუმრა **ირანის ტელევიზია და მკვლევართა ჯგუფი**. თანამედროვე თაობამ ირანში ცოტა რამ იცის ირან-საქართველოს ურთიერთობებზე და საქართველოს ისტორიის შესახებ. ამიტომ ვიზიტორთა მიზანი იყო დღევანდელი და უძველესი ისტორიული საქართველოს, ირანული კულტურული მემკვიდრეობის აღწერა, რომელიც საქართველოში ინახება და ამ ყველაფრის ფილმში ასახვა. სამუშაო ჯგუფი იმყოფებოდა ასევე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც შეხვდნენ ირანისტებს, დაათვალიერეს ეროვნული არქივი; ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში კი დაათვალიერეს ქართულ-სპარსული, სპარსული და არაბული ისტორიული დოკუმენტები.

▪ 18 მაისს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს **ფრანგი მეცნიერები** ესტუმრნენ. მათ საგამოფენო დარბაზში დაათვალიერეს წარმოდგენილი მულაჟები, ასევე ორიგინალი ხელნაწერები და საისტორიო საბუთები.

▪ 23 მაისს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს ეწვია **შვედი მწერალი კრისტინა კარლსონი**. მისი სამწერლო დებიუტი 1996 წელს შედგა. მას შემდეგ ოცამდე საკუთარი ნამუშევარი და მრავალი თარგმანი აქვს გამოქვეყნებული, ასევე თანამშრომლობს სხვადასხვა ლიტერატურულ ჟურნალთან. იგი არის რედაქტორი და თავისუფალი პროექტების ხელმძღვანელი კულტურის სფეროში. 2012 წლიდან ხელმძღვანელობს შვედეთის ბუშვიკის წიგნის კლუბს მუსიკოს თომას ტელერთან ერთად. მწერალმა დაათვალიერა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საცავები და უნიკალური ხელნაწერები.

▪ 27 მაისს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს **ირანის ელჩი – აბას თალეზი ფარი** და მისი მრჩეველი – აბას რეზაფური ესტუმრნენ. მათ სპარსული ხელნაწერები და სხვა ისტორიული დოკუმენტები დაათვალიერეს. ვიზიტის ფარგლებში დაიგეგმა მემორანდუმის გაფორმება.

▪ 31 მაისს ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა, ილიას უნივერსიტეტის განათლების მიმართულების სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში, უმასპინძლა 52-ე საჯარო სკოლის VIII კლასის მოსწავლეებს, რომლებიც მუშაობენ თემაზე **„შატბერდული ხელნაწერები“**. პედაგოგმა ცენტრში ჩაატარა საჩვენებელი ვაკევილი და მწერლობის კულტურის შესახებ, ხოლო შემდეგ მოსწავლეებს საშუალება ჰქონდათ გაცნობოდნენ გამოფენას – „ქართული ხელნაწერი“ და კომპიუტერულ-შემცნებით პროგრამას – „ხელნაწერი ნიგნის შექმნა“.

▪ 3 ივნისს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში სტუმრად იყვნენ **ხაშურის მე-8 საჯარო სკოლის მოსწავლეები**. პროექტმა **„სტუდებიდან პოლიგრაფიამდე“**, რომელიც VIII კლასის მოსწავლეებთან ხორციელდება, ერთი დღით ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში გადმოინაცვლა. ცენტრი მოსწავლეებს მეცნიერმა მიხეილ ქავთარიამ გააცნო. ბავშვებმა ბევრი საინტერესო ინფორმაცია მოისმინეს ხელნაწერების შესახებ. ასევე მათ დაათვალიერეს ცენტრის უძველესი გამოცემების კაბინეტი, სადაც პირველი ნაბეჭდი ქართული ნიგნი – ქართულ-იტალიური ლექსიკონი ნახეს. გარდა ამისა, მოსწავლეებს რესტავრაციისა და კონსერვაციის ლაბორატორიის თანამშრომლებმა – შორენა თავაძემ და ნანა კოპალეიშვილმა სარესტავრაციო პროცესების შესახებ ჩაუთარეს ლექცია; ბავშვებს თავადაც ჰქონდათ საშუალება ჩართულიყვნენ რესტავრაციის პროცესში. მათ ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული საგანძურის შესახებ ცენტრის განათლებისა და გამოფენების განყოფილების ხელმძღვანელი ნესტან ბაგაური ესაუბრა.

▪ 10 ივნისს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში სტუმრად იმყოფებოდა დოქტორი **შტეფან ზოლტეკი**, ოფენბახის კლინიკისპირის მუზეუმის წარმომადგენელი. მან დაათვალიერა ცენტრის საგამოფენო სივრცეში წარმოდგენილი გამოფენა – უძველესი ხელნაწერების ასლები და, ასევე, რამდენიმე ორიგინალი ხელნაწერი. სტუმარს უმასპინძლა საგარეო ურთიერთობათა განვითარებისა და განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა თამარ ჭუმბურიძემ, რომელიც შტეფან ზოლტეკს ცენტრში დაცული ხელნაწერების ისტორიასა და მნიშვნელობაზე ესაუბრა.

▪ 10 ივნისს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს ეწვივნენ **სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი ვაჟა ვარდიძე და ფრაიბურგის უნივერსიტეტის პროფესორები**. სტუმრებმა ცენტრში დაცული ხელნაწერების ასლები და რამდენიმე ორიგინალი ხელნაწერი იხილეს. ასევე მათ დაათვალიერეს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის უძველესი ხელნაწერების საცავი.



▪ 2 სექტემბერს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს ესტუმრა განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **ალექსანდრე ჯეჯელავა**. ვიზიტი გაცნობითი ხასიათის იყო. მინისტრმა დაათვალიერა ცენტრის საცავებში დაცული უნიკალური ხელნაწერი კოლექციები, რესტავრაცია-კონსერვაციისა და დიגיტალიზაციის ლაბორატორიები. ასევე დაათვალიერა მემორიალური და იშვიათ გამოცემათა კაბინეტები. გარდა ამისა, განათლების მინისტრი შეხვდა ცენტრის თანამშრომლებს, რომლებმაც ისაუბრეს ცენტრის მნიშვნელობასა და ფუნქციებზე.

▪ 14 სექტემბერს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს ესტუმრნენ ვიქტორინაში – **„ნაიკითხე საქართველო“** – მონაწილეები და მათი მეგობრები. სპეციალურად მათთვის ჩატარდა ექსკურსია, მათ დაათვალიერეს იშვიათ გამოცემათა და ივანე ჯავახიშვილის მემორიალური კაბინეტები. სტუმრებმა დაათვალიერეს როგორც უძველესი ხელნაწერების მულაჟები, ასევე იხილეს რამდენიმე ქართული, სომხური და არაბული ხელნაწერის ორიგინალი. ვიქტორინაში გამარჯვებულებს საჩუქრად გადაეცათ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მიერ გამოცემული ალბომები.

▪ 14 სექტემბერს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში სტუმრად იმყოფებოდნენ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული საზაფხულო სკოლის მონაწილეები გერმანიის, ბრიტანეთისა და ნიდერლანდების უნივერსიტეტებიდან. ცენტრში სტუდენტებმა დაათვალიერეს მუდმივმოქმედი გამოფენა, ასევე რამდენიმე ქართული, ბერძნული და სომხური ორიგინალი ხელნაწერი. გარდა ამისა, მათ ჩაუტარდათ ლექცია ქართული ხელნაწერების შესახებ.

▪ 24 ოქტომბერს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს ეწვივნენ ლტოლვილთა ინტეგრაციის ცენტრის **„ლია სახლის“** ბენეფიციარები არაბულენოვანი და რუსულენოვანი ქვეყნებიდან. სტუმრები გაეცნენ ცენტრში დაცულ არაბულ და ქართულ ხელნაწერებს, ჩაუტარდათ მოკლე საინფორმაციო ლექცია ცენტრში დაცული ექსპონატების შესახებ. გარდა ამისა, მათ დაათვალიერეს ცენტრის იშვიათ გამოცემათა კაბინეტი. შეხვედრის ბოლოს სტუმრებს გადაეცათ სიმბოლური საჩუქრები.

## მემორანდუმი

▪ 9 მარტს **კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრსა და საქართველოს საავტორო უფლებების დაცვის ასოციაციას შორის მემორანდუმი გაფორმდა**. მემორანდუმის გაფორმების მიზანია ამ ორგანიზაციებს შორის სამომავლო მჭიდრო ურთიერთობების ჩამოყალიბება. ღონისძიების ფარ-

გლებში ცენტრის მეცნიერ-თანამშრომლებმა მოისმინეს პრეზენტაცია, რომელიც ასოციაციის საქმიანობას და ცენტრთან სამომავლო თანამშრომლობას ეხებოდა. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი არის უდიდესი ხელნაწერი მემკვიდრეობის საცავი საქართველოში. იგი ემსახურება ხელნაწერი მემკვიდრეობის პოპულარიზაციას. სამეცნიერო პროდუქციის შექმნის გზით ხელს უწყობს ქვეყნის ინტელექტუალური პოტენციალის ზრდასა და განვითარებას. შესაბამისად, ძალიან მნიშვნელოვანია შექმნილი სამეცნიერო პროდუქციის საავტორო უფლებების დაცვა.

## სამეცნიერო კონფერენციები

- 4 თებერვალი – „ძველი ქართული ფილოლოგია“. კონფერენცია მიეძღვნა აკადემიკოს მზექალა შანიძის 90 წლის იუბილეს.
- 19 აპრილი – „კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე – 150“. კონფერენცია მიეძღვნა კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატე ცინცაძის დაბადების 150 წლისთავს.
- 25 აპრილი – „კოდეკოლოგიურ-პალეოგრაფიული ძიებანი“. კონფერენცია მიეძღვნა თამარ ბრეგაძის ხსოვნას.
- 24–25 ნოემბერი – ილია აბულაძისადმი მიძღვნილი VI სამეცნიერო კონფერენცია. კონფერენცია მიეძღვნა ილია აბულაძის დაბადების 115-ე წლისთავს.
- 14 დეკემბერი – „ქართული ხელნაწერი საზღვარგარეთ“.

## სამეცნიერო ანგარიში

- 25 იანვარი – ხელნაწერთმცოდნეობის ინსტიტუტის (დეპარტამენტის) სამეცნიერო განყოფილებების 2015 წლის მუშაობის ანგარიშების მოსმენა. ანგარიშში წარმოადგინეს კოდეკოლოგიისა და ტექსტოლოგიის, წყაროთმცოდნეობისა და დიპლომატიკის, ხელოვნებათმცოდნეობის განყოფილებების ხელმძღვანელებმა, არქივთმცოდნეობის განყოფილების ანგარიში წარმოადგინა ცენტრის სწავლულმა მდივანმა.



▪ 2 სექტემბერს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს ესტუმრა განათლების მინისტრის მოადგილე ალექსანდრე ჯაფარიძე. ვიზიტი გაცნობითი ხასიათის იყო. მინისტრმა დაათვალიერა ცენტრის საცავეებში დაცული უნიკალური ხელნაწერი კოლექციები, რესტავრაცია-კონსერვაციისა და დიგიტალიზაციის ლაბორატორიები. ასევე დაათვალიერა მემორიალური და იშვიათ გამოცემათა კაბინეტები. გარდა ამისა, განათლების მინისტრი შეხვდა ცენტრის თანამშრომლებს, რომლებმაც ისაუბრეს ცენტრის მნიშვნელობასა და ფუნქციებზე.

▪ 14 სექტემბერს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს ესტუმრნენ ვიქტორინაში – „ნაიკითხე საქართველო“ – მონაწილეები და მათი მეგობრები. სპეციალურად მათთვის ჩატარდა ექსკურსია, მათ დაათვალიერეს იშვიათ გამოცემათა და ივანე ჯავახიშვილის მემორიალური კაბინეტები. სტუმრებმა დაათვალიერეს როგორც უძველესი ხელნაწერების მულაჟები, ასევე იხილეს რამდენიმე ქართული, სომხური და არაბული ხელნაწერის ორიგინალი. ვიქტორინაში გამარჯვებულებს საჩუქრად გადაეცათ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მიერ გამოცემული ალბომები.

▪ 14 სექტემბერს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში სტუმრად იმყოფებოდნენ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული საზაფხულო სკოლის მონაწილეები გერმანიის, ბრიტანეთისა და ნიდერლანდების უნივერსიტეტებიდან. ცენტრში სტუდენტებმა დაათვალიერეს მუდმივმოქმედი გამოფენა, ასევე რამდენიმე ქართული, ბერძნული და სომხური ორიგინალი ხელნაწერი. გარდა ამისა, მათ ჩაუტარდათ ლექცია ქართული ხელნაწერების შესახებ.

▪ 24 ოქტომბერს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს ეწვივნენ ლტოლვილთა ინტეგრაციის ცენტრის „ღია სახლის“ ბენეფიციარები არაბულენოვანი და რუსულენოვანი ქვეყნებიდან. სტუმრები გაეცნენ ცენტრში დაცულ არაბულ და ქართულ ხელნაწერებს, ჩაუტარდათ მოკლე საინფორმაციო ლექცია ცენტრში დაცული ექსპონატების შესახებ. გარდა ამისა, მათ დაათვალიერეს ცენტრის იშვიათ გამოცემათა კაბინეტი. შეხვედრის ბოლოს სტუმრებს გადაეცათ სიმბოლური საჩუქრები.

## მემორანდუმი

▪ 9 მარტს კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრსა და საქართველოს საავტორო უფლებების დაცვის ასოციაციას შორის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმის გაფორმების მიზანია ამ ორგანიზაციებს შორის სამომავლო მჭირდო ურთიერთობების ჩამოყალიბება. ღონისძიების ფარ-

გლებში ცენტრის მეცნიერ-თანამშრომლებმა მოისმინეს პრეზენტაცია, რომელიც ასოციაციის საქმიანობას და ცენტრთან სამომავლო თანამშრომლობას ეხებოდა. ხელნაერთა ეროვნული ცენტრი არის უდიდესი ხელნაერთი მემკვიდრეობის საცავი საქართველოში. იგი ემსახურება ხელნაერთი მემკვიდრეობის პოპულარიზაციას. სამეცნიერო პროდუქციის შექმნის გზით ხელს უწყობს ქვეყნის ინტელექტუალური პოტენციალის ზრდასა და განვითარებას. შესაბამისად, ძალიან მნიშვნელოვანია შექმნილი სამეცნიერო პროდუქციის საავტორო უფლებების დაცვა.

## სამეცნიერო კონფერენციები

- 4 თებერვალი – „ძველი ქართული ფილოლოგია“. კონფერენცია მიეძღვნა აკადემიკოს მზექალა შანიძის 90 წლის იუბილეს.
- 19 აპრილი – „კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე – 150“. კონფერენცია მიეძღვნა კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატე ცინცაძის დაბადების 150 წლისთავს.
- 25 აპრილი – „კოდიკოლოგიურ-პალეოგრაფიული ძიებანი“. კონფერენცია მიეძღვნა თამარ ბრეგაძის ხსოვნას.
- 24–25 ნოემბერი – ილია აბულაძისადმი მიძღვნილი VI სამეცნიერო კონფერენცია. კონფერენცია მიეძღვნა ილია აბულაძის დაბადების 115-ე წლისთავს.
- 14 დეკემბერი – „ქართული ხელნაერთი საზღვარგარეთ“.

## სამეცნიერო ანგარიში

▪ 25 იანვარი – ხელნაერთმცოდნეობის ინსტიტუტის (დეპარტამენტის) სამეცნიერო განყოფილებების 2015 წლის მუშაობის ანგარიშების მოსმენა. ანგარიში წარმოადგინეს კოდიკოლოგიისა და ტექსტოლოგიის, წყარომცოდნეობისა და დიპლომატიკის, ხელოვნებათმცოდნეობის განყოფილებების ხელმძღვანელებმა, არქივთმცოდნეობის განყოფილების ანგარიში წარმოადგინა ცენტრის სწავლულმა მდივანმა.

## სამინარაზი და ლექციები:

▪ 10 თებერვალი – კორნელი კეკელიძის სახელობის რიგით 115-ე სამეცნიერო სემინარზე **გიორგი მაჭარაშვილმა** წაიკითხა მოხსენება **ქართული ეროვნული სიმბოლიკის კვლევის პრობლემურ და აქტუალურ საკითხებზე**.

▪ 30 მარტი – გერმანელმა თეოლოგმა და აღმოსავლეთმცოდნემ, ტიუბინგენის უნივერსიტეტის პროფესორმა **ჰერმან ლიპტენბერგერმა** წაიკითხა მოხსენება **„ღმერთის სახელი მკვდარი ზღვის რეგიონის ტექსტებში“**. პროფესორმა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ბიბლიოთეკას საჩუქრად გადასცა ტიუბინგენის უნივერსიტეტის მიერ გამოცემული ბიბლიის ატლასი.

▪ 24 ოქტომბერი – ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ხელოვნებათმცოდნე ირინა იაზიკოვამ წაიკითხა ლექცია: **„ხატების სახელოვნებო და საღვთისმეტყველო ენა“**. ირინა იაზიკოვა არის რუსეთში მოღვაწე კულტუროლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, წმ. ანდრია მოციქულის სახელობის ბიბლიურ-საღვთისმეტყველო ინსტიტუტის დოცენტი, კოლომენსკის სასულიერო სემინარიის პროფესორი, სინოდის ბიბლიური-საღვთისმეტყველო კომისიისა და ხელოვნების, არქიტექტურისა და რესტავრაციის საპატრიარქოსთან არსებული საექსპერტო საბჭოს წევრი; ნიგნების ავტორი უძველესი და თანამედროვე ხატუნების შესახებ.

## უცხოეთში წაკითხული მოხსენებები

▪ ქეთევან ტატიშვილი: **„ქართველი ათონელი მამების ჰიმნები მე-18 საუკუნის ერთ ლიტურგიკულ კრებულში“**. 36-ე საერთაშორისო სიმპოზიუმი – **„ბიზანტიური და პოსტ-ბიზანტიური ხელოვნება და არქეოლოგია“**. ათენი, საბერძნეთი. 20-22 მაისი, 2016 წ.

▪ ნინო ქავთარია: **„სამხრეთ კავკასიიდან ანტიოქიამდე: მხატვრული ცვლილებები ქართული წიგნის მხატვრობაში“**. 36-ე საერთაშორისო სიმპოზიუმი – **„ბიზანტიური და პოსტ-ბიზანტიური ხელოვნება და არქეოლოგია“**. ათენი, საბერძნეთი. 20-22 მაისი, 2016 წ.

▪ დალი ჩიტუნაშვილი: **„ტაო-კლარჯეთის ხელნაწერი მემკვიდრეობა“**. კონფერენცია – **„ტაო-კლარჯეთი“**. ოქსფორდი, დიდი ბრიტანეთი. 17-19 ივნისი, 2016 წ.

- ნინო ქავთარია: „კამარათა გაფორმება XI საუკუნის სომხურ და ქართულ ხელნაწერებში“. მესტიის ოთხთავის მაგალითზე. ისტორიული ტაიკი: ისტორია, კულტურა, კონფესია. ერევანი, სომხეთი. 22-26 ივნისი, 2016 წ.
- მანუჩარ გუნცაძე: „Prejudice as the Control Method of the Soviet Union (Example from the Modern History of Georgia). Dynamics and Policies of Prejudice from the Eighteenth to the Twenty-First Century“. საპინეცას უნივერსიტეტი. რომი, იტალია. 23-24 ივნისი, 2016 წ.
- ხათუნა გაფრინდაშვილი: „მესრობ-მაშტოცის ცხოვრება სომხური სვინაქსარების მიხედვით“. კავკასიის რეგიონი, ისტორია, პოლიტიკა და კულტურა. ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ერევანი, სომხეთი. 27 ივნისი, 2016 წ.
- ქეთევან ტატიშვილი: „ათონელი მამების საგალობლები XVIII საუკუნის ერთ ლიტურგიკულ კრებულში“. ბიზანტინისტთა 23-ე საერთაშორისო კონგრესი. ბელგრადი, სერბეთი. 22-27 აგვისტო, 2016 წ.
- ნინო ქავთარია: „ბიზანტიურ-ქართული მხატვრული ურთიერთობები მე-12 საუკუნეში: გელათის ოთხთვი და ჩოდ.რ.93 ათენის ბიბლიოთეკიდან“. ბიზანტინისტთა 23-ე საერთაშორისო კონგრესი. ბელგრადი, სერბეთი. 22-27 აგვისტო, 2016 წ.
- ეკა დულაშვილი: „On the one aspect of the old Georgian translation technique (As Exemplified by the old Georgian translations of the Byzantine Hymnography)“. ბიზანტინისტთა 23-ე საერთაშორისო კონგრესი. ბელგრადი, სერბეთი. 22-27 აგვისტო, 2016 წ.
- ვლადიმერ კეკელია, დიმიტრი გურგენიძე: „Архивоведение и оцифровка в Национальном центре рукописей им. К. Кекелидзе“. EL'MANUSCRIPT-2016, Textual Heritage and Information Technologies. ვილნიუსი, ლიტვა. 22-28 აგვისტო, 2016 წ.
- ნინო ქავთარია: „კრეტული ხელოვნების გავლენა სანკტ-პეტერბურგის ბიბლიოთეკაში დაცული ბერძნულ-ქართული ხელნაწერის მინიატიურებზე. კრეტული კვლევების მე-12 საერთაშორისო კონგრესი. ირაკლიო, საბერძნეთი. 21-25 სექტემბერი, 2016 წ.
- ნინო ქავთარია. ათონის მთის დასურათებული ქართული ხელნაწერები და მათი მხატვრული კავშირი ქრისტიანული სამყაროს ტრადიციებთან. ათონის მთა – მართლმადიდებლური ქრისტიანობის ნათელი“. კულტურული ურთიერთობები. სანკტ-პეტერბურგი, რუსეთი. 5-7 ოქტომბერი, 2016 წ.

- ნათია მიროტაძე: „*The Book of Esther in the Daughter Versions, Common Features of Old Armenian, Georgian and Latin Versions Inherited from the Parent (Greek) Text*“. ბიბლიის სომხური თარგმანი და მისი პუბლიკაციები (კონფერენცია ეძღვნება სომხური ბიბლიის პირველი ბეჭდური გამოცემის 350-ე წლისთავს). ეჩმიადინი, სომხეთი. 6-7 ოქტომბერი, 2016 წ.
- ნათია მიროტაძე. „*The «Lucianic» Text in The Old Georgian Versions of I Samuel*“. ბიბლიური ლიტერატურის საზოგადოების ყოველწლიური კონფერენცია. სან ანტონიო, ტეხასი, აშშ. 19-22 ნოემბერი, 2016 წ.
- დალი ჩიტუნაშვილი: „ტაო-კლარჯეთის ხელნაწერი მემკვიდრეობა“. XXI სალეთისმეტყველო კონფარენცია. მოსკოვი, რუსეთი. 24-27 ნოემბერი, 2016 წ.
- შორენა თავაძე: „მე-15 ს. ეტრატზე შესრულებული ფრაგმენტის რესტავრაცია-კონსერვაციის შესახებ“. II Международная научно-практическая конференция – „Сохранение культурного наследия. Исследования и реставрация“ в рамках V Санкт-Петербургского международного культурного форума. სანკტ-პეტერბურგი, რუსეთი. 1-3 დეკემბერი, 2016 წ.
- რევაზ კლდიაშვილი, იზო ჯიქიძე, შორენა თავაძე: „Некоторые проблемы реставрации пергаментных документов и их хранение. II Международная научно-практическая конференция – „Сохранение культурного наследия. Исследования и реставрация“ в рамках V Санкт-Петербургского международного культурного форума. სანკტ-პეტერბურგი, რუსეთი. 1-3 დეკემბერი, 2016 წ.“
- ნინო კობაური, ბუბა კუდავა: „ძველი ქართული სამნიგნობრო კერები (ორენოვანი მონაცემთა ბაზა და ელექტრონული რუკა). ნმ. გრიგოლ ფერაძის სახელობის ქართველოლოგთა XV საერთაშორისო კონფერენცია“. მიეძღვნა შოთა რუსთაველის დაბადების 850 წლისთავს. ვარშავის უნივერსიტეტი, ორიენტალისტიკის ფაკულტეტის აღმოსავლეთ ევროპის კვლევის ცენტრი. ვარშავა, პოლონეთი. 6-8 დეკემბერი, 2016 წ.

## მივლინებები

**ზაზა აბაშიძე** – 2016 წლის 18- 21 იანვარი, მივლინებულ იქნა დიდ ბრიტანეთში, ლონდონსა და ოქსფორდში, სამომავლო თანამშრომლობის განხილვისა და ქართულ ხელნაწერთა გამოფენის მიზნით.

**ზაზა აბაშიძე** – 2016 წლის 21-24 მარტი, მივლინებულ იქნა დიდ ბრიტანეთში, ლონდონსა და ოქსფორდში, სამომავლო თანამშრომლობის განხილვისა და ქართულ ხელნაწერთა გამოფენის მიზნით.

**ზაზა აბაშიძე** – 2016 წლის 21-25 აპრილი, მივლინებულ იქნა უზბეკეთის რესპუბლიკაში, ქ. სამარყანდში, საერთაშორისო კონფერენციაში „ცენტრალური აზია – 2016“ მონაწილეობის მისაღებად.

**ზაზა აბაშიძე** – 2016 წლის 11-14 მაისი, მივლინებულ იქნა თურქეთის რესპუბლიკაში, ქ. სტამბულში, ქართული კულტურის დღეებისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად.

**ზაზა აბაშიძე** – 2016 წლის 7-16 სექტემბერი, მივლინებულ იქნა რუსეთის ფედერაციაში, ქ. მოსკოვში, წმინდა ტიხონის ჰუმანიტარულ მართლმადიდებლურ უნივერსიტეტში, სამეცნიერო თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების განსახილველად და ხელმოსაწერად, ასევე, რუსეთის არქივებში არსებული ქართული დოკუმენტების გასაცნობად.

**ზაზა აბაშიძე, მაია რაფავა, დალი ჩიტუნაშვილი** – 2016 წლის 23-26 ნოემბერი, მივლინებულ იქნენ რუსეთის ფედერაციაში, ქ. მოსკოვში, წმინდა ტიხონის ჰუმანიტარულ მართლმადიდებლურ უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაში – „ქართველოლოგია: პრობლემები და პერსპექტივები“ – მონაწილეობის მისაღებად.

**ზაზა აბაშიძე, რევაზ კლდიაშვილი** – 2016 წლის 10-13 დეკემბერი, მივლინებულ იქნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში, სინძიანის ავტონომიური რეგიონის კულტურული მემკვიდრეობის გაცნობისა და სამომავლო თანამშრომლობის განხილვის მიზნით.

**ნუგზარ პაპუაშვილი** – 2016 წლის 1 მაისიდან 31 ივლისამდე, მივლინებულ იქნა გერმანიაში, ქ. მიუნხენსა და ტიუბინგენში, კათოლიკური სამეცნიერო გაცვლითი სამსახურისაგან გამოყოფილი სტიპენდიით.

**თამარ ჭოხონელიძე, თამარ ჭუმბურიძე** – 2016 წლის 17-20 ოქტომბერი, მივლინებულ იქნენ ქ. ფრანკფურტში, 2018 წლის ნიგნის ბაზრობაზე საქართველოს სტუმარი ქვეყნის სტატუსით წარმოსადგენად.

მასალა მოამზადა კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის სწავლულმა მდივანმა შალვა გლოველმა


## 2015-2016 წლებში კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კოლექციებში შემოსული ახალი მასალები

შემომწირობის სახით ცენტრისთვის გადმოცემული მასალა:

- „ქართლის ცხოვრების“ XIX საუკუნის ნუსხა (შემომწირველი ზაალ აბაშიძე)
- მენარმის, ქველმოქმედისა და საზოგადო მოღვაწის გიორგი ქართველიშვილის პირადი არქივი (შემომწირველი ქეთევან ჯავახიშვილი).
- ისტორიკოს დარეჯან მეგრელაძის პირადი არქივი; I ფურცელი XV საუკუნის ხელნაწერიდან; XIX საუკუნის რამდენიმე ისტორიული დოკუმენტი და ბიბლიოთეკის ნაწილი (გადმოსცა მეცნიერის ქალიშვილმა, თამარ იაშვილმა).
- „საფილოსოფოსო სწავლებისა და მეცნიერების შესახებ“, ხელნაწერი, 1846 წ. (შემომწირველი ნათია ხიზანიშვილი).
- „მამაო ჩვენოს“ განმარტება და „წმინდა ჟამისწირვა“, XVIII საუკუნის ხელნაწერი (შემომწირველი ეკა ბესელია).
- „უამნის“ სასტამბო ამონაბეჭდის 4 ფურცელი ანტონ ნატროევის პირადი ბიბლიოთეკიდან (შემომწირველი ნინო ნატროშვილი).
- გამომცემლობა „არტანუჯმა“, ბ-ნ არიანე ჭანტურიას სურვილით, ცენტრს გადმოსცა აკაკი ჭანტურიას პირად არქივში დაცული იონა მეუნარგიას დღიური (ავტოგრაფული ნუსხა).
- ეკატერინე ვარდოსანიძემ ცენტრს გადმოსცა მის მიერ გადაწერილი „ვეფხისტყაოსანი“.
- „ნალკოტი ლოცვათა“, დაბეჭდილი 1887 წელს კონსტანტინოპოლში (შემომწირველი რამაზ ობოლაძე).
- ფილოლოგ სოლომონ ყუბანეიშვილის პირადი არქივი (გადმოსცა მეცნიერის ვაჟმა, არჩილ ყუბანეიშვილმა).
- ფილოლოგისა და მთარგმნელის, დალი ინეკირველის პირადი არქივი (გადმოსცა თეა ინეკირველმა).
- „პანკისის ხეობა (ისტორიულ-ეთნოგრაფიული და გეოგრაფიული აღწერა)“, პირველი ქისტი ეთნოლოგისა და მწერლის, მათე ომანის ძე ალბუთაშვილის ხელნაწერი თხზულება (გადმოცა გიორგი ჯავახიშვილის ფონდიდან).

### ცენტრმა შეისყიდა:


- XIX საუკუნის ლოცვანი (გრაგნილი).
- ისტორიული დოკუმენტები: ნასყიდობის წიგნი (1807 წ.); თეიმურაზ I-ის წერილის ასლი რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივიდან.



ენრიკო გაბიძაშვილი, ქართული ნათარგმნი ლიტურჯიკა, ჰიმნოგრაფია, 5, თბ., 2011 (520 გვ.)

რედაქტორები: ლ. ხევსურიანი, ლ. ჯღამაია.

ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი თხზულებათა დარგობრივი ბიბლიოგრაფიის სერიის მეხუთე წიგნში დამოუკიდებელ ნაკვეთებად შევიდა ლიტურჯიკა და ჰიმნოგრაფია; თითოეულ მათგანში წარმოდგენილია: შესავალი; ბიბლიოგრაფიის შედგენის პრინციპები; ნარკვევი შესაბამისი დარგის შესახებ; ტერმინოლოგია; თითოეული თხზულების ხუთპუნქტიანი ბიბლიოგრაფია; საძიებლები (ავტორთა, მთარგმნელთა, ხელნაწერთა) და სამეცნიერო ლიტერატურა.




ენრიკო გაბიძაშვილი, შრომები, III, თბ., 2011 (475 გვ.)

რედაქტორები: ე. ბერუაშვილი, ხ. ფაფინდაშვილი.

წიგნში შეტანილია ფილოლოგიური ნარკვევები, სამეცნიერო წერილები, საზღვარგარეთის ენციკლოპედიებში გამოქვეყნებული სტატიები (რუსულ, ინგლისურ და იტალიურ ენებზე) და სხვადასხვა ხასიათის რეცენზიები.

შრომების III ტ-ში, ისევე როგორც 2010 წელს გამოსულ I და II ტომებში, შეტანილია მასალა, რომელიც დაიბეჭდა პერიოდულ გამოცემებში, უკვე გამოქვეყნებული წიგნების შესავალი ნარკვევები, თუმცა რამდენიმე ნარკვევი და სამეცნიერო წერილი იბეჭდება პირველად. წიგნს ბოლოს ერთვის ავტორის შრომების სია 2010 წლამდე.




ენრიკო გაბიძაშვილი, ძველი ქართული ორიგინალური სასულიერო მწერლობა და თხზულებათა დარგობრივი ბიბლიოგრაფია, თბ., 2015 (688 გვ.)

რიგით მეშვიდე წიგნი, რომლითაც მთავრდება ნათარგმნი და ორიგინალური სასულიერო მწერლობის ძეგლების სრული მიმოხილვა მწერლობის დარგების მიხედვით.

წიგნში ძველი ქართული ორიგინალური მწერლობის თითოეული დარგი წარმოდგენილია დამოუკიდებელ ერთეულად, შესავალი წერილით, ნარკვევით, თხზულებათა ექვსპუნქტიანი ბიბლიოგრაფიით, საძიებლებით და სამეცნიერო ლიტერატურით.


\* ე. გაბიძაშვილის 2011-2012 წლებში გამოცემული წიგნები გამორჩენილია მრავალთავის 24-ე ტომში. ამიტომ ისინი შევითანეთ 25-ე ტომში.



**ასტრონომიული ხელნაწერები საქართველოში, შემდგომ გენლები: ი. სიმონია, თ. აბულაძე, ნ. ჩხიკვაძე, ლ. სამყურაშვილი, ც. სიმონია, ქ. პატარიძე; თამარ აბულაძის რედაქციით, თბ., 2015 (48 გვ.)**

ასტრონომიულ ხელნაწერთა კატალოგში, რომელიც მომზადდა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი პროექტის ფარგლებში (შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური ხელშეწყობით), წარმოდგენილია 360 ხელნაწერის მოკლე საკატალოგო მონაცემები და ინფორმაცია მათში შემავალი თხზულებების, ცხრილების, კალენდრებისა და სხვა მასალის ასტრონომიული შინაარსის შესახებ.

ხელნაწერთა ქრონოლოგიური საზღვრები მოიცავს საკმაოდ ვრცელ პერიოდს – X-XIX სს-ებს. კატალოგში ასახულია მონაცემები იოანე ზოსიმეს, აბუსერიძე ტბელის ორიგინალური შრომების, ბასილი დიდის, გრიგოლ ნოსელის, იოანე დამასკელის, ქრისტინა ვოლფის, ულუბეგის, ნასირ ედ-დინ ტუსის და სხვათა შრომების ქართული თარგმნების, ასევე, კალენდარული მასალის, ლექსიკონებისა და ენციკლოპედიების შესახებ. ქართული ხელნაწერების გარდა კატალოგში შესულია ინფორმაცია მუსლიმური აღმოსავლეთის ასტრონომებისა და მათემატიკოსების კლასიკური შრომების, ასევე, ანონიმი ავტორების თხზულებათა შემცველი ხელნაწერების შესახებ, რასაც, შესაძლოა, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდეს საქართველოსა და ახლო აღმოსავლეთის კულტურული და სამეცნიერო კავშირების კვლევის თვალსაზრისით.



**ლია კიკნაძე, ვასილ ჭილაძე - ახალი სახელი ქართულ ლექსიკოგრაფიაში, თბ., 2015 (262 გვ.)**


ლია კიკნაძის მონოგრაფია „ვასილ ჭილაძე – ახალი სახელი ქართულ ლექსიკოგრაფიაში“ ეძღვნება ე.წ. გარდამავალი პერიოდის მთარგმნელსა და სახელმწიფო მოღვაწეს, ვასილ მათეს ძე ჭილაძეს. ვ. ჭილაძე, როგორც იოანე ბატონიშვილის კულტურულ-საგანმანათლებლო ჯგუფის აქტიური წევრი, ცნობილი იყო მთარგმნებით რუსული ენიდან, მაგრამ მხოლოდ ვინაობა ნრემ თუ იცოდა მისი უდიდესი ღვაწლი უნიკალური ნაშრომის, „რუსეთის აკადემიის ლექსიკონის“ ექვსტომეულის (1789-1794 წწ.) თარგმნის საქმეში. მან ეს საპატიო, მაგრამ უმძიმესი სამუშაო შეასრულა 1812-1814

წლებში იოანე ბატონიშვილის დავალებითა და ზედამხედველობით.

მომდევნო საუკუნეებში ვ. ჭილაძის „საქები ღვაწლი“ დავიწყებას მიეცა და მის მიერ შექმნილი ორი ლექსიკონის – რუსულ-ქართულის (ხეც 2328 ა, ბ) და საბუნებისმეტყველო განმარტებითის (ხეც შ 3986) ავტორობა მიენერა იოანე ბატონიშვილს.

სხვადასხვა მასალისა და ზემოდასახელებული ლექსიკონების ავტოგრაფული ხელნაწერების კოდიკოლოგიურ-ტექსტოლოგიური შესწავლის საფუძველზე სრული უწყვე-

ელობით დადგინდა, რომ მათი შემოქმედია ვასილ ჭილაძე და არა იოანე ბატონიშვილი; ეს კი საწინდარია იმისა, რომ ვასილ ჭილაძე ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებს ქართული ლექსიკოგრაფიის ისტორიაში.



**არაბული ხელნაწერების მოკლე კატალოგი (AC კოლექცია), შეადგინეს რ. გვარამია, ლ. სამყურაშვილმა, ნ. ყანჩაველმა, თბ., 2015 (რუსულ ენაზე; 218 გვ.)**

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის აღმოსავლურ ფონდში დაცულია შუააზიური კოლექციის არაბული ხელნაწერების მოკლე კატალოგი: *Арабские рукописи Грузинского Национального Центра Рукописей им. К. Кекелидзе, (Коллекция АС), (Краткий каталог), Составители: Р.В. Гварамия, Н.Г. Канчавели, Л.В. Самкурашвили, Тб. 2015.*

აღნიშნული კოლექცია 1935 წელს ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებას გადასცა ცნობილმა აღმოსავლეთმცოდნემ, აკადემიკოსმა გიორგი წერეთელმა და ენათმეცნიერმა სტეფანე ჩხენკელმა. მათ კოლექცია შეიძინეს შუა აზიაში სამეცნიერო მივლინების დროს.

კატალოგში აღწერილი ხელნაწერები XIII-XIX საუკუნეებს განეკუთვნება. შინაარსის მხრივ ისინი მრავალ (23 ძირითად დარგს) უანრს მოიცავენ. კატალოგში, უმეტესად, წარმოდგენილია არაბულ სამყაროში ცნობილი და გავრცელებული თხზულებები. მათ გვერდით, ასევე, არის ნაკლებად ცნობილ ადგილობრივ ავტორთა შრომები, რომლებიც კოლექციას უფრო ღირებულს ხდის.

კატალოგი აგებულია დარგობრივი პრინციპით; ახლავს შესაბამისი სამეცნიერო აპარატი – წინასიტყვაობა რუსულ და ინგლისურ ენებზე, საძიებლები და კონკორდანსი. იგი, ვფიქრობთ, კარგი შენაძენი იქნება არაბისტებისა და, ასევე, შუააზიის ისტორიისა და კულტურის შემსწავლელთათვის.




**ბიბლიური სიუჟეტები ქართულ ხელნაწერთა გაფორმებაში, შეადგინეს ნ. ქავთარიამ, ქ. ტატიშვილმა, ე. დულაშვილმა, თბ., 2016 (96 გვ.)**

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებული პროექტის ფარგლებში „ბიბლიური სიუჟეტები (ძველი და ახალი აღთქმა) ქართულ ხელნაწერთა გაფორმებაში“ გამოიცა ალბომი ნინო ქავთარიას, ეკა დულაშვილისა და ქეთევან ტატიშვილის მონაწილეობით.

ალბომი მოიცავს ქართულ დასურათებულ ხელნაწერებში დაცული ბიბლიური ტექსტების ყველაზე მეტად გავრცელებულ სიუჟეტებსა და ძირითად ქრისტოლოგიურ დოგმატებთან გაიგივებულ კომპოზიციებს, ქრისტოლოგიურ და ღვთისმშობლის დღესასწაულების იმ ციკლებს, რომლებიც ქმნიან მინიატიურათა სიუჟეტების ძირითად საფუძველს.

ნაშრომში მიმოხილულია ხელნაწერების საუფლო დღესასწაულების (ქრისტოლოგიური და ღვთისმშობლის ციკლის) სქემები, რომელთა წყაროებია ბიბლიური, ჰომილეთიკური, ჰიმნოგრაფიული, აპოკრიფული, ეგზეგეტიკური ლიტერატურული ტექსტები.

ნაშრომში ნაჩვენებია, რომ საუკუნეების მანძილზე მინიატიურები ლაიკონური კომპოზიციიდან რთულისკენ ვითარდებოდა და ემატებოდა საღვთისმეტყველო შინაარსის მატარებელი ელემენტები. ეს განვითარება კი შესაბამისი წყაროტექსტების შინაარსობრივი და ჟანრობრივი განვითარების ანალოგიურად მიმდინარეობდა.



**თამარ ოთხმეზური, მაქსიმე აღმსარებლის *Ambiguorum liber* ქართულ მთარგმნელობით ტრადიციაში, თბ., 2016 (260 გვ.)**

ადრექრისტიანული საეკლესიო მწერლობის უდიდესი წარმომადგენლის, მაქსიმე აღმსარებლის ნაშრომი *Ambiguorum liber* (შედგება ორი თხზულებისაგან – *Ambigua ad Iohannem* და *Ambigua ad Thomam*) შუა საუკუნეების ქართული მნივანობრული ტრადიციისათვის კარგად არის ცნობილი: ნაკვეთები *Ambigua ad Iohannem*-იდან წარმოდგენილია ექვთიმე ათონელის მიერ ნათარგმნ კომენტარული ხასიათის თხზულებათა „თარგმანებაჲ ძინიად გულსინჯისსაყოფელთა სიტყუათა ქრისტეს შობის საკითხავისათა“, რომელიც განმარტავს და ერთვის გრიგოლ ღვთისმეტყველის „შობის“ საკითხავს ამ ავტორის საკითხავთა ექვთიმესეული

თარგმანების კრებულებში; ფრაგმენტები *Ambigua ad Iohannem*-იდან და *Ambigua ad Thomam*-დან, რომელთა თარგმანიც გელათის მნივანობრულ სკოლაშია შესრულებული, დასტურდება XII-XIII საუკუნეების კრებულში – A-52-ში.

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია: (1) გრიგოლ ღვთისმეტყველის „შობის“ საკითხავისა და მაქსიმე აღმსარებლის *Ambigua ad Iohannem*-ის ნაკვეთების შემცველი თხზულების ექვთიმე ათონელისეული თარგმანის დიპლომატურ-ინტერპრეტაციული გამოცემა (*edizione diplomatico-interpretativa*), რომელიც ეფუძნება *Ath. geo.* 68-ს; (2) *Ambiguorum liber*-ის ფრაგმენტების გელათური თარგმანის კრიტიკული გამოცემა.

გამოკვლევაში, რომელიც უძღვის ტექსტების პუბლიკაციას, ყურადღება გამახვილებულია ექვთიმე ათონელის თარგმანების შემცველ ხელნაწერზე – *Ivir. geo.* 68 (X საუკუნის ბოლო). ხელნაწერის ძირითად ტექსტში არაფორმალური ხელით შეტანილი ჩანართებისა და იმავე არაფორმალური ხელით შესრულებული ექვთიმეს პირადი მოსახსენებლის ანალიზის საფუძველზე გამოითქმულია თვალსაზრისი, რომ *Ivir. geo.* 68 წარმოადგენს გადამწერთა მიერ სპეციალურად სწორებისა და რედაქტირებისათვის დაწერილ ტექსტს, რომელზეც მთარგმნელს აქვს ჩატარებული სარედაქციო სამუშაო. გამოკვეთილია, ასევე, შუა საუკუნეების ტექსტებზე მუშაობის სპეციფიკა – თარგმანის ზეპირი გზით შექმნისა და კარნახით ჩანარის მეთოდი, რომელიც ტექსტების წერილობითი გზით შექმნის პარალელურად არსებობდა როგორც დასავლურ, ისე აღმოსავლურ ქრისტიანულ მნივანობრულ ტრადიციაში; *Ivir. geo.* 68-ში

დაცული თარგმანები ექვთიმეს მიერ ზეპირი გზით შექმნილი ტექსტები უნდა იყოს, რომლებიც ექვთიმეს თანაშემწეთა მიერ მთარგმნელის კარნახით არის ჩანერილი და შემდგომ რედაქტირებული ექვთიმეს მიერ.

გამოკვლევაში შესწავლილია, ასევე, ექვთიმე ათონელისეული და გელათური თარგმანების მიმართება ბერძნულ ორიგინალთან, მთარგმნელობითი მეთოდები, რომლებსაც მიმართდნენ მნიგნობრები მაქსიმე აღმსარებლის ტექსტებზე მუშაობისას და სხვ.

ტექსტებს ერთვის ბერძნულ-ქართული და ქართულ-ბერძნული ლექსიკონები, პირთა საძიებელი, რეზიუმე ინგლისურ ენაზე.



**ძველი ალექსის მინიატიურები ქართულ ხელნაწერებში (XI-XVII სს.), ალბომი შეადგინეს მ. კარანაძემ, ვ. კეკელიძემ, ელ. მაჭავარიანმა. თბ., 2016 (256 გვ.)**


ბიბლიური სიუჟეტები სახვით ხელოვნებაში ყოველთვის იპყრობდა და ამჟამადაც იპყრობს საზოგადოების ყურადღებას. სწორედ ეს გამოსახულებები გვაგებინებენ, თუ როგორ უახლოვდება და შეიცნობს ადამიანი კაცობრიობის ამ უმნიშვნელოვანესი წიგნის სამყაროს, როგორ აისახება ბიბლიის კანონით განსაზღვრულ მონუმენტურ თუ მინიატიურულ მხატვრობაში ეპოქის სულისკვეთება, მისი მხატვრული აზროვნების სიღრმე.

წინამდებარე გამოცემაში თავმოყრილია ძველი ალექსის 252 მინიატიურა, რომლებითაც შემკულია XI-

XVIII სს-ში შექმნილი 17 ქართული ხელნაწერი წიგნი. უდიდესი ნაწილი ძველი ალექსის მინიატიურებისა XV-XVII სს-ით დათარიღებული ფსალმუნების ილუსტრაციას ემსახურება. მასალა დალაგებულია თემატურად, ხოლო თითოეული თემის ფარგლებში – ბიბლიური ისტორიის ქრონოლოგიის გათვალისწინებით. ერთი და იგივე თემატური სიუჟეტი წარმოდგენილია სხვადასხვა ეპოქაში შექმნილი ხელნაწერების საფუძველზე.

ალბომში წარმოჩენილია ქართული ხელნაწერი წიგნის, როგორც ერთიანი კოდექსის, ილუსტრირების პრინციპები, შინაარსობრივი და მხატვრულ-დეკორატიული ასპექტების ერთიანობა. თითოეულ გამოსახულებას ერთვის ბიბლიის შესავცყისი მუხლის მითითებაც, რაც, გარდა მინიატიურებს მხატვრული ღირსებისა, მათი შემეცნებითი მნიშვნელობის ხაზგასმასაც ემსახურება. ალბომი წარმოგვიდგენს არა მხოლოდ სიუჟეტურ კომპოზიციებს, არამედ XII ს-ის მდიდრულად ილუსტრირებული ოთხთავების მოხატულობაში არსებულ ძველი ალექსის სიმბოლოებსაც.


წინამდებარე გამოცემაში სრულად არის თავმოყრილი და ქრონოლოგიური თვალსაზრისით განთავსებული კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ძველი ალექსის სიუჟეტებისა თუ სახე-სიმბოლოების XI-XVIII სს-ში შექმნილი ყველა გამოსახულება. ვფიქრობთ, ალბომი დიდ დახმარებას გაუწევს ქართული წერილობითი კულტურის ისტორიით დაინტერესებულ პროფესიონალებსა და ფართო საზოგადოებას, რათა საფუძვლიანად გაეცნონ ბიბლიური თემატიკის ქართული ხელნაწერი წიგნების შექმნისა და მხატვრული გაფორმების პრინციპებს (256 გვ.).



**ნოდარ (ნუკრი) შოშიაშვილის პირადი არქეოლოგიის ალნერილობა (4), თბ., 2016 (92 გვ.)**

გამოცემაში შესულია ისტორიკოს ნოდარ შოშიაშვილის მიერ გამოქვეყნებულ ნაშრომთა ნუსხა, რაც მოიცავს: მონოგრაფიებსა და სამეცნიერო სტატიებს, კონფერენციებზე წაკითხულ მოხსენებათა თეზისებს, საენციკლოპედიო სტატიებს, მის მიერ შედგენილ რუკებს, მისივე რედაქტორობით გამოცემულ შრომებს, ბიოგრაფიის ამსახველ მასალას, ფოტოებს, საზოგადოებრივი და შემოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველ მასალას, წარწერებსა და მიმოწერას. გამოცემას დართული აქვს პირთა და დარგობრივი საძიებლები.

არქივი დაამუშავა და გამოსაცემად მოამზადა ვლადიმერ კეკელიამ ამირან ბასილაშვილისა და ირმა ბერიძის მონაწილეობით.




**სერგი გორგაძის პირადი არქეოლოგიის ალნერილობა (5), თბ., 2016 (34 გვ.)**

ხელნაერთა ინსტიტუტში სერგი გორგაძის ცალკე არქივი შეიქმნა ინსტიტუტის სხვადასხვა ფონდიდან ამოღებული დოკუმენტებით. დაამუშავა ელენე კელენჯერიძემ.

1999 წელს სერგი გორგაძის შვილიშვილმა, ლია გორგაძემ ინსტიტუტს მნიშვნელოვანი მასალა შესწირა. 2006 წელს მისმა შვილებმა – ქეთევან და დავით აბესაძეებმა ხელნაერთა ეროვნულ ცენტრს შესწირეს სერგი გორგაძის საარქივო მასალის 60 ერთეული.

2008 წელს მასალა გააერთიანა და არქივი გადაამუშავა ეთერ ქავთარაძემ.



**ზაზა ალექსიძე, ქრისტიანული კავკასია, თბ., 2016 (576 გვ.)**


წინამდებარე გამოცემა წარმოადგენს 2010-2011 წლებში გამოქვეყნებული კრებულის – „ქრისტიანული კავკასია“ – მესამე ნაწილს, რომელშიც თავმოყრილია ქართველი წყაროთმცოდნის, ისტორიკოსისა და ფილოლოგის, აკადემიკოს ზაზა ალექსიძის შრომები, რომლებიც 2010-2016 წლებში გამოქვეყნებული იყო ქართულ და უცხოურ პერიოდულ გამოცემებსა თუ სამეცნიერო კრებულებში.

გარდა სტატიებისა, კრებულში შევიდა სხვადასხვა მონოგრაფიების ნაწილებიც, რომელთაც დასრულებული სტატიების სახე აქვთ და მათი ცალკე გამოქვეყნება ამ

ნაშრომებს ხელმისაწვდომს გახდის მკითხველთა ფართო წრისათვის. ასევე, კრებულში შესულია ადრე ქართულ ენაზე გამოქვეყნებული რამდენიმე სტატიის რუსული თარგმანი, რომლებიც სხვა გამოქვეყნებულ ნაშრომებთან და სამეცნიერო კონფერენციებზე წაკითხულ მოხსენებებთან ერთად პირველად იბეჭდება.

მასალა წიგნში განთავსებულია ქრონოლოგიის მიხედვით. თითოეულ სტატიას ახლავს ორიგინალის გამოცემის ადგილი, თარიღი და გვერდების მითითება, ტექნიკური ცვლილებების გარდა, ორიგინალის ტექსტი სრულად არის დაცული.

სარედაქციო ჯგუფის გადაწყვეტილებით, სტატიათა სტრუქტურა, ციტირებისა და ბიბლიოგრაფიის მითითების თავისებურებები სრულად არის დაცული.




**ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი IV, ტომი შუადგინა მ. სურგულაძემ, თბ., 2016 (756 გვ.)**

წინამდებარე ტომით გრძელდება „ქართული ისტორიული საბუთების კორპუსის“ პუბლიკაცია. ამჯერად მკითხველს ვთავაზობთ XVI საუკუნის ქართლის სამეფოსა და სამცხე-საათაბაგოში გაცემულ ისტორიულ დოკუმენტებს, რომელთა რაოდენობა ორასს აღემატება. ეს რაოდენობა, ცხადია, ძალზე მცირეა საუკუნოვანი პერიოდისათვის, მაგრამ საკმარისია, რათა შეტანა კვლევად სრული წარმოდგენა შევიქმნათ იმდროინდელ საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების, სახელისუფლებო ძალების, სამოხელეო წყობის, მოქმედი სამართლებრივი ინსტიტუტებისა და სხვადასხვა კერძო მოვლენათა შესახებ.

ტომში შეტანილი ისტორიული საბუთები, მიუხედავად მათი განსხვავებული თემატიკური შინაარსისა, ქვეყნდება ქრონოლოგიური რიგითობით.

გამოცემა მომზადებულია უპირატესად კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრსა და საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული კოლექციების ბაზაზე. გარდა ამისა, წიგნში შეტანილია, აგრეთვე რამდენიმე საბუთი გორის და ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმებიდან. სამიოდ საბუთის ფოტოასლი მიღებულია რუსეთის ფედერაციის აზიის ხალხთა ინსტიტუტის სანკტ-პეტერბურგის განყოფილებაში დაცული კოლექციიდან.

გამოცემას ახლავს ვრცელი ბიბლიოგრაფია; პირთა, გეოგრაფიულ, სატომო, საკულტო სახელთა, აგრეთვე, ტერმინთა და საგანთა საძიებელი; დედნების ფოტოპირები.




**ლელა შათირიშვილი, ბასილი ანკვრიელი და მისი თხზულების ქართული თარგმანი, თბ., 2016 (286 გვ.)**

გამოცემაში წარმოდგენილია IV საუკუნის ბიზანტიელი ავტორის, ანკვრიის ეპისკოპოსისა და ყოფილი ექიმის, ბასილი ანკვრიელის, თხზულების „ქალწულებსა შინა ქმმარიტისა უხრწნელებისათჳს“ ქართულ თარგმანი. თხზულება თეოლოგიური და სამედიცინო ცოდნის საფუძველზე აგებული ტრაქტატია.

გამოცემა საყურადღებოა მათთვის, ვისაც სიღრმისეულად აინტერესებს ქრისტიანული აზროვნების ისტორია.

წარმომში ბიზანტიური სივრცის ზოგადკულტურული პროცესების ფონზე განხილულია ქართული სალიტერატურული

რო ენისა და მწერლობის განვითარების, საქართველო-ბიზანტიის კულტურული ურთიერთობის მნიშვნელოვანი საკითხები. ავტორი საგანგებოდ წარმოაჩენს XI საუკუნის ქართველი მოღვაწის, გიორგი ათონელის, უმთავრეს მთარგმნელობით პრინციპს – ქართული ენის ბუნების, მისი სტრუქტურის შეურყვნელად მიაღწიოს სათარგმნი ტექსტის შინაარსობრივსა თუ ტერმინოლოგიურ სიზუსტეს.




**მასალები ძველი ქართული სამართლისა და ეკონომიკის ტერმინოლოგიისათვის, თბ., 2016 (470 გვ.)**

ალბომში შესულია კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ივანე ჯავახიშვილის პირადი საარქივო ფონდის მასალა, რომელიც მოიცავს სამართლისა და ეკონომიკის ტერმინებს. ტერმინები შედგენილია ივანე ჯავახიშვილის მიერ ისტორიულ საბუთებზე, წყაროებზე და

ხელნაწერებზე დაყრდნობით. თითოეული ტერმინი დაწერილია ცალკეულ ბარათზე, წყაროს მითითებით. ალბომში შესულია 1845-მდე ტერმინი, რომლებიც დალაგებულია ანბანის მიხედვით და მითითებული აქვს საარქივო ერთეულის ნომერი. ივანე ჯავახიშვილის პირად არქივში მსგავსი ტერმინების რაოდენობა გაცილებით მეტია, მაგრამ ალბომში შესულია მხოლოდ ის ბარათები, რომლებიც უშუალოდ ივანე ჯავახიშვილის ხელითაა დაწერილი. აღნიშნული მასალა აქამდე გამოქვეყნებული არ ყოფილა

პროექტის ხელმძღვანელი: მალხაზ ბაძალუა; რედაქტორი: ზაალ აბაშიძე; შემდგენლები: მანუჩარ გუნცაძე, შორენა მურუსიძე.



**პროკლე დიადოხოსი, პლატონური ფილოსოფოსი, „კავშირნი ღმრთისმეტყუელებითნი“, თარგმანი და განმარტება იოანე პეტრინისა, H-1337 ხელნაწერის ფაქსიმილური გამოცემა, I ტომი, თბ., 2016**


H-1337 ნუსხის ფაქსიმილური გამოცემა უმნიშვნელოვანესია იმდენად, რამდენადაც ეს ხელნაწერი შეიცავს ფასდაუდებელ მონაცემებს ქართული ხელნაწერთმცოდნეობის თვალსაზრისით, კერძოდ, წერის ტექნიკის, პუნქტუაციისა და აქცენტუაციის ნიშნების შესწავლისათვის. H-1337 ნუსხაში წარმოდგენილია პუნქტუაციისა და აქცენტუაციის, ლოგიკური მახვილების განსხვავებული, სრულიად თავისებური, რთული და დატვირთული სისტემა, რომლის

ნაირსახეობა „გელათის კატენებიანი ბიბლიის“ XII-XIII საუკუნეების ხელნაწერებშიც (A-1108, Q-1152) გვხვდება და მოითხოვს შემდგომ შესწავლას და შედარებას ამ დროის ბერძნულ ხელნაწერებში მიღებულ სისტემასთან.

ფაქსიმილური გამოცემის სამეცნიერო აპარატი მოიცავს ხელნაწერ H-1337-ის დაწვრილებით კოდიკოლოგიურ-პალეოგრაფიულ აღწერილობას, ხელნაწერის არქეო-

გრავიას და იოანე პეტრინისეულ ტექსთან დაკავშირებული ზოგიერთი პრობლემის კვლევას, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებული ბოლოსიტყვაობის ავთენტურობისა და ავტორობის საკითხებზე.

ხელნაწერის დიგიტალიზებასა და მისი ფაქსიმილური სახით გამოცემაზე მუშაობდნენ პროექტის ხელმძღვანელი – თსუ ემერიტუსი პროფესორი დამანა მელიქიშვილი, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელი ნათია მიროტაძე და დიგიტალიზაციის ლაბორატორიის თანამშრომლები – ვასილ თარგამაძე და დიმიტრი გურგენიძე.



**პროკლე დიადოხოსი. „კავშირნი ღმრთისმეტყველებითნი“, თარგმანი და განმარტება იოანე პეტრინისა, დიპლომატური გამოცემა, II ტომი, თბ., 2016**

პროკლე დიადოხოსის „თეოლოგიის საფუძვლების“ პეტრინისეული თარგმანისა და განმარტების XIII საუკუნის ხელნაწერის დიპლომატური გამოცემის ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს დამანა მელიქიშვილმა და ნათია მიროტაძემ.

ტექსტი სასვენი ნიშნებით გამართა, შენიშვნები, წყაროები და ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინოლოგიის ლექსიკონი დაურთო დამანა მელიქიშვილმა.

გამოცემას ერთვის ორი კრიტიკული აპარატი:

პირველ კრიტიკულ აპარატში დოკუმენტირებულია:


- 1) H-1337-ის ის ვარიანტები, რომლებიც გამოცემელმა გაასწორა; 2) H-1337-ის მარცხენაური შენიშვნები.

მეორე კრიტიკულ აპარატში კი შეტანილია სხვა წყაროთა ვარიანტები, რაც მკითხველს საშუალებას მისცემს H-1337-ის ადგილი განსაზღვროს პროკლეს კავშირის პეტრინისეული თარგმანისა და თარგმანების ხელნაწერ ტრადიციამში. ამ აპარატში ხელნაწერთა ვარიანტები სიმონ ყაუხჩიშვილის გამოცემიდანაა შეტანილი.

ორივე კრიტიკული აპარატი მოაწესრიგა და გამართა ნათია მიროტაძემ.

გამოცემის სამეცნიერო აპარატი გამოცემის პრინციპების, პირობითი ნიშნებისა და წყაროთა ნუსხის გარდა მოიცავს H-1337-ის ტექსტოლოგიურ-კოდიკოლოგიურ დახასიათებასა (ნათია მიროტაძე) და დამანა მელიქიშვილის გამოკვლევას. მასში განხილულია პეტრინის ენა და სტილი, ტერმინშემოქმედების, მთარგმნელობითი პრინციპებისა და ენობრივი სტილის თავისებურებანი ელინოფილური მიმართულების სხვა თარგმანებთან მიმართებით; ასევე, იოანე პეტრინის მთარგმნელობითი, თეოლოგიური და პედაგოგიური მეთოდოლოგია; გაშუქებულია პეტრინის მოღვაწეობის დროისა და ადგილის, მისი ნაშრომების შესახებ არსებული ბუნდოვანი საკითხები.

სამეცნიერო აპარატის ნაწილია ლევან გიგინეიშვილის გამოკვლევა, რომელშიც წარმოდგენილია ქართული და ბერძნული ტექსტების შედარებით ანალიზის შედეგად ქართულ თარგმანში გამოვლენილი მნიშვნელოვანი განსხვავებები, რაც არა მხოლოდ იოანე პეტრინის თარგმანის ტექნიკასა და ტექსტის მისეულ ინტერპრეტაციაზე შექმნის წარმოდგენას, არამედ საშუალებას მისცემს მკითხველს, თვლი გაადევნოს თვით ბერძნული ტექსტის ისტორიას, მის გვიანდელ რეცეფციას.




**პროკლე დიადოხოსი, „კავშირნი ღმრთისმეტყველებითნი“ და იოანე პეტრინის განმარტება, სომხური ვერსია, III ტომი, თბ., 2016**

სამტომეული მომზადა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის – პროკლე დიადოხოსი, „კავშირნი ღმრთისმეტყველებითნი“, იოანე პეტრინის თარგმანი და „განმარტება“ – ფარგლებში.

მესამე ტომი წარმოადგენს იოანე პეტრინის „კავშირისა“ და „განმარტების“ 1248 წელს სიმეონ პლინძა-ჰანქელის (პლინძაჰანეცის) მიერ ქართულიდან სომხურ ენაზე შესრულებული თარგმანის გამოცემას. სომხური თარგმანის კრიტიკული ტექსტი მატენადარანის ორი სომხური ხელნაწერის (№1500 და №1832) მიხედვით დაადგინა და გამოსაცემად მოამზადა მაია რაფავამ, რომლის ვრცელი და საფუძვლიანი გამოკვლევის შედეგად გაირკვა, რომ: სომხური თარგმანი თითქმის ქართული თარგმანის თანადროულია; იგი ამკარად ატარებს ქართულიდან ნათარგმნობის ხასიათს, რადგან მთელი რიგი ტექსტობრივი ნაკითხვები, ტერმინები, ლექსიკა მხოლოდ ქართულის ნიადაგზე შეიძლება აიხსნას. ქრონოლოგიური სიახლოვე, რაც სომხურ თარგმანს აკავშირებს ქართული დედნის შექმნასთან, ზრდის მის მნიშვნელობას ქართული ტექსტის დადგენისათვის.


ტექსტოლოგიურ გამოკვლევასთან ერთად სომხური ტექსტის გამოცემას დაერთვის ქართულ-სომხური ლექსიკონი. სომხური ტექსტისა და ლექსიკონის გამოცემის მოსამზადებლად მაია რაფავას ხელმძღვანელობით მუშაობდნენ არმენოლოგები – ირმა ხოსიტაშვილი და ხათუნა გაფრინდაშვილი.

H-1337-ის ტექსტისა და სომხური თარგმანის გამოქვეყნება შესაბამისი კრიტიკული აპარატითა და გამოკვლევით მნიშვნელოვან სამეცნიერო სიახლეებს შეიტანს პროკლე დიადოხოსის „თეოლოგიის საფუძვლების“ არა მხოლოდ იოანე პეტრინის ქართული თარგმანისა და „განმარტების“, არამედ თვით პროკლეს ამ მნიშვნელოვანი ტრაქტატის ისტორიის შესწავლასა და ბერძნული ტექსტის დადგენაში.



**ენრიკო გაბიაშვილი, ჰაგიოგრაფიულ-ჰომილეთიკური უნიკალური კრებული, თბილისი, 2016 (606 გვ.)**

ნიგნში გამოქვეყნებულია 19 ჰაგიოგრაფიული და 7 ჰომილეთიკური ნათარგმნი ტექსტი. ჰაგიოგრაფიული ტექსტების უმეტესობა მხოლოდ ამ კრებულში (ქუთ. I, XVI ს.) არის დაცული და ქვეყნდება პირველად. ნარკვევში გადმოცემულია კრებულის შედგენის საინტერესო ისტორია, შესწავლილია თხზულებათა ბერძნული წყაროები და თვალსაჩინოდ არის წარმოდგენილი ქართული თარგმანების უნიკალურობა.




**ნარკვევები ძველი ქართული სასულიერო მწერლობის ისტორიიდან, III, თბილისი, 2016 (500 გვ.)**


„ძველი ქართული სასულიერო მწერლობის ისტორიის ნარკვევების“ III ტომი მოიცავს ძველი ქართული მწერლობის შემდეგ დარგებს: ლიტურგიკა (ლილი ხევსურისანი), ჰიმნოგრაფია (ლალი ჯღამაია), ეგზეგეტიკა (თამარ ოთხმეზური), ასკეტიკა-მისტიკა, კანონიკა (ენრიკო გაბიძაშვილი).

შრომა ემყარება კორნელი კეკელიძის ფუნდამენტურ მონოგრაფიას: „ძველი ქართული ლიტურატიურის ისტორია“ და წარმოადგენს კ. კეკელიძის შრომის შევსებას იმ სამეცნიერო კვლევებით, რომლებიც დაგროვდა უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე ქართველ და უცხოელ ქართველოლოგთა შრომებში.

2016 წელს შოთა რუსთაველის 850 წლის იუბილესთან დაკავშირებით კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში „ვეფხისტყაოსნის“ „ავალიშვილისეული“ და „ბეგთაბეგისეული“ ნუსხების მიხედვით მომზადდა ორი გამოცემა.



**ვეფხისტყაოსანი „ავალიშვილისეული“ ნუსხა, XVI-XVII სს., თბილისი, 2016.**



**ვეფხისტყაოსანი „ბეგთაბეგისეული“ ნუსხა, 1680 წ., თბილისი, 2016.**



**ანასტასი სინელი, „წინამძღუარი“ (402 გვ.)**

ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს ნანა ჩიკვატიაშვილი, მაია რაფაეშვილი და დავით შენგელიაშვილი, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთეს ნ. ჩიკვატიაშვილი და დ. შენგელიაშვილი, რედაქტორი დ. მელიქიძევილი

პუბლიკაციაში წარმოდგენილია VII საუკუნის მოღვაწის, ანასტასი სინელის, „წინამძღუარის“ არსენ ვაჩეხიძისეული თარგმანი. „წინამძღუარი“ უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა ბიზანტიურ სამყაროში, რასაც მოწმობს ჩვენამდე მოღწეული ამ თხზულების შემცველ ბერძნულ ხელნაწერთა

სიმრავლე. ეს პოლემიკური ხასიათის ტრაქტატი მიმართულია მწველთა წინააღმდეგ. „წინამძღუარი“ პოპულარული იყო ძველ ქართულ მწერლობაში. მთარგმნელს, არსენ ვაჩხაძეს, იგი მეთაურ თხზულებად შეუტანია მის მიერ შედგენილ დოგმატიკურ-პოლემიკურ კრებულ „დოგმატიკონში“. „იგი ნამდვილვე სენადა სახელისა თვისისა წინამძღუარ არს წმიდისა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიისა“, – ამგვარად აფასებს ამ თხზულებას მთარგმნელი არსენ ვაჩხაძე.



ქ. ბეზარაშვილი, გრიგოლ ნაზანზელის (ღვთისმეტყველის) პოეზიის ძველი ქართული ვერსია, ეფთვიმე ათონელის, ეფრემ მცირის (შავმთელის) და, სავარაუდოდ, გელათური საღმრთისმეტყველო სკოლის ანონიმი მთარგმნელებისა თბ., ტ. I, 2015 (840 გვ.), ტ. II 2016 (620 გვ.) რედ. ე. ხინთიბიძე, ე. კოჭლამაზაშვილი

წმ. გრიგოლი ითვლება ქრისტიანული პოეზიის ერთ-ერთ უმთავრეს მესაძირკვლედ. შემდგომი დროის პიწნოვრათა შემოქმედებას სტიმულს აძლევდა და ასაზრდოებდა არა მარტო მისი უმშვენიერესი ლირიკული პოეზია, არამედ ბრწყინვალე პროზაული ქმნილებებიც, რომელნიც თავისი ამაღლებული სტილით პოეზიას ენათესავებან.




წმ. გრიგოლის პოეზიის ქართულ ენაზე ამეტყველებაში თავისი წვლილი შეუტანიათ ეფთვიმე ათონელს, ეფრემ მცირეს, არსენ იყალთოელს და, სავარაუდოდ, გელათის სალიტურატურო-თეოლოგიური სკოლის ერთ ან რამდენიმე ანონიმ მთარგმნელს. მაშასადამე, წმ. გრიგოლის პოეზიით დაინტერესება ქართველთა შორის თავს იჩენს როგორც ქართული მწერლობის კლასიკურ (ათონურ) პერიოდში, ისე შემდგომ ხანაშიც, და არა მარტო XII-XIII სს-ის გელათურ-ელინოფილურ პერიოდში, არამედ თვით XVIII-XIX საუკუნეებშიც კი, როდესაც გადაწერეს ძველ მთარგმნელთა ნაშრომები და მხოლოდ მათი ნუსხებით შემორჩა ისინი ჩვენამდე.

გამოკვლევაში ავტორი ეხება წმ. გრიგოლის პოეტურ ქმნილებათა თითოეულ ქართულ თარგმანს, ასევე, ანონიმური რედაქციის ხელნაწერებს და მათს თავისებურებებს.

ნაშრომში ვრცლადაა მიმოხილული წმ. გრიგოლის პოეზიის უმთავრესი მოტივები, მისი პოეტური სამყაროს მედიტაციური მხარე, ანტიკურ პოეზიასთან მისი კავშირი, ძველი და ახალი თარგმანების თავისებურებები, გელათური სკოლის თარგმანის გვიანდელი ხელნაწერი და მისი ენის მიმართება იოანე პეტრიწის თხზულებათა ენასთან, ქართული თარგმანების შესახებ ძველი და ახალი დროის მკვლევართა დაკვირვებები და ა. შ.

წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის არალიტურგიკული პოეზიის ქართული თარგმანების დანვრილებით მიმოხილვას და მასთან დაკავშირებული ცალკეული საკითხების კვლევას მიეძღვნა ნაშრომის პირველი ტომი, რომელშიც ავტორმა შეაჯამა გრიგოლ ღვთისმეტყველის პოეზიის შესახებ არსებული კვლევა ქართულ და უცხოურ

მეცნიერებაში და გამოთქვა მრავალი ახალი საინტერესო დაკვირვება. მეორე ტომი კი დაეთმო წმ. გრიგოლის პოეზიის ქართული თარგმანების ტექსტების პუბლიკაციას, მის მიმართებას ბერძნულ დედანთან და ტერმინების ვრცელ დოკუმენტირებულ ლექსიკონს, ბერძნული შესატყვისობების დართვით.



**ესთერის წიგნის ძველი ქართული ვერსიები, ტექსტის გამომცემელი: ნათია მიროტაძე, სერია: ბიბლია-ტექსტი-კვლევები, სერიის გამომცემელი: ანა ხარანაული, თბ., 2014 წ.**

წიგნი გამოიცა შოთა რუსთაველის ეროვნული სამცნიერო ფონდის დაფინანსებით საგრანტო პროექტის – პრეზიდენტის გრანტი ახალგაზრდა მეცნიერებისათვის – ფარგლებში.

გამოცემის შესავალში მოკლედია მიმოხილული ესთერის წიგნის ბერძნული ვერსიების ისტორია, წყაროები, ხელნაწერთა ჯგუფები, კვლევის ისტორია და პრობლემატიკა. შესავლის მეორე ნაწილი ქართულ თარგმანს ეთმობა. გამოყოფილია ტექსტუალური ჯგუფები ხელნაწერების მიხედვით. ცალკე ქვეთავები ეძღვნება ქართული ვერსიების მიმართებას უცხოურ წყაროებთან. გამოცემას ერთვის **ტექსტისათვის**, რომელშიც საუბარია გამოცემის პრინციპებზე და **პირობითი ნიშნების ნუსხა**, რომელშიც ახსნილია გამოცემაში გამოყენებული პირობითი ნიშნები.

ესთერის წიგნისა და მისი ქართული ვერსიების თავისებურებიდან გამომდინარე წიგნში გაერთიანებულია სამი სხვადასხვა ტიპის გამოცემა: სინოპტიკური, დიპლომატური და კრიტიკული. სინოპტიკური გამოცემა წარმოდგენილია წიგნის ვერსო გვერდებზე, რექტო გვერდები კი ეთმობა ესთერის ოპკური ვერსიის დიპლომატურ და მეორე ძველი ქართული ვერსიის კრიტიკულ გამოცემებს. თითოეულ გამოცემას ერთვის თავისი კრიტიკული აპარატი. რექტო გვერდებზე განთავსებული ტექსტი შეესაბამება სინოპტიკური გამოცემის თითოეულ გვერდზე განთავსებულ ტექსტს.

გამოცემას ერთვის საძიებლები და ბიბლიოგრაფია.



**წმიდა ფერემ ასური, სწავლანი, ქართული ვერსია, ტომი I, სწავლანი ღირსისა მამისა ჩუენისა ფერემისნი (ნაკვეთი პირველი), თარგმნილი ფერემ მცირის (კარიჭის ძის) მიერ, თბ., 2015 (619 გვ.).** გამოსაცემად მოამზადა ექვთიმე კოჭლამაზაშვილმა. რედ. თინა დოლიძე, თამარ მესხი


ღირსისა და ღმერთშემოსილი მამის, წმ. ფერემ ასურის (IV ს.) თხზულებანი და, განსაკუთრებით, მისი ასკეტიკური საკითხავები – ღმრთივესულიერ სწავლათა, თხრობათა, ლოცვათა და საგალობელთა კეთილსურნელოვანი ყვავილნული – საუკუნეების განმავლობაში ატკბობდა კეთილმორწმუნე ქრისტიანთა სმენას და სათნოებისაკენ წარმართავდა მათს გულსა და გონებას.

წმ. ფერემის სწავლანი ასურულიდან მალევე უთარგმნიათ ქრისტიანული მწერლობის მქონე ყველა ენაზე (უშუალოდ ასურულიდან თუ ბერძნული შუალედური თარგ-

მანის დახმარებით), მათ შორის ქართულადაც, და იგი იმთავითვე ქართველ სულიერ მოღვაწეთა სასურველ წიგნად ტექსტულა. გიორგი მერჩულის გადმოცემით, წმ. გრიგოლ ხანცთელს ზეპირად სცოდნია წმ. ეფრემის გულშიჩამწვდომი საკითხავები, ეს კი ქართული თარგმანების ლიტერატურულ დახვეწილობასაც უსვამს ხაზს; სხვაგვარად ისინი ზეპირად სწავლისათვის ძნელად აღძრავდნენ ვისმე.

ამ უძველესი ქართული თარგმანების შემდეგ (ისინი სრულად თუ არა, ნაწილობრივ მაინც მოღწეულა ჩვენამდე), წმ. ეფრემის სწავლათა ქართულ ენაზე ამეტყველებას დიდი ღვაწლი დასდეს X-XI სს-ის უდიდესმა ქართველმა მთარგმნელებმა – წმ. ეფთვიმე მთაწმიდელმა და წმ. ეფრემისავე მოსახელემ და მობაძავმა, ეფრემ მცირემ, კარიჭის ძემ.

ეფრემ ასურის საკითხავთა ქართული თარგმანების ერთი ნაწილი კრიტიკულად შესწავლილი და გამოცემულიცაა, ხოლო ამ ავტორის ქართულ თარგმანთა სრული კორპუსის გამოცემა 2015 წელს დაიწყო „სწავლათა“ I ტომით. კორპუსი ოთხ ტომადაა დაგეგმილი. პირველი და მეორე ტომები ეფრემ მცირის თარგმანებს დაეთმობა, შემდგომი ორი ტომი – სხვა მთარგმნელთა ნამუშავეს.




ცხოვრება წმიდა გიორგი მთაწმინდელისა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, ახალ ქართულ ენაზე თარგმნა და სქოლიოები დაურთო ექვთიმე კოჭლამაზაშვილმა, „საეკლესიო მწერლობა“, X ტომი, რედ. დეკანოზი მაქსიმე ჭანტურია, თბ., 2016 (320 გვ.)

„გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება“, რომელიც მის მონაფეს, გიორგი ხუცესმონაზონს დაუნერია, ქართული პაგიოგრაფიული მწერლობის მარგალიტად ითვლება არა მარტო დიდი მთაწმიდელი მოძღვრისა და მწერლის ცხოვრების შესახებ ფაქტობრივი მასალის სიუხვის, არამედ საოცარი ლიტერატურული და ხელოვნობის გამოც.

ამ თხზულების ტექსტი ფართო მკითხველისათვის პირველად ცნობილი გახდა მ. საბინინის გამოცემით („საქართველოს სამოთხე“, 1882 წ.), რომელსაც მალევე მოჰყვა მოსე ჯანაშვილის გამოცემა („ათონის ივერიის მონასტრის 1074 წლის ხელთნაწერი აღაპები“). ტექსტი კრიტიკულად დაადგინა მკვლევართა ჯგუფმა ილია აბულაძის ხელმძღვანელობით (დაიბეჭდა „ძველი ქართული აგიოგრაფიული ძეგლების“ სერიის II ნიგნში, 1967 წ.). ცალკე წიგნადაც გამოიცა ივ. ლოლაშვილის რედაქტორობით და მისივე ვრცელი გამოკვლევით (1975 წ.).

„საეკლესიო მწერლობის“ სერიის გამოცემაში გიორგი ხუცესმონაზონისეულ ტექსტს პარალელურად ერთვის ე. კოჭლამაზაშვილის ახალქართული თარგმანი და ისტორიულ-ლიტერატურული სქოლიოები.




**Jean de Bolnisi, Homélies des Dimanches de Carême Suivant la Tradition de Jérusalem et Autres Homélies (I-XIV)**, Texte géorgien S. Sardjveladze (I-X), T. Mgaloblišvili (XI et XIV), E. Koçlamazaşvili (XII-XIII), Introduction, traduction, choix des variants et notes Stéphane Verhelst, SOURCES CHRÉTIENNES 580, Paris, 2015

იოანე ბოლნელი, იერუსალიმური ტრადიციის მიხედვით ათვლილ მარხვის კვირიაკეთა ჰომილიები და სხვა ჰომილიები (I-XIV), ქართული ტექსტი მოამზადეს ს. სარჯველაძემ (I-X), თ. მგალობლიშვილმა (XI და XIV), ე. კოჭლამაზაშვილმა (XII-XIII), შესავალი, თარგმანი, ვარიანტების შერჩევა და შენიშვნები სტეფანე ვერჰელსტისა, პარიზი, 2015

იოანე ბოლნელის ჰომილიები, რომლებიც ძირითადად X საუკუნის მრავალთავებმა შემოგვიანხეს (კლარჯულმა, ათონურმა და პარხლურმა ხელნაწერებმა), ქართული ორიგინალური ჰომილიტიკის მწვერვალადადამიჩნეული. მათი შემქმნის პერიოდის განსაზღვრა დღემდე საცილობელი საკითხია მეცნიერებაში და სხვადასხვა მკვლევრისათვის იგი VI-დან X საუკუნემდე მერყეობს. ის კი უდავოა, რომ იოანე ბოლნელისეული დიდი მარხვის კვირიაკეთა ჰომილიები, როგორც სათაურების, ისე თემატიკის მხრივ, იერუსალიმურ კალენდარს მისდევს, რაც X საუკუნეში ძნელი წარმოსადგენია.

იოანე ბოლნელის ჰომილიები პირველად მ. ჯანაშვილმა გამოსცა (1911 წ.). ამის შემდეგაც რამდენჯერმე გამოიცა, მაგრამ თითო ხელნაწერზე დაყრდნობით. 2015 წლის პარიზულ გამოცემაში კი, რომელიც SOURCES CHRÉTIENNES-ს სერიის 580-ე ტომად გამოვიდა, ყველა არსებული ხელნაწერის მონაცემებია გათვალისწინებული და ერთვის ფრანგული თარგმანი, რითაც ქართული ჰომილიტიკის მარგალიტი ხელმისაწვდომი ხდება ევროპელი მკითხველისათვის.

პუბლიკაციას ერთვის ს. ვერჰელსტის ვრცელი გამოკვლევა, რომელშიც განხილულია იოანე ბოლნელის ჰომილიებთან დაკავშირებული ისტორიულ-ლიტერატურული საკითხები.



**ცხოვრება წმინდათა მამათა იოანე და ექვთიმე მთაწმინდელთა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, ახალ ქართულ ენაზე თარგმნა და სქოლიოები დაურთო ექვთიმე კოჭლამაზაშვილმა, „საეკლესიო მწერლობა“, IX ტომი, რედ. დეკანოზი მაქსიმე ჭანტურია, თბ., 2016 (332 გვ.)**

გიორგი მთაწმინდელის (1009-1065) ჰაგიოგრაფიული თხზულება – „იოანესა და ექვთიმეს ცხოვრება“ უმნიშვნელოვანესი წყაროა არა მარტო ამ დიდებულ მოღვაწეთა და მრავალი მათი თანამოღვაწის ბიოგრაფიისათვის, არამედ ათონის ქართველთა მონასტრის დაარსების ისტორიისა და შემდგომი თავგადასავლისათვის, დასაბამიდან (965 წლიდან) XI საუკუნის შუა

ხანებამდე. აქვე მოთხრობლია საქართველო-ბიზანტიის იმდროინდელი ურთიერთობის მრავალი საინტერესო დეტალიც.

ამ თხზულების ავტოგრაფი ჩვენამდე არაა მოღწეული. მის მაგივრობას გვინევს გიორგი მთაწმინდელის გარდაცვალების შემდეგ მალევე, 1072 წელს, ათონის ქართველ-

თა მონასტერში გადაწერილი ე. წ. „ათონის კრებული“ (A-558), რომელშიც „იოვანესა და ეფთვიმეს ცხოვრება“, მკვლევართა ვარაუდით, თითქმის შუეცდომლად უნდა იყოს დედნიდან გადაწერილი. კრებული სრული სახით პირველად გამოქვეყნდა 1901 წელს, მოსე ჯანაშვილის მიერ („ათონის ივერიის მონასტრის 1074 წლის ხელთნაწერი აღაპე-ბი“), მანამდე კი, ქართული ჰაგიოგრაფიის სხვა ძეგლებთან ერთად – 1882 წელს, მიხეილ საბინინის მიერ („საქართველოს სამოთხე“, 1882 წ., პეტერბურგი).

„იოვანესა და ეფთვიმეს ცხოვრების“ მეცნიერული ტექსტოლოგიური შესწავლის საუკეთესო ნიმუშად უნდა ჩაითვალოს ივ. ჯავახიშვილის მიერ დადგენილი კრიტიკული ტექსტი ამ თხზულებისა, რომელიც მკვლევრის გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნდა აკ. შანიძის რედაქტორობით და დაერთო მისივე შესანიშნავი გამოკვლევა – „გიორგი მთაწმიდლის ენა იოვანეს და ეფთვიმეს ცხოვრების მიხედვით“ (იხ. გიორგი მთაწმიდელი, ცხოვრებოვანესი და ეფთვიმესი, გამოსაცემად მოამზადა ივ. ჯავახიშვილმა, თბ., 1946).

ბოგვიანებით, 1967 წელს, მკვლევართა ჯგუფმა ილია აბულაძის ხელმძღვანელობით „ძველი ქართული აგიოგრაფიული ძეგლების“ სერიაში (წიგნი II) გამოაქვეყნა მათ მიერ ხელახლა დადგენილი კრიტიკული ტექსტი ზემოხსენებული „ცხოვრებისა“, ამჯერად უკვე ჩვენთვის ცნობილი ყველა (ცხრავე) ხელნაწერის ვარიანტების გათვალისწინებით.

ამის შემდეგაც „იოვანესა და ეფთვიმეს ცხოვრება“ მრავალჯერ გამოქვეყნდა სხვადასხვა კრებულებსა და ანთოლოგიებში. 2008 წელს ლევან აბაშიძის ინიციატივით გამოქვეყნდა „ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლების ორიგინალური ტექსტები და ახალი ქართული თარგმანები“, მათ შორის „იოვანესა და ეფთვიმეს ცხოვრების“ ახალქართული ვერსიაც (მთარგმნელი – მედეა ლლონტი).

„საეკლესიო მწერლობის“ სერიაში კი დაიბეჭდა ამავე ძეგლის სხვა ახალქართული თარგმანი (ე. კოჭლამაზაშვილისა), ვრცელი ისტორიულ-ლიტერატურული სქოლიოებით.



### მზია სურგულაძე, „მცხეთის სახლი“, თბ., 2016 (252 გვ.)

ნაშრომი ეძღვნება მცხეთის საკათალიკოსო ეპარქიას – „მცხეთის სახლს“, როგორც მას უწოდებდნენ შუასაუკუნეების საქართველოში. მცხეთის სახლი წარმართავდა არა მხოლოდ ეპარქიის საქმიანობას, არამედ განსაზღვრავდა საეკლესიო პოლიტიკას, უდიდეს მონაწილეობას იღებდა ქვეყნის წინაშე მდგარი პოლიტიკური და კულტურულ-სარწმუნოებრივი ამოცანების გადაჭრაში. ნაშრომში წარმოდგენილია საკათალიკოსო ეპარქიის ისტორიულად განვლილი გზის უმნიშვნელოვანესი ეტაპები მისი დაარსებიდან ვიდრე გაუქმებამდე XIX საუკუნის 10-იან წლებში.

ნაშრომი განკუთვნილია საქართველოს ისტორიის საკითხებით დაინტერესებულ მკვლევარებისათვის და მკითხველთა ფართო წრისთვის.

## სიმონ ზაზაძე



ქართულმა საზოგადოებამ დიდი და აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა - 2016 წლის 5 ოქტომბერს უენევაში გარდაიცვალა ჩვენი თანამემამულე, საქართველოს საპატიო მოქალაქე, სტამბოლის ქართული კათოლიკური სავანის კომანდატორი, საზოგადო მოღვაწე და ქველმოქმედი სიმონ ზაზაძე.

სიმონ ზაზაძე სტამბოლში, ახალციხიდან ემიგრირებული პავლე ზაზაძისა და მარიამ ჩილინგარიშვილის ოჯახში 1933 წელს დაიბადა. მშობლებმა შვილს საფუძვლიანი განათლება მისცეს. სიმონ ზაზაძემ პირველდანწყებითი განათლება თურქეთში გერმანულ დანყებით სკოლაში, ინგლისურ „რობერტ კოლეჯსა“ და ტაქსიმის თურქულ ლიცეუმში მიიღო. სწავლა გააგრძელა სტამბოლის უნივერსიტეტში ეკონომიკურ ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ სადოქტორო დისერტაცია დაიცვა ინგლისში „London School“-ში, სამხედრო სამსახურის გავლის შემდგომ კი ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლეს სამხედრო სასწავლებელში სამხედრო სფეროში მიიღო სამეცნიერო ხარისხი. თავისუფლად ფლობდა თურქულ, ქართულ, ფრანგულ, ინგლისურ, გერმანულ, ბერძნულ, იტალიურ, ესპანურ და ლათინურ ენებს; სალექციო კურსი მიჰყავდა ბეირუთის ინდურ უნივერსიტეტში.

სტამბოლში დაბრუნებული, იგი მამასთან ერთად ჩაება ტექსტილის, საპნისა და კოსმეტიკის ბიზნესში. მალევე სათავეში ჩაუდგა საერთაშორისო კორპორაციას „ZAZA-HOLDING“-ს, რომელიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში სამ ასეულზე მეტ სანარმოს აერთიანებს.

სტამბოლში დაბრუნებული, იგი მამასთან ერთად ჩაება ტექსტილის, საპნისა და კოსმეტიკის ბიზნესში. მალევე სათავეში ჩაუდგა საერთაშორისო კორპორაციას „ZAZA-HOLDING“-ს, რომელიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში სამ ასეულზე მეტ სანარმოს აერთიანებს.

სიმონ ზაზაძემ მამისგან მემკვიდრეობით არა მხოლოდ შრომისმოყვარეობა, პრინციპულობა, ბიზნესის ნიჭი და ქველმოქმედების უნარი მიიღო, არამედ სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული და პასუხისმგებლობა თავისი ხალხის წინაშე. 2006

წელს მან აიხდინა მამის განუხორციელებელი ოცნება და საქართველოში ჩამოსვლა და მისას მშობლიურ მხარეში სოფელ ოთას ენვია.

სიმონ ზაზაძეს ახლო და მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველ ემიგრანტებთან: საფრანგეთში – ნინო და კალისტრატე სალიებთან, ამერიკის შეერთებულ შტატებში – გივი ზალდასტანიშვილთან და ჯონ-მალხაზ შალიკაშვილთან. ზაზაძეების ოჯახი აფინანსებდა სალიების მიერ საფრანგეთში გამოძვალ ისეთ მნიშვნელოვან ქართველოლოგიურ პერიოდულ გამოცემას, როგორცაა „ბედი ქართლისა“ (1962-1982), ასევე ეხმარებოდა ქართულ ემიგრანტულ გამოცემებს („კავკასიონი“, „პრომეთე“, „გუშაგი“, „საქართველოს გუშაგი“, „თეთრი გიორგი“, „თავისუფალი საქართველო“, „საქართველო“). სიმონ ზაზაძე, ვაჟიშვილთან, პავლესთან ერთად, არჩეული იყო თურქეთში 2000 წელს დაარსებული თურქეთ-საქართველოს კულტურისა და განათლების ფონდის მმართველი საბჭოს წევრად. იგი დახმარებას უწევდა თურქეთში ქართული დიასპორის ორგანიზაციებს და თურქულ და ქართულ ენებზე გამოძვალ ჟურნალებს – „ფიროსმანი“ და „ჩვენებური“.

სიმონ ზაზაძე ქართული კულტურული მემკვიდრეობის დიდი გულშემატკივარი იყო. ზაზაძეების ოჯახი წლების მანძილზე მეურვეობდა და თვალისჩინივით უფრთხილდებოდა 1861 წელს სტამბოლში პატრი პეტრე ხარისჭირაშვილის მიერ დაფუძნებულ ქართულ კათოლიკურ მონასტერსა და იქ დაცულ XIX-XX საუკუნეების მდიდარ არქივსა და სიძველეებს. მარტო ჩამოთვალა კი ცხადყოფს სტამბოლის სიძველეთსაცავში დაუნჯებელი არტეფაქტების მნიშვნელობას. აქ ინახება: ქართული კათოლიკური მონასტრის ისტორიისა და ქართველ კათოლიკეთა ვატიკანთან და საფრანგეთთან ურთიერთობის ამსახველი დოკუმენტები; სტამბოლის ქართულ-ბერძნულ და ქართულ-ფრანგულ ვაჟთა და ქალთა სასწავლებლების დოკუმენტაცია; ქ. მონტობანის (სამხრეთ საფრანგეთი) ქართული კათოლიკური სავანის არქივის ნაწილი; ქართველ პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეთა, სტამბოლელ ქართველთა და ათონის მთაზე მოღვაწე ქართველ ბერ-მონაზონთა შესახებ მასალები; პირველი მსოფლიო ომის, საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის, მთავრობის წევრებისა და დამფუძნებელი კრების საარქივო მასალები; მემორიალური ნივთები, ფოტოები, ხატები, ფერწერული ნამუშევრები, ხელნაწერები და ძვირფასი ძველნაბეჭდი წიგნები... სიძნელეების მიუხედავად, სიმონ ზაზაძის დამსახურებაა ლიბანიდან თავისი მასწავლებლის, სტამბოლის ქართული კათოლიკური სავანის მღვდლის, შალვა ვარდიძის, არქივის ჩამოტანა და ამ მასალით სიძველეთსაცავის გამდიდრება.

სიმონ ზაზაძის მოღვაწეობის ცალკე სფერო იყო საგანმანათლებლო საქმიანობა. 1968 წელს სტამბოლის კათოლიკურ ეკლესიასთან მან შეუდგენა, ქლაუდე (ქლოდ) ინჯეასთან ერთად, დააარსა კერძო ლიცეუმი „ოზელ ბილგი კოლეჯი“, სადაც სპეციალურად მოწყობილ საცავში გადაიტანა ქართული კათოლიკური სავანის საარქივო მასალები და სიძველეები.

ქართულ მხარესთან სტამბოლის ქართულ სავანეში სიძველეების შესასწავ-

ლად თანამშრომლობისათვის მუდამ მზად იყო ქართული მონასტრის სიძველეების ერთგული გულშემმატკივარი და მისი დაცვის გარანტი ბატონი სიმონი. 2016 წლის მაისში სტამბოლში ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორის, ზაალ აბაშიძის ხელმძღვანელობით ჩასულ ქართულ დელეგაციასთან უკანასკნელი შეხვედრის დროს ბატონმა სიმონმა ანდერძივით დატოვა თავისი სურვილი და კიდევ ერთხელ აღნიშნა მისი მეურვეობის ქვეშ დაცული კულტურული მემკვიდრეობის განსაკუთრებული მნიშვნელობა საქართველოსთვის. ბატონი სიმონის ნება და კატეგორიული მოთხოვნა იყო, რომ, არქივისა და სიძველეების ფიქსაცია-კატალოგიზაცია განეხორციელებინა საქართველოს სახელმწიფოს – კორნელი კეკელიძის სახ. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრსა და პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას.

ახლა, როდესაც სიმონ ზაზაძე აღარ არის, სტამბოლის ქართულ კათოლიკურ ეკლესიაზე და იქ არსებულ სიძველეებზე უასუსისმგებლობა ეკისრებათ ბატონი სიმონის მემკვიდრეებს და საქართველოს სახელმწიფოს.

*დარეჯან კლდიაშვილი  
ეთერ ქავთარაძე*



სიმონ ზაზაძე სტუმრად ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. 2007 წ.

## ლამარა ქაჯაია



დრო აფასებს პიროვნების როლს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამ გადასახედიდან გესურს ვისაუბროთ ლამარა ქაჯაიაზე, იმ კვალზე, რომელიც დატოვა მან კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

შემოქმედებითი ცხოვრება ლამარა ქაჯაიამ აკად. სიმონ ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში დაიწყო და 1958 წლიდან გააგრძელა ახლად დაარსებულ ხელნაწერთა ინსტიტუტში. ინსტიტუტს შეემატა მაღალი კულტურითა და საქმის ერთგულებით გამორჩეული პიროვნება, რომელმაც მალე მიიპყრო თანამშრომელთა ყურადღება. ამ კვლევით დანსებულე-

ბას მამინ ხელმძღვანელობდა მისი დამაარსებელი ილია აბულაძე, რომლისთვისაც ძველი წერილობითი ძეგლების შემცველი ხელნაწერების აღმოჩენა-მოპოვება და მათი მეცნიერულად შესწავლა-პუბლიკაცია ცხოვრების ძირითადი მიზანი და საქმე იყო. ამიტომ ის დიდი დაკვირვებით უდგებოდა ყველა ახალ თანამშრომელს და გამორჩეული მოთხოვნები ჰქონდა მათდამი. ის, რომ ილია აბულაძემ, მისი უახლოესი კოლეგების – ელენე მეტრეველის, ქრისტინე შარაშიძის, ლილი ქუთათელაძისა და სხვათა მხარდაჭერით, ინსტიტუტში მოსვლიდან სულ მცირე დროის გასვლის შემდეგ ლამარა ქაჯაიას მიანდო და ჩააბარა ინსტიტუტში დაცული საგანძურის – ხელნაწერების, საბუთებისა და საარქივო ფონდების მოვლა-პატრონობა, იმაზე მეტყველებს, თუ როგორ შეაფასა მან ეს ახალგაზრდა თანამშრომელი. ბატონი ილია არ შემცდარა თავის შეფასებაში. ეს კარგად გამოჩნდა მთელი იმ დროის მანძილზე, როდესაც ლამარა ქაჯაია საოცარი ენერგიით, სიფრთხილით, განსაკუთრებული პასუხისმგებლობით ასრულებდა საგანძურის მცველის ამ საპატიო მოვალეობას. ხელნაწერი წიგნი ლამარამ ოჯახის წევრის რანგში აიყვანა და ისე ელოლიავებოდა მას, როგორც ცოცხალ არსებას. ის შესანიშნავად უხამებდა თავის ძირითად მოვალეობას - საგანძურის დაცვას, სამეცნიერო საქმიანობას. არც შეიძლება სხვაგვარად მომხდარიყო, რადგან ხელნაწერთან ასეთი სიახლოვე განაპირობებდა მათი კვლევის მოთხოვნილებასაც. მან ილია აბულაძის ხელმძღვანელობით შეისწავლა ძველ ქართულ ხელნაწერებში გამოყენებული პუნქტუაციის ნიშნები და 1969 წელს დისერტაციაც დაიცვა ამ თემაზე. შემდგომ ლამარამ კოდიკოლოგიის ერთ-ერთი ყველაზე რთული უბანი – V-VII საუკუნეების პალიმფსესტების ამოკითხვა და შესწავლა დაისახა მიზნად და შედეგმაც არ დააყოვნა, 1984 წელს გამოიცა ქართული ფილოლოგიური მეცნიერებისათვის უმნიშვნელოვა-

ნესი ძეგლი – ხანმეტი ბიბლიის ფრაგმენტები. თავისი სიცოცხლის ბოლო წლებში ლამარამ, ინსტიტუტის ახალგაზრდა მკვლევართა ჯგუფთან ერთად, წამოიწყო პალიმფსესტების კატალოგისათვის მონაცემთა ბაზის შედგენა. მას, სამწუხაროდ, ამ საინტერესო საქმის დასრულება არ დასცალდა. ამ სამუშაოს მისი მონაწილეები დაასრულებენ. ამ მხრივაც გამორჩეული აღმოჩნდა ლამარა ქაჯაია: მან თავისი საყვარელი საქმის გამგრძელებლებიც დაუტოვა ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის თანამშრომლებს დიდხანს ემახსოვრებათ საგანძურის მცველი და თვალსაჩინო მკვლევარი; ჩვენ კი, მისი მეგობრები, ყოველთვის ცრემლით გავიხსენებთ ჩვენი ჭირისა და ლხინის მოზიარე ლამარა ქაჯაიას.

მიხეილ ქავთარია  
ლია კიკნაძე

## ლალი ალექსი-მესხიშვილი



ქალბატონი ლალი ალექსი-მესხიშვილი განსაკუთრებული ინდივიდუალური და პიროვნული ხიბლით გამოირჩეოდა. მან მუშაობა დაიწყო ჯერ კიდევ საქართველოს ს. ჯანაშიას სახელობის მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში. იგი იყო ახალგაზრდა, დამწყები მკვლევარი ბიოლოგიის ურთულესი სფეროს – მიკოლოგიის განხრით. ქალბატონი ლალი თავიდანვე აქტიურად ჩაება სამეცნიერო კვლევაში აკადემიკოს ლევან ყანჩაველის ხელმძღვანელობით და 1963 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი

ფონდების მიკროფლორა და მის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებები“. ამ ნაშრომით საფუძველი ჩაეყარა კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში მიკოლოგიურ კვლევას.

ლალი ალექსი-მესხიშვილი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ჰიგიენისა და რესტავრაციის განყოფილებას. მას გამოქვეყნებული აქვს არაერთი ნაშრომი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მოამბეში“, „ძეგლის მეგობარსა“ და საკავშირო ჟურნალში: „Реставрация памятников истории и культуры“, „მრავალთავში“. ნაშრომები ძირითადად ეხება ხელნაწერი მემკვიდრეობის მოვლა-დაცვის

საქმეს. მის შრომებს დღესაც არ დაუკარგავს აქტიულობა. ქალბატონი შრომებიდან აღსანიშნავია: „ქალაღმდის მექანიკური მაჩვენებლის განსაზღვრა მისი სხვადასხვა შხამით დამუშავების შედეგად“, „ხელნაწერების დეზინფექცია ფორმალინის კამერული მეთოდის გამოყენებით“, „ობის სოკოების ფერმენტატიული აქტივობის შესწავლისათვის“, „ნიგნების მიკოფლორის შესწავლისათვის“, „ხელნაწერთა საცავების ჰაერიდან გამოყოფილი სოკოების სახეობრივი შემადგენლობა“, „საქართველოს მაღალმთიანი რაიონების წიგნსაცავთა მიკოფლორა“, „აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს წიგნსაცავების მიკოფლორა“, „დასავლეთ საქართველოს წიგნსაცავების მიკოფლორა“, „ეტრატის მიკოფლორის შესწავლისათვის“ და სხვ.

ლალი მესხიშვილმა შემოიარა საქართველოს თითქმის ყველა მუზეუმი და საცავი, სადაც ინახებოდა ხელნაწერები, ისტორიული დოკუმენტები და კულტურული მემკვიდრეობის სხვა ნიმუშები. იგი იკვლევდა მათი გარემოს მიკოფლორას, შესაბამისად, გარკვეულ რეკომენდაციებს იძლეოდა მოვლა-დაცვის შესახებ. გარდა ამისა, იგი აქტიურად თანამშრომლობდა ქართველ და უცხოელ კოლეგებთან. ქალბატონ ლალის დიდი წვლილი მიუძღვის ჰიგიენისა და რესტავრაციის განყოფილების ჩამოყალიბებასა და მის საქმიანობაში.

ქალბატონი ლალი, თავისი საქმის ერთგული და მოყვარული, უშურველად გაცემდა თავის ცოდნასა და გამოცდილებას. ამასთანავე, იგი იყო გულისხმიერი თანამშრომელთა ყოფიტი პრობლემების მიმართ.

ლალი ალექსი-მესხიშვილი გამორჩეულად ემოციური ადამიანი იყო ყოველგვარი უსამართლობისადმი. ქალბატონ ლალის მოხდენილ ფრაზებს ინსტიტუტის თანამშრომლები დიდი სიყვარულით ვიხსენებთ და ვიმეორებთ. დაბოლოს, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქალბატონი ლალი ალექსი-მესხიშვილი იყო მნივნობარ-კალიგრაფ მესხიშვილთა სახელოვანი ოჯახის წარმომადგენლის, დავით რექტორის შთამომავალი.

იზო ჯიქიძე

## მარინე ილურიძე



მრავალჭირგადახდილი, თავდაუზოგავი შრომითა და მოყვასისადმი გულსხმიერებით გამორჩეული მარინე ილურიძე 2015 წლის ოქტომბერში გარდაიცვალა. იგი ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომელთა საშუალო თაობას ეკუთვნოდა. 1978 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი, ქვეყანათმცოდნეობის განხრით. 1983-87 წლებში იყო ხელნაწერთა ინსტიტუტის ასპირანტი (ხელმძღვანელი - ცისანა აბულაძე). პარა-

ლელურად, 1979 წლიდან, თურქულ ენას ასწავლიდა თბილისის 54-ე საშუალო სკოლაში. 1993 წელს წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე - „აბუბექრ ბინ აბდულაჰის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ“. 2006 წელს კი პარიზული და ვენური ნუსხების მიხედვით გამოსცა აბუბექრის თხზულება „ლაზავათნამე“ ანუ „გამარჯვებათა წიგნი“, ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლითა და კომენტარებით. 2012 წელს გამოაქვეყნა რაპიმი ზადე იბრაჰიმ ჩავუშის „განჯის დაპყრობის წიგნი“ - ოსმალური ტექსტი ფაქსიმილეს სახით. მარინემ აღნიშნული გამოცემებით დიდად გაამდიდრა ქართული ისტორიოგრაფია მანამდე უცნობი ინფორმაციებით XVI საუკუნის ბოლო მეოთხედის ირან-ოსმალეთის მიერ საქართველოში და, საერთოდ, კავკასიაში წარმართული ომების მსვლელობისა და შედეგების შესახებ.

ისტორიული საქართველოს, აზერბაიჯანისა და თურქეთის ტერიტორიაზე შუა საუკუნეების წერილობით წყაროებში აღჯაყალას სახელით ცხრა გეოგრაფიული პუნქტი იხსენიება, რაც ართულებს ტოპონიმის იდენტიფიკაციას. მარინე ილურიძე ისტორიული წყაროების სკრუპულოზური შესწავლით შეეცადა თითოეულის იდენტიფიკაციას და 1989 წელს გამოაქვეყნა ჟურნალ „მაცნეში“ მეტად საჭირო სტატია სათაურით „აღჯაყალათა იდენტიფიკაციისათვის“.

1999 წელს საქართველოს ეროვნულმა არქივმა სტამბოლის პრემიერ-მინისტრის არქივიდან მიიღო XVIII-XIX საუკუნეების საქართველოს შესახებ 1000-მდე ოსმალური საბუთის ქსეროპირი შესაბამისი კატალოგის თანხლებით. კატალოგი თურქულიდან ქართულ ენაზე თარგმნა მარინემ.

მარინე ილურიძემ, განათლებით ისტორიკოსმა, ჩვეული სიბეჯითით წარმართა წმინდა ფილოლოგიური სამუშაოებიც. 1990 წლიდან ჩაერთო ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული თურქულენოვანი ხელნაწერების კატალოგის გამოსაცემად

მომზადების საქმეში. კატალოგი ც.აბულაძის თანაავტორობით დაიბეჭდა ქართულ და თურქულ ენებზე 2004 წელს. ენათმეცნიერ მ. ნიკოლეიშვილის თანაავტორობით შეადგინა ქართული ენის დაჩქარებული წესით შესწავლის სახელმძღვანელო თურქეთისთვის.

სიცოცხლის ბოლო წლებში მარინემ ჩვეული გატაცებით დაამუშავა ქართველ მეცნიერთა: აკადემიკოს ელენფთერ ანდრონიკაშვილის, აკადემიკოს ვალერიან გამაშვილისა და მამია დუმბაძის პირადი საარქივო ფონდები: დაუსრულებელი დარჩა ვახტანგ ჯაფარიძის საარქივო მასალები და კიდევ ვინ იცის, რამდენი რამ.

მარინე ილუზიედ დააკლდა ოჯახის თითოეულ წევრს – დიდსა და პატარას, მეგობრებს, კოლეგებს. ჩვენგან ნავიდა უზომოდ შრომისმოყვარე თურქოლოგი.

ცისანა აბულაძე

## ზეინაზ სარაჯიშვილი




არსებობენ ადამიანები, რომლებიც თავიანთი ცხოვრების წესით შენორული არიან იმ საქმეს, რომელსაც ემსახურებიან. რესტავრატორის საქმიანობა თავისუფლად შეიძლება შევადაროთ ექიმის პროფესიას. ქალბატონი ზეინაზის მიერ „განკურნებული“ ხელნაწერები დღესაც განაგრძობენ ცხოვრებას. იგი მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების დამწყებ რესტავრატორთა პირველი თაობის ერთ-ერთი გამორჩეულ

ლი წარმომადგენელი გახლდათ, რომელსაც ურთულეს პირობებში უხდებოდა საკონსერვაციო-სარესტავრაციო სამუშაოების შესრულება. ფაქტობრივად, ისინი, შიშველი ხელებითა და ინტუიციით, პირნათლად ასრულებდნენ მათზე დაკისრებულ ურთულესსა და უკეთილშობილეს საქმეს, რასაც რესტავრაცია ჰქვია. მისი ბოლო ნამუშევრებიდან უნდა აღინიშნოს „კალკოსის სახარება“, რომელიც უმძიმეს მდგომარეობაში გადაეცა ლაბორატორიას. ქალბატონმა ზეინაზმა მაღალი პროფესიული პასუხისმგებლობით შეასრულა ყველა სარესტავრაციო სამუშაო. მან, აგრეთვე, ახალი სიცოცხლე შთაბერა გელათის კატენებიან ბიბლიას. ქალბატონი ზეინაზის მიერ შესრულებული სარესტავრაციო სამუშაოების ჩამოთვლა სიმრავლის გამო შეუძლებელია. მე თავს ბედნიერად ვთვლი, რომ ვიყავი ამ სამუშაოთა თანამონაწილე.

იზო ჯიქიძე

## ჟაკ ლეფორი

ფრანგი ბიზანტინისტი, პროფესორი ჟაკ ლეფორი წლების მანძილზე იყო საფრანგეთის სამეცნიერო კვლევათა ეროვნული ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელი, *Ecole pratique des Hautes études*-ში სამეცნიერო კვლევების წარმმართველი, ბიზანტიის ისტორიისა და ცივილიზაციის ცენტრის ათონის არქივის შემსწავლელი ჯგუფის წევრი, ხოლო 1989 წლიდან ამავე ჯგუფის ხელმძღვანელი. საკმაოდ ფართო იყო მისი, როგორც ბიზანტინისტი, კვლევის სფეროები. ეს გახლდათ პალეოგრაფია და ტექსტოლოგია, მთარგმნელობითი საქმიანობა, სამონასტრო ცხოვრება და მასთან დაკავშირებული სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური ისტორიის საკითხები, დიპლომატიკა, გენეალოგია, დემოგრაფია, ისტორიული გეოგრაფია, ანთროპონიმები და ტოპონიმები. განსაკუთრებით დიდია მისი ღვაწლი ათონის მთის ესფიგმენუს (1973 წ.), ივირონის (I-1985 წ.; II-1990 წ.; III-1994 წ.; IV-1995 წ.) და ვატოპედის (I-2001 წ.; II-2006 წ.; III-იბეჭედება) მონასტრების ბერძნული აქტების შესწავლა-მომზადებისა და გამოცემის საქმეში.



1970-იან, წლებში, პარიზის ბიზანტიის ისტორიისა და ცივილიზაციის ცენტრის ათონის არქივის შემსწავლელი ჯგუფის მაშინდელი ხელმძღვანელი პოლ ლემერლი დაუკავშირდა კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორს, ელენე მეტრეველს და შესთავაზა თანამშრომლობა და მონაწილეობა ივირონის ქათული მონასტრის ბერძნული აქტების შესწავლისა და გამოცემის საქმეში. 80-იანი წლებიდან ამ თანამშრომლობამ აქტიური ხასიათი მიიღო. ერთობლივ სამუშაოებთან დაკავშირებით ათონის შემსწავლელი ჯგუფის წევრი ჟაკ ლეფორი რამდენჯერმე იმყოფებოდა თბილისში, ელენე მეტრეველი – პარიზში. 1983 წელს ჟაკ ლეფორი პირველად ჩამოვიდა თბილისში, ხელნაწერთა ინსტიტუტში ქართული მასალის გასაცნობად და „ივირონის აქტების“ I ტომზე სამუშაოდ. როცა ქ-ნმა ელომ მის დასახვედრად აეროპორტში გამგზავნა, ვკითხე, როგორ უნდა ვიცნო-მეთქი. – არავისში შეგეშლება, ნამდვილი ფრანგიაო, მიპასუხა და მართლაც, მაშინვე ვიცანი გარეგნულად გამორჩეული, ეს მეტად დახვეწილი ადამიანი. იგი „ივირონზე“ სამუშაოდ თბილისში 4-5, ჯერ იმყოფებოდა. მთელი დღის განმავლობაში თავაუღებლად მუშაობდა ქ-ნ ელოსთან ერთად. მე პატივი მერგო მათთან ერთად მემუშავა და ქართული წყაროები მეთარგმნა. საღამოს ერთად

დავდიოდით ქალაქში, თეატრებში, კონცერტებზე, შაბათ-კვირას კი ქალაქიდან გასვლასაც ვახერხებდით. მართლაც, ნახევარი საქართველო მოიარა, ბევრი რამ ნახა. განსაკუთრებული შთაბეჭდილება მასზე სვანეთმა მოახდინა და შინ დაბრუნებული, მთელი წელი ყველას სვანეთზე ელაპარაკებოდა. მას ყველაფერი აინტერესებდა, უამრავ კითხვას სვამდა იმჟამინდელ სისტემაზე, ჩვენს ცხოვრებაზე. კონსპირაციისთვის ხშირად „ივირონის“ ტერმინებს მივმართავდით, მთავრობას „ერისთავები“ შეესატყვისებოდა, უზენაეს ხელისუფალს კი – „ერისთავთ ერისთავი“.

არაერთხელ მოუყოლია, როგორ ცხოვრობდა ათონის სამონასტრო გარემოში, რამდენი სირთულე და წინააღმდეგობა ახლდა ივირონის არქივში დაცული სამონასტრო აქტების ფოტოგრაფირებას და გამოსაცემად მომზადებას. მიუხედავად ამისა, მას ისე ძლიერ უყვარდა თავისი საქმე, რომ თუ არა მისი თავდადებული შრომა და მცდელობა, „ივირონის აქტები“ ვერასოდეს იქნებოდა ისეთი, როგორსაც ეს შესანიშნავი დიპლომატიკური გამოცემა წარმოადგენს. არასოდეს დამავიწყდება როგორ გაიხარა, როცა გაიგო, რომ ქართველი ბავშვები სკოლაში სწავლობდნენ ივირონის ერთ-ერთი დამაარსებლისადმი მიძღვნილ აკაკი წერეთლის პოემას „თორნიკე ერისთავი“.

ტრადიციული ხასიათი ჰქონდა თბილისიდან გამგზავრების წინა საღამოს, ჟაკ ლეფორის მიერ ბაზარში შერჩეული უზარმაზარი ქრიზანტემების თავგულით, ქნელოსთან სტუმრობას, მის მხრივ კი შამპანურით გამასპინძლებას. მერე კი მეგეპატიჟებოდა რესტორანში.

პირველად საფრანგეთში 1988 წელს, ჟაკ ლეფორის მიწვევით ჩავვედი. მიუხედავად იმისა, რომ შვეტულებაში იყო, ნახევარ დღეს ერთობლივ საქმიანობას და „ივირონის“ მესამე ტომზე მუშაობას ანდომებდა. არაჩვეულებრივი მასპინძელი იყო, ძალიან ყურადღებიანი. მისი წყალობით გავიცანი მისი მშობლიური სოფელი ჟურაში და სამხრეთ საფრანგეთი.

1985-1995 წლებში ჟაკ ლეფორმა, ნიკოლაოს იკონომიდისმა, დენიზ პაპახრისანთუმ, ელენე მეტრეველის თანავტორობით, ფრანგულ ენაზე გამოსცეს „ივირონის“ აქტების ოთხი ტომი, რომელშიც შევიდა სამონასტრო საგანძურში დაცული 130 ბერძნული აქტი ივირონის დაარსებიდან, X საუკუნიდან მოყოლებული XVI საუკუნის დასაწყისის ჩათვლით. თითოეულ ტომს ახლდა ვრცელი გამოკვლევა, ბერძნული ტექსტის არქეოგრაფიული აღწერილობა და ბერძნული ტექსტის ფრანგული თარგმანი. 1996 წლის 13 თებერვლით დათარიღებულ წერილში ელენე მეტრეველთან ერთად ჩატარებული შრომატევადი სამუშაოების თაობაზე ჟაკ ლეფორი აღნიშნავდა: „თბილისში ჩემი არაერთხელ მიწვევით თქვენ დიდად შეუწყვეთ ხელი „ივირონის აქტების“ გამოცემას და იმ ისტორიის წვდომას, რაც სააღაპე წიგნის თქვენეული ცოდნის გარეშე მცდარი და არასრულყოფილი იქნებოდა“.

როცა „ივირონის აქტების“ I ტომი გამოვიდა, გადავწყვიტე მისი ქართულად თარგმნა. ეს ამბავი თავდაპირველად ელენე მეტრეველს გავანდე, შემდეგ ჟაკ ლეფორს. მან ძალიან გაიხარა, მამხნევებდა, მეხმარებოდა. 1998 წლისათვის ოთხ-

ივე ტომის ქართული თარგმანი მზად იყო, მაგრამ გამოცემა მხოლოდ 2008 წელს მოხერხდა. 2009 წელს „ივირონის აქტების“ ოთხივე ტომის ქართული გამოცემა პარიზში ჩავიტანე. იმავე საღამოს ჟაკ ლეფორს დაეურეკე და მეორე დღეს ბასტილიის მოედანზე, კაფეში შევხვდით ერთმანეთს. არ ვიცოდი, რომ უკვე მძიმე ავადმყოფი იყო. წიგნები რომ გადავეცი, თვალზე ცრემლი მოადგა, გადამეხვია და მერე დიდხანს ეფერებოდა წიგნებს. ეს ჩვენი უკანასკნელი შეხვედრა იყო, მერე რამდენჯერმელა მოვახერხე ტელეფონით დაკავშირება.

„ივირონის აქტები“ ეტაპობრივი მნიშვნელობის პუბლიკაციაა ათონის მთის ქართული კერის შესწავლის დიდ საქმეში. მის შესწავლა-გამოცემაში შეტანილი წვლილისთვის ჟაკ ლეფორი 1996 წელს არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის უცხოელ წევრად.

ჟაკ ლეფორი 2014 წელს გარდაიცვალა. იგი დააკლდა ახლობლებსა და კოლეგებს, სამეცნიერო საზოგადოებას, განსაკუთრებით კი საქმეს, რომელსაც მთელი ცხოვრება რუდუნებით აკეთებდა.

ცისანა ბიბლიეშივილი

#### ჟაკ ლეფორის შრომების ბიბლიოგრაფია

1. Prooimion de Michel, neveu de l'archevêque de Thessalonique, didascale de l'Évangile, Travaux et Mémoires 4, 1970, p. 375-393.
2. Monastère d'Esphigménou. Mission de M. Lefort en septembre 1968 et avril 1969, ibidem, p. 523-524.
3. Actes d'Esphigménou (Archives de l'Athos 6), Paris 1973, 244 p.
4. Fiscalité médiévale et informatique : recherches sur les barèmes pour l'imposition des paysans byzantins du XIVe siècle, Revue Historique 512, 1974, p. 315-356.
5. Rhétorique et politique : trois discours de Jean Mauropous en 1047, Travaux et Mémoires 6, 1976, p. 265-303.
6. Analyse automatique des documents fiscaux byzantins, dans Informatique et histoire médiévale (Collection de l'École française de Rome 31), Rome 1977, p. 277-289.
7. Observations diplomatiques et paléographiques sur les praktika du XIVe siècle, dans La paléographie grecque et byzantine (Colloques internationaux du CNRS 449), Paris 1977, p. 461-472.
8. En Macédoine orientale au Xe siècle : habitat rural, communes et domaines, dans Occident et Orient au Xe siècle (Publications de l'Université de Dijon 57), Paris 1979.
9. (თანაავტორები R. Bondoux, M.-F. Rouan, I. Sorlin) Temps et histoire I : Le prologue de la Chronique Pascale, Travaux et Mémoires 7, 1979, p. 223-301.
10. De Bolbos à la plaine du Diable. Recherche topographique en Chalcidique byzantine, Travaux et Mémoires 7, 1979, p. 465-489.
11. Une grande fortune foncière aux Xe-XIIIe s. : les biens du monastère d'Iviron, dans Structures féodales et féodalisme dans l'Occident méditerranéen (Xe-XIIIe siècles) (Collection de l'École française de Rome 44), Rome 1980, p. 727-742.

12. Documents grecs dans les archives de Topkapı Sarayı, contribution à l'histoire de Constantinople, Paris, 1981, 216 p.
13. Le cadastre de Radolibos (1103), les géomètres et leurs mathématiques, Travaux et Mémoires 8, 1981, p. 269-313.
14. Villages de Macédoine, Notices historiques et topographiques sur la Macédoine orientale au Moyen Âge. I, La Chalcidique occidentale (Travaux et Mémoires, Monographies 1), Paris 1982, 216 p.
15. Lettre du podestat et des seigneurs de Chio au sultan Soliman le Magnifique (1533), Travaux et recherches en Turquie 1982 (Collection Turcica 2), Louvain 1983, p. 55-61.
16. Habitats fortifiés en Macédoine orientale au Moyen Âge, dans Castrum I. Habitats fortifiés et organisation de l'espace en Méditerranée médiévale (Travaux de la Maison de l'Orient 4), Lyon 1983, p. 99-103.
17. (თანაავტორი J.-M. Martin) Fortifications et pouvoirs en Méditerranée (Xe-XIIIe siècles), ibidem, p. 197-204.
18. (თანაავტორი D. Papachryssanthou) Les premiers Géorgiens à l'Athos dans les documents byzantins, Bedi Kartlisa 41, 1983, p. 27-33. ქართული თარგმანი იხ. „რელიგია“ n. 1-2, 1994, გვ. 11-17.
19. (თანაავტორები J. Beaucamp et alii) La Chronique Pascale : le temps approprié, dans Le temps chrétien de la fin de l'Antiquité au Moyen Âge (Colloques internationaux du CNRS 604), Paris 1984, p. 451-468.
20. (თანაავტორები N. Oikonomidès et D. Papachryssanthou, et la collaboration d'H. Métrévéli) Actes d'Iviron. I, Des origines au milieu du XIe siècle (Archives de l'Athos 14), Paris 1985, 318 p.; ქართული თარგმანი იხ. „ივირონის აქტები“ I, თბ., 2008.
21. Radolibos : population et paysage, Travaux et Mémoires 9, 1985, p. 195-234.
22. (თანაავტორები C. Morriison et J.-P. Sodini) Essor et crise : la fin de Byzance, dans Le grand atlas de l'archéologie, Paris 1985, p. 142-143.
23. (თანაავტორები P. Bellier, R.-C. Bondoux, J.-C. Cheynet, B. Geyer, J.-P. Grélois, V. Kravari) Paysages de Macédoine, leurs caractères, leur évolution à travers les documents et les récits des voyageurs (Travaux et Mémoires, Monographies 3), Paris 1986, 311 p.
24. Population and Landscape in Eastern Macedonia during the Middle Ages : The Example of Radolibos, dans A. Bryer, H. Lowry (éd.), Continuity and Change in Late Byzantine and Early Ottoman Society, Birmingham-Washington 1986, p. 11-21.
25. (თანაავტორი J.-M. Martin) Le sigillion du catépan d'Italie Eustathe Palatinos pour le juge Byzantios (décembre 1045), Mélanges de l'École française de Rome 98, 1986, p. 525-542.
26. Une exploitation de taille moyenne au XIIIe siècle en Chalcidique, dans Ἀφιέρωμα στὸν Νικό Σβίρμπο, I, Réthymnon 1986, p. 362-372.
27. La Rome d'Orient qui régna sur le monde, Géo, mars 1987, p. 113-116.
28. Le territoire : introduction, dans G. Noyé (éd.), Castrum 2. Structures de l'habitat et occupation du sol dans les pays méditerranéens : les méthodes et l'apport de l'archéologie extensive, Rome-Madrid 1988, p. 393-394.
29. (თანაავტორები N. Oikonomidès et D. Papachryssanthou, et la collaboration de V. Kravari et d'H. Métrévéli) Actes d'Iviron. II, Du milieu du XIe siècle à 1204 (Archives de l'Athos 16), Paris 1990, 368 p. ქართული თარგმანი იხ. „ივირონის აქტები“ II, თბ., 2008.
30. (თანაავტორები V. Kravari et C. Morriison, éd.) Hommes et richesses dans l'Empire byzantin. II, VIIIe-XVe siècle (Réalités byzantines 3), Paris 1991, 390 p.
31. (თანაავტორი J.-M. Martin) L'organisation de l'espace rural : Macédoine et Italie du Sud (Xe-XIIIe

- siècle), *ibidem*, p. 11-26.
32. Population et peuplement en Macédoine orientale, IXe-XVe siècle, *ibidem*, p. 63-82.
  33. Anthroponymie et société villageoise (Xe-XIVe siècle), Séminaire EPHE IVe Section, *ibidem*, p. 225-238.
  34. (თანაავტორები R. Bondoux, J.-C. Cheynet, J.-P. Grélois, V. Kravari) Géométries du fisc byzantin, édition, traduction, commentaire (Réalités byzantines 4), Paris 1991, 295 p.
  35. Toponymie et anthroponymie : le contact entre Grecs et Slaves en Macédoine, dans J.-M. Poisson (éd.), *Castrum 4. Frontière et peuplement dans le monde méditerranéen au Moyen Âge*, Rome-Madrid 1992, p. 161-171.
  36. (თანაავტორი J.-M. Martin), De l'évêché au village : les frontières mineures en Italie du Sud et en Macédoine, *ibidem*, p. 340-341.5
  37. (თანაავტორები B. Geyer et F. Planet) Prospection dans la région de Bursa 1990, dans IX Arastirma sonuçları toplantısı, Ankara 1992, p. 109-118.
  38. Rural Economy and Social Relations in the Countryside, *Dumbarton Oaks Papers* 47, 1993, p. 101-113.
  39. Tableau de la Bithynie au XIIIe siècle, dans É. Zachariadou (éd.), *The Ottoman Emirate (1300-1389)*, Réthymnon 1993, p. 101-117.
  40. (თანაავტორები N. Oikonomidès, D. Papachryssanthou et V. Kravari, et la collaboration d'H. Métréveli) Actes d'Iviron. III, De 1204 à 1328 (Archives de l'Athos 18), Paris 1994, 412 p. ქართული თარგმანი იხ. «ივირონის აქტები» III, თბ., 2008.
  41. Les communications entre Constantinople et la Bithynie, dans C. Mango et G. Dagron (éd.), *Constantinople and its Hinterland*, Aldershot 1995, p. 207-218.
  42. (თანაავტორები N. Oikonomidès, D. Papachryssanthou et V. Kravari, et la collaboration d'H. Métréveli), Actes d'Iviron. IV, De 1328 au début du XVIe siècle (Archives de l'Athos 19), Paris 1995, 260p. ქართული თარგმანი იხ. «ივირონის აქტები» IV, თბ., 2008.
  43. Constantinople et la Bithynie, ou les fonctions d'un hinterland, *Mélanges de l'École française de Rome* 108, 1996, p. 366-369.
  44. R. Hodges et D. Whitehouse, Mahomet, Charlemagne et les origines de l'Europe (Réalités byzantines 5), C. Morriison-ის თარგმანი J. Lefort-სა და J.-P. Sodini-სთან თანამშრომლობით, Paris 1996, 189 p.
  45. L'Empire byzantin, dans J. Tulard (éd.), *Les empires occidentaux de Rome à Berlin*, Paris 1997, p. 109-138.
  46. Articles «Athos», «mesures», «Olympe», dans A. Vauchez (éd.), *Dictionnaire Encyclopédique du Moyen Âge*, Paris 1997, p. 143-146, 993, 1105.
  47. La brève histoire du jeune Bragadin, dans I. Ševčenko, I. Hutter (éd.), *Ἀετός*. Studies in honour of Cyril Mango, Stuttgart-Leipzig 1998, p. 210-219.
  48. Le coût des transports à Constantinople, portefaix et bateliers au XVe siècle, dans *Εὐψυχία*. Mélanges offerts à Hélène Ahrweiler (Byzantina Sorbonensia 16), Paris 1998, p. 413-425.
  49. (თანაავტორი K. Smyrlis) La gestion du numéraire dans les monastères byzantins, *Revue numismatique* 153, 1998, p. 187-215.
  50. La transmission des biens en milieu paysan dans la première moitié du XIVe siècle en Macédoine, dans J. Beaucamp, G. Dagron (éd.), *La transmission du patrimoine*, Byzance et l'aire méditerranéenne (Travaux et Mémoires, Monographies 11), Paris 1998, p. 161-177.
  51. La représentation de l'espace et du paysage dans les documents de l'Athos, dans A. Bazzana (éd.),

- Castrum 5. Archéologie des espaces agraires méditerranéens au Moyen Âge, Madrid-Rome-Murcie 1999, p. 103-112.
52. La fortune foncière de Vatopédi hors de l'Athos avant la fin du XIIIe siècle, dans P. Gounaridès (éd.), *Ἐπὲρ μὴνὶ Βατοπεδίου, ἱστορία καὶ τέχνη* (Ἀθωνικά Σύμμεκτα 7), Athènes 1999, p. 43-54.
  53. (თანაავტორები J. Bompaire, V. Kravari et Ch. Giros) Actes de Vatopédi. I, Des origines à 1329 (Archives de l'Athos 21) Paris 2001, 475 p.
  54. (თანაავტორები B. Geyer et R. Dalongeville) Les niveaux du lac de Nicée au Moyen Âge, 6 dans J.-M. Martin (éd.), *Castrum 7. Zones côtières littorales dans le monde méditerranéen au Moyen Âge : défense, peuplement, mise en valeur*, Rome-Madrid 2001, p. 77-93.
  55. In memoriam : Nicolas Oikonomidès, *Revue des études byzantines* 59, 2001, p. 251-254.
  56. The Rural Economy, Seventh-Twelfth Centuries, dans A. E. Laiou (éd.), *The Economic History of Byzantium from the Seventh through the Fifteenth Century* (Dumbarton Oaks studies 39), Washington 2002, p. 231-310 [ფრანგული ვერსია იხ. no 67].
  57. (თანაავტორი B. Geyer, éd.) La Bithynie au Moyen Âge (Réalités byzantines 9), Paris 2003, 296 p.
  58. Les miniatures de Matrakci, *ibidem*, p. 99-112.
  59. (თანაავტორები B. Geyer, Y. Koç et Ch. Châtaignier) Les villages et l'occupation du sol au début de l'époque moderne, *ibidem*, p. 411-430.
  60. Les grandes routes médiévales, *ibidem*, p. 461-472.
  61. (თანაავტორი B. Geyer) L'évolution de l'occupation du sol et du paysage, *ibidem*, p. 535-545.
  62. Mesure fiscale de la terre à Byzance, dans L. Moulinier, L. Teisseyre-Sallmann, C. Verna (éd.), *La juste mesure. Quantifier, évaluer, mesurer entre Orient et Occident (VIIIe-XVIIIe siècle)*, Saint-Denis 2005, p. 23-33.
  63. (თანაავტორები C. Morrisson et J.-P. Sodini, éd.) Les villages dans l'Empire byzantin (IVe-XVe siècle) (Réalités byzantines 11), Paris 2005, 591 p.
  64. Les villages de Macédoine orientale au Moyen Âge (Xe-XIVe siècle), *ibidem*, p. 289-299.
  65. (თანაავტორები V. Kravari, C. Giros et K. Smyrlis) Actes de Vatopédi. II, De 1330 à 1376 (Archives de l'Athos 22), Paris 2006, 525 p.
  66. Société rurale et histoire du paysage à Byzance (Bilans de recherche 1), Paris 2006, 524 p. – Sont réimprimés les 20 articles suivants : nos 4, 8, 10, 13, 16, 21, 26, 31, 32, 33, 35, 38, 39, 49, 50, 51, 54, 56, 62, 64.
  67. Population et démographie, dans J.-C. Cheynet (éd.), *Le monde byzantin. II, L'Empire byzantin (641-1204)* (Nouvelle Clío), Paris 2006, p. 203-219.
  68. Économie et société rurales, *ibidem*, p. 221-247.
  69. La population et l'évolution démographique, dans A. Laiou et C. Morrisson (éd.), *Le monde byzantin. III, L'empire grec et ses voisins, XIIIe-XVe siècle* (Nouvelle Clío), Paris 2011, p. 71-77.
  70. Économie et société rurales, *ibidem*, p. 79-93.
  71. (თანაავტორი J.-P. Grégoire, trad.) Géoponiques (Collège de France – CNRS Centre de recherche d'histoire et civilisation de Byzance, Monographies 38), Paris 2012.
  72. Note sur antipathie et sympathie dans les Géoponiques, *Revue des études byzantines* 71, 2013, p. 285-293.

## იბეჭდება

(თანაავტორები V. Kravari, C. Giros, K. Smyrlis et R. Estangüi Gómez) Actes de Vatopédi. III, De 1377 à 1500 (Archives de l'Athos 23)

## ჰელმუტ ბუშჰაუზენი



2014 წელს გარდაიცვალა ჰელმუტ ბუშჰაუზენი – ცნობილი ხელოვნებათმცოდნე, ვენის უნივერსიტეტის პროფესორი, მნიშვნელოვანი მონოგრაფიებისა და ათეულობით სტატიის ავტორი (ბიბლიოგრაფია იხ. წერილის ბოლოს).

ჰელმუტ ბუშჰაუზენი ფართო ჰორიზონტის მკვლევარი იყო. გერმანელი მხატვრის ვაჟი ბავშვობაშივე ეზიარა ხელოვნებას და სკოლის დამთავრების შემდეგ მიუნსტერის უნივერსიტეტში სწავლობდა არქეოლოგიას, ეკლესიის ისტორიასა და აღმოსავლურ ენებს. 1962 წლიდან მან მიუნხენსა და ვენაში განაგრძო სწავლა ხელოვნებათმცოდნეობის განხრით, 1966 დაიცვა დისერტაცია,

1968 წელს კი დაქორწინდა ხელოვნებათმცოდნე ჰაიდუ ლენცენზე. ამის შემდეგ ცოლ-ქმარი ბუშჰაუზენები ერთად მუშაობდნენ, მოგზაურობდნენ და ერთად აქვეყნებდნენ სამეცნიერო ნაშრომებს.

ჰ. ბუშჰაუზენი 1973 წლიდან მუშაობდა ვენის უნივერსიტეტში, იყო ამ უნივერსიტეტის ორი ინსტიტუტის თანამშრომელი: ხელოვნების ისტორიისა და ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეციისტიკის. მისი კვლევის საგანი იყო ბიზანტიური ხელოვნება, შუა საუკუნეების ნიგნის მხატვრობა, ბიზანტიური მინანქარი და ფრესკული მხატვრობა.

იგი იყო ფართო ინტერესების მეცნიერი, დაუღალავი მკვლევარი და, ამავე დროს, თავგადასავლების მოყვარული მოგზაური, რომელიც სხვებსაც გადასდებდა ხოლმე თავის ენთუზიაზმს და ხელს უწყობდა მუშაობაში. სინას მთაზე წმ. ეკატერინეს მონასტერში მივლინების შემდეგ ჰ. ბუშჰაუზენი განსაკუთრებით დაინტერესდა ეგვიპტითა და კოპტური ხელოვნებით და არაერთი მნიშვნელოვანი ნაშრომი გამოაქვეყნა ამ სფეროში. მისი ღვაწლის წარმოსაჩენად საკმარისია დავასახელოთ მის მიერ ეგვიპტეში, აბუ ფანოში, ჩატარებული არქეოლოგიური გათხრები და კოპტი წმინდანის, აჰა ბანეს სამარხის აღმოჩენა. მისი მეცნიერული გამოკვლევებიდან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს აპოლონიაში, დღევანდელი ალბანეთის ტერიტორიაზე, არსებული ლეთისმშობლის ეკლესიისადმი მიძღვნილი ნაშრომი, რომლისთვისაც მკვლევარმა ავსტრიის სახელმწიფო პრემია დაიმსახურა.

ჰელმუტ ბუშჰაუზენსა და მის მეუღლეს ბიზანტიურთან ერთად აინტერესებდათ სომხური და ქართული ხელნაწერები, მათი მხატვრული შემკულობის

ნიმუშები. არქიტექტურული ძეგლების მოხატულობა. ჰელმუტ ბუშპაუზენმა მონანილეობა მიიღო სომხური ხელოვნების ნიმუშების სამი დიდი გამოფენის მოწყობაში. მან ჰაიდუ ბუშპაუზენთან ერთად გამოცა ეჩმიაძინის სახარება, რისთვისაც სომხეთში მესრობ მაშტოცის მედლით დააჯილდოვეს.

ჰელმუტ და ჰაიდუ ბუშპაუზენებმა 1982 წელს მონანილეობა მიიღეს გ. ჩუბინაშვილის სახელობის ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის მიერ (ვ. ბერიძის თაოსნობით) მოწყობილ ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილ საერთაშორისო სიმპოზიუმში. კარგად გვახსოვს მათი სტუმრობა ხელნაწერთა ინსტიტუტში, სადაც გამოფენის თვალყურებისას ისინი სპეციალისტის მახვილი თვალით აღიქვამდნენ თითოეული მინიატურის სინატიფეს და კარგად ხედებოდნენ მათ დიდ მნიშვნელობას. არასოდეს დაგვავიწყდება, როგორი აღფთოვანებით შესცქეროდნენ ისინი ძველ ქართულ მინიატურებს და ევროპელებისათვის უჩვეულო ემოციურობით გამოხატავდნენ თავიანთ აღტაცებას. ამის შემდეგ ისინი კიდევ უფრო დაინტერესდნენ ქართული მოხატული ხელნაწერებით. ჰელმუტ ბუშპაუზენმა მოხსენება წაიკითხა კონსტანტინოპოლში ბერძენი ოსტატის მიერ მოხატული ხელნაწერის – ვანის ოთხთავის (A-1335) – შესახებ, რომელიც კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრშია (ყოფილ ხელნაწერთა ინსტიტუტში) დაცული. მან მიმოიხილა ევროპის წიგნთსაცავებში დაცული მდიდრულად დასურათებული ხელნაწერები და პარალელები გაავლო ვანის ოთხთავის მოხატულობასთან.

